

სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა

წიგნი VI

მართლმადიდებელი ქრისტიანის ბიბლიოთეკა

ესწრაფე იყავ მარადის თხრობად და სმენად საქმეთა და სიტყუათა წმიდათასა, რამეთუ ესევითარი თხრობანი შურად საღმრთოდ, სულსა აღადგენენ და ბაძვად მათდა განაძლიერებენ მადლითა და შეწევნითა ქრისტესითა.

სჯულსა უფლისასა და მცნებათა მისთა მარადის იწურთიდი რაჲთა ნაყოფიერ იქნას გონებაჲ შენი და იყოს ვითარცა ხეჲ დანერგული თანა-წარსადინელსა წყალთასა რომელმან ნაყოფი თჳსი გამოსცა ჟამსა თჳსსა კეთილი და მწიფეჲ.

წმ. მაქსიმე აღმსარებელი

ორთოდოქსი.

2009



წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველი

ცხოვრებაჲ და შესხმაჲ წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა დიდისა ბასილისი, კესარია-კაპადუკიელ მთავარეპისკოპოსისაჲ, რომელი აღწერა წმიდამან და ნეტარმან მამამან ჩუენმან გრიგოლი ღმრთისმეტყველმან

„ვითარცა მოსე და აჰრონ განაკვირვებდეს ფარაოს და დასცემდეს ეგვიპტესა სასწაულთა მოქმედებითა მით. ეგრეთვე ბასილი და გრიგოლი განაქარვებდეს მოძღვრებასა მას ათენელთასა. ვითარცა იგი იანეს და იამბრესსა. და სამებასა აქებდეს.“

იოვანე მტბევარი

გუაკურთხენ, უფალო!

1. ფრიად მაიძულებდა მე დიდი და ღმერთშემოსილი ბასილი აღწერად სიტყუათა სწავლისათა და შესხმად ღუაწლსა და ცხორებასა წმიდათასა, ვიდრე ჩუენ თანა იყო, რამეთუ უყუარდეს მას სიტყუანი ჩემნი, რომელ არა ვინ ესრეთ შეიყუარებს თავისაცა თჳსისა თქუმად განგებულებითა ღმრთისაჲთა, თჳთცა სადმე წინამდებარე აღწერად დიდებულებათა მისთა, რომელნი-იგი უზეშთაეს არიან კაცთა ბუნებისა და მოუძლურდების ყოველი ენაჲ ღირსებით თქუმად. რამეთუ მე ესრეთ ვიტყჳ, რაჲთა ყოველმან სწავლულმან სიბრძნითა ფრიადითა და ძლიერმან სიტყჳთა უკუეთუ ინებოს კელოვნებისა თჳსისა გამოცდად და ძალსა სიტყუათა თჳსთასა, ამისსა შესხმასა

ოდენ თანაწარჰკედინ. რამეთუ უზეშთაეს არს კაცობრივისა სიტყჳსა და სხუათა საქმეთა შინა, რომელიცა უზეშთაესი სახმ პოოს, დაიდ-ევინ იგი წინაშე თჳსსა, ვითარცა მხატვარნი — მაგალითსა და მისა მიმართ გამოაჩინენ კელოვნებაჲ თჳსი და ძალი.

ესრეთ დიდ არს და უზეშთაეს სიტყჳსა ქებაჲ საკჳრველისა ამის კაცისაჲ არათუ ჩუენთჳს ოდენ, რომელთა-ესე ადრევე დაგჳტეობიეს სიტყუათა მიმართ და გამოთქუმათა მისწრაფებაჲ, არამედ მათთჳს-ცა, რომელთა ყოველი საქმმ ცხოვრებისა მათისაჲ სიტყუათა და შესხმათა ოდენ გამომეტყუელებაჲ არს და ამას ზედა არს ღუაწლი მათი, რაჲთამცა ესევითართა საქმეთა ზედა დიდად გამოჩნდეს. ესრეთ აღვიარებ მე ამას საქმესა დიდად და მოუწდომელად, და ფრიადცა ჭუშმარიტსა აღვიარებ.

გარნა უკუეთუ აწ არა ვიკმარო კელოვნებაჲ სიტყუათაჲ მათ, რომელნი ოდესმე ვისწავლენ, არა უწყი, თუ სხუაჲ სადა ვიკმარო იგი, ანუ თუ რაჲ მივანიჭო ესრეთ კეთილი საქმმ, გინა თუ თავსა ჩემსა, გინა მოყუარეთა სათნოებისათა. გინა თუ თჳთ მათვე სიტყუა-თა ჩემთა კელოვნებასა, ვითარ ქებაჲ ესე ამის დიდისა და მიუწვ-დომელისა კაცისაჲ. რამეთუ ჩემდა იყოს საქმმ ესე — თანამდებისა აღსრულება ხოლო თანამდები კეთილთა კაცთაჲ, ვითარცა სხუაჲ ყოველივე მცნებაჲ თანამდებ არს, აგრეთვე ჟამსა სიტყვისასა სი-ტყუაჲ და მოყუარეთა მათ სათნოებისათა ერთად გულისთქუმისა მათისა აღსრულება იყოს შესხმაჲ ამისი. და მეორედ სახე სათნოე-ბისა — რამეთუ კაცსა რომელიცა-რაჲ უყუარნ და აქებნ, მისა მიმართცა მიისწრაფინ და ესრეთ არა ერთისა ვისთჳსმე ოდენ, არამედ ყოველთათჳს იყოს კეთილ საქმმ ესე.

ხოლო კელოვნებასა მას სიტყუათასა ორკერძოვე კეთილი ეყოს და ძლევაჲ მიეცეს, რამეთუ უკუეთუ კელოვნებაჲ იგი სიტყუათა ჩემთაჲ შემძლებელ იქმნეს მახლობელ-ყოფად ჯეროვნად და ღირსებით ქებ-ისა მამისა, თჳთცა გამოჩნდეს ძალი მისი და მიიღოს ძლევაჲ. უკუეთუ კულა ფრიად შორს დარჩეს კელოვნებაჲ იგი გამომეტყუელებ-ისაჲ ღირსად ქებისა მისისაგან, რომელი-იგი თჳნიერ ყოვლისა იჭჳსა ესეცა მიწევნად არს ყოველთა ზედა, რომელთა მისი შესხმაჲ ინე-ბოს. და უკუეთუ ესე იქმნას ესრეთცა, ძლევაჲვე მიიღონ სიტყუათა

მათ, რაჟამს გამოვაჩინო საქმით შეუძლებლობაჲ ღირსად ქებისა მისისაჲ, რომლისათჳს ვიტყოდე, ვითარმედ უზეშთაეს არს ძალსა სიტყუათასა შესხმაჲ მისი.

2. ესე საქმენი არიან, რომელთა აღმძრეს მე სიტყუად და ამათ მიზეზთათჳს ვიწყე თქუმად ხოლო რომელ-ესე ესრეთ შემდგომად რავდენთამე ჟამთა მოვედ შესხმად მისდა და შემდგომად ესეზომთა მათ შემსხმელთა მისთა, რომელთა თქუნეს ქებანი მისნი, რომელთამე—წერით და რომელთამე—წინაშე ერისა სიტყჳთა, პატივ-მცემელთა მისთა. ამისთჳს ნუვის უკჳრს, არამედ შემინდვენ ესე პირველად თჳთ წმიდამან და ყოვლითურთ საწადელმან და ჩემდა სასურველმან სულმან მისმან, რომელ-იგი საყუარელ იყო ჩემდა პირველცა და უმეტესად აწ ხოლო უწყი, ვითარმედ ვითარცა ჩუენ თანა რაჲ იყო, მრავალთა საქმეთა განჰმართებდა წესითა მით სიყუარულისაჲთა და რჯულითა საღმრთოჲთა, — რამეთუ არა მრცხ-უენის ამისი თქუმაჲ თუ მოყუარე ჩემდა იყო, ვინაჲთგან ყოველთაჲვე იყო იგი წეს და სახე და რჯულ სათნოებისა, — ეგრეთვე უკეუე აწ გან-რაჲ — ვიდა ჩუენგან და უზეშთაეს იქმნა სოფლისა, შემნდო-ბელვე იყოს ჩუენდა.

ხოლო შემინდვეთ თქუენცა, რომელნი-ეგე მკურვალენი მოყუარულნი და მაქებელნი ხართ მისნი, თუ სადა არს ოდენ ესე საქმჱ რაჲთამცა ერთი მეორისა მოყუარე მისა იყო, და არამცა ყოველნივე სწორებით მკურვალენი მაქებელნი მისნი იყვენით? რამეთუ ვითარმცა ვიქმენ ესრეთ უდებ-მყოფელ სათნოებისა და რჯულისა მის სიყუარულისა? არცა ამისთჳს, თუმცა ესრეთ ვჰგონებდი, თუ სხუათა ვიეთმე უკმს უფროჲს ჩემსა მისი ქებაჲ. ანუ უმეტეს ჩემსა თანამდებ არიან ამის საქმისა, არამედ პირველად ამისთჳს, რამეთუ მეშინოდა მე კელ-ყოფად ქებისა მისისა, ვინაჲთგან უძლურებაჲ ჩემი უწყოდე და მიუწდომელობაჲ მისი რაჲთა ვთქუა ჭეშმარიტი, ვითარცა-იგი ეში-ნინ შემავალთა სამღდელოთა საქმეთა უწინარეს წმიდა-ყოფისა პირ-ისაცა და გონებისა. და კუალად ვთქუა მეორეცა მიზეზი, რომელსა თქუენცა არა უმეცარ ხართ, ვითარმედ ჟამსა მას უცალო ვიყვენით ბრძოლასა მას შინა ჭეშმარიტებისა მბრძოლთასა, რამეთუ აღიკოცე-ბოდა სიტყუაჲ იგი ჭეშმარიტებისაჲ. და ამისთჳს ვილუწიდით, რომელნი-

ესე კეთილად იძულებულ ვიქმნენით და საღმრთოდ აღტაცებულ ვიყვენით და არა თუ გარეგან ნებისა და განზრახვისა იყო ახოვნისა მის ჭეშმარიტებისათჳს მბრძოლისა, რომელმან-იგი არარაჲ სხუაჲ აღმოთქუა, გარნა მარადის სიტყუაჲ ოდენ ღმრთისმსახურებისაჲ და განმაცხოველებელი სოფლისაჲ, რამეთუ ჯორციელისა არარაჲსა მეტყუელ იყო კაცი იგი ახოვანი და უზეშთაეს ჯორცთაჲსა ქმნილი, უწინარეს ამიერ მიცვალებისაცა, რომელმან-იგი არა უტევა, რაჲთამცა ერთიცა კეთილთაგანი სულისათა საკრველისა მისგან ჯორცთაჲსა ვნებულ იყო.

აქა უკუე ვყო მიზეზთა მათ გჳანად თქუმისათა დასასრული რამეთუ არცა საკმარ ჩემდა არიან მრავალთა მიზეზთა სიტყუანი, ვინაჲთგან მისა მიმართ არს სიტყუაჲ ჩუენი და თქუენდა მიმართ, რომელნი-ეგე კეთილად მეცნიერ ხართ ჩემსა და მის ნეტარისა სიყუარულსა.

ხოლო ამიერითგან ვიწყოთ ქებად მისა და შემწედ მოვიყვანოთ მისივე იგი და ჩუენი და ყოველთაჲ ღმერთი, რაჲთა შეგუეწიოს, რომელ უძლურებითა ჩუენისა სიტყჳსაჲთა არა შეურაცხად გამოვაჩინოთ დიდი ესე და დიდებული კაცი. და რაჲთა არა ფრიად უდარეს სხუათა მათ შემსხმელთა მისთასა გამოვჩნდე, დაღაცათუ მისგან ყოველნივე სწორად ნაკლულევან ვართ, ვითარცა ცისა სიმაღლისაგან და ბრწყინვალებისაგან მზისა ნაკლულევან იპოებიან ყოველნი, რომელთაცა ინებონ მიხედვად მუნ.

3. ხოლო აწ უკუეთუმცა ვხედევდით მას ჯორციელისა დიდებულებისა და მშობელთა სიდიდისა მოყუარედ, ანუ თუ სხუათა რათმე ხორციელთა საქმეთა პატიოსანთა, რომელთა ქუეყანისანი პატივ-სცემენ, უზეშთაესადმცა გამოვაჩინე იგი უფროჲს ყოველთა დიდებულთა ქუეყანისათა და, რაჲ-იგი მისთჳსმცა აღვწერე, უზეშთაესმცა იყო მათ ყოველთა და ერთად ამითმცა დიდებულ იყვნეს ჩემმიერნი ესე თქუმულნი, რომელ არამცა ტყუილ და ზღაპარ იყვნეს, არამედ ჭეშმარიტთა მიერმცა საქმეთა შევამკვე იგი და რომელთა ზედა მრავალნი არიან მოწამე, რამეთუ მრავალთა კეთილთა მისთა მოგჳთხრობს ქუეყანაჲ პონტოჲსაჲ, საკჳირველებათა და დიდებულებათა მისთა მშობელთასა, რომლითა სავსე არიან წიგნნი და კუალად მრავალთა დიდებულებათა ღაღადებენ ჩემისა მის ქუეყანისა კაბადუკიისა

მკუდრნი მათთჳს, რამეთუ არა ვისსა უდარეს იყვნეს ახოვნებითა და სიმდიდრითა, ერისთვობითა და პატიოსნებითა წინაშე მეფეთასა და სიმაღლითა საყდართაჲთა პატივითა ერთა მიერ და ბრწყინვალებითა სიტყუათაჲთა, რომელთა უკუეთუმცა გუენება აღწერაჲ, არარადმცა გამოჩნდეს ჭეშმარიტად, ვითარცა არარაცა არიან ყოველნი იგი საწარმართონი სიტყუანი და ტყუილნი მათნი, რომელნი აჩემებენ თავთა თჳსთა სიცრუვით დიდებულებასა ვითარცა მათთა მათ წიგნთა შინა იპოების, რომელთა ჭეშმარიტებისა თქუმად ვერ ძალ-ედვა, რამეთუ არა იყო მათ თანა ჭეშმარიტი პატიოსნებაჲ, ამისთჳსცა ტყუილისა მიმართ მიივლტიან და ეშმაკთა და ღმერთთა ვიეთმე ამაოთა და მტყუვართა სახელ-სდებენ მშობელთად მათდა, რომელთა უკეთესნი იგი საქმენი და სიქადულნი ურწმუნოება არიან და, უკუეთუ ჭეშმარიტად გამოჩნდენ, მაშინღა უმეტეს იქმნას საძაგელებაჲ მათი.

4. ვინაჲთგან უკუე აწ სიტყუაჲ ჩუენი კაცისათჳს არს, რომლისა პატივი ჭეშმარიტად ესევითარი არს, ვითარ კაცსა შუენის და ესევითარისა პატივისა მოყუარე არს იგი, და არა ჰნებავს, რაჲთამცა სხუანი იგი საქმენი ქუეყანისანი თჳსითა ფერითა და სახითა ჩნდეს, ხოლო კაციმცა უცხოთა სახეთა და ფერთა შეიმოსდა და მითმცა ჩნდა, რამეთუ ყოველივე კორციელი დაუტევო და საღმრთოთათჳს ვიტყოდი. ხოლო ვთქუა ერთი ოდენ, გინა ორი საქმეთა მათგან პირველთა მშობელთა მისთაჲსა და ესრეთ მისავე მიმართ მოვიქცე და იგიცა ესევითარნი ვთქუნე, ვითარნი მისსა ცხოვრებასა შუენიან, რამეთუ ყოველთა კაცთაჲ სახჱ რაჲმე და სასწაული ჩანს. გინდა თუ სახელისაგან მამათაჲსა წოდებაჲ. გინა თუ სხუაჲ რაჲმე ხოლო მისთა მშობელთა ორთაჲვე სახელი და სასწაული ღმრთის მსახურებაჲ იყო და გამოაჩინოს აწ სიტყუამან.

5. რამეთუ დევნულებაჲ იყო და დევნულებაჲ მძიმჱ და ფიცხელი მაქსიმიანეს ზე მეფისა, რომელი თქუენცა უწყით, რომელმან სხუანი იგი უკეთურნი მეფენი თჳსითა ბოროტისა გარდამეტებულებითა კაცთ-მოყუარედ გამოაჩინნა, ამას მრავალთა სძლეს ჩუენთა მათ მოღუაწეთა, რომელთამე ვიდრე სიკუდილადმდე იღუაწეს და მოკუდესცა ქრისტესთჳს, და რომელთამე იღუაწეს ვიდრე სიკუდილადმდე და შემდგომად ძლევისა მისისა დარჩესვე სოფელსა შინა და არა წარ-

ვიდეს ამიერ, არამედ დაშთეს სახედ სათნოებისა, მასწავლელად ღმრთისმსახურებისა, მოწამედ ცხოველად, ხატად მეტყველად, ქადაგად მდუმრიად. ხოლო სხუათა მათ თანა იყვნეს მშობელთა ამისთა მშობელნი, რომელთა მოვლეს ყოველი მოღუაწებაჲ სათნოებისაჲ და კეთილი დაარქუა გჳრგჳნი მის ჟამისა ჭირმან, რომელნი-იგი მზა იყვნეს მოთმენად ყოველთა ტანჯვათა, რომელთა მიერ გჳრგჳნოსანჰყოფს ქრისტე მისისა მას ჩუენთჳს ვნებისა მიმსგავსებულთა.

6. ვინაჲთგან უკუე ჯეროვნად ინებეს ქმნად ღუაწლისა თჳსისა, რაჲთა არცა თჳთ მირბიოდიან მდევართა მიმართ, არცა, შე-თუპყრობილ იქმნენ, შეშინდენ, რამეთუ ერთი იგი ზუაობისა სახსჰ არს, ხოლო მეორე — მოშიშებისაჲ. ამისთჳს უკუე ამასცა ზედა რჩულისმდებელსა ქრისტეს ემსგავსებოდეს. ესე სახე მოიპოვეს განგებითა ღმრთისაჲთა. რამეთუ განვიდეს სოფლით და შევიდეს მთათა შინა უვალთა, რომელნი არიან ქუეყანასა მას პონტოჲსასა და მცირედნი ვიეთნიმე იყვნეს მათ თანა სივლტოლისა მის თანაზიარნი და იყოფოდეს უდაბნოთა მათ. საკჳრველ არს უკუე მრავალთა მიერ სიგრძჱ იგი ჟამისა მის ღუაწლისა მათისაჲ, რამეთუ შჳდი წელი დაყვეს ტყეთა მათ უვალთა შინა და უფროცა ღუაწლითა მით მრავლითა, რომელნი-იგი ჩუეულ იყვნეს დიდებულებით და ფუფუნებით ცხორებასა, ხოლო მუნ არარაჲ ნუგეშინის-საცემელი ჯორცთაჲ ეპოებოდა ჭამადთაგანი. და კუალად ყინელთა მათ ზამთრისათა და სიცხეთა ზაფხულისათა და სიმძაფრეთა შინა წჳმისათა შეიწრებულ იყვნეს, და სიფიცხლჱ იგი უდაბნოჲსაჲ და მარტოებით ჭირი, რომელნი ჩუეულ იყვნეს მრავალთა მიერ მსახურებასა და დიდებასა. ხოლო მე ამისსაცა უზეშთაესი გითხრა და ურწმუნომცა ნუ ვინ არს, გარნა თუ ვინმე იყოს, რომელსამცა არარად შეერაცხა ქრისტესთჳს სიკუდილი და დევნულებაჲ ბოროტად ზრახვითა თჳსითა.

7. რამეთუ იყვნეს ახოვანნი იგი იწროებასა შინა ფრიადსა, უქონელობითა მრავალთა მათ ჟამთაჲთა დამაშურალ იყვნეს და სიტყუათა მათ ისრაჱლისათა არა იტყოდეს, რამეთუ არა იყვნეს იგინი მდრტჳნავ, ვითარ მაშინ ერი იგი, რომელნი ეძიებდეს ჯორცსა მას ეგჳპტისასა, არამედ იტყოდეს ესენი სიტყუათა კეთილთა, ვითარმედ: „რაჲ საკჳრველ არს, უკუეთუ საკჳრველებათა ღმერთმან, რომელმან განაძღო უდაბ-

ნოს ერი იგი ურწმუნოჲ და უწყმა მათ მწყერმარკილი და ზრდიდა ყოვლითავე სანოაგითა, რომელმან განაპო ზღუაჲ და დააყენა მზწ და უკუნაქცია მდინარე და სხუანი იგი სასწაულნი ქმნნა, რაჲთამცა აწ ჩუენცა მოგუცა საზრდელი, რომელნი-ესე მისთჳს ვიღუწით. რამეთუ მრავალნი ნადირნი განრომილნი ტაბლისაგან მდიდართაჲსა, რომელნი-იგი ოდესმე ჩუენდაცა იყვნეს, იქცევიან ამათ ტყეთა შინა და მრავალნი მფრინველნი ფრინვენ ჩუენ ზედა, რომელთაგანი რაჲმცა არა მოვიდა ჩუენდა, უკუეთუ ოდენ ინებოს მეუფემან?" — ესრეთ იტყოდეს და მეყსეულად ესრეთცა იქმნა და მეყსა შინა ირემნი მოიწინეს მთათაგან შუენიერნი და მსუქანენი და წადიერნი დაკლვად, ვითარმცა მწუხარე იყვნეს, რომელ არა ადრე იწოდნეს. მაშინ მოუწოდდეს მათ წამის-ყოფითა და იგინი მსწრაფლ მოვიდოდეს. ვინმე იყო მდევარ და მაიძულებელ მათდა? არავინ. ანუ რომელნი მკედარნი, გინა ძაღლნი, ანუ კმანი, ანუ ჭაბუკნი მალემსრბოლნი იყვნეს მომყვანებელ მათდა? არავინა გარნა ლოცვაჲ მართალთაჲ იყო შემკრველ მათდა. ვის უხილავს ესევითარი ნადირობაჲ?

8. ეჰა საკჳრველი! თჳთ ნადირნი იგი იყვნეს მმარხველ სანადიროჲსა. რამეთუ რაჲზომი ჰნებავნ, მოვიდის და სხუანი იგი წარვიღიან, ვიდრე კუალად მოვიდის ჟამი სამკრისაჲ, მზარეულნი მზა იყვნეს, სერი იგი — შუენიერ და მეპურისტენი იგი — მადლიერ, რამეთუ მოასწავებდა მომავალსა მას საკჳრველებაჲ იგი, რომლისა მიერ უმკურვალეს იქმნებოდეს წამებისა მიმართ. ესე უკუე ვთქუ მრავალთაგანი ერთი და ესე ვთქუ, არა თუ რაჲთამცა დიდებულებასა რაჲმე ბასილისსა შევჰმატე რამეთუ ვითარცა არა ეკმარებიან ზღუასა მისდა შემავალნი იგი მდინარენი, დალაცათუ შევლენ მრავალნი და დიდნი, ეგრეთვე არა ეკმარებიან ამას ქებანი კაცთანი, არამედ ამისთჳს ვთქუ ესე, რაჲთა გიჩუენო, თუ ვითართა სახეთა მიმართ სათნოებისათა ხედვიდა და ვითარ წარჰკდა მათ. რამეთუ უკუეთუ სხუათათჳს დიდ არს, რაჲთამცა დიდებულებითა მშობელთაჲთა მიიღეს პატივი რაჲმე, დიდ არს ამისთჳს უფროჲსად, რომელ-იგი პირველნი მშობელნი სახელოვან-ყვნა თავისა თჳსისა მიერ და განადიდნა, ვითარცა მდინარემან დაგუბებულმან და უკუნქცეულმან.

9. ხოლო მამისა და დედისა მისისა სათნოებაჲ კუალად ვითარ

არა დიდ არს, რომელნი სათნოებითა ერთ სულ იყვნეს უფროჲს, ვიდრეღა ქორწინებითა მით ერთ ჯორც? და მრავალნი არიან სხუანიცა სასწაულნი სიკეთისა მათისანი: გლახაკთმოყუარებანი, უცხოთა შეწყნარებანი, სიწმიდე სულთა მათთაჲ მარხვისა მიერ, მოწყალებაჲ ფრიადი, რომელი-იგი არა ფრიად იქმნებოდა მაშინ სხუათა მიერ. არამედ მათ მიერ გამობრწყინდა სათნოებაჲ ესე და სხუანიცა ურიცხსუნი იგი კეთილნი მათნი, რომელნი საცნაურ არიან მრავალთა მიერ. ხოლო მე დიდად შემირაცხიეს უფროჲს ყოველთაჲსა და მადიდებელად მათდა სიკეთწ იგი შვილთა მათთაჲ, რამეთუ ერთი კაცი ესრეთ შვილმრავალი და შვილკეთილი ძნიად სადა იპოოს-ცათუ არამცა ესევითართა შვილთა მშობელ ქმნილ იყვნეს, კმავე იყო მათდა სადიდებლად სიმრავლწ სათნოებათა მათთაჲ და მერმე ესევითართა შვილთა მშობელ იქმნეს, რომელ დაღაცათუმცა იგინი თჳთ არა ესევითარნი იყვნეს სათნოებითა, კმა იყვნეს შვილნი მათნი დიდებად მათდა, რამეთუ რომელნი ერთისა ანუ ორისა საქებელთა კაცთაჲსა მშობელ იქმნენ, კმა არს ესე ბუნებასა შინა. ხოლო ესეზომთა და ესევითართა შვილთა მშობელ-ყოფაჲ განცხადებული სასწაული არს სიკეთისა მათისაჲ, ვითარ-იგი გამოაჩინებს რიცხჳ ესე მათ მიერ შობილთა ამათ სანატრელთა მღდელთა და ქალწულთაჲ და კუალად კეთილად ქორწინებულთაჲ მათ, რომელთა-იგი სათნოებისა მიმართ არარაჲ ევნო ქორწინებითა მით, არამედ შემსგავსებული უქორწინებელთა მათ ცხორებაჲ აჩუენეს.

10. ვინ არა იცნობს მამასა ამისსა ბასილის დიდსა მას სახელსა და ყოველთა მიერ დიდებულსა, რომელი-იგი მიემთხჳა ლოცვასა მამობისასა ესრეთ, რომელ მცირედღა ვთქუმცა, თუ არავინ ესრეთ კაცთაგანი? რამეთუ რომელი-იგი უზეშთაეს იყო ყოველთასა სათნოებითა, შვილისა მიერ ოდენ თჳსისა ძლეულ იქმნა და უდარესად გამოჩნდა. ანუ ვინ არა უწყის ემელია, დედაჲ მისი, რომელი გამოითარგმანების, ვითარმედ „კეთილად მოღუაწე?“ რომელსა ეწოდა წინაჲთვე, რაჲ-იგი ყოფად იყო. და იქმნა, რაჲ-იგი წინაჲთვე ეწოდა ჭეშმარიტად კეთილად მოღუაწე. და ესრეთ სანატრელ იქმნა, ვითარცა თჳსივე მეუღლე, რომელსა ვინაჲთგან თანაედვა მსახურებად ბუნებითისა მის რჩულისა, თანამდებობაჲ მისი ესრეთ აღესრულა

კეთილად, რაჲთა მის მიერ სანატრელი ესე კაცთა მოეცეს, რომელი ვინაჲთგან პირველვე განეგო ღმერთსა სიბრძნითა თჳსითა მოცემად სარგებელად ყოველთა. არა ჯერ-იყო, რაჲთამცა სხუათა მიერ შემოვიდა სოფლად, გარნა ამათ მიერ ესევითართა მათ სათნოებათა დიდთა. და არცა მათდა ჯერ-იყო სხჳსა ვისმე მშობელ-წოდებად, გარნა ამისა.

ვინაჲთგან უკუე დასაბამი ესე ქებისაჲ რჩეულითა საღმრთოჲთა მშობელთა მისთა მივეცით, ვითარცა ბრძანებულ არს პატივისცემად მშობელთა. აწ თჳთ მისა მივიდეთ და ვთქუათ, რაჲ-იგი სარწმუნო იყოს წინაშე ყოველთა და რომელ არა აღწერილ არს სხუათა მიერ მაქებელთა, რომელი უწყიან ყოველთა, ვითარმედ ჭეშმარიტ არს, რომელნიცა მეცნიერ მისდა არიან, დაღაცათუ უძლურ იყოს სიტყუაჲ ჩუენი და უღირს მისდა, ნუვინ გუაბრალებს, რამეთუ ღირსად ქებად მისა თჳთ მისივე პირი ჯერ-იყო, რაჲთამცა იგი გუაქუნდა, რომელი არს პირ სიტყუათა შესხმისათა ბრწყინვალე და კუალად ძალითა სიტყჳსაჲთა იგი ოდენ ღირს არს ამის პირისათჳს ჯეროვნად თქუმად.

შუენიერებისათჳს უკუე ჶორციელისა და ძალისა და ჰასაკისა სიკეთისათჳს, რომელთა ზედა მრავალთა ვხედავ მოხარულად, არად საკმარ არს თქუმაჲ, არა თუ რამეთუ ამათ ზედა უდარეს ვისამე იყო კაცთაგანისა, ვიდრე ჭაბუკლა იყო და არა ღუაწლთა მათ მრავალთა მიერ მოეკუდინნეს სრულიად ჶორცნი, არამედ ამისათჳს არა მნებავს ესევითართა საქმეთათჳს თქუმაჲ, რაჲთა არა ვემსგავსო უგუნურთა მათ მორკინალთა, რომელთა ყოველი ძალი მათი ამაოთა რკინობათა შინა და გარეწართა წარაგიან რა, ჟამსა მას ჭეშმარიტისა რკინობისასა მოუძლურებულ იყვნიან, რაჟამს-იგი მიეცემოდიან გჳრგჳნნი და ნიჭნი მეფეთა მიერ მძლეთა მათ. არამედ მე სოფლისა საქმეთა მისთაგანი ერთი ოდენ ვთქუა, რომელი იგი არა უკმარ არს.

11. და ვიცი, ვითარმედ, მეწამნენ ყოველნი, რომელთაცა აქუნდეს გონებაჲ. ხოლო ესე არს სიბრძნჱ, რომელსა იტყჳან, ვითარმედ უზეშთაესი არს ყოვლისავე საქმისა ამის სოფლისა და უპატიოსნეს არა თუ ჩუენი ესე ოდენ, რომელი ჭეშმარიტად პატიოსან არს და ყოველსავე შემკობასა სიტყუათასა შეურაცხ-ჰყოფს და ოდენ ცხ-

ოვრებასა ეძიებნ და გულისკმის-ყოფისა მის ჭეშმარიტისა სიკეთისა, არამედ გარეგანიცა იგი, რომელსა მრავალნი ქრისტეანეთაგანნი შეურაცხ-ჰყოფენ და საძაგელად უჩნს, ვითარცა მაცთური და მავნებელი და ღმრთისაგან განმაშორებელი, არამედ კეთილად იციან საქმჱ ესე. რამეთუ ვითარცა ცაჲ და ქუეყანაჲ და ჰაერი და ყოველნი საქმენი მათნი, ვინაჲთგან რომელთამე ბოროტად იკმარეს, რამეთუ ღმრთისა წილ დაბადებულთა ღმრთისათა ჰმსახურებდეს და ღმრთად აღეარა, არამედ არა ამისთჳს შეურაცხ-ყოფაჲ და მოძაგებაჲ დაბადებულთაჲ ჯერ-არს, არამედ რაჲზომ-იგი იპოების მათგან სარგებელი, მას მივიღებთ და, რომელი-რაჲ უჯერო იყოს, შეურაცხვყოფთ და არა დამბადებელისა წილ დაბადებულთა ვჰმონებთ, არამედ დაბადებულთაგან დამბადებელსა გულისკმა-ვჰყოფთ, და ყოველსავე საღმრთოდ გულისკმა-ვჰყოფთ. და ვითარცა-იგი ცეცხლი და საზრდელი და რკინაჲ ამათგანი არცა ერთი ვიცით თავით თჳსით სავნებლად გინა სარგებელად, არამედ ვითარცა-იგი მიმღებელთა მათ იკმარონ და კუალად წამლეანთაგანცა მკეცთა კაცთა გამოულებიეს კეთილთა წამალთა თანა შესაზავებელი, ეგრეთვე არს სიბრძნე იგი ფილოსოფოსობისაჲ, რამეთუ გამოძიებაჲ იგი და გულისკმის-ყოფაჲ მისი მოვითუალეთ, ხოლო რავდენი არს მის შორის ეშმაკთა მიმართ მიმყვანებელ და საცთურად და უფსკრულად წარწყმედისა, იგი მოვიძაგეთ და, უკუეთუ გნებავს, ესეცა ვთქუა, ვითარმედ უფროჲსი სარგებელი მივიღეთ მათგან ღმრთისმსახურებისა მიმართ და ბოროტისა მისგან კეთილი გულისკმა-ვყავთ და უძლურებაჲ იგი მათი ძალად ჩუენისა ამის სარწმუნოებისა მოვიღეთ. ამისთჳს უკუე არა ჯერ-არს სწავლულებისა შეურაცხ-ყოფაჲ, ვითარცა ვიეთნიმე ჰგონებენ, არამედ, რომელნი ამას იტყჳან, უგუნურ არიან, რომელთა ჰნებავს, რაჲთამცა ყოველნი მსგავს მათდა იყვნეს უსწავლელ, რაჲთა ესრეთმცა არა სირცხჳლ-უჩნდა უსწავლელობაჲ ვინაჲთგან უკუე ესე ესრეთ არს, მოვედით და მისდავე მივიდეთ.

12. რომელი ჰასაკსა მას შინა სიჩჩოჲსასა რაჲ იყო, დიდისა მის მამისა მისისა მიერ განისწავლებოდა, რომელი-იგი მაშინ მასწავლელად სათნოებისა აქუნდა პონტოსა და ისწავლიდა მისგან სწავლასა მას კეთილსა, რომელსა ნათლისად უწოდს დიდი დავით და ბნელისა

წინააღმდგომად. და მის მიერ ისწავლა საქმჱ და სიტყუაჲ უზეშთაესად და კეთილად ნეტარმან მან, რომელი-იგი არა ჰორციელსა რასმე ისწავლიდა, ანუ ნადირობისა საქმეთა, ანუ ჴელოვნებასა ბრძოლათასა ანუ მწყსასა ცხენთასა, რაჲთამცა იგივე ცხენი იყო მასწავლელ მისდა, ანუ რაჲთამცა ტჯნითა ირემთა და ლომთაჲთა იზარდებოდა, ვითარცა ზღაპარი იგი წარმართთაჲ იტყჳს.

არამედ ისწავლიდა ესე სიბრძნესა ჭეშმარიტსა და ღმრთისმსახურებასა, და, რაჲთა მოკლედ ვთქუა, სისრულისა მის მიმართ, რომელსა ეგულებოდა მიწდომად, მისა მიმართ მივიდოდა პირველითგანითა მით სწავლითა, რამეთუ, რომელსა ერთი ოდენ წარემართოს, გინათუ გულისჴმის-ყოფაჲ, გინათუ საქმე მოღუაწებათაჲ და მეორისაგან ნაკლულევან იყოს, მე ვჰგონებ თუ, არარაჲთა განყოფილ არს ცალთუალთაგან, რომელთა დიდ არს დაჭირვებაჲ იგი ნათლისაჲ მის ერთისა თუალისაჲ. და უმეტეს არს უშუერებაჲცა მათი ხოლო, რომელი ორკერძოვე შემკულ იყოს გულისჴმის-ყოფითაცა და საქმით მოღუაწებითა, იგი არს ჭეშმარიტად სრულ და მიმავალ საუკუნოჲსა მის ნეტარებისა მიმართ, ვითარ-იგი ესეცა იქმნა. რამეთუ აქუნდა მას სახედ კეთილისა მამაჲ იგი თჳსი, რომლისა მიმართ ხედვიდა და მეყსეულად რჩეულ იქმნა, რომელი იქცეოდა მამისა თანა თჳსისა, სიჩჩოჲთა და სათნოებითა არა ნაკლულევან იყო მისგან და მოასწავებდა სახითა მით საზომსა მას სათნოებისასა, რომელსა უკუანაჲსკნელ მიიწია.

13. ვინაჲთგან უკუე კეთილად ესწავლა მას სწავლაჲ იგი, რომელი მუნ იპოებოდა, ხოლო ჯერ-იყო, რაჲთამცა არარაჲ კეთილთაგანი განერა მას, არცამცა შეკრებითა სულნელებისაჲთა უდარეს ფუტკრისამცა გამოჩნდა, რომელი-იგი ყოველთაგან სულნელთა შემოჰკრებს ნაყოფიერებასა, ამისთჳსა კესარია ქალაქად მიიწია შესლვად მუნ მყოფთა მათ სასწავლელთა. კესარიასა ვიტყჳ დიდსა მას და ჩუენსა, რომელ-იგი ჩემისაცა სიტყუათა სწავლისა დასაბამ იქმნა, რომელი-იგი სიტყჳთა არს უმთავრეს სხუათა მათ შემოგარეთა ქალაქთა, უფროჲს, ვიდრეცა ძალითა, რომლისა მოსწრაფებაჲ სიბრძნე არს სიტყუათაჲ, რომელ უკუეთუმცა ვინ ინება სიბრძნისა მიღებად მისგან, ვითარმცა ყოველივე დაერღჳა, რამეთუ სხუანი ქალაქნი სხუასა

რასმე ზედა მოქადულ და შემკულ არიან, ხოლო ესე სიბრძნესა ზედა სიტყუათასა.

ხოლო შემდგომი იგი ამისა — თჳთ იგინი იტყოდიედ, რომელთა განუსწავლიესცა კაცი იგი ნეტარი და რომელთა უსწავლიეს მისგან, თუ რაბამ იყო წინაშე მოძღუართასა, ანუ რაბამ წინაშე მოჰასაკეთასა, რამეთუ მათ შეესწორებოდა, ხოლო ამათ თანაწარჰკდებოდა ყოვლითავე სწავლულებითა და ვითარი ქებაჲ მიიღო მცირედსა ჟამსა შინა ყოველთაგან ერთა და წარჩინებულთა მათ ქალაქისათა, რომლისა სწავლულებაჲ უზეშთაეს იყო ჰასაკისა და წესიერებაჲ — უზეშთაესი სწავლულებისა მის. რიტორი იყო რიტორთა შორის უწინარეს საყდართა მათ მოძღურებისათა დაჯდომისა და ფილოსოფოსი უზეშთაესიცა ვთქუა: მღდელი იყო ქრისტეანეთაჲ უწინარეს მღვდელობისა. ესრეთ წარმატებულ იყო ყოველთა მიერ ყოველსა ზედა ხოლო სიტყუანი იგი სიბრძნისა მის სოფლიოჲსანი გარეწარ იყვნეს მისა და ესე ზომსა ოდენ სიმდიდრესა შემოკრებდა მათგან, რაჲზომიცა სულიერსა სიბრძნესა შინა სარგებელ იქმნებოდა, რამეთუ მათიცა სწავლაჲ ჯერ-არს გულისკმის-საყოფელად ძალსა სიტყუათა სიძნელისათა. ხოლო ფილოსოფოსობა მისი იყო შორს-ყოფაჲ სოფლისაგან და შეერთებაჲ ღმრთისა თანა და წარმავალთა ამათ წილ წარუვალთა მათ მოგებაჲ და დაუდგრომელთა ამათ წილ დადგრომილნი იგი და მტკიცენი.

14. მერმე კესარიათ მივიდა ბიზანტიად, ქალაქსა მას დასავალით კერძოთა ყოველთა მთავარსა, რომელსა შინა იყვნეს ბრძენნი და ფილოსოფოსნი კელოვანნი, რომელთა კელოვნებაჲ მცირედსა ჟამსა დაისწავლა ყოველივე სიმახჳლითა მით გონებითისაჲთა და ესრეთ მუნით მოიწია ათინად რომელი-იგი დედაჲ არს ფილოსოფოსობისაჲ და მოივლინა ღმრთისა მიერ და კეთილითა მით სიბრძნისა უძღებლობითა ათინას, რომელი-იგი მე ჭეშმარიტად ოქროჲსა ქალაქად მექმნა და კეთილისა მომატყუებელად უფროჲს ყოველთასა, რამეთუ მათ შემამეცნიერეს მე მისდა სრულიად, რომელი პირველცა არა უცნაურ იყო და სიტყუათა რაჲ ვეძიებდი, ნეტარებაჲ ვპოვე და ამით სახითა მსგავს ვიქმენ საულისა, რომელი კარაულთა მამისათა ეძიებდა და მეფობაჲ პოვა, და საქმისა მის გარეწარი იგი უზეშთაეს იქმნა.

აქამომდე უკუე წრფელ იყო გზაჲ ესე სიტყჳსა ჩუენისაჲ და სამეუფო შესხმისა მისისა, ხოლო ამიერითგან არა უწყი, ვითარ ვიკმარო სიტყუაჲ ჩემი, ანუ რომელსა ზედა გზასა ვლო, რამეთუ აღმართიცა რაჲმე გუეპოა სიტყუასა ამას შინა. რამეთუ სურვილ ვარ, რაჲთა ამას ადგილსა ჩემიცა რაჲმე შევსძინო და ვთქუა, თუ ვინაჲ ანუ ვითარ იქმნა დასაბამი ჩუენისა მეგობრებისაჲ და ერთ სულყოფისაჲ, რაჲთა უმახლობელესად ვთქუა. რამეთუ თუალსაცა არა ჰნებავნ განშორებაჲ შუენიერთა ხილვათაგან, დაღაცათუ ვინ აიძულებდეს განშორებად, არცა სიტყუასა ჰნებავს ტკბილთა თხრობათაგან განშორებაჲ, არამედ კელ-ვყო თქუმად მცირედ რაჲმე, დაღაცათუ ვიიძულებოდით სურვილისა მიერ, შენდობაჲ ამის ვნებისაჲ, რომელი ფრიად კეთილ არს და რომლისა არა ვნებაჲ ვნება არს და დაჭირვება, უკუეთუ ვის აქუნდეს გულისკმის-ყოფაჲ.

15. შევკერბით ჩუენ ათინას შინა, ვითარცა მდინარჱ ერთისა წყაროჲსაგან გამოსრული, რომელ არს მამული ჩუენი ქუეყანაჲ, და სხუად და სხუად ქუეყანად წარსრულნი სიყუარულითა მით სწავლულებისაჲთა და კუალად ერთადვე შეკრებულნი განგებითა ღმრთისაჲთა. ხოლო მე მისრულ ვიყავ მუნ მცირედრე პირველად და მეყსეულად იგი მოვიდა შემდგომად ჩემსა, რომელ-იგი შეიწყნარეს დიდითა სასოებითა და მოლოდებითა, რამეთუ მრავალთა ჭირსა შინა იყო უწინარეს მოსლვისა და ისწრაფდეს ყოველნი სასწავლონი, თუ რომელმანმცა მიიტაცა იგი.

ხოლო გითხრა მცირედი რაჲმე მათთჳს, რომელთა იცით, თქუენდა მოსაკსენებლად, და რომელთა არა იცით, თქუენდა საცნობელად, ფრიად ისწრაფიან ათინელნი იგი ყოველნი სასწავლონი თითოეული, რაჲთამცა უმეტესნი იყვნეს მოსწავლენი მისნი და წარავლენენ ყოველთა ადგილთა ათინისა და ელადისათა, რაჲთამცა მოიყვანებდეს კაცთა მოსწავლეთა.

16. ხოლო, რაჟამს მო-ვინმე-ვიდეს მათ თანა, გინა თუ იძულებით, გინა თუ ნეფსით ესევითარი ჩუეულებაჲ აქუს: პირველად შეიწყნარებს მას, მეგობარი ვინმე მისი თუ იყოს, ანუ მისისა ქუეყანისაჲ, ანუ უცხოთა შემწყნარებელთა ვიეთგანმე, რამეთუ არიან მათ შორის ამისნიცა მოქმედნი. მერმე უკუე მივლენ და იწყებენ სიტყუად მისა

მიმართ და გამოცდად მისა და სარჩლად სიტყუთა, რაჲთა ესრეთ
დაამდაბლონ გონებაჲ მისი და მორჩილ მათდა ყონ. ხოლო ერჩიან
რომელნიმე ფიცხლად და ზუაობით და რომელნიმე სიტყუაპოვნიერე-
ბით, და საქმე იგი უმეცართათჳს ძნელად ჩანს, ხოლო მეცნიერ-
თათჳს — ადვილად. და მერმე წარიყვანებენ დიდისა მის აბანოჲსა
მიმართ, რომელი არს მუნ, და არიან ბჭენი მისნი დიდნი. ხოლო
ესრეთ წარიყვანებენ მუნ, რამეთუ განეწყვებიან იმიერ და ამიერ,
რომელნი-იგი იყვნენ მის სასწავლოჲსანი, და ესრეთ მიიყვანებენ
აბანოდ შორის მათსა და მი-რაჲ-ეახლნენ ბჭედ, და შევიდეს ზღურ-
ბლსა შიგან ჭაბუკი იგი, იწყებენ ხლდომად და ზახილად, ვითარცა
ეშმაკეულნი. ხოლო კმაჲ მათი არს შემაშინებელ, ვითარმედ: „არა
ეგებისო შესლვაჲ მუნ შინა“, და ბჭეთა მათ დიდთა, რომელნი
საქციელითა არიან, დაჰკშვენ და დაკშვასა მათსა იქმნების კმაჲ
სასტიკი. და ესრეთ უტევებენ მას შესლვად. და მიერითგან უკუეთუ
იქმნას მას ყოველსა ზედა უშიშ და განუკრთომელ, შეიწყნარებენ
აბანოჲთ, ვითარცა ერთსა მათგანსა და ესე არს საქმჱ იგი საეშმა-
კოჲ მათი, რაჲთამცა ადრე დაკსნილ-ყვნეს მისრულნი იგი. მაშინ
უკუე ჩემი იგი და დიდი ბასილი არა მე ოდენ პატიოსნად მყვა
წესიერებისა მისისათჳს და სიტყჳერობისა, არამედ სხუათა ვარწმუ-
ნებდი, რომელნი ჯერეთ უმეცარ მისა იყვნეს, რამეთუ უმრავლესთა
წინაშე თჳთ პატიოსან იყო, რომელთაცა ასმიოდა პირველივე მისისა
მის სიკეთისა საქმჱ და ამისთჳსცა იგი ოდენ დაშთა ახლადმოსრულ-
თაგანი, რომელ არა იქმნა მას ზედა ესევითარი იგი საეშმაკოჲ წესი
და არა, ვითარცა ახლადმოსრულსა, არამედ, ვითარცა მათ თანა
დაძუელებულსა, პატივ-სცეს.

17. ესე იქმნა დაწყებაჲ ჩუენისა მეგობრებისაჲ და ნაბერწყალი
სიყუარულისაჲ. მერმე იქმნა ესევითარიცა საქმჱ, რამეთუ ვითარცა
არს ნათესავი იგი სომეხთაჲ არა წრფელი, არამედ მზაკუვარი და
გულარძნილი და ბოროტი, მიმსგავსებული კლდეთა მათ, რომელნი
დაფარულ არიან ზღუასა შინა, და ვერ იხილვენ მათ მენავენი,
ვიდრე არა სცენ ნავი და განტეხონ. ესრეთ სხუასა იტყჳან იგინი და
სხუაჲ უც გულსა მარადის და სიწრფოებაჲ მათ თანა არა არს. და
რაჲ საკჳრველ არს, უკუეთუ კაცსა ეცრუვნენ, ვინაჲთგან თავადისა

ღმრთისა მიმართ ცრუ არიან და მზაკუვარ და ბოროტად აღმ-საარებელ. მაშინ უკუე მოვიდეს მისა სომეხნი ვიეთნიმე, რომელნი იყვნეს მუნ მოსწავლე და მეცნიერ იყვნეს მისდა და მამისა მისისა, იწყეს მისდა სიტყუად სახითა მეგობრებისაჲთა, ხოლო არა სიყუარული იყო გულსა მათსა, არამედ შური. და ეტყოდეს მას ცილობით სიტყუათა, რაჲთა უდარეს მათსა გამოაჩინეს იგი, რამეთუ იცოდეს პირველითგანი იგი გონებისა მისისა სიმახჳლე და პატივსა მას არა თავს-იდებდეს, რომელ ყოველთა მიერ პატივ-იცემებოდა, რამეთუ შურდა, რომელი-იგი მათ შეემოსა სამოსლები ათინელთა ფილოსო-ფოსთაჲ და მრავალთა ჟამთა ესწავლა, რაჲთამცა არაჲ უმეტესი აქუნდა უცხოჲსა მის და ახლადმოსრულისა.

ხოლო მე, ათინისმოყუარემან ამან და ამაომან, ვერ გულისკმავყავ შური იგი მათი და ვჰგონებდი, ვითარამედ სიყუარულით ეუბნებიან და ვიხილენ რაჲ იგინი ძლეულნი მის მიერ და დანთქმულნი მოქცე-ვათა მათ შინა სიტყუათა მისთაჲსა, და შემშურდა ესოდენი იგი სიქადული ათინელთა სიბრძნისაჲ და სახელოვნებაჲ იგი მის ქალა-ქისაჲ, რომელი სიბრძნესა ზედა განთქმულ იყო ყოველსა ქუეყანასა, რაჲთამცა ესრეთ ერთისა კაცისა მიერ ძლეულად და შეურაცხად გამოჩნდა. და ვიწყე დაცემულთა მათ და ძლეულთა სიტყჳთა ჩემითა შეწევნად და აღდგინებად, რამეთუ მცირედიცა ძალი სიტყჳსაჲ ფრი-ად განაძლიერებს ესევითართა მათ. დაცემულნი იგი აღვადგინენ და შევასწორე სიტყუაჲ მათი მის თანა ძალითა, ხოლო ვითარცა ვცან მზაკუვარებაჲ იგი მათი, რომელსა გამოაცხადებდეს, მეყსეულად მოვიქეც, და აფრაჲ სიტყუათა ჩემთაჲ მოვაქციე მისდა და ძლევაჲ მისი განვაძლიერე. რამეთუ რაჟამს მე დაუტევენ იგინი, ცნა ნეტარ-მან მან, რამეთუ მახჳლი იყო გონებითა და მსწრაფლი უფროჲს ელვისა და იწყო დართვად სიტყუათა უბადრუკთა მათ ზედა და ორკეცობითა მით სიტყუათაჲთა შეჰმუსრვიდა და არა დაუტევნა, ვიდრე არა სრულიად მოაკუდინნა და უსიტყუელ-ყვნა. ესე იქმნა ჩუენი მეორე სიყუარულისა არღარა ნაბერწყალი, არამედ ალი.

18. და იგინი წარვიდეს სირცხჳლეულნი და ფრიად აბრალეს თჳსსაცა კადნიერებასა და ფრიად განრისხნეს ჩემთჳსცა, რომელ დაუტევენ იგინი, ვიდრეღა განცხადებულად მტერობაჲ აღიარეს ჩემი,

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს

ვითარმედ განმცემელი ხარო არა ჩუენი ოდენ, არამედ ყოვლისა ათინისაჲ, რომელ-იგი დაგუტევენ და ესრეთ პირველსავე ჯერსა სირცხჳლეულ იქმნა ჩუენ მიერ ყოველი ათინაჲ მისგან, რომელი ჯერეთ უცხო არს. ხოლო მან იხილა რაჲ მათი, შეწუხდა და იტყოდა, ვითარმედ: „ამაოდ მოვშუერ აქა, რამეთუ არა ესრეთ არს, ვითარ მე ვჰგონებდი საქმესა მას“. და აბრალობდა თავსა თჳსსა მოსლვისათჳს და უკჳრდა, თუ რად ესრეთ საქებელ არს ყოველთა-გან ქალაქი ესე არამედ მე განვაქარვებდ მწუხარებასა მისსა და ვეტყოდე, ვითარმედ: „ესრეთ მეყსა შინა არა იცნობების წესი და განგებაჲ კაცისაჲ, გინა სწავლისაჲ, ანუ ადგილისაჲ“ , და ნუგე-შინისვცემდ მას. და ესრეთ სიტყუათა მიერ ესევითართა უმეტესად შევაერთე იგი თავსა ჩემსა.

19. ხოლო გარდა-რაჲ-ჰდა ჟამი მცირედი და გამოუცხადეთ ურთ-იერთას განგებაჲ ჩუენი, ვითარმედ საღმრთოჲსა ფილოსოფოსთათჳს იყო შრომაჲ ჩუენი, მიერითგან ერთბამად ვიყოფოდეთ ღამე და დღე ერთნება, ერთად მოსწრაფება მარადის ურთიერთას სურვილისა მის საღმრთოჲსა აღმაორძინებელ და დამამტკიცებელ, რამეთუ ჰორციე-ლი სიყუარული ვინაჲთგან წარმავალ არს და საწუთრო, ამისთჳს ადრე განქარვებადი და დაჰსნადიცა არს, რამეთუ არცა ალი ეგის, ნივთი რაჲ განქარდის, არცა სურვილი დაადგრების, ნივთი რაჲ მისი წარჰდეს, ხოლო საღმრთოჲ იგი სიყუარული და წმიდაჲ, ვინაჲთგან მტკიცისა და შეურყეველისა საქმისათჳს იქმნების, ამისთჳს მტკიცე არს და რაჲზომცა კეთილსა მისსა გამოაჩინებდეს, ეგეზომცა შემ-შჭუალავს თავსა თჳსსა და ურთიერთას ტრფიალთა მათ საღმრ-თოჲსა სიყუარულისათა. ესე იყო რჩეული ჩუენისა მის სიყუარულისაჲ. გულისჯმა-ვყოფ უკუე, ვითარმედ გარეგან ზომისა განვალ და არა უწყი, თუ ვითარ ამათ სიტყუათა შთავვარდები, გარნა ვერ დავაც-ადებ თხრობასა ამას, რამეთუ მარადის საქმეთა მისთაგანი დატეო-ბილი იგი, უკეთეს თქუმულისა მის გამოჩნდების და უკუეთუ ვინ წაღმართ მიმიზიდვიდეს მძლავრებით, ვქმნა საქმე იგი ფერჰმრავალ-თაჲ მათ, რომელნი შეპყრობილ რაჲ იქმნიან, მოეხჳნიან კლდეთა და არა განუტევიან, ვიდრე არა ერთმანეთისაგან მიიღიან რაჲმე იძუ-ლებისა მისგან.

20. ესრეთ უკუე ვიყოფოდეთ ჩუენ ურთიერთას და ესრეთ აღგუე-მართნეს შუენიერისა მის სართულისა ოქროჲსა სუეტნი, ვითარცა პინდაროს იტყჳს. და ესრეთ წარვემატებოდეთ შეწევნითა ღმრთისაჲთა და სურვილისა ჩუენისაჲთა. ჰოი ვითარ მე უცრემლოდ თავსვიდვა ამათ ყოველთა კსენებაჲ? რამეთუ სწორითა სასოებითა ვიყოფოდეთ საქმესა მას შინა საშურველსა, რომელ არს სწავლაჲ სიბრძნისაჲ. არამედ შური შორს იყო ჩუენგან და სიყუარული მტკიცჱ და მოსწრაფებაჲ თითოეულისაჲ იყო არა ამას ზედა, რაჲთამცა თჳსსა თავსა მისცა პატივი, არამედ რაჲთამცა მეორესა მოატყუა, რამეთუ კეთილი ერთისა ერთისაჲ თჳსად შეგუერაცხა და ვითარცა ერთი სული იყო ჩუენი გუამთა შინა ორთა.

და უკუეთუ ყოვლისაჲვე ყოველთა შინა ყოფაჲ არა სარწმუნო არს, არამედ ჩუენ ზედა ესრეთ იყო, რამეთუ ერთიმეორისა თანა ვიყვენით ყოვლითურთ და თავთა თჳსთაცა თანა, ხოლო საქმჱ ორთაჲვე ერთი იყო — სათნოებაჲ და მისწრაფებაჲ სასოებითა საუკუნოჲთა მათ კეთილთაჲთა, და რაჲთამცა უწინარეს ამიერ სოფლით წარსლვისა მიცვალებულმცა ვიყვენით ამიერ. და ამის საქმისა მიმართ ხედვითა ყოველსავე საქმესა და სიტყუასა ჩუენსა წარვჰმართებდით ამის მიმართ და ურთიერთას სათნოებისა მიმართ ვლესევდით. და უკუეთუ არა დიდ არს ესე ჩემ მიერ თქუმად, კანონნი ვიყვენით ერთმანეთისანი, განმრჩეველნი მართლისა და დრკუჲსანი, და მოყუასთა თანა ვიქცეოდეთ არა უწესოთა, არამედ პატიოსანთა, არცა მეშფოთეთა, არამედ მშჳდთა, რამეთუ უწყოდეთ, ვითარმედ ბოროტი უმალესად ისწავლების, ვიდრე კეთილი, ვითარცა-იგი სნეულებაჲ უადვილესად მიეცემის, ვიდრეღა სიმრთელჱ. ხოლო სწავლათა ვისწავლიდით არა საჰამებელთა, არამედ სარგებელთა, რამეთუ ამის მიერცა იქმნების ჭაბუკთაჲ გინა თუ სათნოებად, ანუ თუ უკეთურებად წარმატებაჲ.

21. და ორნი გზანი იყვნეს ჩუენდა საცნაურ: ერთი იგი პირველი და უპატიოსნესი, ხოლო სხუაჲ იგი მეორედ და უდარესად ესე იგი არიან, რომელ-იგი სამღდელოთა მათ ტაძართა მიმართ მიმყვანებელი იყო და მუნ მყოფთა მათ მოძღუართა, ხოლო სხუაჲ იგი, რომელი გარეგანთა მათ მასწავლელთა ჩუენთა მიმართ მიგჳყვანებდა. და სხუ-

ანი იგი გზანი ყოველნივე შორს-ვყვენით ჩუენგან — სახილველად მიმყვანებელნი, გინა თუ სიხარულად და ხადილობად, რამეთუ არარაჲ არს პატიოსან, რომელი არა სათნოებად მიმყვანებელ იყოს და კეთილისმყოფელ მოქმედთა მისთა, ხოლო სხუათა სხუაჲ სახელები ეწოდებოდა, ანუ მშობელთაგანი, გინა თუ სხუაჲ რაჲმე, ხოლო ჩუენი იყო დიდი იგი საქმჱ და სახელი, რომელნი-ესე ქრისტეანე ვიყვენით და ქრისტეანე გუეწოდებოდა. და ესე ოდენ იყო ჩუენი სახელი, რომელსა ზედა ჩუენ უმეტესად ვიხარებდით და მოქადულ ვიყვენით და მინდობილ, ვიდრეცა მოქცევასა მას ზედა ბეჭდისთუალ-ისასა გიგოს იყო, რომლისა მიერ ლუდთა მძლე ექმნა და მეფჱ მათი მოკლა, ანუ ოქროსა მას ზედა — მიდის, რომლისა მიერ წარწყმდა, მიემთხუა რაჲ თხოვასა თუსსა და ყოველივე ოქრო ექმნა მას, რამეთუ ავარიდოჲს ცხენისათუს რადღა საკმარ არს თქუმაჲ, ჩრდი-ლოელისა მის, ანუ არგიელისა მის პიღაროჲსა, ანუ სხუაჲ რაჲმე საშუებელთაგან ამის ცხორებისათა? არამედ მარადის ღმრთისა მიმა-რთ ვისწრაფჲდით და რაჲთა მოკლედ ვთქუა, ვითარმედ ათინაჲ სავნებელ იყო მრავალთათუს სულიერად, რამეთუ აქუნდა ბოროტი იგი სიმ-დიდრჱ, რომელ არიან კერპნი, უფროჲს ყოვლისა ქუეყანისა მის ელადისა და ძნელ იყო, რაჲთამცა არა ევნო კაცთა მათთა მათ მრავალთა მაქებელთაგან და შემწეთა, ხოლო ჩუენდა არა იქმნა რაჲმე მათგანი ვნებაჲ, რომელთა გონებანი შეჭურვილნი იყვნეს. არამედ უფროჲსად რაჲთა ვთქუა საკურველი საქმჱ, მუნ ყოფითა მით უმეტესი სიმტკიცჱ მოგუეცა სარწმუნოებისა მიმართ, რაჟამს ვცანთ მათი იგი საძაგელებაჲ და საცთურებაჲ და, სადა-იგი იქებიან ეშმაკნი, მუნ შეურაცხ-ვჰყვენით იგინი. და მსგავს ვიქნენით მდინარე-სა მას, რომელსა იტყუან, ვითარმედ მარილიანსა შინა ზღუასა ტკბილად დის, გინა თუ იძრვისსა მას ცხოველსა, რომელი-იგი ყოველსავე განჰლევს.

22. ესრეთ ვიყოფოდეთ ჩუენ მუნ და საცნაურ ვიყვენით ყოველთა მიერ, რამეთუ განჯდა ჩუენისა სწავლისა სახელი ყოველსავე ქუეყ-ანასა, რომელნიცა მეცნიერ იყვნეს ათინისა. და ვიღუწიდით ჩუენ ზოგად და განუყოფელ ვიყვენით ურთიერთას. გარნა არა უწყი, თუ ვითარ მივდერკ ქებათა მიმართ ჩემთა, რომელმან-ესე სხუს-განცა

არაოდეს თავს-ვიდევ ქებაჲ, არამედ არა საკჳრველ არს, უკუეთუ აქაცა მეგობრებისა და სიყუარულისა მისისა კსენებითა ვახარე თავსა ჩემსა და ვითარცა იგი ჩუენ თანა რაჲ იყო, ხედვითა სათნოებათა მისთაჲთა ვიხარებდი, ეგრეთვე მი-რაჲ-იცვალა ამიერ, ქებითა მისითა და კსენებითა ვიხარებ, არამედ მოვიყვანო სიტყუაჲ ჩემი გზასავე თჳსსა.

23. ვინ იყო ესრეთ მჴცოვან გონებითა უწინარეს მჴეცთასაცა? რამეთუ ესე არს სიბერე სიტყჳსაებრ სოლომონისსა; ანუ ვინ ესრეთ პატიოსან იყო წინაშე ყოველთასა, არა მოჰასაკეთა ოდენ, არამედ ძუელთაცა? ვინ იყო სხუაჲ, რომელსამცა ესრეთ წარემართა საქმჱ სათნოებათაჲ, რომელ არღარა უკმდა სიტყუაჲ, ვითარ-იგი მას? ანუ ვინ იქმნა ესრეთ სავსე სიტყჳთა საქმისაცა თანა, ვითარცა იგი, რამეთუ რომელიმე სახჱ სწავლისაჲ დაუტევა, რომელი არა ისწავა, და უფროჲსად, რომელი არა ისწავა, ვითარცა სხუამან? არავინ! ესრეთ მიიწია ყოველსა, ვითარ-იგი სხუანი ერთსაცა ზედა ვერ მიიწევიან და ესრეთ თითოეული სრულებით მიიღო, ვითარმცა სხუასა არცა ერთსა ებრძოდა, რამეთუ სიმახჳლე გონებისაჲ და მისწრაფებაჲ ერთად შემოკრბეს მის თანა, რომელთა მიერ იქმნების კეთილად სწავლულებაჲ და ესეზომი აქუნდა მისწრაფებაჲ და მოთმინებაჲ, რომელ არცა უკმდა სიმახჳლე გონებისაჲ, და კუალად სიმახჳლე გონებისაჲ ესეზომი აქუნდა, რომელ არღა ეკმარებოდა მოსწრაფებაჲ და ესრეთ შემოკრიბა ორივე ესე ერთად, რომელ უცნაურ იყო, რომელი უმეტესად აქუს მას, ვინმე მიიღო რიტორებისა ძალი ესრეთ, ვითარცა ცეცხლისა ენაჲ, ვითარცა სხუათა რიტორთაჲ, ესრეთ ფუდულ და ზუავ? ანუ ვინ მიიწია ესრეთ ღრამატიკობასა ზედა, გამოთარგმანებად ენისა და სიტყუათა და წერად ჯეროვნად და გამოთქუმად რიცხუეულთა მათ სიტყუათა? ანუ ვინ მოიპოვა ფილოსოფოსობაჲ ესრეთ, ვითარცა მან ჭეშმარიტი იგი და მაღალი, რომელ არს საქმისა კერძსა და გულისკმის-ყოფისასა? ანუ თუ რომელი-იგი არს გამომაჩინებელ სიტყუათაჲ, რომელსა მეტყველებად უწოდენ? რამეთუ უადვილეს იყო ქუაბისა მის ლაბირინთისა განვლაჲ ვიდრეღა ბადეთაგან სიტყუათა მისთაჲსა, სადამცა ჯერ იყო და ინება, ხოლო ვარსკულავთმრაცხველობაჲ და ქუეყანისა

ზომებაჲ და რიცხუთა ცნობაჲ ესეზომი ისწავა, რომელ ოდენ არა იძლეოდა მათ შინა შექცეულთა მათგან, და სხუაჲ იგი ნამეტნავი განაგდო, ვითარცა არად საკმარი მორწმუნეთადა, ხოლო სამკურნალოჲ თჳთ მისმან მან ფრიად უძლურთა ზრუნვამან კეთილად ასწავა და საკმრებით, რომელი-იგი ღმრთისმსახურებისა მისისა იყო, რომლისაგან იწყო და სრულად ისწავა ხელოვნებაჲ იგი სიბრძნით. არამედ რასა ვიტყჳ ამის ყოვლისათჳს, რამეთუ ესე ყოველი სახესა მას თანა წესიერებისა მისისასა არარაჲ არს, რომლისა არარაჲ იპოების სახმ წესიერებისა მისისაჲ ამას სოფელსა შინა.

24. ესრეთ უკუე აღივსო რაჲ ყოვლითავე სწავლულებითა და სიბრძნითა, რაჲზომ-იგი ბუნებასა შინა კაცისასა ეტევის (რამეთუ უზეშთაეს ღადირთა არა წარივლების).

ხოლო მოიწია ჟამი წარსლვისაჲ მიერ და დაწყებისაჲ სრულსა მას ცხორებასა მონაზონებისასა. და რაჲთა ვიწყოთ ქმნად საქმეთა მათ, რომელთათჳს ვისწრაფდით, მაშინ უკუე გარემოგუადგეს თანამოსწავლეთა მათ და მოძღუართა ჩუენთა კრებულნი. და იწყეს ჩუენთჳს ცრემლოვად და იძულებად დადგომად მუნ, და ყოველსა ღონესა საქმეთასა და სიტყუათასა ეძიებდეს დაჭირვად ჩუენდა. ამას ადგილსა ვაბრალო თავსა ჩემსა და ვაბრალო წმიდასა მასცა და შეუხებელსა სულსა, დაღაცათუ კადნიერებაჲ არს საქმე ესე, რამეთუ იგი მოუდრეკელ იქმნა მათდა მიმართ და წარვიდა, ხოლო მე დაშთომილ ვიქმენ ათინას შინა უდებებითა ჩემითა (რაჲთა ვთქუა ჭუშმარიტი) და კუალად ამისთჳსცა, რამეთუ მან დამიტევა, რომელი-ესე არა დაუტევებდი მას, და მიმცა კელთა მათ მაიძულებელთასა. საქმმ, რომელი უწინარეს ქმნისა არა სარწმუნო იყო, და იქმნა ვითარცა გუამისა ერთისა ორად განკუეთაჲ, ანუ ზუარაკთა ერთად აღზრდილთა განყოფაჲ, რომელნი-იგი ფრიად გოდებდიან, გარნა არა თავს-ვიდევ მყოვარ ჟამ დაჭირვებასა მას შინა ყოფაჲ.

არამედ შემდგომად მცირედისა ჟამისა წარმოვედ ათინით მეცა და განვხეთქენ საკრველნი იგი მაიძულებელთანი.

25. ხოლო მო-რაჲ-ვედით ქუეყანად ჩუენდა., მცირედღა დავყავთ სოფელსა შინა ხილვად მეგობართა და თჳსთა, რომელნი მრავლით ჟამითგან არა გუეხილნეს. და ესრეთ უწუერულობისაგან გამოვედით

და განვმწჯსენით და შევედით სიბრძნესა მას ჭეშმარიტსა მონა-ზონებისასა, გარნა ჯორციელად არღარა ზოგად ვიყოფოდეთ, არამედ სულითა ზოგად, რამეთუ იგი კესარია ქალაქმან მიიღო განმანათლებლად მისა და გარემოთა მათ უდაბნოთა შინა, ხოლო მე გასაცდელთამან დამიმჭირა და განმაშორა მისგან არა კეთილად, არცა სამართლად, გარნა განმაშორა და არცა უწყი, თუ არა ამისთჳს იქმნა ჩემ ზედა ყოველი ესე ჭირი და არა წარმართებაჲ მონაზონებისა სიბრძნესა შინა და არცა აღსრულებაჲ სურვილისა მის ჩემისაჲ და აწ ჩუენი ესე საქმჱ იყავნ, ვითარცა ღმერთსა ჰნებავს, ხოლო არსმცა მისითა მეოხებითა კეთილად, გარნა იგი მრავალმოწყალემან და ღმერთისა კაცთმოყუარებამან და ჩუენისა ნათესავისა წყალობამან ბრწყინვალედ გამოაჩინა და მნათობად ეკლესიისა დაადგინა დიდად და დიდებულად, მღდელთმოძღურებისა საყდართა დასუა ჯეროვნად და ერთისა მის კესარია ქალაქისაგან ყოველსა ქუეყანასა აღმოუბრწყინვა ყოველთა განმანათლებელად. ხოლო იხილეთ, თუ ვითარითა სახითა, რამეთუ არა უწესობით მისცა მას პატივი იგი, არცა ერთსა ჟამსა განბანა და მასვე ჟამსა აღამაღლა და განბანილთა წინამძღუარ-ყო, ვითარცა-ესე აწ მრავალნი იქმან, რომელთა-იგი სურის წინამძღურობისათჳს, არამედ წესითა მით და რჩეულითა სულიერითა აღიყვანა იგი პატივსა მას.

26. რამეთუ არა კეთილად მიჩნს მე ჩუენი ესე უწესობაჲ აწინდელი, რომელი იქმნების რომელთამე ზედა წინამძღუართა, რამეთუ არა ვიტყჳ, თუ: ყოველთა ზედა.

ვაქებ წესსა მას მენავეთასა, რომელნი-იგი მენავეთმოძღურად ყოფადსა მას პირველ ნიჩაბსა მისცემენ ჯელად და, რაჟამს მას შინა წარემართოს, მერმე დასუმენ წინასა მას კერძსა ნავისასა, ხედვად ქართა და ჰაერთა და, რაჟამს მყოვარ ჟამ განიცადოს ჰაერი და აღდულებანი იგი ზღუათანი სასტიკებანი ქართანი, მაშინ უკუანა კერძო დასუან და ნავისა მმართებელნი იგი აფქიონნი ჯელთა მისცნიან. და კუალად ეგრეთვე არს ბრძოლათა შინა, რამეთუ პირველ არნ მჯედარ და მერმე იქმნის ასისთავ და კუალად-ათასისთავ, და მერმეღა ერისთვობაჲ მიიღის. ესე არს კეთილი და ჯეროვანი წესიერებაჲ, ხოლო ჩუენი ესე ფრიად უმეტეს ამათ ყოველთასა ღირს

იყო ესრეთ ქმნად, არამედ აწ უწესობით არს ჩუენ შორის დასი ესე ყოველთა უპატიოსნესი და იქმნების ყოველთა უსაკიცხლეს, რამეთუ არა სათნოებისაგან, არამედ მანქანებისა მიერ მივსცემთ მღდელობასა, არცა ღირსთანი, არამედ ძლიერთანი არიან საყდარნი. და მკურნალად ანუ მხატვრად არავინ უწესს კაცსა, რომელსა არა ესწავლოს ცნობაჲ ბუნებათაჲ, ანუ შეზავებაჲ წამალთაჲ. ხოლო მღდელთმოძღუარი და წინამძღუარი, რომელი-იგი ყოველთავე უდიდესი და უძნელესი არს, ესე ჩუენ მიერ ფრიად და უხუად იპოების, რომელსა არარაჲ ეშრომის, არამედ უშრომელად მიიღის პატივი იგი. ერთსა ჟამსა დაეთესის და აღმოეცენის, რომელნი-ესე ყოველთა დღეთა წმიდათა შევიქმთ თავით თჳსით და არა ღმრთისა მიერ და ბრძენვჰყოფთ არაბრძენთა მათ, რომელთა არარაჲ აქუნ ღირსი პატივისაჲ მის, გარნა ოდენ გულისთქუმაჲ მისი, და მრავალგზის სიმაღლისა ღირსი ქუე მდაბლად მდგომარე არნ, რომელსა ფრიად ეწუართნიან იგი საღმრთონი და ფრიად დაემორჩილნიან ჯორცნი სულისადა, ხოლო უღირსი იგი ზუაობით ზინ საყდართა ზედა და აღიმაღლებნ წარბთა და არა ძრწინ საყდრისა მისგან, არცა ჰრცხუენინ ღირსთა მათ ქუემდგომარებისაგან, არამედ ჰგონებნცა თავსა თჳსსა უბრძნეს მათსა, რამეთუ ჴელმწიფებისაგან ცნობაჲ მისი მიღებულ არნ.

27. გარნა არა ესრეთ იქმნა დიდი იგი და დიდებული ბასილი, არამედ ვითარცა სხუასა ყოველსავე ზედა სახე და წეს კეთილისა ექმნა ყოველთა, ეგრევე ამის საქმისა წესიერებასა ზედა, რამეთუ პირველ საღმრთოთა წიგნთა ოდენ უკითხვიდა ერსა გამომთარგმანებელი იგი მათი და არა უღირს-იჩინა პატივი იგი, და მერმე აღკდა კიბესა დიაკონობისასა, და მერმე საყდარსა ზედა ხუცობისასა და ესრეთლა საყდარსა ზედა ეპისკოპოსობისასა, აქებდა უფალსა, რომელმან არა მიიხუეჭა პატივი იგი, არცა მოიტაცა, არცა სდევდა პატივსა, არამედ პატივისა მის მიერ დევნულ იქმნა. გარნა წინამძღურობისა იგი საქმე მცირედ მელოდენ და პირველი ვთქუა მცირედღა.

28. რამეთუ იქმნა მცირედ რაჲმე სახს შურისაჲ მღდელთმოძღურისა მის მიერ, რომელი იყო პირველ მისა, მისდა მიმართ, ხედვიდა რაჲ პატივსა მას, რომელსა მოატყუებდა ყოველთა მიერ სათნოებაჲ იგი მისი, ხოლო იყო კაცი იგი კეთილ ფრიად ყოველსა ზედა,

ვითარცა გამოაჩინა ჟამმან მან დევნულებისამან და მისმან სიმკნემან, გარნა ბიწი დიდთაცა შეეხების, რამეთუ უცთომელობაჲ სრულიად მხოლოჲსა ღმრთისაჲ არს.

29. მაშინ უკუე ესე რაჲ ცნა ნეტარმან მან და მოწაფემან მშჳდობისამან, არა ჯერ-იჩინა მოწყლვაჲ გონებისა მისისაჲ, არამედ ჩუენცა განგუაზრახა, და ჩემ თანა წარმოვიდა პონტოდ და მუნ მყოფნი იგი მონასტერნი განანათლნა, და უდაბნოჲ დაიმკჳდრა მსგავსად ელიაჲსა და იოვანესა, ნეტართა მათ. რამეთუ ესრეთ არარაჲ თავს-იდვა ქმნად, რომელიმცა მისისა მის სიბრძნისა უღირს იყო. ხოლო რაჟამს-იგი წარსლვაჲ მისი ესრეთ საკჳრველი და კეთილი იყო, იხილეთ, თუ ვითარ მოქცევაჲ იგი უსაკჳრველეს იქმნა და უკეთეს, რამეთუ ესრეთ იყო მოქცევაჲ მისი კესარიადვე.

30. რაჟამს-იგი ესრეთ ვიყოფოდეთ, მეყსა შინა მოიწია ღრუბელი სეტყჳთა სავსჱ და ნიავქარი ბოროტი, დამაქცეველი ეკლესიათაჲ, რომელთა ზედა მიიწია. ესე იგი არს მეფჱ იგი ოქროჲსმოყუარე და ქრისტესმოძულე უალი (იულიანე განდგომილი - რედ.), ორითა სენითა შეპყრობილი: უძღებობითა და გმობითა, შემდგომად მდევრისა მდევარი და შემდგომად განდგომილისა განდგომილივე. დაღაცათუ არა კერპთმსახური იყო, არამედ არარაჲვე იყო სარგებელი ქრისტეანობასა შინა მისსა, არამედ მბრძოლი იყო ქრისტეანეთა, თაყუანისმცემელთა ერთარსებისა სამებისათა, რომელსაცა ოდენ ვქადაგებ მე მართლმორწმუნეობად. რამეთუ არა ვართ ღმრთისმოფარდულნი, არცა ერთსა მას თუალთშეუდგამსა ბუნებასა განვჰყოფთ თავისა თჳსისაგან და უცხო-ვჰყოფთ, არცა ბოროტითა ბოროტსა ვჰკურნებთ, რაჲთამცა ულმრთოჲსა მის საბელიოსის შერწყმასა უძჳრესითა განყოფითა დავჰკსნიდით, რომელი-იგი მოიპოვა არიოზ უკეთურმან, ალექსანდრიით გამოჩინებულმან, რომელმან უმრავლესი იგი ნაწილი ეკლესიისაჲ განხრწნა და დააქცია, რომელმან-იგი მამასაცა არავე პატივ-სცა და მისგან შობილი იგი ძჱ და გამოსრული სული წმიდაჲ შეურაცხ-ყო, არამედ ჩუენ ერთი დიდებაჲ ვიცით მამისაჲ-სწორებაჲ იგი ძისაჲ და ერთი პატივი ძისაჲ — სწორებაჲ იგი სულისა წმიდისაჲ. რომელიცა ამათ სამთაგანი დავამდაბლოთ? ესრეთ შეგჳრაცხიეს, თუ სამნივე დაგვჳმდაბლებიან, რომელნი-იგი თჳთებითა სამად და ბუნებითა ერ-

თად უწყით და აღვიარებთ, არამედ ამის ყოვლისაგან არარაჲ გულისკმა-ყო მან და ვერცა ზეაღხილვად ძალ-ედვა, არამედ მტყუვართა მათ წინამძღუართა მისთა მიერ დამდაბლებულ იყო და იკადრა თავისა თჳსისა თანა დამდაბლებად ბუნებისა მის ღმრთეებისა და იქმნა ჭურჭელ უკეთურ, რომელი მონებად მოიყვანებდა მეუფებასა და დაბადებულთა თანა დააწესა მან დაუბადებელი იგი და უზეშთაესი ჟამთა ბუნებაჲ.

31. ესრეთ უკუე ესევითარითა ზრახვითა და მკედრობითა მოიწია ჩუენ ზედა და ესევითარითა ურჩულოებითა, რამეთუ ესე არს ზედა-მოსლვაჲ ბარბაროზებრი, არა ზღუდეთა ქვისათა დამარღუეველნი, რომელნი-იგი კელით ქმნულ არიან და კუალად აღეშჱნებიან, არამედ სულთა დამაქცეველი უკუდავთაჲ, ხოლო იყვნეს მის თანა მკედრობანი, მწარენი იგი მთავარნი სოფლისანი და ეპისკოპოსნი იგი უკეთურნი, რომელნი ისწრაფდეს დაპყრობად ეკლესიათა, რომელნი ჯერეთ არა აქუნდეს და მინდობილ იყვნეს ძალსა მას მეფისასა და ესრეთ კესარიისა ეკლესიადცა მოიწინეს. და არა ეშინოდა მათ სიტყუათაგან მაშინდლისა მის მთავარეპისკოპოსისათა, არამედ მინდობილ იყვნეს ძლევად მისა. და ბრძოლაჲ იგი დიდი იყო და მოსწრაფებაჲ იგი მბრძოლთაჲ არა მცირჱ, ხოლო მწყობრი ჩუენისა კერძისაჲ — უძლურ, რამეთუ არა აქუნდა ხელოვანი წინამბრძოლი ძალთა სიტყჳსა სულისაჲ-თა. მაშინ უკუე დიდმან მან და წმიდამან და ჭეშმარიტად ქრისტეს-მოყუარემან სულმან არა იკმარნა მრავალნი სიტყუანი მისლვად და შეწევნად. არამედ მიხილა რაჲ მე, რომელ ვევედრებოდე: (რამეთუ ღუაწლი იგი ორთაჲვე ზოგად იყო), და მეყსეულად დამმორჩილდა და გულისკმა-ყო კეთილად ძალითა სულისა წმიდისაჲთა, რომლითა-იგი საკსე იყო.

ვითარმედ სხუაჲა ჟამი სულგრძელებისაჲ და სხუაჲ არს ჟამი მოსწრაფებისაჲ და მეყსეულად ზოგად წარმოვედით პონტოჲთ. და აღივსო იგი შურითა საღმრთოჲთა, იხილა რაჲ, რამეთუ ჭეშმარიტე-ბაჲ წარწყმდებოდა, და იქმნა თანამბრძოლ და დიდად შემწედ მისცა თავი თჳსი დედასა მას ყოველთასა ეკლესიასა.

32. არამედ იხილეთ, ნუუკუე ინება ესრეთ, ხოლო იღუაწა ნებისა მისისა უდარესადა? ანუ იღუაწა ახოვნად, გარნა არა მეცნიერებითა,

ანუ სიბრძნით და უჭირველადა? ანუ ყოველი ესე სრულებით ქმნა, ხოლო თავსა შორის თჳსსა დაუტევაა ნაწილი რაიმე სულმოკლებისაჲ; ნუ იყოფინ! არამედ ერთბამად ქმნა ყოველივე სრულები, დაეგო, განაზრახა, შეიჭურა კეთილად ბრძოლისა მის მიმართ და დაჰკსნა ყოველივე ძალი მბრძოლთაჲ მათ, რომელნიმე მოაქცინა, რომელნიმე შეიტკბნა და რომელნიმე იოტნა. ექმნა ერთსა მას კერძსა ზღუდე მტკიცე და გოდოლ შეურყეველ, ხოლო მეორესა მას წერაქუ მკოდელ და შემმუსრველ კლდეთა და ცეცხლ ეკლოვანსა შინა, ვითარცა წერილი იტყჳს და ძლიერად შეწუნა და უჩინო ყვნა ეკლოვანი იგი სულნი და მაგინებელნი ღმრთეებისანი. უკუეთუ კულა ბარნაბაცა, რომელი-ესე იტყვის და წერს, იღუაწა პავლეს თანა, პავლესი არს მადლი იგი, რომელმან გამოირჩია იგი და ყო თანაშემწე ღუაწლისა მის.

33. მაშინ უკუე ბოროტნი იგი ესრეთ წარვიდეს, ბოროტნი ბოროტად ესრეთ ძლეულნი და სირცხჳლეულნი და ცნეს, ვითარმედ არა ჯერ-არს ესრეთ კაპადუკიელთა უგულებელს-ყოფაჲ, რომელთა სიმტკიცე არს მართლმორწმუნეობაჲ, და უფროჲსად, რაჟამს ბასილი იყოს შემწედ მათდა. მერმე უკუე ინება, რაჲთამცა სრულიად დაჰკსნა იჭუეულებაჲ იგი, რომელი აქუნდა მისა მიმართ მთავარებისკოპოსსა და რაჲთა ცნან ყოველთა, თუ ვითარ უყუარს იგი ყოვლითა გულითა, ამისთჳს განაზრახებდა მას ყოველსა კეთილსა, ჰმორჩილობდა, განუსუენებდა ყოველსა ზედა გამომთარგმანებელი იყო საღმრთოთა წერილთაჲ, კუერთხი იყო სიბერისა მისისაჲ, სიმტკიცჱ სარწმუნოებისაჲ. ესრეთ წინამძღუარ იყო იგი ეკლესიისა, დაღაცათუ საყდარსა მღდელთმოძღურებისასა ჯერეთ არა დაჯდომილ იყო და იყო საკჳრველ შეერთებაჲ მათი, რამეთუ მღდელთმოძღუარი იგი ერისა იგი წინამძღუარ და იგი — მღდელთმოძღურისა, რამეთუ საყდარსა მღდელთმოძღურობისასა დაჯდომად არა თავს-იდებდა, რომელსა-იგი არარა დიდებაჲ ყოვლადვე უყუარდა, არამედ სიმრავლესა მას ღმრთისმბრძოლთასა ხედვიდა და ამისთჳს შეეწეოდა მას ყოველსა ზედა საქმესა კეთილსა და ყოველსაცე წინამძღურობისა საქმესა იგი აღასრულებდა თჳნიერ საყდარსა დაჯდომისა და ოდენ

სახელი არა აქუნდა მღდელთმოძღურებისაჲ, თუ არა საქმესა ყოველსავე იგი იქმოდა.

34. ხოლო ეკლესიისა კეთილად განგებულებისა მისისათჳს მრავალნი არიან სასწაულნი. კადნიერებანი წინაშე მეფეთა და მთავართა კეთილად მორწმუნეობისათჳს, მოწყალებანი და გამოზრდანი სულთა მათ მშიერთანი და ჰორცთაცა, რამეთუ ესეცა დიდად სულიერ არს, გლახაკთმოყუარებანი, უცხოთა შეწყნარებანი, ქალწულთა შეკრებანი მონებად სიძისა მის უკუდავისა, რჩულის-დებანი მონაზონთანი, დაწერილნი და უწერლადცა თქუმულნი მის მიერ, აღშენებანი მონასტერთანი, განგებულებანი ლოცვათანი, შემკობანი საკურთხეველთანი, რამეთუ ყოველივე ესე მან ქმნა. მან დაგჳსხნა შუენიერნი ესე წესნი ეკლესიისანი და განგებულებანი ესე საუფლოთა მათ დღესასწაულთანი და წესიერებანი ესე მღდელთა და დიაკონთა და მოწესეთანი და სხუანი ყოველნივე კეთილნი იგი მისნი, რომელთა მიერ ჭუშმარიტმან ღმრთისა კაცმან მან, ღმრთისა თანა შეერთებულმან განანათლა სოფელი, განანათლნა კაცნი, განანათლნა ეკლესიანი, მოიმადლა ღმერთი, აცხოვნნა წარწყმედულნი, განანათლნა დაბნელებულნი, აღადგინნა დაცემულნი, განამტკიცნა დაცემადნი, განაძღნა მშიერნი, ვითარცა იგი მაშინ იქმნა რაჲ სიყმილი დიდი და სასტიკი, წარწყმდებოდა ქალაქი იგი და შეწევნაჲ არსადაჲთ იყო. რამეთუ სადა-იგი ზღუაჲ მახლობელ არს, მუნ იპოების ნუგეშინისცემაჲ რაჲმე მიცემითა და მოღებითა ნავთაგან, ხოლო სადა ზღუაჲ არა იპოების, მუნ ყოველივე ძნელოვან არს. და უბოროტეს ესე არს, რამეთუ მდიდარნი უწყალო არიან და უძღებ და ჰხედვენ ჟამთა სიყმილისათა, და მაშინღა იწყებენ ვაჭრობად და ივაჭრებენ განსაცდელთა მათგან გლახაკთაჲსა და სარგებელად აქუს იგი. არცა უფალსა ავასხებენ წყალობითა გლახაკთაჲთა, არცა ეშინის საშჯელისა მისგან უწყალოთაჲსა, არამედ არიან უძღებ და დაუკშვენ სხუათათჳს თჳსსა წყალობასა და თავთა თჳსთა ღმრთისასა. რომელი მათ უმეტესად ეკმარების, ვიდრეღა მათი სხუათა, არცა ბუნებაჲ იგი კაცობრივი ეწყალის, არცა ღმერთსა ჰმადლობენ, რომლისა მიერ მოცემულ არს მათდა სიმდიდრე.

35. ხოლო მან ნეტარმან პური არა უწყმა ზეცით, არცა დაუ-

ლევნელ-ყო მცირედი ფქვილი, არცა ხუთითა პურითა განაძღნა ათასეულნი — საქმენი ესე, რომელ ქმნნეს მოსე და ელია და ჩემმან ღმერთმან რომელმან მათცა მისცა ძალი ესე, ხოლო არა თუ ამას ვერ ძალ-ედვა ამის საქმისა ძალითა ღმრთისაჲთა ქმნად, უკუეთუმცა ჯერ-იყო? არამედ ესე საქმენი მათ ჟამთანი იყვნეს, რამეთუ სასწაულნი ურწმუნოთათჳს არიან და არა მორწმუნეთა. არამედ ამან დიდმან და საკჳრველმან საქმენი ქმნნა, რომელნი მორწმუნეთა უკმდეს. რამეთუ ძალითა სიტყუათა მისთაჲთა მდიდართა საუნჯენი აღახუნა და სწავლითა თჳსითა განაძღნა სულნი კუებულნი და სულნი მშიერთანი აღავსნა კეთილითა და მერმე შემოკრიბნა სიმრავლენი გლახაკთანი, რომელნი-იგი კნინღადა სიყმილითა მით მომკუდარნი, და შემოკრიბა ყოველივე ჭამადი, სიყმილისა უჩინომყოფელი, და შორის წარმოდგა ქუაბები დიდ-დიდები, სავსე ცერცჳთა, შეზავებული ცმელითა, რომელი-იგი შიმშილსა ფრიად კეთილ არს, და ესრეთ მიემსგავსა მსახურებასა მას ქრისტესსა, რომელმან-იგი არდაგი მოიდვა და არა უღირს-იჩინა ფერკთა მოწაფეთასა ბანად, ეგრევე ესე თჳთ დადგა და ყოველნი მსახურნი მისნი შემოკრიბნა და ჰმსახურებდა გლახაკთა.

36. ესევითარი არს ჩუენი ესე გამომზრდელი და ახალი იოსებ და იოსებისსა ფრიად უმაღლესი, რამეთუ მან ჟამი იგი უხუებისაჲ მკურნალად სიყმილისა ჟამთა ყო სხჳსა სიზმართა მიერ განგებითა, ხოლო ესე ჟამსა მას სიყმილისასა განაძღებდა მშიერთა და ერთისა მიმართ მოსწრაფე იყო, რაჲთა კაცთმოყუარებითა კაცთმოყუარებაჲ მოიგოს და საუკუნენი იგი კეთილნი დაიმკჳდრნეს, ხოლო ამას იქმოდა სულიერისა მის საზრდელისა თანა, რამეთუ არა ჰორცთა ოდენ განაძღებდა და სულთა უგულებელს-ყოფდა. არამედ უფროჲსად იგი იყო მისწრაფებაჲ მისი და მისცემდა ყოველთა საზრდელსა მას მაღალსა და ზეცისასა ჭეშმარიტად, რამეთუ პური ანგელოზთაჲ არს სიტყუაჲ, რომლისა მიერ გამოიზარდებიან სულნი ღმრთისაგან მომყმარნი და უცხოქმნულნი, რომელი-იგი მან ქმნა და განმყოფელ იყო, არა განხრწნადისა მის საზრდელისა ოდენ, არამედ მტკიცისა მისცა და წარუვალისა, რომელი-იგი მას მდიდრად აქუნდა და განჰკურნებდა არა პურისა ოდენ ხილულისა შიმშილსა და წყლისა წყურილსა, არამედ სიტყჳსა საღმრთოჲსა და ჭეშმარიტად ცხ-

ოველისა, რომელი მიიყვანებს ჰასაკად სულიერად გამოზრდილსა მას.

37. ხოლო ამას ყოველსა ზედა (რამეთუ ვის ძალ-უც ყოველთა მისთა კეთილთა თქუმად) ვინაჲთგან ენაჲ მოუძლურდების, არამედ ესე ოდენ ვთქუა, ვითარმედ მას ჟამსა შინა ევსევი, მთავარეპისკოპოსი იგი კესარიისაჲ აღესრულა ჴელთა შინა დიდისა ბასილისთა და ესრეთ იგი მაღალსა მას მღდელთმოძღურებისა საყდარსა აღყვანებულ იქმნა იძულებით და არა ნეფსით, არცა უშურველად, რამეთუ ფრიადი შური იყო კაცთა მათ შორის უკეთურთა, რომელნი ისწრაფდეს საყდრისა მის მიტაცებასა, გარნა ჯერ-იყო, რაჲთამცა სულმან წმიდამან სძლია და სძლიაცა დიდად და დიდებულად, რამეთუ აღძრნა ყოვლით კერძო დასამტკიცებელად კაცნი ჭუშმარიტისა მოყუარენი და მოშურნენი საღმრთოდ, რომელთა თანა იყო ახალიცა იგი აბრაჰამ და მღდელთმოძღუარი. ჩემსა მას მამასა ვიტყჳ, რომელსა ზედა იქმნა მაშინ საკჳრველებაჲ და არა სიმრავლისაგან ოდენ ხელთაჲსა მოუძლურებულ იყო, არამედ სნეულებითაცა მძიმითა შეპყრობილ იყო და სიკუდილსა მიახლებულ, არამედ შეჰკადრა გზად გამოსლვად, რაჲთა შეეწიოს დამტკიცებასა მისსა და მიენდო სულსა წმიდასა და, ვითარცა მკუდარი, დაიდვა სარეცელსა ზედა, ვითარცა სამარესა, ხოლო მოიქცა განძლიერებული მრთელი, რამეთუ განმრთელებულ იყო ცხებითა მით და ჴელის-დადებითა და უფროჲსად შეხებითა თავსა მას მისსა წმიდასა. ესრეთ აღესრულა სიტყუაჲ იგი, რომელსა იტყჳან, ვითარმედ: გულსმოდგინებაჲ სიმრთელესა მისცემს და სურვილი მკუდართა აღადგინებს.

38. ხოლო იგი ესრეთ ღირს იქმნა მღდელთმოძღურებასა ესევითართა კაცთა წამებითა და ესრეთ დიდებულად, არამედ რასა იტყჳთ, ნუუკუე შემდგომად ამის ყოვლისა სირცხჳლეულ-ყოა სიბრძნჱ თჳსი, ანუ სასოებაჲ იგი მათი, რომელნი ეწამნეს და ისწრაფეს მისთჳს? ნუ იყოფინ! არამედ ესრეთ გამოაჩინა ბრწყინვალებაჲ სათნოებათა თჳსთაჲ, ვითარ-იგი ჭუშმარიტად მას შუენოდა, რამეთუ მას ესრეთ შეერაცხა, ვითარმედ სხუათა მათ კაცთა სათნოებაჲ არს, რაჟამს ბოროტ არა იყვნენ, ანუ მცირედი რაჲმე კეთილი აქუნდეს. ხოლო წინამძღურისა და უფროჲსად ესევითარსა საყდარსა ზედა მჯდომარ-

ისაჲ ბოროტება არს, უკუეთუ არა ფრიად უმეტეს იყოს სხუათაჲსა და მარადის უმჯობესისა მიმართ წარმატებულ და არა უფროჲსად მცირედ რაჲმე ვთქუა მისთჳს სიბრძნისმეტყუელებით კეთილად და სრულადრე, ვითარმედ, ვითარცა მაცხოვრისათჳს მე ვხედავ, გულისკმა-ვჰყოფ და ესრეთ ვჰგონებ, ვითარმედ ყოველივე კაცი ბრძენი და მეცნიერი ესრეთვე გულისკმა-ჰყოფდეს, რაჟამს იგი ჩუენდა მომართ გარდამოჴდა, შეიმოსა ჩუენთჳს ხატი ჩუენი და ბუნებაჲ ეგრეთვე ამის ნეტარისათჳს ვიტყჳ მე, ვითარმედ, ვითარცა-იგი მისთჳს იტყჳს მახარებელი, ვითარმედ წარემატებოდა ვითარცა ჰასაკითა, ეგრეთვე სიბრძნითა და მადლითა, არა თუ რამეთუ სიბრძნე და მადლი არა აქუნდა და მოეცემოდა და აღორძნდებოდა მის შორის, რამეთუ პირველითგან სრულისა მის უსრულეს რაჲმცა იქმნა? არამედ მცირედ-მცირედ გამოჩნდებოდა ბუნებითი იგი სიბრძნჱ და მადლი მისი და განცხადნებოდა, რაჲთა იხილოს სხუათა მიერ, ეგრეთვე ამის ნეტარისა სათნოებამან, არა თუ მღდელთმოძღურებისა მისგან შემატებაჲ რაჲმე მოიღო, რამეთუ იგი პირველ მისაცა ძალითა ღმრთისაჲთა, არამედ მაშინ იწყო სათნოებამან მან, რომელ იყო ის შორის, გამოცხადებად, პოვა რაჲ ნივთი უმეტესი — წინამძღურებაჲ იგი.

39. პირველ უკუე ესე უჩუენა ყოველთავე, ვითარმედ არა კაცობრივ იყო, არცა კაცთათჳს ქმნილი, არამედ ყოველი საქმე მისი ღმრთისათჳს იყო და ჭეშმარიტებისათჳს. ხოლო მე მაშინ, რომლისათჳს მრავალნი ჰგონებდეს, ვითარმედ მეყსა შინა მივიწიო მისდა და თანაზიარ წინამძღურობისა მისისა ვიქმნე, ვინაჲთგან შურისათჳს მრავალთაჲსა და ბოროტთა მათთჳს, რომელნი მისთჳს სიტყუასა ეძიებდეს. ამისთჳს არა მივედ მისა, არამედ აღურ-ვასხენ სურვილსა ჩემსა და შინა დავადგერ, ხოლო შემდგომად ამისა მივედ მისა, ხოლო მან დაღაცათუ მაბრალა, არამედ კუალად შემინდო, რამეთუ უწყოდა მან, თუ რაჲსათჳს ვქმენ იგი და პატივი ხუცესთაჲ და დაჯდომაჲ მათ თანა არა ვინებე ამისვე მიზეზისათჳს და არცა მაბრალა, არამედ უფროჲსად მაქო, და ესრეთ ყოველი საქმე მისი საღმრთო იყო და კეთილისათჳს.

40. მერმე უკუე განდგომილნი იგი შემოკრიბნა სიტყჳთა კურნებისაჲთა ძლიერითა, რამეთუ არა უძლურებით ქმნა ყოველივე, არამედ

ახოვნებით და ვითარცა მას შუენოდა, იხილა, რამეთუ ფრიად ლმობილობაჲ დამკსნელ არს და ფიცხელობაჲ — განმაფიცხებელ. ამისთჳს ორივე ესე შეზავა: სიმშჳდითა სიფიცხლე და სიმტკიცითა სილბილე იგი უზომოჲ, და მცირედ იკმარა სიტყჳთ კურნებაჲ, არამედ უფროჲსი საქმით ქმნა კურნებაჲ სულთა მათ წარწყმედულთაჲ მრავალთა და ურიცხუთა, რომელთაგანი ერთი ვთქუა, დაღაცათუ სხუათა მიერცა თქუმულ არს, არამედ ჩემდაცა საწადელ არს მისთა საქმეთა კსენებაჲ, რომელნი მან ქმნნა დიდებულად და დიდად.

40 (ა). რამეთუ ჭაბუკი ვინმე ქალწულისა ერთისა მიმართ აღეგზნა ტრფიალებითა საეშმაკოჲთა და საქმისა მის ქმნად ვერ კელეწიფებოდა, მაშინ წარვიდა ერთისა გრძნეულთაგანისა მიმართ და ევედრებოდა, რაჲთა უქმნას მას საქმჱ იგი. ხოლო მან ჰრქუა, ვითარმედ: „მე ვერ ძალ-მიც თავით ჩემით რაჲსამე ქმნად, გარნა წარგავლინო, გნებავს თუ, ჩემისა მის სასოჲსა ეშმაკისა მიმართ და მან ყოს ნებაჲ შენი, უკუეთუ შენ ჰყო მისი ნებაჲ“. ხოლო იგი დაბნელებულ იყო ვნებისა მისგან და აღუთქუმიდა ყოფად, რაჲცა ჰრქუას. ჰრქუა მას ბოროტმან მან: „იჯმნაა (განეშორები - რედ.) კელისწერილით ქრისტესგან?“ მაშინ აღმოუტევა მან საწყალობელი იგი კმაჲ და თქუა: „ჰე, ვიჯმნა“. ხოლო შვილმან მან ეშმაკისამან დაუწერა წიგნი ეშმაკისა მიმართ, ვითარმედ: „ვინაჲთგან მარადის ვისწრაფი ქრისტეანეთა კრებულისაგან მოტაცებად და შენდა მოყვანებად, ამისთჳს, აჰა, ესერა, მომივლენია, რომელსა ესე აქუს წიგნი ჩემი. რაჲთა შთაუთესო ტრფიალებაჲ ქალსა ვისმე მისა მიმართ და გევედრები, ქმენ საქმე ესე, რაჲთა მეცა გულისმოდგინებით შემოვჰკრებდე მსახურთა შენთა“. და მისცა წარწყმედულსა მას ქარტაჲ იგი და ჰრქუა: „წარვედ მას რომელსამე ჟამსა ღამისასა, და მივედ საფლავსა საწარმართოსა, და აღამაღლე ქარტაჲ ესე და მოვიდენ წარმყვანებელნი შენნი ეშმაკისა“.

ხოლო მან ქმნა საქმენი ესე და მიყვანებულ იქმნა წინაშე ეშმაკისა, რომელიცა იხილა, ვითარცა საყდართა ზედა მჯდომარე, და გარემო მისა სულნი უკეთურნი. და მისცა მას წიგნი იგი გრძნეულისაჲ მის, ხოლო მან ჰკითხა, თუ შეეწყნარებისა მას და იჯმნის ქრისტესგან? და მან აღუთქუა ესრეთ ქმნად. კუალად მან

ჰრქუა, ვითარმედ: „მზაკუვარნი ხართ თქუენ, ქრისტეანენი, და რა-ჟამს რაჲმე გიკმდე მე, მოხუალთ ჩემდა. ხოლო აღასრულოთ რაჲ გულისთქუმაჲ თქუენი, კუალად უარ-მყოფთ და მიხუალთ ქრისტესა და იგი არს სახიერი და კაცთმოყუარე და შეგიწყნარებს თქუენ. არამედ დამიწერე მე კელითწერილი — ქრისტესგან და ნათლის-ღებისა შენისაგან ნეფსით ჯმნაჲ და უკუნისამდე ჩემ თანა ყოფაჲ და რაჲთა საუკუნეთა მათ სატანჯველთა, რომელნი ჩემთჳს განმზადე-ბულ არიან დღესა მას საშჯელისასა, ჩემ თანა დაემკვიდრო და მე აწ ვყო ნებაჲ შენი“.

ხოლო მან დაუწერა ყოველივე, რაჲცა ჰრქუა მას, მაშინ ვეშაპმან მან წარწყმედისამან წარავლინნა სულნი ბოროტნი და აღაგზნეს ქალი იგი ტრფიალებითა ჭაბუკისა მის მართ და იწყო ღაღადებად და დავრდომად ქუეყანასა ზედა და ეტყოდა მამასა თჳსსა, რაჲთა შეჰრთოს იგი ჭაბუკსა მას, თუ არა, მოვიშთო მე თავი ჩემიო. ხოლო მამაჲ მისი შეწუხებულ იქმნა ფრიად, რამეთუ ქალწულებით ენება მისი დაცვაჲ, გარნა იხილა რაჲ იგი საქმესა მას შინა, ყო ნებაჲ მისი და შეჰრთო ჭაბუკი იგი. ხოლო შემდგომად ჟამისა რავდენისამე ცნეს ვიეთმე, ვითარ არა მიეახლებოდა ეკლესიას და მიუთხრეს ქალსა მას, ვითარმედ: „უწყებულ იყავ, რომელ ქმარი შენი არა ქრისტეანე არს“. ესე რაჲ ცნა მან, იწყო გოდებად, ვითარ იგი ურჩ ექმნა მამასა ტრფიალმან მისმან და მოვიდა მისა და დაუმტკიცებდა არა ესრეთ თჳსსა და ქმნა ბოროტი იგი. ხოლო ცნა ესე შეცთომილ-მან მან ყოფად, ვითარ ასმიეს. ხოლო მან ჰრქუა მას: „უკუეთუ გნებავს სულისა ჩემისა გულსავსე-ყოფად, ხვალე ზოგად ეკლესიას მივიდეთ და წინაშე ჩემსა მიიღე ქრისტეს საიდუმლოჲ“. მაშინ უნდა, თუ არა, მიუთხრა მას საქმჱ იგი ყოველივე, ხოლო მას ესმა რაჲ, დაუტევა უძლურებაჲ იგი დედათა ბუნებისაჲ და მივიდა მკურნალ-ისა მის მიმართ კეთილისა და მიუთხრა მას ცრემლით ყოველივე იგი საქმე. ხოლო მან მოუწოდა ჭაბუკსა მას და ისწავლა მისგან ყოვე-ლივე და ჰკითხა მას, ვითარმედ: „გნებავსა მოქცევაჲ ღმრთისაე?“ ხოლო მან ჰრქუა: „ჰე, წმიდაო ღმრთისაო, მნებავს, გარნა ვერ ძალ-მიც, რამეთუ კელითწერილი დამიწერია — ჯმნაჲ ქრისტესგან და ყოფაჲ ეშმაკსა თანა“. ხოლო ნეტარმან მან ჰრქუა მას: „ნუ იურვი

მაგისთჳს, რამეთუ ქრისტე სახიერი არს და შეგიწყნაროს, შენ ოდენ გრწმენინ მისი". და ესრეთ შეაყენა იგი სახლსა ერთსა და სამ დღე ილოცა მისთჳს, და მივიდა მისა და ჰკითხა, თუ ვითარ არს. ხოლო იგი ეტყოდა, ვითარმედ: „ვერ თავს-ვიდებ, უფალო, ბრძოლათა მათთა, რამეთუ მოვლენ და მაჭირვებენ და იტყჳან, ვითარმედ: არა შენ ნეფსით მოხუედა ჩუენდა და დაგჳწერე კელი ესე?" ხოლო დიდმან მან ბასილი ჰრქუა მას „ნუ გეშინინ, შვილო, არამედ მოითმინე" და კუალად შემდგომად დღეთა მცირედთა მივიდა მისა და ჰკითხა მას და მან ჰრქუა, ვითარმედ: „შორით მოვლენ და მერჩიან მე". ხოლო კუალად შემდგომად ორმეოცისა დღისა მივიდა მისდა და ჰრქუა: „ვითარ ხარ, შვილო?" ხოლო მან ჰრქუა, ვითარმედ: „გიხილე შენ, მამაო, რამეთუ ებრძოლე ჩემთჳს ეშმაკსა და სძლე მას, და აწ კეთილად ვარ". ხოლო მას ღამესა წარიყვანა იგი სენაკად თჳსად და ილოცა მისთჳს, და შემდგომად ცისკრისა ლოცვისა ჰრქუა ერსა, ვითარმედ: „დღეს, ძმანო, ჯერ-არს ლოცვაჲ უმეტესი, რამეთუ ეგულების მწყემსსა მას კეთილსა ცხოვრისა წარწყმედულისა აღებად მკართა ზედა თჳსთა". ხოლო ჰყვა რაჲ კელთა მისთა ჭაბუკი იგი, ურცხკნო იქმნა ეშმაკი და მოიწია, რაჲთამცა გამოუღო მას იგი ვიდრეცა თჳთ მასცა უჭენა, ხოლო იგი მიექცა და შეჰრისხნა მას და ჰრქუა: „არა დასცხრეა, უკეთურო, ბოროტებისა მაგისან, რამეთუ დაბადებულთა ღმრთისა ჩემისათა წარიტაცებ და არა კმა-გეყოფის შენი წარწყმედაჲ, არამედ გნებავს ამათიცა შენ თანა წარყვანებაჲ?" ხოლო იგი კმობდა, ვითარმედ: „მავნებ მე უსამართლოებით, ჰოჲ ბასილი, არა თუ მე ვაიძულე ეგე, არამედ ეგე ნეფსით მოვიდა ჩემდა და, აჰა, ესერა, მაქუს კელითწერილი მაგისი და ესე უჩუენო წინაშე საშჯელსა ქრისტესსა". ხოლო ნეტარმან მან თქუა: „კურთხეულ არს უფალი, არა დაიმდაბლნეს ერმან ამან კელნი, ვიდრე არა მომცე კელითწერილი იგი". და ჰრქუა ერსა: „აღიპყრენით კელნი თქუენნი და იტყოდეთ „კჳრიე ელეისონსა". და აღიპყრნეს მათ კელნი და, აჰა, ვიდრეცა ყოველნი ვხედევდით, მოვიდოდა ქარტაჲ იგი ჰაირთაჲთ და მოვიდა კელად ბასილისა. ხოლო მან უჩუენა იგი ჭაბუკსა მას და ესრეთ წინაშე ყოველთა განხეთქა კელითწერილი იგი მონებისა მისისაჲ. მაშინ უკუე იხილეს ერთა დიდებულებაჲ ღმრთისაჲ და თაყუა-

ნისცეს მას ყოველთა. ესრეთ იძლინეს ყოველნი წინააღმდგომნი იგი სათნოებითა მისითა და ერთი საქმჱ შეერაცხა ყოველთა ცხორებად — დამორჩილებაჲ მისი და ერთი წარწყმედაჲ — მისი განმწარებაჲ, და უცხო-ყოფაჲ მისგან უცხო-ყოფად ღმრთისად შეერაცხა. ესრეთ მოუდრკეს მას ყოველნი და შეისმინეს სიტყუაჲ მისი, ვითარცა კმაჲ ქუხილისაჲ, და ურთიერთას უსწრობდეს დამორჩილებად მისა. რა-ზომ-იგი პირველ განდგომილ იყვნეს, ესეზომად მოვიდეს სათნოებად, რამეთუ ესე იყო მისი მორჩილებაჲ — მოსლვად სათნოებად ღმრთისა, გარნა, რომელნი-იგი განვარდეს მისგან, იგინი დაშთეს, რომელნი იყვნეს შვილ წარწყმედისა, რაჲთა იგინი თჳთ თავთა თჳსთა მიერ განილინენ, ვითარცა რკინაჲ თჳსისა გესლისაგან.

41. ვინაჲთგან უკუე ესე ესრეთ იყო და შინანი იგი ესრეთ დაემორჩილნეს, მაშინ მოიგონა სხუაჲცა საქმჱ მაღალი, რამეთუ სხუანი ყოველნი თუალთა წინაშე მათთა მყოფთა საქმეთა იგონებენ, რაჲთამცა იგინი ოდენ რაჲთმე წარჰმართნეს, ხოლო იგი ყოველსა ზედა მდაბალ იყო, არამედ მას ზედა არა ინება სიმდაბლჱ, იხილა რაჲ ვითარმედ დიდებაჲ იგი ღმრთისაჲ სიმდაბლედ მოვიდოდა კაცთა მიერ ბოროტთა, არამედ ზეაღალო მან თავი თჳსი და მიმოავლო თუალი სულისაჲ და შემოიკრიბა ყოველივე სოფელი, ვინაჲცა მიწ-თომილ იყო სიტყუაჲ იგი ცხორებისა სახარებისაჲ და იხილა რაჲ წმიდაჲ იგი კრებული ღმრთისაჲ, სიტყუათა მიერ და ვნებათა მისთა მოგებული, ნათესავი იგი წმიდაჲ, მდდელობაჲ იგი სამეუფოჲ, რამეთუ ბოროტად იქცეოდა და ბევრეულთა საცთურთა და წვალებათა შთავრ-დომილ იყო და ვენაკი იგი ეგჳპტით ცვალებული ბნელისა მის უგულისკმოებისაგან და უღმრთოებისა და განშუენებული და აღორძინებ-ული, რომელმან დაფარნა სიკეთითა თჳსითა მთანი და ბორცუნი იგი ბოროტისა მის ეშჳსა მიერ, რომელ არს ეშმაკი, განრყუნილ იყო. არა ჯერ-იჩინა დიდმან მან და ღმრთისა საკუთარმან მონამან, რაჲთამცა დუმილით ოდენ იგლოვა საქმისა მისთჳს და ეეედრებოდამცა ღმერთ-სა დაკსნად მისდა და თჳთმცა უზრუნველად მჯდომარე იყო, არამედ ჯერ-უჩნდა, რაჲთამცა თჳთცა თავით თჳსით შეეწია წარწყმედისა მისგან მოქცევად ერთა მათ.

42. რამეთუ უკუეთუ ერთი ვინმე კეთილად იყოს, გინა ბოროტად,

მრავალთა არა ფრიად შეეხების მისგან, ხოლო რაჟამს ყოველნივე ერთად იყვნენ კეთილსა შინა, გინა ბოროტსა, ერთიცა იგი თუ იყოს წინააღმდგომსა საქმესა შინა, იგიცა შეერთებად არს მათ თანა. მაშინ უკუე ხედვიდა რაჲ დიდსა მას ზამთარსა ბოროტთასა, განიჭრებოდა, განიპებოდა გული მისი და იგუმირებოდა გონებაჲ მისი მსგავსად იონაჲსა. განიწირვიდა ცხორებასა თჳსსა, დაუმძიმდა იგი მსგავსად დავითისა, არა სცემდა ძილსა თუალთა მისთა, არცა ჰრულსა წამთა მისთა. თუ რაჲმე ჯორცთა მისთაგანი ფრიადისა მის ღუაწლისაგან დარჩომილ იყო, მასცა განჰლევდა ზრუნვისაგან, თუ რაჲმცა პოვა წამალი დამკსნელი ბოროტისაჲ მის. ეძიებდა საღმრთოსა შეწევნასა, კაცობრივსა სხუასა ყოველსავე ღონესა განკურნებად სენისა მის და სიბნელისა, რომელი იყო ჩუენ ზედა.

43. ერთი უკუე პოვა და ფრიად კეთილი: შემოიკრიბა გონებაჲ თჳსი კეთილად ძალითა მით სულისა წმიდისაჲთა და აღძრნა ყოველნივე ღონისძიებანი და სიფრთხილენი კაცობრივნიცა და საფილოსოფოსონი და საღმრთონი და შემოკრიბნა ყოველნი წერილნი და სიღრმენი მათნი გამოიძინა და აღწერა კეთილადმორწმუნეობაჲ და მართლმადიდებლობაჲ და წიგნნი იგი მწვალებელთანი ძალითა სიტყუათა მისთაჲთა უკუარღჳნა და არარად გამოაჩინნა და ესრეთ მრავალნი იგი მწვალებელთა კრებულნი დაამჴუნა, რამეთუ რომელნი ჴელად მისდა მოვიდიან, ორპირითა მით ლესულითა მახჴლითა ენისა მისისაჲთა დააქცინის და მოსწყჳდნის, ხოლო რომელნი შორს იყვნიან, ისრითა მის მელნისა და ქარტიაჲს გულნი მათნი განგუმირნის, რომელნი-იგი არარაჲთ უდარეს იყვნეს ფიცართა მათ რჩულისათა, არცა ერთისა ნათესავისა ჰურიათაჲსა მასწავლელ საჭამადისათჳს და სასუმადისა და მსხუერპლთა წარმავალთა და განწმედათათჳს ჯორციელთა, არამედ ყოვლისა სოფლისა მასწავლელ იყვნეს სიტყჳსათჳს ჭეშმარიტებისა, რომლისაგან იქმნების ცხორებაჲ.

ხოლო მეორედ შესძინა სიტყუასა ზედა საქმეცა (რამეთუ არცა საქმჱ უსიტყუაჲ არს სრულ, არცა სიტყუაჲ თჳნიერ საქმისა). ამისთჳს შესძინა საქმითცა შეწევნაჲ, რომელთა მიმართ მივიდოდა და რომელთამე მიმართ მიავლენდა, რომელთამე ეევედრებოდა, ასწავლიდა, ამხილებდა, შეჰრისხვიდა, ექადოდა, აყუედრებდა. წინასა

ცხორებისასა ეძიებდა, ყოვლით კერძო კურნებდა იგი ბესელელ წმიდისა მის კარვისა ხუროთმოძღუარი. ყოველსა ნივთსა და ჴელოვნებასა საქმისა მის მიმართ იჴმარებდა და ყოველსავე თხზნიდა ერთისა შუენიერებისა აღსრულებად და შენაწევრებად.

44. რადღა საჴმარ არს სხუათა მრავალთა სიტყუათა თქუმაჲ მისთჳს, რომელთა-ესე საქმეთა მისთა გამოჩინებად ღირსად ვერ ძალგჳც? ხოლო ვთქუათ ერთიღა მისი საქმჱ, რამეთუ, რაჟამს ამას ესევითარსა საქმესა შინა იყო, მოიწია კუალად ჩუენ ზედა ქრისტესმბრძოლი იგი მეფჱ და სარწმუნოებისა მის მართლისა გარდამაქცეველი, უმეტესითა ურჩულოებითა და უფიცხლესითა მჴედრებითა, რამეთუ უძლიერესისაცა მბრძოლისა მიმართ იყო მისი ბრძოლაჲ. მსგავსად არაწმიდისა მის სულისა და ბოროტისა, რომელი განვიდის კაცისაგან და მიმოვალნ და მერმე მოიქცის მისდავე უმრავლესთა სულთა თანა, ვითარცა სახარებასა შინა გუასმიეს. მისდა მსგავს იქმნა იგი, რაჲთამცა პირველი იგი ძლეულებაჲ მისი განკურნა და ძველთაჲმცა მიიღო, რამეთუ სირცხჳლ-უჩნდა, რაჲთამცა, რომელსა-იგი ყოველი ქუეყანაჲ და შემოგარენი წარმართნი დაეპყრნეს, ერთისამცა კაცისა მიერ და ერთისა ქალაქისა ესრეთ ძლეულ იქმნა და საცინელმცა იყო არა წინამძღუართა მათ მიერ ოდენ უღმრთოებისა მისისათა, არამედ ყოველთა მიერ კაცთაო.

45. ამისთჳს უკუე დადვა ცათა შინა პირი თჳსი, რამეთუ გმობასა მაღლად იტყოდა და ენაჲ მისი ეთრია ქუეყანასა ზედა. რამეთუ კეთილად განაქიქა იგი დიდმან დავით პირველ ჩუენსა, რომელმან-იგი ცანი ქუეყანად მოდრიკნა და დაბადებულთა თანა შეერაცხა ბუნებაჲ იგი დაუსაბამოჲ, რომლისა დატევნადცა ვერ ძალუც დაბადებულთა, დაღაცათუ ჩუენ თანა მოვიდეს სახიერებისათჳს კაცთმოყუარებისა თჳსისა, რაჲთა ჩუენ მიმიზიდნეს მისა მიმართ, ქუემდებარენი ესე.

46. ხოლო დაღაცათუ დიდ იყვნეს პირველნი ბრძოლანი მისნი ჩუენდა მომართ, არამედ შემდგომნი ესე უმეტეს იქმნეს, ესე არიან: ექსორიობანი, დევნულებანი, განქიქებანი, სიტყუათა მიერ მრავალთა დარწმუნებანი, იძულებანი, სადა-იგი არა არს დარწმუნებაჲ, განძეებანი ეკლესიათაგან მართლმადიდებელთანი და შეყვანებანი მწვალებელთანი, მეძიებელნი ჴელითწერილთა მათ წარწყმედისათა, მწერ-

ალნი იგი ბოროტისანი — ზღუასა შინა ცეცხლითა დაწუვანი ხუცესთანი, ერისთავნი უღმრთონი, არა სპარსთა ანუ ბარბაროზთა, ანუ სხუათა ვიეთმე წარმართთა მბრძოლნი, არამედ ეკლესიათა დამაქცეველნი და საკურთხეველთა შემმუსრველნი და უსისხლოთა მათ მსხუერპლთა სისხლითა კაცთაჲთა აღმრეველნი და ქალწულთა პატიოსნებისა მაგინებელნი.

ხოლო ესე ყოველი რაჲსთჳს იყო? რაჲთამცა განიდევნა იაკობ მამათმთავარი და შემოვიდამცა მის წილ ესავ, უწინარეს შობისავე მოძულებული. ესრეთ იყვნეს საქმენი მისნი, რომელნი აწამომდე მორაჲ-ვიკსენნე, ვცრემლიო, ვინაჲთგან უკუე ყოველნივე ესრეთ დააქცინა.

47. მიჰმართა მასცა ეკლესიასა, დედასა მას სხუათასა მტკიცესა მას და შეურყეველსა, რაჲთამცა იგიცა დაიმონა და ნაბერწყალი იგი მართლმადიდებლობისაჲ, რომელი დარჩომილღა იყო, იგიცამცა დაავსო, არამედ ესე რაჲ ინება ქმნად, მაშინღა ცნა უძლურებაჲ თჳსი, რამეთუ, ვითარცა ისარი, კლდესა ცემული, მართლუკუნიქცა და, ვითარცა ღელვაჲ, პერულად განილია. მი-რაჲ-ემთხჳა ესევითარსა მას წინამძღუარსა ეკლესიისასა და ესრეთ შეიმუსრა ძალი მისი მის მიერ და ყოველნი იგი საქმენი და ახოვნებანი მისნი, რომელნი მაშინ ქმნნა, ყოველთა მიერ საცნაურ და ღუაწლნი მისნი, ბრძოლანი იგი და სიტყჳს-გებანი, რისხვანი მეფისანი და მსაჯულთანი, რომელნი მიივლინებოდეს მისდა, ქადაგებანი იგი სატანჯველთანი, სარჩელნი იგი მთავართანი, მკედართანი, დედათა მათ ბოროტთანი და კუალად საჭურისთა მათ უკეთურთაგანცა, რომელნი-იგი დედათა თანა მამაკაც არიან და მამათა შორის — დედაკაც, რომელნი-იგი ურჩულოებასა ზედა ოდენ ახოვან არიან, რომელთა ბუნებით შეგინებაჲ ჴორციელისა სიძვისაჲ ვერ ძალ-უც, ხოლო რომელი ძალ-უც, ენითა მით სიძვენ. და მათ თანა კუალად ნაბუზარდან მზარაულთმთავარი რომელი თჳსისა მის ჴელოვნებისა მახჳლებითა ექადოდა და ცეცხლითა თჳსითა ზედა მიუვიდოდა. ხოლო მე ერთი ოდენ მისი ვთქუა, რომელსა, დაღაცათუ მენებოს, თანა-ვერ-წარვჰკდები, არამედ შევამოკლო, რაჲზომცა ძალ-მედვას.

48. ხოლო ესე არს მოდისტოს ეპარხოსისათჳს, რომელი-იგი ჩუენ ზედა ფრიად აღგზებულ იყო რისხვითა უფროჲს სხუათაჲსა (რამეთუ

ნათლისღებაჲცა მათ მიერ მიელო) და ნებასა მეფისასა აღასრულებდა, რაჲთამცა მტკიცე ექმნა პატიჳი მისი. ესე ბორგდა ეკლესიისათჳს და მკეცებრივ იღრჭენდა კბილთა, მკეცებრივ ხედვიდა. წინაშე მისსა უკუე შეყვანებულ იქმნა ახოვანი იგი და უშიში გონებითა და უფროჲსად თჳთ შევიდა ვითარცა დღესასწაულისა მიმართ და არა საშჯელისა წოდებული. ხოლო ვითარმე გითხრა ჯეროვნად ანუ ეპარხოზისა მის სიფიცხლე და ამპარტავნებაჲ, ანუ მისი იგი სიბრძნით წინააღდგომაჲ მისა მიმართ? იწყო უკუე სიტყვად ეპარხოსმან რისხვით, ვითარმედ: „ვინ ხარ შენ, ბასილი, — რამეთუ არცა თუ ეპისკოპოს ჯერ-იჩინა წოდებაჲ მისი, — რომელ ესრეთ კადნიერ ხარ შენ წინაშე ესეზომთა ამათ მთავართა და მეფეთა წინააღდგომად და შენ მხოლოჲ უმეტეს სხუათასა გამოშჩნდებია?“ ხოლო ახოვანი იგი დაწყნარებულად და აღუძველად ეტყოდა: „რაჲსათჳს არს რისხვაჲ ეგე შენი და მკეცებრივებაჲ? მითხარ მე, რამეთუ არა უწყი“. და ეპარხოსი ეტყოდა: „რამეთუ არა აღიარებ სარწმუნოებასა მას მეფისასა, რომელსა ყოველნივე მორჩილ იქმნეს“. და ნეტარმან თქუა: „რამეთუ არა ესრეთ ჰნებავს ჩემსა მას მეუფესა, არცა დაბადებულთა თაყუანის-ცემად თავს-ვიდებ, რომელი-ესე ღმრთისა დაბადებული ვარ და ღმერთ-ყოფაჲ ბრძანებულ არს ჩემდა“. და ზუავი იგი და ფუდული იტყოდა: „და ჩუენ ვითარ გგონიეთ, არა ესრეთვე ვიქმთა, ანუ არა დიდ არსა შენდა, ჩუენ თანა თუ შეირაცხო?“ ნეტარმან მან მიუგო, ვითარმედ: „თქუენ მთავარნი ხართ და კელმწიფენი და არა უვარ-ვჰყოფ, ხოლო ღმრთისა არა უპატიოსნეს ხართ და თქუენ თანა ზიარ-ყოფაჲ კეთილ არს, თუმცა მართლაღმსარებელ იყვენით (რამეთუ თქუენცა ღმრთისა დაბადებულნი ხართ), არამედ აწ არა ხართ ჩუენ თანა ზიარ, არცა ჩუენ-თქუენ თანა, რამეთუ არა პირთაებრ, არამედ სარწმუნოებისაებრ იქმნების ქრისტეანობაჲ“.

49. მაშინ უკუე უმეტესად აღიძრა ეპარხოსი იგი და საჯდომისაგან მისისა აღდგა და იწყო უფიცხლესითა სიტყჳთა მისდა ზრახვად: და არა გეშინიანო ჩემისა კელმწიფებისაგან? და უშიშმან მან გონებითა ჰრქუა: „რაჲ მიყო, ანუ რაჲსთვის მეშინოდის?“ და მკეცი იგი იტყოდა: „რაჲ გიყოა? გიყო შენ ერთი რაჲმე, რომელიცა მენებოს კელმწიფებასა ჩემსა“. და დიდმან მან სულითა ჰრქუა: „რანი

არიან იგი საქმენი, მითხრენღა?“ და მან მიუგო მას, ვითარმედ: „წარტყუენვაჲ ყოველთა მონაგებთა შენთაჲ, ექსორიობაჲ, სატანჯველნი და სიკუდილი“. და ბასილი ჰრქუა მას: „სხუაჲ რაჲმე მიქადე ბოროტი, თუ გაქუს, თუ არა, მაგათგანი არცა ერთი შემომეხების მე“: და კუალად ეპარხოსმან ჰრქუა: „ვითარ, ანუ რომლითა სახითა არა შეგეხებიან?“ ხოლო ნეტარმან მან მიუგო, ვითარმედ: „წარტყუენვისაგან უშიშ ვარ, რომელსა-ესე არაჲ მაქუს, გარნა ბალნისა ესე სამოსელი, რომელი მმოსიეს და მცირედნი წიგნნი, რომელთა შინა არს ყოველივე სიმდიდრჱ ჩემი. ხოლო შენ რაჲ წარმიღო მე, ანუ ექსორიობითა ვითარ მაშინებ, რომელი-ესე არა გარეშემოვიწერები ერთსა ადგილსა, არცა ესე მაქუს ჩემად, სადა ვარ? და კუალად ყოველივე ქუეყანაჲ ჩემი არს და უფროჲსად ყოველივე ღმრთისაჲ არს, რომლისა მე მსხემ ვარ და წარმავალ, ხოლო ტანჯვაჲ სადღა იყოს, რაჟამს ჯორცნი არა იპოებოდიან? რამეთუ ჩემდა უჯორცოებაჲ ბრძანებულ არს და ესე, რომელ მმოსიან, უკუეთუ მოსწყჳდნე, მადლიერ ვიყო, რამეთუ მე ფრიად მნებავს ამათი ტანჯვაჲ და მათ ზედა ოდენ გაქუს ძალი, ხოლო ჩემდა ტანჯვად ვერ ძალ-გიც, რამეთუ მე სული ვარ და სულსა ვერ შეეხები, ხოლო ჯორცნი არა სატკივარ არიან ჩემდა. სიკუდილი კულა კეთილ არს ჩემდა, მო-თუ-აწიო ჩემ ზედა, რამეთუ ადრე წარმგზავნოს მე სიკუდილმან ღმრთისა მიმართ, რომლისა მიმართ ცხოველ ვარ და ვიყოფები, და რომლისათჳს მომიკუდინებიეს თავი ჩემი, და რომლისა მიმართ მივისწრაფი“.

50. ხოლო ეპარხოსი ამათ სიტყუათა ზედა განკჳრდა და თქუა: „არავინ დღესამომდე ესრეთ კადნიერებით ზრახულ არს ჩემდა, ვითარ ესე“. და ნეტარმან მან ჰრქუა მას: „რამეთუ არცა მიმთხუეულ ხარ, ვითარ მე ვჰგონებ, ეპისკოპოსისადა, თუ არა, ესევითართა საქმეთათჳს ესრეთცამცა გეუბნა, რამეთუ ჩუენ, ეპარხოსო, სხუათა საქმეთა ზედა მშჳდ ვართ და მდაბალ, რამეთუ ესრეთ ბრძანებულ არს ჩუენდა და არა ჴელმწიფეთა ზედა და მეფეთა, არამედ ყოველთა უდარესსა ზედაცა არა ვმაღლიოთ. ხოლო სადა ვიხილოთ, თუ ღმერთი შეურაცხ იქნების, მუნ ყოველსავე დაუტეობთ და მისა მიმართ ოდენ ვხედავთ; და ცეცხლი, და მახჳლი, და მჴეცნი და

სახუეტელნი ჯორცთანი — ესე ყოველნი — საშუებელ არიან ჩუენდა უფროჲსად, ვიდრეცა საშინელ. ამის საქმისათჳს გუაგინებდ და გუტანჯევდ. რაჲცა შენდა საწადელ არს, იქმოდე, უთხარ ესე მეფესაცა, ვითარმედ, მე ვერ დამარწმუნებთ ვერრომლითა ღონითა, თუმცა ურჩულოებასა თქუენსა გეწამე".

51. ესე ყოველი რაჲ ესმა ეპარხოსსა და იხილა მოუდრეკელი იგი გონებაჲ მისი, განავლინა იგი გარე არღარა ესრეთ რისხვით, არამედ პატივისცემით. და იგი მეფისა მივიდა და ჰრქუა: „ამაო არს, ჰოი მეფეო, შრომაჲ ჩუენი ბასილის მიმართ, რამეთუ სატანჯველთაგან კაცსა მას არა ეშინის, სიტყჳთა გუძლევს, ოდესცა ინებოს. დარწმუნებად მისა ვერ ძალ-გჳც და სწრაფაჲ ჩუენი ამაო არს". ხოლო მეფემან თავსა თჳსსა აბრალა, რამეთუ ძლეულ იქმნა მისითა მით სათნოებითა, რამეთუ სათნოებისაგან მტერიცა შეიკდემს და ბრძანა არღარა იძულებაჲ მისი და წარეკიდა მას საქმჱ იგი რკინისაჲ, რომელი იგი მოლბის ცეცხლისა მიერ, ხოლო ეგის რკინადვე. ეგრეთვე მან საკჳრველებად შეცვალა სიფიცხლე თჳსი. ხოლო ზიარებაჲ მართლმორწმუნეობისაჲ არა ინება. რამეთუ ჰრცხუენოდა შეცვალებად ბოროტისაგან და ქმნად კეთილისა. არამედ ეძიებდა, რაჲთამცა დაეგო მას.

52. და მივიდა იგი ეკლესიად ყოვლითურთ მკედრებით მისით (ხოლო დღჱ იგი იყო დღესასწაული და კრებაჲ დიდი) და შევიდა რაჲ შინაგან და იხილა გალობაჲ იგი და სიმრავლჱ ერისაჲ მის და წესიერებაჲ იგი საკურთხეველსა ზედა მდგომარეთა და გარეშე საკურთხევლისა, რომელი ანგელოზთა წესსა მსგავს იყო უფროჲს, ვიდრეცა კაცთასა. და ნეტარი იგი დგა წინაშე საკურთხეველისა მართლად მიუდრეკელი გუამითაცა და გონებითა და პირითა, ვითარმცა არარაჲ ახლად ქმნილ იყო, ესრეთ ყოვლადვე არა მიხედა მას, არამედ შემშჭუალულ იყო ღმრთისადა და საკურთხეველისა. რაჲთა ესრეთ ვთქუა, ხოლო გარემო მისა მდგომარენი დგეს შიშით და პატიოსნებით. ვინაჲთგან უკუე ესე იხილა, დაუკჳრდა ფრიად, რამეთუ ვერარას საქმესა მიამსგავსებდა საქმესა მას. მაშინ უკუე შესაწირავი რომელი მოეღო, აღიღო თჳთ და შეიღო საკურთხეველად და არავის მისცა სხუასა, არამედ თჳთ აღიღო, რამეთუ არა ჰგონებდა, თუმცა

შეიწყნარა იგი ნეტარმან. მაშინ უკუე დაუბნელდეს მას თუალნი და გონებაჲ და, უკუეთუმცა არა ეცნა ნეტარსა მას, და ებრძანა დამჭირვაჲ მისი, კნინღადა და-მცა-ცემულ იყო.

53. ხოლო სიბრძნისა მისთჳს, რომელი ეუბნა მეფესა, რაჲ ვთქუა? რამეთუ ვინაჲთგან შემდგომად აღსრულებისა ჟამისწირვისა დასხდეს ერთად. რაჲ ვთქუათ, თუ ვითარ ეტყოდა, რამეთუ სხუასამცა რასა ეტყოდა, გარნა სიტყუათა ღმრთისათა, რომელნი გუესმნეს ჩუენცა, მუნ მყოფთა, და მეფესა და მისთანათა მათ? ესე იქმნა მეფისა ჩუენდა მომართ დამშჳდებისა დასაბამი და ესრეთ შფოთი იგი მის ჟამისაჲ დაიკსნა.

54. ხოლო კუალად შემდგომად ამისა განაფიცხეს გონებაჲ იგი მეფისაჲ უკეთურთა მათ წინამძღუართა მათ წვალებისათა და აღიწერა ნეტარის მისთჳს ექსორიობაჲ და განემზადა საქმჱ ესე, რომელ არღარაჲ იყო ნაკლულევან, მზა იყო ყოველივე, იტყუელვიდეს ჴელთა მტერნი ჩუენნი, იგლოვდეს მორწმუნენი და ჩუენ ვიყვენით უშიშსა მას თანა სულითა, არამედ დაჰკსნა იგი ღმერთმან, რამეთუ რომელმან მოსრნა ეგჳპტისა პირმშონი, მანვე მოაწია ძესაზედა მეფისასა წყლულებაჲ სნეულებისაჲ მოსწრაფებით, რამეთუ ერთკერძო იწერებოდა წიგნი ექსორიობისაჲ და მეორესა კერძსა გამოჴდა ბრძანებაჲ სნეულებისაჲ. და ჴელი შეპყრობილ იქმნა ბოროტისა მის მწიგნობრისაჲ და წმიდაჲ იგი დაყენებულ იქმნა საქმისა მისგან და იქმნა თავქედისა ნიჭ კაცი იგი ღმრთისაჲ, რომელი-იგი დაამდაბლებდა მეფესა მას ამპარტავანსა. იხილეთ მოსწრაფებაჲ იგი საქმისაჲ მის. მერმე უკუე ბოროტსა შინა იყო ყრმაჲ იგი და განძჳნდებოდა სენი მისი. და ელმოდა მამასა მისსა და ყოვლით კერძო ეძიებდა შეწევნასა და მკურნალთა შემოჰკრებდა, ქუეყანად დავარდებოდა, რამეთუ მეფეთაცა დაამდაბლებს განსაცდელი. და არა საკჳრველ არს, რამეთუ დავითსცა ძლიერად ელმოდა შვილისათჳს, ხოლო, ვითარცა ვერსადაჲთ პოვა კურნებაჲ, სარწმუნოებისა მიმართ მიივლტოდა ნეტარისა მის და არა თავისა თჳსისა მიერ ევედრა, რამეთუ ჰრცხუენოდა შეურაცხებისა მისგან, რომელი მოაწია მის ზედა, არამედ სხუანი მთავარნი წარავლინნა მეოხებად. და იგი მივიდა მისდა, და მისლვითა ოდენ განქარდა სენი იგი ყრმისაჲ და იხარებდა

მამაჲ მისი და უკუეთუმცა არა შეეზავა მარილიანი იგი ტკბილსა მას თანა წყალსა, ესე იგი არს, რამეთუ შემდგომად განმრთელებისა ყრმისა მის მწვალებელთაჲ ჰრწმენა, და უკუეთუმცა არა ესრეთ ექმნა, სრულიადმცა განკურნებული მიცემულ იყო მისდა ძმ მისი. არამედ ირწმუნა რაჲ კუალად მაცთურთაჲ მათ, ამისთჳს მეყსა შინა მოკუდა ყრმაჲ იგი. და ამას ყოველნივე წამებენ, რომელნი მუნ იყვნეს.

55. ეგრეთვე უკუე ეპარხოსი იგი შემდგომად მცირედისა შეპყრობილ იქმნა სენითა მძიმითა და მოდრკა იგიცა წინაშე წმიდისა მის, რამეთუ სიკუდილად მიეახლა, და ცრემლოოდა წინაშე მისსა, და ევედრებოდა მას, და შეუვრდებოდა და ითხოვდა ცხორებასა და პოვაცა ცხორებაჲ, ვითარცა თჳთ იგი აღიარებდა უკუანაჲსკნელ, და დაუცხრომელად უკჳრდა დიდებულებაჲ მისი და ყოველთა მიუთხრობდა.

ხოლო იხილეთ, თუ უკუე ამათ მიმართ ესრეთ ყო ბრძოლაჲ თჳსი და სხუათა მიმართ არა ესრეთ იყოა, ანუ არა სიბრძნით, ანუ ღირსად დადუმებისა? ნუ იყოფინ! არამედ რომელმან აღძრა ისრაჱლსა ზედა ოდესმე ადერ უკეთური (III მეფ.11,14), მანვე აღძრა ამას ზედა პონტიელი იგი ეპარხოსი, რომელმან მიზეზად შემოიღო დედაკაცი ვინმე, ხოლო ყოველი სწრაფაჲ მისი იყო შეწევნისათჳს მწვალებელთაჲსა. და დაუტევნე სხუანი იგი ბოროტებანი მისნი, ვითარ აგინებდა ნეტარსა მას და, უფროჲსად ვთქუა, ვითარმედ ღმერთსა, რომლისათჳს და რომლისა მიმართ იყო ბრძოლაჲ მისი, ხოლო რომლისა მიერ იგი სირცხჳლეულ იქმნა და ნეტარი ესე — დიდებულ, იგი ვთქუა.

56. დედაკაცი ვინმე იყო მდიდარი, ქურივი არამრავლის ჟამითგან. მას აიძულებდა ეპარხოსი იგი ქორწინებად, ხოლო მას არა უნდა და ეძიებდა ღონესა განრომად მძლავრებისა მისგან. და მოიპოვა ღონე არა კადნიერი, არამედ კეთილი, რამეთუ წმიდად საკურთხეველად შევიდა და ღმერთი მოიგო შესავედრებლად. რაჲ უკუე ჯერ-იყო ყოფად, საჯეთ თქუენ, ჰოი სამებისა მონანო, არა ბასილისთჳს ოდენ, დიდისა მის და ყოველთა რჩულისმდებელისა, არამედ სხჳსაცა მღვდელისა ყოვლისავე, არა ჯერ-იყოა კელისა აღპყრობაჲ მისი და დაცვაჲ კაცთმოყუარებითა ღმრთისაჲთა და რჩულითა მით, რომელი

ბრძანებს პატივის-ცემად საკურთხეველთა და მისთჳს თავსდებად ყოვლისა ბოროტისა, ვიდრეცა განცემაჲ მისი და შეურაცხყოფაჲ საკურთხეველისაჲ და სარწმუნოებისა მის ჩუენისაჲ?

არამედ ამაოჲ იგი მსაჯული იტყჳს, ვითარმედ: არაო, არამედ ჯერ-არს, რაჲთა იძლინენ ყოველნივე ჴელმწიფენი მიერ ჩემისაო და რაჲთა იქმნენ ქრისტეანენი განმცემელ თჳსისა რჩულისა და ამისთჳს ითხოვდა იგი დედაკაცსა მას. ხოლო დიდი ბასილი წინააღუდგებოდა ძლიერად, და იგი ბორგდა. და უკუანაჲსკნელ წარავლინნა ვიეთნიმე გამოძიებად სენაკსა თჳსსა გულისსიტყჳთა ურჩულოებისაჲთა.

რასა იტყჳ შენ, ეჰა, დაბნელებულო და ველურო, სენაკსა მისსა ეძიება ბოროტისათჳს, რომელი-იგი გარეშეუცავს ანგელოსთა, რომლისა მიხედვადცა ეშინის დედათა? და არა ესე ოდენ, არამედ თჳთ მისიცა წარდგომაჲ წინაშე მისი ბრძანა არა პატივით, არამედ ვითარცა ერთი დასაშჯელთაგანი. და წარსდგა იგი წინაშე მისსა, ვითარცა ჩემი იესუ წინაშე პილატესა. და იგი ჯდა სავსე ზუაობითა და ამპარტავანებითა და მეხისტეხანი არა მოიწეოდეს და მახჳლი ღმრთისაჲ ილესვოდა, არამედ არა მოივლინებოდა. და მშჳლდსა გარდაეცუმოდა და არა გამოვიდოდა ისარი, რამეთუ სინანულსა ელოდა, რომელი-იგი არს რჩული ღმრთისაჲ.

57. ხოლო იგი სამკართა მისთა აღძარცუვასა ბრძანებდა და ნეტარი იგი იტყოდა. ვითარმედ: „და გნებავს თუ, მიგცე სამოსელიცა"; ცემასა ექადოდა, ხოლო იგი ეცინოდა; ხურეტასა გუერდთასა აღუთქუმიდა და იგი იტყოდა, ვითარმედ: „ღჳძლისა კურნება არს ეგე და არა ტკივილ"... ხოლო იგინი რაჲ ამას შინა იყვნეს, ცნა ესე ერმან მან ქალაქისამან და ზიარი იგი ყოველთაჲვე ბოროტი ვერ თავსიდვეს, აღეგზნეს, ვითარცა კუამლისა მიერ ფუტკარნი, ყოველნივე აღდგეს და აღიღეს საჭურველები, რაჲცა თითოეულსა ეპოვა, მკედარნი და ერნი: კუერთხებითა, ლოდებითა და მახჳლებითა, ქმნეს კმაჲ დიდი და მირბიოდეს ყოველნი ზოგად. არცა თუ დედანი დაშთეს, არამედ მათცა აღიღეს, თითოეულმან რაჲცა პოვა. ყოველნი შურითა შეიწუნეს და მიუკდეს მთავარსა მას ზედა ბოროტსა, ენება ასოეულად შემუსრვაჲ მისი. და იგი იყო მათ შორის პატიოსან,

რომელმანმცა პირველად მიყო ჴელი მის ზედა. მაშინ უკუე ამპარტავანი იგი დამდაბლდა, ვისსა არა უსაწყალობელ იყო, ვიდრემდის გამოვიდა თჳნიერ სისხლისა მოწამჱ იგი და თჳნიერ წყლულებათა გჳრგჳნოსანი და იძულებით დააყენა ერი იგი და მაგინებელი იგი იჴსნა. ესრეთ იქმს ღმერთი საკჳრველებათაჲ, რომელი შესცვალებს ყოველსავე წამის-ყოფითა თჳსითა, რომელი ამპარტავანთა წინაალუდგების და მდაბალთა მისცემს მადლსა. და ვითარმცა არა ისწრაფა მან, რომელმან-იგი ზღუაჲ განაპო და მდინარჱ უკუნაქცია და მზე და მთოვარჱ დააყენნა და აღპყრობითა ჴელთაჲთა ძლევაჲ მისცა ერისა მისთჳს ლტოლვილისა, რაჲთა ესეცა იხსნას მისთჳს ყოველსავე შინა ჭირსა მოხარული.

58. აქა უკუე დასრულდა ბრძოლაჲ იგი სოფლიოჲ ნებითა ღმერთისაჲთა და ყოველნივე იძლინეს სათნოებითა მისითა. ხოლო ამიერ იწყო ბრძოლამან მან ეპისკოპოსთამან, რომელთაჲ ფრიადი იყო უშუერებაჲ და უმრავლესი ვნებაჲ ერისაჲ რამეთუ ვითარმცა იყვნეს ერნი, რაჟამს წინამძღუარნი ბოროტად იყოფებოდიან? რამეთუ იგინი პირველითგანვე არა კეთილად იყვნეს მისა მიმართ სამისა მიზეზისათჳს, რამეთუ სარწმუნოებისა მის და ბოროტად მოძღურებისა მათისა მბრძოლ იყო ესე და რამეთუ არა უნდა ამას სულმოკლებაჲ იგი კურთხევისაჲ, ვითარ იგინი იყვნეს და კუალად რომელ სათნოებაჲ ამისი ფრიადსა დიდებასა მოატჴეებდა მას, და ესე იყო მათთჳს მძიმე შურისათჳს მათისა; და კუალად, რამეთუ ქუეყანაჲ იგი ჩუენი კაპადუკიაჲ ორად საერისთჳოდ და ორად საკათალიკოსოდ განიყო, რომელი მუნამდის ერთ ყოფილ იყო. და ახალი იგი კათალიკოსი ისწრაფდა, რაჲთამცა მიიხუეჭა ყოველივე, ხოლო ნეტარი იგი ეკლესიისა თჳსისა დაჴსნასა არა თავს-იდებდა შურითა საღმრთოჲთა. და ინება უმრავლესთა ეპისკოპოსთა დადგინებად ქუეყანასა მას შინა და დაჭირვებაჲ იგი უმეტესობად ქმნა.

59. და ამის მიერ იქმნა სამი კეთილი საქმჱ: ღუწოლაჲ სულთა უმრავლესთაჲ და რაჲთა თითოეულსა ქალაქსა თჳსი მწყემსი აქუნდეს, რაჲთა შფოთი იგი დაიჴსნას. ამას საქმესა შინა მეცა შთავვარდი და არა უწყი, თუ რაჲ ვთქუა, რამეთუ, რომელსა-ესე ყოველივე საქმე მისი საკჳრველად მაქუს, ვითარცა სხჳსა არავისი, ამას ზედა ვერ

ვაქებ, რამეთუ ჯერ-არს აღსარებაჲ ენებისაჲ, რომლისათჳს ჯერეთ მწუხარე ვარ. რამეთუ მიერით მოიწია ჩემ ზედა ყოველი ესე უწესოებაჲ და ვერღარა დაყუდებაჲ, გარნა ესე ვიტყჳ, ვითარმედ იგი უზეშთაეს კაცთა გონებისა გულისკმაჰყოფდა და უწინარეს ამიერ განსლვისა განსრულ იყო სოფლით და იქმოდა ყოველსავე, ვითარცა სულსა წმიდასა ენება, რომელმან იცოდა მეგობრებისა პატივისცემაჲ მუნამდე, სადამცა ღმრთისაჲ ჯერ-იყო უმეტესად პატივისცემაჲ და დაკსნილისა მის ყოფადისამცა უმეტეს იყო.

60. ხოლო მეშინის მე ამას ყოველსა ზედა, ნუუკუე ვევლტოდი უდებებისა ბრალსა მათგან, რომელნი ითხოვენ თქუმად ყოველთა საქმეთა მისთა და შთავვარდე უზომოებასა შინა სიტყუათასა, რამეთუ ზომითა ყოველივე მის მიერცა საყუარელ იყო. ხოლო მე ორკერძოვე ზომითი ვქმნა საქმჱ: არცა ფრიად უნდო და მოკლე-ვყო სიტყუაჲ ჩემი, არცა კუალად უზომოდ გრძელ, რაჲთა არა საწყინო იყოს, რამეთუ მრავალნი საკჳრველებანი მისნი სხუათაცა მიერ აღწერილ არიან უწინარეს ჩემსა, ვითარ განკურნებაჲ იგი განრღუეულისაჲ მის ანასტასის ზე ხუცისა, კსნაჲ ჩუენ მიერცა თქუმულისაჲ მის ეშმაკთა მიცემულისა ჭაბუკისაჲ, მოქცევაჲ იოსებ ჰურიისაჲ, აღკოცაჲ ცოდვათა მათ დედაკაცისათაჲ, განხუმაჲ კართა მათ ეკლესიისათაჲ ნიკიას შინა ქალაქსა, რომელი-იგი მისცა მეფემან მან ქრისტესმბრძოლმან მწვალებელთა. და მერმე მი-რაჲ-ივლინა ნეტარი ესე შჯად მათ შორის, უბრძანა დაკლიტვად კართა და არიანოზთა ლოცვად სამ დღე და, გან-თუ-ეხუნენ კარნი, დაპყრობად მათდა ეკლესიისა. და ესრეთ ილოცეს რაჲ სამ დღე და სამ ღამე, არა განელო მათ კარი, და ვითარმცა განულო მათ ტაძარმან კარი, რომელთა-იგი ესრეთ შეურაცხ-ყვეს დიდებაჲ მისი? ხოლო ამან ნეტარმან მორწმუნით ერითურთ ათია რაჲ ღამე და მივიდა განთიად ეკლესიად და აკურთხა ღმერთი დიდებისაჲ მაშინ შეიმუსრნეს კლიტენი და მოქლონნი, დაეცნეს ბჭენი კედელსა, ვითარცა ქარისა მიერ სასტიკისა. და მისცა ესრეთ ეკლესიაჲ მართლმორწმუნეთა, გარნა, მე ვითარცა ვთქუ, სხუათა მიერ თქუმულთა ამათ და აღწერილთა თანაწარვჰკდე და ესრეთ შემოკლებულად ვთქუა ვითარმედ სხუათა სხუაჲ სათნოებაჲ წარუმართებიეს და სხუათასხუაჲ, ხოლო, თუმცა ერთმან ყოველნი სათ-

ნოებანი თავსა შორის თჳსსა შემოიკრიბნა, ესე ძნიად საპოვნელ არს შორის კაცთა, არამედ დიდად გუაქუს იგი, რომელსა რავდენნიმე მოეგნენ. ხოლო ესე ყოველთავე ესრეთ მიიწია, რომელ სამკაულ იქმნა ბუნებისა ჩუენისა. და ესრეთ გულისკმა-ვყოთ ესე, უკუეთუ ვინ აქებდეს უპოვრებასა და უქონელობით ცხორებასა, იხილენ, თუ მის თანა რაჲ იყო, გარნა ჯორცნი ოდენ და საჭირონი იგი საბურველნი ჯორცთანი. და სიმდიდრჱ მისი იყო არარაჲსა ქონებაჲ და ჯუარი, რომლისა მიმართ ცხოველ იყო, რომელი-იგი უპატიოსნეს ყოვლისა სოფლისა საფასეთა აქუნდა, რომელთა ყოველთავე ერთისა მიერ მოგებაჲ შეუძლებელ არს, ხოლო შეურაცხ-თუ ვინმე-ყოს იგი, მაშინ დაუპყრიეს ყოველივე, რამეთუ უზეშთაეს მათსა არს. და ესრეთ რაჲ იყო, არა კაცთა საჩუენებელად იყო ესრეთ, არცა შორის უბანთა ჭურსა შინა იყოფოდა, არამედ ღმრთისათჳს იყო გლახაკ და ყოველივე მონაგები, რომელი აქუნდა, ფრიადი განაბნია. და ესრეთ სუბუქად ვიდოდა ზღუასა მას შინა ამის ცხორებისასა.

61. ხოლო მარხვაჲ კეთილვე არს და საკჯველ და არამონებაჲ გულისთქუმათაჲ და მწარისა მის დედოფლისაჲ, რომელ არს მუცელი და ვინ იყო უკუე უფროჲს მისა უშუებელ და, რაჲთა უჭეშმარიტესად ვთქუა, უკორცო? რამეთუ გულისთქუმანი და მუცლისა აღმოვსებანი დაკსნილთა დაუტევნა და რომელთა ცხორებაჲ მონა არს სოფლისა და ქუედადრეკილ და მას არარაჲ შეერაცხა დიდად მათგანი, რომელნი-იგი შემდგომად ყიით წარსლვისა სწორ არიან, არამედ იზრდებოდა პურითა და წყლითა და საშუებელად აქუნდა არა შუებაჲ, არამედ ხედვიდა მფრინველთა ცისათა და შროშანთა ველისათა, რომელთა საზრდელი მზა არს და სიკეთჱ ბუნებით სიტყჳსაებრ ჩემისა ქრისტესსა, რომელი ჩუენთჳს დაგლახაკნა, რაჲთა ჩუენ განვმდიდრდეთ ღმრთეებითა, ამისთჳს იყო მისდა ერთი სამოსელი და სამკარნი და მარადის კმელსა ზედა წოლაჲ და მღჳძარებაჲ უზეშთაესი ბუნებისაჲ და უბანელობაჲ — მისნი იგი საშუებელნი და სანოვაგჱ მისი — მარილი პურსა თანა, ახალი ესე სანუკვარი და სასუმელი უშურველი და არა დამათრობელი, რომელსა აღმოაცენებენ წყარონი უჭირველად. ამას ყოველსა თანა საგლახაკონი და სასნეულონი, ზოგადი იგი საქმჱ ჩუენი, რომელი-ესე ამას ზედა მის თანა

ზიარ ვიყავ, დაღაცათუ სხუაჲ არარაჲ მაქუს მისთა კეთილთაგანი.

62. დიდ არს კუალად ქალწულებაჲ და უქორწინებელობაჲ და ანგელოზთა თანა შერაცხვაჲ, რამეთუ მეშინის თქუმად თუ, ქრისტეს თანა, რომელმან-იგი სათნო იყო რაჲ ჩუენთჳს შობაჲ, ქალწულისაგან იშვა, რაჲთა გუასწაოს ქალწულებაჲ, ვითარცა ამიერ მიმცვალებელი და საუკუნოდ მიმყვანებელი. ვინ უკუე უფროჲს მისა პატივ-სცა ქალწულებასა, ანუ აღასრულა საქმით, არა თჳსითა ოდენ ჯორცითა, არამედ სხუათა მათმიერ საქმეთაცა მისთა, რამეთუ ვისნი ნაქმარნი არიან ქალწულთა შესაკრებელნი ესე და აღწერილნი იგი ქალწულებისათჳს სწავლანი რომელთა მიერ ყოველთავე საცნობელთა წმიდა-ჰყოფდა და ყოველთავე ასოთა სიწმიდითა შეჰბეჭდვიდა და ქალწულებასა ასწავებდა და ყოველსავე შუენიერებასა სულსა ზედა მიაწევდა და ჯორცთაგან აღსძარცუვიდა და გარეშესა მას დააჭნობდა, რაჲთა ესრეთ ნივთი ალსა მას არა აქუნდეს, ხოლო შინაგანსა ღმერთსა უჩუენებდა, რომელი-იგი მხოლოჲ არს წმიდათა მათ სულთა სიძჱ და მღჳძარეთა მათ სულთა თავისა თჳსისა თანა შეიყვანებს, უკუეთუ მბრწყინვალითა ლამპრითა და ზეთისა უნაკლულებითა შეემთხჳნენ მას, ვინაჲთგან უკუე მონაზონებისა წესი არა კეთილად იყო, არამედ რომელნიმე დაყუდებულ იყვნეს და უზრუნველ, ხოლო არა აღუზუავებელ და მდაბალ, არცა გამოცდილ იყო სათნოებაჲ მათი და რომელნიმე მეცნიერ იყვნეს და გულისკმის-მყოფელ, არამედ არა დაწყნარებულ. ესენი კეთილად შეზავნა და მონასტერნი აღაშენნა და მახლობელად სადაყუდებულონი, რაჲთა არცა იგინი უგულისკმო იყვნენ, არცა ესენი — დაუწყნარებელ, არამედ, ვითარცა ქუეყანაჲ და ზღუაჲ, ესრეთ ურთიერთას მიმცემელ კეთილისა იყვნენ და ერთად დიდებად ღმრთისა შემოკრბებოდიან.

63. კუალად გლახაკთმოწყალებაჲ და კაცთმოყუარებაჲ იხილეთ, ვითარ კეთილ არს და ჴელის-აპყრობაჲ უძლურებისა კაცთაჲსაჲ. მცირედ უკუე ქალაქისაგან განვედ და იხილე ახალი იგი ქალაქი, საუნჯჱ იგი ღმრთისმსახურებისაჲ, ზოგადი იგი ყოველთა ნამარხევი, რომელსა შინა ნამეტნავნი იგი სიმდიდრისანი მისითა სწავლითა დაიმარხვიან, რაჲთა უშიშ იყვნენ მღილთაგან და მპარავთა, შურისაგან და შეცვალებისაგან ჟამთაჲსა, სადა-იგი სენისა მოთმინებაჲ

იხილვების და განსაცდელი სანატრელ იქმნების და მოწყალებაჲ გამოჩნდების. რად საკმარ არიან ამას საქმესა თანა შუდბჭᲗ იგი თიბაიდაჲ და ზღუდენი ბაბილონისანი და მავსოლოჲს კარიკელისა საფლავი და პირამიდნი, ანუ სიმაღლენი ტაძართანი და სიდიდენი და სიკეთენი, ანუ სხუაჲ რაჲმე, რომელი საკჳრველ არს წინაშე კაცთა და აღიწერების მათ მიერ? რომელნი არასადა სარგებელ იქმნნეს მოქმედთა მათთა, გარნა მისცეს მცირედ რაჲმე და უნდოჲ დიდებაჲ. ხოლო ჩემდა საკჳრველ არს მოკლე იგი ცხორებისა გზაჲ, ადვილი იგი ზეცად აღსავალი. არღარა სხენან წინაშე თუალთა ჩუენთა ხილვანი საწყალობელნი: კაცნი, უწინარეს სიკუდილისა მკუდარნი, უმეტესითა ნაწილითა ჯორცთაჲთა აღსრულებულნი, განსხმულნი ქალაქთაგან, სახლთა და უბანთა, საყუარელთაგანცა მათთა, სახელითაღა ვიდრე ხილვითა საცნაურნი, ერთბამად მდებარენი, არღარა საწყალობელნი, არამედ საძულველნი, მოკლებულნი სიტყუათა რასა ვიტყჳ ყოველსავე ჭირსა მას, რომელსა სიტყუაჲ ვერ იტყჳს; გარნა ამან მხოლომან ასწავა კაცთა არა შეურაცხ-ყოფაჲ კაცთაჲ, არცა შეურაცხ-ყოფად ქრისტესა ერთისა მის ყოველთა თავისა უწყალოებისა მიერ სხუათათაჲსა, არამედ რაჲთა სხჳსა განსაცდელთა მიერ თავთა თჳსთა ჰკურნებდენ და ავასხებდენ ღმერთსა წყალობასა, რომელთა-იგი უკმს წყალობაჲ, ამისთჳსცა არცა ბაგითა თჳსითა ულირს-უჩნდა პატივ-ცემად სენისა მის დიდებულსა მას და დიდებულთაგანსა და დიდებითა ბრწყინვალესა, არამედ, ვითარცა ძმათა თჳსთა, ესრეთ ამბორს უყოფდა მათ, რაჲთა სიმდაბლეცა თჳსი აჩუენოს და კურნებაჲ მისცეს მათ თჳსითა მიახლებითა, რომელი-იგი მარადის სწავლა იყო, იტყჳნ თუ, გინა თუ დუმნ. და ყოველთა შური შთაუგდო გლახაკთმოწყალებისაჲ, რამეთუ სხუანი იშუებდეს ტაბლათა ზედა ბრწყინვალეთა და მრავალსანოვაგეთა და მზარეულთა მრავალლონეობასა და სარეცელთა ზედა ოქროლესულთა და სამოსელთა სიკეთესა, ხოლო ბასილის შუებაჲ იყო მსახურებაჲ სნეულთაჲ და კურნებაჲ წყლულებათა მათთაჲ და მიმსგავსებაჲ ქრისტესი, რომელი არა სიტყჳთ, არამედ საქმით განსწმედდა კეთროვნებასა.

64. ამას ყოველსა ზედა რაჲ გურქუან ჩუენ მათ, რომელნი-იგი ზუაობასა სწამებენ მას, მწარენი იგი მსაჯულნი ესევითართა მათ

საქმეთანი, რომელნი მრუდთა მართალთა თანა შეასწორებენ, რამეთუ ეგებისა კეთროვანთა და განრღუეულთა თანა ესრეთ დამდაბლებაჲ, ხოლო მრთელთა თანა ზუაობაჲ და განლევაჲ ჯორცთაჲ მარხვითა, ხოლო სულისა ზრქელებაჲ ზუაობითა და უწყებაჲ ფარისეველისა მის სიმაღლისა მიერ დამდაბლებისა. და ქრისტეს ქადაგებაჲ, მონათა თანა მოსრულისაჲ და მეზუერეთა თანა დაჯდომილისაჲ და მოწაფეთა ფერხთა დამბანისაჲ და ჯუარცუმულისაჲ, რაჲთა ჯუარს-აცუას ცოდვაჲ ჩემი? რამეთუ რაჲმცა იყო ამისა უსაკჯრველეს — ღმრთისა ჯუარსა ზედა ხილვად და იგიცა შორის ავაზაკთა, რომელსა ყოველნი იგი თანაწარმავალნი ეცინოდეს, რომელი-იგი უზეშთაეს არს და შეუხებელ ყოვლისა ვნებისაგან? და რომელი ამას ქადაგებდეს, შესაძლებელ არსა, რაჲთამცა იგი მზუაობარ იყო, ვითარ-იგი ჰგონებენ მოშურნენი მისნი? არამედ ესრეთ ვჰგონებ, ვითარმედ სახისა მისისა დაწყნარებულებასა და წესიერებასა და სიმტკიცესა ზუაობად სახელ-სდვეს, ხოლო მათ მჯნესაცა ამპარტავანად უწოდონ სადმე და განკრძალულსა — მოშიშად და დაყუდებულსა — კაცთმოძულედ და მართალსა — უწყალოდ, რამეთუ სათნოებანი მახლობელ ვნებათასა არიან და, რომელი არასწავლულ და მეცნიერ იყოს, მრავალგზის შეჰრაცხის მან ბოროტი კეთილად და კეთილი — ბოროტად, თუ არა ვინ სადა უფროჲს მისა ანუ სათნოებასა პატივ-სცა, ანუ უკეთურებაჲ ტანჯა და იოტა, ანუ ტკბილ იქმნა კეთილთა მიმართ, ანუ ურჩულოთა მიმართ — მკსინვარე, სადა ჯერ-არნ, რომლისა ღიმილიცა, თუ სადა იქმნის, საქებელ არნ და დუმილი მხილებაჲ მრავალთა ბოროტისა იქმნის მხილებითა გონებისაჲთა. უკუეთუ კულა არა მრავალმეტყუელ იყო ამაოებით, არცა მოცინარ და განმცხრომელ და ყოველთა წინაშე მაჩუენებელ კადნიერებისა მიერ, რაჲ არს ესე, არა საქებელ არსა უფროჲს, ვიდრეცა საბრალობელ, უკუეთუ ვის გონებაჲ აქუნდეს? ანუ ლომსაცა აბრალოს ვინა, რამეთუ არა ციდამტკაველურად ხედავს, არამედ უშიშებით და მეუფებით, რომლისა კრთომაჲცა ახოვნებაჲ არს და საკჯრველებით საყუარელ? ანუ მსახიობელთა მათ და ხუმართა ვინ აქებდესა, რომელ აცინებენ მრავალთა და, დაღაცათუ ესე მოვიძიოთ მის თანა, ვინ იყო ესრეთ ტკბილ უბნობასა შინა?

ვითარცა მე უწყი, რომელი-ესე უფროჲს ყოველთასა მეცნიერ ვარ მისდა, ვინ არს უფროჲს მისა სიხარულევან მეტყველებით, ანუ ვინ არს მამხილებელ ესრეთ სიბრძნით და შემრისხველ ჯეროვნად? რაჲთა არცა შერისხვაჲ განმწირველ იყოს, არცა სიტკბოებაჲ. დამკსნელ, არამედ ორკერძოვე უზომოებისაგან შორს-ყოფაჲ და ორისაჲვე წესისაებრ და ჟამისა კმარებაჲ, ვითარცა სოლომონ იტყჳს, ყოვლისა საქმისა ჟამსა.

65. არამედ რაჲ არს ესე ყოველი სიტყუათა მისთა სიმტკიცესა და ძალსა თანა და სწავლისა მისისა ბრწყინვალებასა, რომელმან ყოველი სოფელი მოიმოწაფა? ჯერეთ ჩუენ ქუე ძირსა თანა მთისასა ვიქცევით საქმეთა მისთაჲსა და თავისაგან ფრიად ვშორავთ სიტყჳთა ამით ჩუენითა, ჯერეთ მცირესა წყაროსა წიაღვალთ მისთა დიდებულებათასა და დიდი იგი ზღუაჲ და უფსკრული დაგჳტეობიეს, რამეთუ არა უწყი, თუ რასა მივამსგავსო კმაჲ მისი, გარნა, თუ სადა ყოფილ არს, ანუ იქმნას ნესტჳ, რომლისა კმაჲ ჰაერთა განჰვლიდეს და ზეცად მიიწეოდის, გინა თუ კმაჲ ღმრთისაჲ, დამპყრობელი ყოვლისა სოფლისაჲ, ანუ ძრვაჲ სასტიკი საფუძველთა ყოვლისათა, იგი იყოს კმაჲ მისი. ესრეთ დაგჳტევნა ყოველნი ქუე და წარგუკდა, რაზომ ჩუენ ბუნებასა პირუტყუთასა, რამეთუ ვინ წმიდა-ყო ესრეთ თავი თჳსი შემწყნარებელად სულისა წმიდისა და ღირსად მეტყველებად საქმეთა მათ ღმრთისათა? ანუ ვინ განათლდა უფროჲს მისა ნათლითა მეცნიერებისაჲთა და შთაიხედნა სიღრმეთა მათ სულისა წმიდისათა და ღმრთისა მიერ საქმენი იგი ღმრთისანი გამოიძინა? ანუ ვინ მოიგო სიტყუაჲ ესრეთ კეთილად გამომთარგმანებელი მიწთომილთა მათ, რაჲთა არცა ერთითა ნაკლულევან იყოს, რაჲთამცა ანუ გონებაჲ აქუნდა არა შემკობილი სიტყჳთა. ანუ სიტყუაჲ არა გონიერი, არამედ ორკერძოვე შუენიერ იყო და თჳთვე ოდენ სწორი და მსგავსი თავისა თჳსისაჲ და ჭეშმარიტად სრული? რამეთუ ყოველსავე გამოეძიებს სული წმიდაჲ სიღრმესა ღმრთისასა, ვითარცა იტყჳს წერილი, არა თუ, რამეთუ არა უწყის, არამედ რამეთუ ბუნებით იქცევის და იშუებს მათ შინა. ხოლო მან გამოიძია სიღრმჱ იგი სულისა წმიდისაჲ, რაჲზომი-იგი მან მოანიჭა დიდად და უფროჲს სხუათასა, რომლისა მიერ ყოველი წესი შემკობილ და კეთილ-ყო და ყოველთა

მაღალი იგი გულისკმის-ყოფაჲ ასწავა და სოფლისა ამისგან განიყ-ვანნა და საუკუნოდ მიცვალნა.

66. ვითარცა-იგი დავითის მიერ იქების მზისა სიკეთეს და სიდიდე, მალიად სლვაჲ და ძალი, რომელი ბრწყინავს, ვითარცა სიძს, ძლიერ არს, ვითარცა გმირი, რომელი ყოველსავე ადგილსა სწორად არს და არა მოაკლდების სიშორითა მით ნათელსა და სიტფოსა ხოლო ამისა სიკეთს და სათნოებაჲ არს და სიდიდე — ღმრთისმეტყველებაჲ და სრბაჲ სამარადისოჲ იგი სლვაჲ გონებისა მისისაჲ და ღმრთისა აღმაღლებაჲ და ძალ მის — დათესვაჲ იგი და განყოფაჲ სიტყჳსაჲ. და მე ამისაცა თქუმად მისთჳს არა უდებ ვიქმნე, ვითარმედ ყოველსა ქუეყანასა განჴდა ჴმაჲ მისი და კიდეთა სოფლისათა — სიტყუათა მისთა ძალი, რომელი-ესე მოციქულთათჳს პავლე თქუა დავითის მიერ მოღებითა, რამეთუ დღეს ვინ, ანუ რაჲ არს სხუაჲ კრებათა სიხარულისაჲ, არა იგია? ანუ ვინ არს ტაბლათა სანოვაგე, ანუ მგალობელთა საგალობელ, ანუ მონაზონთა მხიარულება, გინა თუ ერისკაცთა სადიდებელ? ვინ არს მარტოდმყოფთა დღეს ნუგეშინის-მცემელ, ანუ სიმრავლისა საქებელ? ვინ არს მდიდართაცა და გლახ-აკთა სიხარულ? ვინ არს აწ პირთა შინა გარეგანთაცა ფილოსოფოს-თა და ჩუენთასაცა? ერთად არს ყოველთა ზედა და ყოველთა შორის დიდება და საქებელ — მისნი თქუმულნი, დაწერილნი და ნამუშაკევნი იგი მისისა გონებისანი. არცა მწიგნობართაჲ არს სხუაჲ რაჲმე სიმდიდრს და დიდება, გარნა მისნი ებისტოლენი. და დადუმებულ არს ძუელი ყოველივე, რაჲცა ვის აღწერასა შინა სწავლათა და წიგნთასა უშრომიეს, ყოველივე მისი იქადაგების და იგი შერაცხილ არს აწ დიდად და ბრძნად სიტყჳთა და სწავლულად, რომელმანცა მისნი თქუმულნი იცნოდის კეთილად უფროჲს სხუათაჲსა და აღ-მოიტყოდის მათ პირით თჳსით და განანათლებდეს სასმენელსა სხუ-ათასა, რამეთუ ჴმა იქმნა ერთი ესე კაცი მრავალთა მათ წილ სწავლად და განბრძნობად ყოველთა.

67. ხოლო მე ესე ოდენ ვთქუა მისი, რაჟამს „ექუსთა დღეთაჲ“ მისი ჴელად მივიღო და აღმოვიკითხვიდე, დამბადებელსა თანა მივალ და გულისკმა-ვჰყოფ სიტყუათა მათ დაბადებისათა და განვკვირდები

სიბრძნესა მას ზედა შემოქმედისასა უფროჲს ვიდრეცა პირველ, რაჟამს თუალითა ოდენ ჩემითა ვხედევდი საქმეთა მისთა. რაჟამს მწვალებელთა წინააღდგომანი მისნი აღვიხუნე და სიტყუათა მათ ძალსა გულისკმა-ვჰყოფდე, ვიხილავ სოდომელთა ცეცხლსა, რომლითა შეიწუვიან ენანი უკეთურნი და ბოროტნი, ანუ ხალანისა გოდოლსა (დაბ. 11,4), ბოროტად აღშენებულსა და კეთილად დარღუეულსა, რაჟამს სულისა წმიდისათჳს თქუმულნი მისნი ვპოვნე, ვჰპოებ ღმერთსა მას, რომელი ღმერთადცა მაქუს და კადნიერ ვიქმნები ჭეშმარიტებასა ზედა, რამეთუ აღვკდები მისსა მას ღმრთისმეტყუელებასა და გულისკმის-ყოფასა ზედა, ვითარცა გოდოლსა მტკიცესა, და არღარა მეშინის წინააღმდგომთაგან.

რაჟამს სხუათა მათ თარგმანებათა მისთა მივემთხჳ, რომელნი მან უმეცართათჳს სამწილად დაწერნა მტკიცეთა მათ ფიცართა ზედა გულისა მისისათა, ვისწავლი არა სიტყუათა მათ შინა ოდენ წერილისათა დადგომად, არცა ზეცას ოდენ ხედვად, არამედ შინაგანცა შესლვად და სიღრმედ მისლვად სიღრმით და უფსკრულით უფსკრულსა ხდად და ნათლითა ნათელსა ვჰპოებ, ვიდრე მივეწიო სრულსა მას. რაჟამს მოწამეთა შესხმათა მისთა ვიკითხვიდე, შეურაცხვჰყოფ ჯორცთა და შევერთვი ქებულთა მათ თანა და ღუაწლისა მიმართ უშიშ ვიქმნები, რაჟამს სწავლათა მისთა და მონაზონებისა წესთა მივემთხჳ, განვწმდები სულით და ჯორცით და ტაძარ ღმრთისა შემწყნარებელ ვიქმნები და ორღანო ცემულ სულისა მიერ წმიდისა და საღმრთოჲსა ძალისა და დიდებისა მგალობელ, სიტყუათა მიმართ მისთა შევიცვალები და სხუაჲ სხჳსა წილ ვიქმნები განახლებული საღმრთოჲთა მით განახლებითა.

68. ხოლო უდიდესი იგი ვთქუა, რომელი პირველ სხუათაჲსა ჯერ-იყო თქუმად. რაჟამს წმიდად საკურთხეველად აღვკდე და ჟამისწირვაჲ მისი ჯელად მივიღო, დამავიწყდების სრულიად თავი ჩემი და აღვიტაცები გონებით და თაყუანის-ვსცემ სულსა მას წმიდასა, რომელმან მისი იგი გონებაჲ და პირნი ესევითართა გამომეტყუელყო, რამეთუ მან ითხოვა ესე ღმრთისაგან, რაჲთა მოეცეს მადლი თჳსითა სიტყჳთა აღსრულებად წმიდისა ჟამისწირვისა და შეისმინა მისი ღმერთმან, რომელ-იგი ყოველსა ზედა უსმენდა. და, აჰა, ესერა,

დღესა ერთსა იქმნა განკურვებულ და სავსე სულითა წმიდითა და იწყო წერად ლოცვათა მათ მწუხრისა და ცისკრისათა, და მას ღამესა, ილოცვიდა რაჲ, განკურვებულ იქმნა. და, აჰა უფალი ჩვენი იესუ ქრისტე მოციქულთა თანა მოვიდა და ყო წინაშე მისა დაგებაჲ პატიოსნისა მის შესაწირვისაჲ და ჰრქუა მას: „აჰა, თხოვისაებრ შენისა მიმიცემიეს შენდა მადლი, რაჲთა შენ მიერ თქუმულითა სიტყჳთა აღასრულო უსისხლოჲ ესე მსხუერპლი, აღივსენ უკუე მადლითა პირი შენი“. და იწყო მან მეყსეულად თქუმად ლოცვათა ჟამისწირვისათა, ვითარცა-იგი იხილეს ორთაცა მღდელთა სარწმუნოთა, რომელნი მას ჟამსა განგებულებამან ღმრთისამან მიიყვანნა ეკლესიად სახლით თჳსით. და იხილეს იგი მდგომარე წინაშე საკურთხეველისა და ერნი ნათლისანი გარემო მისა, ვიდრემდის აღამაღლა პური იგი წმიდაჲ და აღასრულა წმიდაჲ ჟამისწირვაჲ. ხოლო გამოვიდა რაჲ საკურთხეველით, იხილა მღდელნი იგი შეძრწუნებულნი, რომელნი დავარდეს წინაშე მისა, და მან ჰკითხა მიზეზი მას ჟამსა, მუნ მისლვისა მათისაჲ. ხოლო მათ მიუთხრეს მას ყოველივე, რაჲ იხილეს. მაშინ აიძულა თხრობად მათდა საქმჱ იგი და ესრეთ ჰმადლობდეს ღმერთსა. ხოლო ხვალისა დღე შევიდა რაჲ ჟამისწირვად, აჰა, ჰურიამან ვინმე ინება განცდად სახესა მას ჟამისწირვისასა და იხილა ყრმაჲ შუენიერი ჴელთა ბასილისთა, რომელი მან დაკლა და სისხლი მისი შთაუცარიელა ბარძიმსა, და ჴორცი მისი დაჭრა და დააგო წმიდასა ფეშხუმსა და ყრმაჲ იგი იყო მრთელვე, ვითარცა პირველ და, ეზიარებოდა რაჲ ერი, მივიდა იგიცა ზიარებად. და მიეცა მას ჴორცი და სისხლი. და არა იყო სახჱ პურისაჲ და დაჰმარხა მისგან ნაწილი და მიართუა ჩუენებად მეუღლისა თჳსისა, რომლისთჳსცა ჰრწმენა მათ და მოუკდეს ნეტარსა მას და მიიღეს მის მიერ წმიდაჲ ნათლისღებაჲ!. ესრეთ ყოველივე კეთილი მის მიერ სრულ იქმნა და ყოვლითავე სავსე იყო, რომელ არცა ერთისაგან წმიდათაგანისა ნაკლულევან იქმნა და უცხო, არამედ რომელთამე წარჰკდა და რომელთამე შეესწორა და რომელთამე მიემსგავსა.

70. რამეთუ მოვედით, ვიხილნეთ მრავალნი იგი ღმრთისმსახურებასა ზედა გამოჩინებულნი კაცნი: რჩულისმდებელნი, წინაწარმეტყველნი, ერისთავნი, მოძღუარნი, მოღუაწენი სისხლთა

დათხევადმდე და ვიხილოთ, თუ ვითარ მიემსგავსა მათ ესე ნეტარი, რაჲთა ესრეთ ვცნათ სიდიდე მისი.

ადამ ღირს იქმნა ჴელითა ღმრთისაჲთა დაბადებასა და სამოთხისა საშუებელსა და პირველსა რჩულისდებასა, არამედ თუ ოდენ არა არს სიტყუაჲ ესე ჩემი უჯერო, სირცხჳლისათჳს პირველისა მის მამისა მცნებაჲ იგი არა დაიცვა, ხოლო ამან მიიღო მცნებაჲ და დაიმარხა, და ძელისა მისგან საცნაურისა არა ევნო, და იქცევისსა მის ცეცხლისა მახჳლსა თანაწარჰჴდა და საშუებელსა მას საუკუნესა უეჭუელად მიემთხჳა.

ენოს ესვიდა პირველ წოდებად სახელსა უფლისასა, ხოლო ამან უწოდაცა და სხუათაცა უქადაგა, რომელი-ესე წოდებისა ფრიად უზეშთაეს არს. ენუქ მიიცვალა, რამეთუ მისისა მის ღმრთისმსახურებისა სასყიდლად მიიღო მიცვალებაჲ, აჩრდილსა შინა რაჲ იყოღა სარწმუნოებაჲ და შემდგომისა მის ჟამისა ღელვასა განერა.

ხოლო ამისა ცხორებაჲ ყოველივე მიცვალება იყო სრულად, სრულსა მას ცხორებასა შინა გამოცდილი. ნოეს კიდობანი ერწმუნა და თესლები მეორისა სოფლისაჲ, შეშასა შინა მცირესა დამკჳდრებულნი და წყალთა ზედა მცურვალნი, ხოლო ესე წყლით-რღუნასა უღმრთოებისასა განერა და კიდობანად ცხორებისა ყო თჳსი იგი ქალაქი სუბუქად წვალებისა ზღუასა ზედა მცურვალად და არა დანთქმულად, რომლისა მიერ ყოველსა სოფელსა მოუწოდა.

71. დიდ არს აბრაჰამ მამათმთავარი და შემწირველი ახლისა მის შესაწირავისაჲ, რომელსა მომცემელისა მის შესწირვიდა მსხუერპლად განმზადებულად, არამედ არცა ამისი მცირე არს, რამეთუ თავი თჳსი შეწირა ღმრთისა და არარაჲ, ვითარცა ნაცვალი, მოეცა, რამეთუ რაჲმცა იყო სხუაჲ, რომლისა მიერმცა აღესრულა მსხუერპლი იგი?

ისაკ აღთქუმულ იქმნა უწინარეს შობისა, ხოლო ესე თჳთ აღთქუმულ იყო და რებეკა, რომელ არს ეკლესიაჲ, არა შორით, არამედ მახლობელად მიითუალა, არცა მეოხებითა მონისაჲთა, არამედ ღმრთისა მიერ მოცემული და რწმუნებული, არცა შეცთომილ იქმნა გამორჩევასა მას შვილთასა, არამედ თითოეულსა ღირსებისაებრ მისცა ძალითა სულისა წმიდისაჲთა. ვაქებ იაკობის კიბესა მას და

ძეგლსა. რომელსა სცხო ღმრთისათჳს და რკინობასა მისსა, რომელიგი იყო, ვითარ ვჰგონებ, სახᲗ შეერთებისა ღმრთისაᲲ კაცთა თანა და მდაბლისა ამის ბუნებისაᲲ მაღალსა მას თანა შეზავებისაᲲ და ვაქებ ჴელოვნებით მწყემსობასა მისსა და განმარჯუებულებასა და მისგან გამოსრულთა მათ ათორმეტთა მამათმთავართა და განყოფასა მას კურთხევათასა წინაწარმეტყველებითურთ.

არამედ ვაქებ ამისსაცა არა ხილულსა ოდენ, არამედ აღსრულსა მას კიბესა, რომელსა აღვიდა წარმართებითა სათნოებითი სათნოებად და ძეგლი იგი, რომელსა არა სცხო ოდენ, არამედ აღუმართა ღმერთსა განსაქიქებელად ურჩულოთა და რკინობასა, რომელი არა ღმრთისა მიმართ ქმნა, არამედ ღმრთისათჳს ერკინა მწვალებელთა და აღუდგომელად დასცნა და მწყემსობასა მისსა, რომლითა განმდიდრდა. რამეთუ მრავალნი მოიგნა ცხოვარნი არა პირუტყუნი, არამედ პირმეტყველნი და კეთილსა მას შვილმრავლებასა, რომელნი იშვნეს ღმრთისა მიერ წმიდითა ნათლის-ღებითა მისგან და კურთხევასა მას, რომლითა მრავალნი განამტკიცნა.

72. იოსებ იქმნა პურისმცემელ არამედ ეგჳპტისა ოდენ და არა მრავალგზის და ჴორციელად, ხოლო ესე ყოველთა და მარადის და სულიერად, რომელი მე მისსა უპატიოსნესად მაქუს. იობს თანა ავსიტელსა გამოიცადა და სძლო და ბრწყინვალე იქმნა, რომელი არცა ერთისაგან მრავალთა მათ შემარყეველთაᲲსა შეირყია, არამედ ფრიადითა ძლიერებითა სძლო გამომცდელსა მას და უგუნურებასა მას მეგობართასა პირი დაუყო, რომელთა არა უწყოდეს ვნებისა მისისა საიდუმლოᲲ. მოსე და აჰრონ მღვდელთა შორის მისთა და დიდ არს მოსე, მტანჯველი ეგჳპტისაᲲ და მჴსნელი ერისაᲲ მის ნიშებითა და სასწაულითა, რომელი შინაგან ღრუბელსა შევიდა და ორკეცი იგი რჩული გამოიღო, გარეგანი იგი წიგნისაᲲ და შინაგან სულისაᲲ, და აჰრონ, მოსეს ძმაᲲ ჴორცითა და სულითაცა, ერისათჳს შემწირველი მსხუერპლებისაᲲ და მლოცველი, შემავალი წმიდასა მას კარავსა საწამებელსა, რომელი ქმნა უფალმან და არა კაცმან.

ხოლო იგი ამათ ორთავე მოშურნე იქმნა, რომელმან ტანჯა არა ჴორციელთა ტანჯვითა, არამედ სულიერითა და სიტყჳერითა, ნათე-

სავი იგი მწვალებელი და მეგუპტელი, და წინაუძღოდა ერსა მას ჭეშმარიტსა მოშურნესა კეთილსა საქმეთასა, რომელნი შეიყვანნა ქუეყანად ალთქუმისა, ხოლო რჩული დაწერა ფიცართა ზედა, არა შემუსრვადთა, არამედ მტკიცეთა, არღარა აჩრდილის სახსა, არამედ ყოვლითურთ სულიერი და წმიდასა წმიდათასა არა ერთგზის წელიწადსა შინა, არამედ მარადღე შემავალ იყო, ვინაჲცა წმიდასა სამებასა გუჩუენნებდა და ერსა განსწმედდა არა წარმავალითა პკურებითა, არამედ ჭეშმარიტითა განწმედითა. ისუს კუალად ძისა ნაესი საქმჱ რაჲ არს კეთილი, ერისთავობაჲ და ძლევაჲ და მკუდრობისა მიცემაჲ და დაპყრობაჲ ქუეყანისა მის ალთქუმისაჲ. ხოლო ესე არა წინამძღუარი და ერისთავი იყოა სარწმუნოებით ცხოვნებულთაჲ, ანუ არა დამამკუდრებელ იქმნაა სამკუდრებელთა მათ კეთილთა და საღმრთოთაჲ? რაჲთა თქუას, ვითარმედ: „წილ-მხუდა მე რჩეულთა შენთა თანა“, რამეთუ სამკუდრებელი ჩემი მტკიცე არს ჩემდა და კელთა შინა ჩემთა არს მკუდრობაჲ ჩემი“, მკუდრობაჲ არა ქუეყანისაჲ და წარმავალი, არამედ საუკუნოჲ და ზეცისაჲ.

73. და, რაჲთა მსაჯულთა მათ თანაწარვჰკდეთ, რომელთაგანი არცა ერთი არს მსგავს ამისა, ვთქუა სხუათათუს. „სამოელ მათ თანა, რომელნი ხადიან სახელსა წმიდასა მისსა“ — მიცემული უწინარეს შობისა და შემდგომად შობისა მეყსეულად მღდელ და მცხებელ მეფეთა და მღდელთა რქითა მით, ხოლო ესე არა შობითგან ღმრთისა შეწირული არსა საშოჲთგან დედისაჲთ და ორკეცითურთ მიცემული საკურთხეველად და მხილველ ზეცისა საქმეთა და ცხებული უფლისაჲ და მცხებელი სულიერად სრულ-ყოფადთაჲ მათ?

დავით დიდ იქმნა მეფეთა შორის, რომლისა ძლევანი მტერთანი დიდ არიან და უფროჲს ყოვლისა არს სიმშუდე მისი და უწინარეს მეფობისა და კუალად ძალი იგი ქნარისაჲ, სულისა ბოროტისა დამაყუდებელი, და სოლომონ კუალად სივრცჱ გულისაჲ ითხოვა ღმრთისაგან და მოეცა, და გარდაემატა სიბრძნითა და გულისკმისყოფითა უფროჲს ყოველთა. ხოლო ესე ერთისა მის სიმშუდისაგან და მეორისა მის სიბრძნისაგან არარაჲთა ნაკლულევან იქმნა. ვიდრეცა მეფეთა ეშმაკეულთა სიფიცხლესა დაამშუდებდა. და არა სამხრისა ოდენ დედოფალი, ანუ სხუაჲ ვინმე ერთი სურვილისათუს სიბრძნისა

მისისა მოიყვანა კიდით ქუეყანისაჲთ, არამედ ყოველთა კიდეთა განისმა სიბრძნჱ მისი. და შემდგომად ამისა სოლომონის საქმესა თანაწარვჰჯდე, გარნა ყოველთა მიერ საცნაურ არს, დაღაცათუ ჩუენ ვერიდებით თქუმად.

74. აქება ელიაჲს მძლავრთა მიმართ კადნიერებასა და ცეცხლისა მიერ აღტაცებასა და ელისეს კეთილსა მას მკჳდრობასა ხალენისასა, რომლისა თანა მრჩობლი იგი ელიაჲს სული შეუდგა? აქებდ უკუე მისსაცა ცეცხლსა შინა ცხორებასა, რომელ არს სიმრავლჱ განსაცდელთაჲ, და ცეცხლისა მიერ ამაღლებასა, რომელი სწუვიდა და არა დასწუვიდა მსგავსად მაყულისა, და კეთილსა მას ზეცით მოცემულსა სამოსელსა, რომელ არს უკორცობაჲ. დაუტევნე სხუანი იგი სახენი მისნი; ცეცხლსა შინა შეცურეულნი იგი ყრმანი და მუცელსა შინა ვეშაპისასა მლოცველი წინაწარმეტყუელი იგი ლტოლვილი, და ვითარცა სასძლოჲთ მიერ გამოსრული და მღჳმესა შინა შეწყუდეული იგი მართალი და ლომთა პირისა დამყოფელი, გინა თუ შჳდთა მათ მაკაბელთა ღუაწლი მღდელსა მას თანა და დედასა თჳსსა, აღსრულებული სისხლითა და მრავლითა სახითა სატანჯველთაჲთა, რომელთაცა ღუაწლსა ამათ ყოველთასა მიემსგავსა და დიდებაჲცა მათი მიიღო არამედ მე ახლისა ამის რჩულისა მომართ მოვიდე და ამას შინა გამობრწყინვებულთა თანა გამოვიძიო საქმჱ მისი და პატივ-ვსცე მოწაფესა მოძღურისა მიერთაცა, სანთელი სათლისაჲ, რომლისა წინაშე ჰკრთებოდა საშოსა შინა დედისასა და წინა წარვიდა ჯოჯოხეთს ჰეროდეს მიერ უკეთურისა, რაჲთა მუნცა ქადაგოს მომავალი იგი, ხოლო დაღაცათუ ვის კადნიერება უჩნდეს სიტყუაჲ ესე, რომელ მის თანა ვჰყოფ გამოძიებასა, არამედ მე არა თუ მნებავს, რაჲთამცა უმეტესად გამოვაჩინე ესე უზეშთაესისა მის ნაშობთა შორის დედათაჲსა, არამედ რაჲთა გიჩუენო, ვითარ ეშურებოდა და ჰბაძვიდა ცხორებასა მისსა, რამეთუ არა მცირე არს მცირედცა მიბაძვაჲ დიდთა კაცთაჲ ანუ არა საცნაური სახე არსა და ხატ მისისა ცხორებისა კაცი ესე? რამეთუ ამანცა უდაბნოჲ დაიმკჳდრა და ამასცა სტევისა სამოსელი ემოსის უცნაური მრავალთაგან და ამანცა მისებრივე საზრდელი შეიყუარა და განწმიდა წინაშე ღმრთისა თავი თჳსი მარხვისა მიერ. და ესეცა ქადაგ ქრისტე-

სა იქმნა, დაღაცათუ არა წინამორბედ და მივიდოდეს მისა არა ჰურიასტანისა სოფელი ოდენ, არამედ ყოვლით ქუეყანით. და ესეცა შორის ორთა მათ რჩულთასა დგა: ერთისა მის წიგნისა დაკსნად და მეორისა სულისა გამოცხადებად. ხოლო ხილულისა მის რჩულისა დაკსნაჲ იყო უხილავისა მის აღსრულებაჲ.

76. მიემსგავსა პეტრეს შურსა, პავლეს მოსწრაფებასა. სახელოვანთა ამათ და სახელითა შეცვალებულთა ძეთა ზებედესთა კმამაღლობასა, ყოველთა მათ მოციქულთა უპოვრებასა. ამასთჳსცა კლიტენი ზეცისანი ერწმუნნეს და არა იერუსალიმით ილირიკედმდე, არამედ ფრიად უდიდესთა ქუეყანათა ქადაგა სახარებაჲ და შემოიკრიბნა მის თანა და ძედ ქუხილისა დაღაცათუ არა ეწოდა, არამედ იქმნა და მკერდსა იესუჲსსა მიეყრდნა და მუნით აღმოივსო ძალი სიტყჳსაჲ და სიღრმე გულისკმის-ყოფისაჲ. რამეთუ სტეფანე ყოფად სურვიელ იყო, გარნა ვერ იქმნა ცხადად. რამეთუ ეშინოდა მისგან მქოლველთა მათ, ხოლო გონებითა იქმნა, უეჭველად ვთქუა მოკლედ, რაჲთა არა თითოეულსა ვაკსენებდე, ვითარმედ მან რომელთაჲმე კეთილნი მოიგნა და რომელთამე ემსგავსა და რომელთამე წარჰკდა, ხოლო ყოველთავე სათნოებათა ზედა მიწევნითა აწინდელთა ყოველთა წარჰკდა.

77. და ესეზომ იქმნა სათნოებაჲ მისი და დიდებულებაჲ რომელ მრავალნი მისთა მათ მცირეთა და ჯორციელთა სამეთაგანნი სხუათა მიერ დიდად სასწრაფო არს. ვითარ-იგი იყო სიყჳთლს ფერისაჲ და წუერისა მის შუენიერებაჲ და სახს სლვისა მისისაჲ და სიტყჳსა მიმართ არაადრეობაჲ, მჭმუნვარებაჲ გონიერი და ჯეროვანი, რომლისა მრავალნი არაკეთილად ეშურნეს და მწუხარებად შეექმნა მათ და სიფიცხლედ და კუალად სახს სამოსლისა და სარეცელისაჲ და ჭამადისა მისისა გუარი, რომელთაგანი არცა ერთი იყო მის მიერ ჭირითა რაჲთმე მოპოვნებულ, არამედ თჳთ თავით თჳსით ესრეთ იყო საქმს მისი, და აწინდელთა ამათ კაცთა შორის, რომელთა ინებონ ბაძვაჲ მისი, არცა თუ ესეზომ მიემსგავსნენ, რაჲზომ აჩრდილი ჰგავს კაცსა, ანუ რაჲზომ კმაჲ იგი უკუანაჲსკნელი ხმისაჲ, რაჟამს აღმოიღის კმაჲ ვინ უდაბნოსა ადგილსა და, იგი რაჲ დადუმნის, კმისა მის დასასრული კმობნ უდაბნოსა მას შინა, რამეთუ იგი

დაღაცათუ აღსასრული არს ჯმისაჲ, გარნა მისივე სახსჰ აქუს. ხოლო ესენი ფრიად არა ჰგვანან მას, არამედ, რაჲზომცა მიახლებად სურინ, შორს იპოვნიან. ხოლო ესეცა არა მცირე არს, უკუეთუ ვინ მის თანა ყოფილ იყოს და აკსონდინ ოდენ მისნი იგი სიტყუანი და საქმენი, რომელ-ესე მეცა მრავალგზის შევამკვე სიტყუაჲ ჩემი და საქმჰ მისითა სიტყუთა, რამეთუ გარეწარნიცა საქმენი მისნი სხუათა მიერ შრომით მოგებულთაჲსა უპატიოსნეს არიან ფრიად და დიდებულ.

78. ვინაჲთგან უკუე სრბაჲ აღასრულა და სარწმუნოებაჲ დაიცვა და მიცვალებად სურვიელ იყო და ჟამი გჳრგჳნოსნებისაჲ — მოწევნულ. ესე არა ესმა ღმრთისა მიერ, ვითარმედ: „მთად აღვედ და აღესრულე“, არამედ: „აღესრულეო და აღმოვედ ჩემდა მომართ“. ხოლო მაშინ ქმნა საკჳრველი არა უდარესი სხუათა მათ საქმეთა მისთა, რამეთუ მიახლებულ იყო სიკუდილსა და მოიყვანა ჰურიაჲ იგი მკურნალი იოსებ, რომელი ჴელოვნებითა მისითა განამტკიცებდა არღარა მიწევნასა მისსა მწუხრადმდე. ხოლო მან მოჰკადა მას სიტყუაჲ, თუ რაჲძი მოიწიოს მის ზედა, არა თუ იქმნას სიტყუაჲ მისი და იგი იტყოდა, ვითარმედ: „სიკუდილითა დავისაჯო. არა თუ ესრეთ იყოს, გარნა შეუძლებელ არს, თუმცა დღეს, უწინარეს მზისა აღსლვისა, არა აღივსო მზჰ კესარიისაჲ“. ხოლო იგი ეტყოდა, ვითარმედ: „მოჰკუდე შენ ცოდვისაგან და სცხონდე სულითა“. და იგი აღუთქუმიდა ესრეთ ყოფად, რამეთუ ფრიად ვთქუა მისდა სიტყუაჲ იგი ქრისტეანობისაჲ, და მარადის ეტყჳნ: „გრწმენინ, იოსებ, არა წარვიდე მე ამიერ, არა თუ გშვეს შენ უფალმან წყლისა მიერ და სულისა“. ხოლო მას ღამესა ნებისაებრ მისისა არა წარიყვანა ღმერთმან და ხვალისა დღე იხილა იგი მკურნალმან მან განკჳრვებულმან და მიერითგან შეუვრდა ფერჴთა მისთა და მოიქცა უფლისა. ხოლო იგი, რომლისა ძალი ჴორცთაჲ სრულიად წარსრულ იყო, კუალად განძლიერდა სწავლად მისდა და ყოველთადა, რაჲთა ესრეთ სიტყუათა მათ თანა სიწმიდისათა წარვიდეს და ნათელ-სცა მას ჴელითა თჳსითა სახლეულითურთ მისით და უწოდა იოანე და ყო სხუათაცა მღდელთა და დიაკონთა კურთხევაჲ, რაჲთა არა დარჩენ მოწაფენი მისნი ესრეთ გარეგან საკურთხეველისა. და ესრეთ შემდგომად ამისა რაჲღა ვთქუა, რამეთუ თქუდამცა მძიმედ მიჩნს, გარნა ვთქუავე,

დაღაცათუ სხუათა უკმდა ამის სიტყჳსა თქუმად და არა მე. რამეთუ ვერ მოვითმენ საქმესა ამას შინა, დაღაცათუ ფრიად ვისწრაფე მოთმინებად, რაჟამს მოვიკსენო სიობლე ესე ყოველთაჲ და დაჭირვებაჲ, რომელი მოიწია ყოველსა ზედა სოფელსა.

79. იყო მდებარე სარეცელსა ზედა კაცი იგი, სათნოებითა ანგელოზქმნილი კორცთავე შინა, და დგა უკუანაჲსკნელსა ზედა სულთქუმასა და ზეცისა მკედრობანი სურვიელად მიელოდეს მას და ეძიებდეს, რომელთა მიმართ მარადის ხედვიდა და მიისწრაფდა. ხოლო მოხუეულ იყო გარემო ყოველი იგი ქალაქი, რომელნი სიობლესა მას ვერ თავს-იდებდეს და წარსლვასა მას ეშჯოდეს, ვითარცა მძლავრსა, და სულსა მისსა შეიპყრობდეს, თუმცა შესაძლებელ იყო იძულებით დაჭირვაჲ მისი, ანუ კელითა, ანუ ვედრებითა, რამეთუ მიულებდა მათ გონებასა ვნებაჲ იგი. და თითოეული გულსმოდგინე იყო, შე-თუ-მცა-უძლო ცხორებისა თჳსისა ჟამთა მისდა შეძინებად.

ვინაჲთგან უკუე იძლინეს და უკმდა მას შესუმაჲ სასუმლისაჲ მის, რამეთუ კაცი იყო. ამისთჳს უკუანაჲსნელდ თქუა, ვითარმედ: „კელთა შენთა, უფალო, შევჰვედრებ სულსა ჩემსა“ და ესრეთ ანგელოზთმთავართა მათ მისდა მოსრულთა თანა მივიდა სიხარულითა დიდითა, კურთხევითა მისთა მათ შვილთაჲთა. მაშინ უკუე იქმნა საკჳრველი ყოველთა უდიდებულესი.

80. რამეთუ გან-რაჲ-ვიდოდა გუამი იგი წმიდაჲ კელთა ზედა წმიდათა აღმაღლებული და მოსწრაფე იყო თითოეული შეხებად მისდა, ანუ თუ ფესუსა სამოსლისა მისისასა, ანუ თუ აჩრდილსა ქუეშე მისსა შესლვად, ანუ წმიდასა მას ცხედარსა შეხებად, რომელსა ზედა იყო წმიდაჲ იგი, რამეთუ რაჲმცა იყო გუამისა მის მისისა უპატიოსნესი და უწმიდესი და რომელნიმე ისწრაფდეს მახლობელ მტჳრთველთა მათ სლვად, რომელნიმე — რაჲთამცა ოდენ იხილეს იგი, რამეთუ ხილვაჲცა მისი დიდ იყო.

80 ა. მაშინ უკუე მოიწია დედაკაცი იგი, რომელსა აღეწერნეს ცოდვანი მისნი ქარტასა ზედა და მიეცა მისდა, ვიდრეღა ჩუენ თანა იყო, და შესტიროდა აღკოცად მათ ყოველთა განუკსნელად ბეჭდისა მის მისისა, რომლითა დაებეჭდა ქარტაჲ იგი. ხოლო მან აღუკოცა ყოველივე, თჳნიერ ერთისა მის დიდისა, რაჲთა ამასცა ზედა გამო-

აჩინოს ღმერთმან საკჳრველებაჲ მისი და ნეტარსა მას წარევლინა იგი დიდისა ეფრემის თანა, ვითარმცა თჳთ ვერ ეძლო საქმისა მის ქმნად. ხოლო ნეტარსა ეფრემსა ერქუა მისდა, რაჲთა მისავე მიიწიოს მსწრაფლ, უწინარეს წარსლვისა მისისა, რამეთუ ვერ ვის ძალ-უც სხუასა აკოცად იგი. და მას ოდენ ჟამსა მოიწია და იწყო კმობად და გოდებად და სარჩლად მისა, ვითარცა ცხოველისა და რომელი ჭუშმარიტად ცხოველ არს წინაშე ღმრთისა, ვითარმედ: „საჯენ ღმერთმან შორის შენსა და ჩემსა, ჰოი წმიდაო, რამეთუ ძალ-გედვა აკოცად ბოროტთა ჩემდა და არა ინებე, არამედ სხუათა თანა წარმავლინე". და სხუათა მრავალთა სიტყუათა გოდებით იტყოდა და ქარტაჲ იგი დააგდო მის ზედა და უთხრობდა ერსა ყოველსა მას საკჳრველებასა, რომელი ქმნა მის ზედა და თუ ვითარ ერთი იგი დაუტევა.

ხოლო ერთმან თანამავალთა მღდელთაგანმან აღიღო ქარტაჲ იგი ნახვად, თუ რაჲ არს ცოდვაჲ იგი და, განაღო რაჲ, პოვა იგი ყოვლითურთ ახოცილი და კმა-ყო და თქუა, ვითარმედ: „აკოცილ არს ესე მეოხებითა ამისითა, რომელსაცა ევედრები, ჰოი დედაკაცო, აწ უკუე ნულარა ჰღაღადებ". ესრეთ ადიდეს ყოველთა ღმერთი, და წარვიდა დედაკაციცა იგი სიხარულით.

ხოლო ერი იგი შეაიწრებდა ცხედარსა მას და ურთიერთას, რამეთუ სავსე იყვნეს უბანნი და ფოლოცნი, რომელნი წარჰგზავნიდეს მას და კმასა მას გალობისასა დაჰფარვიდა კმაჲ იგი გლოვისაჲ. მოსწრაფე იყვნეს ყოველნი ზოგად ქრისტეანენი, ჰურიანი, წარმართნი, ყოველი ჰასაკი და ყოველი ნათესავი მუნ მყოფი თითოეული. რომელმცა უფროჲს მიეახლა ამას. უკუანაჲსკნელდ განსაცდელადცა მიიწია საქმჱ იგი, რამეთუ იწროებისა მისგან და ტენებისა წარვიდეს მის თანა სულნი არამცირედნი, რომელთაცა აღსასრული სანატრელ იქმნა, რამეთუ მის თანა წარვიდეს, რაჲთა მან მიიყვანნეს იგინი ღმრთისა.

ძლით უკუე განერა გუამი იგი მტაცებელთაგან მისთა და სძლო წარმგზავნელთა მათ იწროებასა და ესრეთ შევიდა სამარხოსა მამათასა. და მიემატა მღდელთა მღდელთმოძღუარი იგი დიდი, ქადაგთა — მაღალი იგი კმაჲ სიტყჳსა ღმრთისაჲ, რომელი მარადის ყურთა შინა

ჩემთა ოხრის, მოწამეთა — მოწამე იგი ღუაწლმრავალი და აწ არს იგი ცათა შინა და ჩუენთჳს ჰყოფს მეოხებასა, შესწირავს მსხუერპლთა და ილოცავს ერისათჳს, რამეთუ არა თუ, დაღაცათუ წარვიდა ჩუენგან, სრულიად დაუტევებიეთ, ხოლო გრიგოლ ნახევარმომკუდარ არს და ნახევარმოკუეთილ, რამეთუ განყოფილ არს დიდისა მისგან მეუღლებისა და ცხორებითა სალმობისაჲთა ცხორებს, ვითარ იგი იქმნების მისისა მის სწავლისაგან განყოფილთაჲ, რომლისა მიერ აწცა განვისწავლები ჩუენებითა ღამისაჲთა, უკუეთუ სადა გარეგან წესისა განვიდე.

და არა თუ მე ესრეთ გლოვასა აღვჰრევ შესხმასა თანა, დავსწერ მოქალაქობასა მას მისსა და დავსდებ სიგრძესა ჟამთასა ხატად და სახედ სათნოებისა ცხორებასა მისსა და წიგნად ცხონებისა — ეკლესიათა და ყოველთა სულთა, რომლისა ხედვითა წარემართებოდის ცხორებაჲ ჩუენი, ხოლო თქუენ სხუაჲმცა რაჲმე განგაზრახე, რომელნი-ეგე მის მიერ განათლებულ ხართ, გარნა მისა მიმართ მარადის ხედვაჲ და ვითარცა მხილველისა წინაშე სათნო-ყოფაჲ მისი აღსრულებითა სიტყუათა მისთაჲთა.

81. მოვედით უკუე, გარემომადეგით მე, ყოველი ეგე კრებული მისი, რომელნიცა საკურთხეველსა ზედა მდგომარენი ხართ და რავდენნი — გარეგანნი. შემეწიენით მე ქებად მისდა და თითოეული სხუასა და სხუასა კეთილთა მისთაგანსა იტყოდეთ, და ეძიებდით და აქებდით, საყდართა ზედა მჯდომარენო, რჩულისმდებელსა მას, მოქალაქენო, — განმანათლებელსა მას, ერნო, — წესიერმყოფელსა მას, სიბრძნისმოსწავლენო, — მოძღუარსა მას, ქალწულნო, — წმიდამყოფელსა მას, ქორწინებულნო, — პატიოსანმყოფელსა მას თქუენსა, მეუდაბნოენო, — ფრთოვანმყოფელსა მას თქუენსა, უსწავლელნო, — წინამძღუარსა მას, გულისკმისმყოფელნო, — ღმრთისმეტყუელსა მას, მხიარულებასა შინა მყოფნო, — აღჯრსა მას, ჭირვეულნო, — ნუგეშინის-მცემელსა მას, მოხუცებულნო, — კუერთხსა მას ძლიერებისასა, ჭაბუკნო, — მასწავლელსა მას, გლახაკნო, — განმამდიდრებელსა მას, უცხონო, — უცხოთა შემწყნარებელსა მას, ძმანო, — ძმათმოყუარესა მას, მდიდარნო, — კეთილსა მას განმგესა აქებდით, ქურივნო — ჴელისმპყრობელსა მას, ობოლნო, — კეთილსა მას მა-

მასა, გლახაკნო, — გლახაკთმოყუარესა მას, სნეულნო, — მკურნალსა მას, რომელიცა სენი იყოს და რომელიცა წამალი ვის ენებოს, მრთელნო, — მცველსა მას სიმრთელისასა, ყოველნივე აქებდით მას, რომელი-იგი ყოველთა ყოველივე ექმნა, რაჲთა შეიძინნეს ყოველნივე.

82. ესე სიტყუანი თქუმულ არიან, ჰოი ბასილი, შენდა მომართ ენისა ამისა მიერ, რომელი ოდესმე საყუარელ იყო შენდა და პატიოსან უკუეთუ ღირსებისა შენისა მახლობელ სადა არიან, შენდა იყავნ მადლი ესე, რამეთუ შენითა სასოებითა ვიწყო შენთჳს სიტყუად, უკუეთუ კულა ფრიად შორს არიან და მოუახლებელ, რაჲმე ვყო, რომელი-ესე სიბერითა და უძლურებითა და შენითა სურვილითა განლეულ ვარ? მო-მცა-მცა ვინ შენისა პირისა მდიდრად აღმომდინარე იგი წყაროჲ, რაჲთამცა შენ ოდენ შეგამკვე ჯერისაებრ, გარნა ღმრთისაცა სათნო არს ყოველივე ძალისაებრ საქმჱ.

ხოლო შენ მოხედევდ ზეცით ჩუენ ზედა, ჰოი საწადელო და წმიდაო სულო, და მოცემული ესე ღმრთისა მიერ საქენჯნელი ჯორცთა ჩემთაჲ ანუ დააყენე მეოხებითა შენითა, ანუ მომეც მოთმინებით თავს-დებაჲ და წარჰმართე ცხორებაჲ ჩემი უმჯობესისა მიმართ და, რაჟამს განვიდე ამიერ, შემიწყნარე მანდა, საყოფელთა მათ, სადა შენ იყოფები, რაჲთა ზოგად ვიყოფებოდით ურთიერთას თანა და ვხედვიდეთ წმიდასა მას და ნეტარსა სამებასა უწმიდესად და უსრულესად, რომლისა სახჱ აწ მცირედ მოგჳღებიეს აქა.

ესრეთ აღესრულენ სურვილი ჩუენი და ესემცა მოცემულ არს ჩუენდა ნაცვალად მრავალთა მათ ჭირთა ჩუენთათჳს, რომლითა ვებრძოლენით და ვიბრძოლენით. ესე არს ჩუენ მიერ შენდა მომართ თქუმული, ჰოი ნეტარო, ხოლო ჩუენ ვინ გუაქოსა, ვინაჲთგან შემდგომად შენსა აღვესრულებით და შენ არა აქა ხარ, უკუეთუ ოდენ ვქმნათ რაჲმე საქმჱ ღირსი ქებისაჲ? არამედ, ჰოი მეუფეო და შემოქმედო ყოველთაო და ყოველთაგან განყოფილად ჩუენო, ჰოი ღმ ერთო შენთა მონათაო და მამაო და განმგებელო ყოვლისაო, ჰოი უფალო სიკუდილისა და ცხორებისაო, ჰოი სულთა ჩუენთა მაცხოვარო, შენ რომელი-ეგე იქმ ყოველსა და შესცვალებ ქელოვანითა მით სიტყჳთა შენითა, ვითარცა გნებავს და ვითარცა უწყი. სიღრმითა მით სიბრძნითა შენისაჲთა, რომელმან მიიღე ჩუენგან დიდი იგი

მნათობი ყოვლისა სოფლისაჲ. ქადაგი ჭეშმარიტებისა შენისაჲ განგებულებითა მით, რომელი შენ უწყი, ღირს-მყვენ ჩუენცა მისითა მეოხებითავე მის თანა ყოფად, გან-რაჲ-ვიდეთ ამიერ და განსრულმცა ვართ განმზადებულნი და შემოსილნი შიშითა შენითა და არა იძულებით და ჭირით განყოფილნი ჯორცთა ამათგან დღესა მას უკუანაჲსკნელსა, რომელი-ესე ვნებაჲ არს ჯორცთმოყუარეთა და სოფლისმოყუარეთა სულთაჲ, არამედ კეთილადმცა და სურვილად მიწევნულ ვართ საუკუნისა მაგის სანატრელსა მას და დაუსრულებელსა ცხოვრებასა ქრისტე იესუჲს მიერ უფლისა ჩუენისა, რომლისა თანა შენდა დიდებაჲ შუენის ყოვლად წმიდით, სახიერით და ცხოველსმყოფელით სულითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამენ.

ანდერძი: წმიდანო მამანო, რომელნი ამას იკითხვიდეთ, ლოცვა-ყავთ გლახაკისა ეფთიმესთჳს, რომელმან ესე ვთარგმნე და, ღმრთისათჳს, ვინცა გარდასწერდეთ ამას, დაწერეთ ჩემიცა სახელი და ნუ აღმომჴოცთ მეცა, გლახაკსა, რამეთუ ამისთჳს თავს-მიც ფრიადი შრომაჲ.

ლოცვა-ყავთ სანატრელისა მამისა ჩუენისა ეფთჳმე მთაწმიდელისათჳს, რომელმან ესე საკითხავი წმიდისა ბასილისი ცხორებაჲ და შესხმაჲ თარგმნა ბერძულისაგან ქართულად.

მკითხველო, მოიხსენე აწ გარდაცვლილი ზურაბი



წმ. ბასილი დიდი

მომთრვალეთათჳს

1. **ა**ღმძრვენ მე სიტყუად საქმენი იგი მწუხრისა ამის გარდასრულისანი. ხოლო კუალად დააყენებს აღძრვასა ჩემსა პირველთა მათ შრომათა უნაყოფოებაჲ, რამეთუ მუშაკიცა, რაჟამს ერთგზის თესულმან მისმან ნაყოფი არა გამოიღის, უდებ არნ მასვე ქუეყანასა ზედა მეორედ დათესვად, რამეთუ უკუეთუ ესეზომთა სწავლათა ზედა, რომელ ვქმნენით გარდასრულსა ჟამსა წელიწდისასა და არა დავსცხერით ვედრებად თქუენდა და კუალად შჳდთა ამათ შჳდეულთა მარხვისათა, ღამე და დღე, არა დავსცხერ წამებად თქუენდა სახარებასა მას მადლისა ღმრთისასა და მის ყოვლისაგან სარგებელი არარაჲ იქმნა, რომლითაღა სასოებითა გასწაო დღეს? ჰოი, რავდენთა ღამეთა ამაოდ იღჳძეთ, რავდენთა დღეთა ამაოდ შემოჰკერბით, უკუეთუ ოდენ ამაოდ, რამეთუ რომელი მოსრულ იყოს წარმართებასა კეთილთა საქმეთასა და მერმე კუალად-მიიქცეს პირველთავე ჩუეულებათა მიმართ, არა ოდენ შრომილისაჲ მის სასყიდელი დაშჭირდეს, არამედ უმეტესსაცა საშჯელსა ღირს იქმნას, რამეთუ იხილა გემოჲ კეთილთა მათ სიტყუათა ღმრთისათაჲ და ღირს იქმნა საიდუმლოთა სულიერთა და მერმე ყოველივე იგი უგულებელს-ყო მცირედისა გულისთქუმისათჳს. „რამეთუ უმეცარი იგი ღირს არს შენდობისა, ხოლო ძლიერნი ძლიერადცა იტანჯნენ“ (სიბრძნ. 6,7), ერთმან ღამემან და ერთმან ეშმაკისა ბრძოლამან შრომაჲ იგი ყოველი დაარღჳა და უჩინო ყო. ვითარ უკუე გულსმოდგინე ვიყო აწ სიტყუად? და უწყითმცა, ვითარმედ დავიდუმემცა, უკუეთუმცა არა მეშინოდა საქმისა მისგან იერემია წინაჲსწარმეტყველისა, რომელსა ურჩისა მის ერისა მიმართ სიტყუად არა ენება და ამისთჳს მოიწია მის ზედა, ვითარცა იგი

იტყჳს თჳთ, ვითარმედ: იქმნა ცეცხლი წელთა შინა მისთა და შეიწუებოდა ყოვლით კერძო და ვერ ძალ-ედვა თავს-დებად.

ხოლო აწ დედათა ბოროტთა დაივიწყეს შიში ღმრთისაჲ, შეურაცხ-ყვეს საუკუნოჲ იგი ცეცხლი ესევითარსა მას დღესა შინა, რაჟამს თანა-ედვა კსენებისათჳს აღდგომისა დაჯდომაჲ სახლთა შინა თჳსთა და მოკსენებაჲ დღისა მის, რაჟამს-იგი განეხუნენ ცანი და გამოჩნდეს მსაჯული იგი ზეცით: და საყჳრნი ღმრთისანი და აღდგომაჲ მკუდართაჲ და საშჯელი სიმართლისაჲ და მიგებაჲ თითოეულისაჲ საქმეთა მისთაებრ.

ამათ ესევითართა საქმეთა წურთისა წილ და განწმედისა წილ გულთა მათთაჲსა ბოროტთა გულისსიტყუათაგან და აკოცისა ცრემლითა ცოდვათა მათთა და განმზადებისა წილ მიგებებად ქრისტესა დიდსა მას დღესა გამოჩინებისა მისისასა, განაგდეს ულელი იგი ქრისტეს მონებისაჲ და მოიკადნეს თავთაგან პატიოსნებისა იგი საბურველნი, უგულებელს-ყვეს ღმერთი და უგულებელს-ყვნეს ანგელოზნი მისნი და ურცხჳნო იქმნეს წინაშე პირსა მამათასა: და გარდაიტევეს თმები, მიითრევდეს სამოსელთა და იმღერდეს ფერკითა, თუალითა ბილწითა, სიცილითა ურცხჳნოჲთა მღერად და ბორგად აღიძრნეს და შეაგინებდეს გულსა ჭაბუკთასა და ეკლესიათა მათ წინაშე, რომელნი არიან გარეგან ქალაქისა, მემღერნი განაწყვნეს მათ და ადგილად თჳსისა საძაგელებლობისა ყვნეს წმიდანი იგი ადგილნი. შეაგინეს ჰაერი კმათა მათგან სამეძვოთა და შეაგინეს ქუეყანაჲ ფერკთა მათ მიერ არაწმიდათა, რომლითა იქმოდეს მღერასა მას. და უგუნურთა ჭაბუკთა სიმრავლჱ გარე-მოაწყვნეს სახილველად მათდა, მეძავ განცოფებულ იქმნეს და ბორგილებისა არცა ერთი საზღვარი დაუტევეს.

ესე ყოველივე ვითარ დავიდუმო? ანუ ვითარ ღირსად ვგოდებდე ამას? ღჳნომან მოგუატყუა ესევითარი ესე სულთა ზღვევაჲ, ღჳნომან, რომელი მოუცემიეს ღმერთსა ნუგეშინისსაცემელად უძლურებისა ბრძენთადა, ხოლო აწ საჭურველ ცოდვისა ექმნა უგუნურთა მათ.

2. მთრვალობაჲ — ნეფსითი იგი ეშმაკეულობაჲ, კაცთა მიერ მოპოვნებული ეშმაკი, რომელი გულისთქუმათა მიერ შევალს სულსა შინა; მთრვალობაჲ — უკეთურებისა დედაჲ, სათნოებისა წინაალმდგომი, ახოვანსა მოშიშ ჰყოფს, პატიოსანსა ურცხჳნო ჰყოფს, წმიდასა

ბილწ ჰყოფს, სიმართლმ არ იცის, სიბრძნესა განაქარვებს. რამეთუ ვითარცა წყალი მბრძოლ არს ცეცხლისა, აგრეთვე მთრვალობაჲ სიბრძნესა დაშრეტს. ამისთჳსცა ზარ-მაც სიტყუად მთრვალობისათჳს, არა თუ ვითარცა მცირისა რაჲსმე ბოროტისათჳს და შეურაცხსაყოფელისა, არამედ ამისთჳს, ვითარმედ არარას სარგებელსა ვხედავ სიტყჳსაგან. რამეთუ უკუეთუ მთრვალი იგი უცნობელ არს და დაბნელებულ, ამაოდ ჰზრახავს მასწავლელი იგი უსმსა მას. ვისდა მიმართ იყოს უკუე სიტყუაჲ ჩვენი, ვინაჲთგან რომელსა-იგი უკმს სწავლაჲ, იგი არა ისმენს სიტყუათა ამათ? ხოლო რომელი ფრთხილი არს გონებითა, მას არა უკმს სწავლაჲ, რამეთუ წმიდა არს ვნებისა მისგან. რაჲ ვყო უკუე, დაღაცათუ სიტყუაჲ უკმარ არს? არამედ დუმილი შეუძლებელ არს, რაჲ ვყო უკუე? უდებ ვყოა სიტყუაჲ ესე? არამედ საშიშ არს უდებებაჲ. ანუ ვთქუა-ა მომთრვალეთათჳს რაჲმე? მკუდართა სასმენელთა შინა ოხრით.

გარნა ვითარცა-იგი რაჟამს შემოკდის პირუტყუთა ზედა სენი იგი უკურნებელი, სასიკუდინე, მკურნალნი იგი მათნი მრთელთა მათ პირველვე წამლებითა შეზღუდვენ და აკრძალებენ, ხოლო შეპყრობილთა მათ სენისა მისგან არა მიეახლებიან, ეგრეთვე ჩუენდაცა ნახევარსა ზედა აქუს სარგებელი სიტყუასა ამას, რამეთუ დაღაცათუ შეპყრობილთა მათ ვნებისა მის მიერ არა რაჲ ერგოს, არამედ რომელნი ჯერეთ არა შთავრდომილ არიან მას შინა, ნუუკუე განეკრძალნენ.

3. რაჲთა განყოფილ ხარ პირუტყუთაგან, ჰოი კაცო? არა ნიჭითა მით სიტყჳერობისაჲთა, რომელი მოგიღებიეს დამბადებელისაგან? მთავრად და უფლად ქმნულ ხარ-ა ყოვლისა სოფლისა? აწ უკუე რომელმანცა ესრეთ განაცოფოს სიბრძნე თჳსი მთრვალობითა, „იგი ჰბაძვიდა პირუტყუთა უგუნურთა და მიემსგავსა მათ“. ხოლო მე უფროჲსად პირუტყუთა უუგუნურესად და უპირუტყუესად უწოდ მთრვალთა, რამეთუ ოთხფერკთა ყოველთავე და მკეცთა განჩინებული ჟამი აქუს შეერთებისაჲ და შვილებისაჲ, ხოლო მთრვალობისა მიერ შეპყრობილნი ჯორცთა ბუნებისა გარეგნითა სიმჯურვალითა აღავსებენ და ყოველსავე ჟამსა შეგინებულთა მათ საქმეთა მიმართ მივლენ. და არა ესე ოდენ არს სასწაული მათისა პირუტყობისაჲ, არამედ

შეცვალებაჲცა საცნობელთა მათთა ცნობისაჲ უარეს ყოვლისა პირუ-
ტყჳსა ჰყოფს მათ, რამეთუ რომელი არს საცხოვარი და ზროხაჲ
ესრეთ უსმ და ბოროტად მხედველ და უცნობო, ვითარ მთრვალი?
ანუ არა უმეცარ იყვნიან-ა თჳსთა მათთაგან მრავალგზის და უცხონი
თჳსად შეერაცხნიან? არა აჩრდილთა ზედა გარდაახლდებოდიან-ა
მრავალგზის, ვითარცა მთხრებლთა და ვითარცა წყალთა ზედა? და
ოხრითა და წივილითა, ვითარცა ზღჳსაგან მღელვარისა სავსე არიედ
ყურნი მათნი და ჰგონებდიედ, თუ ქუეყანაჲ აღმართებულად დად-
გრომილ არს და მთანი გარემო რბიან. ესენი ოდესმე იცინიედ დაუცადე-
ბელად და ოდესმე ტირიდიედ მოუწყუედელად და ოდესმე ამპარტა-
ვან იყვნიან და ზუავ და უშიშ და მერმე — მოშიშ და შეძრწუნებულ,
ძილი არნ მათ ზედა მძიმე და მოშთობის სახჳ და ჭეშმარიტად
სიკუდილისა მახლობელ და კუალად მღჳძარებაჲ მათი უუგუნურეს
არნ ძილისა, რამეთუ ყოველი ცხორებაჲ მათი სიზმარ არნ, რომელ-
თა-იგი არა აქუნ მრავალგზის სამოსელი, არცა თუმცა რაჲ ჭამეს
ხვალისა დღე, და იგინი მეფედ დასხდიან და ერისთავთა წინამძღუარ
იყვნიან მთრვალობასა შინა მათსა და ქალაქთა აღაშენებდიან და
საფასეთა განუყოფდიან, ეგევითარითა უცნებითა და საცთურითა აღავს-
ნის გულნი მათნი ღჳნომან. ხოლო სხუანი კუალად მეორისა კერძისა
ვნებითა დაინთქნიან: და სასოწარკუეთილ იქმნიან და მჭმუნვარე და
მტირალ და მოშიშ. ერთი იგი ღჳნოჲ თითოეულთა მათ გუამთა
შევიდის და თითოსახენი ვნებანი შვნის: რამეთუ რომელთამე აღა-
დუღებს სისხლსა და განამრავლებს და ესრეთ მოხარულ ჰყოფს და
ბრწყინვალე და კუალად სხუათა ფრიადისა მის სიმძიმისა მისისაგან
დაამძიმებს და დაჰქენჯნის და დაამდაბლებს სისხლსა და მწუხარე
ჰყოფს მათ ამით სახითა. და რად საკმარ არს სხუათა მათ ვნებათა
მათთა აღრიცხუვაჲ? — მძჳნვარებასა მას გონებისა მათისასა, მსწრაფლ
განრისხებასა, მაბრალობლობასა მათსა, სიმწარესა მას სულისა მა-
თისასა, ვითარ არარასა ზედა მტკიცე არიან, ღაღადებასა მას მათსა
და კმისა უწესოებასა, ამბოხებასა მას გარდარეულსა, ყოვლისა
საცთურისა მიმართ ადვილად მიდრეკასა?

4. ხოლო გულისთქუმათა შეგინებისათა, ვითარცა წყароჲ, აღმო-

მაცენებელ იქმნების მთრვალობაჲ და სიძვისა იგი სენი შევალს სიმრავლესა მას თანა ღჳნისასა და ყოველსავე პირუტყუთა დედალთა მიმართ სიბორგილესა დაჰფარავს გინებაჲ იგი მომთრვალეთაჲ. რამეთუ პირუტყუთა იცნიან საზღვარნი იგი ბუნებისანი, ხოლო მომთრვალენი მამათა შორის დედაკაცებასა და დედათა შორის მამაკაცებასა ეძიებენ. არცა კეთილ არს, არცა შესაძლებელ ყოველთა მათ ბოროტთა მთრვალობისათა სიტყჳთ თქუმაჲ. ხორშაკისა იგი სენნი ჟამთა სიგრძესა შევლენ კაცთა შორის, რაჟამს-იგი მცირე-მცირედ ჰაერისა მის სენი შევალნ გუამთა შინა, ხოლო ღჳნისამიერნი სენნი მეყსა შინა მოიწევიან, რამეთუ ესრეთ წარწყმედასა თანა და შეგინებულობასა სულისასა ჯორცთაცა სიმრთელე მიეღების და სახჱ მათი შეიცვალების, არა ოდენ, რამეთუ ბილწებათა მიმართ ესრეთ მოსწრაფე არიან, არამედ თჳთ გუამიცა მათი სნეულ არნ და ძალი იგი ბუნებითი არა აქუნ: თუალნი მათნი იყვნიან მჯიე და პირი შორს ბუნებითისა მის ფერისაგან, სული მათი შეიწრებულ და ენაჲ წარევნულ და ხმაჲ უწესო და ფერხნი მალე შემცთომელ, ვითარცა მცირეთა ყრმათაჲ, განსლვანი ნამეტნავთანი თავით თჳსით, ვითარცა უსულოთაგან მავალნი. საწყალობელ იყვნიან შუებასა მას შინა მათსა, უსაწყალობელეს ზღუასა შინა მღელვარეთა, რომელთა ზედა სხუანი და სხუანი ერთიერთსა ზედა ღელვანი მოიწევიან და თავსა ზე აღებად არა უტევებენ, ეგრეთვე ამათნი სულნი დანთქმულ არიან ღელვათა მათ შინა ღჳნისათა. და მერმე, ვითარცა-იგი ნაენი დანთქმასა რაჲ მიეახლნიან, გარდაყარიან ტჳრთი მათი, აგრეთვე ამათ, რაჟამს ვერღარა თავს-იდვიან ბოროტი იგი სიმძიმე, იწყიან აღმოგდებად და საძაგელებად და ესრეთ ძნიად გენერნიან სიმძიმისა მისგან. ესეზომ უსაწყალობელეს არიან ზღუასა შინა მღელვარეთა, რამეთუ მათისა ჭირისა მიზეზ იქმნა სასტიკებაჲ ქართაჲ და ღელვანი ზღჳსანი, ხოლო ესენი ნეფსით თჳსით მოაწევენ თავთა ზედა თჳსთა ზამთარსა მას მთრვალობისასა.

საწყალობელ არს ეშმაკეული, ხოლო მთრვალი საქმეთავე შინა ეშმაკეულისათა არს და წყალობასა არა ღირს არს, რამეთუ ნეფსით ყო თავი თჳსი ეშმაკეულ, რომელნი-იგი წამალთა ეძიებენ მთრვალობისათჳს, არა თუ რაჲთამცა არაჲ ევნო ღჳნისაგან, არამედ რაჲთამ-

ცა არა დასცხრეს სუმისაგან. რამეთუ მცირედ შეურაცხილ არნ წინაშე მათსა დღჱ და მცირედ ღამჱ იგი ღამეთაგან ზამთრისათა სუმისა მიმართ. და დასასრული არა არნ ბოროტისაჲ მის, რამეთუ თჳთ ღჳნოჲ უმეტესსა ადგილსა უყოფს თავსა თჳსსა. რამეთუ არა ნუგეშინისცემა უძლურებისა არნ იგი, არამედ სხჳსა სუმისა მომატჳყუებელ, რაჟამს-იგი შესწუავნ მთრვალთა მათ და უმეტესისა სურვილსა მოატჳყუებნ და დაუსრულებელად აქუს წადილი იგი სუმისაჲ და ჰნებავს, რაჲთამცა უმეტესიცა წადილი აქუნდა. და წინააღმდგომი ნებისა მათისაჲ იქმნების მათ ზედა, რამეთუ უზომოებითა მით სუმისაჲთა საცნობელთა თჳსთა განჰხრწნიან. რამეთუ ვითარცა უზომოჲ ბრწყინვალებაჲ დააბნელებს თუალთა და ვითარცა დიდითა ჴმითა და სასტიკითა განკრთომილნი სმენადღა ვერ შემძლებელ არიან სასტიკებისაგან ჴმისა მის, ეგრეთვე ესენი უგულისჴმო არიან, ვითარ-იგი უზომოჲსა მის გემოჲსმოყუარებისაგან გემოსა მას სასუმლისასა განრყუნილ იქმან. რამეთუ უგემურ არნ პირსა შინა მათსა და წყლიან ღჳნოჲ იგი, დაღაცათუ ურწყულ იყვის და ნელტფილ არნ პირსა შინა მათსა, დაღაცათუ მყინვრისა მსგავს არნ, ანუ თოვლითა განგრილებულ, რამეთუ ვერ შემძლებელ არნ დაშრეტად ალსა მას, რომელი შინაგან მათსა ეგზებინ ღჳნისა მიერ. იხილე, თუ: „ვისი არს ვაებაჲ? ვისი არს ამბოხებაჲ? ვისნი არიან წარევნანი? ვისნი არიან შემუსრვილებანი იგი ამაონი და შალვანი გულისანი? ვისნი თუალნი არიან მჴიე? არა ღჳნისა სუმასა შექცეულთანი-ა და რომელნი უმზირიან, თუ სადა იქმნების სუმაჲ?“ (იგავ.23,29)

ვაებაჲ სიტჳუაჲ არს საგლოელი, ხოლო მომთრვალენი არიან ღირს გლოისა, რამეთუ სასუფეველსა ცათასა ვერ დაიმკჳდრებენ. და ამბოხებაჲ არს შფოთი იგი, რომელი ღჳნისა მიერ იქმნების გონებასა შინა; ხოლო შალვაჲ გულისაჲ — მწარეთა მათ გემოთათჳს, რომელნი იყვნიან გულსა შინა, მოდნებინ რაჲ ღჳნოჲ იგი უზომოჲ. რამეთუ მათნი შეიკრვიან ჴელნი და შეიკრვიან ფერჴნი ბოროტთა მათგან მთრვალობისათა და, უწინარეს ამისა, მასვე ჟამსა სუმისასა განცოფებულთა საქმენი მოიწინიან მათ ზედა. რამეთუ რაჟამს აღივსნენ ნესტუნი საფეთქელთანი კუამლისა მისგან, რომელსა ღჳნოჲ ორთქლითა

თჳსითა მისდა აღიყვანებს, მაშინ შეპყრობილ არნ სალმობათა მათ მიერ უზომოთა თავი და დადგომად მართლიად მჴართა ზედა ვერ შემძლებელ არნ, არამედ მიმოვარდებინ ქედისაგან. და კუალად წარევნანი იგი მრავალნი, რომელ არიან უსარგებლონი და მაცილობელნი ზრახვანი მათნი და შემუსრვანი იგი ამაონი, რომელნი იყვნიან მათ ზედა, რომელნი ვერ შემძლებელ იყვნიან მართლიად დგომად მთრვალობისა მისგან, არამედ ყოვლით კერძო დაცემითა შეიმუსრვოდიან ამაოდ.

5. არამედ ვინ-მე მიუთხრას ესე ყოველი ღჳნისა მიერ მოწყლულთა მათ? რამეთუ ყრუ არიან იგინი და ეძინების, მთქნარებენ, ნისლი მოფენილ არს მათ ზედა, იღელვებიან. ამისთჳს არა ესმის მათ სწავლაჲ მოძღუართაჲ, რომელნი ყოვლით კერძო უღაღადებენ, ვითარმედ: „ნუ დაითრვებით ღჳნითა, რომლისა მიერ არს ბილწებაჲ“ და კუალად, ვითარმედ: „ბოროტ არს მელჳნეობაჲ და მაგინებელ არს სიმთრვალჱ“ (იგავ.20,1). და იგინი ურჩ არიან ამათ სიტყუათა, არამედ იგინი თჳთ მოიმკიან ნაყოფსა მას მთრვალობისასა, რამეთუ განსივებულ არნ გუამი, თუალნი ნოტია, პირი ჴმელ და შემწუარ. რამეთუ ვითარცა ნაღუარევნი, ვიდრემდის დიოდიან მათ შინა ღუარნი, სავსედ შერაცხილ იყვნიან, და წარ-რაჲ-ჴდის წყალი იგი, ჴმელად დაშთომილ იქმნიან, ეგრეთვე არს პირი იგი მომთრვალეთაჲ: ვიდრემდის დგეს მას შინა ღჳნოჲ, სავსე არს და ნოტია, ხოლო მცირედი რაჲ ჟამი წარჴდის, იქმნის ჴმელ და შეიწუებინ და რაჟამს ესრეთ განგრძელდის საქმე მთრვალობისაჲ, ყოვლითურთ ნოტიობაჲ მისგან განჴმის. რამეთუ რომელმანმცა გუამმან კაცისამან ესრეთ ძლიერებაჲ მოიგო, რაჲთამცა იტჳრთნა ბოროტნი იგი მთრვალობისანი? რამეთუ რომელი-იგი მარადის ჴურავნ და მარადის სოლდებიან ღჳნითა, რომელმანმცა ღონემან ყო, რაჲთამცა არა უძლურ და განხრწნილ იყო? ესრეთ იქმნებიან თრთოლანი და სენნი, რამეთუ სამშჳნველისა მათისა ნესტოჲ შეიწრდის ღჳნისა მის სიმჴურვალითა და ძარღუნი გართხმულობისა მათისაგან დაფოლხუდიან და ესრეთ მოიწიის თრთოლაჲ გუამსა ზედა.

აწ უკუე რაჲსათჳს, ჰოი, კაცო, მოაწევ თავსა ზედა შენსა წყევასა, რომელი მიეცა კაენს ძრწოლით სლვისა და ყოფისაჲ რაჲთა ესრეთვე სძრწოდი შენ ღჳნისა ბოროტთა მიერ ყოველთა დღეთა შენთა?

რამეთუ რაჟამს არა აქუნ გუამსა სიმტკიცჱ იგი ბუნებითი, ამისთჳს მიმოირყევინ და ძრწინ.

6. ვიდრემდის იყოს ღჳნოჲ, ვიდრემდის იყოს ეგე მთრვალობაჲ, ჰოი უბადრუკო? რამეთუ არა ხედავ-ა, რაჲ-ეგე მოიწევის შენ ზედა? რამეთუ მწჳრე იქმნები კაცისა წილ, რომელი-ეგე ესრეთ ყოვლითურთ აღერიე ღჳნოსა და დაჰლპი მის თანა მარადღე მთრვალობითა მაგით და ჰყარ ღჳნისაგან დამპლისა და არასურნელისა, ვითარცა ჭურჭელი ხენეში. ამისთჳს გოდებს ესაია ესევითართა მათთჳს, ვითარმედ: „ვაჲ არს მათდა, რომელნი აღდგებიან განთიად და თაფლუჭსა სდევენ, რომელნი დაჰყოფენ მწუხრამდე, რამეთუ ღჳნომან მან შეწუნეს იგინი, რამეთუ ორძლითა და სტჳრებითა სუმენ ღვინოსა მას და საქმეთა უფლისათა არა მიხედვენ და ქმნულსა ჴელთა მისთასა არა განიცდიან“ (ეს.5,11-12), ხოლო თაფლუჭად ყოველსავე დათრობად შემძლებელსა ეწოდების ჰურიათა მიერ. აწ უკუე რომელნი განთიად ხოლო სუმასა ეძიებენ და მთრვალობასა და თუ სადა იქმნებიან სუმანი და ღჳნის მსყიდლობანი და ურთიერთას მიიყვანებენ ზოგებით სუმად და ყოველსავე ზრუნვასა სულისასა ესევითართა საქმეთა ზედა წარაგებენ, ესევითართა მათთჳს იგლოვს წინაჲსწარმეტყველი. რამეთუ არა დაუტეობიეს მათ ერთიცა ჟამი თავისა თჳსისადა ხილვად საკჳრველებათა ღმრთისათა და არა აქუს მოცალებაჲ თუალთა მათთა ზეცად ახილვად და განცდად შუენიერებათა მათ მისთა და გულისხმისყოფად ყოველთა მათ სიკეთეთა, რომელნი არიან დაბადებულთა შორის, რაჲთამცა ამათ ყოველთა წესიერებისაგან გულისხმა-ყვეს შემოქმედი.

არამედ მეყსეულად შემოსლვასა დღისასა, ვითარცა განთენეს, შეამკობენ ადგილთა მათ სუმისა მათისათა ძოლოებითა და თჳთოსახეობითა და მრავალფერითა ეზოებითა. და ყოველი ღონისძიებაჲ მათი სასუმელთა მათ განმზადებასა ზედა არს: და განჰმზადებენ საგრილობელთა და კათხებსა და ბარძიმებსა, ვითარცა სავაჭროსა ზედა, ესრეთ განაწყობენ მათ, რაჲთა თითოსახეობაჲ იგი და განყოფილებაჲ ჭურჭულთაჲ სიმაძღრესა მათგან წარიპარვიდეს და უმეტესსა შემძლებელ იყვნეს სუმად. და კუალად სასუმელთა მათ სხუად და სხუად შეცვალებაჲ ფრიადსა ჟამსა გარდაჰკდიდეს სუმასა მას

შინა. და ამას ყოველსა ზედა იყვნიან ტრაპეზთმოძღუარნი და მწ-
დეთუხუცესნი და მემარნეთმთავარნი, და ესრეთ წესი უწესობასა მას
შინა და განგებულებაჲ განუგებელსა მას საქმესა შინა მოპოვებულ
არს. რამეთუ ვითარცა მთავრობათა მათ სოფლისათა მსახურთა მიერ
მათთა აღორძნდების დიდებაჲ და პატივი, ეგრეთვე მთრვალობასა,
ვითარცა დედოფალსა ვისმე, მსახურებაჲ იგი გარე-მოადგინიან და
საძაგელებლობასა მისსა გარდამატებულად პატივისცემითა ჰფარვენ.
და დაარქჳან თავსა მისსა გჳრგჳნი და ყუავილნი და სულნელებათა
და საკუმეველთა აკუმევდიან. და ესრეთ მრავალნი იგი სახიობანი
უმეტესსა დაყოვნებასა მისცემენ წარწყმედილთა მათ ბოროტსა მას
შინა.

მერმე, ვითარცა განგრძელდის სუმაჲ იგი, იწყიან ჯდომად, უმეტე-
სობისათჳს ცილობად და მოსწრაფებად, რომელთა უყუარნ ურთიერ-
თას წარჯდომაჲ მთრვალობითა. და სასყიდლის მიმცემელი მათისა
მის მოსწრაფებისაჲ არნ ეშმაკი და სასყიდელი ძლევისა მის —
ცოდვაჲ. რამეთუ რომელმან უმეტესად მიიღის და შთაისხის მუ-
ცლად ურწყული იგი ღჳნოჲ, მან მიიღის ძლევაჲ სხუათა ზედა.

ჭეშმარიტად, „დიდებაჲ მათი არს სირცხჳლსა შინა მათსა“ (ფილ-
იპ.3,19), რამეთუ აცილობენ ურთიერთას, ხოლო ავნებენ თავთა თჳს-
თა. რომელმან-მე სიტყუამან შეუძლოს მიწთომად ბილწებასა მას
საქმეთა მათთასა? ყოველივე პირუტყუებითა სავსე არს, ყოველივე
ბოროტებითა; ძლეულთა მათ სთრავნ, მძლენი იგი მთრვალვე იყვნიან,
მსახურნი ეცინოდიან. ჴელი დამჭირვად კათხებსა მოუძლურებულ
არნ, პირი არა მიიღებნ, მუცელი განსთქდებინ და ბოროტი იგი არა
დასცხრებინ. უბადრუკი იგი გუამი ბუნებითისა ძალისაგან დაჴსნილ
არნ და ყოვლით კერძო მიმოვარდებინ და უზომოსა მას ბოროტსა
ვერ იტჳრთავნ.

7. ჰოი საქმე საწყალობელი წინაშე თუალსა ქრისტიანეთასა! რა-
ჟამს-იგი კაცი ჭაბუკი ჰასაკითა, ძლიერი გუამითა, მჴედრობისა წეს-
თა შინა განშუენებული, მითრევით მიიყვანებინ სახედ თჳსად, რამეთუ
ვერ შემძლებელ არნ ზე დადგომად და თჳსითა ფერჴთა სლვად.
კაცი, რომელსა თანა-აცნ, რაჲთამცა საშინელ იყო სახილველად
მბრძოლთა, იქმნის მიზეზ სიცილისა ყრმათა, უბანთა შინა მავალთა,
თჳნიერ მახჳლისა მოწყლულ არნ, თჳნიერ მბრძოლისა მოკლულ

არნ, თჳნიერ რკინისა შებორკილებულ არნ. კაცი ჭურვილი, ყუავილსა მას შინა სიჭაბუკისასა მყოფი, ღჳნისა მიერ ტყუე იქმნის და მზა არნ წინაშე მტერთა მოწევნად მის ზედა, რაჲცა მათ ენების.

მთრვალობაჲ გონებისა დამაქცეველი არს, სულისა განმხრწნელი, სიბერე უჟამოჲ, მიმსგავსებული მკუდართაჲ, მსგავსი კერპისაჲ. რამეთუ სხუაჲ რაჲ არიან მთრვალნი, გარნა კერპ წარმართთა? პირ ათქს და ვერ იტყჳან, თუალ ასხენ და არა ხედვენ, ყურ ასხენ და არა ესმის" (ფს.113,13-14); ჴელნი დაჴსნილ იყვნიან, ფერჴნი მომკუდარ იყვნიან.

ეჰა, ვინ-მე არს, რომელმან ესე ყოველი ბოროტი გჳყო ჩუენ? ვინ-მე არს ამათი მიზეზი? ვინ-მე არს, რომელმან სიცოფისა ამის წამალი გჳწდია ჩუენ?

ჰოი კაცო, ბრძოლად შესცვალე-ა ხადილი იგი და სასუმური შენი? რამეთუ განიყვანებენ მანდაჲთ ჭაბუკთა მათ ახოანთა ჴელპყრობით, ვითარცა წყლულთა ბრძოლისაგან. მოაკუდინე სიმჴნე იგი სიჭაბუკისაჲ ღჳნისა მიერ: და მოუწოდ მას, ვითარცა მოყუარესა, სერობად, ხოლო წარაჳლენ, ვითარცა მკუდარსა, რამეთუ ღჳნისა მიერ ცხორებაჲ მისი დააქციი. რაჲ-მე ვთქუა ესევითართა მათთჳს? რამეთუ რაჟამს საგონებელ არნ, ვითარმედ განძღეს ღჳნითა, მაშინღა იწყიან მათ სუმად და სუმენ, ვითარცა პირუტყუნი, ვითარცა წყაროჲსაგან აღმომდინარისა, რომელი შესწორებულად მსუმელთა მათ აღმოაცენებნ თუალთა.

რამეთუ რაჟამს-იგი განგრძელდის სუმაჲ მათი, შემოვიდის მათ შორის ჭაბუკი ვინმე ახოვანი, მჴნე, რომელი ბეჭთა მიმოიცვალებნ და ჯერეთ არღადამთრვალ არნ და მიეცის მას კათხაჲ დიდი, აღვსებული ღჳნითა განგრილებულითა და იწყის მან სუმად და გულარძნილთა მათ შთასავალთა მიერ აღავსის მუცელი თჳსი მთრვალობითა შესწორებულად სხუათა მათ, რაჲთა ესრეთ ზოგად იყოს საზომი იგი უზომოებისაჲ მის, რაჲთა ესრეთ შემსგავსებულად ყოველთა ქმნან ბილწებაჲ იგი და არა იყოს ერთიცა უმეტეს, გინა უდარეს სხუათასა მთრვალობითა. რამეთუ განიყვნიან მახრუტები იგი დიდები და თითოეული სუამნ ვითარცა ტბისაგან განუძღომელად, ვითარცა ზროხანი. ესეზომ ენების სუმაჲ, რაჲზომცა ეპოებინ.

უბადრუკო, შთაიხედენ-ღა საწყალობელსა მაგას მუცელსა შენსა,

განიცადე სივრცე ჭურჭლისაჲ მის, რომელსა შინა ეგეზომი იგი ღჳნოჲ შთავალს, ვითარმედ მტკავლეული სივრცე არა აქუს. ნუ საღჳნეთა მათ ჭურჭელთა ხედავ, თუ ოდეს დაილინენ, არამედ მუცელი შენი განიხილე, ვითარ-იგი ადრე აღვსებულ არს.

ამისთჳსცა „ვაჲ არს მათდა, რომელნი აღდგებიან განთიად და თაფლუჭსა სდევენ და არიან ვიდრე მწუხრადმდე", რამეთუ არცა ერთი ჟამი აქუს მათ ხილვად საქმეთა უფლისათა, ანუ განცდად ქმნულსა კელთა მისთასა. და ამისთჳს „ღჳნომან მან შეწუნეს იგინი" (ეს.5,11), რამეთუ მკურვალებაჲ იგი, რომელი ღჳნისა მიერ დაემკჳდროს ჯორცთა შინა, ნივთ ექმნების განკურვებულთა მათ ისართა მტერისათა. და გონებასა დაამდაბლებს და დააბნელებს ღჳნოჲ, ხოლო ვნებათა და გულისთქუმათა აღაზრზენს და განამრავლებს. რამეთუ რომელი კიცჳ უმწყი რბის ესრეთ უწესოდ და დასცემს ზედა მჯდომელსა მას, ანუ რომელი ნავი ღელვაგუემული, რომელსა არა აქუნ მენავეთ-მოძღუარი, არცა მენავენი, არს ესრეთ შეცთომილ, ვითარცა მთრვალი?

8. ესევითართა ამათ ბოროტთა მიერ მამათა და დედათა ზოგად განაწყვნეს მემღერნი და ეშმაკსა მას მთრვალობისასა მისცნეს სულნი მათნი და ესრეთ ისრითა მით ვნებათაჲთა ურთიერთას ესროდეს. ორკერძოვე იყვნიან სიცილნი უწესონი, სიმღერანი ბილწნი, სახენი მეძვობისანი, რომელნი მიუწოდდიან შეგინებულობასა.

იცინი-ა შენ და იხარებ სიხარულითა მით ბოროტითა, რომელსა-ეგე თანაგედვა ტირილი და სულთქუმაჲ ცოდვათა შენთათჳს? სიმღერათა იტყჳ-ა, სიძვისა წინამძღუართა, ფსალმუნთა მათ წილ და გალობათა, რომელნი გისწავიან? ფერჯთა იმღერებ-ა ხლდები და ჰბორგ და ჰროკავ უწესოდ, რომელსა-ეგე თანა-გედვა მუკლთმოდრეკით ვედრებაჲ უფლისაჲ?

ვიეთთჳს-მე ვიგლოვდე პირველად? ქალწულთა მათთჳს უქორწინებელთა, ანუ ულელსა მას ქუეშე ქორწინებისასა მყოფთათჳს? რამეთუ იგინი მოიქცეს და არა აქუნდა ქალწულებაჲ თჳსი, ხოლო ამათ — სიწმიდე იგი პირველი, დაღაცათუ ჯორციოთა დაცემასა რომელნიმე განერნეს, არამედ გონებით უეჭველად შეიგინნეს.

ეგრეთვე მამათათჳს ვიტყჳ, ვითარმედ: უკუეთუ „რომელმან მიხ-

ედნეს დედაკაცსა გულისთქუმით, მან იმრუშა“ და ესრეთ დახუ-
დომით უბნობაჲ ოდენ და მოგონებით გულისთქუმაჲ ესრეთ მავნებელ
არიან და ესევითარი საშჯელი აქუს, რაჲ-მე ყოფად არს მათთჳს,
რომელნი განზრახვით წარვიდოდინ ხილვად და განცდად ესევითარ-
თა საქმეთა და მიხედვად დედათა, უშუერებისა მოქმედთა და მთრ-
ვალთა და მსახიობელთა სახიობითა მით ბოროტითა და მეტყუელთა
ავაჯთა მათ და კილოთა სიძვისათა, რომელთა არა ხილვაჲ არამედ
სმენაჲ ოდენ ჴმისაჲ ჴმა არს გულსა მას ვნებულთასა შეგინებად?
რაჲ სთქუათ თქუენ ამის ყოვლისათჳს, რომელნი მიხუალთ ხილვად
მათდა, ანუ ამღერებთ მათ წინაშე თქუენსა და ესევითართა მათ
ხილვათა მიერ ბევრეულსა სიმრავლესა ვნებათასა შეიკრებთ? ანუ
არა საცნაურ არს-ა, ვითარმედ განზრახვით მაგის საქმისათჳს მოსწრაფე
ხართ და ესრეთ თანამდებ იქმნეთ საშჯელსა მას მემრუშეთასა
განჩინებისაებრ უფლისა?

ანუ ვითარ შეგიწყნარნეს თქუენ მარტჳლიამან, რომელთა-ეგე აღვსე-
ბაჲ ესრეთ უჴმარ ჰყავთ? რამეთუ მარტჳლიასა საქმედ აქუს სულისა
წმიდისა მოსლვაჲ განცხადებული, ხოლო შენ წინაჲთვე უსწრობ
და დაამჴდრებ შენ შორის სულსა მას არაწმიდასა და იქმნები
ტაძარ კერპთა ტაძრად ყოფისა წილ ღმრთისა შენ თანა დამჴდრები-
თა სულისა წმიდისაჲთა. და მიიღებ წყეულსა მას წინაჲსწარმეტყუელ-
ისასა, რომელი იტყჳს, ვითარმედ: „გარდავაქცინე დღესასწაულნი
მათნი გლოად“ (ამოს.8,10). ანუ ვითარ ხართ თქუენ უფალ მონათა
თქუენთა, რომელნი-ეგე ესრეთ მონაქმნულ ხართ გულისთქუმათადა?
ანუ შვილთა ვითარ ასწაოთ თქუენ, რომელთა ცხორებაჲ უსწავლელ
არს და უწესო?

რაჲ-მე ვყო უკუე? ამათ სიტყუათა შინა დაგიტეო-ა? არამედ
მეშინის, ნუუკუე ურჩი იგი უძჯრეს იქმნას და ღმობიერი — სა-
სოწარკუეთილ. არამედ გიჩუენო თქუენ „წამალი, რომელსა ძალ-უც
ცოდვათა დიდთა კურნებად“ (ეკლეს.10,4), ესე იგი არს, მარხვამან
განკურნენ მთრვალობაჲ თქუენი და ფსალმუნებამან — შეგინებულნი
იგი ჴმანი; ცრემლი იყავნ სიცილისა წამალ; როკვისა წილ მუკლნი
მოიდრიკენით ღმრთისა მიმართ. ტყუელვისა წილ ჴელთაჲსა მკერდსა
იცემდით; სამკაულისა მის წილ სამოსელთაჲსა სიმდაბლე შეიმოსეთ.

ამას ყოველსა ზედა მოწყალებამან მოგიყიდენ თქუენ ცოდვისაგან, რამეთუ „საკსარ კაცისა არს სიმდიდრე თჳსი“ (იგავ. 13,8), მოიმიზიდენ მრავალნი ჭირვეულნი ზიარებად ლოცვისა, ნუუკუე და მოგეტეოს საქმჱ იგი ბოროტი. რამეთუ რაჟამს „დაჯდა ერი იგი ჭამად და სუმად და აღდგეს მღერად“ (ხოლო მღერაჲ მათი იყო კერპთმსახურებაჲ), მაშინ ლევიტელთა შეჭურნეს ხელნი მათნი ძმათა ზედა მათთა და ესრეთ სრულ იქმნეს მღდელობასა შინა. ეგრეთვე უკუე თქუენცა, რომელნი-ეგე მოშიშნი ხართ ღმრთისანი, რომელნიცა აწ მწუხარე იქმნებით უშუერებასა მას ზედა ბოროტთა მათ საქმეთასა, ამას გეტყჳ თქუენ, რაჲთა, უკუეთუ იხილნეთ იგინი შენანებულ უკეთურებასა მას ზედა საქმეთა მათთასა, ლმობიერ ექმნნეთ მათ, ვითარცა თჳსთა ასოთა მოუძლურებულთა. უკუეთუ კულა იხილნეთ შეურაცხმყოფელად ჩუენისა ამის მათ და მიმართ შეწუხებისა, „განვედით შორის მათსა და განეშორენით მათ და არაწმიდასა ნუ შეეხებით“ (ეს.52,11), რაჲთა ესრეთ მათცა ჰრცხუენეს და მოვიდენ ცნობად თჳსისა ბოროტისა. ხოლო თქუენ შურისა მის ფინეზის სასყიდელი მიიღოთ მართლმსაჯულობითა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცჱ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

ეპისკოპოსთა დასავალისათა

...ნუგეშინისცემაჲ შემორთუმად ძჳრხილულთა ამათ ეკკლესიათა არა დაიცონოთ (დაიზაროთ — რედ.), რამეთუ დაღონებულ არიან აქანი, ძმანო პატივოსანნო, და მოსწყინებიეს ეკკლესიასა ზედაზედაჲსა მიმართ კუეთებისა წინაალმდგომთასა, ვითარცა ნავსა რასმე, შორის უფსკრულისა ზედასზედაობითა ღელვათა მიერისა წყლულებისათა ტანჯულსა, უკუეთუ არა იქმნეს მსწრაფლი რაჲმე მოხედვაჲ სახიერებისა მიერ უფლისა. აწ უკუე ვითარ-ესე ჩუენ თჳსად განვიკუთნებთ თქუენსა მაგას კეთილსა ურთიერთარს ერთობასა და ერთსულობასა, ესრეთვე თქუენცა გლოცავთ თანალმობად ჩუენთა ამათ განწვალება-

თა და არა ადგილთა სანახებითა განყოფილებისათჳს განყოფად ჩუენდა თავთა თქუენთაგან, არამედ რომელ შეერთებულ ვართ სულიერითა ზიარებითა ერთისა გუამისა, ერთხმობად მოგჳხუენით ჩუენ.

რამეთუ ცხად არიან მაჭირვებელნი ჩუენნი, დაღათუ ჩუენ არა ვიტყოდეთ, რამეთუ ყოველსა შინა სოფელსა მხმობელობენ, შეურაცხყოფილ არიან სჳულნი მამათანი, დაწუნებულ სამოციქულონი მოცემანი, ეკკლესიასა შინა მოქალაქობენ ჭაბუკთა კაცთა მოპოვნებანი, რამეთუ ამიერითგან სიტყუაკელოვნობენ კაცნი, არა ღმრთისმეტყველებენ. უპირატესობა მოაქუს სოფლიოსა სიბრძნესა, განმდევნელსა ჯუარისა სიქადულისასა. მწყემსნი განიკადებიან და მგელნი მძიმენი ნაცვლად შემოიყვანებიან, განმჭრელნი ქრისტეს სამწყსოჲსანი. სალოცველნი სახლნი უდაბნოობენ ოკრებითა საეკკლესიოთა კაცთაგან, უდაბნონი სავსე არიან სალმობიერთაგან, მოხუცებულნი ჰგოდებენ ძუელთა თანაშეტყუებითა აწინდელთაჲთა, ჭაბუკნი უსაწყალობელესად არღაცა მეცნიერ არიან, რაბამთა განკუებულ არიან. ესენი კმა არიან ვიდრემე თანალმობად აღძრვად ქრისტეს სიყუარულითა განსწავლულთა. გარნა თანაშეტყუებითა ჭუშმარიტებასა თანა საქმეთასა ფრიად დაკლებულ არს სიტყუაჲ ძალისა მათისაგან, ვინაჲ რაჲცაიგი არს ნუგეშინისცემაჲ სიყუარულისაჲ, რაჲცა რაჲმე ზიარებაჲ სულისაჲ, რაჲცა რაჲმე წყალობანი და მოწყალებანი აღიძრვოდედ თქუენგან შეწევნად ჩუენთჳს, მიიღეთ შური კეთილმსახურებისაჲ, განმომიკსნენით ჩუენ ზამთრისა ამისგან. ითქმოდედ ჩუენ შორისცა კადნიერებით კეთილი იგი ქადაგებაჲ მამათა, დამაქცეველი სახელსა საძნაურსა არიოსის წვალებისასა და აღმაშენებელი ეკკლესიისა სიმრთელით მოძღურებისა, რომელსა შინა ძე თანაარსად მამისა აღსარებულ არს და სულიწმიდაჲ ერთპატივობით თანააღრაცხულ და თანამსახურებულ არს. რაჲთა კადნიერებაჲ ეგე, რომელი მოგცა თქუენ უფალმან ჭუშმარიტებისათჳს და საქადული აღსარებასა ზედა საღმრთოჲსა და საცხოვრებელსა სამებისასა, ესევე ჩუენ შორისცა ლოცვისა და თანამოქმედებისა თქუენისა მიერ მომადლებულ იქმნეს.

წმ. ეფრემ ასური

მამათათვის მძოვართა

ამას შინა დღესა პირველსა, კეთილსა და გამოჩინებულსა, აღესრულებიან საიდუმლონი მხოლოდ-შობილნი. რავდენთა ქრისტესა გსურის, ქებით ვღაღადებდეთ გალობასა ეკლესიასა შინა, რომელიგი არს სძალი ქრისტესი, და ვქადაგებდეთ სიმხნესა მას წმიდათა მამათასა, რომელთა-იგი სურვიელად ინებეს. ქებასა ვგალობდეთ, რომელნი-იგი სოფელსა განეშორნეს სარგებელ ყოფისათვის ყოველთა ამათ მსმენელთადსა. დაღათუ შორს ვინმე იპოოს, აქა მყოფთა ამათ თანა ზიარ ყავნ, ლოცვითა წმიდათა ამათ მამათადთა ცხონდინ, რომელი გულის-მოდგინე ჰყოფდეს მოყუასსა ლოცვითა ამით მსმენელთადთა.

აწ უკუე მომიპყრენით სასმენელნი, რადთა გითხრა ცხორებად მამათად, უდაბნოს გარე მყოფთად. შევიკრძალნეთ გონებანი ჩუენნი, სახენი გამოვიწერნეთ კეთილნი და განსაკვირვებელნი მათისა მის ცხორებისანი და მივიდეთ და ვიხილნეთ საყოფელნი მათნი და ვითარ-იგი სხენან, ვითარცა მკუდარნი საფლავთა შინა; წარვიდეთ და ვიხილნეთ ხურელნი მათნი, ვითარ მარადის უხარის, მკვდარ რად არიან მათ შინა; მივიდეთ და ვიხილნეთ, რომელთა-იგი სოფელი მოიძულეს და უფროდსლა სურვიელ იქმნეს უდაბნოს გარე ყოფად; წარვიდეთ და ვიხილოთ უცხოდ იგი კაცთად მათ ხატი, რომელნი-იგი მოელიან წოდებასა სახიერისა უფლისასა; წარვიდეთ და ვიხილნეთ ძაძანი მათნი, ვითარ-იგი ლოცვითა მათითა მარადის განწმიდნებიან; მივიდეთ და ვიხილნეთ პირნი მათნი, ვითარ-იგი მწუხარებითა სულთაგან იშუებენ; წარვიდეთ და ვიხილნეთ ზეცისანი იგი, რომელნი მათ თანა აქებენ და უგალობენ მათსა მას გვირგვინოსან მყოფელსა;

წარვიდეთ და ვიხილნეთ ტაბლანი მათნი, ვითარ-იგი მუხლთა მათთა ზედა დგანან ჯამასა მათსა; მოვედით და ვიხილოთ ლოდი იგი იაკობისა, ვითარ-იგი არს მისაყრდნობელ თავისა; მივიდეთ და მოვიღოთ უფლისა მისგან წმიდათაჲსა, რაჲთა იყოს მარადის საცო.

ავაზაკმან თუ იხილნის იგინი, მეყსეულად მოაქციის ავაზაკობრივისაგან სახისა; ლომმან თუ იხილნის იგინი, მუნქუესვე მომდოვრდის, რამეთუ ჯუარი შეუმოსიეს მარადის. რაჟამს მხეცთა ველურთა ძაძანი მათნი იხილნიან, მსწრაფლ განეშორნიან, რამეთუ საკვირველი დიდი იხილიან, ყოველსა ქუეწარმავალსა დასთრგუნვენ ფერხითა მათითა, რამეთუ შეუსხმიედ სარწმუნოებისა ფერხთ-შესასხმელნი. რაჟამს იხილნის იგინი ეშმაკმან, მუნქუესვე ზარი განჰხდის, მეყსეულად ღაღად-ყვის მაღლად და უჩინო იქმნის, რამეთუ შემუსრნის ბევრეულნი საფრხენი მისნი, უკუანა კერძო მათსა დგან და ვერ შეუძლის ენებად მართალთა მათ, რამეთუ შეურაცხ-ყვნეს ყოველთა შინა სანადირონი მისნი და არა შეიშინეს მანქანებათაგან მისთა.

სიმდიდრე თუ უჩუენის მათ, არად შეჰრაცხიან, არამედ შეურაცხყვიან იგი და, ვითარცა თივასა, დასთრგუნვენ, დაღათუ შენებულებაჲ უჩუენის მათ, ვითარცა არა არნ წინაშე მათსა, რამეთუ თქვან მისა მიმართ უფლისა იგი ხმაჲ. შიმშილი მათ არა ურვებნ, რამეთუ სურვილითა საკსე არიედ და მარადის ეზიარებიედ სიყუარულითა ქრისტესითა. ეგრეეე მსგავსად წყურვილი მათ არა შესწუაენ, რამეთუ თავისა მათისა თანა აქუნ ქრისტე, ცხოველი იგი წყაროჲ; ვერ შეაძრწუნის ერთისა მათგანისა გულის-სიტყუაჲ, რამეთუ კლდესა მას ზედა დადვეს საფუძველი. მკვიდრ არიან ქუაბთა შინა, ვითარცა სამეუფოთა შინა, ეგრეეე მსგავსად ხურელთა შინა, ვითარცა ტაძართა შინა; ხოლო მთანი და ბორცუნი, რომელ გარემოჲს მათსა არიან, ეგრეთ სურვიელად ჰქონან, ვითარცა ზღუდენი მაღალნი.

ტაბლად მათა არს მწუანვილი მთასა გარე, ეგრეეე სერად — მდელოჲ ველური; დიდად მათდა არს სასუმლად წყალი მდინარისაჲ, ხოლო ღვინოდ — ეგრეეე მსგავსად ნაპრალისაგან კლდეთაჲსა; ეკლესიად აქუს ენაჲ თვისი, რომლითა გალობედ და ილოცვედ განმარტებულად. ათორმეტნი ჟამნი ვითარცა ჰქონან დღესა, მათი არიან სალოცველ მათისა მის მიმართ უფლისა; გალობასა რომელ მთათა

გარე და ქუაბთა შინა იტყოდეს ქებით, მსხუერპლად სათნოდ შეიწირვის ღმრთისა, ხოლო ლოცვანი მათნი, ვითარცა ყოვლად-შესაწირავნი, შერაცხილ არიან წინაშე შემოქმედისა და უფლისა ყოველთაჲსა.

ეგინი არიან მღვდელნი და მკურნალნი სათნონი, რომელნი ჰკურნებენ ლოცვითა მათითა სალმობათა. დაფარულსა შინა ილოცვედ ღმრთისა მიმართ ჩუენთვის, რამეთუ მარადის დგანედ მეოხად ხორციელთათვის. არა მას ზრახვენ მაღალსა გინა თუ ზემოჯდომასა, რამეთუ სიქადულ მათა არს ქრისტე. არა სცეს თავთა თვისთა განსუენებაჲ სოფელსა შინა, რამეთუ ჰსუროდა მცნებათა მიმართ ქრისტესთა; არა მიეახლნიან ადგილსა, სადა აწყინებედ კაცნი, არცაღა მიეახლნიან, სადა სოფელი შენებულ არნ.

ელიას შეაურვეს ქალაქთა დამკვიდრებულთა, ხოლო მასვე განუსუენეს მთათა და უდაბნოთა; მოსე ეგვიპტეს შინა მცირედღა და ჭირსამცა ვიდრემე შევარდა, ხოლო უდაბნოდ რაჲ მიიწია, მუნ მანანაჲ ჭამა; დავით ქალაქთა შინა საულისგან იდევნებოდა, ხოლო უდაბნოდ რაჲ მიივლტოდა, მუნ განერა; იოვანე მკალსა ჭამდა უდაბნოს გარე და ეგრევე სახედ თაფლსა, ვითარცა წერილი იტყვის, ხოლო რაჟამს უდაბნოჲთ ქალაქად შევიდა, თვინიერ რომლისავე ბრალისათვის თავი მოეკუეთა; ეგრევე მსგავსად სოლომონცა უფსკრული იყო სიბრძნისაჲ, ხოლო კაცთა თანა ყოფითა დედათაგან იძლია და წარწყმიდა ყოველივე სიბრძნე მისი. რაჲღა ხამს მრავალი თქუმად, რამეთუ თავადი უფალი ჩუენი, რომელმან მშვიდობაჲ ყო ცასა შინა და ქუეყანასა ზედა, ქალაქთა შინა ყოფითა ებრაელთა და ნაშობთაგან ჯუარსა დამოეკიდა, ვითარცა ერთი ძვრის-მოქმედი. ესე უწყოდეს პატიოსანთა მათ მამათა და ივლტოდეს სოფლისაგან, რაჲთა უდაბნოს განერნენ.

არა შორს არიან ჩუენგან წმიდანი იგი მამანი, რამეთუ სულითა მარადის ჩუენ თანა არიან. თუმცა განვიშორებთ მათ, ვითარცა უცხოთა, ჩუენგან, რამეთუ მთათაგანსა ესოდენ იდიდების ღმერთი, ვითარცა სიმრავლისაგან დიდისა. და კუალად ორნი რაჲ გალობად მუნთა მათ შინა ღელეთა — ვითარცა სიმრავლისაგან ათასეულისა და ბევრეულისა; სამნი რაჲ ერთად შეკრბიან, სამებაჲ გამოისახის; და მეოთხელა შეერთის, მცველსა მას მიემსგავსის სამთა ყრმათასა,

რომელი იყო სახუმილსა მას შინა; უკუეთუ მეხუთე და მეექუსეცა შეერთიან, გინა მეშვიდე, სახე გამოიწერიან ათორმეტთაჲ მათ მოწაფეთაჲ მოძღურითურთ და უფლით მათით. არა აქუს გამოჩინებული საყოფელი ქუეყანასა ზედა, რამეთუ საყოფელნი მათნი ედემს შინა არიან. სადაცა დაულამნის დღე, მუნცა დაადგრიან; ვიდრეცა მიეყვის დღე, მუნცა სავანე-ყვიან; საფლავისასა არას ზრუნვენ და სამარხისათვის არას იღუწიან, რამეთუ ცხოვლივე მკუდარ არიან სურვილითა ქრისტესითა, რამეთუ რომელსაცა ადგილსა აღასრულა თითოეულმან მათგანმან მარხვაჲ თვისი, მუნცა ექმნა მას ადგილი იგი სამარხო.

მრავალნი მათგანნი, რომელთა მოიდრიკნეს მუხლნი მათნი ლოცვად ღმრთისა მიმართ, და ლოცვასა შინა განისუენეს დაყუდებულად წინაშე ღმრთისა; სხუანი კლდესა ზედა განისუენებდეს და სულნი შეჰვედრნეს თვისსა უფალსა; სხუამან სლვასა შინა მთასა გარე სული აღმოუტევა და ექმნა ადგილი იგი დამფლველ; სხუაჲ დაფარა ღელესა შინა თოვლმან, და ექმნა მას ადგილი იგი საფლავ თოვლითურთ.

იყო ვინმე მათგანი, რომელმან შეიმოსა თავი თვისი და დაიფლა თავი თვისი შეწევნითა უფლისაჲთა; სხუაჲ კუალად ძოვდა მდელოსა გინა მწუანესა, მიერულა და სული განუტევა თვისსა ზედა ტაბლასა; სხუაჲ კუალად დგა და უგალობდა ღმერთსა, მიელო ხმაჲ სულისა მისისაჲ; სხუასა კუალად ლოცვასა შინა მეყსეულად მოუხდა სიკუდილი და დაჰბეჭდა ლოცვასა მას მისსა, და მოელიან ხმასა მას აღმადგინებელისა თვისისა და ყუავიან, ვითარცა შროშანნი, და სულნელად ფშვიან.

რაჟამს მოუხდენ ქუეყანასა სალმობანი შობად, მეყსეულად ყოველნივე იგი აღმოსცენდნენ, ვითარცა შროშანნი. რაჟამს მთანი აღეხუნენ ბრძანებითა ღმრთისაჲთა, მაშინ ძუალნი მათნი რიცხვით შეიკრიბნენ; ოდეს დაჰხსნდებოდიან მთანი ბორცუთა თანა, მაშინ ასოები მათი ყოვლით კერძო შეკრბებოდიან; რაჟამს დაჭნეს სიკეთე, რომელიცა მოიძულეს, მაშინ შეიმოსონ მათ სიკეთე იგი ზეცისაჲ, და რაჟამს აღიფხურნენ საფუძველნი ქუეყანისანი, მაშინ აღდგენ იგინი დიდებითა და პატივითა; რაჟამს შეიმუსრნენ სახსველნი იგი ჯოჯოხეთისანი, მაშინ აღმოესხმოდის; ოდეს ყოველი დაჰხსნდეს, მაშინ აღდგენ

დიდებითა, განიცდიდეს ჯოჯოხეთი გუამთა მათთა, ნუუკუე აქუნდეს რაჲმე ბიწი, და გებულნი გამოსცნეს იგინი და ვერ შეიპყრას ფრჩხილიცა ერთისა მათგანისაჲ, ხოლო თმისა მათისა წილ, რომელ შეემოსა, მოსცეს მათ ქრისტემან გვირგვინები შეთხზული შუენიერი, შეიწიროს მონაზონებაჲ იგი მათი, რომელსა გულს-მოდგინედ მონაზონებდეს, და მოსცეს მის წილ საშუებელი იგი სამოთხისაჲ; და რამეთუ იყოფოდეს უდაბნოთა ადგილთა, სასუენებელად შეიყვანნეს იგინი და მუნ იშუებდენ. ამისთვის, რამეთუ გამოირჩიეს სოფელსა ამას ჭირი, ახაროს მათ ღვინითა მით ზეცისაჲთა.

ანგელოზთა გული ეტყვის პატივისა მისთვის კაცთაჲსა და ითხოვედ, რაჲთა მსგავსად მათსა აქუნდეს დიდებაჲ, და განმზადებულ არიან თქუმად, ვითარმედ: ნეტარ ხართ, წმიდანო ქრისტესნო, რამეთუ გულს-მოდგინებითა თქუენითა აქა მოიწიენით და კეთილად თავით თვისით წარიმართეთ და აღძრვისა მისგან დიდისა ღელვისა განერენით და თვისითა ხელოვნებითა და მოწრაფებითა, რომელ-იგი გაქუნდა, აქა მოიწიენით აწ ნავთსადგურსა მას ცხოვრებისასა სულისა წმიდისა თქუენდა წინამძღურებითა, რომლისაჲ არს დიდებაჲ საუკუნეთა საუკუნეთასა. ამენ.

ანტიქრისტესათვის

შეშინებულ ვარ და შეძრწუნებულ ვარ, საყვარელნო, დღისა მისთვის ბოროტისა და საშინელისა, რომელი მოწევნად არს ჩვენ ზედა. ძრწის ყოველი გვამი ჩემი, განმიშრა ენაჲ ჩემი შიშისა მისგან ბოროტისა და სასასა ჩემსა აექვა. და თუ ვიტყოდი, განხურდების გული ჩემი და მუცელი, ზრახვასა ჩემსა ცეცხლი აღატყდების; იქმნა გული ჩემი, ვითარცა ცვილი დადნობილი შუა მუცელსა ჩემსა. მელმის მუცელი ჩემი, განხმეს ნაწლევნი ჩემნი, განკრთომილ არს გონებაჲ ჩემი, აღძრულ არს სული ჩემი გვამსა შინა ჩემსა, კვნესიან თირკმელნი ჩემნი, შეშფოთებულ და დაკვირვებულ და ზარ-ხდილ არს ყოველივე ცნობაჲ ჩემი.

ვეშაპისა მისთვის ვიტყვი, რომელსა ეგულების შთათქმად ყოველი სოფელი, რომელი იგი მოსვლად არს ძალითა და შეწევნითა ეშმაკისათა ყოვლითა ნიშებითა და სასწაულებითა ტყუილისათა, რომელი იგი განემზადოს და იზმნეს, რაჲთამცა შთათქა ყოველი სოფელი, რამეთუ უშჯულოთა მათ ჰურიათა პირველად არა შეიწყნარეს გზაჲ იგი ჭეშმარიტებისაჲ და სიმართლესა ღმრთისასა არა დაემორჩილნეს, ვითარცა იტყვის: „თვისთა მოვიდა, და თვისთა არა შეიწყნარეს იგი“ (იოანე. 1,11). ამისთვისცა მოუვლინოს ღმერთმან შემწედ საცთურებისა მათისათვის. ხოლო ჩვენ ამის ყოვლისათვის განგვაკრძალებს მხსნელი და მაცხოვარი ჩვენი და იტყვის: „იხილეთ, ნუუკუე გაცთუნნეს ვინმე თქვენ, რამეთუ მრავალნი მოვიდოდიან სახელითა ჩემითა და იტყოდიან, ვითარმედ მე ვარ ქრისტეჲ, და მრავალნი აცთუნენ“ (მათე. 24,4-5).

ხოლო მე გეტყვი თქვენ, საყვარელნო, ვითარცა—იგი პირველად ჟამ-ჟამად შეჰყვა სიბრმეჲ ისრაელსა, ვითარცა წმიდა მოციქული იტყვის, ეგრეევე სახედ მოიწიოს ყოველთა ქრისტეანეთა ზედა, და ჟამად-ჟამად შემოხდეს საცთური სოფელსა შინა, და განქარდეს სარწმუნოებაჲ, მოოხრდეს ეკლესიანი, დაირღვევნ საკურთხეველნი, შემცირდნენ წმიდანი, და განმრავლებითა მით უშჯულოებისათა განხმეს სიყვარული მრავალთაჲ. მას ჟამსა რბიოდიან ყოველნივე და ეძიებდენ სიტყვასა ღმრთისასა და არა ჰპოვებდნენ, რამეთუ დაძველდენ ყოველნი წიგნნი, მოისრნენ მოძღუარნი, და თუ ვინმე იპოოს მას ჟამსა შინა და მოძღურიდეს, კაცად-კაცადმან ჭეშმარიტებისაგან სასმენელნი თვისნი გარე—წარიქცინნენ და ზღაპრებასა მიექცნენ.

ხოლო ჩვენდა სიფრთხილე ჯერ-არს ამას ყოველსა ზედა, ვითარცა წმიდა მოციქული იტყვის და ტიმოთეს ასწავებს (1 ტიმ. 1, 3-6). ხოლო თქვენ გითხრობ, საყვარელნო, რამეთუ აღდგენ ეპისკოპოსნი ეპისკოპოსთა ზედა, მღვდელნი მღვდელთა ზედა, მოწესენი მოწესეთა ზედა, ერნი ერთა ზედა, ვიდრე სისხლამდე. ნუ გიკვირნ ესე, რამეთუ წმიდათა მოციქულთაცა თანა იპოვა შინა-განმცემელი. მაშინ იყუნენ ბრძოლანი ნათესავთა ზედა, მეფენი მეფეთა ზედა, და იყვნენ სიყმილნი და სრვანი და ძრვანი ადგილ-ადგილად. და ესე ყოველი იყოს.



წმ. მაკარი დიდი

განსაცდელთათვის

ძმამან ჰკითხა მამასა მაკარის მეგუპტელსა დიდსა, თუ ვითარ ვცხონდე? მიუგო და ჰრქუა მას ბერმან: წარვედ საფლავებსა და აგინე მკუდართა. და წარვიდა ძმაჲ იგი და აგინა, ვითარცა უბრძანა მას ბერმან. და მოვიდა, უთხრა მას, ვითარმედ: ვაგინენ, ჰრქუა მას ბერმან: და არაჲ გარქუესა შენ? ჰრქუა მან: არაჲ. და კუალად ჰრქუა მან ბერმან: წარვედ და ადიდენ იგინი. და წარვიდა ძმაჲ იგი და ეტყოდა მათ: მოციქულნო, წმიდანო და მართალნო! მოვიდა ბერისა და ჰრქუა: ვადიდენ. ჰრქუა მას ბერმან: და არა გარქუესა შენ? ჰრქუა მან, ვითარმედ: არა მრქუეს რა. მაშინ ჰრქუა მას ბერმან: უწყია აწ, შვილო, ვითარმედ აგინეს და არა აღშფოთნეს, და ადიდენ და არა განმხიარულდეს? აწ უკუეთუ გნებავს ცხოვრება, შენ ეგრეთვე იქმოდე, ნუცა დიდებაჲ შეგირაცხიეს კაცთაჲ, ნუცა გინებაჲ, ვითარცა მკუდარსა, და სცხონდე.

პატერიკი

რომელსა ჰნებავს სათნო-ყოფად ღმრთისა და ჰრწმენეს თანამკჳდრად ქრისტესა ყოფაჲ და ისწრაფდეს, რაჲთამცა მსგავს უფლისა იქმნა, თანა-აც მას, რაჲთა უწინარეს ყოვლისა სულგრძელებაჲ და მოთმინებაჲ მოიგოს, რაჲთა ყოველსავე ჭირსა და განსაცდელსა სიხარულით მოითმენდეს: გინა თუ კორციელთა უძლურებათა და ვნებათა, ანუ თუ ყუედრებასა და გინებასა კაცთასა, გინა თუ ჭირთა უხილავთა და თითოსახეთა, რომელნი მოიწევიან სულსა ზედა სულთა მათ მიერ ბოროტთა, რაჲთამცა დააყენეს იგი სასუფეველსა შესლვისაგან და მიიყვანეს იგი დაკსნილობად და სულმოკლებად და უთმინოებად. რამეთუ უფალი განგებულებით მიუშუებს თითოეულსა

სულსა გამოცდად თითოსახეთა ჭირთა შინა, რაჲთა გამოჩნდნენ სულნი იგი, რომელთა ყოვლითა გულითა უყუარს ღმერთი და მოითმინნენ ყოველნივე იგი ზედამოსრულნი განსაცდელნი მტერისანი ახოვნად და მარადის გამოკსნასა მას მადლისასა მოელოდიან სასოებით და მოთმინებით. ხოლო ესევითარნი იგი შემძლებელ არიან განვლად განსაცდელთა მათგან და ესრეთ პოონ აღთქუმაჲ იგი სულისაჲ და შევიდენ სასუფეველსა მისსა. ხოლო თანა-აც სულსა, რომელი სიტყვასა უფლისასა შეუდგებოდის, რაჲთა ჯუარი იგი უფლისაჲ სიხარულით აღიღოს, ვითარცა წერილ არს. ესე იგი არს, რაჲთა მარადის მზა იყოს მოთმინებად ღმრთისათჳს ყოვლისავე განსაცდელისა მომავალისა გინა თუ ფარულისა, გინა თუ ცხადისა და კაცობრივისა. და რაჲთა უფალსა შეეეედროს სასოებით მარადის, რამეთუ კელმწიფებასა შინა მისსა არს ყოველივე, გინა თუ შეუნდოს სულსა, რაჲთამცა ეჭირვოდა, ანუ კუალად, უკუეთუ ენებოს, რაჲთა გამოიყვანოს იგი ყოვლისაგანვე გულისკლებისა. ხოლო უკუეთუ არა განმკნდეს და ახოვნად მოითმენდეს ყოველსავე ჭირსა, არამედ მწუხარე იყოს და მოწყინე, დაუმძიმდეს და სულმოკლე იქნებოდის ღუაწლსა მას შინა და სასოებასა წარიკუეთდეს, ვითარმცა ვეროდეს გამოვიდოდა განსაცდელისა მისგან. ხოლო ესე ყოველი უკეთურთა ეშმაკთა სიკელოვნჱ არს, რაჲთამცა მოიყვანეს სული მოწყინებად და სასოწარკუეთილებად, რაჲთამცა არა მოელოდა წყალობასა უფლისასა. ხოლო ესევითარი იგი სული შვილ ცხოვრებისა არაოდეს იქმნების, რამეთუ არა შეუდგა ყოველთავე წმიდათა და არცა ვლო მან კუალსა ზედა უფლისასა.

გულისკმა-ყავ და იხილე, თუ ვითარ დასაბამითგან ყოველნივე წმიდანი მამათმთავარნი, წინასწარმეტყველნი, მოციქულნი და მოწაფენი იწროსა მას და საჭირველსა გზასა ვიდოდეს განსაცდელითა მრავლითა და ესრეთ შეუძლეს სათნო-ყოფად ღმრთისა, რამეთუ მოითმინეს ყოველივე განსაცდელი და ჭირი ახოვნად და განსაცდელთა მათ შორის ბოროტთა მხიარულ იყვნეს სასოებისა მისთჳს კეთილთაჲსა, რომელსა მოელოდეს, ვითარცა წერილი იტყჳს, ვითარმედ: „შვილო, უკუეთუ მოხუალ მსახურებად უფლისა, განჰმზადე სული შენი მოთმინებად, დააღრმე გული შენი და თავსიდევ ყოველივე“ (ზირაქ.2,2) და მოციქული იტყჳს: „უკუეთუ შორს ხართ სწავლასა,

რომლისა ზიარ იქმნნეს ყოველნი, მწირნი ვიდრემე ხართ და არა შვილნი“ (ებრ.12,8). და სხუასა ადგილსა წერილ არს, ვითარმედ: „ყოველივე შენ ზედა მომავალი, ვითარცა კეთილი ესრეთ შევიწყნარე, რამეთუ თჳნიერ ღმრთისა არა რაჲ იქმნების“. და უფალი იტყჳს: „ნეტარ იყვნეთ თქუენ, რაჟამს გდევნიდენ და გყუედრიდენ და თქუან ყოველი სიტყუაჲ ბოროტი თქუენდა მომართ სიცრუით, ჩემთჳს. გიხაროდენ და მხიარულ იყვენით, რამეთუ სასყიდელი თქუენი დიდი იყოს ცათა შინა“. და „ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმართლისათჳს, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათაჲ“. ხოლო დევნაჲ გინა თუ ცხადად კაცთა მიერ, გინა თუ ფარულად სულთა მიერ უკეთურთა იგივე არს. რამეთუ წინააღუდგებიან იგინი სულსა მას, რომელი ღმერთსა ეძიებნ, რაჲთამცა დააყენენ იგი სასუფეველსა შესლვისაგან და რაჲთა გამოიცადოს და გამოჩნდეს, უკუეთუ ჭეშმარიტებით უყუარს ღმერთი. რაჟამს-იგი მოითმინოს ყოველივე ჭირი და სასოებაჲ უკუნისამდე დაიმარხოს და მოელოდის გამოკსნასა. ანუ კუალად, უკუეთუ არა მოითმინოს, არამედ შეშინდეს და უთმინო იქმნას, რაჲთა ესრეთცა გამოჩნდეს, ვითარმედ არა უყუარს ღმერთი ჭეშმარიტებით. რამეთუ თითოსახენი ჭირნი და განსაცდელნი გამოაჩინებენ ღირსა და უღირსთა სულთა, რომელთა აქუნდეს სარწმუნოებაჲ და სიყუარული ღმრთისაჲ და რომელთა არა აქუნდეს. რაჲთა სულნი იგი ღირსნი ყოველსავე შინა გამოჩნდენ გამოცდილ და ღირს და სარწმუნო, რომელთა უკუე მოითმინონ და სასოებაჲ იგი სრულიად დაიმჭირონ და ესრეთ პოონ გამოკსნაჲ მადლისა მიერ და ღირს იქმნნენ იგინი დამკჳდრებად სასუფეველსა ცათასა. ამისთჳს უკუე თანა-აც ყოველსა სულსა, რომელსა ენებოს სათნო-ყოფაჲ ღმრთისაჲ, რაჲთა უპირატეს ყოვლისა მოთმინებაჲ და სასოებაჲ შეიკრძალოს ახოვნად და ესრეთ შეუძლოს თანაწარსლვად ყოველსავე ჭირსა და ზედააღდგომასა უკეთურისა ეშმაკისასა.

რამეთუ ღმერთი სულსა, რომელი მას ესვიდეს და მას დაუთმობდეს, არა შეუნდობს გამოცდად ესრეთ, რაჲთამცა ვერღარა შემძლებელ იყო ტჳრთვად ჭირთა და განსაცდელთა მათ, ვითარცა მოციქული იტყჳს, ვითარმედ: „სარწმუნო არს ღმერთი, რომელმან არა გიტევნეს თქუენ გამოცდად უფროჲს ძალისა თქუენისა, არამედ განსაცდელსა შინა ყოს აღსასრულიცა, რაჲთა შემძლებელ იქმნნეთ

მოთმინებად". რამეთუ არა ქელ-ეწიფების უკეთურსა მას ეშმაკსა გამოცდად სულისა, რაოდენცა ენებოს, არამედ რაოდენ ღმერთმან მიუშუას. ოდენ სულსა ესე უკმს, რაჲთა ახოვნად დაიმჭიროს სასოებაჲ და სარწმუნოებით მოელოდის შეწევნასა და ქელის-აპყრობასა მისსა. და შეუძლებელ არს, თუმცა დაუტევა იგი ღმერთმან, არამედ რაოდენცა ისწრაფდეს და სარწმუნოებით და სასოებით მიივლტოდის ღმრთისა და მისმიერსა შეწევნასა უეჭველად მოელოდის, ეგოდენცა ადრე გამოიკსნის მას უფალი ზედამომავლისა მის ჭირისაგან. რამეთუ მან უწყის, თუ რაოდენ უკმს სულსა გამოცდაჲ და განსაცდელსა შინა ყოფაჲ და ეგოდენცა მიუშუებს, ოდენ იგიმცა დაიმჭირავს მოთმინებასა და სასოებასა, ვიდრე აღსასრულადმდე და არა ჰრცხუენეს მას, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: „ჭირი შობს მოთმინებასა, ხოლო მოთმინებაჲ გამოცდილებასა, ხოლო გამოცდილებაჲ სასოებასა, ხოლო სასოებამან არა არცხჯნის". და კუალად იტყჯს: „ვითარცა მონანი ღმრთისანი მოთმინებითა მრავლითა ჭირთა შინა და ურვათა და იწროებათა" (რომ.5,3-5). და შემდგომი ამისი. და უფალი იტყჯს, ვითარმედ: „რომელმან მოითმინოს სრულიად, იგი ცხონდეს", და „მოთმინებითა თქუენითა მოიპოვნეთ სულნი..." და სხუასა ადგილსა წერილ არს: „ვინ მიენდო ღმერთსა და ჰრცხუენა, ანუ ვინ დაადგრა შიშსა შინა მისსა და დატევებულ იქმნა, ანუ ვინ ხადოდა მას და უგულებელს-ყო იგი?" (ზირაქ.2,10-12) და უკუეთუ კაცნი, რომელთა მცირედი გონებაჲ აქუს და შემძლებელ არიან გულისკმის-ყოფად, თითოეული პირუტყუთაგანი რაოდენსა სიმძიმესა და ტვრთსა აღიღებდეს, ვითარ კარაული, ანუ ჯორი, ანუ აქლემი, და თითოეულსა ძალისა მათისაებრ აჰკიდებენ. და უკუეთუ მეკეცჱ ჭურჭელსა მას კეცისასა შეჰკრებს საკუმილსა შინა, რაჲთა გამოიკურვნენ და იქმნნენ საკმარ კაცთა და უწყის, თუ რაჲზომ უკმს მათ გამოწუვაჲ, და არცა უფროჲს ზომისა უტეობს დაწუვად, რაჲთა არა განტყდენ და განიხრწნენ და არცა უწინარეს ჟამისა გამოიხუამს მათ ცეცხლისაგან, რაჲთა არა უკმარ იყვნენ. ხოლო უკუეთუ საჩინოთა მათ საქმეთა შინა კაცთა ესოდენი გულისკმისყოფაჲ აქუს, ვითარ არამცა უფროჲსად უწყოდა ღმერთმან, რომელი-იგი არს მიუწთომელ და გამოუთქუმელ, გულისკმისყოფაჲ და

მეცნიერებაჲ და ყოვლითურთ სიბრძნჱ, თუ რაოდენი გამოცდაჲ და ჭირი განსაცდელთაჲ ძალ-უც სულთა მათ, რომელნი მას ეძიებდენ და უნდა სათნო-ყოფაჲ მისი და სუროდის დამკუდრებად სასუფეველსა ცათასა. და რაჟამს ესრეთ მოითმინონ ვიდრე აღსასრულადმდე ახოვნად ყოველივე ჭირი და განსაცდელი და გამოჩნდენ ღირსად ცხორებასა მას საუკუნესა. რამეთუ ვითარცა ბუნებაჲ კანაფისაჲ, უკუეთუ არა დაინაყოს ფრიად, შეუძლებელ არს მისგან საბლისა წულილისა შეგრეხაჲ და რაოდენცა იგუემოს იგი ნაყითა, ეგოდენცა უკეთეს და უწმიდეს იქმნების, ეგრეთვე სული ღმრთისმოყუარჱ, რომელი მრავალთა განსაცდელთა და ჭირთა შევიდეს და მოითმინოს ახოვნად, უწმიდე და უშუენიერე იქმნების საქმესა მას შინა წურილადსა სულისასა და უკუანაჲსკნელ ღირს იქმნების დამკუდრებად საშუებელსა მას სასუფეველისასა. რამეთუ ვითარცა ჭურჭელი კეცისაჲ ახლად შექმნული უკმარ არს, უკუეთუ ცეცხლსა არა შევარდეს, ანუ ვითარცა ყრმაჲ ჩჩუული უკმარ არს საქმეთათუს სოფლისათა და ვერცა ქალაქთა შემძლებელ არს აღშენებად, ვერცა დათესვად ყანასა, ვერცა დასხმად ვენაკსა, ვერცა სხუსა რაჲსამე საქმისა ქმნად სიჩჩოჲსა მისგან მისისა, ეგრეთვე სულნი, დაღაცათუ ზიარ მადლისა იქმნენ და განსუენებულ იყვნენ სიტკბოებითა მით სულისაჲთა, რამეთუ უფალი სიჩჩოჲსა მათისათუს სახიერ ექმნების, ხოლო უკუეთუ არა გამოიცადნენ თითოსახითა ჭირითა უკეთურთა მათ მიერ სულთა, ჯერეთ ჩჩუულ არიან და, ესრეთ ვთქუათ, არღარა საკმარ არიან სასუფეველსა ცათასა გამოუცდელობისა მათისათუს, ვითარცა თქუმულ არს, ვითარმედ: „უკუეთუ შორს ხართ სწავლასა, რომლისა ზიარ იქმნეს ყოველნი, მწირნი ვიდრემე ხართ და არა შვილნი“ (ებრ.12,8). ამისთუს უკუე საცნაურ არს, ვითარმედ ჭირნი და განსაცდელნი უმჯობესისათუს კაცისა არიან და გამოცდილ და მტკიცეჰყოფენ სულსა, უკუეთუ ოდენ ახოვნად მოითმინოს და გულსმოდგინედ და სასოებითა უფლისაჲთა და მოელოდის სარწმუნოებითა შეუორგულებელითა გამოკსნასა უფლისა მიერ და წყალობასა მისსა. და შეუძლებელ არს, თუმცა არა პოვა მან აღთქუმაჲ იგი სულისაჲ და გამოკსნაჲ ვნებათაგან, ვითარცა გამოცდილი და სარწმუნოჲ, რომელმან სარწმუნოებაჲ უფლისაჲ აღსრულებადმდე მოთმინებით დაიცვა.

რამეთუ ვითარცა წმიდათა მოწამეთა მრავალნი ღუაწლნი მოითმინნეს და ვიდრე სიკუდილადმდე სასოებითა უფლისაჲთა დაადგრეს კეთილსა მას აღსაარებასა შინა და ესრეთ გამოცდილ იპოვნეს და ღირს იქმნნეს მიღებად გჳრგჳნთა მათ დიდებისათა. ხოლო რომელთამე უმეტესნი და უფიცხლესნი სატანჯველნი დაითმინნეს და უმეტესიცა დიდებაჲ და კადნიერებაჲ მოიგეს ღმრთისა მიერ. ხოლო რომელნიცა შეშინდეს ჭირთაგან და სატანჯველთა და არა დაადგრეს კეთილსა მას აღსაარებასა ზედა, ეგევითარნი იგი სრულიად სირცხჳლეულ და კდემულ არიან აქაცა და მასცა საუკუნესა. ეგრეთვე სულნი, რომელნი მიეცნენ ჭირთა მრავალთა გამოსაცდელად და სულთა მათ უკეთურთაგან უხილავად იგვემებოდინ თითოსახედ, გინა თუ შინაგან ფარულად ჭირითა და გულისსიტყუათა ბოროტთაჲთა, ანუ ცხადად ჯორციელთა ვნებათა მიერ, ხოლო უკუეთუ მოითმენდენ ახოვნად და დაიმჭირონ სასოსებაჲ ღმრთისაჲ და სარწმუნოებით მოელოდინ მადლსა მას უფლისასა, ეგევითართავე გჳრგჳნთა სიმართლისათა ღირს იქმნებიან მიღებად, რაჟამს-იგი აქაჲთვე გამოკსნასა მოელოდინ და მასვე კადნიერებასა ჰპოებენ მოწამეთასა დღესა მას სასჯელისასა. რამეთუ ამათცა იგივე წამებაჲ ჭირთაჲ მოითმინეს, რომელი-იგი მათ კაცთა მიერ მოითმინეს, ამათ კულა ეშმაკთა მიერ, რომელთა იგინი აღძრნეს ტანჯვად მათდა. და რაოდენცა უმეტესი ჭირი მოითმინონ ეშმაკთა მიერ და სასოებაჲ იგი მათი სრულიად დაიმარხონ, ეგოდენცა უმეტესსა დიდებასა ღმრთისამიერსა მოიგებენ და აქაცა განერებიან ჭირთა მათგან მოლოდებისაებრ მათისა მადლითა სულისა წმიდისაჲთა და მერმესა მას საუკუნესა ღირს იქმნებიან დამკჳდრებად ცხორებასა მას საუკუნესა.

ხოლო რომელნიცა შეშინდენ ჭირთა მათგან და არა მოითმინონ, არამედ სულმოკლებად და სასოწარკუეთილებად მოვიდენ და მართლუკუნ იქცენ გზისა მისგან სიმართლისა და წყალობასა უფლისასა უკუნისამდე არა მოელოდინ, ეგევითარნი იგი სულნი გამოუცდელობისა მათისათჳს სასუფეველსა ცათასა ვერ ჰპოებენ, რამეთუ თანა-აც ყოველსა სულსა, რაჲთა ვიდრე სიკუდილადმდე მოითმინოს ყოველივე განსაცდელი უფლისათჳს, რომელი-იგი ჩუენთჳს მოკუდა და რაჲთა სასოებაჲ მისა მიმართ დაიმჭიროს და ესრეთ ღირს იქმნას ცხოვრებასა საუკუნესა. რამეთუ რომელთაცა ჰნებავს სრულიად გან-

რომაჲ გეჰენიისაგან ცოდვილთათჳს განმზადებულისა და პოვნაჲ სასუფეველისაჲ, ჯერ-არს მათდა, რაჲთა ჭირნი იგი გეჰენიისანი აქავე თავს-ისხნენ განსაცდელთა მიერ ეშმაკისათა. და უკუეთუ აღ-სასრულადმდე მოითმინონ და წყალობასა უფლისასა მოელოდინ სარ-წმუნოებით, იგინი აქაცა განსაცდელთაგან და ჭირთა განერებიან და ზიარებასა მას წმიდისა სულისასა აქავე ღირს იქმნებიან და გეჰენი-ისაგან განერებიან აქავე და სასუფეველსა ქრისტესსა დაიმკჳდრებენ. რამეთუ ღმერთმან გზაჲ იგი ცხორებად მიმყვანებელი ესევითარი განაგო, რაჲთა იყოს იგი იწრო და ჭირვეულ, ვითარცა წერილ არს. ამისთჳსცა მცირედნი არიან, რომელნი-იგი ვლენან მას შინა. ხოლო აწ, ძმანო, ვინაჲთგან ესევითარი სასოებაჲ წინა-გჳც და ეგევითარნი ალთქუმანი ალთქუმულ არიან უტყუველისა მის ღმრთისა მიერ, ყოველივე ზედაალდგომაჲ და ჭირი უკეთურისაჲ ახოვნად მოვითმინოთ სასოებისა მისთჳს ცათა შინა მდებარისა, რამეთუ რავდენიცა ჭირნი და განსაცდელნი მოვითმინნეთ უფლისათჳს, რაჲთამცა ვიქმენით ღირსი ნაცვალი, ანუ თუ საუკუნოჲსა მის ალთქუმულისა ცხორები-საჲ, ანუ ნუგეშინისცემისა მისთჳს, რომელი აქავე მოეცემის სულისა წმიდისა მიერ სულთა მათ მოთმინეთა, ანუ გამოჴსნისა მისთჳს ვნებათაჲსა და ბნელისა მის ბოროტისა, ანუ თანანადებთა მათ სიმ-რავლისა ცოდვათა ჩუენთაჲსა, ვითარცა წერილ არს: „გან-თუ-ვი-კითხვით, ღმრთისა მიერ განვისწავლებით, რაჲთა არა სოფლისა თანა დავისაჯნეთ“ (1 კორ.11,32). და კუალად იტყჳს, ვითარმედ: „არა ღირს არიან ვნებანი ამის ჟამისანი მერმისა მის თანა დიდებისა, რომელი გამოჩინებად არს ჩუენ ზედა“ (რომ.8,18).

ვიქმნნეთ ჩუენ, ვითარცა მჴნენი მჴედარნი და მეუფისა ჩუენისათჳს სიკუდილად მზა-ვიყვნეთ, რამეთუ რაჲსათჳს არა გუჭირდეს ესე ბრძოლანი და ჭირნი, რაჟამს სოფელსა შინა ვიყვენით და ზრუნვათა ქუეყანისათა? არამედ აწ ოდეს მოვედით სათნო-ყოფად უფლისა, ესოდენნი ჭირნი და განსაცდელნი მტერისანი ჩუენ ზედა აღდგებიან. ჰხედავთა, რამეთუ ესე ყოველი ღმრთისათჳს მოიწევის ჩუენ ზედა? რამეთუ გუეშურების ჩუენ მტერი, რაჲთამცა დაჴსნილებად და უდე-ბებად მოგჳყვანნა, რაჲთა არა სათნო-ვეყვნეთ უფალსა და ვცხონ-დეთ. ხოლო რაოდენცა ეშმაკი ჩუენ ზედა აღდგებოდის, უკუეთუ ჩუენ მოთმინებასა და სიმჴნესა შინა ვიპოვნეთ და მზა-ვიყვნეთ ჩუენ

ვიდრე სიკუდილადმდე მისლვად სასოებისათჳს უფლისა, ყოველნივე მანქანებანი მისნი ჩუენ ზედა აღდგომილნი დაიკსნებიან. რამეთუ გუაქუს კელისამპყრობელი ჩუენი და შემწჱ იესუ, რომელი-იგი მოგუცემს ჩუენ, ჭირვეულთა მოსავთა მისთა, მოთმინებასა და მტერსა მას ჩუენსა არცხუენს, რაჟამს-იგი ჩვენ ძლევაჲ მოვიღოთ. და სასყიდელი ჭირთა ჩუენთაჲ არს სასუფეველი მისი.

ვიქმნნეთ ჩუენ, ვითარცა გურდემლნი, რაჲთა ვიცემებოდით და არა დავჰკსნებოდით, არცა გამოვაჩინებდეთ გუემისა და ცემისა მის მიერ კუალსა დაკსნილობისასა, ანუ მოწყინებისა, ანუ სულმოკლებისასა. ვიცემებოდით და ვსძლევდეთ წინააღმდგომსა მას ჩუენსა მოთმინებითა, რამეთუ უფალმან ჩუენმან ესე სოფელი არა გუემითა განვლოა და ჭირითა და ინერწყუა და იყუედრა და იდევნა? ხოლო უკუანაჲსნელ უპატიოჲთა მით სიკუდილითა ჯუარისაჲთა ურჩულოთა მიერ დაისაჯა- და იგი ყოველი ჩუენისა ცხორებისათჳს თავსიდვა, რაჲთამცა ჩუენ დაგჯტევა სახჱ ცხორებისაჲ, რაჲთა გზაჲ იგი, რომელი მან წარვლო განსაცდელითა და ჭირითა და სიკუდილითა, რომელთა ჭეშმარიტებით სახელი მისი ჰრწამს და მის „თანამკჯდრ-ყოფაჲ“ ჰნებავს, რაჲთა ვითარცა-იგი მან ყოვლად ივნო ჩუენთჳს, ხოლო უკუანაჲსკნელ ჯუარს-ეცუა რაჲ და მოკუდა ჯუარსა ზედა, სძლო და ჯუარცუმითა ჯუარს-აცუა და სიკუდილითა მოკლა და დასაჯა ცოდვაჲ ხორცითა თჳსითა და დასცნა ძალნი იგი წინააღმდგომნი. ვითარცა წერილ არს: „და განძარცუნა მთავრობანი იგი და კელმწიფებანი“ ჯუარსა ზედა, „თითის საჩუენებელყვნა და განაქიქნა იგინი თავისა თჳსისა მიერ“. ეგრეთვე ჩუენ ყოველივე ზედააღდგომაჲ და ჭირი უკეთურისაჲ უკუეთუ ახოვნად და გულსმოდგინებით მოვითმინოთ, მაშინ ვსძლოთ წინააღმდგომსა მას სარწმუნოებითა და მოთმინებითა და სასოებითა უფლისაჲთა და ესრეთ ვიპოვნეთ გამოცდილ და ღირს ვიქმნნეთ გამოკსნისა და მოვიღოთ სიწმიდე სულისაჲ და მერმისა მის საუკუნოჲსა ცხორებისა მკჯდრად გამოვჩნდეთ. რამეთუ ღუაწლსა ამას შინა სულიერსა წინააღმდგომისა ძლევაჲ ვნებითა და სიკუდილითა იქმნების. რაჟამს გუევნებოდის და მოვკუდებოდით უფლისათჳს გულსმოდგინედ, მაშინ ვსძლევთ წინაამდგომსა. ხოლო უკუეთუ გუნებავს, რაჲთა ყოველივე ჭირი და განსაცდელნი არა ფიცხლად აღგჯჩნდენ ჩუენ, არამედ ადვილად მოვითმენდეთ ყოველ-

სავე ზედა აღდგომასა უკეთურისასა და უფლისა სიკუდილი მარადის წინაშე თუალთა გუაქუნდეს. და ვითარცა უფალი იტყჳს: „ყოველსა დღესა ჯუარსა აღვიღებდეთ“, რომელ არს სიკუდილი, და გულსმოდგინედ მას შეუდგეთ და ესრეთ ადვილად მოვითმინოთ ყოველივე განსაცდელი ცხადი გინა თუ ფარული. რამეთუ უკუეთუ სიკუდილსა უფლისათჳს მოველოდით გულსმოდგინედ და წინაშე თუალთა ჩუენთა იყოს იგი მარადის, ყოველივემცა განსაცდელი ვითარ არამცა გულსმოდგინედმცა მოვითმინეთ? რამეთუ ამისთჳს მძიმე და ძნელგჳჩან განსაცდელნი და ვერ მოვითმენთ მათ, რამეთუ სიკუდილი უფლისაჲ წინაშე თუალთა არა გუაქუს და არცა არს მას შინა მარადის გონებაჲ ჩუენი, რამეთუ რომელსა გული უთქუმიდეს დამკჳდრებად უფლისა თანა, ვნებათათჳსცა მისთა გული უთქუემდინ, რამეთუ ამითა გამოჩნდებიან მოყუარენი უფლისანი, რაჲთა ყოველივე მათ ზედა მოსრული ჭირი გულსმოდგინედ მოითმინონ სასოებისა მისისათჳს.

ამისთჳს უკუე ვეველრნეთ უფალსა, რაჲთა მომცეს ჩუენ მეცნიერებაჲ ცნობად ნებისა მისისა და აღსრულებად მისა გულსმოდგინედ მოთმინებით და სულგრძელებით, სიხარულით, რაჲთა მან მოგუცეს ჩუენ ძალი სათნო-ყოფად მისა, რაჲთა ვიპოვნეთ გამოცდილ და ღირს მისა და ესრეთ ცხორებასა საუკუნესა მივემთხჳნეთ ქრისტეს იესუს მიერ, უფლისა ჩუენისა, რომელსა შუენის დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

სიყვარულისათვის დამბადებელისა

ჭეშმარიტნი იგი მოყუარენი ღმრთისანი, რომელთა უყუარს იგი, ვითარცა ჯერ-არს, იგინი არა ჰმსახურებენ მას სასუფეველისათჳს, რაჲთამცა სასყიდელი მიიღეს, არცა კუალად შიშისათჳს ჯოჯოხეთისა, არამედ თჳთ მისისა სიყუარულისათჳს დამბადებელისა, რამეთუ უცნობიათ მათ ჭეშმარიტი მეუფებაჲ მისი და ჰმსახურებენ, ვითარცა მონანი, რომელნი ისწრაფდიან სათნო-ყოფად თჳსისა უფლისა და ბრძოლათა ბოროტთა მათ სულთასა ახოვნად მოითმენენ. რომელნი-

იგი ისწრაფიან, რაჲთამცა განაშორნეს იგინი ღმრთისაგან, ვითარცა დავით იტყჳს, ვითარმედ: „მრავალ არიან მდევარნი ჩემნი და მაჭირვებელნი ჩემნი და წამებათა შენთაგან არა გარდავაქციე“ (ფს.118,157). რამეთუ რაოდენცა იდევნებოდინ და იჭირვოდინ სულთა მათ მიერ უკეთურთა, რომელნი განაბნევენ გულისსიტყუათა სულისათა და ისწრაფიან, რაჲთამცა სხუანიცა ჭირნი აღადგინნეს მათ ზედა. ხოლო იგინი უფროჲსად შეეყოფვიან უფალსა და თავთა თჳსთა იძულებენ ძიებად მისა და ყოველსავე ჭირსა მოითმენენ და არა განეშორებიან უფლისაგან, არამედ სიყუარულითა მისითა იწუებიან, რამეთუ მრავალნი არიან სოფელსა ამას შინა, რომელნი არა უტევებენ სულსა სათნოყოფად ღმრთისა. სიგლახაკჳ დამახრწეველ არს სათნო-ყოფად ღმრთისა, სიმდიდრჳ ეგრეთვე დამაყენებელ არს, უპატიობაჲ და გინებაჲ ესეცა მაყენებელ არიან, დიდებაჲ და პატივი კაცთაჲ ეგრეთვე განსაცდელ არიან, სენნი და ვნებანი ესეცა მაყენებელ არიან. ეგრეთვე კუალად უხილავნი ბრძოლანი და ჭირნი აყენებენ სულსა მიახლებად ღმრთისა და ისწრაფიან დაკსნილობად მოყვანებასა მისსა, ვითარცა წინაწარმეტყუელი იტყჳს, ვითარმედ: „ჭირთა და ღუაწლთა მპოეს მე და მცნებანი შენნი წურთა არიან ჩემდა“ (ფს.118,143). ეგრეთვე კუალად ესეცა გულისკმის-ყოფით ისმინე, ვითარმედ განსუენებაჲცა იგი, რომელი მადლისა მიერ მოიწევის სულსა ზედა და ნუგეშინისცემაჲ, უკუე სულმან არა მეცნიერებით შეიწყნაროს და დამდაბლდეს და ესრეთ დაიმჭიროს მადლი იგი, იგიცა ვითარცა დამახრწეველი მისი იქმნების და გამოსაცდელი, რაჲთა არა მარადის იყოს მკურვალებასა ზედა და ტკივილსა მას მიახლებად ღმრთისა. და ვითარცა განსუენებით არს მადლისა მის მიერ, რომელი მის თანა მოვიდა, რამეთუ უკეთური იგი მადლისა მიზეზითა დაიმორჩილებს და აცთუნებს მას დაკსნილობისა მიმართ და სიმაღლითა მცირედისა მის განსუენებისაჲთა ამპარტავანებად და უურველობად მოიყვანებს. რამეთუ მასცა მადლსა საღმრთოსა უკმს, რაჲთა სულმან გულისკმა-ყოს და იქმოდის ნაყოფსა ღირსსა მისსა, რამეთუ განსაცდელნიცა ეშმაკისანი გამოსაცდელ არიან სულისა და მადლი იგი წმიდისა სულისაჲ ეგრეთვე სულისა მის ჩჩულისა და უგუნურისა გამოსაცდელ არს, ხოლო სარწმუნოჲსა მის და ბრძენისა — ცხორებაჲ საუკუნო.

რამეთუ ორითავე საქმითა ღმერთი სულთა გამოსცდის, რაჲთა გამოჩნდეს, ვითარმედ არა შესაძინელისათჳს უყუარს იგი, არამედ თჳთ მისისა მეუფებისათჳს, რომელი-იგი ფრიადისა პატივისა და სიყუარულისა ღირს არს. ხოლო უკუეთუ არა უდებ იქმნას მოღუაწებისაგან სათნოებათაჲსა, რომელსა ენებოს სათნო-ყოფაჲ უფლისაჲ და არცა განსუენებისათჳს და ნუგეშინისცემისა, რომელი მადლისა მიერ მოვალს, არცა ბრძოლათაგან მტერისათა დაიკსნას მოღუაწებისა თჳსისაგან, ეგევითარი იგი ვითარცა მოყუარს ჭეშმარიტი ღმრთისაჲ მკჳდრ სასუფეველისა გამოჩნდების და ღირს იქმნების შვილ ღმრთისა ყოფად. რამეთუ არცა ბრძოლათა მიერ დაკსნილ იქმნა და ვერცა ნუგეშინის-ცემამან სულისამან დააცხრვო რაჲთ იგი მოღუაწებისაგან. ხოლო ესევითარი იგი ჭეშმარიტად ძს ღმრთისაჲ არს.

რამეთუ, ვითარცა ვთქუ, ყოველივე საქმს ამის ქუეყანისაჲ მცირედმორწმუნისა მისთჳს დასახრწეველ არს, გინა თუ ჭირი ვნებათაჲ, გინა თუ სენი, გინა თუ შეურაცხებაჲ, გინა თუ ფარული ბრძოლაჲ მტერისაჲ, გინა თუ პატივი და დიდებაჲ და სიმდიდრს და ქებაჲ. ესე ყოველი დამახრწეველ ცხოვრებისა საუკუნოჲსა არს კაცისა მისთჳს, რომლისა გონებაჲ ჩჩულ იყოს. ხოლო კუალად კაცისათჳს მორწმუნისა და მოსწრაფისა წინამძღუარ სასუფეველისა არიან, რომელსა-იგი ჭეშმარიტებით ღმერთი უყუარს, რამეთუ მან ყოველივე განხეთქა და სძლო წინააღმდგომსა მისსა. და მხოლოჲ ღმერთი შეიყუარა და მას შეეყო, ვითარცა დავით იტყჳს: „ბადის პირნი ცოდვისანი მომეხჳნეს მე და მცნებანი შენნი მე არა დავივიწყენ“ (ფს.118,61). და მოციქული იტყჳს, ვითარმედ: „მოყუარეთა ღმრთისათა ყოველივე კეთილად განემარჯჳს“ (რომ.8,28). ამისთჳს უკუე მივსცნეთ თავნი ჩუენნი მეუფესა ჩუენსა სარწმუნოჲთა გონებითა და შეუდგეთ მას, ვითარცა დამბადებელსა ჩუენსა და სიყუარული აღსრულებითა მცნებათაჲთა გამოვაჩინოთ, რაჲთა ამით ესევითარითა სახითა და მართლითა გონებითა ვპოვნეთ აღთქუმანი იგი სულისანი და გულნი ჩუენნი მადლითა მისითა აღივსნენ და ესრეთ დავიმკჳდროთ სასუფეველი ცათაჲ და ქრისტეს თანა ვიშუებდეთ უკუნითი უკუნისამდე, ამენ.



წმ. იოანე ოქროპირი

გურიტისათჳს და წმიდისა ეკლესიისათჳს

გურიტი — უდაბნოჲს მოყუარეჲ. რაჟამს ყვის შორის მალნარსა სამკჳდრებელი თჳსი, ხმა-ყვის და მოუწესნ მამალსა თვისსა და ხმითა ტკბილითა მოწლებისა მისისაჲთა ოხრიედ მალნარნი. მიერითგან მამალი წარსავალსა მას თუ წყალთასა არნ, რაჟამს ესმის ხმაჲ იგი, სურვილითა მით მოწლებისაჲთა მოისწრაფის მიწევნად მუნ. მაშინღა ერთითა მით ერთობითა ერთად ანუ კბოდის პირსა, ანუ ნაპრალსა კლდისასა, ანუ ოლეთა ზედა უშიშრად დაჲდგნიან და იქმნიან ბუდეჲ თჳსი და გამოიზარდნიან მართუენი თჳსნი.

და თქვანცა რომელთამე გურიტისათჳს, ვითარმედ: მამლის მოყუარე არს და სიწმიდესა იმარხავნ: ჟამ თუ სადამე არნ და მოიკლის მამალი იგი ანუ მფრინველისაგან ანუ თუ მახითა, მიერითგან დედალი იგი სხუასა მამალსა არღარა შეეყვის, არამედ მისსა მას სიყუარულსა დაადგრის.

ისმინეთ ესე თქუენცა, დედანო, რავდენი სიწმიდეჲ მფრინველთა თანაცა იპოვების! აწ რომელთა მსგავსება გურიტისაჲ გაქუს თავთა თქუენთა, მისსა მას სიწმიდესა და სიყუარულსა ემსგავსენით.

ეგრეცა ყოვლითურთ წმიდაჲ ეკლესიაჲ: რაჟამს უკუე ქმარი იგი მისი ქრისტჱ ჯუარს-ეცუა და აღმაღლდა ცად, იგი სხუასა ქმარსა არღარა შეეყო, არამედ მისსა მას სიყუარულსა და ერთობასა დადგრომილ არს და ელის.

ხოლო თქუენ, საყუარელნო, ნუ ესრე ჰგონებთ, ვითარმედ: წიგნთა გარეშე რასმე ვიტყვი ამის გურიტისათჳს, რომელ-ესე ვთქუ: შემოვიღოთ წიგნთაგან და მოვიხსენოთ წერილისაჲ, ვითარცა-იგი ნეტარი

დავით იტყჷს სახიობასა მას შინა თჷსსა, ვითარმედ: სირმან პოვა სახლი და გურიტმან ბუდესა დაიხსნა მართუენი თჷსნი. აწ რომელსამე სირსა იტყჷს? — არა თუ მას, რომელი-იგი განერა მახესა მას მონადირეთასა, არამედ უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა; ესრე ჯერუჩნდა მოწაფეთა მათ თჷსთაჲ, რომელნი უმჯობეჲსისა მის დიდებისა ღირს არიან, რამეთუ ესრე ჰრქუა მათ, ვითარმედ: მრავალთა სირთა უმჯობეჲს ხართ თქუენ.

ამისთჷს სოლომონიცა გიღაღადებს და გეტყვის, რაჲთა განერე ვითარცა ქურციკი საფრხესა და ვითარცა სირი ირეჭსა. ამის გამო რქუა: მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ მარცუალსა მდოგვისასა, რომელი მოიღო კაცმან და დასთესა თჷსსა მტილსა, რომელი უმცირეჲს არს ყოველთა თესლთა; ხოლო რაჟამს აღორძნდის, უმაღლეჲს არნ ყოველთა მხალთა და შეიქმნის ხედ, რამეთუ მოვიდიან მფრინველნი ცისანი და დაადგრიან რტოთა მისთა ზედა. ეგრეცა აქა სიმრავლეჲ იგი ძეთა კაცთაჲ მფრინველთა ამსგავსა, რამეთუ „სირმან პოვა სახლი და გურიტმან ბუდესა დაჲხსნა მართუენი თჷსნი“. რამეთუ გურიტსა ამსგავსა სული წმიდაჲ და ეკლესიაჲ, რომელი-იგი პირად-პირადითა მით მეცნიერებითა და პირად-პირადითა სამკაულითა შემკულ არს.

ჯერ-არს ჩუენდა ცნობად ღმრთისაგან, ვითარ-იგი თქუა, ვითარმედ: „ყოველი იგი დიდებაჲ ასულისა მეუფისა შინაგან ფესუედითა ოქროვანითა შემკულ არს და შემოსილ“, რამეთუ „სირმან პოვა სახლი და გურიტმან ბუდეჲ“, ხოლო რომელ-იგი თქუა „რტოთა ხისათა დადგრომაჲ“, ესე იგი არს საფარველი ჯუარისაჲ, რომელმან განზარდნის ახალ ნათელ-ღებულნი იგი ყრმანი თჷსნი.

ესე გურიტი იგი ახსენა იერემია სიტყუასა მას შინა თჷსსა, ვითარმედ: „გურიტმან და მერცხალმან და მჭურინავმან — მფრინველთა ცისათა ცნეს ჟამი წარსლვისა მათისაჲ“ რამეთუ გურიტი ყოვლითურთ წმიდაჲ ეკლესიაჲ თქუა, და მერცხალი — კაცისმოყუარეჲ იოვანე ნათლის-მცემელი, და მჭურინავი — ხმა-ჰამოჲ პავლე, რომელი იყო ნესტვი ეკლესიათაჲ. ამის გამო ამცნო გურიტისაჲ უფალმან აბრაჰამსა, ვითარმედ: მოიყვანო შენ ჩემდა დიაკეული ერთი სამნიერი და ვერძი ერთი სმნიერი და ვაცი სამნიერი და გურიტი და ტრედი.

ესე გურიტი ახსენა ქებასა მას ქებათასა და თქუა, ვითარმედ: ხმაი

გურიტისაჲ ისმა ქუეყანასა ჩუენსა, ხმაჲ გურიტისაჲ მის, რომელი-იგი ცით გამო იყო, რამეთუ ქრისტჱ მოსულად იყო ზეცით და ამას გუაუწყებდა ჩუენ. ესე ნიში არს ხმისაჲ მის გურიტისაჲ, რომელი-იგი ისმა.

მო-ღა-ვისმინოთ ხმაჲ იგი გურიტისაჲ მის, რომელსა იგი ჰნებავს სასმენელ ყოფად ხმაჲ თჳსი. ამისთჳს თქუა, ვითარმედ: შავ ვარი მე და შუენიერ; შავ — სულთა მათთჳს მგლოვარეთა, შუენიერ — ნათლისღებისა მის გამო ნათელ-ღებულთაჲსა. შავ ვარი მე და შუენიერ, ასულნო იერუსალემისანო, რამეთუ წმიდანი იგი სულნი ნახ-პეტთანი თქუნა ასულად იერუსალემისად. დაშავებულ ვარი მე და დაღებულ, რამეთუ მრუმედ მომხედა მე მზემან პირველისათვის საცთურისა. და რომელმან-მე მზემან მრუმედ მოხედა მას? — არა თუ მან, რომელ-იგი თქუა ეკლესიასტემან, ვითარმედ: მათ დღეთა გამო-ბრწყინდეს მზეჲ იგი სიმართლისაჲ. ესე — თვით ქრისტჱ, რომელი შობად იყო მარიამისგან ჴორციელად და აღმოსავალ სახელი ერქუა მას და რომელ-იგი თქუა, ვითარმედ: „დაჰხდეს მზეჲ“, ესე არს, რომელ-იგი ჯუარს-ეცუა და დაეფლა გულსა ქუეყანისასა.

აღმოჰბრწყინდის მზეჲ და დაჰჯდის და ადგილსავე თვისსა მიეგის, რამეთუ ესრე თქუა: რაჟამს აღვმაღლდე, ყოველნივე მოვიზიდნე ჩემდა. რამეთუ მალაქიაცა თქუა, ვითარმედ: მათ დღეთა შინა გამო-ბრწყინდეს მზეი იგი სიმართლისაჲ, რომელსა აქუნდეს კურნებაჲ ფრთეთა ქუეშე მისთა. ხოლო რაჟამს მოვიდა მზეჲ იგი სიმართლისაჲ, რომელ არს თავადი ქრისტჱ, შეეხო მას დედაკაცი იგი წიდოვანი ფესუსა სამოსლისა მისისასა და დასცხრა მდინარეჲ იგი წყაროჲ სისხლისაჲ მის.

„შავ ვარი მე და შუენიერ, ასულნო იერუსალემისანო“, დაშავე-ბულ ვარ და დაღებულ ცოდვითა. აწ იყოს თუ ვინმე აქა მორწმუნეჲ ცთომილი, ნუ შეშინდებინ, არამედ შეინანენ და თქუნ: შავლა თუ ვარ, შუენიერვე ვარ, და მი-ღათუ — ვინმე — წევნულ იყოს აღსას-რულისა თჳსისა ჟამთა და სულთა აღმოსლვად მიიწეოდის, — და რაჲღა-მე უფროჲსი ვთქუა, — სულნი ღათუ აღმოჰკრთებოდიან და კნინ ღათუ გონებაჲ იყოს მის თანა, ნუვე წარჰკუეთნ სასოებასა, არამედ შე-ვე-ინანენ და გარდამოაწთვენ ცრემლი და განიბანენინ ხორცნი თჳსნი და ქველის საქმითა სულნი თჳსნი განიწმიდენინ, ვითარცა იგი იტყჳს: მწუხრი ტირილი და ცისკარს სიხარული.

რითღა მიემსგავსე ეზეკია მეფესა, რომელი მიახნდა სიკუდილსა და ეუწყა ესაიაჲსგან და ცრემლოოდა იგი და შეუმატა მას ღმერთ-მან ათხუთმეტი წელი ცხოვრებისაჲ.

და იყოს ღათუ ვინმე დაშავებული ცოდვითა, შეინანენ და შეეახ-ლენ ღმერთსა და ნათელ-იღენ წყლითა მით ცხოვრებისაჲთა. და იყოს თუ ვინმე აქა მორწმუნეჲ ცთომილი, შე-ვე-ინანენ და ჭეშმარ-იტითა მით საბანელითა ცრემლითაჲთა ხორცნი თჳსნი განიბანენინ და სულნი თჳსნი განიწმიდენინ, და ესრეჲთ შემოგეახლოს სული წმიდაჲ. და თვით სიტყუაჲ ღმრთისაჲ დაემკჳდროს შენ თანა და სიყუარულითა ღმრთისაჲთა სთქუა გულსა შენსა: ვაჲ ჩემდა, რამეთუ დამშრალ და დაწერტილ ვარ მე სიყუარულითა ღმრთისაჲთა, ვი-თარცა ისრითა.

აწ ისმინე სიტყუაჲ იგი ისრისაჲ მის, ვითარ-იგი წერილ არს ესაიასა, ვითარმედ: „დამდვა მე ვითარცა ისარი ერთი რჩეული და დამმალა მე კაპარჭსა შინა.“ აწ რაჲ-მე არს ძალი ისრისაჲ მის? ღმერთ სიტყუაჲ იგი თქუა და კაპარჭ — ხორცნი იგი, რომელთა შინა დაფარულ იყო ღმრთეებაჲ. ამის ისრისა სიყუარულითა დაშრე-ბოდა იერემია და თქუა: არა შევიწყინო მე შედგომად კუალსა მისსა და დღენი კაცთანი მე არა მწადოდიან; ამის ისრისა სიყუარულითა დამშრალ იყო დავით და თქუა: მიგდევდა შენ სული ჩემი, და მე შემიწყნარა მარჯვენემან შენმან; ამის ისრისა სიყვარულითა დაშრე-ბოდა პეტრე და თქუა: შენ უწყი, უფალო, რამეთუ მიყუარ შენ. ამის ისრისა სიყუარულითა დაშრებოდა პავლე, რომელი-იგი კრულ იყო ქრისტჱს მიმართ, და თქუა: ვინ განმაშოროს მე სიყუარულსა ქრისტჱს-სა? ამის ისრისა სიყუარულითა დამშრალ იყო წმიდაჲ იგი ეკლე-სიაჲ და თქუა: ვაჲ ჩემდა, რამეთუ დამშრალ და დაწერტილ ვარი მე სიყუარულითა მისითა, რომელ-ესე ვარ ეკლესიაჲ წარმართთაჲ.

ჰოჲ სიყუარული და სიტკბოებაჲ, რომელ აქუნდა მისა მიმართ! რამეთუ სულ-თქუმითა მით მისითა ქრისტესა — ზესკნელსა მას სიძესა მოიხადოდა. ამის გამო თქუა, ვითარმედ: ამბორ-მიყავ მე ამბორის-ყოფითა პირისაჲთა, რამეთუ თხოვილ ვარ მე ზესკნელისა მის სიძისა შჯულისა მიერ და წინაწარმეტყველთა, რომელ-ესე ვარ ეკლესიაჲ წარმართთაჲ; არა დავემორჩილო მე მოსეს, არცა ესაჲას, არცა იერემიას, არცა სხუათა წინაწარმეტყველთა, არამედ თვით

მოვედინ თავადი უფალი და მეტყოდენ მე და ამბორ-მიყავნ მე ამბორებითა პირისა თჳსისაჲთა.

მესმა სიტყუაჲ იგი იერემიაჲსი, რომელ თქუა, ვითარმედ: „მძინარე არს გული მისი უფროჲს ყოვლისა და იგი თავადი კაცი არს, და ვინ-მე იცნას იგი, მისა წადიერ ვარ. იგი თვით მოვედინ და მეტყოდენ მე.“ მესმა, რაჲ-იგი თქუა ამოს, ვითარმედ: „ვიხილე მე კაცი, რომელი დგა ადამანტინესა ზედა ზღუდესა და ხელთა მისთა ეპყრა ადამანტი. მას ვეძიებ, იგი თვით მოვედინ და ამბორ მიყავნ მე.“

რამეთუ ვითარცა დედაკაცსა, რომელსა უყუარნ ქმარი თჳსი და ქმარი იგი წარსრულ არნ შორსა გზასა და იგი გარდაჲხედავნ სარკუმლით თჳსით და მოელინ მას და თქვეს: ოდეს-მე მოვიდესო; აჲხილნის თუალნი თჳსნი და იხედავნ ზღუად კერძო და ხმელად; და თუ იხილნის სადამე ნავნი მომავალნი, მუნ შინა ჰგონებნ მას; ანუ თუ იხილნის მოგზაურნი, ესრე თქვეს: ვინ უწყის, მათ თანა ხოლო თუ მოვიდოდის იგი. და მეყსეულად შეემთხვის და ჰკითხავნ მისსა: მითხართ მე ქმრისა ჩემისაჲ, სადა დაუტევეთ იგი, რომელსა დაბასა, ანუ რომელსა ქალაქსა; ანუ რასა იქმოდა, ანუ რასა იტყოდა, ანუ ოდეს თქუა მოსლვაჲ?

ეგრეცა ყოვლითურთ წმიდაჲ ეკლესიაჲ სიყუარულითა მით სიწმიდისაჲთა მოიმძევლებდა ყოველთა წინაწარმეტყველთა და ჰკითხვიდა მათ: იხილეთ თუ სადამე იგი, მო-მე—სადა-ვალსა იგი, ანუ მუნვე ცათა შინა არს, ოთხმეოცდა აცხრამეტთა მათ ცხოვართა აძოვებსა? არა-მე მოვალსა მოძიებად ცხოვართა მათ წარწყმედულთათჳს? მითხართ მე, სადა-მე დაადგრების, ანუ სადა-მე იყოფვის, რომელი-იგი შეიყუარა სულმან ჩემმან?

მიუგო სძალმან მან, რომელ არს წმიდაჲ ეკლესიაჲ, და ჰრქუა: ვეძიებ მას და მისაცა მსურის. იგი თვით მოვედინ და ამბორ-მიყავნ მე. მიუგო მას ესაჲა და ჰრქუა, ვითარმედ: ესე იგი არს და მოვალს. აჰა სასყიდელი მისი მის თანა არს და საქმენი ხელთა მისთანი არიან წინაშე მისა. ვითარცა მწყემსი მწყსიდეს სამწყსოსა მას თჳსსა და ხელითა თჳსითა შეკრიბნეს კრავნი და ნუგეშინის-მცემელ ექმნეს მაკეთა მათ დამძიმებულთა.

ესმა რაჲ სძალსა მას ეკლესიასა, რამეთუ ჭეშმარიტად უთხრობდა მას ესაჲა, ჰრქუა: სადა-მე იყოფვის, ანუ სადა-მე დაადგრების, რომელი-იგი შეიყუარა სულმან ჩემმან?

შემდგომად მისა მოავლინა იოვანეჲსა, რომელი-იგი ხმაჲ ღაღადებისაჲ იყო უდაბნოსა და თქუა: განჰმზადენით გზანი უფლისანი და წრფელ ყვენით ალაგნი მისნი. და ვითარ მოვიდა იოვანეჲსა, შებმაუყო და ჰკითხვიდა: მითხარ მე მწრაფლ, უკუეთუ შენ ხარ ქრისტჱ? მიუგო იოვანე და ჰრქუა: მე არა ვარ ქრისტჱ. ხოლო მან ჰრქუა მას: და რად ნათელ-სცემ, უკუეთუ არა ხარ ქრისტჱ? მიუგო იოვანე: არა თუ მე ქრისტე ვარ, არამედ შემდგომად ჩემსა მოვალს, რომელი-იგი უძლიერეჲს არს ჩემსა, რომლისა არა ღირს ვარ, ვითარმცა განვჰხსენ საბელი ხამლთა მისთაჲ.

რაჟამს უკუე ყოფნა მოსულაჲ, თქუა ეკლესიამ ან გულსა თჳსსა: წადიერ ვარ მე სურვილითა მისითა ხილვად მისა. მიუგო იოვანე და ჰრქუა: ნუ შეორგულდები, ნუცაღა სულთ-ითქუამ, რამეთუ მახლობელად მოსლვად არს. ვითარცა იხილა იოვანე, რამეთუ მოვიდოდა უფალი, თქუა: აჰა კრავი ღმრთისაჲ, რომელმან მოსპნეს ცოდვანი სოფლისანი.

რაჟამს უკუე ესმა სძალსა მას იოვანეჲსგან, რამეთუ კრავად თქუა და ესაჲა მწყემსად თქუა, ხოლო სძალი იგი იტყოდა: ვისი-მე მრწმენეს: იოვანეჲსი-მე, ანუ ესაჲაჲსი? ვითარცა იხილა უფალმან, რამეთუ შეორგულდა, ღაღატ-ყო და თქუა: მე ვარ მწყემსი კეთილი. მაშინღა მივიდა, შეეხვია და შეიტკბვო და ამბორს-უყო მას. და აღესრულა სიტყუაჲ იგი დავითისი, ვითარმედ: წყალობაჲ და ჭეშმარიტებაჲ შეიმთხვნეს, სიმართლემან და მშჳდობამან პირს იკოცნნეს.

და რაჲღა მე უფროჲსი ვთქუა? — რამეთუ სძალი შეეყო სიძესა და ქორწილი იქმნა სულიერი. სახიობაჲ იგი ქორწილისაჲ აღეღო იოვანეს და იტყოდა, ვითარმედ: ვისი არნ სძალი, იგი არნ სიძჱ. არამედ მახლობელთა ყოველთა უხაროდა და იხარებდეს. იოვანე ესრე თქუა: მისა ჯერ-არს აღორძინებაჲ და ჩემდა დაკლებაჲო. ჯერიყო მიერითგან წიგნიცა ერთობისაჲ დაწერად, და სახმარ იყო მუნ ქარტაჲ და მწიგნობარნი და საწერელნი. ხოლო ქარტაჲ ესაჲას თანა იპოვა, რომელი-იგი სულმან წმიდამან ამცნო მას და ჰრქუა: მოიღე ჩემდა ტომარი ერთი ქარტაჲ გრაგნილი დაწერე მას ზედა საწერელითა სულისაჲთა. სადა საწერელი სახმარ იყო, დავითის თანა იპოვა, რამეთუ თქუა დავით: ენაჲ ჩემი, ვითარცა საწერელი მწიგნობრისა ხელოვნისაჲ შუენიერად, რამეთუ მისცემს სძალსა მას სამკაულსა, ასწავებს და იგიცა გულისხმა-ჰყოფს.

მერმე კუალად ძმადი იგი სძალსა ეტყვის, ვითარმედ: ეკრძალე, ისმინე, ასულო, და იხილე, მოყავ ყური შენი, დაჰვიწყე მამული. ნუუკუე ესრე ჰგონებდე, ვითარმედ შენი სწორი არს. რამეთუ გეტყვის შენ და შენ თაყუანის-სცე მას. ისმინო თუ, ასულო, ძღუნით პირსა მისსა ჰმსახურებდენ მდიდარნი ერისანი.

აწ უკუე ჯერ-ვიდრემე-არს მათა განკრძალვაჰ და შეწყნარებაჰ. ამიერითგან ქრისტჱს მიმართ მონად დასწერს პავლე თავსა თჳსსა: პავლე და სილოვანე და ტიმოთე, მონანი ქრისტჱსნი. მიჰხადნენ ამიერითგან სძალსა მას შიმონვარნი იგი. დავით ესრე დაწერა ერთობაჰ იგი მათი, ვითარმედ: მიართუენ მეუფესა ქალწულნი მისნი და შემდგომად მოყუასნი მისნი მიართუენ მას.

და იყო ქორწილი იგი კანას გალილეაჰსასა და მოვიდა უფალი იგავად კანად გალილეაჰსა. კანა ითარგმანების მონაგებად, რამეთუ მონაგები ქრისტჱსი იყო ყოველი ესე სოფელი. აწ მოვიდენ ყოველნი თჳსნი მისნი წმიდანი თითოეულად სიძისა მის საწევნელად და მიართუმიდეს ყოველნი: აბრაჰამი — ხბოსა, სარა — ყურბეულსა, ისაკ — შეშასა, იაკობ — თიკანთა, იოსებ — იფქლსა, მოსე — სანთელსა, ესაჲა — სიღოდასა, დავით — როკვასა.

აწ მოვედინ ესრეჲთ ივდიდ შუენიერებითა მით სამკაულისაითა და მარიამ, დამან მოსეჲსმან, ქნარითა თქუას: უგალობდეთ უფალსა, რამეთუ დიდებით დიდებულ არს. თანა-აც ეგევითარისა ქორწილისა ქებაჲცა სულიერად აღწერად; პავლე აქებდა ქორწილსა მას და თქუა, ვითარმედ: წმიდა არს ქორწილი და საწოლი შეუგინებელ. ხოლო ესე ქრისტჱსთჳს თქუა და ეკლესიათათჳს. აწ რომელი-იგი თარგმანებდეს, გულისხმა-ყავნ, რაჲ-ესე თქუა, ვითარმედ: დაუტეოს კაცმან მამაჲ თჳსი და დედაჲ თჳსი და მისდევდეს ცოლსა თჳსსა და იყვნენ ორნივე იგი ერთ ხორც. რამეთუ ზრახვაჲ ესე დიდ არს, ხოლო მე ვიტყვი ქრისტჱს მიმართ და ეკლესიათა. რამეთუ რომელი-იგი მან გამოთქუა, ჩუენ ნუმცა შეურაცხ-ვჰყოფთ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱს მიმართ, რამეთუ მისი არს დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე. ამენ.



ევაგრე პონტოელი

თანაშეუღლვილთათჳს

1. **უ**საკმარსს-ადრე შევრაცხეთ თანაშეუღლვილნი იგი — სათნოებათა თანა უკეთურებანი, რათა მსწრაფლ დაიმორჩილოს შენგან მაგან შრომის-მოყუარებამან: რამეთუ ვიდრე გონებაჲ ჩუენი მოვკანთ და გულის-სიტყუათა იგი ეკალნი დათესულისა მისგან ყანისა აღმოვფხურენით, — არა თუ საქმეთაგან, რომელ ვქმენით ჩუენ, ამას ზედა მივიწვი[ე]ნით, — არამედ რამეთუ სახედ გუაქუნდეს ჩუენ სიცოცხლისანი იგი სიტყუანი, რომელნი გუესმეს წმიდათაგან მამათა, რომელთა იგი და ვიეთთა საქმეთა თჳთ-მხილველ ვიყვენით.

2. ხოლო ყოვლად ზეგარდამო მავალისაგან იყო, რომელ-იგი ცოდვილთა აუწყეს — გონება მაცთურთა მათ ძჳრის ზრახვ[ა]ნი; რომელი განგუაკრძალებს და გუეტყჳს: „რაჲ გაქუს, რომელ არა მიგიღებიეს?“ — რათა მოღებისა მისთჳს ვჰმადლობდეთ მომცემელსა მას; ხოლო ჩუენ თანა-დადგრინებისა მისთჳს, რათა არა თავსა თჳსსა ვიჩემოთ დიდების მოქადულებითა და მომცემელსა მას უვარს ვჰყოფდით, რომლისათჳს იტყუესცა: „უკუეთუ მიგიღებიეს, რაჲსა იქადი არა მიღებულსა?“ და თქჳს, ვითარმედ: „აწვე ეგერა განმდიდრებულ ხართ, რომელნი-იგი საქმით გლახაკ ხართ; აწ ეგერა მაძღარ ხართ, რომელთა-იგი სწავლად გიწყიეს ოდენ“. რომელ-ესე აწ ჩემ ზედა მოიწია, რომლისათჳს მივასხებიან სიტყუანი და საქმეთა სიგლახაკისა დავჰფარავ; და რომლითა ესე ვასწავებ ზრახვითა სწავლასა მოწ[ა]ფებრსა, ეგრე თანა-წარვიცოდებ. არამედ მითცა, რავდენ-რაჲ თქუენ შორის შენდობაჲ იყოს, აჩუენეთ ესე ჩემ ზედა, რათა თანშეუღლვილნი იგი — სათნოებათა სიბოროტენი მეყსეულად დავიმორჩილნეთ. და ვასწავებდეთ: რაჲ ეგე არს ნაყროვანებაჲ, რომლისათჳს

არს მარხვაჲ. რაჲ ეგე არს სიძვაჲ და სიწმიდჱ. რაჲ ეგე არს ვეცხლის-მოყუარებაჲ და უპოვარებაჲ, და მწუხარებაჲ, რომლისა თანა არს სიხარული. რაჲ ეგე არს გულის-წყრომაჲ და სულგრძელებაჲ, მოწყინებაჲ და მოთმინებაჲ. რაჲ ეგე არს ოცნება[ჲ] და არა-ოცნებაჲ, შურებაჲ და უშურვებაჲ, ამპარტავნებაჲ და სიმდაბლჱ. ესე თანაშეუღლებულ და თანამბრძოლ და (თანა) მხდომ არიან ურთიერთარს. მეყსეულად ესრეთ დავიმორჩილეთ.

ნაყროვანებისათჳს

3. ნაყროვანებაჲ არს: სიძვისა დედაჲ, მზრდელი გულის-სიტყუათაჲ, მარხვისა უძლურებაჲ ფრიად, ჭამისა ძლიერება, მონაზონებისა პირის დამქცეველი, სტომაქისა საშინელ გამოხატვაჲ ჭამადთაჲ, აჩრდილად გამოწერაჲ სანოაგითაჲ, განტევებული კიცჴ უაღვიროჲ, სიბორგილე სადგურ სენაკისა სიცოცხლისა, მოშურნე ზღუდე განსავალთა, იწროება ნაწლევთა, გინებისა სავსება, სიძვისა ნივთ, გონებისა მწიკულევანება, ჯორცთა მყრალობა, ტჴრთი ძელისაჲ, წყუდიადი სიკუდილი.

მარხვისათჳს

4. მარხვაჲ — მუცლისა აღჴრ, უძღებებისა გუემა, ზომისა სასწორ, გემოდ ჭამისა ჭიმი, განსუენებისა განშორება, ძჴრის ხილვისა შემყოფი, გულის-სიტყუათა დამწყეველი, მღჴძარებისა თუალი, განხურვებისა მაბრკოლებელი, ჯორცთა მასწავლელი და სულისა ამაღლებაჲ, შრომათა გოდოლი და სახეთა ზღუდჱ, ჩუეულებათა დაწყნარებაჲ და ზნებათა აღმცირებაჲ, მოსიკუდილი ასოთაგან მაცოცხლებელ, სულითა აღდგომისა მსგავსება და სიწმიდისა მყოფება.

სიძვისათჳს

5. სიძვაჲ — ნაყროვანებისა მუცლად-ღება, წინაჲს-დამკსნელ, გულისა მკურვალებისა საკუმილ, ძმადი კერპთაჲ, უნათესაო საქმე, აჩრდილად გამოჩინებულ ხატ, საოცრებით შერთვა სიზმართა, ცხედარ-უგრძნულად შერევა, თუალთა შემტყუველ ხედვა ურცხუნოებით, ლოცვისა მართლ უკუნ-მაქცეველ, კადნიერებისა სირცხჴლ, სასოწარკუეთილებისა წინამძღუარ, კდემულებისა ხელის-წარმპყრობელ.

სიწმინდისათჳს

6. სიწმინდჱ — სიმჯნისა ძეგლი, არაწმიდებისა გონებისა მხმელი, გულის-სიტჷყუათა წინა-დაცუეთაჲ, არაწმიდებისა მოკ[უ]ეთაჲ, ბუნებისა წილ დანერგვაჲ, მჯურვალებისა წინა-აღმდგომი, საქმეთა თანა-მოქმედი და მოთმინებისა შემწჱ, გულისა ბრწყინვალებაჲ და ლოცვისა თანამზრახვალი.

ვეცხლის-მოყუარებისათჳს

7. ვერცხლის-მოყუარებაჲ — საკერპოჲ ანგარებისაჲ, წინასწარმეტყუელებაჲ სიყმილისაჲ სიძჯრისა, რიცხუვ-დაუნჯებული სიტყჳსყოფაჲ, ტყუენვისა სიმდიდრჱ, სიცრუვისა ნათესავი, სნეულებათა სარწმუნოებაჲ, მრავალწელ ცხორებისა მისანი, საქმის-მოყუარებისა ფერკი, უძილობისა თანა-მზრახვალი, მუცლისა სიგლახაკჱ, საზრდელისა სილიტონე, განუძღებელი სიბორგილე, მრავალმზრუნველი უკეთურებაჲ.

ნეფსით უპოვრებისათჳს

8. უპოვრებაჲ — ვერცხლის-მოყუარებისა ძირით მოფხურაჲ, ნაყოფი სიყუარულისაჲ და ჯუარი ცხორებისაჲ, ულმობელი ცხორებაჲ, უშურველი საუნჯჱ, უზრუნველი ფარი, მიმოუტაცებელი გონებაჲ, აურაცხელი ნაყოფი მიუწდომელი, სიმდიდრჱ ზრუნვისა ცილი, სახარებისა საქმჱ, ადვილად განრინებაჲ სოფლისაგან, მასზედ მორბედი მოღუაწჱ.

მწუხარებისათჳს

9. მწუხარებაჲ — ზღვევისა შემაყვანებელ, შეცთომისა თანამზრახვალ, უცხოებისა წინა-აღმდგომი, ნათესავთა კსენება, იწროებისა მზირ, მოწყინებისა თანა-ნერგ, განრისხებისა რტო, გინებისა მომაკსენებელ, სულისა დამაბნელებელ, გუნებისა მთვრალობა, მაძინებელ წამალ, ხატისა ღრუბელ, კორცთა მღილ, გულის-სიტყუათა ბჭე, ტყუეობისა კრებულ.

სიხარულისათჳს

10. სიხარული — მწუხარებისა მომსპოლველ და ღუაწლსა შინა მადლის-მიცემა, ლოცვათა სარკე და სალმობათა შინა შუება ქვე-

ლის-საქმესა, მხიარულება სოფლისაგან ჯმნისა, სამკაულ სტუმრის მოყუარებისა, საყოფელ სასოებისა შესავედრებელ, შრომილთა საზრდელ, მგლოვარეთა ნუგეშინის-მცემელ, მტირალთა ქელის-აღმ-პყრობელ, ჭირვეულთა შეწევნა, მადლის-მიცემისა აღმამაღლებელ, სალმუნებისა სიხარულ, სიყუარულისა თანა და სულგრძელებისა თან-შერაცხილ გზა მწყემსთა და სახარებაჲ, უფლად ა[ღ]დგომისა ქადაგებაჲ, მოგზავნილება სულისა წმიდისა.

რისხვისათჳს

11. რისხვაჲ — გუნებისა მიმოტაცებაჲ, დაწყნარებისა აღძრვაჲ, ბუნებისა აღრღუევა, განძჳნებელ სახე-ნაწევართა დაკსნა, მკურვალ-ება-აგზნებულ საკუმილი გულისაჲ, მოტყინარს ალი, გულის-წყ-რომისა რჩული, ენისა სიცხს, გონებისა სიცბილი, მწოლარს ტევრი, დედაჲ მკეცთა გულის-სიტყუათა გესლოვანთა, დუმილით ლალვაჲ, ლოცვისა საწერტელი, ჯორცთა დამადნობელი და უფერულობისა მომპოვნებელი.

სულგრძელებისათჳს

12. სულგრძელებაჲ — გონებისა საჭურველ, რისხვისა მსჯავრ, გზისა საკურნებელ, განრისხებულთა მოძღუარ, აღშფოთებულთა დაწყნარება, ყუდრო ნავთ-სადგურ, მწუხარეთა ქველის-ყოფა, ყოველთა მიმართ მშჳდ: მგმობარსა აკურთხევნ, — იგინებინ რაჲ, უხარინ. შეურვებულთა ნუგეშინის-ცემა, მოსავთა სარკე, ძჳრ-ხილულთა წინდ-კეთილ, განკაფულთა მეოხ.

ამპარტავნებისათჳს

13. ამპარტავნებაჲ — სიკუდილისა მღჳმს, წარსაწყმედელისა კბოდს, საჭურველი ეშმაკისაჲ და საზრდელი მსახურთა მისთაჲ; სათნოებისა დაცემაჲ, მოსაჯული ღმრთისაჲ, გონებისა სიბრმს, შეუნდობელი სიმთვრალს, სიბორგილე ძნიად საკურნებელი, გულის-წყრომისა მე-საწერტელე, ანგარებისა მემყოფე, შეშლობაჲ სულისაჲ, საკედარი ბოროტებისაჲ, ეგჳბტელებრი გუემაჲ, ბაბილონისა საკუმილი.

სიმდაბლისათჳს

14. სიმდაბლჱ — დათრგუნვაჲ სოფლისაჲ. უხრწნელებისაჲსა მოსილი საჯდარი, უცვალებელი ძირი ცხორებისაჲ, სასუფეველისა შესავალი, ცათა კარი; მტერობისა დაგებაჲ, მეგობრებისა სიმტკიცჱ, მშჳდობისა შესამტკიცებელი, შურისა დამაჭნობელი, მკდომი რისხვისაჲ, სიბრძნის-მოყუარებისა სავსებაჲ.

სიმდაბლისათჳს

15. სიმდაბლჱ — წმიდისა სამებისა ნიჭ, ანგელოზთა ბაძვა და ეშმაკთა სივლტოლა, სიბრძნისა სახლეულება და უგუნურებისაგან განშორება, და სულთა განმანათლებელ; გონებისა გამწმედელ, სიკუდილისა ზრუნვა და ცოდვათათჳს ღმრთისა მიმართ ვედრება, და გარდაკდა სულთათჳს, ვნებითა ტჳრთვაჲ და სიყუარულისა მყოფელ, და ფარული საფასჱ და უპარველი სიმდიდრჱ და სულთა ცხორებისა თანასახლეულება და ცხორებისა მის საუკუნოჲსა მომპოვნებელ.

16. ესენი ურთიერთარს მსგავსნი არიან — რომელნიმე არიან ცხორებისა მომატყუებელ, რომელნიმე არიან წარსაწყმედელისა წინამძღუარ. რომელნი ბრძენ იყვნენ, დაიცვნენ მცნებანი, ესე მათ გულისკმა-ყვნენ წყალობანი უფლისანი და ცხოვნდენ ღმრთისა მიერ.

უკუე ცუდად-ზუაობისათჳს

17. ამას გულის-სიტყუასა გარნა ლოცვაჲ უკმს და ვედრებაჲ ღმრთისა მიმართ, რამეთუ ყოვლადვე მახჳლ არს და ქუევით მივარდების. ამისათჳს იტყჳს: „რამეთუ არა განმართლდეს ყოველი ჯორციელი წინაშე ღმრთისა“. და რომელ-იგი თქუა“ „სასუფეველი ცათაჲ კაცთა მიერ შეუძლებელ არს, ხოლო ღმრთისა მიერ ყოველივე შესაძლებელ არს“. — ამისათჳს იტყჳს დავით: „მიკდებოდა რაჲ ცოდვილი წინაშე ჩემსა, დავმდაბლდი კეთილთაგან“. ესევე სული წინა-აღუდგა მოსეს ეგჳპტეს შინა, ოდეს გრძნეულნი იგი სასწაულთა მათ) მრავალფერად უკდებოდეს მოსეს წინაშე მეგჳპტელთა მათ. ხედვიდა, ვითარ ვერ შეუძლო მოსე თჳსითა მოწყუედად ვეშაპთა მათა არამედ სახემან ჯუარისამან შთათქნა იგინი. ესე სახჱ არს, რამეთუ ვერვის ძალუც განმართლებად საქმეთა თჳსთაგან, არამედ

მის მიერ, რომელ აცხოვნებს ყოველთა, რომელნი ესვენ მას ჭეშმარიტებით.

18. ესე სული პირველად აზაობნ სამოსელსა წმიდასა და მრავლისა სასყიდლისსა აიძულებნ, რეცა უშუენიერეს არნ იგი უფროჲს ყოველთა კაცთა; და თუ სიტყუაჲ რაჲმე თქჳს კეთილი მეცნიერებისაჲ, აზაობნ კმა-კეთილობასა, ფსალმუნებასა და სწავლულებასა; და თუ წიგნისა კითხვაჲ იცოდის კეთილად, ამას ყოველსა ზედა თავსა უფროჲს შეჰრაცხებინ; და თუ რაჲ მიეცინ კელთსაქმარი, კეთილად მოუვლენ თავის-მოთნებასა. და თუ წინა ვითარ აღუდგე და გულისკმა-ჰყო და განგმო თავი თჳსი — თუ რაჲ საგანი ხარ; მერმე გეტყოდის: „დიდ ხარ, დიდ, რამეთუ დამსდაბლდი ესოდენ“. და თუ ვითარ წინა-აღუდგე მასცა, მან იგივე დაგიდგას: „ეჰა, რამეთუ მდაბალ ხარ“. მერმე მიახედვებნ განკითხვასა ზედა ძმისასა, და თუ ვინმე იხილის ძმაჲ, რომელსამე ბრალ[ს]ა შინა, რამეთუ ესე აქუს ბოროტი წარწყმედისა მათისაჲ — კაცთა მიმართ უფროჲს, ხოლო მონაზონთა მიმართ განეწყობიან მრავალფერად:“ და უჩვენებედ ნურას ოცნებასა, ვითარცა ჭეშმარიტსა. და და[ა]ვიწყნის თჳსნი ცოდვანი, და სხჳსასა მას დააკჳრვებ და ცოდვასა შეაგდის. ვითარცა თქუა მოციქულმან: „ესრეთ განიკითხავ ძმასა შენსა და ქრისტეს მიმართ სცოდავ, რამეთუ შენ თავად მაგასვე იქმ“. და თუ მოიკსენო საქმჱ ესე და საქმენი თჳსნი, და თანა-წარჰკდე ეგევითარსა მას ცეცხლსა დაუბრკოლებელად, და განიკითხო თავი თჳსი, ვითარ შენ უძჳრეს ხარ და თჳთ თავადა ამასვე იქმ, მაშინ გაზუაობებდეს გონებასა და გეტყოდეს: „დიდ ხარ, რამეთუ ჰპოვე განკითხვაჲ გონებისაჲ“. და თუ გაქუნდეს მარხვაჲ, შინა მღჳძარებაჲ, ანუ ცრემლი ლოცვასა შინა აგიმაღლებდის თავსა შენსა, ვითარმედ დიდ ხარ; და თუ გულისკმა-ჰყო, ვითარმედ ნაცარი ხარ, და ყოველსა, რომელსა ჰყოფ ძალითა და შეწევნითა მაცხოვრისაჲთა მან გრქუას: „ეჰა, დიდ ხარ, დიდ, რამეთუ იცან თავი თჳსი და ესოდენსა სიმდაბლესა მიეწიე“. და თუ მივისხედნე უძლურებასა შინა, და გქონდის სიყუარული და მოწყალებაჲ, გინა სიმშჳდჱ და დუმილი, ანუ თუ მორჩილებაჲ აგიმაღლებდეს თავსა, ვითარმედ ნეტარ ხარ შენ; და თუ იცნა თავი თჳსი, ვითარმედ არა-რაჲ ძალ-გიც და რასა იგი

ჰყოფ, უფალი არს, რომელი იქმს შენ თანა. მერმე კუალად გრქუას: „ეჰა, ჭუშმარიტად ნეტარ ხარ, რამეთუ აწ გიპოვნიეს გულისკმა-ყოფაჲ, და განკითხვად გულის-სიტყუათა და ბრძოლად მტერისა მიმართ.“

19. ესრეთ არს ესე სული. და ვინაჲთვე არა მივარდების, ოდეს დამსდაბლდის გონებასა, გესაუბ[რ]ებდეს — ვითარმედ მდაბალ ხარ. და სხჳთ სახით სხუად სახედ წინა-აგიდგებოდის, რამეთუ ყოვ-ლადვე მახჳლ არს და ზღუდე. ვერვის ძალუც თავით თჳსით წინა-ალდგომად ამისა. არამედ ღმრთისა მიივლტოდე, ვითარცა იგი დავით, რამეთუ ესრეევე უკდებოდა მასცა, ვითარცა ზემო წერილ არს. და მერმე იტყჳს რამეთუ: „შენ მიერ მიკსენ მე განსაცდელისაგან და ღმრთისა ჩემისა მიერ გარდავკედ ზღუდესა“. და კრებული წმიდათა მასვე იტყჳს: „განმცადენ ჩუენ და გამომაკურვენ ჩუენ. განვლეთ ჩუენ ცეცხლი და წყალი, რამეთუ ცეცხლ არს აღმგზებელ და წყალ დამშრეტელ, და მახჳლ არ[ა]ს იქცევის“. არამედ ვერვინ თანა-წარელოს ესე, გარნა წყალობითა სახიერისა ღმრთისაჲთა, რამეთუ უმაღლოთა მიმართ არს ქველის-მოქმედ; ვითარცა იგი, რომელ იტყჳს: „თვალნი ჩემნი მარადის უფლისა მიმართ, რამეთუ მან განარინა მახესა ფერკნი ჩემნი“.

პირი დედაკაცისაჲ

1. პირი დედაკაცისაჲ არს ისარი წამლეული, განწონის სულსა და გესლი შინა დაუტევის; და რავდენცა დაყოვნინ გესლი იგი ჯორცთა მათ შინა, ეგოდენცა გარემოჲს შეილპობნ მათ. რომელსა უნდეს დაცვად თავი თჳსი ამის ისრისაგან, ნუ მივალნ იგი განმცხრომელთა მათ კრებულსა, ნუცა ვალნ იგი მიმო-კრებასა და ნუცა შეუშვებნ ზრახვასა დედათასა. უმჯობჱს არს სახლსა შინა ჯდომაჲ და მას ლოცვასა შინა ყოფაჲ, ვიდრეღარა რომელნი ჰგონებედ პატივის-ცემად კრებასა და თჳსით თავით ადგილ-სციან ეშმაკთა.

2. ევლტოდე ზრახვისაგან დედათაჲსა, უკუეთუ გინდეს ბრძენ-ყოფად. ნუსადა მისცემ თავსა შენსა კადრებად მათ, რათა არა

კსნილად მოვიდენ შენ ზედა; რამეთუ პირველად ღმრთის-მოყუარეობაჲ აჩუენიან და უკუანასკნელ ყოველსავე იკადრებედ ურცხჳნოდ. პირველადღა შეემთხუევიედ, ქვეყანასა დამართ ისტუანვედ და ზრახვედ მყუდროდ, და ცრემლოვიედ ღმრთისა მიმართ; დაიკონვედ წმიდად ადგილად და სულ-ითქუმედ მწარედ; იკითხვედ სიმწარისათჳს და ისმინიან მწრაფლ, და მეორედღა შეემთხუევიედ, მცირედ ზეცა აღიხილნიან. და მესამედღა [რა] შეემთხუევნიან, ხედვედ ურცხჳნოდ. შენღა განიღიმო მცირედ, მათ ვითარ ხუნა განიცინონ. მაშინღა იმოსებიედ და აჩუენებიედ თავსა თჳსსა განცხადებულად: და თუალთა გამოიწერედ და ახარებედ ვნებასა მას სიძვისასა; წარბთა იწერედ და იწოდიედ, და მიმოიქცევედ წამწამთა; გან[ი]შიშულნიან ყელნი მათნი და მოიკუდინიან თავ[ნ]ი მათ[ნ]ი, და იწუართებიედ ვნებასა მას სიძვისასა; და საზრახვითა ტკბილითა იწყიან სიტყუად, რაჲთამცა მო-ვითარ-დრეკის გული შენი მათა მიმართ, რაჲთამცა წარტყუენის სული შენი. ესე იყოს შენდა სამჯადურ, და საფრკე სიკუდილისა, და მახე; მრავალსახე მოსაზიდველ წარსაწყმედელად. იხილე, ნუუკუე შეგაცთუნონ შენ, სიტყჳთა მდაბლითა, რამეთუ დაფარული არნ მათ თანა გესლი გუელისა ბოროტისაჲ. უმჯობჱს არს შენდა შეხებაჲ საკუმილსა მოტყინარესა, ვიდრეღარა დედაკაცსა ჭაბუკსა, რამეთუ შენცა ჭაბუკვე ხარ. ცეცხლსა რომელი შეეხოს, სტკიოდის და ადრე განეშოროს; ხოლო დედათა სიტყუამან მოალბვის და ვერ ადრე განეშორის. ვითარცა აღმოსცენდიან მწყურ[ნ]ებსა მწუანენი, ეგრეცა გულის-თქუმაჲ სიძვისაჲ — ზრახვითა დედათაჲთა.

3. რომელი ძღებოდის ჭამადითა და იქადოდის, ვითარმედ წმიდა ვარო გულის-თქუმისაგან სიძვისაჲსა, მსგავს არს იგი, ვითარმცა ვინ იქადოდა აღგზებულსა ლერწამსა დაშრეტად. ვითარცა დიდსა ლერწამსა აღგზებულსა ვერვის ხელ-ეწიფების დაშრეტად, ეგრეცა ხორცთა მაძღართა ვერვის ჴელ-ეწიფების დაცხრომად გულის-თქუმისაგან სიძვისაჲსა. სუეტი დაადგიან ხარისხსა ზედა და გულის-თქუმაჲ სიძვისაჲ განისუენებ მაძღრობასა ზედა ჴორცთასა სადგომელად.

4. მივლტიედ ნავნი ზღჳსანი არასა ბოროტსა, და კაცი ბრძენი ეძიებ განშორებასა დედათასა. ივლტიედ ნავნი ღელვათაგან დიდთა ზღჳსათა, რამეთუ ეშინინ სიკუდილისა, ეგრეცა კაცი ბრძენი ევლტინ

სიკეთესა დედათასა, რომელნი მიჰზიდვიდ სულსა წარსაწყმედელად. დედაკაცმან ქმნულ-კეთილმან და შემკულმან უძჯრსს ღელვათა ზღჳსათა დაანთქის სული, ვიდრე ქუესკნელთა ჯოჯოხეთისა[ჲ]თა. ნაქმნევმან დედაკაცისაგან, ოდეს აცთუნეს კაცი, მაშინ შეურაცხებაჲცა არწმუნისვე მერმისა მის ცხორებისაჲ. მაყუალსა მას ზედა სინაჲსასა იტყინებოდა ცეცხლი და არარაჲ ავნო მას, ეგრეცა კაცი ბრძენი, რომელი განეშოროს დედათა, არა შევარდის იგი ცოდვასა. ვითარცა საკუმილი ვერ ეგზებინ თჳნიერ შეშისა, ეგრეცა გულისთქუმამან სიძვისამან ვერ შეუძლეს, ოდეს არა ხედავნ დედათა. უკუეთუ შეიწყალნი ჯორცნი შენ[ნ]ი, დაჰფუფუნებდე მათ, გექმნენ შენ იგინი შენ ზედა ბრძოლად. მოცალე მაძღარი ააზრზენ სიძვად ჯორცთა და ხედვად დედათა, ხოლო მონაზონი კაცი მარხვამან აღადგინის დიდებად ღმრთისა.

5. უკუეთუ დასცხრეს გულის-თქუმაჲ სიძვისაჲ ხედვასა დედათასა, ნუსადა გრწამნ შენ, ეგევითარმცა არა ვნებასა აღგითქუმიდა. ღალსა ბოროტსა ერსა შორის ეშინინ კბენად. ოდეს ეზოჲთ გამოვიდის და პოვის კაცი მარტოჲ, მაშინ აჩუენის უკეთურებაჲ იგი თჳსი. ოდეს ძილსა შინა ეშმაკი დედაკაცსა ეზმანებინ, და თუ ხედვასა მას მის[ს]ა სიზმარსა მას შინა თუ ბრძოლა უყოს მათ ძალითა სულისა წმიდისაჲთა, მაშინ ცანნ, რამეთუ ქალწულებასა სათნოებისასა კეთილად მიწევნულ დაყოვნიან შენთანა; ნუცალა გონებასა შინა შენსა ზრახავ ხატსა დედაკაცისასა, რამეთუ ადრე მიაქციის ვნებას სიძვისასა და ცოდვაჲ ეგე ბრძმედსა შინა შეჰბერის ზომასა მას ზედა, ეგე კეთილად ოდენ განწმიდნის; უკუეთუ ფრიად გარდარეულად იბერვინ, იგი დაიწჲს და წარწყმდის. ეგრეცა ქალწული კაცი გან[ი]კრწნის, ოდეს დაყოვნის გულისთქმამან დედაკაცისმან მისთანა. ნუ მისცემ გონებასა შენსა ოცნებასა დედათასა! ნუცა ძრახავ პირისპირ მათ, რათა არა აღატყდის შენ ზედა გულისთქუმაჲ სიძვისაჲ. და გალეწოს, ვითარცა კალოჲ, სული შენი! ვითარცა ნაბერწყალმანღა დაყოვნის ბზესა შინა და აღაგზნის საკუმილი დიდი, ეგრეცა კსენებამან დედათამან, რომლისა თანა-დაყოვნის, აღაგზნის გულის-თქუმაჲ სიძვისაჲ.



სულპიციუს სევერიუსი

ეპიზოდი წმიდა მარტინე ტურელის ცხოვრებიდან
(ბოროტი თანაზიარება)

სულპიციუს სევერიუსი განსაკუთრებით ცნობილია წმიდა მარტინე ტურელის ცხოვრების აღწერისათვის. იგი მოგვითხრობს ერთ მეტად საინტერესო და მრავლისმთქმელ ეპიზოდს ეკლესიის ისტორიიდან. მეორე წიგნის 46-ე თავში, ის წერს, რომ ვინმე პრისკილიანე ჩავარდნილა გნოსტიკურ-მანიქეველურ მწვალებლობაში, რომელიც პირველად შემოტანილ იქნა ესპანეთში მემფისელი ეგვიპტელის, ვინმე მარკოზის მიერ. სევერიუსი წერს, რომ პრისკილიანე ყოფილა: კაცი კეთილშობილი, დიდი სიმდიდრის პატრონი, კადნიერი, დაულალავი, მჭევრმეტყველი, მეტად განსწავლული, მუდამ მზადმყოფი კამათისა და ბჭობისათვის — მოკლედ რომ ვთქვათ, ის იყო ყოველმხრივ დადებითი ადამიანი, რომ არ გაერყვნა თავისი ნიჭიერი გონება ბოროტი სწავლებით. მასში ნამდვილად მოინახებოდა ბევრი შესანიშნავი შინაგანი და გარეგნული თვისება. მას ძალუძდა დიდი ხანი გაეტარებინა მღვიძარებაში, ასევე ადვილად მოეთმინა შიმშილი და წყურვილი; მას არ გააჩნდა ლტოლვა სიმდიდრისაკენ და გონივრულად ხარჯავდა იმას, რაც გააჩნდა.

ეს კაცი იყო ფუძემდებელი „პრისკილიანიზმისა" — მწვალებლობისა, რომელმაც შეძრა ესპანეთი და გალიის (საფრანგეთის) მხარეები მეხუთე საუკუნის შუა წლებამდე. თავიდან ამ კაცმა შეძლო მოექცია თავის სარწმუნოებაზე ორი ეპისკოპოსი სამხრეთ ესპანეთიდან: ინსტანტი და სალვიანე. ეს მოძღვრება სწრაფად ვრცელდე-

ბოდა და იზიდავდა როგორც სამღვდელოებას ასევე ხალხს, მამაკაცებს და ქალებს, მდიდრებსა და გავლენიანებს.

ჰიგინე, კორდობის ეპისკოპოსი, იყო პირველი, რომელიც წინ აღუდგა ამ ახალ სექტას. მან მოახსენა მდგომარეობა იდაკს, ემერითის ეპისკოპოსს. მათი მოლაპარაკების შედეგად დაიწყო ორგანიზებული მოძრაობა ამ ახალი ცთომილების წინააღმდეგ. როგორც ჩანს, იდაკი იყო სასტიკი და ძალმომრე ადამიანი. თავისი სიმკაცრით ის ამ სექტის გავრცელებას უფრო უწყობდა ხელს, ვიდრე მის შეჩერებას. ჰიგინი იმდენად შეშფოთდა იდაკის ასეთი მეთოდებით, რომ პრისკილიანისტების მფარველი გახდა. ბოლოს და ბოლოს, სარაგოსაში შეკრებილმა სინოდმა განკვეთა ამ სექტის ოთხი ლიდერი: ეპისკოპოსები ინსანტე და სალვიანე, და ერისკაცები ჰელპიდი და პრისკილიანე. არც კორდობელ ეპისკოპოს ჰიგინის ასცდენია სინოდის რისხვა, ის დაადანაშაულეს განკვეთილთა მფარველობაში, მიუხედავად იმისა, რომ თავად ჰიგინე იყო, ვინც პირველმა აიმაღლა ხმა მათ წინააღმდეგ. ყველა ის, ვინც იზიარებდა, ან ოდნავ იხრებოდა ამ ახალი მწვალებლობისაკენ რწმენით ან საქმით — ანათემას იქნა გადაცემული. სინოდის გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა კი დაევალა ითაკს, სოსუბის ეპისკოპოსს, რაც მეტად სავალალო გადაწყვეტილება გახლდათ, რამეთუ ისიც იყო ადამიანი მეტად სასტიკი და ძალმომრე.

ოპოზიციის რეაქცია ის იყო, რომ მათ ხელი დაასხეს პრისკილიანეს არლის (ავილას) ეპისკოპოსად. დაიწყო დევნა, ბრალდებები და საპირისპირო ბრალდებები. ორივე მხარე ცდილობდა გადაებირებინა საერო ხელისუფლება და გამოეყენებინა ის ერთიმეორის წინააღმდეგ, გავლენიანი ხალხისა და ქრთამების მეშვეობით. თავიდან, პრისკილიანეს ოპონენტებმა მოახერხეს მოეგოთ იმპერატორ გრაციანეს გული. შესაბამისად გამოიცა ედიქტი, რომელიც კრძალავდა მწვალებლების მიერ ეკლესიების გამოყენებას და ბრძანებდა მათ გადასახლებას. რამდენიმე ხანში პრისკილიანელებმა შეძლეს მიემხროთ მაკედონე, იმპერატორის მსახურთუხუცესი (მასტერ ოფიციორუს). როგორც ერთი ისტორიკოსი ამბობს, „პრისკილიანე და მისი მიმდევრები უხ-

ვად ხარჯავდნენ სიმდიდრეს. ახლა ორივე მხარე თანაბარი ძალებით იბრძოდა". მაკედონეს გავლენის შედეგად პრისკილიანელებს დაუბრუნდათ ტაძრები და ეპარქიები. იდაკსა და ითაკს ბრალი დაედოთ ეკლესიის მშვიდობის დარღვევაში და მასში განხეთქილების შემოტანაში. ითაკი გადაასახლეს კიდეც. პრისკილიანელები გამარჯვებას ზეიმობდნენ და მეგობრების დახმარებით, რომლებიც საკმაოდ გავლენიანნი იყვნენ საიმპერატორო კარზე, ყველანაირი წინააღმდეგობა უკუაგდეს, თითქოსდა ყველაფერი მათ სასარგებლოდ შემობრუნდა.

მაგრამ მოულოდნელმა პოლიტიკურმა ამბოხმა ყველაფერი შეცვალა. არაპოპულარული იმპერატორი გრაციანე გადააყენეს და მოკლეს. პარიზში ტახტი კლიმენტი მაქსიმუსმა მიითვისა. თავისივე ჯარისკაცების მიერ ბრიტანეთში იმპერატორად გამოცხადებული, ის ტრიუმფალური სვლით ჩამოვიდა გალიაში. ამ მოვლენებმა სრულიად გაუქარწყლა პრისკილიანელებს ყველა იმედი. სამაგიეროდ, მათი ოპონენტები კვლავ გამოჩნდნენ მოქმედების არენაზე. მაქსიმუსის ქალაქ ტრევში ჩამოსვლისთანავე, 384 წელს, ითაკმა მაშინვე წაუყენა მძიმე ბრალდებები პრისკილიანეს და მის მიმდევრებს. თავად წარმოშობით ესპანელმა მაქსიმუსმა, მყის შეცვალა გრაციანეს პოლიტიკა. ორივე მხარე შეიკრიბა სინოდის სხდომაზე ქალაქ ბორდოში 385 წელს, მაგრამ ამას არავითარი არსებითი შედეგი არ მოუტანია. რამდენიმე ხნის შემდეგ ორივე მხარე გამოცხადდა იმპერატორის წინაშე, ქალაქ ტრევში. ამ შეხვედრას, სხვა დელეგატებს შორის ესწრებოდა ერთი ადამიანი, რომელიც წინასწარმეტყველურად მიხვდა საკითხის ჭეშმარიტ მნიშვნელობას. ეს კაცი იყო წმინდა მარტინე ტურელი, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა იმხანად.

აი ასე აღწერა ეს შეხვედრა სულპიციუს სევერიუსმა:

„ასე რომ, ყველა ის, ვინც მონაწილე იყო ამ პროცესისა, წარსდგა იმპერატორის წინაშე. ბრალმდებლები იყვნენ ეპისკოპოსები იდაკი და ითაკი, და მე ვერ გავბედავდი, გამეკრიტიკებინა მათი მოშურნეობა მწვალებლების წინააღმდეგ, თავად მათ რომ არ გამოეჩინათ საჭიროზე მეტი მონდომება ბრძოლაში. და მართლაც, ჩემი ღრმა რწმენით, ბრალმდებლები ისეთივე უმსგავსოები იყვნენ, როგორც თავად ბრალდე-

ბულნი. მე ვადასტურებ, რომ ითაკს არ გააჩნდა არაფერი წმინდა, იგი იყო კაცი კადნიერი, ჭორიკანა, თავხედი, ამაოებისმოყვარე და ზედმეტად სიამეთამოტრფიალე. ის ისე გამოსულელდა, რომ პრისკილიანიზმის მიმდევრობაში ბრალს სდებდა ყველა იმ ადამიანს (მიუხედავად მათი სიწმინდისა), ვინც ნუგეშს პოულობდა კითხვაში ან მარხვაში! ამ საბრალო უგუნურმა ისიც კი გაბედა, რომ მარტინესთვის მწვალებლობაში დაედო ბრალი, იმ ეპისკოპოსისთვის, რომელსაც მოციქულების თანასწორადაც კი აცხადებდნენ. ამ დროს მარტინე იმყოფებოდა ქალაქ ტრევში და თავის მხრივ ამხელდა ითაკს, რათა მას ხელი აეღო თავის ბრალდებებზე და თანაც ევედრებოდა იმპერატორ მაქსიმეს, არ დაეღვარა იმ უბედურ ბრალდებულთა სისხლი. ის ამბობდა, რომ ისიც საკმარისი სასჯელია, რომ ეს ხალხი ეპისკოპოსების მიერ მწვალებლებად გამოცხადდა და ეკლესიებიდან განიდევნა. მარტინე ასევე ამბობდა, რომ სრულიად გაუგონარი და უპატიებელი რამ არის, რომ სამოქალაქო მპყრობელი დადგეს მსაჯულად საეკლესიო საქმეში. და მართლაც, სანამ წმინდა მარტინე ქალაქში იმყოფებოდა, პრისკილიანეს სასამართლო არ შედგა. მაქსიმე დაპირდა კიდეც წმინდანს, რომ სისხლი არ დაიღვრებოდა. მაგრამ, როგორც კი წმ. მარტინეს მოუწია ქალაქ ტრევის დატოვება სხვა მნიშვნელოვანი საქმეების გამო, იმპერატორს ისევ შეუჩდნენ იდაკი და ითაკი, სხვა ორი, გავლენიანი ეპისკოპოსის, მაგნუსის და რუფუსის თანხლებით, და დაუღალავად მოუწოდებდნენ მაქსიმეს გადამჭრელი ზომების მიღებისაკენ.

სასამართლოს განაჩენმაც არ დააყოვნა. პრისკილიანეს და მის უახლოეს მიმდევრებს სიკვდილი მიუსაჯეს. სხვებს მთელი ქონება ჩამოართვეს და სკილის კუნძულებზე გადაასახლეს, ხოლო ზოგიერთი გალიაში. პრისკილიანე პირველი დაისაჯა სიკვდილით. მას მიჰყვა ორი მღვდელი — ფელიცისიმე და არმენი, ასევე ლატრონიანე პოეტი და ევხროკია, მდიდარი და კეთილშობილი ქალბატონი ბორდოდან. ბორდოს სინოდმა განკვეთა ეპისკოპოსი ინსტანტი და ტიბერიანესთან ერთად გადაასახლა სკილის კუნძულებზე. ორი დიაკვანი — ასარინე და ავრელი სიკვდილით დასაჯეს, ხოლო ნაკლებად მნიშვნელოვანი

მიმდევრები — ტერტულე, პოტამი და იოანე დროებით გადაასახლეს გალიაში. ეს იყო პირველი შემთხვევა ეკლესიის ისტორიაში, როდესაც მწვალებლები სიკვდილით დაისაჯნენ. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ფაქტი მოხდა ესპანელი ეპისკოპოსების წაქეზებით. საუკუნეების შემდეგ, ეს პროცესი განმეორდება უფრო გრანდიოზული მაშტაბებით — ინკვიზიციის დროს.

სასამართლოს განაჩენმა მდევნელთა დაჯგუფებისთვის სასურველი შედეგები ვერ გამოიღო. ქალაქ ტრევში დიდი დაპირისპირება ჩამოვარდა ეპისკოპოსებს შორის პრისკილიანეს სიკვდილით დასჯის გამო. დამოუკიდებელი მოსაზრებების მქონე ეპისკოპოსი თეოგნიტე, თამამად ჩაუდგა სათავეში სხვა ეპისკოპოსებს, რომლებმაც უარი განაცხადეს ითაკთან და სხვა ეპისკოპოსებთან თანაზიარებაზე, რომლებსაც ბრალი მიუძღოდათ სისხლისღვრაში. ესპანეთში პრისკილიანისტური ენთუზიაზმი რაღაც დროით გაძლიერდა კიდეც. მისი მიმდევრების რიცხვი იზრდებოდა. ტრევში მოკლულთა გვამები, ჩამოასვენეს ესპანეთში და პატივი მიაგეს, ვითარცა მოწამეების წმინდა ნეშტებს. ამან დიდად შეაშფოთა მდევნელთა დაჯგუფება. მათ გადაწყვიტეს უფრო მკაცრი ზომების მიღება. იმპერატორმა მაქსიმემ გადაწყვიტა გაეგზავნა ესპანეთში, შეუზღუდავი უფლებებით მოსილი სამხედრო ტრიბუნები. მათ ევალებოდათ მწვალებლობის ბრალდებების გამოძიება, მწვალებლების დაკითხვა, ბრალდებულების სიკვდილით დასჯა და მათი ქონების კონფისკაცია. ეს ტრიბუნები ნამდვილად არ გამოირჩეოდნენ გულმოწყალებით.

მაგრამ მოდით, თავად სულპიციუს სევერიუსს მოვუსმინოთ: ახლა აღვწერ მოვლენას, რომელსაც თავად მარტინე ყოველთვის მალავდა მაშინდელი დროის მუხანათობის გამო, მაგრამ რომლის ჩვენგან დამალვა მაინც ვერ შეძლო. მე მხედველობაში მაქვს ის სასწაული, როდესაც ანგელოზი გამოეცხადა მას. იმპერატორი მაქსიმე სხვა მხრივ ყველანაირად კეთილი ადამიანი იყო, ზედმეტად ენდობოდა რამდენიმე მღვდლის ცუდ რჩევებს. შესაბამისად ის თავისი საიმპერატორო ძალაუფლებით მფარველობას უწევდა ითაკს, რომელიც პრისკილიანეს და სხვა მრავლის ბრალმდებელი იყო. ასე რომ, მაქსიმე

არავის არ აძლევდა უფლებას, რომ წამოეყენებინათ ბრალდება თავად ითაკის წინააღმდეგ, რომლის მეშვეობითაც უამრავი ადამიანი დაისაჯა სიკვდილით. რაც შეეხება მარტინეს, ბოლოსდაბოლოს ის იძულებული გახდა მისულიყო საიმპერატორო კარზე და თავადვე განეცადა ის ქარცეცხლი, რომელიც იქ ბობოქრობდა. ქალაქში მყოფ ეპისკოპოსებს ყოველდღიურად ჰქონდათ ურთიერთობა ითაკთან და აქედან გამომდინარე, უკვე იზიარებდნენ მის შეხედულებებს. მაგრამ, როდესაც მათ მოულოდნელად აუწყეს, რომ მარტინე ქალაქისაკენ მოემართებოდა, სრულიად დაკარგეს შემართება და შიშისგან თავზარდაცემულები კანკალებდნენ. მაგრამ მათივე რჩევით იმპერატორს უკვე გაეგზავნა ტრიბუნები ესპანეთში, რომლებსაც ევალებოდათ მწვალებლების მოძებნა, სიკვდილით დასჯა და ქონების წართმევა. უეჭველია, რომ ასეთ ქაოტურ მდგომარეობაში დევნის ქვეშ მოჰყვა უამრავი ჭეშმარიტი ქრისტიანიც, რადგანაც ძალიან ცოტა მნიშვნელობა ენიჭებოდა, თუ რა სჯულის იყო ადამიანი. მთელი მართლმსაჯულება ეყრდნობოდა გარეგნულ ნიშნებს, ისე რომ, ეჭვმიტანილებს პირდაპირ მიიჩნევდნენ მწვალებლებად, მაგალითად — შიშისგან გაფითრებული სახის ან თუნდაც განსხვავებული ტანისამოსის გამო და არა სარწმუნოების საფუძველზე. ამ ეპისკოპოსებს კარგად ესმოდათ, რომ მოვლენათა ამგვარი განვითარება ნამდვილად არ მოეწონებოდა მარტინეს და ხვდებოდნენ თავიანთ დანაშაულს, დიდად სწუხდნენ რომ ჩამოსვლისას მარტინე უარს იტყოდა მათთან ურთიერთობასა და თანაზიარებაზე და რომ სხვებიც მიბაძავდნენ ამ წმიდა კაცის გაბედულ ნაბიჯს. ამიტომ მათ იმპერატორთან ერთად შეიმუშავეს გეგმა, რომლის მიხედვითაც სამეფო მოხელეები უნდა დახვედროდნენ მარტინეს და არ შემოეშვათ ქალაქში, სანამ ის არ განაცხადებდა, რომ მშვიდობას დაამყარებდა ამ ქალაქის ეპისკოპოსებთან. მაგრამ მარტინემ ბრძნულად ჩაშალა მათი გეგმები, როდესაც განაცხადა, რომ ის მოდიოდა ქრისტესმიერი მშვიდობით. მან ქალაქს ღამით მიაღწია და შესვლისთანავე ეკლესიას მიაშურა სალოცავად. მეორე დღეს ის ეწვია სამეფო კარს. სხვა მრავალ სათხოვართან ერთად, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, უმთავრესი იყო შემდეგი:

მან უშუამდგომლა ყოფილ იმპერატორ გრაციანეს მოხელეებს, ნარსესა და ლეუკადიუსს, მაგრამ მისი უმთავრესი თხოვნა იყო, რომ იმპერატორს ესპანეთში არ გაეგზავნა თავისი ტრიბუნები, რომელთაც ძალაუფლება ეპყრათ ადამიანების სიკვდილ-სიცოცხლეზე. როგორც ვხედავთ, მარტინე ზრუნავდა არა მხოლოდ ჭეშმარიტ ქრისტიანებზე, რომლებიც იმ მხარეებში ცხოვრობდნენ და რომლებსაც დევნა ემუქრებოდათ, არამედ ცდილობდა განსაცდელისაგან დაეცვა თვით მწვალებლებიც კი. პირველი ორი დღე იმპერატორმა უპასუხოდ დატოვა წმიდა კაცი. ეს ალბათ იმიტომ მოიმოქმედა, რათა მარტინესთვის ამ საკითხის მნიშვნელობა ეგრძნობინებინა, ან შეიძლება იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი ჯერაც არ იყო შერიგებული ეპისკოპოსებთან, ან შეიძლება იმ მიზეზის გამოც, რომ (როგორც ამას მაშინ ბევრი ფიქრობდა) იმპერატორი ეჭვმიტანილთა საკუთრებას ეხარბებოდა. ყველა ამბობს, რომ იმპერატორი გამორჩეული იყო უამრავი კარგი თვისებით, მაგრამ ის უშედეგოდ ცდილობდა დაემორჩილებინა თავისი ანგარება. ეს მოქმედება შეიძლება გამოწვეული ყოფილიყო იმპერიის იმ დროინდელი საჭიროებებით, რადგან სახელმწიფო ხაზინა მის წინამორბედს სრულიად გაეფლანგა, და რადგანაც იმპერატორი მუდმივად ელოდა სამოქალაქო ომს ან ემზადებოდა მისთვის, ის ცდილობდა ყველა ხერხი ეხმარა იმპერიის დასაცავად და საჭირო რესურსების მოსაგროვებლად.

ამასობაში ქალაქის ეპისკოპოსები შეშინებულები მივარდნენ იმპერატორთან, ჩიოდნენ, რომ მათი საქმე უკვე წასულია, რომ მარტინე თავისი ავტორიტეტით მიემხრო თეოგნიტეს, ერთადერთ ეპისკოპოსს, რომელმაც საჯაროდ დაგმო მათი საქმიანობა. ისინი ჩიოდნენ, რომ მარტინე საერთოდ არ უნდა შემოეშვათ ქალაქში, რომ ახლა ის არა მხოლოდ იცავს მწვალებლებს, არამედ იბრძვის კიდეც მათ სასარგებლოდ, და რომ არავითარი აზრი არ ჰქონია პრისკილიანეს სიკვდილს, თუ მარტინე მისთვის შურს იძიებს. მალე იმპერატორიც თითქმის დაარწმუნეს იმაში, რომ მარტინეს მწვალებელთა ხვედრი უნდა გაეზიარებინა. ბოლოს ეს ეპისკოპოსები მუხლის ჩოქვით შეევედრნენ იმპერატორს, რომ თავისი ძალა ეხმარა ამ ერთი კაცის

წინააღმდეგ. მაგრამ, თუმცა იმპერატორს მათი დიდი ხათრი ჰქონდა, მან ამავე დროს იცოდა, რომ მარტინე ყველას აღემატებოდა თავისი სარწმუნოებით, სიწმინდით და სრულყოფილებით. ამიტომ მან სცადა სხვა გზით მიდგომოდა მარტინეს. პირველ რიგში, მან პირადად და თავაზიანად მიმართა მარტინეს და აუწყა, რომ მწვალებლები არ იდევნებოდნენ, არამედ მათ საჯაროდ ასამართლებდნენ, და რომ შესაბამისად, არ არსებობდა არანაირი მიზეზი იმისა, რომ მას არ ჰქონოდა თანაზიარება ითაკთან და სხვა ეპისკოპოსებთან. იმპერატორმა თქვა, რომ თეოგნიტემ შემოიტანა განხეთქილება ეკლესიაში თავისი პირადი სიძულვილის გამო, და არა იმ მიზეზისა, რომელსაც ის ასახელებს. მან დაამტკიცა, რომ მარტინე იყო ერთადერთი პიროვნება, რომელმაც უარი თქვა დანარჩენებთან თანაზიარებაზე, თუმცა მათ არანაირი ახალი სწავლება არ შემოუტანიათ ეკლესიაში. იმპერატორმა დასძინა, რომ რამდენიმე დღის წინ გამართულმა სინოდის სხდომამ გადაწყვიტა, რომ ითაკს არანაირი ბრალი არ მიუძღოდა. როდესაც იმპერატორმა დაინახა, რომ მისმა საუბარმა ვერავითარი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა მარტინეზე, მაშინ განრისხდა და გააგდო. ამავე დროს მან ბრძანა დაესაჯათ ყველა ის, ვის შეწყალებასაც ითხოვდა მარტინე.

როდესაც მარტინემ ეს ამბავი შეიტყო, ის უმალვე მიბრუნდა სასახლეში. მან პირობა მისცა იმპერატორს, რომ თანაზიარებაში შევიდოდა სხვა ეპისკოპოსებთან, თუ ის შეიწყალებდა განწირულ ხალხს და უკან გამოიწვევდა ესპანეთში ეკლესიების დასარბევად გაგზავნილ ტრიბუნებს. მაქსიმემ იმ წუთასვე დააკმაყოფილა მარტინეს თხოვნა. მეორე დღეს ჩატარდა ფელიქსის ეპისკოპოსად ხელდასხმა, ნამდვილად წმინდა ადამიანის და პატიოსანი მღვდლისა. მარტინეც ეზიარა ამ დღეს სხვებთან ერთად, რადგან მართებულად ჩათვალა დროებით უკან დაეხია, ვიდრე სასიკვდილოდ გაეწირა საფრთხეში მყოფი ხალხი. თუმცა ამავე დროს, სხვა ეპისკოპოსების დიდი დაჟინების მიუხედავად, ის არავითარ შემთხვევაში არ დასთანხმდებოდა, რომ თავისი ხელმოწერა დაედასტურებინა მათთან თანაზიარობა. მეორე დღეს მარტინე სასწრაფოდ გაემგზავრა ქალაქიდან.

დიდმა მწუხარებამ და სინანულმა მოიცვა მგზავრობისას. მარტინე სწუხდა, რომ თუნდაც ერთი საათით მაინც შეერია ამ ბოროტ თანაზიარებაში. ამაზე ჩაფიქრებული მარტინე ოდნავ ჩამორჩა თავის თანამგზავრებს სოფელ ანდეთანასთან, იქ სადაც დიდი, უღრანი ტყეები განმარტოების საშუალებას იძლევიან და თავის ნამოქმედარზე ფიქრობდა. ის ხან კიცხავდა, ხან კი ამართლებდა თავისი მწუხარების მიზეზსა და თავის საქციელს. მოულოდნელად გამოეცხადა ანგელოზი და უთხრა: „მარტინე, მართლაც სამართლიანად სწუხარ, მაგრამ არ შეგეძლო სხვა გზით დაგეღწია თავი იმ მდგომარეობიდან. ასე რომ, გამხნევდი, და განაახლე შენი ღვაწლი, რათა შენს სახელთან ერთად შენი ცხონებაც არ ჩააგდო საფრთხეში". ამ დღიდან მოყოლებული ის დიდი სიფრთხილით არიდებდა თავს ითაკთან და მის მომხრეებთან თანაზიარებას. მაგრამ, როდესაც მან უკვე ველარ შეძლო რამდენიმე ეშმაკეულის განკურნება უწინდელი მადლმოსილებით, მაშინ ცრემლმორეულმა აღიარა ჩვენ წინაშე, რომ გრძნობდა, თუ როგორ მოაკლდა ძალები იმის გამო რომ თანაზიარი გახდა ბოროტებისა, მიუხედავად იმისა, რომ ის ეზიარა საჭიროების გამო და არა თავისი სურვილით (დიალოგები 3.11-12).

ამ შემთხვევიდან ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ იდგა უარზე წმინდა ღმერთშემოსილი მამა მარტინე ტურელი ითაკთან თანაზიარებაზე მხოლოდ იმ მიზეზის გამო, რომ ეს უკანასკნელი დამნაშავე იყო სისხლისღვრის წამოწყებაში, მიუხედავად იმისა, რომ დაზარალდნენ უკვე განკვეთილი მწვალებლები! წმინდა მარტინე სამართლიანად ამბობდა, რომ მათთვის უკვე საკმარისი სასჯელია, ეპისკოპოსებმა რომ მწვალებლებად გამოაცხადეს და ეკლესიებიდან გააძევეს, და რომ, ამავე დროს, სრულიად გაუგონარი და უპატიო რამ არის, რომ სამოქალაქო მპყრობელი დადგეს მსაჯულად საეკლესიო საქმეში. გასაგებია, რომ სისხლისღვრა დიდი ცოდვაა, მაგრამ ამავე დროს ითაკი და მისი მომხრეები არ იყვნენ მწვალებლები, და როგორც იმპერატორმა თქვა, მათ მიერ არავითარი ახალი სწავლება არ ყოფილა შემოტანილი ეკლესიაში, მაგრამ მარტინე მაინც უარს ამბობდა მათთან ზიარებაზე. ჩვენ ვიცით, რომ კანონების მიხედვით მკვლელო-

ბა, თუნდაც ომში ჯარისკაცის მიერ ჩადენილი, ხელისშემშლელი ფაქტორია მღვდლად კურთხევისათვის. შესაბამისად, სამღვდელო პირი, რომელსაც ბრალი მიუძღვის სისხლისღვრაში ან მის წაქეზებაში, აუცილებლად უნდა იქნას განყენებული. მაგრამ ზემოთმოყვანილ შემთხვევაში სინოდის კრებამ გადაწყვიტა, რომ ითაკს არაფერში არ მიუძღოდა ბრალი, თუმცა წმ. მარტინეზე არანაირი გავლენა არ მოუხდენია ითაკისა და მისი მომხრეების დასაცავად მოყვანილ არგუმენტებს. თუ ის მათთან ერთად მსახურებას დათანხმდა, ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის, რომ შეეჩერებინა ათასობით ადამიანის სისხლისღვრა.

ამავე დროს ანგელოზმა მარტინეს აუწყა, რომ ის „სამართლიანად“ სწუხდა იმის გამო, რომ მსახურებაში მიიღო მონაწილეობა, მიუხედავად იმისა, რომ მას არ გააჩნდა სხვა გზა მდგომარეობიდან გამოსასვლელად. ანგელოზმა უსაყვედურა მას და გააფრთხილა, თავის ავტორიტეტთან ერთად საკუთარი ცხონებაც არ ჩაეგდო საფრთხეში. ამ გაფრთხილების დასტურად წმინდანმა ვეღარ შეძლო რამდენიმე ეშმაკეულის განკურნება უწინდელი მადლმოსილებით და მან იგრძნო მადლის მოკლება იმ ბოროტი თანაზიარების გამო, რომელშიც მან მიიღო მონაწილეობა, თუნდაც ძალიან ცოტა ხნით, და თანაც იძულებით. მართლაც რა საკვირველია ყოველნი საქმენი უფლისანი, რომელსაც აღმოაჩენს კაცი წმიდა წერილში და წმიდანთა ცხოვრებებში. მაგრამ ვინ იღებს მათ ყურად!

წმიდა ამონიოსი

ცხორებაჲ წმიდათა და ნეტართა მამათაჲ, რომელნი მოისრნეს მთასა სინასა და რაითს ბარბაროსთაგან

მომიკდა ოდესმე გულსა, ძმანო ჩემნო, დღესა ერთსა ვჯედ რაჲ სენაკსა ჩემსა, მახლობელად ალექსანდრიასა, ადგილსა, რომელსა ჰრქჳან კანოპე, რაჲთა წარვიდე პალესტინედ, რამეთუ ვერ დაუთმობდი ხილვად ჭირთა და განსაცდელთა, რომელნი შეემთხუეოდეს მარადღე ძმათა ჩემთა ქრისტიანეთა ალექსანდრიას შინა უღმრთოთაგან კერპთ-მსახურთა.

და ნეტარი მამაჲ ჩუენი პეტრე, მამათ-მთავარი ალექსანდრიისაჲ, ივლტოდა და იმალვოდა ადგილითი ადგილად და ვერ შემძლებელ იყო მწყსად საწმყსოსა მისსა განსუენებით, ვითარ-იგი მას უნდა. და კუალად გულმან მითქუა ლოცვად ადგილთა წმიდათა, რაჲთა თაყუანის-ვსცე საფლავსა და აღსადგომელსა ცხორების მომცემელსა და რაჲთა მოვიხილნე ადგილნი, რომელთა შინა უფალი ჩუენი იესუ ქრისტე იქმოდა საკჳრველთა დიდ-დიდთა, და ვითხოვდ ღმრთისაგან შეწევნასა ამისთჳს, და მომმადლა მე ესე უფალმან ჩუენმან, რომლისაჲ არს დიდებაჲ უკუნისამდე.

და ვითარცა მივედ ელიად და მოვილოცენ წმიდანი ადგილნი და აღვისრულე ნებაჲ ჩემი, ვითარცა გული მითქუმიდა, მადლი მივეც ქრისტესა, უფალსა ჩემსა, რომელმან განმიმარჯუა ესე ყოფად წყალობითა მისითა. და მერმე კუალად გულმან მითქუა ლოცვად მთასა სინასა და მომცნა მე ღმერთმან კეთილნი მოყუასნი კაცნი ქრისტიანენი.

და ვითარ გამოვედით ელიადთ, წარვედით გზასა უდაბნოჲსასა და მივიწიენით მთასა სინასა მეათრვამეტესა დღესა და მოვილოცეთ წმიდაჲ იგი ადგილი და დავყენ მუნ მცირედნი დღენი, რაჲთამცა ვიკურთხე წმიდათა მამათაგან და სულიერთა და მოვიღე ლოცვისაგან მათისა. რამეთუ მივიდი მე სენაკებსა მათსა ყოველთა დღეთა, და სარგებელ მეყვის კეთილისაგან სწავლისა მათისა. ხოლო თავადსა კჳრიაკესა სხენედ იგინი სენაკებსა მათსა, გარემო მთასა მას წმიდასა. და რაჟამს მოიწიის შაბათი მწუხრი, შეკრბიან ეკლესიად და ერთბამად აღასრულიან ლოცვაჲ კჳრიაკისა ღამისაჲ და განთიადისაჲ. და რაჟამს ეზიარნიან, მიიქცის თითოეული მათი სენაკადვე თჳსა მთად.

და იყვნეს იგინი ვითარცა ანგელოზნი ღმრთის მსახურებასა შინა. და პირნი მათნი ყჳთელ იყვნეს და ჯორცნი მათნი დამჭნარ მარხვითა და ღამის თევითა, რეცა ვითარცა უჯორცონი, და არარას ზრუნვიდეს განსასუენებელსა ამის სოფლისასა — არცა ღჳნოსა და არცა ზეთსა, არცა პურსა, არამედ მცირედ დანაკისკუდსა და ხილსა განკმელსა საკმრად ჯორცთა. ხოლო მამასახლისსა უცნ მცირედ პური უცხოთათჳს, ლოცვად მომავალთა.

და ვითარ გარდაკდეს მცირედნი დღენი, მოკუდა მთავარი სარკინოზთაჲ, და დაგუეესხნეს ჩუენ ზედა ერი მრავალი უგრძნულად სარკინოზთაჲ. და რომელნი პოვნეს მთასა გარე მონაზონნი სენაკებსა შინა, მოწყჳდნეს; და რომელნი კოშკსა მას შინა იყვნეს მახლობელად ეკლესიასა, და ვითარ აგრძნეს, ივლტოდეს და შევიდეს კოშკსა მამასახლისსა თანა წმიდასა ამბა თევდოლოსს, ჭეშმარიტად მონაჲ იყო იგი ღმრთისაჲ, რამეთუ უმშჳდეის იყო იგი ყოველთა კაცთა და უსულგრძელაჲს. ამისთჳს უწოდეს მეორე მოსე.

ხოლო რომელნი იყვნეს მონაზონთაგანნი სერგის წმიდას, ანუ ჯეთრეს, გინა თუ ქორებს. გინა სხუათა ადგილთა და კევთა, მოწყჳდნეს და მოაწიეს ვიდრე კოშკადმდე. და მცირედღა და მო-მცა ვიდრემე-ვეკლენით ჩუენცა თჳნიერ ყოვლადვე წინა-აღდგომისა, გინა სიტყჳსაცა ერთისა მიგებისა. არამედ მოწყალემან ღმერთმან, რომელმან არა უგულებელს-ყვის თხოვაჲ, რომელნი ითხოვედ მისგან ყოვლითა გულითა, აჩუენა თავსა ზედა მის მთისასა ცეცხლი ფრიად დიდი,

რამეთუ ყოველი იგი მთაჲ კუმოდა, და ცეცხლი იგი აღიწეოდა ვიდრე ცადმდე. ხოლო ვითარ ესე ვიხილეთ, შიშმან და ძწოლამან დიდმან შემიპყრნა ჩუენ, და დავცუვენით პირთა თ'ესთა ზედა თაყუანის-ცემად უფლისა და ვეეედრებოდეთ, რაჲთა გ'ეკსნეს ჭირისა მისგან, რომელსა შინა ვიყვენით.

და ვითარცა იხილეს სარკინოზთა მათ ცეცხლი იგი, შეეშინა შიშითა დიდითა და ივლტოდეს და ზოგი აქლემებისა მათისაჲ და საჭურველისა მათისაჲ დაყარეს შიშისაგან. და ჩუენ მადლი შევწირეთ უფლისა და გარდამოვედით მიერ კოშკით და ვიწყეთ სლვად მთასა მას გარემო სენაკებსა მონაზონთასა და ვეძიებდით, ვინ-ძი მათგანი მოუკლავს. და ვპოვეთ ოც და ათრვამეტი კაცი მოკლული. და იყო ჯორცთა მათთა მრავალი წყლულებაჲ, და არავინ ვპოვეთ, რომელმანმცა გ'ეთხრა, თუ ვითარ სახით მოწყ'ლნეს იგინი, რამეთუ არავინ დახ'ედა მათ. და ამათ ოც და ათრვამეტთაგან ვპოვენით ჯ'ეთრეს ათორმეტნი. და კუალად ვპოვენით ორნი სხუანი ცოცხალნი, არამედ იგინიცა წყლულ იყვნეს. სახელი ერთისაჲ მის ამბა ესაია და მეორისაჲ მის ამბა საბა. და დავჰფლენით წმიდანი იგი და ვიწყეთ კურნებად წყლულთა მათ წუხილითა დიდითა და ტირილითა მწარითა.

ვინმცა იყო გულ-ფიცხელი, გინა უწყალოჲ და არამცა ტიროდა და წუხდა, ხედვიდა რაჲ კაცთა მათ მოხუცებულთა და ღმრთის მსახურებასა შინა დაბერებულთა მარხვითა და ლოცვითა და მრავლითა მლ'ძარებითა და ვედრებითა დღე და ღამე, ხედვიდა რაჲ მდებარეთა მოკლულთა! რომელსამე თავი მისი ტ'ყავითა ოდენ ეკიდა ქედსა მისსა; და სხუაჲ ყოვლადვე ორად განკუეთილი იდვა და რომელსამე წ'ყლულებათა სიმრავლითა თ'უალნი წამოცუ'ვნებულ იყვნეს: და სხუაჲ ქელით და ფერ'ქით დაჭრილი იდვა ვითარცა ქუნდი. და რაჲსაღა განვაგრძნობდე სიტ'ყუასა, ძმანო ჩემნო საყუარელნო? ვერვინ შემძლებელ არს მოთხრობად, რომელი იხილეს თ'უალთა ჩემთა, რა-ჟამს განვიხილევდით ჯ'ორცთა წმიდათა მათ მოწამეთასა.

ხოლო ამბა საბა საგონელ იყო, თუ განერეს, რამეთუ წ'ყლული მისი არა ეგოდენ ფიცხელ იყო, და ჰმადლობდა ღმერთსა შემთხ-უევასა მას ზედა და მწ'უხარე იყო არა სიკ'ვდილისათ'ს მოყ'უასთა

მისთა თანა და ტირიდა და იგლოვდა და იტყოდა: ვაჲ მე, ცოდვილ-
სა ამას, რომელი არა ღირს ვიქმენ შერაცხად მამათა ჩემთა თანა,
რომელნი მოწყდეს სიყუარულისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტეისა,
არამედ ვიპოვე მე მეათერთმეტისა ჟამისათა თანა; ვაჲ მე, რომელმან
ვიხილე ნავთ-სადგური მეუფისაჲ და ვერ შევედ მას შინა.

და ესრეით ილოცვიდა და იტყოდა: უფალო, ყოვლისა მპყრობ-
ელო, შენ, რომელმან ვითარცა ინებე, მოავლინე ძეი შენი მხოლოდ-
შობილი ჴსნისათჳს შვილთა ადამისთა, შენ მხოლოო მოწყალეო და
მაცხოვარო, ნუ განმაშორებ მამათა ჩემთაგან წმიდათა, რომელნი
მოწყდეს სახელისა შენისათჳს, არამედ აღასრულე რიცხჳ წმიდათა
შენთა ორმეოცთაჲ ჩემ ცოდვილისაგან წყალობითა შენითა, ქრისტე,
ღმერთო ჩემო, რამეთუ შენ შეგიდეგ და შეგიყუარე სიყრმით ჩემით-
გან. ესრეით იტყოდა ყოვლითა გულითა თჳსითა.

და შეისმინა მისი ღმერთმან და შეიწყნარა კეთილი გულს-მოდგინე-
ბაჲ მისი და შეივედრა სული მისი დღესა მეოთხესა, შემდგომად
მოწყუედისა მათ წმიდათაჲსა. და აღასრულა ღმერთმან მის მიერ
რიცხჳ მათი რიცხჳსაებრ წმიდათა ორმეოცთაჲსა. და იყო მოწ-
ყუედაჲ მათი ოც და რვასა დეკენბერისასა, შემდგომად ქრისტეშო-
ბისა სამითა დღითა.

და ვიდრე ჩუენ ამასღა შინა ვიყვენით და მწუხარებაჲ სულთა
ჩუენთაჲ და ცრემლი თუალთა ჩუენთაჲ წმიდათა მათთჳს, და აჰა
ესერა მოიწია ჩუენდა კაცი, ისმაელის შვილთაგანი და გჳთხრა ჩუენ,
ვითარმედ: ჰაბაშნი გამოვიდეს ზღუასა მეწამულსა და მოკლეს ყოვე-
ლი, ვინცა იყო მონაზონთაგანი რაითს.

და შორის რაითსა და შორის მთასა სინასა არს ორის დღის
სავანე პირსა ზღჳსა მეწამულისასა, სადა-იგი არს ათორმეტი წყა-
როჲ და სამეოც და ათი დანაკისკუდი, ვითარცა წიგნი იტყჳს, —
ხოლო დღეს დანაკისკუდი მრავალ არს, — და ვჰკითხეთ კაცსა მას;
ვითარ სახით მოწყჳდნეს? ანუ რავდენი მოკლეს? და რაჟამს მოიკლ-
ნეს? და მან თქუა: არა ვიცი, არამედ მესმა, ვითარმედ: მონაზონნი,
რომელნი იყვნეს რაითს, მოისრნეს. და სხუანი მოვიდეს ორნი და
კუალად ესრევე გჳთხრეს.

და შემდგომად მცირეთა დღეთა მოგჳკდა მონაზონი, რაითისა
მონაზონთაგანი, რაჲთამცა იყოფოდა მთასა სინასა, რამეთუ რაითი

მოოკრდა, და მონაზონნი მოისრნეს. და ვითარ ესმა მისთჳს ამბა თევდოლის, მამასახლისსა სინისასა, და შეიწყნარა იგი სიხარულით. და ჩუენ ვევედრენით მონაზონსა მას რაითით მოსრულსა, რაჲთამცა გჳთხრა, ვითარ მოისრნეს მამანი, ანუ ოდეს მოისრნეს, გინა თუ რაოდენი მოისრა მათგანი, გინა იგი ვითარ განერა მტერთა მათგან.

ხოლო მან იწყო სიტყუად ჩუენდამო და იტყოდა, რამეთუ: ჩემი არა მრავალი ჟამი არს, ვინაჲთგან დავემკჳდრე რაითს, გარნა ოცი ოდენ წელიწადი, არამედ სხუანი არიან მუნ მრავლით ჟამითგან: რომელთაჲმე ორმეოცი წელი არს და რომელთაჲმე მცირედ უმცრო, და ადგილი იგი უდაბნოჲ არს ჰამოჲ და ვაკეი, მარცხენით კერძო გრძელი არს, ხოლო სივრცეი მისი არს ვითარ ათორმეტი მილიონი, და ალმოსავალით მისა მთაჲ მოსდგამს, ვითარცა კედელი, და რომელმან არა იცინ, ჰგონიედ, ვითარმედ უდაბნოჲ არს ყოვლად მიუვალი; და დასავალით მისა არს ზღუაჲ მეწამული ვიდრე დასასრულადმდე ქუეყანისა ვითარ იტყჳან, ამის ზღჳსა მეწამულისაგან გამოვალს ათორმეტი წყაროჲ და მოჰრწყავს იგი ფრიადსა ფინიკოვანსა. და მახლობელად მისა არს ჯურღმული, რომელი მოჰრწყავს სხუასა ფინიკოვანსა და ზღუადვე შთავალს იგი.

და მას ფინიკოვანსა შინა იყოფოდეს უმრავლეისნი მონაზონნი, ვითარცა იტყჳს პავლე მოციქული, ქუაბთა და მთათა და ნაპრალთა ქუეყანისათა. და ეკლესიაჲ მათი, რომელსა შინა შეკრბიან დღესა კჳრიაკესა, იყო მთისა მის ძირსა. და იყვნეს იგინი ჭეშმარიტ, ზეცისა კაცნი და ქუეყანისა ანგელოზნი: შეურაცხ-ყვნეს ჯორცნი მათნი, ვითარცა არა მათნი. და არა ერთი სახჱ იყო ღმრთის მსახურებაჲ იგი მათი, არამედ მრავალ-სახე. იმარხვიდეს იგინი მცნებათა ღმრთისათა, რომელი ამცნო მათ, რომელი ყურსა არა ესმის და ენაჲ ვერ შემძლებელ არს მოთხრობად მას, რომელსა-იგი შინა იყვნეს ღმრთის მსახურებასა. ხოლო მე გაუწყო მცირედი ერთისა, გინა ორისა მათგანისაჲ, რაჲთა ესრეით უწყოდით უაღრეისი იგი, რომელსა ზედა იყვნეს.

იყო მუნ მონაზონი, რომელსა ერქუა ამბა მოსე ფარანელი, მისვე ქუეყანისაჲ და მონაზონ ქმნულ იყო იგი სიყრმით მისითგან და დაეყო სამეოც და ათცამეტი წელი ქუაბსა შინა მთასა მას, მახლობელად ეკლესიასა. და ჭეშმარიტად იყო იგი მეორეი ელია. ყოველსა,

რასაცა ითხოვდა, მოსცემდა მას ღმერთი. და მრავალნი კურნებანი ეყვნეს ღმერთსა ჴელითა მისითა. და მიეცა სახელმწიფოჲ სულთა ზედა არაწმიდათა და ხელთა მისითა ქრისტიანე იქმნეს მრავალნი ფარანელნი, რომელნი მას ქუეყანასა დამკჳდრებულ იყვნეს, რამეთუ ხედვიდეს საკჳრველთა, რომელთა ღმერთი იქმოდა ჴელითა მისითა. და განუკჳრდებინ და ჰრწმენა უფალი ჩუენი იესუ ქრისტეი, და მოვიდოდეს კათოლიკე ეკლესიად და ნათელ-იღებდეს. და მრავალნი მათგანნი განკურნნა ღმერთმან ჴელითა ამბა მოსეისითა ეშმაკეულნი.

და ვინაჲთგან მარტო ქმნულ იყო იგი ქუაბსა მას შინა, არა ეჭამა პური და საჭმლად მისა იყო მცირედ დანაკისკუდი, სასუმლად მისა წყალი საწყაულით და სამოსლად მისა იყო ზებენისაჲ, რომელ არს ფინიკისა რტოთა ძირსა ბადის სახეი. ხოლო უფროჲს ყოველთასა უყუარდა დაყუდებაჲ. და ძილი მისი იყო შემდგომად ცისკრისა გალობისა. ხოლო მარხვათა ყოვლადვე არავის ზრახავნ, არცა განაღის კარი ქუაბისაჲ ვიდრე დიდად ხუთშაბათამდე. და დღეთა მარხვისათა შეიტანის მის თანა დანაკისკუდი, რიცხჳთ ოცი, და ქსესტი ერთი წყალი. და მრავალ გზის ყოვლადვე არა იხილის გემოჲცა მისგან ვიდრე კარისა განღებადმდე, ვითარ-ესე გჳთხრა მოწაფემან მისმან.

და დღეთა მარხვისათა მოჰგუარეს მას კაცი ეშმაკეული ფარანით, — და სახელი მისი ობდიანოზ, მთავარი იყო იგი ყოვლისა ერისა მისისაჲ, — რაჲთამცა ულოცა მას და განიკურნა. და ვითარ მიიწინნეს მახლობელად ქუაბისა მისისა, შეიპყრა იგი ეშმაკმან და შეაშთობდა მას. და იწყო ღაღადებად ჴმითა მაღლითა და იტყოდა: ვაჲ ჩემდა ბერისა ამისგან მედგრისა, რამეთუ ვერ შეუძლე ჟამსაცა ერთსა მოცთუნებად მისა ლოცვისაგან. და ვითარ ესე თქუა, განვიდა, მისგან ეშმაკი იგი, და მყის განიკურნა ობედიანოზ და ჰრწმენა უფალი ჩუენი იესუ ქრისტეი. და ყოველნი, რომელნი იყვნეს მის თანა პირველ ნათლის-ღებისა, და წარვიდეს სახიდ თჳსა და ჰმადლობდეს ღმერთსა და მონასა მისსა ამბა მოსეს. ხოლო ესე იქმნა თჳნიერ ხილვისა მისისა, გინა სიტყჳსაცა მიგებისა, რამეთუ არავინ იხილის მან დღეთა მათ მარხვისათა.

და სხუათაცა მრავალთა სასწაულთა იტყჳედ მისთჳს, რომელთა აწ ვერ შემძლებელ ვარ სათხრობად სიმრავლითა მათითა.

და ესუა მას მოწაფეი, რომელი იყოფოდა მის თანა ორმეოც და ექუს წელ და ზინ იგი მახლობელად სენაკსა ბერისასა და სახელი მისი იყო ევსებიოს მერისელი. და იგიცა შეუდგა გზათა მოძღურისა თჳსისათა. და იგი იყო ერთი მოკლულთა მათგანი.

და კუალად მონაზონი იყო, სახელი ერქუა ამბა იოსებ ჰაჲლელი. და მასვე მთასა იყოფოდა იგი, შორს წყლისაგან ორსა მილიონსა. და ბრძენ იყო იგი და სწავლულ ყოვლითა საქმითა, და ღმერთი იყო მის თანა. და დაყო უდაბნოსა მას ოც და ათი წელი. და აქუნდა მას მოწაფეი მახლობელად მისა. და მოუჴდა მას ერთი მონაზონთაგანი კითხვად რაჲსმე მისგან და სწავლად. და ვითარ დაჰრეკა კარსა მისსა, არაჲ მიუგო მას ბერმან. ხოლო მან შეხედნა მას განლებულისაგან კარისა და იხილა იგი ყოვლადვე თავითგან ვიდრე ფერჴადმდე ვითარცა ცეცხლი მოტყინარეი, დგა რაჲ იგი ლოცვასა შინა თჳსსა. და შეეშინა მას და დაეცა ვითარცა მკუდარი და იდვა მას ადგილსა მრავალ ჟამ. ხოლო წმიდაჲ იგი უცალო იყო ლოცვასა თჳსსა და ზრახვასა უფლისა თჳსისასა და ვერაჲ აგრძნა.

და შემდგომად მრავლისა ჟამისა მოიქცა წმიდაჲ იგი პირველისაებრვე სახისა, და კუალად ჰრეკა მონაზონმან მან. და განუღო მას ამბა იოსებ ჰაჲლელმან და ჰკითხა: ოდეს მოხუედ აქა? ჰრქუა მას ძმამან მან: უწინარეს ხუთ ჟამისა, არამედ რაჲთა არა შეგაწყინო, არა ვჰრეკე კარსა შენსა, გარნა აწღა ოდენ.

მაშინ გულისხმა-ყო ბერმან, ვითარმედ ღმერთმან გამოუცხადა ძმასა მას საქმეი მისი, და არარაჲ უთხრა მისგანი, არამედ ყოველი, რაჲცა ჰკითხა მას, გინა ითხოვა მისგან, არარაჲ დააყენა წმიდამან მან და განკურნა სული მისი გულის სიტყუათა მათგან, რომელნი უთხრნა მას, და წარავლინა იგი მშჳდობით.

და ამისა შემდგომად შეეშინა წმიდასა მას: ნუუკუე აწყინებდენ მას კაცნი. და ილოცა ღმრთისა მიმათ, რაჲთა დაფაროს საქმეი მისი, და არღარავის ეჩუენებოდეს იგი მიერ დღითგან.

და მივიდა ძიებად მისა ამბა გელასი, მოწაფეი მისი, ყოველთა ადგილთა და არა პოვა იგი. და დაჴდა იგი სენაკსა მისსა და მწუხარე იყო იგი განშორებისათჳს მოძღურისა თჳსისა. და შემდგომად ექუსისა წლისა მეცხრესა ოდენ ჟამსა დღისასა ჰრეკა კაცმან

ვინმე კარსა სენაკისა მისისასა. და განვიდა ამბა გელასი და პოვა მოძღუარი იგი თჳსი და მდგომარეი კარსა ზედა, და დაუკჳრდა ფრიად და ჰგონებდა: ნუუკუე ეშმაკი ეჩუენა მას ხატითა მოძღურისა თჳსისაჲთა. და ჰრქუა: ვყოთ ლოცვაჲ. მაშინ ჰყო ლოცვაჲ ბერმან, და შეიწყნარა იგი მოწაფემან თჳსმან სიხარულით, და შეიტკბნეს იგინი და ამბორს-უყვეს ურთიერთას მშჳდობით და სიწმიდით.

მაშინ ჰრქუა ბერმან მოწაფესა თჳსსა: კეთილად ჰყავ, შვილო ჩემო, რამეთუ ყოვლისა პირველად ლოცვაჲ ითხოვე, რამეთუ საფრკენი ეშმაკისანი მრავალ არიან. ჰრქუა მას მოწაფემან მისმან: რაჲსათჳს, მამაო, განეშორე ძმათაგან შენთა და დაუტევე შვილი შენი ობლად მწუხარებასა შინა შენთჳს? მიუგო მას ბერმან: მე თქუენგანი არავინ მხედვიდა, ვითარცა-იგი ღმერთმან იცის, ხოლო მე არა ვიდრე მისრულ ვარ ადგილისა ამისგან და არცა კიდე ქმნულ ვარ ზიარებისაგან მამათა თანა ეკლესიას კორცსა და სისხლსა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტეისსა. მაშინ დაუკჳრდა მოწაფესა მისსა, ვითარ-იგი შევიდოდა და გამოვიდოდა, და არავინ მამათაგანი ხედვიდა მას.

კუალად ჰრქუა მოწაფემან: და აწ რაჲსათჳს მოხუედ მონისა შენისა? მიუგო ბერმან და ჰრქუა მას: დღეს მივიცვალები კორცთა ამათგან უბადრუკთა უფლისა ჩემისა და ვინებე, რაჲთამცა შენ დაჰმარხენ იგინი, ვითარცა გინდეს და მისცნე ქუეყანასა მისნივე იგი. და ფრიად ამცნებდა მოწაფესა თჳსსა და ეტყოდა სარგებელისათჳს სულისა და მოლოდებისათჳს კეთილისა მერმისა საუკუნოჲსა. და განირთხა თავით თჳსით აღმოსავალით კერძო და დაიწყვნა კელნი და ფერკნი თჳსნი და შეისუენა და სული თჳსი შეჰვედრა კელთა დამბადებელისა თჳსისათა.

მაშინ სრბით გამოვიდა მოწაფეი მისი და უთხრა მამათა. ხოლო იგინი მწრაფლ მოვიდეს ერთბამად ჟამობითა. და კელთა მათთა აქუნდა რტოები ბაჲაჲსაჲ, და წარიღეს გუამი მისი ეკლესიად, და პირი მისი ბრწყინვიდა ვითარცა მზეი. და ვითარცა ყოველნი ერთბამად იკურთხნეს მისგან, დაჰფლეს იგი მამათა თანა.

და სხუაჲცა ეგევითარი არს ჩემ თანა, რომლისაჲ მინდა უწყებად თქუენდა მუნ მყოფთა მათთჳს მონაზონთა და რომელთა-იგი საკჳრველთა

იქმოდა ღმერთი ჴელითა მათითა, არამედ გხედავ თქუენ, რამეთუ გნებავს სმენად, ვითარ-იგი მოისრნეს მამანი და ვითარ მოიწინეს მტერნი მათ ზედა, და მე წარმოგითხრა თქუენ ყოველივე.

რამეთუ ესრეით სრულ იყვნეს წმიდანი იგი ყოველსა შინა საქმესა მათსა და გლახაკ ღმრთისათჳს, არარას მოიგებდეს ამის საწუთროჲსა საქმეთაგანსა. და იყვნეს კაცნი მის ქუეყანისანი, რომელნი მოართუმიდეს მათ იფქლსა ეგჳპტით და წარიღებდეს ჴელთ-საქმარსა მათსა ნაცვალად მისა. არამედ უფროჲსღა საქმარ მათა იყო ლოცვაჲ და მარხვაჲ, და ყოველი სასოებაჲ მათი იყო ქრისტეისა. და იყვნეს იგინი რიცხჳთ ორმეოც და სამ. თითოეული მათი მარტოჲ სენაკსა იყოფვინ, და არავინ უწყინ, რასა-იგი იქმნ, გარნა უფალმან დამბადებელმან მისმან, რომელმან უწყნის დაფარულნი.

და ვითარ-იგი ჩუენ ესრეით ვიყოფოდეთ, მოგჳკდეს ჩუენ ორნი კაცნი ჭალაკისა ერთისაგან, რომელი არს ზღუასა შინა. ჰაბაშთა კერძო, მცირეთა ძელთა ზედა და გჳთხრეს, ვითარმედ: კრებული დიდი ჰაბაშთაჲ მოიწია პირსა ზღჳსასა და ჰოვეს ნავი ნავებისაგან ჰაჲლელთაჲსაჲ და შეიპყრეს იგი და ეგულებოდა აღსლვაჲ მას შინა და წარსლვაჲ კულიზმად. და გურქუეს ჩუენ: მიგჳყვანენით კულიზმად და არავინ თქუენგანი მოვკლათ. ხოლო ჩუენ უქადეთ მათ, რაჲთამცა განვერენით მათგან, და ვჰგონებდით ჩუენ მოსლვასა ქარისასა და წარვიდოდეთ მათ თანა.

არამედ ინება ღმერთმან ჴსნაჲ ჩუენი: ვივლტოდეთ ღამით ამით ძელითა და მოვედით თქუენდა და დაუტევენით იგინი ნავისა მის უფალთა თანა ზღუასა შინა. ხოლო ჩუენ გეტყჳთ თქუენ: ეკრძალენით მცირედთა დღეთა, ნუუკუე მოვიდენ და მოგსრნენ თქუენ, რამეთუ კაცნი მედგარნი არიან იგინი. ხოლო არს რიცხჳ მათი ვითარ სამას კაც.

და ჩუენ ვყავთ ეგრეით და მსტუარი დავადგინეთ კიდესა ზღჳსასა, რაჲთა, ოდეს იხილოს ნავი მომავალი, გჳთხრას ჩუენ. და ვილოცევდით ღმრთისა მიმართ, რაჲთა უმჯობეისი გამოგჳრჩიოს და ნებაჲ მისი იყოს ჩუენ ზედა.

და ვითარ იყო ხვალისაგან მიმწუხრი, ვიხილეთ ნავი მომავალი ჩუენ კერძო. და რომელნი იყვნეს ჩუენ თანა ერისა კაცნი ფარანელნი,

განემზადნეს ბრძოლად დედა-წულისა მათისათჳს და ხუასტაგისა მათისათჳს, ხოლო ჩუენ, მონაზონნი, მოვივლტოდეთ ეკლესიად. და იყვნეს ფარანელნი იგი ორას ოდენ კაც, და შეკრებულ იყვნეს იგინი მთასა მას ზედა ბრძოლად.

ხოლო ეკლესიაჲ შეზღუდვილ იყო. და იყო სიმაღლეი ზღუდისაჲ მის ვითარ ორ კაც ოდენ. და დავჰკშენით ჩუენ კარნი წინაშე ჩუენსა.

და ვითარ მოიწინნეს იგინი კმელად, დადგეს; და მენავენი იგი წინა-უძღოდეს. და დაჰყვეს ღამეი იგი ძირსა მის მთისასა, მახლობელად წყაროებისა. და ვითარ განთენა, შეკრნეს მენავენი იგი და დაუტევნეს იგი მას ადგილსა. და ერთი მენავეთა მათგანი დაუტევეს მცველად ნავისა მის, რამეთუ მარტოჲ ვერ ავლინებდა ნავსა. ხოლო ერთი ჰაბაშთა მათგანი დაუტევეს მის თანა და მერმე მოიმართეს წყაროებად. და ემთხჳნეს მათ ფარანელნი იგი ბრძოლად.

და იყო ბრძოლაჲ მახლობელად წყაროებისა, გუერდით კერძო გორსა. და ესროდეს იგინი ურთიერთას ისრითა. და ისარი იგი კლვიდა ორკერძოჲთვე კაცებსა. ხოლო ულმრთონი იგი რამეთუ უმრავლეის იყვნეს და ჩუეულ ბრძოლასა, სძლეს ფარანელთა მათ და მოწყჳდეს მათგანი ას ორმეოც და შჳდი კაცი. და სხუანი ივლტოდეს მთით კერძო, ვითარცა ვინ შემძლებელ იყო განრინებად თავისა თჳსისა. ხოლო ულმრთოთა მათ წარტყუენეს ყრმები და დედები მათ თანა.

და ამისა შემდგომად მოგჳკდეს ჩუენ შეზღუდვილსა მას, ვითარცა მკეცნი მძჳინვარენი, რბიოდეს და კმობდეს კმითა მაღლითა და უშუერითა და ჰგონებდეს, ვითარმედ პოონ ჩუენ თანა საფასეი დამალული. და ვითარ მოიცვეს კარი იგი, იწყეს ქადებად ჩუენდა მომართ. ხოლო ჩუენ ვითარ გუესმა კმაჲ მათი, დამეცა ჩუენ ზედა შიში დიდი, არა უწყოდეთ, რაჲმცა-იგი ვყავთ, გარნა ღმრთისა მივივლტოდეთ ლოცვითა და ცრემლითა და გულითა მწუხარითა. და რომელნიმე ჩუენგანნი კადნიერ იყვნეს სიკუდილსა ზედა მხიარულითა გულითა, და ზოგნი — მწუხარე და შემუსრვილ გულითა, და ზოგნი ილოცვიდეს და ჰმადლობდეს ღმერთსა, და ზოგნი ერთიერთსა ნუგეშინის-სცემდეს.

მაშინ აღდგა მამაჲ და წინამძღუარი ჩუენი წმიდაჲ პავლე შორის

ეკლესიასა და თქუა: ისმინეთ, ძმანო ჩემნო და მამანო, ჩემ შეურაცხ-ისაგან და ცოდვილისა. თქუენ უწყით ყოველთა, რამეთუ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტეისთჳს შეკრებულ ვიყვენით ყოველნი ამას ადგ-ილსა და მოგუეცალა საწუთროჲსა ამისგან საცთურისა. და მოს-რულ ვიყვენით უქმსა ამას უდაბნოსა და საშინელსა, რაჲთამცა აღვიღეთ ულელი ქრისტეისი ქედთა ჩუენთა ცოდვილთა ამათ შიმ-შილითა და წყურვილითა და სიგალახაკითა ფიცხლითა და მწუხარე-ბითა სოფელსა ამას და შეურაცხ-ვყავთ ყოველი, რაჲ არს მას შინა, რაჲთა სასუფეველი ცათაჲ შევიძინოთ, რომელი აღუთქუა ღმერთმან მოყუარეთა თჳსთა და აწ არარაჲ იყოფის თჳნიერ ბრძანებისა მისისა და არარაჲ მოიწევის ჩუენ ზედა საქმეი სოფელსა და არცა ჟამსა ამას, გარნა რომელი მას უნდეს, შეგუეწიოს ჩუენ მცირესა ჟამსა ცხორებისა ამის ამაოჲსასა და მის თანა მიგჳყვანნეს ჩუენ.

და აწ ჯერ-არს ჩუენდა, რაჲთა გჳხაროდის და მხიარულ ვიყვ-ნეთ მისა მიმართ და ეჰმადლობდეთ და არა სულმოკლე ვიქმნეთ. რაჲ უტკბილეის არს ხილვასა პირისა მისისასა და თაყუანის-ცემად დიდებასა მისსა! არა გაკსოვსა, ძმანო ჩემნო საყუარელნო, რაჟამს-იგი ვსხდით ერთობით და ვიკითხვიდით წამებასა წმიდათასა და გჳკჳრნ მოთმინე-ბაჲ იგი მათი და ვიტყოდით ურთიერთას: ნეტარ არიან, რომელნი-იგი ქრისტეისთჳს იწამნეს და დასთხინნეს სისხლნი მათნი! და გული გჳთქუამნ, თუმცა ვიყვენით ვითარცა იგინი. და აწ ესერა ჟამი მოწევნულ არს, შვილნო, და გულის თქუმაჲ იგი მოახლებულ არს, რაჲთა ვიყვნეთ ვითარცა იგინი თანაზიარ მათა, რომელსა-იგი შინა არიან კეთილსა წარუვალსა და შეუცვალებელსა. და აწ ნუ ჰყივით და ნუცა გეშინის და ნუცა რას იქმთ შეუმსგავსებელსა თქუენსა, არამედ ყოვლითა ძალითა ჩუენითა შევიმოსოთ ძალი ქრისტეისი და დაუთმოთ სიკუდილსა შეწევნითა მისითა, რაჲთა შეგჳწყნარნეს სა-სუფეველსა მისსა.

და მათ ყოველთა მიუგეს ერთბამად და თქუეს: ვითარცა სთქუ, ეგრეცა ვყოთ. რაჲსა ვივლტოდით ყოვლისავეთჳს; რომელი მოვცა უფალმან სასუმელი ცხორებისაჲ, მოვიღოთ და სახელსა უფლისასა ვხადოთ, ვითარცა ფსალმუნი დავითისი იტყჳს.

და ვითარ ესმა ესე მათგან, მოიქცა საკურთხევლად აღმოსავალით

კერძო და განიპყრნა კელნი თჳსნი ზეცად და თქუა: ღმერთო და უფალო ჩუენო იესუ ქრისტე, მეუფეო ყოველთაო და ღმერთო ყოველთაო, შენ ხარ სასოჲ ჩუენი და შემწეი ჩუენი და ნუ დაივიწყებ მონათა შენთა, არამედ მოიკსენე შრომაჲ ჩუენი და მოგუეც ძალი ჟამსა ამას ჭირისასა და შეიწირენ სულნი ჩუენნი, ვითარცა მსხუერპლნი, წინაშე შენსა, რამეთუ შენდა შუენის დიდებაჲ და პატივი თანა მამით და სულით წმიდითურთ უკუნითი უკუნისამდე. მიუგეს ყოველთა ერთობით და თქუეს: ამენ.

და ვითარცა მათ თქუეს ამენი, მოიწია კმაჲ ზეცით საკურთხეველით გამო, რომელი იტყოდა: მოვედით ჩემდა ყოველნი, გამორჩეულნო და შეწირულნო, და მე განგისუენო თქუენ შრომათაგან ამის სოფლისათა სასუფეველსა ჩემსა. და ვითარ ესე კმაჲ გუესმა, ყოველთა შეგუეშინა და ძრწოლამან დიდმან შეგჳპყრნა, რამეთუ სული, ვითარცა თქუა ქრისტემან სახარებასა შინა, გულს-მოდგინე არს, ხოლო კორცნი — უძლურ, და მერმე ერთობით აღვიმაღლეთ კმაჲ ჩუენი ღმრთისა მიმართ და წარვიწირენით თავნი ჩუენნი ცხოვრებისაგან.

ხოლო ულმრთოთა მათ მოიღეს ძელი გრძელოვანი და შემოაყრდნეს კედელსა და მიერ აღმოკდეს და განუღეს კარი მოყუასთა თჳსთა. და არავინ ჩუენგანი წინა-აღუდგა. ხოლო იგინი შემოვიდეს ვითარცა მკეცნი ბოროტნი და აღმოეკადა მახჳლები მათი, და შეიპყრეს პირველად, რომელი მოხუდა, სახელით იერემია, მჯდომარეი კარსა ზედა ეკლესიისასა, და ჰრქუეს: გჳჩუენე ჩუენ მამასახლისი! და თანა ჰყვანდა მათ ერთი მენავეთა მათგანი, რომელი უთარგმნებდა სიტყუასა მათსა. და ჰრქუა მათ იერემია: არა გიჩუენო იგი თქუენ და არცა მეშინის თქუენგან, მტერნო ღმრთისანო ურჩულონო. და კადნიერ იყო მათ ზედა და არა შეეშინა, რაჟამს იხილა პირები იგი მათი და კმლები კდილები, არამედ სიტყუას-უგებდა მათ გულითა მწუხარითა და ჰრქუა: არა გიჩუენო თქუენ მამასახლისი ჩუენი. ხოლო მამასახლისი უდგა გუერდით მისა. და უკჯრდა ულმრთოთა მათ სიმკნეი გულისა მისისაჲ, ვითარ-იგი არა შეეშინა მათგან.

და შეიპყრეს იგი და შეუკრნეს კელნი და ფერკნი მისნი და დაადგინეს იგი შიშველი და ესროდეს მას ისრითა, ვიდრემდის

აღივსნეს კორცნი მისნი, და არა შეიძრა იგი ადგილისა მისგან, არამედ შეიწყნარა იგი სიხარულითა და მადლობითა ღმრთისა მიმართ და შუენიერითა მოთმინებითა, ვიდრემდის შეჰვედრა სული თჳსი თჳსსავე დამბადებელსა. და იგი არს პირველი მოწამეთაჲ მათ, რომელი გჳრგჳნოსან იქმნა და სძლო ეშმაკსა, ვიდრემდის მოკუდა იგი მოწამეი და კეთილის დაწყება ექმნა მოყუასთა თჳსთა.

და ვითარცა იხილა ესე წმიდამან მამამან ჩუენმან პავლე, განდგა შორის მოყუასთა თჳსთაგან და ჰრქუა მათ: აჰა ესერა ვარ მე, რომელსა მეძიებთ. და უჩუენებდა ჴელითა თავსა თჳსსა და მისცა თავი თჳსი ჴელთა მტერთასა და არად შეჰრაცხა სატანჯველი მათი, რომელი უყვეს პირველ სიკუდილისა. და ვითარ შეიპყრეს, ჰრქუა მათ მდაბლითა სახითა და სიტყჳთა ლბილითა ჩუეულებისაებრ თჳსისა: გრწმენინ ჩემი, რამეთუ არარაჲ არს ჴელმწიფებასა ჩემსა ქუეშე ამის სოფლისაჲ, გარნა ესე სამოსელი ძუელი, რომელ არს ჩემ ზედა ძაძისაჲ.

ხოლო მათ აღიღეს ქვაჲ და სცემდეს ქვითა მით გუერდთა მისთა და ესროდეს კორცთა მისთა ისრითა და პირსა მისსა და ეტყოდეს: მოიღე, რაჲ-იგი არს შენ თანა. და ვითარ ტანჯეს იგი მრავალ ჟამ და არარაჲ პოვეს მის თანა, რომელსა-იგი ეძიებდეს, სცა ერთმან მათგანმან მახჳლითა შუა ოდენ თავსა მისსა და განაპო წმიდაჲ იგი თავი მისი ორად. და დაჭრნეს კორცნი მისნი მახჳლითა. და დაეცა იგი მკუდარი შემდგომად დიდისა ტანჯვისა. ამან მეორედ სძლო ეშმაკსა და არა შეშინდა სიკუდილისაგან, და არცა მოუძლურდა გულს-მოდგინებაჲ მისი.

და რაჟამს ვიხილე მე, ჩუკენმან ამან, ფიცხლად სიკუდილი იგი და ვიხილე სისხლი იგი წმიდათაჲ მდინარეი და კორცნი მათნი მდებარენი, ვეძიებდ ადგილსა, სადამცა დავიმალე, რაჲთამცა განვერი ჴელთაგან მათთა. და ვიხილე ყურესა ერთსა სენაკისასა ბაჲაჲ ფრიადი, შეყრდნობილი კედელსა, და მას შინა დავიმალე, ვიდრე-იგი ულმრთონი უცალოღა იყვნეს წმიდათა მათ მოსრვასა, და ვიტყოდე გულსა ჩემსა: უკუეთუ მპოონ, მომკლან მეცა, და, უკუეთუ განვერე მათგან მე, დავჰმარხნე კორცნი ესე წმიდათანი.

და რაჟამს მოიცალეს მოწყუედისაგან მათ წმიდათაჲსა, ერთობით

შევიდეს ეკლესიად, კმობდეს კმითა მაღლითა და იწყეს ცემად მათა მახჯლითა, ვითარცა ვის უნდა: რომელსამე თავი წარჰკუეთეს და რომელიმე ორად განკუეთეს და რომელსამე მახჯლითა ნაწლევნი გამოუსხნიან გარე და რომელსამე მკარსა ეხეთქნა და ორად განეპო ვიდრე მკერდადმდე, ვიდრემდის ესრეით მოწყჳდნეს წმიდანი იგი მამანი.

ხოლო რაჟამს მონაზონი იგი ამას გჳთხრობდა, ვერ შემძლებელ იყო დამჭირვად თავისა თჳსისა მწარისაგან ტირილისა, ვიდრემდის ჩუენ ყოველნი ვტიროდეთ მის თანავე და ვერღარა შემძლებელ ვიყვენით სიტყჳად. და გუეტყჳნ იგი: რაჲ გითხრა თქუენ, ძმანო ჩემნო, რომელი-იგი იხილეს თუალთა ჩემთა?

და იყო მუნ სხუაჲ მონაზონი, სახელი ერქუა ამბა სოლომონ. და ჰქონდა მის თანა ყრმაჲ თჳსი, მისი ნაშობი იყო იგი, ათხუთმეტისა წლისაჲ და მონაზონად ეკურთხა იგი წმიდასა მას და მას განეზარდა იგი სიყრმით მისითგან და ესწავა მისდა პატიოსანი მონაზონებაჲ და ბრძოლაჲ ეშმაკთა მიმართ. და ვითარ იხილეს იგი ჭაბუკად შუენიერად მტერთა მათ ღმრთისათა, შეუყუარდა იგი, და უნდა დამარხვაჲ მისი და თანა-წარყვანებაჲ მისი. ხოლო ვითარ-ესე იხილა ყრმამან მან, რამეთუ არა მოჰკლვენ მას მოყუასთავე თჳსთა თანა და ეგულების წარყვანებაჲ მისი მათ თანა, შეზრუნდა ამისთჳს ფრიად და იწყო ტირილად და ღაღადებად. და ვითარ იხილა, რამეთუ არარას სარგებელ ეყოფვის ტირილი იგი, აღიძრა სულითა თჳსითა და განაგდო მისგან შიში და კადნიერ იქმნა და აღიღო მახჯლი ერთისა მათგანისაჲ და უხეთქნა მკარსა ოდენ ჰაბაშისასა, რაჲთა გული განაწყოს და მოკლას იგი.

ვითარცა იქმნა, ყოველნი განრისხნეს მის ზედა და დაჭრეს იგი მახჯლითა. და იგი ღაღადებდა და იტყოდა: კურთხეულ არს უფალი ღმერთი ჩემი, რომელმან არა მიმცა კელთა ცოდვილთასა. ესრეით იტყოდა, ვიდრე სიკუდილდმდე და ესრეით მკნე იქმნა და შეემთხჳა ქრისტესა კაცი იგი ღმრთისაჲ ამბა სერჯი.

და რაჟამს ვიხილე ესე ყოველი, ვიწყე ვედრებად უფლისა ჩემისა და ღმრთისა მოწყალისა, რაჲთა მიკსნეს მე მათგან და დაუბრმნეს

თუალნი მათნი ჩემგან, რაჲთა ნუუკუე მე ხოლო განვერე და დავჰ-
მარხნე გუამნი იგი წმიდათანი.

და ესრეით მოისრნეს იგინი სიხარულით და ჰმადლობდეს ღმერთ-
სა ყოვლისავეთჳს შემთხუევისა. და რამეთუ იყვნეს იგინი ქუეყანასა
ზედა შრომით. და იყვნეს იგინი სადგურ სულისა წმიდისა და დაუ-
ტევეს ყოველივე სოფლისაჲ ამის და მას შეუდგეს და მასცა ეძიე-
ბდეს და მისა შემდგომად პირითა მახჳლისაჲთა მოისრნეს, რომლი-
სათჳს ღმერთსა მივსცეთ დიდებაჲ მას ზედა.

და ვითარ მოიცალეს მოკლვისა მათისაგან უღმრთოთა მათ, იწყეს
ჭკუერვად ეკლესიასა და სენაკებსა შინა და ეძიებდეს, ნუუკუე პოონ
საფასეი დამალული, და არა უწყოდეს უბადრუკთა, ვითარმედ არარაჲ
აქუნდა წმიდათა მათ ქუეყანასა ზედა, არამედ ცათა შინა აქუს
საფასეი და სიხარული წარუვალი ქრისტეის მიერ, უფლისა ჩუენისა.
და ვითარცა ვიხილენ, ჭკუერვიდეს რაჲ იგინი, წარვიდა სისხლი
ჩემი, და მოკუდეს ჯორცნი ჩემნი შიშისაგან და ვთქუ, ვითარმედ:
გამონახვად უც ადგილიცა იგი, სადა მე დამალულ ვიყავ, და მპოონ
და მომკლან. და ვხედევდ დანაკისკუდისა მის რტოჲსა გამომართ,
ოდეს-ძი მოვიდენ, და ვხედევდ სიკუდილსა წინაშე თუალთა ჩემთა.
და მას ყოველსა თანა ვილოცევდ უფლისა მიმართ, რაჲთა, უკუეთუ
იყოს ნებაჲ მისი, განმარინოს მე ჯელთაგან მათთა. და ვითარ იხილეს
რტოები იგი, შეურაცხ-ჰვეს და წარვიდეს მიერ, რამეთუ ღმერთმან
დამიცვა მათგან და დაუბრმნა თუალნი მათნი ჩემდამო.

ხოლო დაუტევნეს წმიდანი იგი მწყუდარნი, მდებარენი ერთიერთ-
სა ზედა, და არარაჲ პოვეს, რაჲმცა წარიღეს მათ თანა. და მიიქცეს
წყაროებადვე, რაჲთამცა წარვიდეს კულიზმად ნავითა მით. და პოვეს
ნავი იგი, რამეთუ განტეხილ იყო, რამეთუ კაცი იგი მენავს, რომელი
დაეტევა მხედვარად ნავისა მის, შემძლებელ იქმნა მოკლვად ჰაბაში-
სა მის, რომელი დაეტევა მათ თანა. და რამეთუ მოკლა იგი და
შეჰკუეთნა საბელნი კავთა ნავისათანი და განვიდა იგი ცურვით
ჯმელად და ივლტოდა იგი მთით კერძო, და ღმერთმან განარინა იგი.
მაშინ წარეკუეთა სასოებაჲ ჰაბაშთაჲ მათ, და განლიგნეს და არა
უწყოდეს, რაჲთამცა-იგი ყვეს, გინა ვითარ მიიქცენ ქუეყანად თჳსა.
და მძჳნვარებისა მისგან და გულის წყრომისა მოკლეს ყოველი

დედაკაცი და ყრმაჲ, რომელი წარეტყუენა ფარანელთაგანი. და აღაგ-
ზნეს ცეცხლი დიდძალი და მოწუეს სიმრავლეი იგი ფინიკისაჲ.

და ვიდრე-იგი უცალოღა იყვნეს ამას შინა და შეურვებულ, რამეთუ ვერ ეძლო წარსლვაჲ ქუეყანად თჳსა, და აჰა მოიწია მათ ზედა ფარანით ექუსასი მბრძოლი ძეთაგან ისმაელისთაჲ, რამეთუ სმენილ იყო მათა ჰამბავი იგი. და ვითარ აგრძნეს შავთა მათ, განიმზადნეს თავნი მათნი ბრძოლად და ზღჳთ კერძო მიიყარნეს. და იქმნა მათ შორის ბრძოლაჲ ფიცხელი.

და იყო ბრძოლაჲ იგი მზის აღმოსლვასა ოდენ ადგილსა ვაკესა. და იბრძოდეს იგინი ისრითა. და რამეთუ ფარანელნი იგი უმრავლეის იყვნეს ჰაბაშთასა, და აჯობეს. ხოლო შავთა მათ წარეკუეთა სასოებაჲ მიქცევისაჲ ქუეყანად თჳსა და სასოებაჲ ცხოვრებისაჲცა, და ამისთჳს მხნედ დაუდგეს ძლიერსა მას ბრძოლასა კიდესა ზღჳსასა. და იყო ესე მზის აღმოსლვითგან ვიდრე მეცხრედ ჟამადმდე დღისა. და მოისრნეს ფარანელთაგანნი მას დღესა შინა ოთხმეოც და ოთხი კაცი და მოიწყლნეს მრავალნი, ხოლო მტერნი იგი ღმრთისანი ჰაბაშნი — პირველითგან ვიდრე დასასრულადმდე, ვიდრემდის არა დაშთა მათგანი არცა ერთი ერთსა ადგილსა.

და რაჟამს ვიხილენ იგინი უცალო ბრძოლისა მისგან, გამოვედ მე დანაკისკუდისა მის ფურცლისაგან, რომელსა შინა ვიყავ, და ვიწყე გარდახილვად წმიდათა მათ გუამებისა და ვპოვენ იგინი ყოველნი, რამეთუ აღსრულებულ იყვნეს, გარნა სამთა ხოლო: დომნოს და ანდრეა და არიონისსა. ხოლო დომნოს წყლულ იყო გუერდსა მისსა ფიცხლითა წყლულებითა და ჭირსა დიდსა შინა იყო; ხოლო ანდრეა წყლულ იყო მრავალგან, არამედ არა ეგოდენ, და ცხონდა; და არიონ, ყოვლადვე არა იყო მის თანა წყლულებაჲ, არამედ სამოსელი ოდენ განეკუეთა მახჳლსა, რამეთუ ჰგონებდა, რომელმან-იგი უხეთქ-ნა, ვითარმედ მოკლა, რაჟამს-იგი იხილა მოკლულთა მათ შორის დაცემული. ხოლო იყო იგიცა ჩემ თანა, და ორთავე გარდავიხილენ-ით გუამები იგი მოწამეთაჲ.

და რაჟამს მოიცალეს ფარანელთა მათ მოწყუედისა მისგან მტერ-თაჲსა, დაყარნეს ჯორცნი მათნი კიდესა ზღჳსასა შესაჭმელად მფრინ-ველთა და მკეცთა და იწყეს დაფლვად მოყუასთა თჳსთა და დაჰმარ-

ხნეს იგინი მთისა მის ძირსა ქუაბებსა, მახლობელად წყაროებსა მას.

და მერმე წარმოემართნეს ჩუენ კერძო და თანა ჰყვანდა მთავარი იგი თჳსი ობედიანოს. და რაჟამს იხილნეს ჯორცნი იგი წმიდათანი მდებარენი და სამწყსონი ქრისტეისნი მომწყუდარნი, შეწუხნეს წუხილითა დიდითა და იწყეს ტირილად და იცემდეს მკერდთა მათთა, რამეთუ სამწყსოთა მათ ქრისტეისთა ჯორცნი ესრეთ განერყუნეს მგელთა მათ უწყალოთა. და მონათა მათ ქრისტეისთა და მოწამეთა მისთა შეიწყნარეს იგი სიხარულით, რამეთუ იცოდეს, რომელ-იგი წინა-წარუძღუანა მათ კეთილი და რომელსა-იგი მოელოდეს მოსაგებელსა მიუთხრობელსა, რამეთუ იყვნეს იგინი სოფელსა ამას შინა, ხოლო საქმენი მათნი — საუკუნისათჳს. და ამისთჳს სრულ ყვნა ღმერთმან საქმენი მათნი და ღირს ყვნა იგინი წამებასა მას.

და ვითარ შევკრიბენით გუამნი იგი მათნი ერთსა ადგილსა, მოვიდა ობედიანოს, ქრისტეის მოყუარეი, და მის თანა სხუანიცა წარჩინებულნი ფარანისანი, და მოიღეს სამოსელი წმიდაჲ და წარჰგრაგნეს ჯორცნი იგი წმიდათანი. და რიცხჳ მოწამეთაჲ მათ ოც და აცხრამეტ. და შეკრბეს ყოველნი, რომელნი იყვნეს მას ქუეყანასა. და აქუნდა რტოები ბაიაჲსაჲ ჯელთა მათთა. და აღვიხუენით ჯორცნი იგი წმიდათა მოწამეთანი ჟამობითა და ლოცვითა სიხარულით და ვჰმადლობდით უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა და დავჰმარხენით აღმოსავალით კერძოსა მას კარისასა.

და ვითარ იყო მიმწუხრი, შეისუენა დომნოსცა. ხოლო დავჰმარხეთ იგი თჳსაგან სხუასა ადგილსა, გუერდით წმიდათა მათ, რამეთუ არა ვინებეთ განღებად საფლავი მათი.

და იყო მოწყუედაჲ წმიდათაჲ მათ მოწამეთაჲ ოც და რვასა დეკენბერისასა, შემდგომად ქრისტეის შობასა მესამესა დღესა, მეცხრესა ოდენ ჟამსა დღისასა, ხოლო ანდრეა და არიონ დაუტევენ ორგულებასა შინა, რამეთუ არა იცოდეს, თუ ყოფად არიან მუნ, თუ არა. და მე წარმოვედ თხრობად თქუენდა, რამეთუ ვერ შეუძლე ხედვად მოოკრებასა მის ადგილისასა. დაღაცათუ ობედიანოს გუევედრებოდა ჩუენ, რაჲთამცა დავადგერით ჩუენ მუნ, და აღგუთქუმიდა ყოველსა კეთილსა მოცემად ჩუენდა საკმარი ჩუენი და რაჲთა იგი იყოს მზრუნველი ყოველსა საქმესა ამის სოფლისასა, და არა ვისმინეთ მისი.

და სხუაჲცა მრავალი მაქუს თხრობად თქუენდა, რაჟამს მოიწიოს ჟამი მისი, არამედ მე გეუედრები თქუენ, რაჲთა მითხრათ, რაჲ იყო, ანუ ვითარ მოისრნეს მამანი მთისა ამისნი, და არარაჲ დამიფაროთ, ვითარცა მე ყოველი წარმოგითხარ.

ხოლო ჩუენ წარმოუთხართ ყოველი, ვითარ იყო, და ერთობით დაგუკჯრდა განგებაჲ ღმრთისაჲ და ბრძანებაჲ და განჩინებაჲ ვითარიგი ერთსა შინა დღესა იყო სიკუდილი მათი, რომელნი იყვნეს რაითს და მთასა სინასა, და ერთსა შინა ჟამსა. და რიცხჳ მათი სწორ იყო. და იყო სიტყუაჲ იგი დაწყება ტირილისა და განახლება მწუხარებისა და სადიდებელ ღმრთისა.

მაშინ აღდგა მამაჲ ჩუენი ამბა თევდოლოს შოვრის ჩუენსა და თქუა: ამისთჳს, საყუარელნო ჩემნო, რამეთუ მონანი იყვნეს იგი ღმრთისანი, კეთილნი და რჩეულნი, და ღირს ყვნა იგინი ღმერთმან სიხარულსა სასუფეველისა მისისასა და მიაგო საქმეთა მათთაებრ და გჳრგჳნოსან ყვნა იგინი წმიდათა თანა. და არიან იგინი პატივსა შინა და დიდებასა მიუწდომელსა. და აწ ჯერ-არს ჩუენდა, რაჲთა ვზრუნვიდეთ სულთა ჩუენთათჳს და ვჰმონებდეთ ღმერთსა ჩუენსა კეთილითა მონებითა და ვეუედრნეთ წმიდათა მათ, რაჲთა ითხოვონ ჩუენთჳს შეწევნაჲ საქმედ, ნებაჲ მისი ნეშტთა ამათ დღეთა ჩუენთა. და ვითარ-ესე თქუა წმიდამან მან, განაფრთხვნა სულნი ჩუენნი ნუგეშინის-ცემითა და სიტყჳთა სულიერითა. და ერთობით მადლი შევწირეთ ღმრთისა, რომლისა ჴელთა მისთა არს ცხორებაჲ და სიკუდილი.

ხოლო მე, ცოდვილმან ამონიოს, დავიწერე ცხოვრებაჲ ესე მათი ქარტასა. და უკუნვიქეც ეგჳპტედვე, რაჲთა ყოველთა დღეთა ვიკითხვიდე და მიკჳრდეს და ვჰმადლობდე ღმერთსა სიხარულით, რომელმან გამოირჩინა მონანი თჳსნი და შეიწყნარნა სასუფეველსა თჳსსა, და მათ მიერ ვადიდებდეთ მამასა და ძესა და სულსა წმიდასა, ერთსა ღმერთსა, რამეთუ მისი არს დიდებაჲ და პატივი უკუნისამდე და უკუნითი უკუნისამდე. ამენ.

„კიმენი“



ლეონტი ნიკოპოლელი

საკვირველებანი და საქმენი სალოსობისანი ამბა სუმეონისნი, რომელსა ეწოდა ღმრთისათუს სულელ

მიიმართა ამბა სუმეონ იერუსალიმად, რამეთუ სურვიელ იყო, რაადთა მოილოცნეს წმიდანი ადგილნი. მიიწია იერუსალიმად, ილოცა და აღასრულა ნებაადა თუსი და დაყო მუნ სამი დღეადა ყოველთა დღეთა შევიდოდა წმიდათა ადგილთა, ილოცვიდა და უფროადს ამას, რაადთა დაფაროს ღმერთმან საქმმ მისი წარყვანებამდე სულისა მისისა, რაადთა დაიცვეს ცუდად დიდებისაგან, რომელსა მიჰყვანან კაცნი ზუაობად და ამპარტავანებად, რომელმან გარდამოსთხინა ანგელოზნი ზეცით და წარწყმიდნა იგინი. შეისმინა ღმერთმან ლოცვაადა მისი. ვითარცა წერილი იტყუს, კმობდეს მართალნი უფლისა მიმართ, უფალმან ისმინა მათი და ნებაადა მოშიშთა მისთაადა ყვის. და ამით საცნაურ არს იგი, რამეთუ ქმნნა საკურველნი მრავალნი და საქმენი დიდ-დიდნი, და არა საცნაურ იქმნა საქმმ მისი ვიდრე სიკუდილდმდე. და იქმნა ლოცვაადა მისი ვითარცა საბურველი გულსა ზედა ყოვლისა კაცისასა, რომელსა საქმმ მისი ეცნა, რაადთა არარაადა თქუან საქმეთა მისთაგანი, ვიდრე სიკუდილდმდე მისა. და თუმცა ესე არა ეთხოვა ღმრთისაგან, ვითარმცა დაფარულ იყვნეს საქმენი მისნი? რამეთუ ოდესმე ცოფთა განჰკურნებდა და ოდესმე ცეცხლი კელთა აქუნ, ოდესმე უთხრობნ შორიელთა საქმეთა და ოდესმე განმზადის ტაბლაადა არარაადსაგან, და მრავალნი ჰურიანი და მწვალებელნი მოაქცინა ჭუშმარიტსა სარწმუნოებასა და სნეულნი მრავალნი განკურნა და მრავალნი იკ-სნა განსაცდელთაგან და მეძავნი მრავალნი მოაქცინა: ზოგნი მონაზონ იქმნეს და ზოგნი იქორწინნეს, რამეთუ ღმერთმან ოდესმე გამო-

აცხადნის საქმენი მონათა თჳსთანი, მანვე დაფარა სათნოებაჲ ამის წმიდისაჲ. და შემდგომად სამისა დღისა, რომელნი დაყვნა იერუსალიმს, გამოვიდა მიერ და წარვიდა ემეწად, რამეთუ მუნ შინა ქმნნა საქმენი სალოსობისანი.

ა. პირველი საკჳრველი. და ვითარცა მიიწია კართა ქალაქისათა, პოა ძაღლი მკუდარი, მდებარჱ. და შეიკჳსნა საბელი, რომელ ერტყა სარტყლად და მოაბა ფერკჳსა ძაღლისასა და იწყო სირბილდ, მიითრევდა და შევიდოდა ქალაქად. მიიწია ადგილსა, რომელსა ყრმები ისწავლიდა. და ვითარცა იხილეს იგი მათ, იწყეს ყივილდ და იტყოდეს: მონაზონი ცოფი! მონაზონი ცოფი! სდევდეს უკუანა და სცემდეს ყურიმალსა.

ბ. იყო ხვალისა დღე კჳრიაკჱ. და აიღო ნიგოზი, შევიდა ეკლესიად ჟამისწირვასა და იწყო სისრად კანდლებისა, მოჰლეწდა და სდევდეს უკუანა, რაჲთამცა განაძეს ეკლესიით. იგი აკდა საფსალმუნეთა ზედა და იწყო სისრად დედათა ნიგუზითა მით. და დიდითა ჭირითა განიყვანეს ეკლესიით. ვითარ-იგი განვიდოდა, დაუქცია ტაბლები მსყიდელთა სპანაქრჱსისათაჲ. შეიპყრეს იგი და სცეს მას ცემაჲ დიდი. ვითარცა იხილა, რამეთუ შემუსრეს ცემითა მით, ეტყოდა თავსა თჳსსა: მართლიად გეტყჳ შენ, უბადრუკო სჳმეონ, უკუეთუ გინებს ესრჱთ ყოფის ამათ თანა, ერთ კჳრაეცა ვერღარა ცოცხალ ყოფად ხარ ქელითა ამათითა.

გ. იხილა იგი კაცმან, რომელი ჰყიდდა ცერცუსა და არა იცოდა მან, ვითარმედ თავი მოუსულელებიეს. ჰრქუა მას: გნებავსა, უფალო, რაჲთა ნაცვალად რონინებისა ამის შენისა მოხჳდე, დასდგე და ჰყიდდე ცერცუსა ამას? ხოლო მან ჰრქუა მას: ჰე. და დაადგინა იგი. დღესა ერთსა სყიდად იწყო და განუყოფდა ყოველსა გლახაკთა და ჭამდა იგი უწყალოდ, რამეთუ თავადსა მას კჳრიაკესა არა ეჭამა. ჰრქუა ცოლმან ცერცჳსა მის უფლისამან ქმარსა თჳსსა: სადაჲთ მოიყვანე მონაზონი ესე? ჭეშმარიტად გეტყჳ: უკუეთუ ესრჱთ ჭამდეს, არღარა გიკმს განსყიდაჲ, რამეთუ მე ვხედევდ, და წამსა ერთსა შეჭამა ფილი სავსჱ ცერცჳ. და არა ეცნა, ვითარმედ სხუები იგი ფილები განუყოფიეს გლახაკთა ზედა, რამეთუ ეგონა განსყიდაჲ. აღაღეს კიდობანსა და არა პოეს მას შინა არცა ფილი ერთი. მაშინ

სცეს მას და დაჰგლიჯეს წუერი მისი და განაძეს. ხოლო იგი არა წარვიდა მათგან მას ღამესა, არამედ მიწვა კართა მათთა თანა. და ვითარცა შემწუხრდა, უნდა კუმეევაჲ საკუმეევლისაჲ და არა ჰოა ნატეხი კეცისაჲ. შეყო ჴელი მისი საგზებელსა და აღივსო იგი ცეცხლითა, დაასხა მას ზედა საკუმეველი და იწყო კუმეევად.

ინება ღმერთმან მოქცევაჲ ცერცჴსა მის უფლისაჲ, რამეთუ იყო იგი იაკობი. მიხედა და იხილა იგი ცოლმან მისმან, რამეთუ აქუნდა ცეცხლი ხელითა მისითა და აკუმევდა. ჰრქუა მას: ჴელითა აკუმევა, ამბა სჴმეონ? და მან ეგრე ყო თავი თჴსი, ვითარმცა მოსწუა ცეცხლმან მან, შთააგდო იგი ფიჩუსა მას, რომელი ემოსა, და ჰრქუა დედაკაცსა მას: უკუეთუ არა გინებს, რაჲთამცა ვაკუმიე ჴელითა ჩემითა, აჰა ესერა ვაკუმევ ფიჩჴთა ჩემითა. და ვითარცა დაიცვა ღმერთმან მაყუალი იგი ცეცხლისა მისგან და ყრმანი – საკუმილისა მისგან. და ესრჱთ აქუნდა ჩუეულებაჲ, ოდეს ქმნის რაჲმე საკჴრეელი ადგილსა ერთსა, მიიცვალის სხუად კერძო ქალაქისა, რაჲთა დაავიწყდეს საქმჱ იგი, რომელ ქმნა. და ოდესმე მუნქუესვე ქმნის რაჲმე საქმჱ უშუერი, რაჲთა დაფაროს სასწაული იგი, რომელ ქმნა.

დ. იყო ოდესმე წმიდაჲ ესე ქულბაგსა შინა მეღჴნისასა და უდუღებენ მათ წყალსა, უზავებენ ღჴნოსა და ასუამნ. ხოლო მათ მისციან მას საზრდელი მისი. იყო მექულბაგჱ იგი უწყალო და მრავალგზის არცაღა საზრდელი მისი მისცის მას. მრავალნი მოვიდოდეს და სუმიდეს მის თანა, რაჲთა სალოსსა ეცინოდიან. დღესა ერთსა შევიდა გუელი ქულბაგად და სუა ჭიქისა ერთისაგან და შთასთხია მას წამალი თჴსი და წარვიდა. ხოლო ამბა სჴმეონ არა დახუდა მუნ. და ვითარ მოვიდა, შევიდა ქულბაგად და იხილა წერილი ჭიქასა მას ზედა ესრჱთ: სიკუდილი. და ცნა მიზეზი იგი წერილისაჲ მის, და აიღო არგანი და განტეხა ჭიქაჲ იგი სავსჱ ღჴნითა. მაშინ მოვიდა უფალი იგი ქულბაგისაჲ მის, მოუღო არგანი იგი ჴელთაგან მისთა და სცა მით, ვიდრემდის დაშურა, და განაძო. ვითარცა იყო ხვალისაგან, მოვიდა ამბა სჴმეონ და დაიმალა ქულბაგისა მის კარსა უკუანა. კუალად შემოვიდა გუელი იგი, რაჲთამცა სუა ჩუელებისაებრ თჴსისა. და იხილა იგი ქულბაგისა მის უფალმან, აიღო არგანი და მივიდა, რაჲთამცა მოკლა იგი. ხოლო გუელსა მას

ვერ მიამთხჳა და ჩამოლეწა ყოველი იგი ჭიქები. მაშინ გამოეცხადა ამბა სჳმეონ და ჰრქუა მას: რაჲ არს ესე, ცოფო, არა სადამე მე ოდენ ვარ მოცთომილი. და ცნა ქულბაგისა უფალმან, რამეთუ ამის მიზეზისათჳს ყო განტეხაჲ ჭიქისაჲ მის ამბა სჳმეონ, და მიერითგან ჰრწმენა იგი. და უნდა წმიდასა მას, რაჲთა განაქარვოს სარწმუნოებაჲ მეღჳნისაჲ მის მისა მიმართ, რაჲთა არა განაცხადოს საქმჱ მისი.

მივიდა დღესა ერთსა, სადა წვა ცოლი მექულბაგისაჲ მის და ეძინა. განიძარცუვიდა სამოსელსა თჳსა, რაჲთამცა დაწვა მის თანა. ჴმა-ყო დედაკაცმან მან. და ესმა ქმარსა მისა და მოვიდა. ჰრქუა მას ცოლმან მისმან: განაძე ჩუენგან წყეული ესე, რამეთუ ბოროტი საქმჱ ჩემ თანა უნდა ყოფად. სცა მას კისერსა და განაძო ქულბაგით და იქმნა იგი მიერ დღითგან ქულბაგისა მის უფლისა თანა ვითარცა კაცი მოცთომილი და ბოროტის მყოფელი. და ოდეს ვისგანმე ესმინ, იტყჳედღა ამბა სჳმეონისთჳს, ვითარმედ თავი მოუსულელებიეს, იგი ეტყჳნ მათ: ჭეშმარიტსა გეტყჳ ვითარმედ ცოფი არს, და რომელი მე თჳთ მიხილავს მის თანა, ვერვინ განმამტყუენებს მას ზედა, რამეთუ უნდა განრყუნაჲ ცოლისა ჩემისაჲ, უკუეთუმცა ვითარ შეეძლო, და ჭამს ჴორცსა, ვითარცა ვის ღმერთი არა უვინ. რამეთუ ოდესმე ჭამის წმიდამან მან ჴორცი და კჳრიაკჱ ერთი მივლის ყოვლად უჭმელად. ჭამასა მას ჴორცისასა ხედვიდიან, რამეთუ განზრახვით იქმნ მას, რაჲთა არავის აქუნდეს სარწმუნოებაჲ მისა მიმართ. ხოლო მარხვაჲ იგი მისი არა იცოდეს.

ე. იყო ვითარცა კაცი უჴორცოჲ და არარაჲ ჰგლოდა, რაჲცამცა ყო წინაშე კაცთა. და ოდეს გარე განსულის უნებნ, დაჯდის, სადაც დაემთხჳს წინაშე კაცთა, შორის უბანთა. ხოლო ამისთჳს ყვის ესე, რაჲთამცა არწმუნა კაცთა, ვითარმედ უგუნური არს იგი.

ვ. და სულსა წმიდასა, რომელსა დაემკჳდრა მის თანა, განეცივნეს ჴორცნი მისნი, ვიდრემდის არღარა იყო მის თანა აღძრვაჲ ჴორცთა ბუნებისაჲ. იმღერინ იგი დედათა თანა, და ყოვლადვე არაჲ ევნებოდა.

იყო ემეწას შინა დიაკონი, კაცი წმიდაჲ, სახელით იოვანე. და უყუარდა იგი წმიდასა მას სიკეთისა მისისათჳს და გამოუცხადა მას

ყოველი საქმჱ მისი. და მან გჳთხრა ყოველი, ვითარ-იგი ეთხრა მისდა წმიდასა მას. იხილა იგი დღესა ერთსა, რამეთუ განმკმარ იყო იგი მარხვითა, რამეთუ დაეყენეს თავადნი იგი მარხვანი უჭმელად ყოვლადვე. შეეწყალა იგი დიაკონსა მას და უნდა, რაჲთამცა განუსუენა მას. ჰრქუა მას: მოხუედია აბანოდ, სალოსო? მან ჰრქუა მას: ჰე, და იცინოდა. გუალე, წარვიდეთ! და მუნქუესვე განიძარცუა სამოსელი თჳსი და დაიკრიბა იგი თავსა თჳსსა. ჰრქუა მას დიაკონმან მან: შეიმოსე სამოსელი შენი, უკუეთუ არა, არა მოვალ შენ თანა. ჰრქუა მას სჳმეონ: წარვედ, მოცთომილო, მე მიქმნია საქმჱ პირველ საქმისა. უკუეთუ არა მოხუალ ჩემ თანა, მე წინარე წარვიდე. დაუტევა იგი და წარვიდა.

იყო ადგილსა მასთანაჲსთანა ორი აბანოჲ: ერთი დედათაჲ და ერთი მამათაჲ. დაუტევა სალოსმან ნეფსით მამათა აბანოჲ და შევიდა დედათასა. კმა-უყო მას დიაკონმან მან და ჰრქუა: ვიდრე ხუალ, სალოსო, დადეგ, რამეთუ ეგე აბანოჲ დედათაჲ არს . მოექცა იგი და ჰრქუა მას: კმა ყავ, მოცთომილო, აქაცა წყალი ცივი და ტფილი არს და მუნცა ეგრევე და არარაჲთ ჰმატან ერთმანეთსა. შესდვა და შევიდა შორის დედათა. შეაკრბეს იგინი მას ზედა და სცეს მას ცემითა დიდითა და გამოაძეს. და ამისა შემდგომად განიყვანა იგი დიაკონმან მან მარტოდ და ჰრქუა: გაფუცებ შენ ღმერთსა, მამაო, მითხარ, ვითარ აგრძნობდ თავსა შენსა, რაჟამს-იგი დედებსა მას შორის შეხუედ? მიუგო მას და ჰრქუა: მართლიად გეტყჳ, შვილო ჩემო, ვითარცა არნ შეშაჲ შეშასა შორის, ეგრე ვიყავ მე მათ შორის და არა ვხედევდ, ვითარმედ ჯორცნი ასხენ, რამეთუ ყოველი გონებაჲ ჩემი იყო ღმრთისა თანა და არა განვეშორე. და რომელსამე იქმნ ესე წმიდაჲ კაცთა სარგებელისათჳს და რომელსამე, რაჲთა დაფარნეს საქმენი თჳსნი, რაჲთა არა საცნაურ იქმნას.

ზ. დღესა ერთსა იმღერდეს კაცნი ვინმე გარეშე ქალაქისა. და იყო მათ თანა ძჱ ამის დიაკონისაჲ პირველ მოკსენებულისაჲ, სალოსისა მეგობრისაჲ. და ყრმაჲ იგი უწინარჱს მცირედთა დღეთა დაცემულ იყო სიძვითა ქმრის ცოლსა დედაკაცისა თანა. და ვითარცა გამოვიდა მისგან, შეემთხჳა მას სიცოფჱ, და არღა ეცნა იგი მას. უნდა წმიდასა მას, რაჲთა განსწავლოს იგი და განკურნოს. ჰრქუა მათ,

რომელნი-იგი იმღერდეს: უკუეთუ არა მიტეოთ სიმღერად თქუენ თანა, არცა თქუენ გიტევნე სიმღერად. იკრიბნა ქვანი და იწყო სისრად მათა. ჰრქუეს მათ: მოვედ, იმღერდი! და უნდა დიაკონისა მის ძესა, რაჲთამცა მის კერძო შეერთო იგი, და არა ერჩდა მას. და ვითარ იგი რბიოდეს სირბილით, მიიეწია წმიდაჲ იგი ყრმასა მას, ძესა დიაკონისასა, სცა ყურიმალსა და ჰრქუა: ნულარა კუალად ისიძავ, ჰოი, უბადრუკო, და არა მოგეახლოს შენ ეშმაკი. მუნქუესვე დასცა იგი ეშმაკმან და შემოაკრბა ერი მას ზედა. ვითარ იგი იდვა და პეროოდა, იხილა სალოსი, რამეთუ განაძებდა იგი მისგან ძაღლსა შავსა და სცემდა მას ჯუარითა შეშისაჲთა, და შემდგომად ჟამისა ერთისა მოიქცა. მაშინ ჰკითხეს მას: რაჲ შეგემთხჟა? და ვერ უძლო აღმოთქუმად, გარნა ესე ხოლო, ვითარმედ: კაცმან ვინმე მრქუა: ნულარა ისიძავ და ნუ გეშინინ. და შემდგომად წმიდისა მის შესუენებისა განელო გონებაჲ მისი და თქუა, რაჲ-იგი ეხილვა.

იმღერდეს ოდესმე სამღერელსა მათსა და ერთი მათგანი იმღერდა მედგრითა სიმღერითა. და უნდა წმიდასა მას, რაჲთამცა განაშორა სიმღერისა მისგან, რამეთუ ჰქონდეს მცირედნი საქმენი კეთილნი. და შთავიდა ადგილსა მას, სადა-იგი იმღერდეს, აღიღო ქვაჲ მცირჱ, დასწერა ჯუარი მას ზედა, სტყორცა, და ეცა ჴელსა მარჯუენესა მის კაცისასა. განუკმა იგი და არავინ იცოდა, თუ ვინ სტყორცა ქვაჲ იგი. ეჩუენა წმიდაჲ იგი კაცსა მას ძილსა შინა და ჰრქუა მას: ესე შეგუხუდა ტყორცებითა ჩემითა და, უკუეთუ არა მეფუცო, რაჲთა განეყენო სიმღერისა მისგან, არა განგეკურნოს. და ეფუცა იგი წმიდასა ღმრთისმშობელსა მარიამს, ვითარმედ არღარა იმღერდეს მით სიმღერითა დღეთა ცხორებისა მისისათა. და ვითარ განიღჳძა, იყო ჴელი მისი ცოცხალ ყოვლადვე, და უთხრობდა, რაჲ-იგი იხილა. ხოლო ესე ვერ შეუძლო თქუმად, ვითარმედ სალოსი მეტყოდა ამას. არამედ ამას ოდენ იტყოდა, ვითარმედ: მეჩუენა მონაზონი, რომელსა ემოსა გჯრგჯნი ბაიაჲსაჲ.

Ѳ. ცნა ოდესმე წმიდამან სულითა, რომელი დამკჯდრებულ იყო მის თანა, ვითარმედ ძრვაჲ დიდი მოწევნად არს მას ქალაქსა დღეთა მავრიკ მეფისათა, და მოვიდა სამოძღუროსა ყრმათასა, აღიტაცა შოლტი იგი ყრმათაჲ და იწყო მით ცემად სუეტებსა. და ეტყჳნ,

რომელსა-იგი უხეთქნის: თქუა უფალმან შენმან: ნუ შეიძრვი. და ვითარცა მოიწია ძრვაჲ იგი, არა შეიძრა არცა ერთი სუეტი, რომელსა-იგი ეხეთქნა. და ერთისა სუეტისა ეგრე ერქუა: შენ ნუცა სდგა და ნუცა დაეცემი. და განიპო სუეტი იგი ძრვისა მისგან ზჱთგან ვიდრე ქუემდე და მიდრკა. და მას ზედა დაადგრა და ვერ ცნეს, რაჲ-იგი ყო წმიდამან მან, გარნა უკუანაჲსკნელ.

თ. კუალად ცნა, ვითარმედ სიკუდილი მოწევნად არს მას ქალაქსა. და მიჯდა ყოველსა ადგილსა, სადა ყრმები ისწავლიდა, და ამბორს-უყოფენ ყრმებსა მას, განსცხრებინ და ეტყჳნ: წარვედ მშჳდობით, შვილო ჩემო. და არა ყოველსა ყრმასა აკოცებნ, არამედ მათ ხოლო, რომელთაჲ ეცნა სულითა, ვითარმედ მოკუდომად არიან. და ეტყჳნ მოძღუართა მათა: ღმრთისათჳს, ნუ სცემთ ყრმებსა ამას, რომელთა მე ამბორს-უყოფ, რამეთუ შორსა გზასა წარმავალ არიან, ხოლო მოძღუართა მათ ოდესმე სციან მას შოლტითა და ოდესმე უბრძანის ყრმათა და უკუნჰკრიან იგი სუეტსა. და ვითარ სიკუდილი მოიწია, არა დარჩა არცა ერთი ყრმაჲ, რომელსა-იგი ამბორს-ეყო, რომელი არა მოკუდა.

ი. ჩუეულებაჲ აქუნდა ამას წმიდასა აღსლვად სახლებსა მდიდართასა, იმღერინ და ოდესმე აკოცებნ ქალებსა მათსა. დღესა ერთსა ისიძვა ვინმე ქალსა თანა ერთისა მდიდართაგანისასა, და მიუდგა იგი. ჰკითხა მას დედოფალმან მისმან: ვინ უძლებ გქმნა? ხოლო მას არა უნდა თხრობად, რომელმან-იგი ყო მის თანა და თქუა: სჳმეონ სალოსმან უძლებ მქმნა. ხოლო იგი მოვიდა ჩუეულებისაებრ მათა. ჰრქუა მას დედოფალმან მის ქალისამან: კეთილად ჰყავა, ამბა სჳმეონ, რამეთუ განჰრყუენ ქალი ჩემი და უძლებ ჰქმენ? ხოლო მან იწყო სიცილად, ჰრიდა თავსა, ჴელითა ტყუელვიდა და იტყოდა: ნუ გლიან, ურვილაკაო, გიშვეს მცირმ სჳმეონ. და მიერ დღითგან მოართუამნ სიმინდსა, ჯორცსა და თევზსა და სხუასა მრავალსა და ეტყჳნ მას: ჭამდი, დედაკაცო. ვითარცა მოიწია შობაჲ, დაყო სამი დღმ, იჭირვოდა იგი ტკივილითა დიდითა და არა ჩამოვიდოდა ყრმაჲ, ვიდრემდის მიიწია სიკუდილდ. მაშინ ჰრქუა დედოფალმან მისმან სალოსსა: ლოცვა ყავ, ამბა სჳმეონ, რამეთუ ცოლი შენი მოკუდების და ვერ შვა ყრმაჲ. იწყო როკვად, ტყუელვიდა ჴელითა და იტყოდა: არა,

იესუ ქრისტემან, ურვილაკაო, არა ჩამოვიდეს ყრმაჲ მუცლისა მისისაგან, ვიდრემდის არა აღიაროს მამაჲ მისი. ვითარცა ესმა ესე ქალსა მას, აღიარა და თქუა, ვითარმედ: სხუამან უძლებ მქმნა და სალოსი ჩემგან უბრალოა. და მუნქუესვე შვა. და დაუკჳრდა ყოველთა შინა მყოფთა. ზოგნი იტყოდეს, ვითარმედ: წმიდაჲ არს იგი და ზოგნი — ვითარმედ: ეშმაკისაგან იქმს ამას და არა მრთელი არს.

ია. იყო ოდესმე სიტყჳსგებაჲ შორის ორთა მონაზონთა ევარგენსსთჳს (ორიგენე) და იყვნეს იგინი ერთსა მონასტერსა, რომელნი არიან გარემო ემეწასა, და თქუეს: რაჲსათჳს შევარდა იგი წვალებასა ესეევითარი კაცი ბრძენი და მოძღუარი? და ერთი მათგანი იტყოდა, ვითარმედ მოძღურებაჲ იგი მისი არა ღმრთისაგან იყო, და მეორეს იტყოდა, ვითარმედ არავინ მისწუდების ამას საზომსა მოძღურებისასა თჳნიერ ღმრთისა მადლისა, იყო მათ შორის ამას ზედა ცილობაჲ დიდი, და არა ირწმუნეს ერთმანეთისაჲ. ჰრქუა ერთმან მეორესა: აჰა ესერა გუესმის, ვითარმედ არიან იორდანისა უდაბნოსა მონაზონნი წმიდანი. არამედ გუალე, ვილოცოთ იერუსალსმს და მერმე მივიდეთ ერთისა მათგანისა და ვჰკითხოთ ამისთჳს. და მივიდეს იერუსალსმს, ილოცეს და განვიდეს ზღჳთ მკუდრით კერძო ადგილსა, რომელსა იყვნეს იოვანე და სჳმეონ. და ენება ღმერთსა, რაჲთა არა ცუდ იქმნეს შრომაჲ იგი მათი, და მიემთხჳნეს იოვანეს, რამეთუ მიწევნულ იყო იგი დიდსა საზომსა მონაზონებისასა. და ვითარ იხილნა იგინი, ჰრქუა მათ: კეთილად მოხუალთ, რომელთა დაგიტეევებიეს ზღუაჲ, რაჲთამცა ივსეთ მისგან და მოსრულ ხართ ვსებად ტბისაგან განმხმარისა. და ვითარ იკურთხნეს მისგან, იყო მათ შორის სიტყუაჲ სულიერი განგრძობილად. და მისა შემდგომად უთხრეს მას საქმჱ იგი, რომლისათჳს კითხვად მისრულ იყვნეს. ჰრქუა მათ: არღა მიწდომილ ვარ მე, მამანო, ვიდრე აქამომდე, ვითარმცა ვიცოდე სარჩელი ღმრთისაჲ, არამედ მივედით სჳმეონ სალოსისა, რომელი არს ქალაქსა თქუენსა, და მან გითხრას ესე და ყოველი, რაჲცა გინდეს, და არქუთ მას: ლოცვა ყავ იოვანსსთჳს, რაჲთა იგიცა მიიწიოს ათსა მას.

და ვითარ მიიწინეს იგინი ემეწად, მოიკითხეს სჳმეონ, რომელსა უწოდიან სალოს. და ყოველსა რომელსა ესმის მათი, იკითხვედ რაჲ

სალოსსა, ჰბასრობნ მათ. და სხუანი ეტყჷედ: რაჲ გინებს მის კაცისაგან, მამანო, რამეთუ ეკიცხევს იგი და ემღერის ყოველთა, რომელნი მივლენ მისდა, და უფროჲს ხოლო მონაზონთა. პოვეს იგი ქულბაგსა მეცერცჷსასა, და ჭამდა იგი ცერცუსა, ვითარცა დათჷ. ვითარ იხილეს იგი, ერთი მათგანი შეორგულდა და თქუა გულსა თჷსა: კეთილისა მოძღურისა მოვედით კითხვად, ფრიად არიან ამის თანა საქმენი მტერისანი. მიეახლნეს მას და ჰრქუეს: გუაკურთხენ, მამაო! მიუგო მათ და ჰრქუა: ნუმცა ხართ კურთხეულ თქუენ და იგი ცოფი, რომელმან მოგავლინნა. შეუპყრა ყური, რომელ-იგი შეურგულდა მისა მიმართ, სცა ყურიმალსა, და აჩნდა გერში მისი სამსა დღესა. და ჰრქუა მას: რაჲსათჷს აბრალებ ცერცუსა ამას, ორმოცსა დღესა დამბალ არს, და ევარგენე არა ჭამს ამას, რამეთუ შევიდა იგი ზღუასა და ვერ უძლო გამოსულად და დაითქა უფსკრულსა. ხოლო მათ დაუკჷრდა, რამეთუ უთხრა, რომელ-იგი ეგულებოდა კითხვად მისა, ვიდრე მათა კითხვამდე. კუალად ჰრქუა მათ: და მას ცოფსა, მსგავსსა თქუენსა, რაჲ ათი უნებს, მიღებად უც გუემაჲ ნაცვალად გუემისა. ჰე, ჰე, წარვედით, მოცთომილნო, აღიღო ქუაბი მჯურვალმ და მოსწუნა მათ ბაგენი მათნი, რაჲთა არავის უთხრან, რომელსა-იგი ეტყოდა.

იბ. ხოლო ვითარ იგი იყოფოდა ქულბაგსა მას მეცერცჷსასა, დღესა ერთსა აღიღო სტჷრი და იწყო სტჷნვად მით ერთსა ფოლოცთაგანსა. და ადგილსა მას იყოფოდა ეშმაკი და სტჷრსა მას სცემდა, ვითარ გჷთხრა დიაკონმან მან, მეგობარმან მისმან, ლოცვასა მას, რომელი ასწავლა ნიკონ მამასახლისმან, რაჲთა განჯადოს ადგილისა მისგან ეშმაკი იგი, რომელი იყოფოდა მას შინა, რამეთუ ფრიად ავნებდა იგი კაცთა. მაშინ ივლტოდა ეშმაკი იგი მისგან. ეჩუენა იგი მსგავსად ჰინდოჲსა და შევიდა მეცერცჷსა მას ქულბაგსა და დაულეწა ყოველი ჭურჭელი მისი. მაშინ მოვიდა წმიდაჲ იგი და ჰრქუა ცოლსა მის მეცერცჷსასა: ვინ მოლეწა ჭურჭელი ესე? და მან თქუა: ჰინდოჲ ერთი მედგარი მოვიდა და მან დალეწა, რომელსა-ესე ხედავ. იგი ეცინოდა და ეტყოდა: მოკლე კაი იყო, მოკლე კაი, არა? და მან თქუა: ჰე, სალოსო. და მან მიუგო: მართლიად გეტყჷჲ, მე მოვავლინე, რაჲთა დალეწოს. ხოლო მას უნდა, რაჲთა სცეს სჷმეონს.

ხოლო მან აღიღო მტუერი და შესტყორცა იგი პირსა მის დედაკაცისასა, და მუნქუესვე დაუდგეს თუალნი მისნი. ჰრქუა მას: არა მიცია, მართლიად გეტყჳ, უკუეთუ არა ეზიარებოდი ეკლესიასა ჩემსა, რაჲ დღე მოვიდოდეს ჰინდოჲ იგი და დაჰლეწდეს ჭურჭელსა თქუენსა, რამეთუ იყვნეს იგინი იაკობნი* და დაუტევა იგი და წარვიდა. და ვითარცა იყო ხვალისა დღე, მასვე ჟამსა მიუჯდა ჰინდოჲ იგი ცხადად და კუალად დაულეწა ყოველი ჭურჭელი მათი. მაშინ შეჰჭირდა მათ და იქმნეს იგინი მართლმადიდებელ. ხოლო სჯმეონ შეერაცხა მათ გრძნეულად და ვერვის უთხრეს, რაჲ-იგი ყო მან მათ თანა.

იგ. ერთმან მექულბაგეთაგანმან იხილა წმიდაჲ ესე, იბანებოდა რაჲ იგი, და ორნი ანგელოზნი ზრახვიდეს მას. და იყო მექულბაგს იგი შჯულითა ჰურიაჲ და ჰგმობდა იგი ქრისტესა ფრიად და უნდა მითხრობაჲ, რაჲ-იგი იხილა. მაშინ ეჩუენა მას წმიდაჲ იგი ძილსა შინა და ჰრქუა: იხილე, ნუვის უთხრობ, რაჲ-იგი იხილე, ხოლო მან არად შეჰრაცხა სიტყუაჲ იგი მისი, გამოვიდა ხვალისაგან სახლით თჳსით, რაჲთამცა განაცხადა საქმჱ მისი. შეემთხჳა მას წმიდაჲ იგი, დასწერა ჯუარი ბაგეთა მისთა და დაუყო მას პირი, და იქმნა იგი უტყუ. მისდევდა იგი წმიდასა მას და ეტყოდა ქელითა, რაჲთა განკსნას იგი. იწყო წმიდამან მან მიმოსლვად, იმღერდა რეცათუ და ეტყოდა მას: ჯუარი დაიწერე პირსა თჳსსა, ხოლო ჰურიამან მან არა ინება ჯუარისა დაწერაჲ და დაადგრა ეგრჱთვე. და ვითარ დაღამნა, ეჩუენა მას წმიდაჲ იგი ძილსა შინა და ჰრქუა: მართლიად გეტყჳ, უკუეთუ არა ნათელ-იღო, ესრევე ყოფად ხარ, ხოლო მან არა ისმინა მისი და ეგრჱთვე დაადგრა უტყუად, ვიდრემდის შეისუენა ამბა სჯმეონ. და ვითარ განცხადნეს საკჳრველთა საქმენი მისნი, მაშინღა ნათელ-იღო მან და ყოველმან სახლმან მისმან. და ვითარ აღმოჴდა იგი ემბაზისა მისგან, იწყო სიტყუად და უთხრობდა, რაჲ-იგი უყო წმიდამან მან. და რაჲ წელიწად აღასრულებდა იგი დღესასწაულსა მისა და განუსუენებდა გლახაკთა.

იდ. ხოლო ოდესმე აღდგის წმიდაჲ ესე და იმღერინ მეძავთა თანა

---

* იაკობნი — სირიელი მონოფიზიტები.

ქალაქისათა. და შეიპყრის ერთი ერთითა ჴელითა და მეორმ მეორითა ჴელითა. იწყის როკვად მათ თანა წინაშე კაცთა. და ოდესმე შთაუყვიან ჴელი საყელესა და სტანჯვედ მას და სცემედ ყურიმალსა. ხოლო ბერი იგი იყო, ვითარცა ოქროჲ, წმიდაჲ და არარაჲ ევნებოდა მას, რამეთუ ვითარ-იგი თქუა, რაჟამს იყო იგი უდაბნოს, დიდი ბრძოლაჲ აუდგა ჯორცთა მისთაგან. მაშინ ილოცა და ითხოა ღმრთისაგან, რაჲთა აღიღოს იგი მისგან. მოეკსენა წმიდაჲ იგი მამასახლისი და ეეედრებინ მას ლოცვასა შინა თჳსა, რაჲთა მეოხ ექმნეს იგი წინაშე ქრისტჱსსა და აიღოს მისგან ბრძოლაჲ იგი სიძვისაჲ. ეჩუენა მას მამასახლისი და ჰრქუა: ვითარ ხარ შენ, სალოსო? ჰრქუა მას სჳმეონ: ურვილად ვარ მე, უკუეთუ არა მეწიო, რამეთუ ჯორცნი ჩემნი მაწყინებენ მე, არა ვიცი, რაჲსაგან. განიღიმა ბერმან მან დიდმან, ნიკონ მამასახლისმან, და მოიღო წყლისაგან იორდანისა, დაასხა იგი უპესა ზედა სჳმეონისა და დაჰბეჭდა მას ზედა ნიშითა პატიოსნისა ჯუარისაჲთა და ჰრქუა მას: ამიერითგან განიკურნე ამის ვნებისაგან. და მიერ დღითგან არღარა შეემთხჳა მას აღძრვაჲ ჯორცთაჲ და არცაღა აგრძნობდა იგი მჯურვალებასა არცა მძინარმ, არცა მღჳძარმ. და მაშინღა კადნიერ იქმნა სოფლად შესლვად, რაჲთა იკსნნეს, რომელნი-იგი ღუაწლსა შინა არიან.

იე. ჰრქჳს ოდესმე წმიდამან მან მეძავთა მის ქალაქისათა: გინებსა, რაჲთა იყო მეგობარ ჩემდა და მე მიგცე შენ ასი დრაჰკანი? ხოლო მათ ხუეჭისათჳს ნება სციან მას და უჩუენის მათ დრაჰკანი იგი, რამეთუ ღმერთი მოსცემდა მას ყოველი რაჲცა უნებენ. და აფუცის, რომელმან-იგი ნება სცის, რაჲთა არღარა ცოდოს ნეშტთა მათ დღეთა ცხორებისა მისისათა, და მისცის მას დრაჰკანი იგი. და ამათ რაჲ საქმეთა იქმნ, როკავნ იგი და ცოფობნ და შეიმოსნ სახესა, რომელი ვერვის ძალ-უც მითხრობად. ოდესმე როკავნ და ოდესმე ხლდებინ, ოდესმე ცურავნ იგი გულთა თჳსთა ზედა, ვითარცა ქუემძრომელი. და რაჲ მთოვარისა მოქცევა, რაჟამს იხილის მთოვარმ, დაადგის თავი თჳსი ქუეყანასა ზედა, ირჩევინ, პეროვინ და იტყჳნ სიტყუათა, ვითარღამცა ეშმაკი ზრახვიდა მის გამო. და თქჳს წმიდამან მან, ვითარმედ ესე: სახმ ულირს შემოსად, რომელთა ყვნენ თავნი თჳსნი ღმრთისათჳს ცოფ.

იგ. და რაჟამს ეცრუვის ვინმე მეძავთა მათგანი, რომელსა აღუთქუამნ, რაჲთა არა ცოდოს, ცნის მან სულითა ღმრთეებისაჲთა, ვითარმედ უსიძავს. მაშინ მივიდის მისა, იწყის ყივილდ და ეტყჷნ: მეცრუვეა, მეცრუვე? უფალო, მიეც, ვითარცა-იგი უქმნიეს, და მიავლინე მათ ზედა სალმობაჲ, და უკუეთუ დაადგრის ცოდვასა მას ზედა, მიავლინის მის ზედა ეშმაკი. და ამის გამო ეშინინ მისგან, რომელთა-იგი აღუთქუამნ არა ცოდვაჲ, და ეკრძალებიედ მას.

იზ. შევიდა ოდესმე ჰემეწად ერთი მდაბიოჲ წარჩინებულთაგანი. და ესმა ამის წმიდისათჷს და თქუა: ჭეშმარიტად ვიტყჷ, უკუეთუ, ვითარ ვიხილო მე იგი, ვცნა, უკუეთუ ნამდჷლვე ცოფი არს, გინათუ ნეფსით ეგრე ზამს. ეძიებდა მას და, ვითარ პოვა იგი, იხილა, რამეთუ დედაკაცსა მეძავთაგანსა აეკიდა იგი, და მეორჱ სცემდა ქოქითა. მაშინ შეეჭუდა კაცი იგი და თქუა გულსა თჷსა: რომელი ეშმაკი არა ეჭუდეს, ვითარმედ ესე მედგარი მონაზონი არა ისიძავს ამათ თანა? და მუნქუესვე დაუტევნა იგინი წმიდამან მან და მივიდა კაცისა მის, რამეთუ იყო იგი შორს მისგან, სცა მას ყურიმალსა და წინაამოიკრიბა სამოსელი თჷსი, როკვიდა და ჰრქუა მას: მოვედ, უბადრუკო, ვიმღერდეთ, რამეთუ არარაჲ არს აქა ზაკუვისაგანი. და გულისხმაყო კაცმან მან, ვითარმედ წმიდასა მას უცნობია განზრახვაჲ მისი, რომელსა მისთჷს იტყოდა, დაუკჷრდა და რავდენგზისცა უნდა, რაჲთა უთხრას საქმჱ იგი, შეიკრის ენაჲ მისი და ვერ თქჷს.

იჱ. აქუნდა წმიდასა მას მადლი და მოთმინებაჲ მარხვასა ზედა უფროჲს მრავალთა სრულთა მონაზონთასა. და ოდეს მოიწიის კათოლიკჱ მარხვაჲ, არარაჲ ჭამის ყოვლადვე, ვიდრე დიდად ხუთშაბათამდე. და ხუთშაბათსა დღესა დაჯდის დილეულითგან, ჭამნ. და რომელთა იხილიან იგი, შეორგულდიან და თქჷან: იხილეთლა ბერი ესე მედგარი, რამეთუ არცაღა ხუთშაბათსა დღესა დასთმობს. იხილა იგი ოდესმე იოვანე დიაკონმან, რომელმან-იგი საიდუმლოჲ მისი ყოველი იცოდა, ჯდა რაჲ იგი ხუთშაბათსა დიდსა და ჭამდა. ჰრქუა მას: რაჲსა გიყიდია ესე, სალოსო? მიუგო წმიდამან მან და ჰრქუა: ორმოც ფოლად, ჰოი, მოცთომილო. ამით აუწყებდა, რამეთუ ორმოცი დღჱ არს, ვინაჲთგან პური არა უჭამია.

ით. იყოფოდა ეშმაკი ერთსა მას ფოლოცთაგანსა მის ქალაქისასა.

და იხილა იგი წმიდამან მან, დღესა ერთსა დგა და უმზირდა, რაჲთა, თუ ვინმე თანაწარჰვიდოდის, შევიდეს მისა. იკრიბა წმიდამან მან ქვები უბეთა თჳსთა და ესროდა კაცთა, რაჲთა არავის უტეოს განსლვად ფოლოცი იგი. და ვითარ იგი ესროდა კაცთა, განვლო ფოლოცი იგი ძაღლმან. სცა მას ეშმაკმან მან, დაეცა იგი და იწყო ყჳრილად. მაშინღა ჰრქუა კაცთა წმიდამან მან: განვლეთ აწ, მოცთომილნო! და ამისთჳს აყენებდა მათ განსლვად მას ადგილსა, რაჲთა არა დასცეს მათ ეშმაკმან, ვითარ-იგი ძაღლსა მას დასცა.

კ. განვიდა ოდესმე წმიდაჲ ესე არესა ერთსა ქალაქისასა და მიხუდა იგი ქალებსა, რომელნი როკვიდეს და იმღერდეს. და ვითარ იხილეს იგი, იწყეს სიმღერად და შესხმად მონაზონთა. და უნდა წმიდასა მას, რაჲთამცა განსწავლნა იგინი. ილოცა და იქმნა თუალები ყოვლისა მის ქალებისაჲ მრუდ. ვითარ მიხედნეს ერთმანეთსა, გულისხმა-ჰყვეს, ვითარმედ სალოსმან უყო იგი მათ. მისდევდეს მას ტირილით და ეტყოდეს: განკსენ, სალოსო, განკსენ, რომელ ესე ჰყავ. და ეგონა მათ, ვითარმედ გრძნებითა ყო იგი. ეწინეს და დაეკიდნეს მას და აფუცებდეს, რაჲთა განკსნას, რაჲ-იგი ყო. ჰრქუა მათ განცხრომით: რომელსა უნდეს თქუენგანსა განკურნების, მიტევენ, რაჲთა ვაკოცო თუალსა მრუდსა, და განიკურნოს. და რომელთაჲ-იგი ჯერ-უჩნდა ღმერთსა განკურნებაჲ, უტევეს. და აკოცა მათ, და განიკურნეს. და სხუანი იგი დაადგრეს ეგრსთვე. და ვითარ მცირედ წარვლო, მისდევდეს მას და ეტყოდეს: გუელოდე, სალოსო, რაჲთა ჩუენცა ამბორს გჳყო და განვიკურნნეთ. ხოლო მან არა ნება სცა და ეგრსთვე დაადგრეს იგინი. და წმიდაჲ იგი იტყჳნ: უკუეთუმცა ღმერთსა ესე არა მოეწია მათ ზედა, წარ-მცა-ემატა ყოველთა დედათა ქუეყანისა ჰემეწელთა უშჯულოებითა.

კა. მოუწოდა ოდესმე პირველმოკსენებულმან მან დიაკონმან ამას წმიდასა, რაჲთა პირ-იკსნას მის თანა. და ვითარცა შევიდა იგი სახიდ მისა, პოვა ჯორცი აპოხტი. აღიღო დანაკი, იწყო ჭრად და ჭამად. და ვითარცა იხილა იგი იოვანე დიაკონმან პატიოსანმან, მიეახლა და ჰრქუა მას ყურისყურ, რაჲთა არავის ესმეს მუნ შინა მყოფსა: მართლიად გეტყჳ, ვითარმედ ვერ შემაეჭუებ შენდა მიმართ, დაღაცათუ აქლემისა ჯორცი შჭამო. რამეთუ იცოდა სიმრავლჱ სათ-

ნოებათა მისთაჲ, და არცა ნეტარი ესე რას დაუფარვიდა მას საქმეთა მისთაგანსა სიკეთისა მისისათჳს და კეთილად სლვისა.

კბ. მივიდეს ოდესმე იერუსალჵმდ კაცნი ჰემეწელნი, რაჲთა ილოცონ დღესასწაული აღვსებისაჲ. და ერთი მათგანი ჩავიდა იორდანედ, რაჲთა მუნცა ილოცოს. და მოჰვლიდა იგი მონაზონთა, რომელნი იყვნეს უდაბნოს, და მისცემდა მათ ევლოგიასა. და ნებითა ღმრთისაჲთა შეემთხჳა იოანეს, ძმასა ამის ნეტარისა სჳმეონისა. და ვითარცა იხილა იგი, მოდრკა მის წინაშე თაყუანისცემით და ითხოვდა მისგან ლოცვასა. ჰრქუა მას იოანე: სადაჲ ხარ შენ? მიუგო მან და ჰრქუა: მე, მამაო, ჰემეწელი ვარ. და კუალად ჰრქუა მას იოანე: შენ დაგიტევებია ქალაქსა შენსა ამბა სჳმეონ, რომელსა უწოდიან სალოს, და მოსრულ ხარ და ითხოვ ჩემ გლახაკისაგან ლოცვასაა? მე და ყოველთა კაცთა გჳკმს ლოცვაჲ მის წმიდისაჲ. წარიყვანა კაცი იგი თჳსა ქუაბად და დაუგო მას ტაბლაჲ, სავსჵ ყოვლითა კეთილითა, რამეთუ მოსცემდა მას ღმერთი ყოველი რაჲცა უნებნ. უკუეთუმცა არა, სადაჲთ იპოვა უდაბნოსა მას კმელსა სიმინდი ლბილი, წმიდაჲ თევზი, ტაფაკითა შემწუარი, მკურვალჵ, და ჭიქაჲ, სავსჵ ღჳნითა ჰამოჲთა?!

ვითარ ჭამეს და განძღეს, მისცნა მათ სამნი პურნი ტფილნი და ჰრქუა მას: მიიხუენ ესე და მისცენ სჳმეონ სალოსსა და არქუ მას: ლოცვა ყავ ძმისა შენისა იოანჵსთჳს. და ვითარ მოვიდა კაცი იგი ემეწად, შეემთხჳა მას სალოსი ქალაქისა კართა ზედა და ჰრქუა მას: რაჲ არს, ცოფო, ვითარ არს იგი ცოფი შენებრი ამბა იოვანე, ანუ შეშჭამეა ევლოგიაჲ იგი, რომელ მოგცა? მართლიად გეტყჳ, უკუეთუ შეგიჭამიან, ურვილად მოდნობად გისხენ. დაუკჳრდა კაცსა მას სიტყუათაგან მისთა. და წარიყვანა იგი სალოსმან საყოფლად თჳსა და დაუგო მას ტაბლაჲ. კაცი იგი ფიცვიდა და იტყოდა: ყოველი, რომელი იოვანე დამიგო უდაბნოს, ეგეთივე ამან დამიგო, ვიდრემდის ჭიქაჲცა ეგეზომივე იყო სიდიდითა და ჰგვანდა მას. და ვითარცა ვისამხრენით, მივეც მას ევლოგიაჲ იგი და წარმოვედ სახიდ ჩემდა. ხოლო მე მრცხუენოდა თხრობად ვისამე, რამეთუ ყოველთა კაცთა შეერაცხა იგი ცოფად.

კგ. შევარდა ოდესმე იოვანე, მეგობარი ამის წმიდისაჲ, რომელი

ზემოთ ვაკსენეთ, დიდსა განსაცდელსა. და ღმერთმან იკსნა იგი ამის წმიდისა ლოცვითა, რამეთუ კაცთა ვიეთმე უკეთურთა კაცი მოკლეს და გუამი მისი აღიღეს და სარკუმლით შთააგდეს ამის დიაკონისა სახლსა. და ვითარ მიიწია საქმჱ იგი კელმწიფისა, ბრძანა დიაკონისაჲ მის ძელსა აბმაჲ. და რაჟამს იგი მიჰყვანდა ძელად, ესრჱთ ილოცვიდა: უფალო ღმერთო, ლოცვითა სჯმეონ სალოსისაჲთა მიკსენ და განმარინე ჟამსა ამას! და ინება ღმერთმან კსნაჲ მისი.

მო-ვინმე-ვიდა კაცი ამბა სჯმეონისა და ჰრქუა: უბადრუკო სალოსო, მოყუარჱ შენი წარიყვანეს, იოვანე, ძელსა აბმად. და ჭეშმარიტსა გეტყჯ, უკუეთუ მოიკლას, შენ შიმშილითა მოჰკუდე და არღარავინ გესუას მზრუნველი. ხოლო ნეტარმან მან თავი მოისულელა, დაუტევა იგი და წარვიდა ადგილსა მას ფარულსა, რომელსა შინა ჩუეულებაჲ აქუნდა ლოცვისაჲ. და არავინ იცოდა ადგილი იგი, გარნა დიაკონმან მან მარტოდ. მოდრკა თაყუანისცემით წინაშე ღმრთისა და იწყო ვედრებად მისა, რაჲთა იკსნას მონაჲ თჯსი ჭირისა მისგან. ვითარცა მიიყვანეს იგი ადგილსა მას, უნდა, რაჲთამცა აღამაღლეს ძელსა მას ზედა. მუნქუესვე მკედარი მოარბევდა სწრაფით და თქუა: განუტევეთ ეგე, რამეთუ ვპოვენით, რომელთა კაცი იგი მოკლეს.

და ვითარ განუტევეს, წარ-ხოლო-ვიდა ადგილსა მას, რამეთუ იცოდა, სადა წმიდაჲ იგი ილოცვიდა. და შორით იხილა იგი. კელნი ზე აღეპყრნეს, ხოლო ფუცვიდა დიაკონი იგი და იტყოდა, ვითარმედ: ვიხილე, ვითარცა საკუმილი ცეცხლისაჲ გარდამოვიდოდა პირით მისით და ზეცად აღვიდოდა და გარემოჲს მისა, ვითარცა თორნჱ ცეცხლისაჲ, ეგზებოდა, ხოლო მე შემეშინა და ვერ უძლე მიახლებად მისა, ვიდრემდის დაასრულა ლოცვაჲ მისი. და ვითარცა დაასრულა, მომხედა მე და მრქუა: რაჲ არს, მამაო დიაკონ, კნინ ერთღა და შე-მცა-გესუა სასუმელი იგი. არამედ წარვედ და ილოცე. ხოლო ესე ამისთჯს შეგემთხჯა, რამეთუ გუშინ მოვიდეს შენდა ორნი გლახაკნი და ითხოვდეს შენგან ქველისსაქმესა. და გაქუნდა შენ, უკუეთუმცა გინდა მისაცემელი. არამედ არა ინებე, რაჲ არს, ძმაო, ანუ შენისა ხუასდაგისაგან მისცემ, ანუ არა გრწამს, რომელმან-იგი თქუა, ვითარმედ: ასი წილი მიგცე ამას სოფელსა და საუკუნესა ცხოვრებაჲ დაუსრულებელი. უკუეთუ გრწამს, მიეც, და უკუეთუ

არა მისცემ, ამით აუწყებ, რამეთუ არა გრწამს უფალი. ესე სიტყუანი არა სალოსისანი არიან, არამედ ბრძნისანი.

კდ. ოდეს მარტოჲ იყოფინ მის თანა ესე დიაკონი სარწმუნოჲ, არა ლალობნ, არამედ ზინ ყუდროდ და დაწყნარებულად მგლოვარედ. და ოდესმე გამოჴდის პირისა მისისაგან სული, ვითარცა მუშკისაჲ. ხოლო დიაკონი იგი ფიცით იტყჳნ. ვითარმედ: ოდეს-იგი ვხედვიდი ყუდროებასა მისა და კეთილად ზრახვასა, მიკჳრნ და შეორგულდი, ვითარმედ არა ესე არს, რომელი-იგი მათ საქმეთა იქმს?

კე. და ოდესმე წმიდამან ამან დღეთა კჳრიაკეთა მოიღის სარსიკი, აღიდგის მჴარსა და მარცხენესა ჴელსა მდოგჳ იპყრის. იწებნ სარს იკსა მას მით და ჭამნ დილეულითგან და ვალნ. მრავალგზის აღიღის მდოგჳ იგი და უკუნ ასხის თუალთა, რომელნი-იგი მას ჰლაღობედ. მოვიდა მისა კაცი ერთი მდაბიოჲ, რომლისა ორთავე თუალთა თეთრი იყო. და მოიღო წმიდამან მდოგჳსა მისგან და სცხო თუალთა მისთა.

შეუჴდა იგი და იწყო კაცმან მან ყივილდ. მაშინ ჰრქუა მას ნეტარმან მან: წარვედ, მოცთომილო, შენ და მოიბანენ თუალნი შენი ძმრითა და ნიორითა და განიკურნო. ხოლო მან შეურაცხ-ყო სიტყუაჲ მისი და მივიდა მკურნალთასა. და რავდენ ჰკურნებდეს, იგი უფროჲს განძჳნდებინ. მაშინ იწროებისა მისგან და ჭირისა თქუა: ვფუცავ ღმერთსა, ვყო, რაჲ-იგი მოცთომილმან მან მრქუა, დაღაცათუ ორნივე თუალნი წარმომცჳვენ. წარვიდა და დაიბანნა თუალნი თჳსნი, ვითარცა-იგი ჰრქუა მას ბერმან. და მუნქუესვე ელხინა, და განწმდეს თუალნი მისნი, და ხედვიდა. ამისა შემდგომად შეემთხჳა მას წმიდაჲ იგი და ჰრქუა: აჰა ესერა განიკურნე, ნულარა იპარავ საცხოვართა მოძმისა შენისათა.

კვ. მოჰპარეს ვისმე კაცსა ჰემეწელსა ხუთასი დრაჰკანი. და ვითარ-იგი ეძიებდა მას, შეემთხჳა წმიდასა ამას და ჰრქუა: შემძლებელ ხარა, სალოსო, რაჲთა ჰყო რაჲმე, რომლითა ვპოვო დრაჰკანი ჩემი? ხოლო მან ჰრქუა მას: უკუეთუ გინებს, მე ვყო. მიუგო კაცმან მან და ჰრქუა: მე მნებავს, ყავ და მიგცე მისგან ასი დრაჰკანი. ჰრქუა მას სჳმეონ: აღმითქუ წინაშე ღმრთისა, ვითარმედ, რაჲცა გრქუა, მერჩდე, და მე გაპოვნიო იგი ამას ღამესა კიდობანსა შენსა შიდა. და აღუთქუა კაცმან მან, ვითარმედ, რაჲცა ჰრქუას მას,

ყოს, თჳნიერ თუ უშუერი რაჲმე არა ჰრქუას. მაშინ ჰრქუა მას წმიდამან მან: წარვედ, რამეთუ მონამან შენმან მეწყლემან წარიღო დრაჰკანი შენი. არამედ აღმითქუ, რაჲთა არა სცე და არცა სხუასა ვის სახლისა შენისასა. ხოლო იგი წარვიდა და პოვა ყრმისა მის თჳსისა თანა. ხოლო კაცსა მას ეგონა, ვითარმედ დრაჰკნისა მისთჳს ხოლო უბრძანა არა ცემაჲ წმიდამან მან. არამედ ნეტარმან მან ყოვლადვე დააყენა ცემისაგან, რამეთუ ფრიად მცემარ იყო იგი სახლეულთა თჳსთა. და მიერ დღითგან ოდეს ვისიმე უნებნ ცემაჲ, კელი მისი დაუბუშდის და ვერ შეუძლის ცემაჲ. ცნა, ვითარმედ ესე მის წმიდისა სიტყჳთა შეემთხჳა. მივიდა მისა და ჰრქუა: განკსენ, სალოსო, აღთქუმაჲ იგი, რომელსა ზედა აღგითქუ. ხოლო წმიდამან მან თავი მოისულელა, რეცათუ არა იცის, რასა-იგი ეტყოდა. და ვითარ აიძულებდა მას მრავალ ჟამ, ეჩუენა მას ძილსა შინა და ჰრქუა: მართლიად გეტყჳ, უკუეთუ აღთქუმაჲ იგი განჰკსნა, კუალად განვკსნა შენიცა ხუასდაგი და განვაბნიო ყოველი, რაჲ არს სახლსა შენსა. არა გრცხუენისა, რაჲსათჳს სცემ სახლეულთა შენთა? და იგინი უმჯობჱს არიან შენსა წინაშე ღმრთისა. და ვითარ იხილა ესე კაცმან მან, შეეშინა და სული დაიღო.

კზ. ხოლო წმიდაჲ ესე ფრიად სწყალობნ, რომელთა სიცოფჱ შემთხუეულ არნ. და მივიდის იგი ადგილსა, რომელსა იგინი იყ-ოფიედ. და თავი თჳსი ყვის, ვითარცა ერთმან მათგანმან, და ილო-ცავნ, ვიდრემდის განკურნის ვინმე მათგანი. და მრავალგზის ეშმაკნი აზრახდიან განცოფებულთა მათ პირითა და იტყჳედ: ვაჲ ჩუენდა, სალოსო, შენ მიერ, არა კმა გეყოა, რომელ კაცთა ეკიცხევ, არამედ ჩუენდაცა ტანჯვად მოხუედ. წარვედ ამიერ, რაჲსათჳს გუტანჯავ ღამე ყოველ და დაგუწუავ ცეცხლითა? და ოდეს მათ თანა არნ, ეგრეეე ზრახავნ, ვითარცა-იგი ცოფნი, და უთხრობნ, ვითარმედ მან ვინმე იპარაო, და სხუამან ისიძვაო, და სხუამან სხუაჲ ცოდვაჲ ქმნაო, ვიდრემდის მოქალაქეთაცა ეშინოდა ცოდვისა საქმედ, რაჲთა არა საკიცხელ იქმნენ იგინი მის მიერ.

კჱ. იყო მასვე ქალაქსა შინა დედაკაცი ერთი მისანი. შეულოცვი-და იგი და დაუწერდა, დაწერილსა კაცსა მკერდსა მოჰკიდებდა. მაშინ ღონისძიებით დაიმოყურა იგი წმიდამან მან და მიართუამნ მას,

რაჲცა პოვის საჭმელი გინა სასუმელი რაჲმე. და ჰრქუა მას დღესა ერთსა: გინებსა, რაჲთა მე კულა შენ დაგიწერო წიგნი, რაჲთა არა ირთუანო? მიუგო დედაკაცმან და ჰრქუა: ჰე. მაშინ წარვიდა და დაუწერა წიგნი ესრე სახედ: ღმერთმან წარწყმიდნეს საქმენი შენნი ბოროტნი და საცთურნი, რომლითა კაცთა აცთუნებ. და დღით, რომ-ლითგან ჩამოიკიდა წიგნი იგი, ვერღარა შეუძლო გრძნებისა მის საქმედ და ვერცა მისნობისა.

კთ. ჯდა ოდესმე დღესა ერთსა წმიდაჲ ესე გლახაკთა ვიეთმე თანა მახლობელად საგზებელსა მეჯიქისასა და ტფებოდეს. ხოლო მეჯიქმ იგი იყო ჰურიაჲ. ჰრქუა ნეტარმან მან გლახაკთა, რომელნი მის თანა იყვნენ: განცხრომისა სახედ გინებსა, რაჲთა გაცინებდე? ყოველი ჭიქაჲ რომელი შექმნას მეჯიქემან, მე ჯუარი დავსწერო და განტყდეს. და განტეხა შუდი ზედაჲსზედა. და გლახაკთა მათ იწყეს სიცილად და უთხრეს მეჯიქესა მას საქმმ იგი. ხოლო მან განაძო იგი და რკინითა მოსწუა პირი მისი. იგი წარვიდა და იტყოდა: მართლიად გეტყჳ შენ, მამძირო, უკუეთუ არა დაიწერო ჯუარი შუბლსა შენსა, ყოველი, რაჲცა ჰქმნა, დაგელეწოს. და მისა შემდგომად შექმნა ცამეტი მიწყობით, და ყოველი დაელეწა. და განძჳნდა იგი გულისწყრომითა, იიძულა უნებლიაჲთ და ჯუარი დაიწერა შუბლსა თჳსა. და ვითარ ჯუარი დაიწერა, არღარა განუტყდა. და ამის მიზეზისთჳს წარვიდა და ნათელ-იღო.

ლ. იყო ჰემეწას შინა კაცი ერთი საკედართა მამიზდებელი. და მოწყალმ იყო იგი. და ვითარ დაგლახაკნა, დღესა ერთსა განიზრახა, რაჲთამცა ღჳნოჲ მოიღო საკმარად თავისა თჳსისა და სასყიდელადღა. შეემთხჳა მას წმიდაჲ იგი და ჰრქუა: ვიდრე ხუალ, ცოფო, შენ? მიუგო კაცმან მან მას: ღჳნისა მოღებად წარვალ, სალოსო. მიუგო სჳმეონ და ჰრქუა: მო-რაჲ-იქცე, კურნიაჲ მიტანე. და არს იგი მდელოჲ, რომელი ერთჳს ძმარსა. ხოლო კაცმან მან შეიჰავა იგი და იტყოდა მგზავრ: რამან ეშმაკმან მომახუედრა მონაზონი ესე დილით-გან, და მეტყჳს თუ: კურნიაჲ მიტანე. მეშინის, თუ გულისკლებაჲ რაჲმე შემთხუევად-არს ამას ღჳნოსა ზედა ანუ დაძმარდეს, ანუ განირყუნას. წარვიდა და მოიღო ღჳნოჲ ჰამოჲ და სიხარულითა დაავიწყდა კურნიაჲ იგი. კუალად შეემთხჳა მას წმიდაჲ იგი ქალა-

ქისა ბჭეთა ზედა, მო-რაჲ-ქცეულ იყო იგი. ჰრქუა მას: რაჲ არს, ცოფო, შენ მოიღეა კურნიაჲ იგი? მიუგო კაცმან მან და ჰრქუა: მართლიად გეტყჳ, დამავიწყდა. მაშინ ჰრქუა მას წმიდამან მან: წარვედღა, განშორებულ არს შენი საქმჱ.

და ვითარ ჩაასხმიდა ღჳნოსა მას, პოვა იგი, რამეთუ გარდაქ-ცეულ იყო ძმრად ბოროტად, რომლისა ვერვინ გემოსა იხილვიდა სიბოროტითა. მაშინ თქუა: ესე სალოსისა საქმჱ-ა და წარვიდა იგი სწრაფით ბერისა, რამეთუ ეგონა, ვითარმედ თუალთა ქცევითა რაჲმე ყო, ვითარ-იგი თუალთა მაქციერთა ყვიან. ევედრებოდა მას და ჰრქუა: განჴსენ ღმრთისათჳს, რომელ-ესე ჰყავ, სალოსო. მიუგო მას ბერმან: და რაჲ ვყავ? ჰრქუა მას კაცმან მან: ღჳნოჲ კეთილი მოვიღე და ერთსა ჟამსა გარდაიქცა იგი ძმრად. ჰრქუა მას ბერმან: ნურაჲ გლის, ამას წელიწადსა ძმარსა ჰყიდდი, რამეთუ უმჯობჱს არს შენდა. და უნდა ბერსა, რაჲთამცა ღმერთმან აკურთხა მის კაცისა საქმჱ, რამეთუ მოწყალჱ იყო იგი და არა უნდა თხრობად მისა სიტყჳთა ცხადითა, თუ ესრე და ეგრე ყავ, არამედ განწყრომის და კიცხევის სახედ ეტყჳნ მას. და კაცი იგი განსთქდებინ გულისწყრომ-ითა და თქუა: კურთხეულ არს ღმერთი, რამეთუ ვიყო მე წელიწადსა ამას მეძმრე. და ყო ეგრჱთ. აკურთხა ღმერთმან შრომაჲ მისი, და განმდიდრდა. და ამას ყოველსა თანა ბერისა გული უწყრებოდა და არა უწყოდა, რამეთუ იგი ექმნა მას მიზეზ კეთილისა. და ესეცა ღმრთისა მიერვე განგებაჲ იყო, რომელი ჰფარვიდა საქმეთა ბერისა-თა.

ლა. ჩუეულებაჲ აქუნდა წმიდასა ამას აღსლვად სახლსა კაცისა ერთისა წარჩინებულისა ქალაქსა მას შინა. დასნეულდა კაცი იგი სნეულებითა, რომელსა შინა სიკუდიდ მიიწია. იხილა ძილსა შინა, ვითარმცა შავსა ვისმე ჰინდოსა ტაბლით ემღერდა. ხოლო ჰინდოჲ იგი იყო სიკუდილი. და აჯობებდა მას სიკუდილი იგი. ერთი ჯერი უნდაღა ექუსთა წარმოყრაჲ და ეჯობნამცა. მაშინ ეჩუენა კაცსა მას წმიდაჲ იგი ძილსა შინა და ჰრქუა მას: რაჲ არს, ცოფო, შენ აწვე ესერა გაჯობებს ჰაბაში ესე? არამედ აღმითქუ, რაჲთა არა შეაგინო საწოლი ცოლისა შენისაჲ, და მე ვყო, რაჲთა ვერ გაჯობოს. და ეფუცა მას კაცი იგი. მაშინ მოუხუნა წმიდამან მან ასკნი ჴელთაგან

მისთა, წარმოყარნა და აჯობა ჰინდოსა მას. და ვითარ განიღუძა კაცმან მან ძილისაგან თუსისა, მუნქუესვე აღვიდა მისა წმიდაჲ იგი და ჰრქუა მას: ვითარ ვნახე, წარმო-ღა-ვყარენ, ვითარ ვაჯობე შავსა მას. მართლიად გეტყჳ, უკუეთუ ეცრუვო ალთქუმასა, რომელი აღუთქუ, მანვე შავმან მოგარჩოს. და აგინა მას და შინათა მისთა და ჩამოჯდა მუნით. და განცოცხლდა კაცი იგი და ჰმადლობდა ღმერთსა.

ლბ. არარაჲ ედვა წმიდასა მას ფარულსა მას საყოფელსა მისა, გარნა ძნაჲ ერთი ნასხლევი ვენაკისაჲ. და ამისთჳს იძია ადგილი იგი, რაჲთა მას შინა ფარულად ილოცვიდეს. და ოდესმე დაყვის ღამე ყოველ, ილოცავნ და დაალტობნ ქუეყანასა ცრემლითა თუსითა. და, ვითარ განთენის, გამოვიდის და მოიღის ზეთისხილისა ფურცელი, გინა თივაჲ და შეთხზის მისგან გჳრგჳნი და შეიმოსის. და ერთი რტოჲ ჴელთა აქუნ წმიდასა და უკუვალნ, ჴმობნ და იტყჳნ: ძლევაჲ მეფესა და ქალაქსა. ხოლო იტყჳნ ქალაქად სულსა და მეფედ — გონებასა.

ლგ. ელოცა წმიდასა ამას ღმრთისა მიმართ, რაჲთა არა მოეტევნენ თმანი თავისა თუსისანი და აიძულოს მოპარსვად და მისგან საცნაურ იქმნეს საქმჱ მისი. დადგრეს ყოველთა დღეთა მისთა და არა მოჰგრძელდეს თმანი მისნი და არცა მოპარსვაჲ უჴმდა.

ლდ. მრავალგზის მარტოდ წარიყვანის დიაკონი იგი პატიოსანი და ეტყჳნ სიტყუათა სულისა სარგებელისათა და ჰრქჳს: ეკრძალე, ნუვის უთხრობ და ნუცა გამოუცხადებ სიტყუათა ჩემთა ცხორებასა ჩემსა. უკუეთუ არა, ფიცხელი პატიჟი მოიღო ღმრთისაგან. და პირველ გარდაცვალებისა მის წმიდისა ორით დღით უთხრა მას ყოველი საქმჱ თუსი, ვინაჲთგან მონაზონებად განვიდა ვიდრე დღემდე აღსრულებისა თუსისა. და ჰრქუა მას: დღეს მივედ ძმისა ჩემისა იოვანჱსა და ვპოვე იგი მადლითა ღმრთისაჲთა მიწევნული თავსა სათნოებისასა და განვიხარე ფრიად და ვიხილე, რამეთუ ემოსა მას გჳრგჳნი, რომელსა ზედა წერილ იყო: გჳრგჳნი უდაბნოჲსა მოთმინებისაჲ. და მან კურთხეულმან მრქუა მე, ვითარმედ: ვიხილე კაცი, რომელი გეტყოდა: მოვედ, სულელო, მოვედ და მოიღე არათუ ერთი გჳრგჳნი, არამედ გჳრგჳნები რიცხუად სულთა მათ, რომელნი აცხოვნენ. და მე მგონიეს, ვითარმედ ესევითარი არარაჲ უხილავს,

არამედ სიტყუად ოდენ მრქუა, რამეთუ კაცსა სალოსსა და მოცთომილსა რაჲმცა მადლი ჰქონდა ვისგანმე?

ლე. ხოლო მე გეუედრები, უფალო დიაკონ პატიოსანო, რაჲთა არა შეურაცხ-ჰყოდი გლახაკი და უფროჲსლა მონაზონი. მართლიად გეტყჳ, რამეთუ არიან გლახაკთა შორის, და უფროჲსლა ბრმათა, კაცნი უბრწყინვალსს მზისთუალისა, რომელნი განწმედილ არიან ჭირითა და მოთმინებითა. რავდენნი მდაბიონი მიხილვან, რომელნი შემოვიდიან ქალაქად და მოვიდოდიან ეკლესიად ზიარებად, უწმიდსს არიედ იგინი უფროჲს ოქროჲსა პატიოსნისა მცირედ ბოროტებისა მათისათჳს. და რამეთუ ოფლითა პირისა მათისაჲთა ჭამედ პურსა მათსა, და ნუ მაბრალებ მე, რომელ-ესე ვიტყოდე შენ თანა, რამეთუ გარდარეულითა სიყუარულითა ჩემითა შენდა მიმართ გამოგიცხადე ყოველი საქმჱ ჩემი. და უწყოდე, რამეთუ შენცა ადრე წარჰყავ ღმერთსა ამიერ სოფლით, არამედ რავდენ შეუძლო, მოსწრაფე იყავ სულისა თჳსისა ცხორებასა, რაჲთა შეუძლო განრინებად ყოველთაგან საფრკჳთა მტერთაჲსა, რომელნი არიან ჰაერთა ზე. ხოლო უფალი მეწამების, რამეთუ დიდსა ზრუნვასა შინა ვარ, ვიდრემდის განვლნე იგინი. და განვაგდო ჩემგან ურვაჲ მათი, რამეთუ ესე არს დღჱ იგი ჭირისაჲ, რომელსა მოციქული იტყჳს. და მე გეუედრები, შვილო ჩემო და ძმაო იოვანე, რაჲთა იწრაფდე ყოვლითა ძალითა შენითა შეყუარებად მოყუსისა შენისა და რაჲთა სწყალობდე მას. ესე სათნოებანი უფროჲს ყოვლისა საქმისა კეთილისა შემძლებელ არიან კსნად ჩუენდა მას დღესა შინა, ვითარცა თქუმულ არს: ნეტარ არს, რომელმან გულისხმა-ყოს გლახაკისა და დავრდომილისაჲ, დღესა ბოროტსა იკსნეს იგი უფალმან. და კუალად გეუედრები, რაჲთა არა წარსდგე წინაშე საკურთხეველსა ღმრთისასა, და გაქუნდეს გულსა შენსა ძჳრი ვისდამე, რაჲთა არა დააკლო თავი შენი მადლსა ღმრთისასა.

ამას და ესევითარსა ეტყოდა წმიდაჲ იგი პირველ სიკუდილისა და ჰრქუა: ამათ სამთა დღეთა შინა წარიყვანოს უფალმან სული ჩემი, სალოსისაჲ და გლახაკისაჲ, და სული ძმისა ჩემისა იოვანჱსი. ამისთჳს მივედ, ვახარე და ვარქუ მას: გუალე, წარვიდეთ, რამეთუ მოწევნულ არს ჟამი წარსლვისა ჩუენისაჲ. და ორისა დღისა შემდგომად

მოვედ საყოფლად ჩემდა და წარიღე, რაჲ-იგი ჰპოვო მუნ, რამეთუ მინებს, რაჲთამცა იყო შენ თანა საკსენებელი სალოსისა და გლახაკისაჲ.

ლვ. და ვითარ ესე სიტყუანი დაასრულნა მისა მიმართ, წარვიდა საყოფლად თჳსა. და რაჟამს სიკუდილი შეიცნა თავისა თჳსისა, ენება, არცაღა რაჲთა შემდგომად სიკუდილისა იდიდოს კაცთაგან. შევიდა ძნასა მას ნასხლევისასა ქუეშე და მუნ შეჰვედრა სული თჳსი უფალსა.

ლზ. ხოლო ვითარ ითუალეს იგი მოყუასთა მათ თჳსთა, ორ დღე ელოდეს და არა იხილეს იგი, თქუეს ურთიერთას: გუალე და ვიხილოთ, სალოსი იგი რაჲძი იქმნა, ნუუკუე სნეულ არს. და მი-რაჲ-ვიდოდეს საყოფელსა მას მისა, პოვეს იგი: ქუეშე ძნასა მას ნასხლევისასა გარდაცვალებულ იყო. და თქუეს ურთიერთას: აწ არღარაევ ჰრწმენესა ყოველსა კაცსა, ვითარ უგუნური იყო ესე, რამეთუ სიკუდილიცა მისი აუწყებს ამას? და აღიღეს ორთა მათ ერისგანთა თჳნიერ დაბანისა და თჳნიერ ჟამობისა წესისაებრ და მიიღეს იგი უცხოთა სამარესა და დაჰმარხეს მას შინა. და ვითარ იგი მიაქუნდა, თანა წარვლეს სახლი ჰურიისაჲ მის, რომელი მის მიერ მონათლულ იყო. და ესმა ჰურიასა მას ჟამობაჲ, რომელ არასადა ესმინა ეგევითარი, არცა სიმრავლმ ეხილვა ეგევითარი. განკჳრდა სიმრავლისა მისგან და ტკბილად ჟამობისა. მაშინ გარდაიხედნა სახლით თჳსით, რაჲთა იხილოს, რაჲძი არს. და არარაჲ იხილა, გარნა ორნი იგი ოდენ კაცნი, რომელთა მიაქუნდა წმიდაჲ იგი. და თქუა კაცმან მან: ნეტარ ხარ შენ, სალოსო, რამეთუ ოდეს კაცნი არა დაგუხუდეს დაფლვასა შენსა მეტყუელად, ანგელოზნი დაგუხუდეს. მწრაფლ ჩამოვიდა და თჳსითა კელითა დაჰმარხა იგი და თქუა, რაჲ-იგი იხილა. ესმა დიაკონსა იოვანეს სიკუდილი მისი, გამოვიდა იგი და სხუანი ვინმე მის თანა, სრბით მივიდეს ადგილსა მას, რომელსა დაჰმარხეს იგი, და არა პოვეს გუამი მისი, რამეთუ ღმერთსა აღლო იგი ქუეყანით. მაშინ იქმნეს, ვითარცა კაცნი, რომელთა ძილისაგან განიღჳძიან. და თითოეული მათი იტყოდა, რომელ-იგი საკჳველი ეხილვა. და ყოველთა ცნეს, რამეთუ ნეფსით მოესულელა თავი თჳსი.

ლმ. ესე არს ცხორებაჲ და განგებაჲ სჳმეონ საკჳველისა კა-

ცისაჲ. ესე არს სრბაჲ მისი ცად მიმართ, რომელ-იგი არა ჩნდა და მკუეთრ ყოველთაგან საცნაურ იქმნა, აღვწერე ყოველი, რომელი მესმა საქმეთა მისთაჲ. და მრავალნი საქმენი უქმნიან, რომელნი ჩუენ არა ვიცნით. და ესე — რომელი აღვწერე სარგებელად მკითხველისა და მსმენელისა. ხოლო მას არა უკმს ქებაჲ ჩუენი და ვერცა შემძლებელ ვართ ქებად მისა, ვითარ-იგი ღირს არს. და ვითარ შეუძლოს კაცმან ქებაჲ ბაგითა ჴორციელითა, რომელ-იგი ცხონდებოდა ჴორცითა, ვითარცა უჴორცოჲ? და ვითარ სიბრძნემან ენისამან თქუას მისთჳს, რომელმან-იგი სისულელითა სძლო ყოველსა სიბრძნესა? ჭეშმარიტად არა ვითარ ღმერთი ხედავს, ეგრეცა კაცნი, და არავინ იცის კაცისაჲ, გარნა სულმან, რომელი დამკჳდრებულა მის თანა. არამედ გჳღირს ჩუენ, საყუარელნო, რაჲთა არავის განვიკითხვიდეთ, ვიდრემდის მოვიდეს უფალი და გამოაცხადნეს საქმენი კაცთანი, და შევიწყნაროთ სწავლაჲ მისი, რომელმან გუაზრახა და თქუა: თავისა თჳსისათჳს ზრუნევდით და ნუ სხჳსა საქმეთა გამოეძიებთ, რამეთუ თითოეულსა თჳსი ტჳრთი ეკიდოს და მიიღოს სასყიდელი საქმეთა თჳსთაებრ მეუფისაგან ცათაჲსა, უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსგან, რომლისაჲ არს დიდებაჲ, თაყუანისცემაჲ და ძალი თანა მამით და სულით წმიდითურთ უკუნითი უკუნისამდე. ამენ.

წმ. ისააკ ასური

შიშისათვის ღვთისა და მოცალებისათვის საქმეთაგან ამის სოფლისათა და ლოცვისათვის

დასაბამი ყოვლისა სათნოებისა არს შიში ღვთისა. და არს იგი ნაშობი სარწმუნოებისა. ხოლო მაშინ დაითესვის იგი გულსა შინა კაცისასა, რაჟამს გონება მისი განეშოროს ზრუნვისაგან ამის სოფლისა, და შემოიკრიბნეს განბნეულნი გულის სიტყვანი მისნი განცხრომისაგან წვრთისა საუკუნოისა მის ცხოვრებისათა; და დაიდვას საფუძველი სათნოებისა. მცირედ იპოების კაცი, რომელსა ძალედვას თავსდებად პატივისა და არა აღზევებად. დასაბამი გზისა მის ცხოვრებისა ესე არს, რათა მარადის იწვრთიდეს გონება სიტყვათა ღვთისათა, და იყოფებოდის სიგლახაკით. რამეთუ წვრთაი სიტყვათა ღვთისათა შეეწევის სიგლახაკისა წარმართებად; ხოლო წარმათება უპოვარებისა მოგცემს შენ მოცალებასა წვრთად სიტყვათა ღვთისათა, ხოლო ამათ ორთავე წარმართება ადრე აღგიყვანებს შენ აღშენებასა მას სათნოებათასა. ვერ ვინ მიეახლების ღმერთსა, უკეთუ არა განაშოროს თავი თვისი სოფლისა. ხოლო განშორებასა ვიტყვი, არა ხორცითა ოდენ გამოსვლასა სოფლით, არამედ გონებითა განშორებასა სრულიად საქმეთაგან მისთა: რამეთუ ესე არს სათნოება, რათა კაცი გონებითა თვისითა განეშოროს საქმეთაგან სოფლისათა. ვიდრე საცნობელნი ჩვენნი გარეგანთა საქმეთა შეიწყნარებდენ, გული ჩვენი ვერ დაწყნარდების, და არცა ხორციელნი ვნებანი განქარდებიან, არცა ბოროტნი გულის სიტყვანი დასცხრებიან, თვინიერ უდაბნოისა. ყოველივე საქმე საზომსა ზედა თვისსა კეთილ არს, ხოლო

გარეგან საზომისა თვისისა, რომელნი საგონებელ იყვნენ თუ კეთილ არიან, იგიცა სავნებელ იქმნებიან. კაცისა, რომლისა ცხოვრება შეგინებულ იყოს, მას ესე ცხოვრება სასურველად უჩნს. და ეგრეთვე რომელი შორს იყოს გულის ხმის ყოფისაგან კეთილისა, მასცა ესევე ცხოვრება უყვარს. კეთილად სთქვა ბრძენმან ვინმემ, ვითარმედ შიში სიკვდილისა კაცსა შეაწუხებს, რომელსა ამხილებდეს გონება მისი. ხოლო კაცსა, რომელსა აქვნდეს წამება კეთილი, მას სურის სიკვდილისათვის ვითარცა ცხოვრებისათვის. — კაცისა რომლისა ამის საწუთროისა ზრუნვასა შექცეულ იყოს გონება მისი, მას ნუ შერაცხავ ჭეშმარიტად ბრძნად. ყოველივე კეთილი და ბოროტი, რომელი ხორცთა შენთა ზედა მოიწეოდის, სიზმრად შეგერაცხენ, რამეთუ ესე ვითარნი საქმენი, არა ოდენ ჟამსა სიკვდილისასა დახსნდებიან, არამედ მრავალგზის უწინარეს სიკვდილისაცა დაგიტეობენ და ივლტიან, უკეთუ კულა საქმეთა მათ აქვნდეს ზიარება სულისა შენისა თანა, უწყოდე, ვითარმედ იგინი არიან შენნი, და ამას საწუთროისა შენთანა არიან, და მას საუკუნესა შენთანავე მივლენ. და უკეთუ კეთილნი იყვნენ, გიხაროდენ, და მადლობდი ღმერთსა გონებითა შენითა უკეთუ კულა ბოროტნი იყვნენ, მწუხარე იყავ და სულთ-ითქვენ მრავლითა ცრემლითა, და ეძიებდი მათგან გამოხსნასა, ვიდრეცა ხორცთა შინა იყო. კურთხეულ არს პატივი უფლისა, რომელი იგი განგვიღებს ჩვენ კარსა წყალობისასა; რათა არა რაი გვაქუნდეს ჩვენ სხვა თხოვა, გარნა მისა მიმართ სურვილი. რამეთუ ესრეთ დაუტევებთ ყოველსა; და განვალს ძიებად მისა გონება ჩვენი. რაჟამს არა გვაქვნდეს, სხვა დამაყენებელი ჩვენი.

რამეთუ რაიზომცა დაუტეოს, საყვარელნო, გონებამან ზრუნვა ხილულთა ამათ საქმეთა, და ზრუნვიდეს იგი საუკუნეთა მათ; და რაიზომცა ამაღლდეს ხორციელთა საქმეთაგან, ეგოდენცა განბრწყინდების სული მისი და რაიზომცა განბრწყინდეს გონება, მერმე ამაღლდების სოფლისა ამისა ამაოისა: და მაშინ პოვებს ხედვად საღმრთოთა მათ საქმეთა. რამეთუ უკეთუ კაცი პირველად არა ღირს იქმნას ხილვად გამოცხადებასა მას ღვთისა მიერსა, ვერ გულის-ხმაყოფს მას. და უკეთუ არა მისწვთეს სიწმიდესა, არა განბრწყინდების გული მისი, რათა იხილნეს საქმენი იგი დაფარულნი. და უკეთუ საქმეთაგან სოფლისათა არა განეყენოს, ვერცა ბრძოლათა მათგან

განეყენების, და არცა განთავისუფლდების გულის სიტყვათა მათგან სიბნელისათა. და სადა არს სიბნელე, მუნ არიან ვნებანი ბოროტნი.

რამეთუ უკეთუ არა განთავისუფლდეს კაცი ამათ ყოველთა მიზეზთაგან, ვერც ძალუც გონებასა მისსა ხილვად საქმეთა დაფარულთა.

ამისთვის ბრძანა უფალმან, რათა უწინარეს ყოვლისა უპოვარ ვიქმნეთ, და განვეშორნეთ შფოთთაგან სოფლისათა, და ზურნვისაგან კაცთასა, რამეთუ იტყვის, რომელი არა განეყენოს ყოვლისაგან მონაგებისა თვისისა, და უარყოს თავი თვისი, ვერ ძალუძს მოწაფე ყოფად ჩემდა. ხოლო ესე ამისთვის ბრძანა, რათა არა რაის ზედა ევნოს გონებასა: ხედვითა, გინა სმენითა, გინა ზრუნვითა სოფლის საქმეთა; არამედ შევმსჭვალოთ გონება ჩვენი სასოებასა ოდენ მისსა. და მისსა მიმართ იყოს ყოველი ზრუნვა ჩვენი, რათა ამის ყოვლისა მიერ გვსურდის უბნობად მისა, რომელ არს ლოცვა. ხოლო ლოცვასა უხმს გამოცდილება ფრიადი, რათა მრავალჟამ ყოფითა ჩვენითა მას შინა განბრძენდეს გონება ჩვენი. რამეთუ რაჟამს უპოვარ ვიქმნნეთ, მერმე გვიხმს ლოცვასა შინა ყოფა; რათა ისწაოს გონებამან ჩვენმან მარადის ლოცვა და მივიღოთ გამოცდილება მისი. რამეთუ ლოცვისა წინამძღვარ არს განშორება კაცთაგან, რათა ესრეთ მოვიგოთ სიყვარული ღვთისა: და უწყოდე ეს ძმაო, ვითარმედ კეთილისა საქმე ყოველივე ლოცვასა შინა იპოვების. და ესე არს საზღვარი ყოვლისა კეთილისა. ამის მიერ არს წიგნის კითხვა თითო სახე, და დიდების მეტყველება ღვთისა, და მწუხარება საღმრთო, და მუხლთდრეკა, და გალობა ფსალმუნთა: და სხვანი იგი სახენი კეთილნი ლოცვისაგან იქმნებიან, რომლისაგან იშვების სიყვარული ღვთისა. რამეთუ სიყვარული ღვთისა ლოცვისა მიერ იქმნების. ხოლო ლოცვა, განშორებისა მიერ. ხოლო განშორება ესე არს: რათა გვაქვნდეს ადგილი, რომელსა შინა ჩვენ მხოლონი ვეუბნებოდეთ ღმერთსა. კვალად წინამძღვარ განშორებისა არს გამოსვლა სოფლით. რამეთუ უკეთუ კაცი პირველად არა განვიდეს სოფლით. და მოიცალოს ამის ყოვლისაგან, მარტოებად ვერ შემძლებელ არს. და კვალად წინამძღვარ სოფლით გამოსვლისა არს: მოთმინება — და მოთმინებისა წინამძღვარ — სიძულვილი სოფლისა. და სოფლის მოძულებისა წინამძღვარ არს: შიში და სურვილი საუკუნოისა მის ნეტარებისა.

რამეთუ უკეთუ პირველად არა მოიგოს ესევითარი იგი შიში და სურვილი; ვერ მოიგებს სიძულილსა სოფლისასა. და უკეთუ არა მოიძულოს იგი, ვერ მოითმენს თვინიერ განსვენებისა მისისა. და უკეთუ მოთმინება არა მოიგოს, ვერ ძალუძს ყოფად ადგილსა ფიცხელსა და უდაბნოსა. და უკეთუ უდაბნოსა არა იყოფოდის, ლოცვასა ვერ მოიგებს. და უკეთუ ლოცვა არა მოიგოს, და არა შევიდეს გონება მისი ძალსა შინა ლოცვისასა, ვერ მისწვდების სიყვარულსა.

ამიერიგან უწყოდეთ, ვითარმედ სიყვარული ღვთისა — ლოცვისაგან იშვების. და ლოცვა - დაყუდებისაგან. და დაყუდება — უპოვარებისაგან. და სიძულვილი სოფლისა — შიშისაგან სატანჯველთასა და სურვილისაგან სასუფეველისა. რამეთუ იგი მოიძულებს გულის თქმათა, რომელმან უწყოდის, თუ რომელთა სატანჯველთა წინამძღვარ არიან გულისთქმანი; ანუ რომელთა კეთილთაგან გამოახუებენ კაცთა.

ესრეთ ყოველნი სათნოებანი, ერთმანეთისაგან იშვებიან. და უკეთუ ერთიცა მათგანი მოაკლდეს, სხვათა მათ ვერ მოიგებ.

ხოლო რაჟამს გენებოს დაწყებად საქმესა კეთილსა, პირველად განმზადე თავი შენი განსაცდელთა მიმართ, და ნუ ორგულ ხარ ჭეშმარიტებისა მიმართ. რამეთუ აქვს ჩვეულება ეშმაკსა, რათა რაჟამს იხილოს კაცი მხურვალედ შესრული მოღვაწებასა, შეემთხვევის მას მრავალ ფერითა განსაცდელითა: რათა ესრეთ შეეშინოს და განხმეს მხურვალება იგი მისი: — გარნა არათუ ესევითარი ძალი აქვს წინააღმდგომსა, თუ არა, ვერ ვინმცა შემძლებელ იყო ქმნად კეთილისა. გარნა მიუშვებს მას ღმერთი, ვითარცა იგი იობს ზედა მართალსა. ხოლო შენ განმზადე თავი შენი განსაცდელთა მიმართ, და ესრეთ იწყე სათნოებათა აღსრულებად. რომელი მცირესა ზედა უმადლო იყოს, იგი დიდსაცა ზედა მტყუარ და უმადლო არს, რომელი უძლურ იყოს, და უწყოდის უძლურება თვისი, მისი კურნება ადვილ არს. — და რომელი აღიარებდეს ტკივილსა თვისსა, მას ადრე ელხინოს.

გულისა ფიცხისა ტკივილნი განმრავლდებიან; და სნეული რომელი მკურნალსა წინა აღუდგებოდის, მისი სენი უფროსად განძლიერდების.

არა არს ცოდვა შეუნდობელი უკეთუ ოდენ ინანდე.

იხსენებდი მარადის მათსა, რომელნი იგი უზეშთაეს შენსა არიან სათნოებითა; რათა მარადის უწყოდე ნაკლულევანება შენი. — მოიხსენე დაცემა იგი ძლიერთა, რათა დამდაბლდე სათნოებათა შინა შენთა. და სდევნიდი თავსა შენსა, და განიდევნოს მტერი შენგან. — ჰყავ მშვიდობა შორის თავისა შენისა, რათა მშვიდობა ჰყოს შენთანა ცამან და ქვეყანამან. — დაშვერ წინაშე ღვთისა დგომითა, გონებითა წმიდითა და ლმობიერითა, რათა დაიცვას ღმერთმან გონება შენი შეგინებულთა გულის სიტყვათაგან; რათა გზა იგი ღვთისა არა იგმობოდის შენ შორის. — უჩვენე უძლურება შენი ღმერთსა, და არა ოდეს გამოიცადო შენ მტერთაგან.

თქვეს პირველთა მამათა, ვითარმედ ვიდრეღა საცნობელნი უძლურებასა შინა იყვნენ: უკეთუ ეცადოს გონება აღსვლად ჯვარსა ზედა, რისხვა ღვთისა მოვალს მის ზედა. — ხოლო ჯვარცმასა არა პირველსა მას საზომსა იტყვის, რომელ არს მოთმინებითა ჭირთათა, რამეთუ ესე ხორცითა ჯვარცმა არს: არამედ მეორესა ამას საზომსა იტყვიან, რომელ არს შინაგანი ხედვა. რამეთუ ესე შემდგომად განკურნებისა სულისა მოვალს, რომლისა გონება შეგინებულ იყოს ვნებათა მიერ. და ეძიებდეს იგი მიწთომად ესე ვითართა საქმეთა, პირი მისი რისხვით დაიყოფის; რამეთუ პირველ არა განწმიდნა გონება მისი შრომითა და არა დაიმონნა გულისთქმანი ხორცთანი, არამედ სმენითა და კითხვითა რბიოდა გზასა მას სავსესა ნისლითა, და იგი ბრმა იყო თვალითა.

რომელნი იგი ხედვენ და სავსე არიან ნათლითა, და ჰყავს წინამძღვარი მადლისა—იგინი ჭირსა შინა არიან ღამე და დღე; და თვალნი მათნი სავსე არიან ცრემლითა და ლოცვითა და ტირილითა იყოფებიან ღამე და დღე, შიშისა მისთვის მის გზისა; და ძნელოანთა მათ კაპანთათვის, რომელნი შეემთხვევიან მათ. — უკეთუ თვალი შენი არა წმიდა იყოს, ნუ იკადრებ მიხედვად თვალსა მზისასა; რათა რომელი გაქვს ნათელი, იგიცა არა მიგიღოს, რომელ არს სარწმუნოება ეგე მართალი და სიმდაბლე, და აღსარება გულითადი, და მცირედი ეგე შრომა ძალისაებრ შენისა, და განვარდე შენ ბნელსა მას გარესკნელსა, ვითარცა რომელმან იკადრა შესვლად ქორწილსა მას საბოსლითა შეგინებულითა. შრომისაგან და დაცვისა იშვების დაცვა გულის სიტყვათა — სინათლე გონებისა. და ესრეთ მადლითა ღვთისათა

მიიწევის გონება საქმესა მას, რომელსა თვისითა ძალითა ვერ მისწვუების, და ვერცა ვის ასწავლის. ვერცა სხვისაგან ისწავლის საქმესა მას. — ხოლო მცირედნი ესე სიტყვანი ამის თავისანი კმა არიან განათლებად გონებასა დაყუდებულისასა მრავალთა წიგნთა წილ.

ხოლო თანა აძს მონაზონსა, რათა მოიძულოს ყოველივე საქმე ამის სოფლისა, მავნებელი სულისა; და რათა ესე ვითართა საქმეთა შინა, ყოვლადვე არა იყოფოდეს, არამედ რათა აქვნდეს ცხოვრება კეთილი და საღმრთო. და რათა განსდევნოს თავისა თვისისაგან ყოველივე ხსენება პირველთა ბოროტთა; და რათა არა თითო ფერთა ოდენ ჭამადთა არა მიიღებდეს, არამედ რათა პურითაცა არა განძღებოდის. და რათა არა ღვინოსა ოდენ ეკრძალებოდის, არამედ წყალითაცა არა განძღებოდის.

და რათა ჟამსა ლოცვისასა შემოიკრიბოს გონება თვისი წინაშე ღვთისა. ხოლო ხსენებასა ღვთისასა, და ფსალმუნებასა ყოვლადვემცა ნუ დაუტეობს: გინათუ ჯდეს, გინათუ დგეს; და ყოველსავე საქმესა წინა-ალმდგომსა სათნოებისასა განეშორენ: რამეთუ დაჭირება არს იგი სულისა. და მცირედსაცა ზედა ჭეშმარიტსა იტყოდენ, და ყოველსავე დიდებად ღვთისა იქმოდენ და იტყოდენ, რომლისა მიერ მოვედით კეთილსა დღესა მას სასჯელისასა. — და ნურასაცა იქმს საჩვენებელად კაცთა. ხოლო ჯერ არს კვალად, რათა უნებლიედცა ცოდვასა ხსენება გულსა შინა აქვნდეს, გლოვით და სულთქმით და ტირილით. — რათა უწყოდის თუ ვითარნი სატანჯველნი მოწევნად არიან ესე ვითართა საქმეთათვის. და რათა შევიდოდის წინაშე პირსა უფლისასა აღსარებით; და რათა არა დასცხრეს ტირილისა და გლოვისაგან, ვიდრე მოენიჭოს მოტევება. გარნა პირველთა ცოდვათა ნუმცა უდებ ყოფს, ვითარმცა ფრიად შეენანნეს იგინი, ვიდრემდე იხილოს ვითარმედ უმრავლესი სიმართლე უქმნიეს, ვიდრეღა ცოდვანი. ხოლო ქებასა ზედა კაცთასა ნუმცა უხარის, ნუცამცა იმკვების, ვითარცა იგი ერის კაცნი; არამედ ეშინოდენ მიმოტაცებისაგან უბადრუკისა ამის გონებისა ჩვენისა. ეევედრებოდე ღმერთსა მარადის რათა შეგეწიოს. რამეთუ მისი არს დიდება უკუნითი უკუნისამდე ამინ.

რათა დავიცვნეთ თავნი ჩვენნი დახსნილობისაგან და უდებებისა

რომელი აყენებდეს პირსა თვისსა ზრახვისაგან, იგი დაიცავს გულსა თვისსა ვნებათაგან, და რომელმან განიწმიდოს გული თვისი ვნებათაგან, იგი ყოველსა ჟამსა ხედავს უფალსა. რომლისა გონება მარადის უფლისა თანა არს, იგი განიოტებს ეშმაკთა თავისა თვისისაგან და აღმოფხვრის თესლსა მას უკეთურებისა მათისასა.

რომელი მარადის ეკრძალებოდეს სულსა თვისსა, მისი სული მხიარულ არს გამოცხადებათა შინა. და რომელმან გონება თვისი შემოიკრიბოს შინაგან თვისსა, მან იხილოს თავსა შორის თვისსა ბრწყინვალება წმიდისა სულისა.

რომელმან მოიძაგოს ყოველივე განცხრომა, მან იხილოს მეუფე თვისი, შინაგან თვისისა გულისა. — უკეთუ გიყვარს სიწმიდე, ნუ ვის განიკითხავ, და ნუცა ძვირსა უზრახავ და ნუცა სხვისა ძვირის —მზრახველისასა ისმენ.

უკეთუ იბრძოდინ ვინმე წინაშე შენსა, და გესმენ სიტყვანი რისხვისანი, დაიყვენ ყურნი შენნი, და ივლტიდე მის ადგილისაგან, რათა არა მოკვდეს სული შენი.

გული მრისხანისაი ცალიერ არს საიდუმლოთაგან ღვთისათა: ხოლო მშვიდი და მდაბალი წყარო არს საიდუმლოთა მისთა.

აჰა ესერა ცაი შინაგან შენსა არს, უკეთუ წმიდა იყო, და ანგელოსნი შორის შენსა იხილნე, ნათლითა მით მათითა და მეუფე მათი შორის მათსა.

რომელი ღირსად იქებოდის, არა რაი დასჭირდების მას: — უკეთუ კულა ქება იგი დაუტეობს მას, მიერიდგან არს იგი მუშაკი უსასყიდლოი.

საუნჯე მდაბლისა შინაგან მისსა არს, რომელ არს უფალი.

პირი მდუმარი გამოსთარგმნის საიდუმლოთა ღვთისათა. — ხოლო მრავალმეტყველი განაშორებს თავსა თვისსა დამბადებელისაგან თვისისა.

უკეთუ დაიცვა პირი შენი ძმაო, მოგეცეს შენ ღვთისა მიერ მადლი

ლმობიერებისა: რამეთუ მის მიერ შეხვიდე სიხარულსა მას სულისა წმიდისასა.

უკეთუ კულა ენამან შენმან გძლიოს შენა, გრწმენინ ჩემი, ვერ ოდეს განერე სიბნელისაგან. უკეთუ არა გაქვს გული წმიდა, გაქვნ-დინ პირი წმიდა.

ხედვა ერისკაცთა შეაშფოთებს სულსა საქმისაგან ღვთისა — და სულიერთა ძმათა დაუცადებელი უბნობა ავნებს, ხოლო ერისკაცთა ოდენ ხედვა.

სული კეთილი ბრწყინავნ უფროს მზის თვალისა; და ყოვლადვე ხედვითა გამოცხადებათაითა იშვების.

რომელი შეუდგეს მოყვარესა ღვთისასა, იგი განმდიდრდეს საიდ-უმლოითა ღვთისათა; ხოლო რომელი შეუდგეს კაცსა უსამართლოსა და ამპარტავანსა, განეშოროს იგი ღმერთსა, და მოძულებულ იქმნას იგი მოყვარეთაგან მისთა.

კაცმან მდუმარემან მოიგოს სიმდაბლე. და ესრეთ თვინიერ შრომისა ეუფლოს იგი ვნებათა.

ვნებანი განიდევნებიან დაუცადებელითა ხსენებითა ღვთისათა, და ესე არს მახვილი მომსრველი მათი.

რომელსა ნებავს ხილვა უფლისა, განიწმიდენ გული მისი ხსენებითა მისითა; და ესრეთ ბრწყინვალებითა გონებისა მისისათა ყოველსა ჟამსა იხილოს უფალი.

ვითარცა თევზი გარეგან წყლისა ვერ ცხონდების, ეგრეთვე გონე-ბა გარეგან ხსენებისა ღვთისა მოსწყდების.

რაიზომცა განეშოროს კაცი უბნობისაგან კაცთასა, ეგოდენცა, კადნიერ იქმნების გონება მისი ღვთისა მიმართ. — და რაიზომცა მოიწყვიდოს თავი თვისი ნუგეშინისცემისაგან სოფლისა, ეგზომცა ღირს იქმნას მადლსა ღვთისასა სულითა წმიდითა.

ვითარცა თევზნი წარსწყმდებიან მოკლებითა წყლისათა, ეგრეთვე გონება მონაზონისა წარსწყმდების უბნობასა შინა ერისკაცთასა.

რამეთუ მითხრა მე ვინმე ღმერთ შემოსილთა მამათაგანმან, ვი-თარმედ ესე სასწაული დავიდევ: რომელსა დღესა აღვერიი კაცთა, ვჭამი სამი პაქსიმადი ანუ ოთხი, და დაღაცათუ ვაიძულე თავი ჩემი ლოცვად, გონებასა ჩემსა არა აქვნ კადნიერება ღვთისა მიმართ:

ვერცა შემეძლოს მიხედვად მისა. — ხოლო რაჟამს განვეშორე მათგან, პირველსა დღესა ვაიძულო თავი ჩემი ჭამად ერთსა და ნახევარსა; — ხოლო მეორესა დღესა ვჭამი ერთი; და რაჟამს დაეშტკიცის გონება ჩემი დაყუდებასა შინა, მაშინ აღვიძულებდი თავსა ჩემსა ჭამად ერთისა პაქსიმადისა, და ვერ შეუძლო; და გონება ჩემი დაუცადებელად კადნიერებით ეუბნებიან ღმერთსა უჭირველად და ბრწყინვალება მისი დაუცადებელად განმანათლებნ მე, და ვიხარებდი მე შვენიერებითა მის ნათლისათა. ხოლო უკეთუ კვალად მოვიდის და ვეუბნი მას ერთსაცა ჟამსა, შეუძლებელ არს თუმცა არა შევსძინე ჭამასაცა. და არამცა დავაკლე კანონიცა ლოცვისა ჩემისა. და არამცა გამოვეხვი საღმრთოისა მის ძალთაგან.

აწ უკვე იხილეთ, ძმანო, თუ ვითარ სარგებელ არს მოთმინება და მარტოება; და ვითარსა ძალსა მიანიჭებს მოღვაწეთა.

ნეტარ არს, რომელი ღვთისათვის მოითმენდეს დაყუდებასა შინა, და ჭამდეს მარტოებით თვისსა პურსა. რამეთუ ესე ვითარი ესე მარადის ღმერთსა ეუბნების:

ისმინეთ, რომელსაცა იკითხავთ: რამეთუ უკეთუ არა იღვაწოთ ვერ პოოთ; და უკეთუ არა რეკდეთ კარსა მას მხურვალედ, არა განგიღოს თქვენ.

არცა რაი ესრეთ დაავსებს ცეცხლსა მას სულისა მიერ წმიდისა აღგზებულსა სულსა შინა, ვითარ მრავალთა თანა აღრევა; და მრავალმეტყველება, თვინიერ უბნობისა მის საღმრთოისა, რომელი იყოს სარგებელ სულისა; რამეთუ ესე ვითარი უბნობა უფროსად განაღვიძებს სულსა, და უფროსად აღმოფხვრის ვნებათა, უფროს ყოველთა სათნოებათასა.

რაიზომცა ენა მრავალ მეტყველებისაგან განეშოროს, ეგზომცა განათლდების გონება, რამეთუ მრავალ მეტყველებისაგან გონებაიცა დაბნელდების.

რომელი მხურვალითა შურითა აღმოფხვრიდეს გულისაგან თვისისა ყოველთა გულის სიტყვათა, ეშმაკისა მიერ დანერგულთა, ეგე ვითარი იგი საშინელ არს წინაშე ეშმაკთა; და სასურველ არს ღვთისა და ანგელოსთა მისთა.

რომელი წმიდა იყოს სულითა, მისი ქვეყანა შინაგან მისსა არს.

და მზე, რომელი მის შორის ბრწყინავს, იგი არს ნათელი წმიდისა სამებისა. და ჰაერი მისი არს ნუგეშინის-მცემელი იგი და ყოვლად წმიდა სული; და მისთანა მსხდომარე არიან წმიდანი იგი უხორცოთა ბუნებანი. და ცხოვრება და სიხარულ მისა არს ქრისტე, ნათელი იგი გამოსრული ნათლისაგან მამისა; ესე ვითარი იგი ხედვასა მას შინა სულისა მისისასა მარადის იხარებნ, და უკვირს შვენიერება იგი თვისი, რომელი შვიდ წილ უბრწყინვალეს არს მზისა.

ესე არს იერუსალიმი იგი და სასუფეველი იგი შორის ჩვენსა, დაფარული, სიტყვისა მისებრ უფლისა. ესე არს ქვეყანა იგი, სადა არს ღრუბელი იგი დიდებისა ღვთისა, რომელსა შინა შევიდენ წმიდანი გულითა ოდენ, ხილვად პირსა მას მეუფისა თვისისასა, და განათლებად ნათლითა მისითა.

ხოლო კაცი მრისხანე და დიდების მოყვარე, და ნაყროვანი და ანგაარი, და ერისკაცთათა აღრეული და ბევრეულითა ვნებითა შებღალული, და ნებისა თვისისა აღმასრულებელი, ეგე ვითარი იგი მარადის ბნელსა შინა ვალს, და გარეგან არს სოფლისა მისგან ცხოველთასა. რამეთუ იგი სოფელი განმზადებულ არს სახიერთათვის და მდაბალთა და წმიდათა გულითა.

ვერ ძალ-უძს კაცსა ხილვად შვენიერებისა მის, რომელი იგი არს შინაგან მისსა, ვიდრემდე მოიძაგოს ყოველივე შვენიერება გარეგანი. და ვერ შემძლებელ არს მიხედვად ღვთისა, ვიდრემდე უარყოს ყოველივე სოფელი სრულიად.

რომელსა შეერაცხოს თავი თვისი უმეცრად, განაბრძნოს იგი უფალმან. — და რომელი ხედვიდეს თავსა თვისსა ბრძნად, იგი სიბრძნისაგან ღვთისა დაეცეს.

რომელ დაგლახაკნეს საქმეთაგან სოფლისათა, იგი გამდიდრდეს ღვთისა მიერ. — და რომელი იყოს მოყვარე სიმდიდრისა, იგი დაგლახაკნეს საქმეთაგან საღმრთოთა.

რომელი იყოს წმიდა ხორცითა, მდაბალ გონებითა, და მოძულე კადნიერებისა, და შორს გულის-წყრომისაგან: მე მრწამს, ვითარმედ ესე ვითარი იგი, რაჟამს აღსდგეს ლოცვად, იხილავს სულსა შორის თვისსა ნათელსა მას სულისა წმიდისასა, და იხარებს იგი ხილვითა დიდებისა მისისათა არა თვისითა შეცვალებითა მსგავსებად მისა.

არა არს სხვა საქმე, რომელსა ძალ ედვას დაყენებად კრებულისა მის ეშმაკთასა ჩვენგან, ვითარ ხედვაი საღმრთო.

ნეტარ არს კაცი, რომელი იხსენებდეს განსვლასა მისსა ამის ცხოვრებისაგან, და განეშოროს იგი ყოვლისაგანვე შვებისა, რამეთუ მრავალ წილ იყოს ნეტარება მისი ჟამსა მას განსვლისა მისისასა. და არა მოაკლდეს მას ნეტარება იგი: ესე არს ღვთისაგან შობილი იგი და სული წმიდა არს მზრდელი მისა, და წიაღთა მისთაგან აწოებს საზრდელსა მას ცხოვრებისასა, და ეყნოსების მას სულნელებისაგან მისისა სიხარულად. — ხოლო რომელი აღრეულ იყოს ერის კაცთა და შემსჭვალულ იყოს საქმეთა სოფლისათა და უყვარდეს განსვენება და უბნობა, იგი გამოხვებულ არს ცხოვრებისაგან; და არა ვიცი, თუ რაი ვსთქვა მისთვის; გარნა რათა გლოვით ვიტყოდი და ვსტიროდი მას, გოდებითა მით, რომლისა ხმა შემუსრავს გულსა მათსა, რომელთა ესმოდის: ბნელსა შინა მსხდომარენო, აღიმართენით თავნი თქვენნი, რათა გამობრწყინდნენ პირნი თქვენნი ნათლითა. გამოვედით ვნებათაგან სოფლისათა. რათა გამოვიდეს შემთხვევად თქვენდა ნათელი იგი მამისაგან გამომავალი, და უბრძანოს მსახურთა მათ საიდუმლოთა მისთასა განხსნად თქვენდა საკვრელთა თქვენთაგან, რათა ხვიდოდით კვალად ზედა მისთა მამისა მიმართ: ვითარითა საკვრელითა შეკრულ ვართ, და ვითარსა ნათელსა ვერ ვხედავთ, და დიდებასა მას მისსა დიდსა. ნეტარ, თუმცა განიკვეთნეს საკვრელნი ესე ჩვენნი, რათამცა მოვიძიეთ, და ვპოვეთ ღმერთი ჩვენი. კაცი წმიდა სულითა, და წესიერი ცხოვრებითა მარადის დაწყნარებულად იტყვინ სიტყვათა სულისა წმიდისათა ქრისტეს იესოს მიერ უფლისა ჩვენისა, რომლისა არს დიდება უკუნითი უკუნისამდე, ამინ

სიყვარულისათვის ღვთისა

სიყვარული ღვთისა ბუნებით მხურვალე არს, და რაჟამს მოიწიოს კაცსა ზედა უზომოებით, ჰყოფს სულსა მისსა, ვითარცა გონებისაგან თვისისა განსრულსა. და მერმე საზომისაებრ ძალისა მისისა მოვალს მის ზედა შეცვალებაი უცხო. და ესე არიან სასწაულნი

მისნი ხილულნი. — სასწაულნი სანატრელისა სიყვარულისანი, იქმნების პირი კაცისა ბრწყინვალე, მხიარულ, და გვამი მისი განხურდების. განეშორების მისგან შიში და სირცხვილი, და იქმნების ვითარცა აღტაცებული გონებითა, და ძალი იგი შემკრებელი გონებისა ივლტის მისგან, და იქმნების ვითარცა წარტყვენული; და შიში იგი სიკვდილისა შეერაცხოს მას სიხარულად. და ხედვა იგი გონებისა მისისა არღარა მოსწყდების საქმეთა მათგან ზეცისათა; გულის ხმის ყოფა და ხედვა მისი ბუნებითი წარხდების, და ხილულთა მათ საქმეთა შინა არღარა იხილვების იგი და მარადის ვითარცა სხვასა ვისთანამე უბნობს. ამით ესე ვითართა საქმითა დაითრვნეს მოციქულნი და მოწამენი. და მოციქულთა მოვლეს ყოველი სოფელი. და დაშვრეს და იგვემნეს მრავალ გზის. და ეგრეთვე მოწამენი მსგავსად მათსა; და მთათა შინა იქცეოდეს უპატიოებით, რომელნი იგი სავსე იყვნეს ყოვლითავე პატივითა; და ბრძენნი იგი უგუნურად შერაცხილ იყვნეს. ამას უგუნურებასა ღმერთმან ღირს მყვენ მიწდომად.

ვიდრეღა არა შესრულ იყო ქალაქსა მას სიმდაბლისასა, უკეთუ იხილო, ვითარმედ დაცხრომილ არიან ვნებანი შენ შორის, ნუ ირწმუნებ; რამეთუ ღონე არს მტერისა და მოელოდე შემდგომად მის განსვენებისა შფოთსა დიდსა. რამეთუ რაჟამს წარვლნე სავანენი იგი სათნოებათანი, ვერ პოებ განსვენებასა, ვიდრე მიიწიო სავანესა მას სიმდაბლისასა მადლითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა არს დიდება თანა მამით და სულით წმიდითურთ უკუნითი უკუნისამდე, ამინ.



წმ. მაქსიმე აღმსარებელი

წერილი გიორგის, მეფის ნაცვალს აფრიკაში

ჩვენი საქმეების მიხედვით მოგვეგება მარადისობაში, უფრო სწორედ, ჩვენი სულიერი განწყობის მიხედვით, რომელიც ჩვენივე ნებით წარმოიქმნა ჩვენში, მივიღებთ ღირსეულ საზღაურს: მწველი სიამოვნებისათვის — გეენიის ცეცხლს, უმეცრებისა და ცთუნების სიბნელისათვის — მარადიულ წყვდიადს, გაუმაძღრობისა და სიცრუის ჭიისათვის, რომელიც განლევს და გარყვნის ჩვენს გულს — დაუძინებელ მატლს. ყბედობისა და სიცილ-ხარხარისათვის — კბილთა ღრჭენას. ამპარტავნულ ქედმაღლობისა და გართობისათვის — დაცემასა და საშინელი სევდის უფსკრულს.

უბრალოდ რომ ითქვას, თითოეული ჩვენი ნებაყოფლობითი მანკიერებისთვის სამართლიანად ვღებულობთ შესაბამის სასჯელს. ჰოი, რაოდენ საცოდავნი ვართ! რატომ არ დავაცხრეთ ჩვენი სხეულის სიმხურვალე მარხვითა და მღვიძარებით, საღმრთო სიტყვათა შესწავლით, — ისინი ხომ ენებათა ცეცხლის მშვენიერი და ძლიერი დამშრეტელნი არიან, — რათა შემდგომ არ გვეწიოს ცეცხლზე დაწვა! რატომ არ მივაჩვიეთ ჩვენი თვალები, ყურები და ენა ეცქირათ, ესმინათ და ელაპარაკათ ისე, როგორც ამას მათი ბუნება მოითხოვდა, რათა წყვდიადის დათმენა და გამოყრუებული სიჩუმის ატანა არ მოგვიხდეს. გავხადოთ ისინი ღვთაებრივი დიდების ჭვრეტის, სმენისა და გამომეტყველების ორღანონი, რათა წმიდანებთან ერთად დავტკბეთ ღვთის ნათლის, სიტყვისა და სიბრძნის განცდით.

ჩვენ რომ სიყვარულის ძალით მოგვეკვდინებინა სიძულვილის მატლი, სიმართლით მოგვეკლა სიცრუე, მაშინ ამ დაუძინებელი მატლისგან და სხვა საშინელებებისგან თავისუფალნი ვიქნებოდით. არადა მთელი

ჩვენი ცხოვრება სიძულვილსა და სიცრუეში გაგვყავს. სამართლიანია ღვთის სამსჯავრო. რასაც არ ვეძიებდით, ვერც მოვიპოვეთ. არ გაგვეღო ცათა სასუფევლის კარიბჭე, რადგანაც არ ვაკაკუნეთ კეთილი საქმეებით სათნოებათა კარზე; ვერც მარადიული ნეტარებით ვტკბებით, რადგანაც არ გვითხოვია ლოცვაში სულიერი ჭვრეტის მადლი. მიწიერ საგნებზე მიჯაჭვულებს მცირეოდენი სიყვარულიც კი არ გამოგვიჩენია ღვთაებრივისადმი. ამაოებით გავსვარეთ მთელი ჩვენი ცხოვრება. ყოველივე ამქვეყნიური კვამლივით განქარდა, ჩვენი დანაშაული კი დარჩება მარადჟამ.

რისი იმედით, რომელ საქმეთა საფუძველზე მოველოდე საშინელი განაჩენის თავიდან აცილებას? როდესაც არავითარი სათნოება და სულიერი ხედვა არ გამაჩნია. მეშინია ხელფეხშეკრული მარადიული წყვდიადის მიწისქვეშეთში არ ვიქნე ჩაგდებული, რადგანაც საკუთარი ნებით შევკარი ვნებებით ჩემი სულის ქმედითი ძალები, და ყველანაირად ხელს ვუშლიდი მათ სახარებისეული ცხოვრების ღვთაებრივ გზაზე სიარულში. ვაი, რომ დაუსრულებელი სირცხვილი მომელის, თუკი არ შევიცვლები და არ განვთავისუფლდები მრავალი მანკიერი ჩვევისაგან. ო! რა ტირილი და მწარე ცრემლი, რა საზარელი კბილთა ღრჭენა მომელის, თუკი ახლა მაინც არ გამოვფხიზლდი, არ ჩამოვიბერტყე სიზარმაცისა და დაუდევრობის ღრმა ძილქუში, არ შემოვიძარცვე ცოდვის ბინძური სამოსი. თუ არა და სინათლის მაგივრად სიბნელე მომელის, სიხარულის ნაცვლად ტანჯვა, განსვენების ნაცვლად სასჯელი და იწროება.

მაგრამ ყველაზე გულდასაწყვეტი, უფრო ზუსტად ყველაზე მძიმედ ასატანი, რისი თქმაც კი მიმძიმს (ჰოი რაოდენ მტკივნეული მოსათმენია! შემინდე ქრისტე და გვიხსენ ყველანი ამ ტკივილისგან!): ესაა განშორება ღმერთთან და წმიდანებთან და მარადიული ერთობა ეშმაკთან და მის უწმინდურ დემონებთან, რომლებთან დაშორების იმედიც ნუ გვექნება ჩვენი საქმეებიდან გამომდინარე. რადგანაც ვისთანაც ამქვეყნად ავირჩიეთ ერთობა, თანაც შეგნებულად და სიამოვნებით, სწორედ მათთან გვექნება სრულიად სამართლიანი, თუმცა უკვე არასასურველი ერთობა მარადისობაში. მათთან ერთად დავისჯებით და რა არის უფრო მტანჯველი და საშინელ ყოველგვარ ტანჯვაწამებაზე, თუ არა მოძულეთა და მოძულებულთა საზოგადოებაში

მუდმივი ყოფნა, და, რაც მთავარია, განშორება მოსიყვარულესთან და ყველასთვის საყვარელთან. რადგანაც ღმერთი, რომელიც თავისი ბუნებით სიყვარულად იწოდება, სჯის რა სამართლიანად, თვით დასჯილებიც კი არ განიცდიან მის მიმართ სიძულვილს და თავად უფალსაც არ სძულს განსჯილები, რადგანაც თავისი ბუნებით თავისუფალია ყოველგვარი ვნებისაგან.

წერილი ანასტასის, თანამოღვაწესა და მოწაფეს

გუშინ, წმიდა ერგასის განზოგებას, მეთვრამეტე დღეს ამ თვისა, პატრიარქმა პეტრე კონსტანტინოპოლელმა[1] გამომიცხადა[2]: „რომელ ეკლესიას ეკუთვნი? ბიზანტიისას, რომისას, ანტიოქიისას, ალექსანდრიისას თუ იერუსალიმისას? აი, ყველა ეს ეკლესია თავისი ეპარქიებით გაერთიანდა ერთმანეთთან. ასე რომ, თუკი შენ, როგორც ამბობ, ეკუთვნი კათოლიკე ეკლესიას, შემოგვიერთდი, რათა არ შემოიტანო რაიმე სიახლე და უცნაურობა, და არ შეგემთხვეს ის, რასაც არ ელოდები“.

მე მას ვუპასუხე: „კათოლიკე ეკლესია, მართლაღსარებასა სახელისა მისისასა უწოდა მაცხოვარმა, ოდეს ნეტარება მისცა მოციქულსა პეტრეს და უთხრა: კლდესა ზედა, ანუ მართლაღსარებასა ზედა, აღვაშენო ეკლესია ჩემი და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას. თუმცა მსურს გავიგო ის აღმსარებლობა, რომელიც საფუძვლად დაედო თქვენს საყოველთაო ერთობას, და თუკი ყოველივე ეს ჭეშმარიტების საფუძველზეა კეთილად აღშენებული, არც მე განგეშორებით“.

მათ მითხრეს: „მართალია, ამის თაობაზე კურთხევა არა გვაქვს, მაგრამ გეტყვით, რათა ვეღარ შესძლო თავის მართლება. ვაღიარებთ ორ მოქმედებას მათი განსხვავების გამო და ერთ მოქმედებას მათი შეერთების შემდეგ“. მე ვკითხე: „ამბობთ ორს და მათი შეერთების

1 კონსტ. მონოთელიტი პატრიარქი პეტრე – გარდაიცვალა 666 წელს.

2 წერილში აღწერილი საუბარი შესდგა საპყრობილეში პატრიარქის მიერ გამოგზავნილ ემისრებთან.

შემდეგ ამბობთ, რომ მოქმედება გახდა ერთი, თუ გულისხმობთ მათ გარდა კიდევ რაიმე სხვა მოქმედებას?“

„არა, — მიპასუხეს, — არამედ ორი მოქმედება გახდა ერთი, მათი შეერთების შედეგად“ „ჩვენი საუბარი უსაგნო გახდა, — ვუთხარი მე — რადგან თქვენ უსაფუძვლო რწმენა და არარსებული ღმერთი გამოგიგონიათ, რადგან თუ ერთში ჩავასხამთ ორ მოქმედებას მათი შეერთების მიზეზით და შემდეგ ისევ ორად გავყოფთ მათი განსხვავებულობის ნიშნით, მაშინ არც ერთობა იქნება და არც მოქმედება მრჩობლი, რადგანაც ისინი ყოველთვის ერთმანეთისგან განადგურდებიან და უმოქმედოს გახდიან მას, ვისაც ეს მოქმედებანი ბუნებით ეკუთვნის, ასევე ყოველგვარ არსებობას მოკლებულს, რადგანაც მამათა სწავლებით, დამახასიათებელ მოქმედებათა არმქონეს არც არანაირი არსება არ გააჩნია. ამიტომაც არ შემიძლია ამის აღიარება, რასაც თქვენ ასწავლით, რადგან წმიდა მამათაგან მსგავსი არაფერი მსმენია. ასე რომ, რაც გინდათ და რაც ნაბრძანები გაქვთ, ის აღასრულეთ ჩემზე“.

„მოგვისმინე ესეც, — თქვეს მათ, — მეფეს და პატრიარქს, რომის პაპის განჩინებით ნებავთ, რომ ანათემას გადაგცენ დაუმორჩილებლობის გამო, შემდეგ კი სიკვდილით დაგსაჯონ.“

„დაე, აღესრულოს ყოველივე ის, რაც უწინარეს ყოველთა საუკუნეთა განიზრახა ჩემთვის ღმერთმა სადიდებელად მისი ყოვლაწმიდა სახელისა“. — იყო ჩემი პასუხი.

მოგითხრობ ამას, რათა კიდევ უფრო მეტი მოშურნეობით გააძლიერო ლოცვა-ვედრება წინაშე ღმრთისა და რათა ყოველივე შეატყობინო ჩვენს წმიდა მამებს. შესწირეთ ლოცვა უფალს ჩვენი საერთო დედისთვის — კათოლიკე ეკლესიისთვის, ჩვენ უძლურთათვის და ყოველთა გაძლიერებისათვის მართლმადიდებელ სარწმუნოებაში, რომელიც გვიქადაგეს წმიდა მამებმა. ახლა, როდესაც ეკლესია ყველასაგან იდევნება, უდიდეს შეძრწუნებას განიცდიდა მთელი ქვეყნიერება, რომ არა მისი მადლი, ვინც ყოველთვის გვთავაზობს თავის დახმარებას და ვინც კეთილმსახურების თესლს კვლავაც გადაარჩენს და ტოვებს „რაჲთა არა მოგაკლდეს სარწმუნოებაჲ შენი, და მიიქეც და განამტკიცენ ძმანი შენნი“ (ლუკ. 22,32).

(„Прп. Максим Исповедник: полемика с оригенизмом и монозергизмом”, Документы часть I, стр. 199-201. СПБ. 2007 г.)

წმ. შიო მღვიმელის სასწაული

ხარისხად სათნოებისა. გოდლად უძრავად და კლდედ მოთმინებისად გიცნობთ მონაზონთა კრებული მამაო მამათაო და დედად სიმდაბლისა ძირად სიყვარულისა და ნილოსად მოუკლებელად ცრემლთა. სინანულისა მოძღვარად და თავად. ყოველთა კეთილთა საუნჯედ და მასწავლელად მოგვიგიე შიო ნეტარო, ქართველთა დიდებაო.

არსენი ქართლის კათალიკოზი

სახსენებელსა დღესასწაულსა დიდებულისა მამისა შიოსა იყო ერისა კრება მონასტერსა მღჳმისასა და მუნ იყო მეფე და ყოველნი მთავარნი, ჩუმულებისაებრ და სარმიანე მამათმთავარი, ყოველთა თანა ეპისკოპოსთა თჳსთა, იყვნეს ვინმე კაცნი მეგჳპტელნიცა მაშინ მუნ სარწმუნოებისაგან იაკობთასა (მონოფიზიტნი — რედ.), რომელნი მოვიდეს ქალაქით ტფილისით. ამათ ვითარცა იხილეს მოსლვა კათალიკოზისა მივიდეს წინაშე მისსა და მიართვეს ძღვენი რაჲმე ქუმყანისა მათისა და მიიღეს რა კურთხევა მის მიერი, ჰრქუეს მას: წმიდაო მეუფეო, ღირს მყვენ დღეს ზიარებად წმიდითა ხელითა შენითა. ხოლო მან არა რაჲ გამოიკითხა, თუ ვინ, ანუ რომლისა სარწმუნოებისანი არიან, არამედ ჰრქუა დიაკონსა თჳსსა, რათა, ჟამსა ზიარებისასა მოიყვანნეს იგინი. იქმნა უკუმ წმიდა ჟამის წირვა და მივიდეს კაცნი იგი და აზიარნა კათალიკოზმან სარმიანე ხელითა თჳსითა; გამოვიდეს რა ეკკლესიით, ისტუმრნა მეფემან სერსა თჳსსა ყოველნი და წარვიდა კათალიკოზი მას დღესა მცხეთად, რამეთუ მიუწოდდა მას ხვალისა დღე ხსენება ყოველთა სულთა ქრისტიანეთა. მოიწია რა მწუხრი, ძილსა შინა გამოუჩნდეს ვინმე სარმიანე

კათალიკოზსა, კაცნი დიდებულნი ხილვითა და საშინელნი ხატითა და ერთი იგი იყო მღუდელთა მოძღუარი, ხოლო თავსა მისსა ზედა მდებარედ კუნკულისა მსგავსი რიდე. ხოლო ერთი იგი მონაზონი მოხუცებული, რომელსა აქუნდა კუერთხი ოქროსა, რომელსა ზედა იყო ჯუარი და ვითარ იხილნა იგინი, სარმიანეს ზარი განჰხდა და იგონებდა, თუ ვინ არიან იგინი და ვიდრე იგი ამას განიზრახჯდა, მივიდეს და მოსძარცვეს სარმიანეს ზეწარი მისნი და ესრეთ მღუდელთ მოძღუარი იგი მიეფარა. ხოლო მონაზონი იგი დაადგრა ზრახუასა შინა მისსა და ეტყოდა: „ჰოი! სარმიანე, ვითარ ჰხედავ თავსა შენსა". და მან ჰრქუა: „ვითარცა განბასრებულსა" და მან ჰრქუა: „ფრიად გთნავსა ეგე?" და მიუგო კათალიკოზმან: „და ვითარმცა არა, რამეთუ სასწაული ღუთისა ჩემ ზედა მდებარე მიმიღეთ" და გამოჩინებული იგი ეტყოდა: „ჰოი ძმაო! რომელთა განაშიშვლეს ქრისტე ღმერთი, ბუნებითა და მოქმედებითა და ნებითა მისთაგან და არცა ღუთაებითა საცნაურ ჰყუჩს იგი და არცა კაცებითა გამოაჩინეს ძალი მისი და შენ შეიწყნარენ ზიარებად ხორცსა და სისხლსა ქრისტესსა, რაოდენ უფროჲს მძიმედ აღუჩნდეს ცათა და ქუჩყანისა შემოქმედსა მას მეუფესა ესე".

ხოლო კათალიკოზი ეტყოდა: „და ვინ არიან იგინი, უფალო ჩემო?" და მან ჰრქუა. „იგინი, რომელთაგან ძღუენი მიიღე და ამან დააბრმო გული შენი, არღარა გამოკითხვად თუ ვინ არიან იგინი და ესრეთ შეურაცხჰყავ ჰსჯული ღუთისა, მწუალებელთა მათ ბილწთა მიერ და აჰა ესერა შიშველ ხარ მადლისაგან ღუთისა შენცა". ხოლო შეშინებულ იქმნა იგი სიტყუათა მათგან და ზარტეხილ და ძლით მიუგო მას, ვითარმედ: „და შენ ვინ ხარ უფალო ჩემო, რომელი ეგრეთ ეძიებ ცხოვრებასა ჩემსა, ანუ ეპისკოპოსი იგი ვინ იყო, რომელი პირუჩლ ვიხილე შენ თანა?" ჰრქუა მას მოხუცებულმან მან: „ეპისკოპოსი იგი კჳრილე მამათმთავარი ალექსანდრიისა, რომელმან მრავალი ღუაწლი თავს იდვა ჭეშმარიტისა სარწმუნოებისათჳს მარ-თლმადიდებელთასა, რომელი დღეს შენ დასთრგუნე არა წმიდად. ხოლო მე ვარ მონა ღუთისა შიო, რომელი გეტყვი" და უჩინო იქმნა მისგან და განჰკრთა ძილი სარმიანეს და შეშფოთებულმან იწყო ურვად და მწუხარებად და მსწრაფლ უბრძანა, რათა ყოველნი ეპისკო-

პოსნი შემოჰკრბენ ეკკლესიად და მიუთხრა ჩუსნება ესე მრავლითა ცრემლითა და იკითხვიდა მათგან, თუ ვითარ ჰყოს სინანული საქმისა მისთჳს. ხოლო მათ განაბჭვეს ესრეთ, რათა პირუსლად მიიღოს ძღუენი იგი იაკობთა მათ მიღებული და გარეშე ბჭეთა დაიწვას. ხოლო შენ აღიმსთვე და მივედ წმიდისა შიოს მონასტერსა და პირუსლად მადლი აღუარე, რამეთუ ესრეთ მოღუაწებით გამოგეცხადა და მერმე ორმეოცთა ამათ დღეთა დიდითა მოღუაწებითა აჩუენე სინანული. ,,ხოლო ჩუენ განვეკრძალნეთ ყოველნი თჳთოეულად ლოცუასა და მარხუასა და ვევედრნეთ ღმერთსა შენდობისათჳს მაგის ბრალისა შენისა და ინებოს თუ ძჳრუხსენებელობითა თჳსითა და გამოგვიცხადოსცა აღსასრული საქმისა, რომლითა გულსავსე ვიქმნნეთ.“ სათნო უჩნდა სიტყუა ესე კათალიკოსსა და აღმსთობილმან განთიად ამცნო ყოველთა ეპისკოპოსთა, რათა დღესასწაული მარტჳლისა მუნ აღასრულონ და ევედრა ყოველთა ლოცუასა. ხოლო თჳთ მიიწია მღჳმედ სარკინისა, წინაშე საფლავსა ნეტარისა შიოსსა, დააგდო თავი თჳსი და მრავლითა სინანულითა და ცრემლითა ესრეთ ეტყოდა: ,,მამაო განფინენ წმიდანი ლოცუანი შენნი მამობრივი წინაშე ღუთისა და მითხოვე შენდობა, რამეთუ განვარისხე ღმერთი უდებებითა ჩემითა და არა მე არა განვიდე ამიერ ვიდრემდე მოვიღო გულსავსება ბრალთა შენდობისა“ და დაადგრა მღჳმესა მას შინა ფრიადითა გულს-მოდგინებითა ლოცჳსა და მარხჳსა მიერ. მოიწია ღამე წმიდისა და დიდებულისა კჳრიაკისა და მიერულა სარმიანეს სიმაშვრალითა. იხილა ვითარცა დგა წინაშე გოლგოთასა და ხედვიდა მუნ ჯუარცმულსა ქრისტესა ღმერთსა ჩუენსა და ეპყრა იგი კაცთა ვიეთმე საშინელთა და შეიყვანეს წინაშე ჯუარცმულისა მის და მიჰხდიდეს სიტყუასა შეცოდებისა მისთჳს. ხოლო იგი აქა და იქი იხედვიდა, რათამცა შემწე იყო ვინმე და არავის ჰპოვებდა და აჰა მიმყოვრებითრე ხედვიდა, რამეთუ დიდებული იგი მღუდელთმთავარი კჳრილე, რომელი იხილვა პირუსლ და ნეტარი მამა შიო მასვე ჯვარიანისა კუსრთხითა ხელთა შინა მქონებელი შეიყვანეს მუნ დიდითა პატივითა და დიდითა ბრწყინუალებითა შემოსილნი, წარდგეს უკუს წინაშე ჯუარცმულისა ქრისტესსა კადნიერად და ევედრებოდეს სარმიანესთჳს.

ხოლო ჯუარცმულისა მისგან მყოვარ სადამ მიიღეს ბრძანება ესრეთ: „ხედავთა, თუ ვითარ ვიწყლვი ჯუარითა ამისგან და რომელთა მიერ დღითი დღე ესე შემემთხვევის, მტერნი ჩემნი შეიყვანნა ჭამად ხორცისა ჩემისა და სმად მისცა მათ სისხლი ჩემი და არა არს ღირს შენდობისა სარმიანე, გარნა სიყუარულისა თქუენისათჳს და ვედრებისა, მიმიცემიეს შენდობა და არქუთ, რათა ამიერითგან ეკრძალოს“. ხოლო მოვიდეს დიდებულნი იგი მამანი და ეტყოდეს სარმიანეს: „ძმაო! განმართე თავი შენი ამიერიდგან და ეკრძალე“ და მოიღეს იგივე ზეწარი და შემოსეს მას. განიღჳძა უკუე ჩუენებისა მისგან სარმიანე და აღივსო გული მისი სიხარულითა, გარნა იჭვნეულ იყო თუ, ნუთუ არა ჭეშმარიტი იყოს ხილვა იგი. ხოლო განრათენა, მოიწია ფილიპე ეპისკოპოსი, რომელი წარმოევლინა კრებასა მას ეპისკოპოსთასა და მოიღო ეპისტოლე, რომელსა აქენდა წერილი ესე:

„დიდსა მამათ მთავარსა მეუფესა ჩუენსა სარმიანეს: გიხაროდენ! შჳლნი შენნი და სიწმიდისა შენისა მრწემნი ყოველნი ეპისკოპოსნი გაუწყებთ, რათა არღარა დააშრობდე მოხუცებულსა გუამსა შენსა, რამეთუ მოწყალე ჰყუჳს ღმერთი დიდებულისა მაგის წმიდისა მამისა შიოს მეოხებითა და გამოგვიჩნდა უღირსთა მონათა მისთა, რიცხვით ხუთთა და თჳთეულსა გვიბრძანა, ვითარმედ „მიუტევა ღმერთმან სარმიანეს კათალიკოზსა ბრალნი მისნი და აწ შეუორგულებელად მიიყვანეთ მწყემსი თქუჳნი“. აწ გვიბრძანენ სიწმიდემან შენმან, რათა ყოველნი მანდა მოვიდეთ და მადლი აღუაროთ საკჳრუჳლთმოქმედსა მამასა შიოს“.

ესე რა წიგნი აღმოიკითხნა გულ პყრობილ იქმნა სარმიანე და ბრძანა ყოველთა ეპისკოპოსთა მუნ მოსლვა, ყოველთა თანა სავსებასა ეკკლესიისასა და მრავალ მადლობა შესწირა ღუთისა და ნეტარისა მამისა შიოს მიმართ და სამადლობელად ამისთჳს განუჩინა, რათა კანდელი ერთი და სანთელი ერთი დაუშრეტელად კათოლიკე ეკკლესიით ენთებოდის საფლავსა ზედა წმიდისა შიოსსა.

დიდება ღმერთსა, სრულ მყოფელსა ყოვლისა კეთილისასა ყოვლადვე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ.

„საქართველოს სამოთხე“



სტუდიელ აღმსარებელთა ცხოვრებანი

„გვეუბნებიან, რომ ყველა ეპისკოპოსს აქვს ხელმწიფება საღმრთო კანონებზე, მიუხედავად იმისა, თუ რა მსჯავრი გამოაქვთ ამ კანონებს; ამიტომაც, როდესაც ეპისკოპოსი ან მღვდელი საიდუმლოდ ანდა აშკარად განიკვეთება კანონთა მიერ, მაშინ იერარქებს თურმე ხელეწიფებათ კანონთა მოქმედების შეჩერება და განკვეთილის გამართლება. თუკი ჩვენ ყველას საღმრთო კანონებზე უფრო მეტი ძალაუფლება გაგვაჩნია, მაშინ ჩვენზე უთქვამს მოციქულს: „აწცა ანტიქრისტენი მრავალნი არიანო.“ (1. ინ.2;18)

წმიდა თეოდორე სტუდიელი.
„რომის პაპს ლეონს“

ღირსი თეოდორე სტუდიელი (759-826) დაიბადა კონსტანტინოპოლში. მამამისი ფოტინი, დიდგვაროვანი წარმომავლობის სახელმწიფო მოხელე, დაახლოებული იყო საიმპერატორო კართან. ფოტინის მეუღლე თეოქტისტა ასევე არისტოკრატული გვარიდან იყო, მისი ძმა პლატონი ფოტინთან ერთად სახელმწიფო ხაზინაში მსახურობდა. თეოდორეს ორი უმცროსი ძმა — იოსები (შემდგომში თესალონიკის მთავარეპისკოპოსი) და ექვთიმე, და ერთი და (მისი სახელი უცნობია) ჰყავდა.

წმიდა თეოდორეს ბავშვობა იმპერატორ კონსტანტინე V კოპრონიმის მეფობას ემთხვევა. ეს იყო სასტიკი ხატმბრძოლობის ეპოქა, რომლის დროსაც მართლმადიდებლები, განსაკუთრებით კი ბერ-მონაზვნები ძლიერ იდევნებოდნენ. მართალია, თეოდორეს ოჯახი არ იყო ხატმბრძოლი, მაგრამ მამამისი ფოტინი მოშურნეობით არ გამოირ-

ჩეოდა, განსხვავებით მეულლისგან, რომელიც უაღრესად კეთილმორწმუნე ქალი იყო. სწორედ თეოქტისტამ შთაუნერგა თავის შვილებს მართლმადიდებლობისა და სათნოებათა სიყვარული. როცა შვილები წამოიზარდნენ, თეოქტისტა მონაზვნად აღიკვეცა, მანამდე კი მოახერხა ქმრის დარწმუნება და აღკვეცამდე 5 წლით ადრე დაითანხმა როგორც და-ძმას (ცოლ-ქმრული ურთიერთობის გარეშე) ისე ეცხოვრათ. შემდგომში წმიდა თეოდორე იტყვის: „თეოქტისტთა ჩემთვის ორჯერ დედა იყო — ხორციელად და სულიერადო“.

სიჭაბუკეში თეოდორე ე. წ. „ოქროს ახალგაზრდობის“ წრეს ეკუთვნოდა და შესაბამისად იმ დროისათვის საუკეთესო განათლება მიიღო ბიზანტიის ელიტარულ სკოლაში. შემდგომში წმ. თეოდორე თავის ბიძაშვილს მისწერს: „როგორც თავადაც იცი, ახალგაზრდობაში მრავალს ვაძლევდი მაგალითს უაღრესად ცოდვილი ცხოვრებისა, თითქმის შეუძლებელია ისეთი ცოდვის მოძებნა, რომლის თანაზიარიც არ ვყოფილვარ. მაგრამ ღვთის კაცთმოყვარების იმედით გადავურჩი სასოწარკვეთილებას და როგორც ჩანს, ამან განმამტკიცა სწორ გზაზე დადგომის საქმეში. ამიტომაც იყო, რომ თვით ყველაზე ახლობლებთან გავწყვიტე ურთიერთობა ღვთის მადლის შეწევნით, რომელიც განამტკიცებდა ჩემს უძლურებას“ („К никифору игумену”. Послания. Кн. I).

ღვთის შეწევნა კი ჭაბუკ თეოდორეს ბიძამისის, იღუმენ პლატონის სახით მოევლინა. ლევ IV ისავრიელის მეფობაში, როდესაც ბერ-მონაზონთა დევნა შეწყდა და მათ უკვე თამამად შეეძლოდ დედაქალაქში გამოჩენა, პლატონი კონსტანტინოპოლში ჩამოდის და მრავალ ადამიანზე ახდენს კეთილ ზეგავლენას. მისი მაგალითით თეოქტისტა საბოლოოდ გადაწყვიტავს მონაზვნობას, ხოლო თეოდორეს ცხოვრებაში, რომელიც ბუნებით ფიცხი და შეუპოვარი ხასიათისა იყო, სრულიად მოულოდნელი გადატრიალება ხდება — მასში იღვიძებს ბერად შედგომის სურვილი.

საბოლოოდ თეოდორეს მთელი ოჯახი (მათ გაყიდეს სახლი დედაქალაქში და მთელი ქონება ღატაკებსა და მსახურებს დაურიგეს, მონებს კი თავისუფლება უბოძეს) ბერ-მონაზვნობის გზას ადგება: ჯერ თეოქტისტა ქალიშვილთან ერთად, და შემდეგ ფოტინი

თავის სამ ვაჟთან ერთად; ეს ყველაფერი 781 წელს ხდება, კონსტანტინე VI და მისი დედის დედოფალ ირინეს მეფობის დასაწყისში.

წმ. თეოდორე მცირე აზიაში, მარმარილოს ზღვის სანაპიროზე, ადგილზე, რომელსაც საკკუდიონი ერქვა, იწყებს მონასტრის დაფუძნებას. თეოქტისტას ძმა წმ. პლატონი იღუმენობას თანხმდება, თეოქტისტა ქალიშვილთან ერთად პლატონის რჩევით კელიოტურ ცხოვრებას იწყებს საკკუდიონის მახლობლად.

წმ. თეოდორე ასკეტურ ცხოვრებას ეძლევა, მისი მორჩილება და თავმდაბლობა მალე სამაგალითო ხდება. წმ. პლატონი ხედავს რა მის სულიერ ზრდას, თავის თანაშემწედ ნიშნავს და სამონასტრო საქმეებზე უკვე მას ეთათბირება. სწორედ თავისი დისშვილის ზეგავლენით მალე პლატონი იღებს გადაწყვეტილებას რეფორმა გაატაროს სამონასტრო ცხოვრებაში. იმდროინდელი ბერობა ძალიან შორს იდგა ძველი მამების ასკეტური ტრადიციებისაგან; წმ. ბასილი დიდის წესგანგებულებანი საყოველთაო დავიწყებას იყო მიცემული.

„ჩვენს დროში, — წერდა მოგვიანებით წმ თეოდორე, — ბერების უმრავლესობა თვალთმაქცურად ცხოვრობს, უფრო ზუსტად, არაფერ ამსოფლიურზე უარს არ ამბობენ. ავიწყდებათ რა უფლის მცნებები, იშენებენ ტაძრებს, მონასტრებს, შემდეგ ბერად იკვეცებიან და მყის წინამძღვრობას იწყებენ, ბატონობენ ძმებზე, ყიდულობენ მონებს და სხვადასხვა ქონებას. ის, ვინც გუშინ დადო ბერობისა და უპოვარობის აღთქმა, დღეს გამოცდილი მოძღვარი და იღუმენი ჰგონია თავისი თავი. ის ვინც გუშინ საკუთარ თავს ვერ უვლიდა, დღეს კადნიერად იწყებს სხვათა ხელმძღვანელობას. მათ წინამძღვრობა სათნოებათა გამო კი არ ხვდათ პატივად, არამედ ფულითა და ქონებით მოიპოვეს“ („Надгробное слово в честь Платона“). სწავლობდა რა ზედმიწევნით წმ. მამათა თხზულებებს, წმ. თეოდორემ დაინახა, რომ მისი თანამედროვე ბერ-მონაზვნობის ცხოვრება ძლიერ განსხვავდებოდა ასკეტური იდეალებისაგან, ამიტომაც დაიწყო წმ. პლატონის დარწმუნება, რათა შეცვლილიყო მონასტრის ტიპიკონი.

წმ. პლატონი იწყებს მონასტრის მოწყობას ძველი მამების ტიპიკონების მიხედვით: მონა-ქალებისა და სხვადასხვა სავაჭრო შემოსავლების გარეშე.

საკკუდიონში მიმდინარე გარდაქმნებმა მრავალი ბერი მოიზიდა ახალ მონასტერში. თანდათან სხვა მონასტრებიც იწყებენ მათ მიბაძვას.

790 წელს თეოდორეს მღვდლად ასხამენ ხელს. საღმრთო წერილისა და წმ. მამათა თხზულებების ღრმად შესწავლამ, ყოველგვარ ამაო საზრუნავზე უარის თქმამ, სამაგალითო მორჩილებამ და თავმდაბლობამ, მოუკლებელმა ლოცვამ, უმკაცრესმა მარხვამ წმ. თეოდორეში ღმრთისადმი განსაკუთრებული მოშურნეობა ჩასახა. პლატონი ხედავდა, რომ თეოდორესგან იდეალური იღუმენი დადგებოდა, ამიტომაც ისარგებლა პირველივე შემთხვევით (მძიმე ავადმყოფობით) და უარი თქვა წინამძღვრობაზე, დაუბრუნდა დაყუდებულ მდუმარებას.

794 წელს წმ. თეოდორეს მონასტრის იღუმენად ირჩევენ. უკვე ერთ წელიწადში მის მოშურნეობას უმძიმესი გამოცდა ელოდა.

795 წელს იმპერატორ კონსტანტინე VI ბრძანებით მის მეუღლეს ძალით აღკვეცენ მონაზვნად, კონსტანტინე კი მეორედ ქორწინდება თავის საყვარელზე, თეოდოტიაზე. მართალია წმ. პატრიარქი ტარასი წინააღმდეგი იყო ამ ქორწინებისა და თავად უარი განუცხადა იმპერატორს ჯვრისწერაზე, მაგრამ როდესაც წმ. სოფიას ტაძრის იკონომოსმა პრესვიტერმა იოსებმა მაინც შეასრულა ეს უკანონო ჯვრისწერა, პატრიარქმა ვერ გაბედა ამ ქორწინების გაუქმება, არც იმპერატორი დასაჯა და არც პრესვიტერი იოსები.

პატრიარქის მხრიდან ეს იყო დროებითი იკონომია საეკლესიო მშვიდობის შესანარჩუნებლად, რადგანაც ახალგაზრდა იმპერატორი მეტად თავნება იყო და ხატმბრძოლობის აღდგენითაც კი იმუქრებოდა, თუკი პატრიარქი არ ცნობდა მის მეორე ქორწინებას.

სრულიად სხვაგვარად უყურებდნენ ამ საქმეს წმ. პლატონი და წმ. თეოდორე: ისინი მიიჩნევდნენ, რომ პატრიარქი არღვევდა საეკლესიო კანონებს, ამყარებდა მწყემსმთავრისათვის შეუფერებელ სისუსტეს და იჩენდა კაცთმოთნეობას ხელისუფლებისადმი, რითაც ირიბად ამართლებდა უკანონობას, რაც გამოიწვევდა ამგვარი უზნეობის გავრცელებას მთელ იმპერიაში. საკკუდიონში და რამოდენიმე მონასტერში შეწყვიტეს იმპერატორისა და პატრიარქის მოხსენიება. პირად

საუბრებში და მიმოწერაში ბერებმა დაიწყეს მომხდარზე თავიანთი შეხედულებების მკაცრი ტონით გამოთქმა. მალე მათი პროტესტი სასახლეშიც გახდა ცნობილი. იმპერატორი მეტად შეშფოთდა და შეეცადა მოშურნეთა შემორიგებას, თუმცა უშედეგოდ, რადგანაც არც საჩუქრებმა და არც მუქარამ არ გაჭრა.

ახალი დედოფლის ნათესავები, სასახლის კარის მლიქვნელები, აგრეთვე ზოგიერთი მონასტრის იღუმენები ლანძღავდნენ მოშურნეებს, ამპარტავნებსა და მეამბოხეებს ეძახდნენ, „იოანე ნათლისმცემელს უტოლებენ თავსო," — დასცინოდნენ.

იმპერატორმა გადაწყვიტა უმკაცრესი ზომები მიეღო: 797 წლის თებერვალში პლატონი შეიპყრეს და დედაქალაქის საპყრობილეში ჩაამწყვდიეს, თეოდორე კი თავის ძმასთან იოსებთან და ათ ბერთან ერთად სასტიკად გაროზგეს და თესალონიკში გადაასახლეს. დანარჩენი საკკუდიონელები მონასტრიდან გამოყარეს და იმპერატორის ბრძანებით ყველას აუკრძალეს მათი შეკედლება. თესალონიკელები დევნილებს თანაგრძნობით შეხვდნენ და გადასახლება შეუმსუბუქეს; თუმცა თეოდორე ძლიერ განიცდიდა მოძღვართან განშორებას.

ამასობაში მოშურნეთა პროგნოზი გამართლდა: იმპერატორის გარყვნილმა ქორწინებამ მთელს იმპერიაში ზნეობრივი დაცემა გამოიწვია. მრავალი დიდებული და მაღალი თანამდებობის მოხელე იგივე გზას დაადგა: მასიურად დაიწყეს ცოლების განტევება და ახალი ქორწინებები. ყოველივე ამან კი დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ხალხში, იმპერატორის ავტორიტეტი ძლიერ დაეცა. 797 წლის აგვისტოში მოხდა სახელმწიფო გადატრიალება, კონსტანტინე ტახტიდან ჩამოაგდეს და თვალები დასთხარეს, ტახტზე დედამისი, წმ. ირინე ავიდა, რომელმაც უმალ გასცა ბრძანება მოშურნეთა განთავისუფლებისა და რეაბილიტაციის შესახებ. დედოფალმა მოახერხა და პლატონი და თეოდორე პატრიარქ ტარასისთან შეარიგა. პატრიარქმა თავი იმით იმართლა, რომ თავად ყოველთვის წინააღმდეგი იყო უკანონო ქორწინების და მხოლოდ დროებითი იკონომიის გამო დუმდა. მოშურნეთა ავტორიტეტი უაღრესად გაიზარდა როგორც ბერმონაზონთა შორის, ასევე მთელს ბიზანტიაში. არაბთა თავდასხმების გამო საკკუდიონში დარჩენა საშიში შეიქმნა, ამიტომაც წმ. ირინეს

თხოვნით თეოდორე და მონასტრის საძმო დედაქალაქის მახლობლად სტუდიელთა მონასტერში გადმოვიდა. რამდენიმე წელში სტუდიის მონასტერი არნახულად აყვავდა: IX ს. დასაწყისში მონასტრის ძმობა 1000 კაცს ითვლიდა; მონასტერს საკუთარი საავადმყოფო, სბავშვო სასწავლებელი, წისქვილი, ვენახები და სახნავ-სათესი, აგრეთვე სხვადასხვა სახელოსნოები და თევზჭერისათვის განკუთვნილი მცირე ხომალდები ჰქონდა; ყველგან მხოლოდ მონასტრის ბერები და მორჩილები შრომობდნენ, მონასტერს არ ჰყავდა არც ერთი მონა და დაქირავებული მსახური. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მოწყალების საქმეს, უპოვართა დახმარებას, უპატრონო მიცვალებულთა დასაფლავებას. იმპერიის სხვადასხვა კუთხეებში გაჩნდა სტუდიელთა მიერ დაარსებული რამდენიმე მონასტერი. ამას ყველაფერს წმ. თეოდორე ხელმძღვანელობდა, მაგრამ უმთავრესი მისთვის ძმების სულიერი მდგომარეობა იყო; ამიტომაც წმ. თეოდორე მოუკლებლივ მოძღვრავდა მათ საჯარო ქადაგებებით თუ კერძო საუბრებით. ამ პერიოდს ეკუთვნის მისი ცნობილი „სწავლანი“ („Огласительные поучения“).

წმ. თეოდორე უნიჭიერესი ჰიმნოგრაფი იყო; მის მიერაა შედგენილი „მარხვანის“ უდიდესი ნაწილი, მათ შორის სამგალობლები და მრავალი ჰიმნოგრაფიული კანონი. თავის მონასტერში იგი საგანგებოდ ასწავლიდა ბერებს „სტიქარონებისა“ და „კანონების“ წერას.

გავიდა რამოდენიმე წელი და სტუდიელებს ახალი განსაცდელი, მათ მოშურნეობას კი ახალი გამოცდა დაატყდა თავს. 806 წელს გარდაიცვალა პატრიარქი ტარასი, და ახალმა იმპერატორმა ნიკიფორე ჰენიკოსმა (მან ტახტი მოტყუებით დაიპყრო, წმ. ირინე კი გადაასახლა, რასაც მალე დედოფლის სიკვდილი მოჰყვა) ეპისკოპოსებსა და მონასტრების იღუმენებს ჰკითხა, თუ ვინ იქნებოდა მათთვის სასურველი პატრიარქი. უმრავლესობამ ხმა წმ. თეოდორე სტუდიელს მისცა, იმპერატორმა არ ისურვა ესოდენ დამოუკიდებელი ხასიათის კაცის ხილვა საპატრიარქო ტახტზე და სხვა კანდიდატურა დააყენა.

პატრიარქი ნიკიფორე გახდა, რომელიც მანამდე სამეფო კან-

ცელარიის მდივანი იყო; იგი, ისევე როგორც მისი წინამორბედი წმ. ტარასი, პატრიარქად პირდაპირ ერისკაცობიდან ეკურთხა. ნიკიფორე (შემდგომ აღმსარებელი) ცნობილი იყო კეთილგონიერებით, სათნოებებითა და განათლებით, მიუხედავად ამისა ხელდასხმამ უკმაყოფილება გამოიწვია, განსაკუთრებით ბერ-მონაზონთა შორის. მონასტრებში ამბობდნენ, რომ ნიკიფორეს საერო წარსული მას იძულებულს გახდიდა იმპერატორის წინაშე დამთმობი ყოფილიყო.

ეს ვარაუდი გამართლდა: იმრპეპატორმა ახალ პატრიარქს უმალ მოსთხოვა იკონომოს იოსებისთვის სამღვდელო ხარისხის დაბრუნება (ამ უკანასკნელმა გარკვეული დახმარება გაუწია იმპერატორს ტახტის ხელში ჩაგდებაში). პატრიარქი იძულებული იყო საკუთარი ნების წინააღმდეგ თანხმობა ეთქვა მეფისთვის. ამგვარად იოსები კვლავ შეუდგა წმ. სოფიას დიდ ტაძარში მსახურებას. სტუდიელები, რა თქმა უნდა, ვერ შეურიგდებოდნენ ამას. წმ. თეოდორე ძმებთან ერთად კვლავ საეკლესიო კანონთა დაცვის ავანგარდში დადგა. სტუდიელები აგრძელებენ პატრიარქის მოხსენიებას, მაგრამ არც მასთან და არც იოსებთან ერთად არ მსახურობენ. წმ. თეოდორე უარს ამბობს მეფის სასახლეში მისვლაზე, სტუდიელები დროებით კმაყოფილდებიან ამგვარი დისტანცირებით და ელიან საქმის კანონიერ მოგვარებას. ამგვარი მდუმარე პროტესტი 2 წელს გრძელდება, ამასობაში წმ. თეოდორეს უმცროსი ძმა თესალონიკის მთავარეპისკოპოსი იოსები დედაქალაქში ჩადის, მაგრამ პატრიარქთან ერთად დიდ ტაძარში მსახურებაზე უარს ამბობს, იმპერატორის წარგზავნილებს კი უცხადებს, რომ მას პირადად პატრიარქისა და მეფის საწინააღმდეგო არაფერი აქვს, მაგრამ მათთან ერთად არ ილოცებს, ვიდრე იკონომოსი იოსები სამღვდელო ხარისხშია. ამგვარმა პასუხმა განარისხა იმპერატორი და პატრიარქი. 809 წლის დასაწყისში იმპერატორის ბრძანებით მოწვეულ იქნა საეკლესიო კრება (პატრიარქი თავად არ ესწრებოდა ამ კრებას), რომელზედაც ბადრაგის თანხლებით ძალით მოიყვანეს სტუდიელები: თეოდორე, პლატონი, კალიგორი და მთავარეპისკოპოსი იოსები. საეკლესიო კანონთა დაცვისა და ერთგულებისათვის სტუდიელები განსაჯეს როგორც „წმიდანთა იკონომიის“ უარმყოფელნი, ანათემას გადასცეს და შორეულ კუნძუ-

ლზე გადაასახლეს. სტუდიელთა მონასტერი დაშალეს, ბერების ნაწილი გადაასახლეს, ნაწილი კი საპყრობილეებში ჩაამწყვდიეს.

ამ კრების შემდეგ წმ. თეოდორე თავის მოწინააღმდეგეებს მწვალებლებს ეძახდა, რომლებსაც ეკლესიაში „მიხიზმის" ანუ ე. წ. მრუშობის ერესი შეჰქონდათ. არსი ამ მწვალებლობისა სახარებისეული მცნებების უარყოფის დაკანონებაში, საეკლესიო კანონთა უგულებელყოფაში და ხელისუფლებისადმი მონურ მორჩილებაში მდგომარეობდა. ამის შესახებ წმ. თეოდორე თავის ეპისტოლეებში წერდა და მთელს საქრისტიანოში ავრცელებდა გადასახლებიდან. ამ უსჯულოებათა გამო წმ. თეოდორე სტუდიელი კონსტანტინოპოლის ეკლესიას საშინელ განსაცდელს უწინასწარმეტყველებდა.

სტუდიელთა დევნა 811 წლამდე გაგრძელდა, ვიდრე იმპერატორი ბულგარელებთან ომში არ მოკლეს. ამის შესახებ წმ. თეოდორე ჯერ კიდევ ომამდე აფრთხილებდა იმპერატორს: „საეკლესიო შფოთის შემოტანის გამო რა გზითაც წახვალ, იმ გზით ვეღარ დაბრუნდებიო". იმპერატორის ვაჟი სტავრიკიუსი მალევე დაამხეს; ტახტზე მიქაელ I ავიდა, რომელმაც სტუდიელები გადასახლებიდან დააბრუნა და პატრიარქის დარწმუნებას შეუდგა, რათა შერიგებოდა მათ. საბოლოოდ შერიგება შედგა! პატრიარქმა უსამართლოდ სცნო სტუდიელთა დასჯა, სტუდიელებმა უკან წაიღეს ბრალდება მწვალებლობაში, იკონომოსი იოსები კვლავ განაკანონეს, პატრიარქმა თავი იმით იმართლა, რომ იმპერატორისადმი დათმობები მხოლოდ ეკლესიაში მშვიდობის შესანარჩუნებლად იყო დაშვებული. საბოლოოდ გამარჯვება ისევ სტუდიელებს დარჩათ და მათი ავტორიტეტი კიდევ უფრო გაიზარდა. წმ. თეოდორეს ბევრ ეპისკოპოსზე მეტ პატივს სცემდნენ; მისი ვრცელი მიმოწერიდან ნათლად ჩანს, რომ რჩევა-დარიგებას არა მარტო ბერები, არამედ მრავალი ეპისკოპოსიც ღებულობდა მისგან.

საეკლესიო კანონების დარღვევისათვის ნაწინასწარმეტყველები სასჯელი კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ორ წელიწადში, 814 წელს დაატყდა. მიქაელი ტახტიდან ჩამოაგდეს, ახალმა იმპერატორმა ლეონ V სომეხმა ხატმბრძოლობა გამოაცხადა. 815 წელს, დიდ მარხვაში პატრიარქი ნიკიფორე კათედრიდან იძულებით გადააყენეს

და გადაასახლეს. სააღდგომოდ იმპერატორის ნებისამებრ ახალი პატრიარქი — ხატმბრძოლი თეოდორე მელისსინი აიყვანეს კათედრაზე. მანამდე, ბზობის კვირაში წმ. თეოდორე სტუდიელმა მონასტრის გარშემო საზეიმო ლიტანიობა მოაწყო ზე აღმართული ხატებით და გალობით: „უხრწნელსა ხატსა შენსა თაყვანისვცემთ, სახიერ...“ — ეს სერიოზული გამოწვევა იყო ახალი საერო და საეკლესიო ხელისუფლებისთვის. მთელი ბრწყინვალე შვიდეულის განმავლობაში წმ. თეოდორე თათბირობს სხვა მონასტრების იღუმენებთან და ცნობილ მოღვაწეებთან, თუ როგორ აღუდგნენ წინ ხელახლა აღზევებულ ერესს. აღდგომის შემდგომ აია სოფიას ტაძარში იმართება ხატმბრძოლთა კრება, რომელიც ანათემას გადასცემს მართლმადიდებლურ მოძღვრებას ხატთაყვანისცემის შესახებ. სტუდიელები ყველას მოუწოდებენ გაწყვიტონ ყველანაირი კონტაქტი ამ კრების მონაწილეებთან. წმ. თეოდორე ეპისტოლეს უგზავნის ამ კრებას, სადაც დელეგატებს მოუწოდებს, რომ ზედმიწევნით დაიცვან VII მსოფლიო კრების დადგენილებანი. ეპისტოლე შემდეგი სიტყვებით მთავრდება: „როგორც არ უნდა ეცადოთ ხელისუფლების გამოყენებას, იცოდეთ, რომ ჩვენ მზადა ვართ ყოველგვარი ტანჯვა და დევნა დავითმინოთ, თვით სიკვდილიც კი მივიღოთ, ვიდრე ჩვენს წრფელ აღმსარებლობას ვულალატოთ“.

მალე წმ. თეოდორე შეიპყრეს და გადაასახლეს. 821 წლამდე იგი უმკაცრეს პატიმრობაში ჰყავდათ. იმპერატორის ბრძანებით მას აკრძალული ჰქონდა ვინმესთან შეხვედრა, მაგრამ ადგილობრივი ხელისუფლება იმდენად კეთილგანწყობილი იყო მისდამი, რომ უფლება მისცეს მის მოწაფეებს მოძღვრის სიახლოვეს ეცხოვრათ.

იმ დროისათვის ხატმბრძოლებმა მზაკვრული სივერაგით ასეთი რამ მოიფიქრეს: მართლმადიდებლებისგან აღარ ითხოვდნენ ხატების უარყოფას და შეურაცხყოფას, არამედ მხოლოდ ერთხელ ზიარებას ხატმბრძოლი პატრიარქის ხელიდან, თანაც ტაძარში კედლებზე ხატებიც კი დაკიდეს (თუმცა ეს ხატები ისე მაღლა იყო განთავსებული, რომ მათ ვერავინ სწვდებოდა), შემდეგ კი ყველას შეეძლო თავის მონასტერში თუ სამრევლოში დაბრუნება და იქ ხატების მიმართ ისეთი დამოკიდებულება ჰქონოდათ, როგორიც თავად სურდათ. ბევრი

ცდუნდა მაშინ ამ მზაკვრობით. წმ. თეოდორემ უდიდესი ღვაწლი გასწია, რათა დაერწმუნებინა ხალხი, რომ ამგვარი საქციელი ისეთივე ღალატი იყო მართლმადიდებლობისა, როგორც მწვალებლობის სრული მიღება. იგი ღალატს უწოდებდა აგრეთვე ხელისმოწერას დოკუმენტზე, რომლის მიხედვითაც ხელისმომწერი პირობას დებდა არ ექადაგა ხატთაყვანისცემა და არ ემხილებინა ხატმბრძოლობა, ანუ გაჩუმებულიყო და თავი შეეკავებინა პოზიციის საჯარო გამოთქმისაგან, სანაცვლოდ ამისა ხელისმომწერს ეძლეოდა სრული თავისუფლება საკუთარ სარწმუნოებრივ შეხედულებებში.

იმპერატორს აცნობეს წმ. თეოდორეს უკომპრომისო პოზიციის შესახებ, მან ბრძანა გაეფანტათ მისი მოწაფეები, თავად აღმსარებლისთვის წაერთმიათ წიგნები, ხატები და 100 როზგი დაერტყათ მისთვის. მაგრამ ჩინოვნიკი, რომელიც ამ ბრძანების შესასრულებლად იქნა მივლინებული, წმ. თეოდორეს დანახვისთანავე მოლბა და გაროზგვის მხოლოდ ინსცენირება მოახდინა. თუმცა 817 წლის ზამთარში უკვე სხვა ჩინოვნიკს დაევალა წმ. თეოდორეს გაროზგვა და მანაც ბრძანება პირნათლად შეასრულა. წმინდანთან ერთად გაროზგეს მისი მოწაფე ნიკოლოზ სტუდიელი და შემდგომ ორივე უპაერო ჯურღმულში ჩაყარეს. ორივე ისე სასტიკად იყვნენ ნაცემები, რომ ერთმანეთს ხელით აძრობდნენ დაწყლულებულ კანს, რომლის დაჩირქების შემთხვევაში სიკვდილი გარდაუვალი იყო. ისედაც მწირ საკვებს თეოდორე ნიკოლოზს აძლევდა, თავად კი მხოლოდ წმინდა ნაწილებით ეზიარებოდა. ჭრილობების მოშუშებისთანავე წმ. თეოდორემ განაახლა მიმოწერა, იგი არა მხოლოდ ეპისტოლეებს, არამედ დოგმატური ხასიათის თხზულებებსაც წერს ამ პერიოდში. ნიშანდობლივია, რომ იმპერატორის ბრძანებით ყველა მონასტრის ილუმენი ვალდებული იყო რჩევისთვის მისულიყო იოანე გრამატიკოსთან, რომელიც თავის ინტელექტითა და რიტორიკით ცდილობდა ყველას დარწმუნებას ფორმალური ერთობა მაინც ჰქონოდათ ხატმბრძოლ პატრიარქთან (იოანესთან მიიყვანეს, მაგრამ უშედეგოდ, წმ. თეოფანე სიგრიანელი, წმ. ნიკიტა მიდიკიელი და სხვები), მაგრამ წმ. თეოდორეს მიყვანა იოანესთან არც კი უცდიათ, იცოდნენ რა მისი უმტკიცესი ხასიათი, აგრეთვე ყველას ახსოვდა წმ. თეოდორეს და იოანე გრამა-

ტიკოსის პოლემიკა ჯერ კიდევ კრებამდე, როდესაც გრამატიკოსს თავი ჯერ კიდევ მართლმადიდებლად ეჭირა. შემონახულია წმ. თეოდორე სტუდიელის სამი წერილი იოანესადმი, სადაც იგი განაქიქებს მის არასწორ შეხედულებებს.

819 წლის თებერვალში წმ. თეოდორესთან საპყრობილეში კვლავ მიდიან იმპერატორის ჩინოვნიკები და უსასტიკესად როზგავენ. სიკვდილის პირას მიყვანილი აღმსარებელი მხოლოდ ზაფხულში ახერხებს ფეხზე დადგომას. როგორც იგი შემდგომში წერდა, მას და ნიკოლოზს ცემის შემდეგ მთელს ტანზე ალაგ-ალაგ ეკიდათ უკვე მკვდარი სხეულის ნაწილები, რომლებსაც დანით აჭრიდნენ ერთმანეთს.

გაროზგვიდან სამი თვის შემდეგ იმპერატორის ბრძანებით ტუსაღები სმირნაში გადაიყვანეს. მოუშუშებელი ჭრილობებით უკიდურესად დაუძლურებულებს, აიძულებდნენ მთელი დღეები შეუსვენებლად ფეხით ევლოთ გრძელ გზაზე. საბოლოოდ ისინი სიმრნის მიტროპოლიტის (სასტიკი ხატმბრძოლის) ეზოში, ბნელ სარდაფში ჩაამწყვდიეს უმძიმეს პირობებში, სადაც 821 წლამდე იყვნენ პატიმრობაში, ვიდრე ახალმა იმპერატორმა მიქაელ II-მ* არ გაათავისუფლა ისინი. მიქაელს არ აღუდგენია მართლმადიდებლობა, მაგრამ დევნა შეწყვიტა და აღმსარებლობის სრული თავისუფლება გამოაცხადა.

თეოდორე და ნიკოლოზი სმირნიდან დედაქალაქისკენ გაემართნენ. მათი მგზავრობა ტრიუმფალურ მსვლელობად იქცა: მთელი გზა სტუდიელებს უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით ხვდებოდნენ, წმ. თეოდორეს ლოცვა-კურთხევასა და სნეულებათაგან განკურნებას სთხოვდნენ. გზადაგზა წმ. თეოდორე მრავალ აღმსარებელს შეხვდა, მათ შორის წმ. პატრიარქ ნიკიფორეს, რომელიც ხანგრძლივი გადასახლებიდან დაბრუნებულიყო. შეხვედრა ძმური და სიხარულით აღსავსე

---

* იმპერატორი ლეონ სომეხი განთიადისას, ცისკრის მსახურებაზე მოჰკლეს სასახლის ტაძარში. შეთქმულები მას თავს დაესხნენ საცისკრო კანონის გალობის დროს; იმპერატორი ამ დროს კლიროსზე გალობდა, იგი საკურთხეველში შევარდა ტრაპეზიდან ჯვარი აიღო და იმით იცავდა თავს მომხდურებისაგან, მაგრამ შეთქმულები ბევრნი იყვნენ, და მეფე მალე დაიღალა, რის შემდეგაც იგი მახვილებით აჩეხეს.

იყო. მალე გაირკვა, რომ მათი იმედები ხატთაყვანისცემის აღდგენის შესახებ ამაო აღმოჩნდა, ამიტომ წმ. თეოდორე აღარ ჩავიდა კონსტანტინოპოლში და მოწაფეებთან ერთად ნიკომიდიის ყურესთან დასახლდა, სადაც მრავალი მომსვლელი მოდიოდა მის სანახავად. წმ. თეოდორემ იმპერატორსა და მის ვაჟს, თეოფილეს ეპისტოლე გაუგზავნა, რომელშიც არწმუნებდა მათ მართლმადიდებლობის აღდგენაში, მაგრამ ამაოდ.

821 წელს იმპერიაში სამოქალაქო ომი გაჩაღდა. აჯანყდა ვინმე თომა, რომელმაც თავი იმპერატორად გამოაცხადა და ჯარით კონსტანტინოპოლისკენ დაიძრა. მიქაელ II შეშინდა მართლმადიდებლები ამბოხებულთა მხარეს არ გადავიდნენო და ყველა აღმსარებელი, მათ შორის წმ. თეოდორე დედაქალაქში დაიბარა. 821 წლის დეკემბრიდან კონსტანტინოპოლი ალყაში მოექცა. ეს ალყა ერთ წელიწადს გაგრძელდა, მაგრამ უშედეგოდ. საბოლოოდ თომა დამარცხდა. აჯანყების ჩაქრობისთანავე წმ. თეოდორე ტოვებს დედაქალაქს და წმ. ტრიფონის ნახევარკუნძულზე, პრინცის კუნძულების მახლობლად სახლდება. იმპერიის ყველა კუთხიდან მასთან უამრავი მნახველი მიდის რჩევისათვის, ლოცვა-კურთხევისთვის, განკურნებისთვის და ისე უბრალოდ იმისთვის რომ საკუთარი თვალით ეხილათ დიდი აღმსარებელი.

გარდაცვალებამდე წმ. თეოდორემ რამდენჯერმე ინახულა კვლავ გადასახლებაში მყოფი პატრიარქი ნიკიფორე. მათი ერთ-ერთი შეხვედრის დროს, როდესაც პატრიარქთან მრავალმა ეპისკოპოსმა, მიტროპოლიტმა და იღუმენმა მოიყარა თავი, წმ. ნიკიფორემ ტრაპეზად დასხდომამდე, წმ. თეოდორე თავის გვერდით ამაღლებულ ადგილზე მიიწვია დასაბრძანებლად, სტუმრებს კი მიმართა: „ნება მიბოძეთ, ძმანო, უპირატეს ადგილზე ჩვენი მრავალჭირნახული მამა დავაბრძანო. — მართალია მას, როგორც ბრძენს, სრულიადაც არ უნდა ეს, მაგრამ ჩემი დიდი სურვილია, მის გვერდით ვიჯდე და მასთან ერთად გავტეხო პური. რადგანაც ვინც მეტად სათნოეყო უფალს, ვინც მეტად შეიყვარა ღმერთი, მას ღმრთისაგანაც მეტი მიეცემა, როგორც თავად გვასწავლის უფალი სახარებაში; როგორი განსხვავებაცაა წმინდანთა ცხოვრებაში, ასეთივე სხვაობაა ღმრთის მიერ მათთვის ბოძებულ პატივსა და გვირგვინებში, და შესაბამისად ყველას დამ-

სახურებისამებრ მიეგება. და თუკი ასეა ღმერთთან, დაე ასე იყოს ჩვენ მდაბალთა შორის".

წმ. თეოდორე დიდი ხანი იტანჯებოდა კუჭის უმძიმესი სნეულებით, 826 წლის ოქტომბერში იგი უკიდურესად დაუძლურდა და ლოგინად ჩავარდა. ნოემბრის დასაწყისიდან მისი მოწაფეები უკანასკნელი ლოცვა-კურთხევისათვის მოდიან მასთან. კვირას 11 ნოემბერს, ზიარების შემდეგ წმ. თეოდორემ უფალს მიაბარა სული. მის დაკრძალვაზე უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. წმიდანი იმ კელიაში დაასაფლავეს, რომელშიც ცხოვრობდა. მართლმადიდებლობის აღდგენის შემდეგ 844 წლის 26 იანვარს მისი წმიდა ნაწილები სტუდიელთა მონასტერში გადაასვენეს სადაც მათგან მრავალი სასწაული აღესრულებოდა, ვიდრე სავანე თურქებმა არ დაანგრიეს XV საუკუნეში.

* * *

ღირსი პლატონ სტუდიელი (735-814), წმ. თეოდორეს დედის ძმა, კონსტანტინოპოლში დაიბადა დიდგვაროვან და კეთილმორწმუნე ოჯახში. პლატონი ბავშვობაში დაობლდა (მისი მშობლები შავი ჭირის ეპიდემიის დროს გარდაიცვალნენ), მაგრამ მემკვიდრეობით მიღებული სიმდიდრის წყალობით საუკეთესო განათლება, შემდგომ კი იმპერატორის კარზე დიდი თანამდებობა მიიღო. 24 წლის ასაკში ყველასათვის მოულოდნელად პლატონი ტოვებს თავის სამსახურს სახელმწიფო ხაზინაში, ყიდის ქონებას, ფულს გლახაკებს ურიგებს და ბითვინიის ოლიმპზე მდებარე მონასტერში მიდის. მონასტერში მოსაგრეობით პლატონმა მალე დიდი ავტორიტეტი მოიპოვა. მისი ხელსაქმე საღმრთო წიგნების გადაწერა და გამშვენება იყო, რასაც უაღრესად დახვეწილად აკეთებდა. 787 წელს პლატონი უკვე საკუდიონის მონასტრის იღუმენია, იგი მონაწილეობას ღებულობს VII მსოფლიო საეკლესიო კრებაში, რომელიც ქალაქ ნიკეაში შედგა და რომელზეც ხატმბრძოლობა ანათემას გადასცეს, როგორც მწვალებლობა. პლატონის ხელმოწერა არის კრების აქტებზე. 797 წელს, მას შემდეგ, რაც წმ. პლატონმა არ სცნო იმპერატორ კონსტანტინე

VI-ის უკანონო ქორწინება, იგი დედაქალაქში ჩაჰყავთ და ციხეში ამწყვდევენ. მეთვალყურეობა პლატონზე, როგორც უზნეობის წინააღმდეგ ბრძოლის ლიდერზე, იკონომოს იოსებს დაავალეს. სწორედ ამ იოსებმა დასწერა ჯვარი მეფეს. ციხეში იმპერატორმა პლატონს რამდენჯერმე მიუგზავნა ეპისკოპოსები, რომლებიც ცდილობდნენ დაერწმუნებინათ იგი „იკონომიის" აუცილებლობაში, მაგრამ ამაოდ. წმიდანის და — მონაზონი თეოქტისტა დედაქალაქში ჩადის და ცდილობს თავისი ნაცნობობის გამოყენებას, რათა როგორმე შეუმსუბუქოს ძმას უმძიმეს პირობებში სატუსაღოში ყოფნა, მაგრამ იმპერატორის რისხვას იმსახურებს და თავად აპატიმრებენ ერთი თვით. 809-811 წლების გადასახლებამ პლატონის ჯანმრთელობაზე უკიდურესად ცუდად იმოქმედა, როდესაც სტუდიელთა მონასტერში დაბრუნდა, მას ფეხზე დგომა აღარ შეეძლო. 814 წლის 5 აპრილს წმ. პლატონი გარდაიცვალა. გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე იგი პატრიარქმა ნიკიფორემ ინახულა, გამოემშვიდობა მას და მეოხება სთხოვა ღმრთის წინაშე.

* * *

ღირსმოწამე თადეოზ სტუდიელი (+818), წარმოშობით სკვითი იყო. ბიზანტიაში ტყვე ბულგარელებთან ერთად მოხვდა და დიდი ხანი მონობაში გაატარა. როდესაც თავისუფლება უბოძეს, ბერად აღიკვეცა და სტუდიელთა მონასტერს მიაშურა. წმ. თეოდორე სტუდიელი თავის ერთ-ერთ ქადაგებაში განსაკუთრებით აქებს თადეოზს, როგორც მართლმადიდებელი სარწმუნოების საფუძვლიანად შესწავლის მოშურნეს. ხატმბრძოლთა მიერ დაწყებული დევნის დროს იგი სხვა სტუდიელებთან ერთად შეიპყრეს და შოლტით სცემეს. თადეოზი, რომელიც უმკაცრეს ასკეტურ ცხოვრებას ეწეოდა. ფიზიკურად დაუძლურებული იყო, მან ვერ გაუძლო სასტიკ ცემას და სამ დღეში გარდაიცვალა. წმ. თეოდორე მას მოწამედ მიიჩნევდა და ლოცვაში ღმრთის წინაშე მეოხებას სთხოვდა დევნილი მართლმადიდებლებისთვის.

* * *

წმ. მღვდელმთავარი იოსებ თესალონიკელი (762-832) თავის უფროს ძმასთან წმ. თეოდორე სტუდიელთან ერთად ჯერ საკკუდიონის, ხოლო შემდეგ სტუდიელთა მონასტერში მოღვაწეობდა. 808 წელს მას ეპისკოპოსად დაასხეს ხელი თესალონიკის კათედრაზე. იმპერატორების: კონსტანტინე VI-ს და ნიკიფორეს დროს წმ. იოსები გადაყენებულია კათედრიდან და გადასახლებაში იმყოფება სხვა სტუდიელებთან ერთად მას სდევნიან საეკლესიო კანონთა უკომპრომისო დაცვის გამო. 812 წელს პატრიარქ ნიკიფორესთან შერიგების შემდეგ იგი კვლავ თესალონიკის მთავარეპისკოპოსია. იოსები საკმაოდ ნაყოფიერი ჰიმნოგრაფი იყო, მის კალამს ეკუთვნის არაერთი საგალობელი კანონი, რომელიც „ტრიოდიონშია“ შესული. ხატმბრძოლობის დროს წმ. იოსები კვლავ გადასახლებებში და საპყრობილეებშია. ცნობილია, რომ მას პირადად შეხვდა იმპერატორი ლეონ სომეხი, რომელიც დაპირებებით ეცადა მთავარეპისკოპოსის დაყოლიებას, ერესისადმი შემგუებლურ ანუ იოანე გრამატიკოსის პოზიციაზე დამდგარიყო, მაგრამ ამაოდ, რის შემდეგაც იგი გადაასახლეს. ცხოვრების ბოლო წლებში იოსები დაუახლოვდა წმ. მღვდელმოწამე ექვთიმეს, სარდიკის ეპისკოპოსს. იმპერატორ მიქაელ II-ის დროს წმ. იოსები და წმ. ექვთიმე დედაქალაქში ცხოვრობდნენ და შედარებითი თავისუფლებით სარგებლობდნენ. იმპერატორ თეოფილეს გამეფებისთანავე ორივე მღვდელმთავარი კვლავ დევნულებაში აღმოჩნდა. მათ ბრალი დასდეს წმ. მეთოდეს (შემდგომში კონსტანტინოპოლის პატრიარქი) თანამზრახველობაში, რომელიც იმხანად რომიდან კონსტანტინოპოლში დაბრუნდა და თან რომის პაპის ეპისტოლე ჩამოიტანა ხატმბრძოლთა წინააღმდეგ. წმ. მეთოდე დააპატიმრეს, მას აგრეთვე ბრალი დასდეს დედაქალაქში პამფლეტის გავრცელებაში, სადაც ნაწინასწარმეტყველები იყო იმპერატორის სიკვდილი. მსგავსი პამფლეტების შედგენაში დასდეს ბრალი წმ. ექვთიმესა და წმ. იოსებს. წმ. ექვთიმე სასტიკად სცემეს შოლტით, რის შემდეგაც იგი მალე გარდაიცვალა. წმ. იოსებ სტუდიელი კი დააპატიმრეს. 832 წელს წმ. იოსები პატიმრობაში გარდაიცვალა. 844 წლის 26 იანვარს მისი წმიდა ნაწილები წმ.

თეოდორე სტუდიელის წმიდა ნაწილებთან ერთად საზეიმოდ გადაასვენეს სტუდიელთა მონასტერში.

* * *

ღირსი ნავკრატიუს სტუდიელი (+848) იკონომოსი იყო სტუდიელთა მონასტერში წმ. თეოდორეს იღუმენობის დროს. წმ. თეოდორეს გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ ნავკრატიუსი მუდმივად მის გვერდით იმყოფებოდა. მასვე ეკუთვნის მრგვლივმოსავლელი ეპისტოლე წმ. თეოდორეს გარდაცვალების შესახებ, რომელშიც აღწერილია დიდი აღმსარებლის უკანასკნელი დღეები. წმ. ნავკრატიუსი მუდამ ერთგული იყო წმ. თეოდორესი, მორჩილსა და მოძღვარს შორის საოცარი სიყვარული სუფევდა. შემონახულია უამრავი წერილი ნავკრატიუსისადმი, სადაც წმ. თეოდორე აქებს თავის მოწაფეს სულიერი ღვაწლისთვის, მოშურნეობისათვის, მწუხარებათა დათმენისათვის. ლეონ სომეხის დროს ნავკრატიუსი სხვა ცნობილ ბერებთან და იღუმენებთან ერთად გამოძახებულ იქნა საჯარო დისპუტზე იოანე გრამატიკოსთან. წმ. ნავკრატიუსი მხნედ აღუდგა წინ „დიდ სოფისტს", ბრძნულად აუღო ალღო მის სიცბიერესა და მზაკვრობას, და საჯაროდ სძლია მას დისპუტში. წმ. თეოდორეს გარდაცვალების შემდეგ ნავკრატიუსი სტუდიელთა იღუმენად იქნა არჩეული.

845-846 წლებში სტუდიელებს ძლიერ დაუპირისპირდა წმ. პატრიარქი მეთოდე. ცდილობდა რა განემტკიცებინა უმაღლესი საეკლესიო ხელისუფლების ავტორიტეტი, პატრიარქი ისეთ უკიდურეს ზომამდე მივიდა, რომ სტუდიელებს მოსთხოვა, გაენადგურებინათ წმ. თეოდორეს პოლემიკური ეპისტოლეები, რომლებიც პატრიარქების, ტარასისა და ნიკიფორეს დროს დაიწერა, და არა მარტო გაენადგურებინათ, არამედ ანათემისთვის გადაეცათ ისინი. ეს მოთხოვნები სტუდიელთათვის ცხადია მიუღებელი აღმოჩნდა, რადგანაც ეს ნიშნავდა მათი დიდი იღუმენის დამნაშავედ ცნობას, და ამიტომ მათ უარი განაცხადეს პატრიარქის მოთხოვნის აღსრულებაზე. პასუხად პატრიარქმა მეთოდემ სტუდიელები განკვეთა ეკლესიიდან, როგორც

სქიზმატიკოსები და ანათემას გადასცა ისინი. მან არ სცნო წმ. ნავკრატიუსი იღუმენად, ხოლო წმ. თეოდორეს შესახებ განაცხადა, რომ თითქოს იგი განვარდნილი იყო ეკლესიიდან პატრიარქთა მიმართ დაუმორჩილებლობის გამო და მხოლოდ მოგვიანებით შეუერთდა ეკლესიას, რითაც „მორჩილების მაგალითი" მისცა მრავალთ. ამგვარად გამოდიოდა, რომ წმ. თეოდორე იყო სქიზმატიკოსი (განხეთქილების მოქმედი) და ეკლესიაში პატრიარქ ნიკიფორეს მიერ იქნა მიღებული სინანულით.

სინამდვილეში კი საქმე სრულიად სხვაგვარად იყო. წმ. თეოდორე ცხადია შეურიგდა როგორც წმ. ტარასის ასევე წმ. ნიკიფორეს, მაგრამ იმ იძულებითი „იკონომიებისთვის", რომლებიც მათ იმპერატორთა ზეწოლისა და მუქარების გამო დაუშვეს, თავად პატრიარქებს მოუხდათ შემდგომ თავის მართლება, ხოლო წმ. თეოდორეს ორივე უდიდეს პატივს სცემდა, როგორც აღმსარებელს.

არავინ იცის, სადამდე მივიდოდა ეს უმწვავესი კონფლიქტი, რომელიც პატრიარქმა წამოიწყო, რომ არა წმ. მეთოდეს უეცარი სიკვდილი 847 წლის 14 ივნისს. ახალმა პატრიარქმა წმ ეგნატემ დაუყოვნებლივ გააუქმა ყველა ანათემა და აკრძალვა სტუდიელთა მიმართ და საეკლესიო მშვიდობა კვლავ აღსდგა. 848 წლის 18 აპრილს, წმ. ნავკატიუსი გარდაიცვალა.

* * *

ღირსი ნიკოლოზ სტუდიელი (793-858) კუნძულ კრეტაზე დაიბადა. მშობლებმა ზნეკეთილი აღზრდა და კარგი განათლება მისცეს მას. ნიკოლოზის ბიძა — თეოფანე სტუდიელთა მონასტრის ბერი იყო. 10 წლის ასაკში ნიკოლოზი უკვე სტუდიელთა საყმაწვილო სკოლაში სწავლობდა და ფაქტიურად სამონასტრო წესით ცხოვრობდა. ნიჭიერმა ყმაწვილმა მალე მიიქცია ყურადღება, როგორც ჩინებულმა და უაღრესად სწრაფმა კალიგრაფმა, ლიტურგიკის, აგიოგრაფიის და დოგმატური ღვთისმეტყველების კარგმა მცოდნემ. სრულწლოვანებას მიღწეული ნიკოლოზი წმ. თეოდორემ ბერად აღკვეცა. ჭაბუკ ბერს

ღმერთმა ლოცვისა და ცრემლების განსაკუთრებული მადლი უბოძა. მოგვიანებით ნიკოლოზი მღვდლად აკურთხეს. მისი ხელსაქმე წიგნების გადაწერა იყო, რადგანაც საოცარი სილამაზით და სისწრაფით აკეთებდა ამას. სწორედ ნიკოლოზი იწერდა წმ. თეოდორეს კარნახით ცნობლ ეპისტოლეებს ხატთაყვანისცემის შესახებ, რომლებიც შემდგომ მთელს იმპერიაში ვრცელდებოდა. 819 წლის პატიმრობისა და სასტიკი გაროზგვების დროს ნიკოლოზს ხელები თოკით შეუკრეს და დიდხანს დაათრევდნენ ასე, რათა კალამი ვეღარ აეღო ხელში, მაგრამ წმ. თეოდორემ შეძლო მისი დაჭრილი და დაწყლულებული ხელების განკურნება: სატუსაღოს მცველებს მან ქონი და თბილი წყალი გამოსთხოვა, განბანდა თავის მოწაფის ჭრილობებს და ზედ ქონს უსვამდა, რასაც მალე ნიკოლოზის განკურნება მოჰყვა. ამის შემდეგ ნიკოლოზი განუყრელად თან ახლდა მოძღვარს ყველგან. 826 წელს არაბებმა კუნძული კრეტა დაიპყრეს, იქიდან ლტოლვილი ნიკოლოზის ძმა ტიტე სტუდიელებს შემოუერთდა და ბერად აღიკვეცა. იმავე წელს გარდაიცვალა წმ. თეოდორე სტუდიელი, ნიკოლოზი მის საფლავთან დაეყუდა და მდუმარების ღვაწლს მიეცა.

829 წლიდან, იმპერატორ თეოფილეს დროს, ნიკოლოზი რეგულარულად იცვლის ადგილ-სამყოფელს, რათა ხატმბრძოლობის ერესს განერიდოს. 843 წელს მართლმადიდებლობის საბოლოო გამარჯვების შემდგომ წმ. ნიკოლოზი სტუდიელთა მონასტერში ბრუნდება. წმ. ნავკრატიუს სტუდიელის გარდაცვალების შემდგომ, მონასტრის მამათა თხოვნით ნიკოლოზი იღუმენი ხდება, მაგრამ განმარტოებული ცხოვრებისადმი ლტოლვა იმდენად ძლიერია მასში, რომ 851 წელს სტუდიელთა იღუმენად თავის თანამმარხველ და თანამოღვაწე სოფრონს ტოვებს, თავად კი თირმოპოლში განმარტოვდება, სადაც ღვნულების დროს სკიტი ჰქონდა აშენებული. 855 წელს სოფრონი გარდაიცვალა, მონასტრის ძმობას ლამის იძულებით ჩამოჰყავთ ნიკოლოზი სკიტიდან და კვლავ იღუმენად ადგენენ. ამასობაში იმპერატორი მიქაელ III სრულწლოვანი ხდება, იგი სასახლიდან აძევებს დედამისს, წმიდა დედოფალ თეოდორას და ბიძის, პატრიკიუს ბარდას დახმარებით ერთპიროვნულ მმართველობას იწყებს. კონსტანტი-

ნოპოლის პატრიარქს წმ. ეგნატეს* მალე იმპერატორის რისხვა ატყდება თავს: ეგნატემ უარი განაცხადა ძალით აღეკვეცათ მონაზვნებად მეფის დედა და ოთხი და. გარდა ამისა იმპერატორსა და ბარდას, რომელსაც კეისარის ტიტული მიანიჭეს, ეგნატე არ აწყობდათ საპატრიარქო ტახტზე, რადგანაც იგი წინააღმდეგი იყო ბარდას მიერ გატარებული რეფორმებისა. კეისარი ბარდა ცდილობდა იმპერიაში წარმართული ფილოსოფია და საერო მეცნიერებები აღორძინებინა; წმ. ეგნატე, როგორც მკაცრი ასკეტი, რა თქმა უნდა, არ სწყალობდა საერო განათლებისა და მეცნიერებების ზედმეტ პოპულარიზაციას; გარდა ამისა, ახალგაზრდა იმპერატორს აღიზიანებდა პატრიარქის კარჩაკეტილობა და სიხისტე, ეგნატეს ჯიბრით მან თავის მეგობრებთან ერთად დაიწყო სამასხარაო ცერემონიალების მოწყობა, სადაც საეკლესიო მსახურებებისა და ლიტანიობების პაროდირებასა და ირონიზირებას ჰქონდა ადგილი. საერო და საეკლესიო ხელისუფლებას შორის ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბა. ამას მოჰყვა ის, რომ ხარების დღესასწაულზე წმ. ეგნატემ საჯაროდ განაყენა კეისარი ბარდა ზიარებისაგან (გავრცელებული ჭორის გამო, თითქოს ბარდა გარყვნილ ცხოვრებას ეწეოდა, რასაც იგი უარყოფდა). 857 წლის 23 ნოემბერს პატრიარქი ეგნატე იძულებული გახადეს ხელი მოეწერა კათედრიდან გადადგომის დოკუმენტზე. მის მაგივრად კი ეპოქის უგანათლებულესი ადამიანი წმ. ფოტიუს დიდი დაადგინეს. ფოტიუსის ნიჭსა და უდიდეს განათლებას მისი დაუძინებელ მტრებიც კი აღიარებდნენ. იგი კეთილშობილი და კეთილმორწმუნე ოჯახიდან იყო. მამამისი წმ. სერგი აღმსარებელი იმპერატორ თეოფილეს დროს ევნო და გადასახლებაში გარდაიცვალა (ხს. 13/26 მაისს). თავად ფოტიუსიც კეთილმრწმუნეობით გამოირჩეოდა. ვიდრე

---

* წმ. ეგნატე საპატრიარქო ტახტზე, იმპერატრიცა თეოდორას მეცადინეობითა და თხოვნით ადის, დედოფალს ამით სურდა საბოლოოდ ჩაექრო კონფლიქტი სტუდიელებთან (ეგნატე სტუდიელებთან დაახლოებული იღუმენი იყო). თავად ეგნატე დამხობილი იმპერატორის მიქაელ რანგავეს შვილი იყო მამის გადაყენებისთანავე ჭაბუკი ეგნატე დაასაჭურისეს, რის შემდეგაც იგი მონასტერში მიდის და უმკაცრეს ასკეტურ ცხოვრებას ეწევა. 30 წელი გაატარა მან დაყუდებაში, რის შემდეგაც იღუმენად აირჩიეს.

პატრიარქი გახდებოდა, იგი სამეფო კარზე კანცელარიის პირველი მდივანი იყო, ამიტომაც მან კარგად იცოდა მმართველობის ყველა წვრილმანი. სახელმწიფოებრივი აზროვნება, დიპლომატიური ნიჭი, ავტორიტეტი გავლენიან წრეებში — თითქოსდა უკეთეს პატრიარქზე ოცნებაც კი შეუძლებელი იყო, მაგრამ წმ. ეგნატეს მომხრეები, რომლებიც საკმაოდ მრავლად იყვნენ, თავიანთი პატრიარქის გადაყენებას არ შეეგუენ და რომის პაპს მისწერეს ეგნატეს უკანონო დამხობის შესახებ. ასე დაიწყო „ფოტიანელთა“ და „ეგნატიანელთა“ ტრაგიკული კონფლიქტი, რომელიც რამდენიმე ათწლეულს გაგრძელდა.

სტუდიელთა იმდროინდელი იღუმენი წმ. ნიკოლოზ აღმსარებელი წმ. ეგნატეს მხარეს იყო, ამიტომაც სტუდიელებმა არ სცნეს ახალი პატრიარქი, გაწყვიტეს მასთან ევქარისტიული კავშირი და არაკანონიკურად მიიჩნიეს მისი კურთხევა. ამის შემდეგ წმ. ნიკოლოზი და მისი ძმა ტიტე დედაქალაქს გაეცალნენ, რათა მოსალოდნელი დარტყმა აეცილებინათ მონასტრისთვის. ისინი ბითვინიის მხარეში ერთ პატარა სავანეში დასახლდნენ. ნიკოლოზის ადგილ-სამყოფელი კეისარმა ბარდამ მალევე შეიტყო და თავისი ჩინოვნიკები მიუგზავნა მოსალაპარაკებლად, რათა ეცნო ახალი პატრიარქი და დაბრუნებულიყო მონასტერში. ამაზე წმ. ნიკოლოზმა უარი განაცხადა, ხოლო იმპერატორი და კეისარი საღმრთო სჯულის დარღვევაში დაადანაშაულა და ღვთის სასჯელი უწინასწარმეტყველა. იმპერატორი ძლიერ განრისხდა და ბრძანა, რომ ბიზანტიის არც ერთ მონასტერს არ მიელო უკვე მოხუცებული და დაუძლურებული ნიკოლოზი, პატრიარქმა კი სტუდიელებს ახალი იღუმენი აქილა დაუდგინა.

წმ. ნიკოლოზ სტუდიელი კი იძულებული იყო ერთი ადგილიდან მეორეზე გადასულიყო უკიდურეს უძლურებასა და უპოვარებაში. საბოლოოდ ერთმა ღვთისნიერმა კაცმა მისთვის მიწის მცირე ნაკვეთი შეიძინა და დაეხმარა სკიტის აშენებაში. პატრიარქი ფოტიუსი ეცადა ნიკოლოზის შემორიგებას მაგრამ ამაოდ, ნიკოლოზი იძულებული გახდა კუნძულ პრიკონისზე გაქცეულიყო იქიდან კუნძულ ლესბოსზე გადავიდა შემდეგ კი ფრაკიის ხერსონესში; მას ყველგან თან ახლდა ბერი ტიტე.

862 წელს სტუდიელთა ახალი იღუმენი აქილა ეპისკოპოსად აკურთხეს, რის შემდეგაც სტუდიელთა იღუმენები იყვნენ: თეოდოსი, ევგენი, თეოდორე სანტავარინი, საბა. თითოეული მათგანი მცირე ხნით იყო წინამძღვარი. საბას იღუმენობის დროს, კეისარ ბარდას ბრძანებით წმ. ნიკოლოზ სტუდიელი დააპატიმრეს და შინა პატიმრობაში ჩაკეტეს სტუდიელთა მონასტერში. ტყვეობა ორ წელს გაგრძელდა. ნიკოლოზმა იმპერატორისა და კეისრის სწრაფი სიკვდილი იწინასწარმეტყველა. მართლაც ერთ წელიწადში ცრუ დასმენის გამო იმპერატორმა ბრძანა ბარდას სიკვდილით დასჯა. მალევე შეთქმულთა მიერ მოკლული იქნა თავად იმპერატორი.

ახალმა იმპერატორმა ბასილი მაკედონელმა საეკლესიო კრება მოიწვია. კრებამ კათედრიდან გადააყენა წმ. პატრიარქი ფოტიუსი — ისიც ისევე უკანონოდ, როგორც მისი წინამორბედი. კონსტანტინოპოლის პატრიარქი ისევ წმ. ეგნატე გახდა. ამის შემდეგ წმ. ნიკოლოზი გაათავისუფლეს და კვლავ სტუდიელთა იღუმენად დაადგინეს.

წმ. ნიკოლოზ სტუდიელი ღვთისაგან სასწაულთმოქმედების ნიჭით იყო დაჯილდოებული. მისი ლოცვით მრავალი უიმედო სნეული განიკურნა. მან ასევე განკურნა სიკვდილის პირას მყოფი დედოფალი ევდოკია. ნიკოლოზმა გააგრძელა თავისი მოძღვრის ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობა, აღსანიშნავია მის მიერ შექმნილი საგალობლები დიდი მარხვის I შვიდეულისთვის, კანონი წმ. თეოდორე სტრატილატისა და სხვა. ღირსი მამა 868 წლის თებერვალში გარდაიცვალა 75 წლის ასაკში.

* * *

IX საუკუნე, სტუდიელთა მონასტრის აყვავების ხანა იყო. მონასტრის ბევრმა ძმამ მრავალი დევნულება და ტანჯვა გადაიტანა წმიდა ხატთა თაყვანისცემის და საეკლესიო კანონთა დაცვის გამო. სათნოებებითა და საღმრთო ნიჭებით შემკული მრავალი წმიდა მამა გაბრწყინდა ამ პერიოდში სტუდიელთა სავანეში. IX საუკუნეში მოღვაწეობდა ღირსი ევარისტ სტუდიელი (ხს. 26 დეკ.), რომელიც წმ. ნავკრატიუსის იღუმენობის დროს აღიკვეცა ბერად.

სტუდიელთა მონასტერი შემდგომ საუკუნეებშიც ერთ-ერთი ყველაზე სახელოვანი და გავლენიანი იყო. მისი ილუმენები ყოველთვის პირველ ადგილს იკავებდნენ საეკლესიო კრებებზე სხვა მონასტერთა ილუმენებს შორის. ასეთივე უპირატესობა ჰქონდათ მათ ღვთისმსახურებისა და კრებების აქტებზე ხელმოწერის დროს. მრავალი ეპისკოპოსი და პატრიარქი იქნა არჩეული სტუდიელთა საძმოდან. საყოველთაოდ იყო ცნობილი მონასტრის ბიბლიოთეკა და სკრიპტორიუმი, სადაც უძვირფასესი და უიშვიათესი წიგნების გადაწერა ხდებოდა. თავისი ღვთივსათნო ცხოვრებით სტუდიელი ბერები უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდნენ მთელს საქრისტიანოში. IX-XII საუკუნის მრავალი ავტორი აღტაცებით მოგვითხრობს მათ შესახებ. სტუდიელთა მონასტერში მოღვაწეობდა წმ. სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველის მოძღვარი წმ. სვიმეონ ღვთისმოშიში (ხს. 12 მარტს).

სტუდიელთა ცნობილი ტიპიკონი, რომელიც წმ. თეოდორეს მიერ იყო შექმნილი, შემდგომში საყოველთაოდ გავრცელდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის უამრავ მონასტერში. საქართველოში იგი წმ. გრიგოლ ხანძთელმა დანერგა. XI საუკუნეში წმ. თეოდოსი პეჩორელმა ეს ტიპიკონი კიევო-პეჩორის ლავრაში დაამკვიდრა, საიდანაც მთელს რუსეთში გავრცელდა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Д. Афиногенов. "Конст. Патриархат и Иконоборческий кризис". Москва. 1997.

2. А. Доброклонский. "Преп. Феодор Исповедник Студийыкий." Том I. Одесса. 1913.

3. Игнатий Скевофилакс. "Житие Св. Никифора Исповедникв". Минск. 2001.

4. Х. Лопарев. "Византийские Жития Святых VIII-IX веков." 1910.

5. А. Лебедев. "История Константинопльских Соборов IX века". Санкт-Петербург. 2001.

6. А. Лебедев. "Очерки внутр. истории восточ. церкви." Москва. 1902.



ათონელი ბერების ეპისტოლე იმპერატორ მიქაელ პალეოლოგისადმი, კონსტანტინოპოლის პატრიარქ იოანე ვეკკას წინააღმდეგ

(როდესაც მეფე და პატრიარქი ყველანაირად ცდილობდნენ ლათინებთან გაერთიანებას)

II ნაწილი

მეფეო! რომ ჩამოვთვალოთ საეკლესიო და ღვთაებრივ გარდამოცემათა და განგებულებათა ყველა ის დარღვევა, რომლებიც ლათინთა მიერ არის ჩადენილი, მაშინ ჩვენი საუბარი გაგრძელდება და შენს სამეფო სმენას გადაღლის. ეს რომ თავიდან ავიცილოთ აღარ მოვიყვანთ ჩვენი წმიდა პატრიარქებისა და მღვდელმთავრების ვრცელ ნაწერებს მათ წინააღმდეგ, სადაც ისინი ამხილებენ მათ; არამედ მოკლედ მოგწერთ შემდეგს. მათ, მეფეო, ცვლილებისა და დამახინჯების გარეშე არ დაუტოვებიათ სარწმუნოების უმთავრესი დოგმატები. ამიტომაც არა მხოლოდ განვარდებიან ქრისტეს სხეულის სიმშვენიერიდან, არამედ გადაეცემიან სატანას. მთელი სახარებისეული სწავლების ბეჭდად მოციქული იმდენად გალატელებს როდი მიმართავს, რომლებიც მხოლოდ ერთ პუნქტში ასწავლიდნენ სხვაგვარად, არამედ იტალიელებს, რომლებმაც თითქმის მთლიანად დაამახინჯეს სახარებისეული, სამოციქულო, კანონიკური და წმიდა მამათა-მიერი გარდამოცემა: „დაღათუ ჩუენ, გინა ანგელოზი ზეცით გახარებდეს თქუენ გარეშე მისსა, რომელი იგი გახარეთ თქუენ, შეჩვენებულ იყავნ!“ (გალ. 1,8-9). ასევე მეექვსე მსოფლიო წმიდა კრება თავის I კანონში ამბობს: „ხოლო უკუეთუ ვინმე ყოველთაგანი არა პირველთქმულთა ამათ კეთილად მსახურებისა სჯულთა შეიტკბობდეს და შეუდგეს და ესრეთ აღიარებდეს და ქადაგებდეს, არამედ წინაუკმო გარდაქცევასა

ამათსა ხელყოფდეს, იყავნ შეჩვენებულ წინასწარ განჩინებულისა მისებრ საზღვრისა პირველმოხსენიებულთა მიერ წმიდათა და ღმერთშემოსილთა მამათა და ქრისტეანეთა კრებულისაგან, ვითარცა უცხოჲთ განიხადენ და განვარდინ, რამეთუ ჩვენ არცა შემატებასა რასმე და არცა დაკლებასა თავს-ვიდებთ რაჲთურთით პირველგანჩინებულთა მათ სარწმუნოებისა საზღვართასა, ანუ გარდავხდებით რომელსაცა სიტყვასა". ასე ღაღადებს ეს კანონი. და განა კანონიკურ ანათემას არ გადაეცემიან ისინი, ვინც საჯაროდ ქადაგებენ სიახლეს და აშკარად მიდიან საღმრთო დოგმატთა წინააღმდეგ, ანუ აკლებენ ანდა ამატებენ რაიმეს მამათა სწავლებას. ხოლო „რომელთა უწინარეს საკრებო განჩინებისა განაშორნეს თავნი თვისნი ზიარებისაგან ეპისკოპოსად სახელდებულისა მის, რაჟამს მან მწვალებლობაჲ იგი საეროდ ქადაგოს და დაუბურველითა თავითა ეკლესიასა შინა ასწავოს, ეგევითარნი იგი არა ხოლო კანონთამიერისა განკანონებისაგან თავისუფალ არიან, არამედ ვითარცა მოშურნენი მართლმადიდებლობისანი პატივისაცა ჯეროვნისა ღირს იქმნენ, რამეთუ არა ეპისკოპოსი, არამედ ცრუ ეპისკოპოსი და ცრუ მოძღვარი განიკითხეს და არა განხეთქილებითა განჭრეს ერთობაჲ ეკლესიისაჲ, არამედ განხეთქილებათა და განყოფათაგან ხსნაჲ ეკლესიისაჲ ისწრაფეს". ამას ბრძანებს წმიდა და დიდი ორგზისი კრების მე-15 კანონი.

რამდენად დასაშვებია და ღვთივსათნოა ჩვენი გაერთიანება მათთან, რომელთაც სამართლიანად და კანონიერად განვეშორეთ და რომელნიც კვლავაც მწვალებლობაში არიან? თუკი ჩვენ ამას მართლმადიდებლურად მივიჩნევთ, მაშინ მხოლოდ ამით დავაქცევთ და წავშლით ყველაფერს ჭეშმარიტს. რამეთუ ღვთაებრივი კანონები ღაღადებენ: „უკუეთუ ვინმე უზიარებელსა სახლსაღა თუ შინა თანამლოცველ ექმნეს, უზიარებელ იქმენინ იგიცა" (მოც. 10; ანტიოქ. 2) და კიდევ: „ვინც მწვალებელთან ერთიანდება იგივე სასჯელს იმსახურებს, რასაც მწვალებელი". შესაბამისად რა დანაშაულისთვისაც არიან ისინი სასჯელის ქვეშ, ჩვენც მათთან ერთად დავისჯებით საღმრთო კანონებით, რომლებიც სული წმიდამ განაჩინა. არ შეიძლება ამის დაშვება, არ შეიძლება!

არც კი ღირს იმის ხსენება (ვგულისხმობთ ცრუ-პატრიარქ იოანე ვეკკას), ვინც სიბნელეა და თავი სინათლედ მოაქვს, ვინც მთავარი

მაცთუნებელია ამ საქმეში, ვინც მათთან გაერთიანების საბაბით ცდილობს მზაკვრული და სასიკვდილო დარტყმა მიაყენოს მთელს სხეულს, ვისაც არ ძალუძს ღიად დაარწმუნოს ვინმე და ამიტომაც ფარულად მოქმედებს, კერძოდ კი ცდილობს, უეცრად გაუღოს სამწყსოს კარიბჭე მგლებს და ბოლომდე მიიყვანოს ბოროტი საქმე. თუ ვინმეს შემოერთების სურვილი აქვს, დაე აზრები შეიცვალოს და ისე შემოგვიერთდეს; ხოლო თუ გაერთიანება საკუთარი ბოროტებისა და სიცრუის შენარჩუნებით სურთ, მაშინ ამას ვერ შესძლებენ.

მეფეო, მოისმინე ყოვლაწმიდა სულის მიერ დამოწმებული სიტყვები, რომელთაგან ერთი იოტაც არა წარხდეს (ლკ. 16, 17). უფლის დიდი მოციქული და მახარებელი იოანე ღვთისმეტყველი ამბობს: „რომელ მოვიდეს თქუენდა და ესე მოძღვრებაჲ არა მოაქუნდეს, ნუ შეიწყნარებთ სახლთა თქუენთა და „გიხაროდენ“ ნუ ეტყვით მათ, რამეთუ რომელმან ჰრქუას მას „გიხაროდენ“ ეზიარების საქმეთა მისთა ბოროტთა“ (2 ინ. 1, 10-11).

თუკი ჩვენ მათთვის უბრალოდ გზაზე მისალმება გვეკრძალება, თუკი არ შეგვიძლია მათ სახლში შესვლაც კი, მაშინ როგორ მივიღებთ მათ ტაძარში, თვით საკურთხეველში, ძე ღმრთისას საშინელ და საიდუმლო ტრაპეზზე, სადაც თავად უფალი შეიწირება უსისხლო მსხვერპლად? რომელიც უმანკო კრავივით დაიკვლის, რათა შეგვარიგოს მამასთან და თავად მასთან, და ჩვენი ცოდვები საკუთარი სისხლით განწმიდოს. რომელი გონებადაბნელებული გაბედავს წამოსცდეს მოხსენიება იმის სახელისა, ვინც სული წმიდის მიერ არის განკვეთილი, როგორც ღმერთზე და წმიდანებზე აჯანყებული, და ამით თავად გახდეს ღმერთის მტერი? იმიტომ, რომ თუკი მხოლოდ მისალმება გვხდის ჩვენ მათი მზაკვრული საქმეების თანამონაწილედ, მაშ რაოდენ უფრო მეტია ხმამაღალი მოხსენიება მისი (ცრუპატრიარქის), როდესაც წინ საღმრთო, საშინელი საიდუმლონი გვაქვს დაგებული. თუკი ჩვენს წინ დაგებული თავად არის ჭეშმარიტება, მაშ როგორ დაუშვებს იგი ამ უდიდესი ტყუილის სიმართლედ გასაღებას — ანუ მის მართლმადიდებელ პატრიარქად გამოცხადებას? ნუთუ საშინელ საიდუმლოთა აღსრულების დროს, როგორც სცენაზე, ისე უნდა ვიხუმროთ? როგორ მოითმენს ამას მართლმადიდებელი სული? განა უმალვე არ განეშორება იგი იმათ, ვინც მას

მოიხსენიებს? როგორ არ ჩათვლის ასეთებს სიწმიდის გამყიდველებად? მართლმადიდებელი ეკლესია ღვთისმსახურებისას ეპისკოპოსის სახელის ღვთაებრივ მოხსენიებას ყოველთვის სრული ერთობის უპირობო ნიშნად მიიჩნევდა. წმ. გერმანე კონსტანტინოპოლელის მიერ დაწერილ საღმრთო ლიტურგიის განმარტებაში ვკითხულობთ: „მღვდელმოქმედი აღამაღლებს ეპისკოპოსის სახელს, წარმოაჩენს რა უპირატესისადმი მის მორჩილებას, სრულ ერთობას მასთან, და მისი სარწმუნოების მემკვიდრეობას და ერთგულებას“.

ასევე ჩვენი დიდი მამა და აღმსარებელი თეოდორე სტუდიელი თავის ძვირფას წერილში გვასწავლის: „შენ მწერ, რომ შეგეშინდა პრესვიტერისთვის გეთქვა – არ მოეხსენებინა მწვალებელი ეპისკოპოსის სახელი, ერთს გეტყვი მხოლოდ – მარტო მოხსენიებისმიერი ერთობა ბეჭედივით ასვამს ლაქას, თუნდაც მომხსენებელი მართლმადიდებელი იყოს“. ასე გვმოძღვრავს ეს წმიდა მამა, მასზე ადრე კი თავად ღმერთი: „და მღვდელთა მისთა შეურაცხ-ყვეს შჯული ჩემი“ (იეზეკ. 22, 26). როგორ? „შორის წმიდისა და ბილწისა არ განარჩევდეს“ (იეზეკ. 22; 26) განურჩევლად იქცეოდნენ და სულ ერთი იყო მათთვის. რა შეიძლება იყოს ამაზე ნათელი და ჭეშმარიტი?

მაგრამ იქნებ შესაძლებელია კეთილგონიერი შემგუებლობა (იკონომია)? როგორ შევეგუოთ იმას, რაც ბილწავს ღვთისმსახურებას, საღმრთო სულის გარეშე ტოვებს მღვდელმოქმედებას და ამიტომ მორწმუნეებიც ცოდვათა მოტევებისა და ღმერთთან შეთვისების გარეშე რჩებიან? შეიძლება კი იყოს რაიმე ამგვარი იკონომიაზე უფრო მავნე? სულიერი ერთობა თუნდაც ერთ პუნქტში მთელი სიმართლის დარღვევის ტოლფასია. რადგანაც მწვალებელთან ერთობის მქონე ოგივე სასჯელის ღირსია, როგორც საეკლესიო კანონთა დამრღვევი. ხოლო ამგვარი იკონომიის მქადაგებელნი, უგულებელყოფენ რა საეკლესიო კანონებს, შედიან ლოცვით კავშირში იუდეველებთან, სომხებთან, იაკობიტებთან, ნესტორიანელებთან, მონოთელიტებთან და საერთოდ ყველა ჯურის მწვალებლებთან და მხოლოდ ამიტომ არ იმსახურებენ არანაირ იკონომიას და თანაზიარნი არიან ყველა ღვთისმბრძოლი მწვალებლობისა, რადგანაც საეკლესიო კანონთა და უზენაესი საღმრთო სჯულის მიხედვით არ განარჩევენ მწვალებლებს მართალთაგან და თავად ივსებიან ყოველგვარი ერესით.

ვის მივცეთ ქრისტეს მართლმადიდებელ ეკლესიაზე წინამძღოლობის უფლება, კაცს, რომელიც მწვალებელია? ეს ხომ სრული ღალატია და არა იკონომია. იგი უკანასკნელი ადგილის ღირსიც კი არ არის. რამეთუ დიდი მამა ჩვენი გრიგოლ ღმრთისმეტყველი ამბობს: „თუკი ნოვატი არ ღებულობდა მათ, ვინც არ შეინანეს დაცემის შემდეგ, არც მე ვღებულობ ასეთებს, თუკი ისინი ქედს არ მოიდრეკენ ან ჯეროვნად არ დამდაბლდებიან, და უჯერი საქმის გამო გამოსწორების პირობას არ დადებენ. აი, მაშინ კი მივიღებ და სათანადო ადგილსაც მივუჩენ“.

ვინ შეამჩნია მასში (პატრიარქში) ანდა მასთან ერთობაში მყოფთა შორის გამოსწორების სურვილი? სად არის სინანული ავი საქმეების გამო? რა თქმა უნდა, ისინი უკანასკნელ ადგილსაც კი არ იმსახურებენ, მაშინ როგორღა იქნებიან წინამძღვარნი? დაე თუნდაც მოახერხონ რომელიმე ეკლესიაში ძალაუფლების ხელში ჩაგდება, ტფუ! ფურთხის ღირსნი არიან მხოლოდ! „ნუ ხელეწიფების ბრმასა ბრმისა წინა-ძღუანვად? არა-მეა ორნივე ჯურღმულსა შთაცვივენ?“ (ლუკ. 6,39) და „უკუეთუ თუალი შენი ბოროტ იყოს, ყოველი გვამი შენი ბნელ იყოს. უკუეთუ ნათელი იგი შენ შორის ბნელ არს, ბნელი იგი რაოდენ-მე?“ (მათე 6,23). როგორც დიდი ღმრთისმეტყველი გრიგოლი ბრძანებს, ყოველი ქვეშევრდომი თავის წინამძღოლს ემსგავსება.

წმიდა კრებათა ღვთაებრივი კანონები მათ მიერ მთლიანად უარყოფილია, სულიერი ცხოვრების კვალი და სუნიც კი არ გააჩნიათ, მხოლოდ ერეტიკოსობენ და ეკლესიას შფოთითა და საცდურით ავსებენ. რამეთუ შეუძლებელია შეუთავსებელთა ერთად ყოფნა, არც შეუერთებელთა შეკავშირება. „რამეთუ არა მოყვსობა არს სიმართლისა და უსჯულოებისა, ანუ რა ზიარება არს ნათლისა და ბნელისა“. (2 კორ. 6,14). ანუ რა საერთო აქვთ მართლმადიდებლებსა და მწვალებლებს, რომელთაც უნდა განვეშოროთ, როგორც ამას თავად ღმერთი გვასწავლის: „აღიხოცენ უკეთურებანი იგი თქუენ შორის“ (2 სჯ. 13.5). და „უკუეთუ თუალი შენი გაცთუნებდეს შენ, აღმოიღე იგი და განაგდე შენგან“ (მათე. 18,9). აგრეთვე დიდი პავლე, უფრო სწორედ თავად უფალი პავლეს ბაგით გვიბრძანებს: „მწვალებელსა კაცსა შემდგომად ერთისა და ორისა სწავლისა განეშორე“ (ტიტ. 3, 10) და კვალად — „გამცნებ თქუენ ძმანო სახელითა

უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესითა, განშორებად თქუენდა ყოვლისავე მისგან ძმისა, რომელი უწესოდ ვიდოდეს და არა მოძღვრებისა მისებრ, რომელი ისწავა ჩუენგან“ (2 თეს. 3; 6). სხვაგან კი გვამცნებს „ნუ თანააღერევით მათ“ (2 თეს. 3,14). მსგავსად ამისა გვმოძღვრავს ღმერთშემოსილი დიდი მამა ჩვენი ეგნატე, რომელიც გვაფრთხილებს მოვერიდოთ ადამიანის მსგავს მხეცებს – მწვალებლებს, რომელნიც არა მხოლოდ არ უნდა მივიღოთ, არამედ მათთან შეხვედრასაც კი უნდა ვერიდოთ.

როგორ ვაღიაროთ მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვრებად და უმაღლეს მსაჯულებად ისინი, ან როგორ მოვიხსენიოთ ხმამაღლა მათი სახელები ეკლესიაში თვით საიდუმლო ტრაპეზის წინ, ისე რომ ტრაპეზი არ წაიბილწოს და კურთხეული დარჩეს.

ნუ დაუშვებ ამას შენი სულისთვის, მეფეო წმინდაო და ღვთივარჩეულო, თვითმპყრობელო, ქრისტესმოყვარეო! არამედ „დაადგერ მას ზედა, რომელიცა გისწავიეს და გრწმენა, უწყი ვისგან გისწავიეს“ (2 ტიმ. 3,14), რამეთუ ქრისტეს მადლით გისწავიეს. „კეთილი იგი ვედრი დაიმარხე სულითა წმიდითა“ (2 ტიმ. 1,14) და ქრისტეს დიდი მოციქულის სწავლებით „განეშორე ბილწთა მათგან ცუდთა ხმათა, და სიტყვის-გებათა მათგან ტყუილით სახელის მეცნიერებისათა რომელსა იგი ვიეთნიმე აღუთქმიდეს, და სარწმუნოებისაგან ცუდნი განვარდეს“ (1 ტიმ. 6, 21-22)! რათა შენს მიერ და შენთან ერთად ჩვენც, მთელი ქრისტიანული სავსება, მართლმადიდებლობითა და სიყვარულით დაცულნი უბიწოდ წარვსდგეთ „ვიდრე გამოჩინებამდე უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესა“ (1 ტიმ. 6,15) და გავხდეთ მონაწილენი მისი საუკუნო მეუფებისა. „სარწმუნო არს ღმერთი“ (1 კორ. 1,9), რომელიც ამის ღირსად გვყოფს, თუკი მის მცნებებს დავიმარხავთ ქრისტეს მადლით ყოვლადწმიდა საღმრთო სულში. ამინ.

Епископ Арсений Иващенко.

„Послание с исповеданием веры“. Москва. 1895.

ამ ეპისტოლეს ავტორი ათონელი ბერები ლათინებმა მოწყვიტეს ჯვაროსნული ლაშქრობების დროს. ამბავი მათი მარტვილობისა იხილეთ „სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა“ ტ. II.



წმ. გრიგოლ პალამა

ტრიადა I
(ფრაგმენტი)

წმიდა ბასილი დიდს მოჰყავს ფარაონის სიტყვები ისრაელისადმი: „გცალს და მოცალე ხართ და მისთვის იტყვით: განვიდეთ და ეჰმსახუროთ ღმერთსა ჩვენსა“ (გამოსვლ. 5,17), და აგრძელებს: „ეს – კეთილი მოცლილობაა და სასარგებლო მოცლილთათვის, ბოროტი მოცლილობა კი – ათინელთა მოცლილობაა, რომელთაც არ იცოდნენ უფრო მეტი გართობა, ვიდრე ახალი ამბების მოსმენა და ამაოდსიტყვაობა (საქმ. 17,21).“ მზაკვარ დემონთათვის სასურველი ამგვარი მოცლილობა ახლაც მრავალთათვისაა საყვარელი გასართობი მთელი მათი ცხოვრების განმავლობაში. მავანი იტყვის, რომ წმიდა ბასილი აქ მხოლოდ რიტორიკული ამაოდმეტყველების შესახებ საუბრობს, მაგრამ მოვისმინოთ თუ რას გვასწავლის იგი სოლომონის იგავთა განმარტებისას: „ეგვიპტელთა მიერ მოგონილი გეომეტრიის, ქალდეველთა ასტროლოგიის და საერთოდ ფიგურათა და სიმბოლოთა გარშემო მოტრიალეთაგან ბევრნი უგულებელსყოფდნენ საღმრთო წერილის შესწავლას, დაბერდნენ ამგვარ ამაო ცოდნის ძიებაში, რომლის შესწავლაც სასარგებლო მხოლოდ იმითაა, რომ განვაგდოთ უაზრო და მავნე სწავლანი და გამოვირჩიოთ მხოლოდ სულისთვის სარგო“ (წმ. ბასილი დიდი „მეოთრმეტე სიტყვა იგავთა შესახებ“). ხედავ? უაზროს, მავნეს, ამაოს ეძახის იგი გარეშე სიბრძნეს. ევსტათი სებასტიელის მიმართ წერილში წმ. ბასილი დარდობს და ნანობს იმ წლების შესახებ, რომლებიც მან სხვადასხვა მეცნიერებების და ფილოსოფიის შესწავლას შეალია: „მრავალი წელი გავფლანგე ამაოებაში, მთელი სიჭაბუკე უსარგებლო შრომაში დავღუპე, რომელიც მხოლოდ

იმას შევალიე, რომ ღმერთის მიერ სისულელედ შერაცხილი სიბრძნე შემესწავლა. ერთხელაც, თითქოს ღრმა ძილიდან გამოფხიზლებულმა, დავინახე უსარგებლობა ამაო სიბრძნისა და მრავალი ცრემლით დავიტირე ჩემი უბედური ცხოვრება. მაშინ ვილოცე ღვთის წინაშე და ვითხოვე წინამძღოლის მომადლება" (წერილი 223). გესმის, რას უწოდებს მეცნიერებას და გარეშე ცოდნას, რომლის განდიდებასაც ცდილობენ დღეს მრავალნი? მათი სახელი – ამაობა, უსარგებლო შრომა, უაზრო სიბრძნე, ამა სოფლისა და მისი მთავრის სიბრძნე, ღვთივსათნო ცხოვრებისთვის დამღუპველი სიბრძნეა. ტყუილად როდი სწუხს და ინანიებს ჭეშმარიტი სიბრძნის მოყვარული, რომ საერო მეცნიერებების შესწავლას შეალია ამდენი დრო, თუმცა მათში ვერაფერი იპოვა, რაც ჭეშმარიტი სიბრძნის აღმოჩენაში დაეხმარებოდა.

გარეშე მეცნიერებისგან შეძენილი ცოდნა, არათუ მსგავსია, არამედ საწინააღმდეგოა ჭეშმარიტი და სულიერი სიბრძნისა, თუმცა ზოგიერთნი ვინაც ამ ცოდნას გამოედევნენ, თავადაც გზააბნეულნი, სხვების ცდუნებასაც ლამობენ. გაგიმხელთ გარეშე ფილოსოფოსთა მზაკვრობის საზარელ სიღრმეს. ბოროტმა ძალამ და მათ, ვინც დემონისაგან ისწავლეს მზაკვრული ბრძნობა, ჩვენგან ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლო მცნება მოიპარეს და მას ერთგვარ სატყუარად იყენებენ, რადგანაც ორი გამონათქვამი: „ეკრძალე თავსა შენსა" (2 სჯ. 15,9) და „შეიცან თავი შენი" (წარწერა აპოლონის ტაძარზე დელფოში) წააგავს ერთმანეთს. მაგრამ საკმარისია ჩავეძიოთ მეორე გამონათქვამის შინაარს, მყის აღმოვაჩენთ ამ ცრუსწავლების დამღუპველ მორევს: სულთა გადასახლების შესახებ ცრუმოძღვრების მიმდევარნი თვლიან, რომ ადამიანი მაშინ მიაღწევს თვითშემეცნებას და აღასრულებს ამ მცნებას, თუ გაიგებს, რომელ სხეულში ცხოვრობდა უწინ, რას აკეთებდა, რას სწავლობდა, ვინ იყო; ამას კი მაშინ მიხვდება, თუკი ბოროტი სულის მზაკვრულ რჩევებს აღასრულებს მორჩილად. აი ამას გულისხმობენ ისინი სიტყვებში – „შეიცან თავი შენი", იმათ კი, ვინც ვერ ამჩნევს მათ მზაკვრობას ატყუებენ, თითქოს ჩვენი წმიდა მამების მოძღვრებასთან იყოს თანხმობაში მათი სიცრუე! სწორედ ამიტომ არ შეიწყნარეს პავლე და ბარნაბა მოციქულებმა ის ქალი, რომელიც მათ შესახებ ღაღადებდა: „ესე კაცნი მონანი არიან ღმრთისა მაღლისანი" (საქმ. 16,17), იცოდ-

ნენ ბოროტი ძალისა და მისი განდობილების მზაკვრული განზრახვანი, თუმცა თითქოსდა რა იყო ამ სიტყვებზე უფრო კეთილგონიერი? მაგრამ მოციქულებმა მყის შეიცნეს ის, ვინაც ნათლის ანგელოზის სახეს ღებულობს – „იგიცა ეშმაკი იცვალვისვე ანგელოზად“ და მისი მსახურები, რომლებიც „ვითარცა მსახურნი სიმართლისანი“ (2 კორ. 11; 14-15) მოაჩვენებენ თავს, და ამიტომაც არ მიიღეს თვით ჭეშმარიტი სიტყვა, რადგან ცრუ ბაგეთაგან იყო ნათქვამი.

ასევე ჩვენც, გვესმის რა ელინთაგან თითქო კეთილგონიერი საუბრები, არც მათ ვთვლით კეთილგონიერებად და არც მოძღვართა და ბრძენთა რიცხვს არ მივაკუთვნებთ, თუმცა კი ვიცით, რომ ყველაფერი ჩვენგან (საღმრთო წერილიდან) აიღეს – ამაოდ არ უთქვამს ერთ პითაგორელს პლატონის შესახებ: „ვინ არის პლატონი, თუ არა ატიკელი მოსე?“, – თუმცა, ვიმეორებ, კარგად ცნობილია, რომ ყველაფერი კარგი მათ სწავლებაში ჩვენგან მიტაცებულია ყურმოკვრით, მაგრამ საკმარისია კარგად ჩავეძიოთ, რომ აშკარად დავინახავთ: ყველაფერი როდი გაიგეს მათ სწორად. დაე თუნდაც რომელიმე წმიდა მამა ამბობდეს იმას, რასაც გარეშე ფილოსოფოსები ასწავლიან, თანახვედრა მხოლოდ სიტყვებშია, აზრში კი უდიდესი განსხვავება: პირველთ პავლეს სიტყვებით „გონებაჲ ქრისტესი“ (1 კორ. 2,16) შეუმოსავთ, მეორენი კი კაცობრივად განსჯიან, თუ უფრო უარესი არ ვიფიქრეთ. „ვითარცა განშორებულ არს ცაჲ ქუეყანისაგან, ეგრეთ განშორებულ არს გაგონებანი თქუენნი გაგონებისაგან ჩემისა“ (ესაია. 55, 9) – იტყვის უფალი. ეს ფილოსოფოსები თუნდაც რაიმეში, რომ იყვნენ თანხმობაში მოსესთან და სოლომონთან, რომელი ჭკუათმყოფელი იტყვის, რომ ეს მათ ღმერთისგან ეუწყათ, როდესაც მწვალებლებსაც კი, რომლებიც ქრისტეს მოსვლის შემდეგ ცდუნდნენ, ვერავინ უწოდებს ღვთის მოწაფეებს იმიტომ, რომ ეკლესიაში ნაქადაგები ჭეშმარიტება დაამახინჯეს. „ღმერთთა რომელთა ცაჲ და ქუეყანაჲ არ შექმნეს, წარწყმდედ ქუყანისაგან“ (იერ. 10,11), და მათთან ერთად მათი გამომგონებელი თეოლოგები, დავამატებ მე წინასწარმეტყველის სიტყვებს. რაღა ვთქვათ იმ ადამიანებზე, რომლებიც ირწმუნებიან, თითქოს ეს ფილოსოფოსები თანხმობაში არიან ჩვენს ღვთისმეტყველებასთან და უფრო მეტიც, თითქოს ისინი იყვნენ ჩვენი მამების მასწავლებლები და მათგან გვქონდეს ნასესხები მთავარი თეოლოგიური

გამონათქვამნი? ამაზე მხოლოდ ის შეგვიძლია ვითხოვოთ „ნათლისაგან, რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა მომავალსა სოფლად“, იხსნას ისინი ამ საშინელი უმეცრების წყვდიადისგან და გაუნათოს გონება, რათა მიხვდნენ, რომ თვით გველისაგანაც შეიძლება სარგებლის მიღება, ოღონდაც ჯერ უნდა მოიკლას იგი, გაიფატროს, მისი შხამიდან წამალი მომზადდეს და მხოლოდ შემდეგ იქნას ეს საშუალება გამოყენებული გველისავე ნაკბენის სამკურნალოდ. ამდენადვეა სასარგებლო ჩვენთვის გარეშე ფილოსოფოსთა გამონაგონი, რათა ვისარგებლოთ მათი ცოდნით მათვე წინააღმდეგ, დავამარცხოთ ისინი მათივე მახვილით, ვითარცა დავითმა გოლიათი, რომელიც ამხედრებულა ჩვენს წინააღმდეგ და „რომელი აყუედრებს ბანაკსა ღმრთისა ცხოველისასა“ (1 მეფ. 17,36), ბანაკსა ანუ ეკლესიასა, რომელსაც საღმრთო მოძღვრება უსწავლელ მეთევზეთაგან მიუღია.

გარეშე სიბრძნის შესწავლისას, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა გველის შემუსვრა, ანუ ამ სიბრძნისაგან წარმოშობილი ქედმაღლობის განადგურება — ოო! რა ძნელია ამის გაკეთება! რამეთუ როგორც ამბობენ, „ფილოსოფიური ამპარტავნება ვერ ეგუება თავმდაბლობას“. გველის მოკვლის შემდგომ აუცილებელია მისი თავისა და კუდის ანუ საკუთარ გონებაზე არასწორი წარმოდგენის, ღმერთზე, პირველსაწყისებზე, ქმნილებაზე გამოგონილი ზღაპრების მოკვეთა ანუ უარყოფა. შუა ნაწილის, ანუ ბუნების შესახებ მეცნიერების, გაწმენდა მავნე ბრძნობისაგან, რაც სულის მჭვრეტელობით უნარს ძალუძს მხოლოდ, ისევე, როგორც აფთიაქარები ასუფთავებენ გველის ტანს ცეცხლითა და წყლით ანუ დიდხანს დულილით. ხედავთ, რამდენი შრომა და გამჭრიახობაა საჭირო გველისგან (გარეშე სიბრძნისგან) სარგებლის მისაღებად!

და მაინც, თუნდაც კეთილად ვისარგებლოთ კარგად განწმენდილგასუფთავებული გარეშე სიბრძნის საუკეთესო მხარეებით, რაც უკვე ბოროტება აღარ არის, მაშინაც კი ვერ დავუძახებთ მას საღმრთო და სულიერ ნიჭს, რადგანაც იგი ბუნებითი და არა ზეგარდამო მონიჭებული სიბრძნეა. ამიტომაც ეძახის მას „ხორციელს“ საღმრთო სიბრძნის გამომეტყველი ბრძენი მოციქული პავლე. ჭეშმარიტად სამართლიანია, რომ გარეშე სიბრძნის მეცნიერნი პავლე მოციქულის მიერ ხორციელ ბრძნებად არიან სახელდებულნი.



ბესარიონ კათალიკოსი (ბარათაშვილ-ორბელიშვილი)

წმიდისა და თაყუანისსაცემელისა ცხოველსმყოფელისა სულისა წმიდისათჳს

ხოლო წმიდისა და განუყოფელისა ერთღმრთეებისა სამებისა საიდუმლო რაჲ აღვწერეთ, აწ კუალად ცხოველსმყოფელისა სულისა წმიდისათჳს ვიტყჳთ: თუ რაჲ არს მიზეზი მათისა (ლათინთა) ესრეთ უწესოდ აღსარებისა, ვითარმედ სული წმიდა მამისა და ძისაგან გამოვალსო, რომელი ესე უცხო არს ქადაგებისაგან წმიდათა მოციქულთა და ღმერთშემოსილთა კაცთასა. ხოლო ჩუენ არა ვიტყჳთ სულსა წმიდასა ძისაგან გამოსლვით, არამედ მამისაგან, მოძღვრებისაებრ წმიდათა მოციქულთასა და ღმერთშემოსილთა მამათასა. რამეთუ, ვითარცა ძე იშვა მამისაგან პირველ ყოველთა საუკუნეთა და უწინარეს ჟამთა, ეგრეთვე სული წმიდა გამოვიდა მისვე მამისაგან უწინარეს ჟამთა და პირველ ყოველთა საუკუნეთა. რამეთუ ერთი არს არსება და ბუნება მამისა და ძისა და სულისა წმიდისა, სიტყჳსაებრ საღმრთოთა წერილთასა, მოციქულთა და წინაჲსწარმეტყუელთა და მოძღვრებისაებრ წმიდათა ღმრთის მეტყუელთასა. რამეთუ არცა ერთსა ვის წმიდათაგანსა უთქუამს სული წმიდა ძისაგან გამოსლვით, ვითარცა ძე არა თქმულ არს სულისაგან შობილად, არამედ მხოლოდ მამისაგან. ეგრეთვე არცა ითქუმის სული წმიდა ძისაგან გამოსლვით, არამედ მამისგან. რამეთუ რაოდენნი ღმრთისმეტყუელნი არიან წმიდათა მამათა მიერ აღწერილნი და უმეტეს დიდისა ღმრთისმეტყუელისა გრიგოლისნი, რომელმან ერგასისნი თავნი ღმრთის-

მეტყველებანი აღწერნა ვრცელად და უნაკლოდ. რამეთუ ყოვლად ღმრთისმეტყველისა და მახარებელისა იოანესა ამას მიხუდა სახელი ღმრთისმეტყველებისა და ყოველივე თქმული მისი ღმრთისმეტყველებითა აღსავსე არს და არცა ერთსა თქმულთა მისთა შინა იპოების, თუმცა ეთქუა ძისაგან გამოსლვით, არამედ მხოლოდ მამისაგან. არცაღა დიდსა და ზეცით გამობრწყინვებულსა ბასილის, არცა წმიდასა და ყოვლისა სოფლისა მნათობსა ოქროპირსა, არცა დიდსა ათანასის, არცა გრიგოლი საკჳირველთმოქმედსა, რომელსა ცხადად წარმოუდგა წმიდა ღმრთისმშობელი და ღმრთისმეტყველი იოანე და გამოუცხადეს წმიდისა სამებისა საიდუმლოჲ და მყის აღწერა მათსავე მუნ ყოფასა შინა მათითავე ბრძანებითა მოკლითა სიტყჳთა და დიდითა სიბრძნითა და აღწერილი იგი ჰგიეს დღეინდელად დღედმდე, ხოლო მე განვრცელებისათჳს არა აღვწერე აქა, და ვისცა ენებოს, იგი წარიკითხოს და ყოველივე ცხადად ეუწყოს. და არცა სხუასა სადა ვის ღმრთისმეტყველთაგანსა უთქუამს ესე, არცა უკადრებიეს, თუ მამისაგან და ძისა გამოვალს, და თუმცა ყოფილიყო ესე ცილობაჲ და ამისი თქუმა, მრავალნიმცა აღწერნეს ამის პირისათჳს ნეტართა მათ წინა აღსადგომელი უთქუმელისა ამის სიტყუისა, არამედ ნეტარსა იოანე დამასკელსა, რომელსა ეწოდა ოქრონექტარი თჳთ დედუფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა მიერ, ამასა წინათვე ეუწყა სულისაგან წმიდისა წვალება ესე და მან აღწერა ცხადად და ჭეშმარიტად თქმულთა შინა თჳსთა ღმრთისმეტყველებათა. და იტყჳს ესრეთ: არა ვიტყჳთო სულსა წმიდასა ძისაგან გამოსლვითა, რომელი არასადა გჳპოვნიეს საღმრთოთა წერილთა შინაო. არამედ მამისაგან. და სულად ძისა და სულად ქრისტესაო, ვითარცა წერილ არს, გამოავლინა ღმერთმან სული ძისა თჳსისა გულთა შინა ჩუენთა. და კუალად იტყჳს, რომელსა სული ქრისტესი არა აქუნდეს, იგი არა არს ქრისტეანიო.

ხოლო ძისაგან გამოსლვით არა თქუმით არს, არცა ვის აღწერით დაუტევებიეს, არამედ მამისაგან ვითარცა შობა ძისა, ეგრეთვე გამოსლვა სულისა მისგანვე მამისა, რამეთუ მამა არს მიზეზი შობისა და გამოსლვისა, ვითარცა თავადი ჭეშმარიტება და ცხოვრება ჩუენი ქრისტე ბრძანებს: სული იგი ჭეშმარიტებისა, რომელი მამისაგან გამოვალს, მან წამოს ჩემთჳს და თქუენცა მოწამე ხართ (იოანე

12.26), რომლისათჳს (რაჲსათვის) არა თქუა სული იგი ჭეშმარიტებისა, რომელი მამისაგან და ჩემგან გამოვალს; ანუ ვერ დაიდუმეს დიდი ესე საიდუმლო წმიდათა მოციქულთა და შემდგომთა მათთა ღმრთისმეტყველთა.

ხოლო იტყჳან ლათინნი, კაცობრივ იტყჳსო და არა ღმრთაებრო. ქრისტემან მეუფემან ჩუენმან ვიდრეცა ჯორცითა ქუეყანასა ზედა იქცეოდა, თავისა თჳსისა ღმრთეება ცხადად და გამოჭეშმარიტებით არასადა გამოაცხადა, არამედ იგავით და მიფარულადრე. და ოდეს ამაღლდა მამისა, მერმე უკანასკნელ მოწაფემან მისმან და მოციქულმან იოანე ღმრთისმეტყველმან ცხადად და მზისა უბრწყინვალესად და ყოვლისა საყჳრისა უმაღლესად ღაღადყო ღმრთეება მისი და იტყჳს.

პირველითგან იყო სიტყუაჲ და სიტყუაჲ იგი იყო ღმრთისათანა და ღმერთი იყო სიტყუაჲ იგი, ესე იყო პირველითგან ღმრთისა თანა: (იოანე 1.1-2.) ესრეთ გამოაცხადა ღმრთეება ძისა და თანასწორება მამისა, ეგრეთვე სხუანი მოციქულნი იტყჳან ღმრთეებასა მისსა და არღარა დაფარვენ, ვითარცა პავლე მიუწერს ტიმოთეს.

ღმერთი გამოჩნდა ჯორცითა და განმართლდა სულითა, ეჩუენა ანგელოზთა, იქადაგა წარმართთა შორის, ჰრწმენა სოფელსა, და ამაღლდა დიდებით (1ტიმოთეს მიმართ3,16;) და კუალად ტიტეს მიუწერს.

და მოველოდით ნეტარსა მას სასოებასა და გამოჩინებასა დიდებასა დიდისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა, რომელმან იგი მისცა თავი თჳსი ჩუენთჳს *(ტიტეს მიმართ 2, 13-14)* ვინაჲთგან ესრეთ ღუთაება ქრისტესი ცხადად თქუეს და არღარა დაჰფარნეს, ვითარ დიდი ესე საიდუმლოჲ სულისა წმიდისა ძისაგან გამოსლვა რაჲსათვის დაიდუმეს? და უკუეთუ ქრისტემან ესე არა დაფარა, რაჟამს ეტყოდა მოწაფეთა: რაჟამს მოვიდეს ნუგეშინისმცემელი იგი, რომელი მე მოვავლინო თქუენდა მამისა ჩემისა მიერ (იოანე 15,26) და კუალად ჩემგან მიიღოს და გითხრას თქუენ. ესენი არა დაფარნა და არცა დაერიდა კაცობრიობასა, ვითარმედ მე მოვავლინო და ჩემგან მიიღოს და გითხრას თქუენ. ამისა უმეტესი სიტყვა რაჲღა იყო და საიდუმლოსა გამოცხადება. უკუეთუ ესე არა დაე-

ფარა მას რა(ი)დღა დაუტევებდა მამისაგან და ჩემგან გამოვალსო ანუ წმიდანი მისნი მოციქულნი ვითარ არღარა გამოაცხადებდეს(?) ანუ წმიდანი ღვთისმეტყველნი ვერღა დაჰფარვიდენ. ესრეთ არასადა თქმულ არს მათისაებრ სიცბილისა, არამედ ყოველნივე ესრეთ აღიარებდეს, ვითარცა ჩუენ გურწამს და აღვიარებთ, ვითარცა მკსნელისა ჩუენისა ქრისტესაგან გჯისწავლიეს, და ვითარცა ესე რა გუესმის.

რამეთუ პირველად თქუა: მე ვჰკითხო მამასა ჩემსა და სხუა ნუგეშინისმცემელი მოგივლინო, აჰა თანასწორება და ერთპატი(ვ)ობა მამისა და ძისა და არა წინააღდგომა ძისაგან მამისა. მერმე იტყუვის: უკუეთუ არა წარვიდე, იგი არა მოვიდეს, და მე მოვავლინო იგი თქუენდა, და ჩემგან მიიღოს და გითხრას თქუენ: აჰა კელმწიფება ძისა და თანასწორება სულისა, და ერთ პატიობა. და მერმე იტყჯს: ოდეს მოვიდეს სული იგი ჭეშმარიტებისა, გიძღოდეს თქუენ ჭეშმარიტებასა შინა. აჰა კელმწიფება და უფლება სულისა და არა უდარესობა მამისაგან არცა ძისა.

რამეთუ პირველად იტყჯს მე ვჰკითხო მამასა ჩემსა თქუენთვის და სხუაჲ ნუგეშინის მცემელი მოგივლინო თქუენ. მერმე იტყჯს: უკეთუ მე არა წარვიდე, იგი არა მოვიდეს (და ჩემგან მიიღოსა თქუენ.) და მერმე თქუა: ოდეს მოვიდეს სული იგი ჭეშმარიტებისაჲ გიძღოდეს თქუენ ჭეშმარიტებასა შინა.

აჰა ერთობაჲ და ერთი პატივი და ერთი კელმწიფებაჲ და ერთი ღმრთეებაჲ და სწორი მეუფებაჲ და სწორი უფლებაჲ და სწორი განზრახვაჲ მამისა და ძისა და სულისა წმიდისა, განუყოფელობაჲ და შეურევნელი ერთობაჲ.

ხოლო უკუეთუ ვთქუათ მამისა და ძისაგან გამოსლვა სულისა, ორნივე იქმნებიან მიზეზნი სულისა წმიდისა გამოსვლისანი: ვითარცა მამა, ეგრეთვე ძეცა და სული წმიდა დაკლებულ იქმნეს ერთ პატიობისაგან, რამეთუ მამა და ძე გამოავლენს სულსა, ხოლო სული წმიდა ვერღარას მოქმედებს. უმჯობეს არს რაჲთა ესეცა თქუან, ვითარმედ მამისაგან და სულისა იშუა ძე და იქმნნეს თჳთებათა და გუამთა შერეულება მსგავსად საბელიოზის გმობისა, ანუ განყონ არიოზისებრ უსჯულოსა, ანუ შერევნა და შერწყმა თქუან, ვითარცა

ვთქუ გუამთა და თჳთებათა, რაჟამს ითქუას მამისა და ძისაგან გამოსვლა სულისა, ანუ განყოფა ითქუას არსებათა და ბუნებათა, რაჟამს ძესა მისცენ მიზეზობაჲ სულისა წმიდისა გამოსვლისა, და სულსა წმიდასა არარაჲ მიზეზობა; და დაკლებულ ყონ მისვე არსებისა და ბუნებისაგან. იხილეთ სადა მიიწევის გმობაჲ ესე: ანუ არიოზ იქმნენ ანუ საბელიოზ. ანუ შეარწყუან და შერიონ, ანუ განყონ და განაშორონ ურთიერთას, და დაკლებულ ყონ სული წმიდა სწორ პატივისაგან მამისა და ძისა. გულისკმაყავთ ძმანო, თუ ვითარ საკრძალველ არს სარწმუნოებაჲ ჩუენი, რომელი მოციქულთა დაჰბეჭდეს და წმიდათა კრებათა დაამტკიცეს, და ვერვის ხელეწიფების იოტა ერთი გინა რქა ერთი შემატებად ანუ დაკლებად. და უკუეთუ იქმნეს მცირედცა რაჲმე ანუ დაკლებაჲ, ანუ შემატებაჲ, მერმე კუალად სხუაჲ იქმნების კუალად სხუაჲ და ესრეთ მცირედ მცირედ დაიკსნას და განირყვნას ყოველივე, ვითარცა ქმნულ არს მათ შორის და არღარა არს საზღვარი დადებული მოციქულთა და ღმერთშემოსილთა მამათა მათ შორის, არამედ ყოველივე განრყუნილ არს და შეცვალებულ, ხოლო ჩუენ დაგუცვნეს ღმერთმან ყოვლისაგან წვალებისა და საცთურისა მთესველისა მისგან ღუარძლისა და ღირს მყუნეს სასუფეველსა თჳსსა ყოველთა წმიდათა მისთა თანა ამინ.

შთაფლვით ნათლისღებისათჳს

თუ ვითარ ჩუენ მართლმადიდებელნი მოძღვრებისაებრ წმიდათა მოციქულთასა და ღმერთშემოსილთა მამათასა სამ გზის ემბაზსა შინა შთაფლვითა და წყალთაგან აღმოშობითა სახელსა ზედა წმიდისა სამებისასა ნათელვიღებთ ქელითა მღუდელთათა, ხოლო ლათინნი არა ესრეთ, არამედ ყოვლითურთ წინააღმდგომსა იქმენ, არცა ემბაზსა შინა სამგზის შთაყოფითა, არცა მხოლოდ მღვდელთაგან, არამედ ვითარცა დახუდეს ერისკაცთა და დედათა მიერ ნათელსცემენ

ნათელმან სოფლისამან ქრისტემან ინება რაჲ ხსნა კაცთა ნათესავისა, გარდამოხდა უხრწნელთა წიალთაგან დაუსაბამოსა და უხილავისა მამისათა და იქმნა მსგავს ჩუენდა თჳნიერ ცოდვისა, და იხილვა ვითარცა კაცი ორითა ბუნებითა ღვთაებისა და კაცებისათა, და ჩუენი ყოველივე თავს იდვა უცოდველნი საქმენი რათა ადამ აღიყვანოს პირველსავე პატივსა და ჩუენ ყოველნი გუაცხოვნნეს.

ხოლო პირველი და თავი გამოხსნისა ჩუენისა და ცხოვნებისა სხუაჲ არა რაჲ არს თჳნიერ ნათლისღებისა და მეორედ შობაჲ წყლისაგან და სულისა სახელსა ზედა წმიდისა სამებისასა მამისა და ძისა და სულისა წმიდისასა, რამეთუ თჳნიერ ამისა არა იქმნების ცხოვნებაჲ ჩუენი.

ამისთჳს მან თავადმან ყოვლად უხრწნელად შობისა და ქუეყანასა ზედა ქცევისა მეოცდაათესა წელსა პირველად ესე მიიღო, და თავს იდვა უცოდველმან მან და ყოველთა ბილწებათაგან თავისუფალმან განბანა წყლითა, და განშიშვლებული შთახდა იორდანესა შინა მდინარესა ქელსა ქუეშე იოანე წინამორბედისა და ნათლისმცემელისა, და ნათელიღო, რომელსა დაუსაბამო იგი მამა უხილავად ეწამა, ზეგარდამო და თქუა ესე არს ძე ჩემი საყვარელი, ხოლო ხმაჲ იგი დაამტკიცა ტრედის სახითა მოსრულმა სულმან წმიდამან, და ჩუენ დაგვიდვა სახე ესევითარი, რათა შიშველნი შთავხდეთ წყალთა შინა ქელთა ქუეშე მღვდელისათა, და სახელითა მამისა და

ძისა და სულისა წმიდისათა აღმოვიშუნეთ, ვითარცა იგი თავადი წყალთა შინა ჴელსა ქუეშე იოანესთა.

და ვითარცა იგი ჯორციელად შიშუმლნი ვიშუმნით დედის მუცლითგან, ეგრეთვე მეორედ ვიშუნეთ სულიერად წყლისაგან და სულისა.

ვითარცა იგი თავადი ეტყოდა ნიკოდიმოსს სჯულის მოძღვარსა, *ამენ, ამენ გეტყჳ შენ, უკუეთუ ვინმე არა იშვეს მეორედ, ვერ ჴელ-ეწიფების ხილვად სასუფეველი ცათაჲ* (იოანე 3.3). ჰრქუა მას ნიკოდიმოს, ვითარ ჴელეწიფების კაცსა ბერსა შობად? ნუ უკუე შესაძლებელ არს მუცელსა დედისა თჳსისასა შესლვად მეორედ და შობად? მიუგო იესო და ჰრქუა მას, *ამენ, ამენ გეტყჳ შენ, უკუეთუ ვინმე არა იშუეს წყლისაგან და სულისა, ვერ ჴელ-ეწიფების შესლ-ვად სასუფეველსა ღმრთისასა. შობილი იგი ჯორცთაგან ჯორცი არს, და შობილი იგი სულისაგან სული არს. ნუ გიკჳრნ, რამეთუ გარქუ შენ ესე, ჯერ-არს თქუენდა მეორედ შობაჲ. სულსა ვიდრეცა უნებნ, ქრინ, და ჰმაჲ მისი გესმის, არამედ არა იცი, ვინაჲ მოვალს და ვიდრე ვალს. ესრეთ არს ყოველი შობილი სულისაგან. მიუგო ნი-კოდიმოს და ჰრქუა მას, ვითარ შესაძლებელ არს ყოფად ესე? მიუგო იესო და ჰრქუა მას, შენნ ხარ მოძღუარი ისრაჵლისაჲ და ესე არა იცი?*(იოანე 5.10).

რაჲსათჳს ეტყჳს ღმერთი ნიკოდიმოსს, შენ ხარ მოძღუარი ის-რაჵლისა და ესე არა უწყია? ოდეს ეხილვა ანუ ასმიოდა სჯულსა შინა ნიკოდიმოსს ისრაჵლთა შორის ნათლისღებაჲ, თჳნიერ იოანეს მიერ ნათლისმცემელისა, ხოლო მასაცა არა ჴელეწიფებოდა სულისა წმიდისა მონიჭებაჲ, ვითარცა თჳთვე თავადი იოანე ეტყოდა ჰურიათა ვითარმედ: მე ნათელ გცემ თუენ წყლითა, ხოლო მოვალს უძლიერესი ჩემსა, მან ნათელ გცეს თქუენ სულითა წმიდითა და ცეცხლითა.

და მოციქული პავლე მიიწია რაჲ ეფესოდ პოვნა მოწაფენი, და *ჰრქუა: უკეთუ სული წმიდაჲ მიგიღებიეს და გრწამს, და მათ ჰრქუეს მას: არცაღა არს თუ სულიწმიდაჲ გუასმიეს, ჰრქუა მათ პავლე, რაჲთა უკუე ნათელგიღებიეს? ხოლო მათ ჰრქუეს მას, იოანეს ნათლის-ცემითა. ჰრქუა მათ პავლე, იოანე ნათელსცემდა ერსა და ეტყოდა მომავლისა მისთჳს შემდგომად მისა, რაჲთა ჰრწმენეს, ესე იგი არს*

იესო ქრისტე. ხოლო მათ, ვითარცა ესმა, ნათელ-იღეს, და დასხმითა ჴელთა პავლესთაჲთა მათ ზედა მოვიდა მათ ზედა სული წმიდაჲ, იტყოდეს ენათა და წინასწარმეტყველებდეს(საქმე 19.1-6).

ესე ამისთჳს ვთქუ ვითარმედ თჳნიერ ამისა ნიკოდიმოსს არა ეხილვა ნათლისღებაჲ ისრაჵლთა შორის და ვერცა ლიტონითა წყლითა სინანულად და არა თუ მონიჭებითა სულისა წმიდისათა.

რაჲსათჳს ეტყვის ქრისტე, შენ ხარ მოძღუარი ისრაჵლისა და ესე არა უწყია? არამედ უკეთუმცა ძუჵლითგანვე წინასწარმეტყველთაგან მოსწავებით არა თქმულ იყო და იგავით და სახით და უფროსად ჭუშმარიტებით არა ქმნილ იყო, არცა ღმერთი უბრძანებდა ნიკოდიმოსს, შენ ხარ მოძღუარი ისრაჵლისა და ესე არა უწყია? და უკეთუ სხუჵ რადმე ქმნულ იყო სჯულსა შინა ნათლისღებაჲ ვითარცა ლათინნი იქმან მცირედისა წყლისა შეხებითა გინა სხურებითა, და არა შიშულივ წყალთა შინა აღმოშობაჲ ძუჵლთა სჯულსა შინა. არცა ღმერთი უბრძანებდა ესრეთ ჯერარს თქუენდა მეორედ შობა, არცა თჳთ თავადი ღმერთი შიშული აღმოიშობოდა წყლისაგან, არცა კუალად ეტყოდა ნიკოდიმოსს, უკუეთუ ვინმე არა იშვეს წყლისაგან და სულისა, ვერ ჴელეწიფების შესლვად სასუფეველსა ცათასა.

აწ ვიტყოდით ძლითა სულისა წმიდისათა თუ ვითარ ძუელსა სჯულსა შინა მოესწავა ანუ ვითარ ასმიოდა ნიკოდიმოსს.

მოსე დიდი იგი წინასწარმეტყველთა შორის რაჟამს განიყვანებდა ისრაელთა ეგვიპტით, და განუპო ზღუაჲ იგი მეწამული და განიყვანნა მას შინა არა ცხადი და ჭუშმარიტი ნათლისღებისა სახე იყოა? და წყლისაგან აღმოშობისა, ვითარცა განმარტებს მოციქული პავლე და იტყჳს, არა მნებავს უმეცრებაჲ თქუენი ძმანო, რამეთუ მამანი ჩუენნი ყოველნი ღრუბელსა ქუეშე იყუნეს და ყოველნი ზღუასა განჴდეს, და ყოველთა მოსეს მიერ ნათელიღეს ღრუბლითა მით და ზღუთა, და ყოველთა იგივე საზრდელი ჭამეს და ყოველთა იგივე სასუმელი სულიერი სუჵს, რამეთუ სუმიდეს იგინი სულიერისა მისგან კლდისა რომელიცა შეუდგა, ხოლო კლდე იგი იყო ქრისტე, ესე არს ცხადი მეორედ შობაჲ წყლითა, რამეთუ ესეოდენნი იგი სიმრავლე ისრაჵლთა ფერჯითგან ვიდრე თავადმდე და მრავალ წელ უმაღლეს ზეშთა თავისა იყო წყალი იგი და ესრეთ განვლეს მას შინა.

ეგრეთვე დავითის მიერ თქმული გულისკმაყავ, ვითარმედ უფალმან წყლით რღუნა დაამკჳდრნის და დაჯდეს ღმერთი მეუფედ უკუნისამდე.

რაჲ არს ესე წყლით რღუნა რომელი უფალმან დაამკჳდრა? – ესე არს ჭეშმარიტად წმიდაჲ ნათლისღებაჲ, რამეთუ ამით წარირღუნების ყოველი ბილწებაჲ ცოდვისა და შვილ ღვთისა და თანამკჳდრ ქრისტესა გუყოფს, და უკუეთუ არა იშუეს კაცი წყლისაგან, ანუ ისხუროს, ანუ ერთკერძო ასოთაგანცა იცხოს, ვითარ იქმნების წყლით რღუნა და ვითარ ერქუმის, უკეთუ უმრავლესი ასოთაგან დაშთეს წყლისაგან მიუახლებელი, არამედ მას ეწოდების წყლით რღუნა. რათა სრულიად შთაჯდეს კაცი წყალთა შინა და აღმოიშუეს და მას შინა განიბანოს ბიწი ჯორცთა და სულისა სახელითა წმიდისა სამებისათა, ამას ეწოდების წყლით რღუნა, და ვითარცა ჯორცთა ბიწი არა განიბანების და არა განირ[ე]ცხების უკუეთუ არა დაილტოს წყლითა, ეგრეთვე სულისა გულისკმაყა ყავ, დაღაცათუ თჳნიერ სულისა წმიდისა არა იქმნების. არამედ ყოველივე საიდუმლო ხილულთაგან დამტკიცნების და უხილავთაგან სრულ იქმნების.

ეგრეთვე ელისეს მიერ წინასწარმეტყველისა სიღრმეთაგან წყლისათა რკინისა აღმოღებაჲ, ესეცა ნათლისღებისა განცხადებული სახე იყო, რამეთუ წყალთა შინა შთასლვითა და აღმოშობითა ვიქმნებით შვილ ღვთისა. და არა თუ გარეშე სხურებითა და შეხებითა. ეგრეთვე ნემან ასურისა იორდანესა შინა შიშულივ შთასლვა და აღმოსლვა ელისეს სიტყჳთა და განწმედა კეთროვნებისაგან, ესეცა უმეტესი ნათლისღებისა სახე იყო, რამეთუ შიშულივ შთაჯდა წყალთა შინა და აღმოიშუა, და არა თუ ერთ კერძო იცხო ანუ თუ ისხურა.

ესე და ესევითარნი წარეკითხნეს ნიკოდიმოსს და მეცნიერ იყო. ამისთჳს ეტყოდა ღმერთი, შენ ხარ მოძღვარი ისრაჱლისა და ესე არა უწყია?

ამის ყოვლისა ვითარცა ჭეშმარიტად ზედამიწევნით მეცნიერი, წმიდაჲ იოანე ნათლისმცემელი შიშუელთა ნათელსცემდა ჰურიათა იორდანესა შინა და ეტყოდა, *რომელმან მომავლინა ნათლისცემად, მან მრქუა მე ესრეთ.* და შემდგომი.(იოანე 1.33)

ეგრეთვე წმიდანი მოციქულნი ყოველნივე შიშუელთა ნათელ სცემდენ

წყალთა შინა სამ გზის სახელსა ზედა წმიდისა სამებისა. ვითარცა წერილ არს ფილიპესთჳს რაჟამს საჭურისსა მას ნათელსცა, რამეთუ ესრეთ წერილ არს: შთაჴდენ ორნივე წყალთა მათ შინა ფილიპე და საჭურისი იგი (საქმე მოციქულთა 8.38). ეგრეთვე წმიდაჲ მოციქული პეტრე განშიშულებულთა ნათელსცემდა წყალთა შინა ვითარცა წმიდისა კლემენტოზის ცხოვრებასა შინა წერილ არს ვითარმედ მამა დედათა წმიდისა კლემენტოზისასა და სხუათა ურიცხუთა ერთა შიშუელთა ნათელსცა მდინარესა შინა.

კუალად წმიდისა პანკრატ მოციქულისა ცხოვრებასა შინა წერილ არს რომელი იყო მოწაფე წმიდისა პეტრესი, და ესეცა ურიცხუთა ერთა შიშუელთა ნათელსცემდა მდინარეთა შინა, ხოლო ამის პირისათჳს მრავალი გუაქუს მოსახსენებელი წმიდათა წერილთაგან და ცხოვრებისაგან წმიდათა მოციქულთასა, ვითარმედ ყოველნივე შიშუელთა წყალთა შინა ნათელსცემდენ არამედ შეუძლებელ იყო ყოვლისავე თჳთეულად აღწერა, გარნა მცირეთღა ოდენ აღვწერო რათა ცხად იქმნას ჭეშმარიტებაჲ.

კუალად გრიგოლი პართეველმან განმანათლებელმან სომხითისამან, მეფესა თრდატს და ერსა მისსა რიცხჳსა უმრავლესსა, მდინარესა შინა დიდსა შიშუელთა ნათელსცა, ვითარცა წერილ-არს ვრცელად ცხოვრებასა შინა მისსა.

ამისათჳს განეწესა ეკლესიასა შინა წმიდათა მოციქულთა მიერ ემბაზსა შინა ანუ თუ მდინარესა შინა სამგზის შთაფლვითა და აღმოშობითა ნათლისცემა სახელსა ზედა წმიდისა სამებისასა მამისა და ძისა და წმიდისა სულისა განწესებისაებრ წმიდათა მოციქულთასა, რომელი აღწერა წმიდამან კლემენტოს ბრძანებითა წმიდათა თავთა მოციქულთა, რომელსაცა დაამტკიცებს კრებაჲცა იგი პირველი ნიკიისა სამას ათრვამეტთ მამათა, რომელსა შინა წერილ არს ესრეთ, ვითარმედ უკუეთუ ვინმე არა სამგზის შთაყოფითა ნათელ სცესო სახელითა მამისა და ძისა და სულისა წმიდისათა, იყავნ შეჩუენებულ, ეგრეთვე ყოველნი კრებანი დაამტკიცებენ. ვითარცა იტყჳს მოციქული პავლე, *ვითარმედ ძმანო რომელთა-უსე ნათელ-ვიღეთ ქრისტე იესოს მიერ, სიკუდილისა მისისა მიმართ ნათელვიღეთ? და თანა-დავეფლენით მას ნათლის-ღებითა მით სიკუდილსა მისსა, და*

შემდგომი (ჰრომაელთა 6.3). რამეთუ თანადაფლვასა კმობს წყალთა შინა მოციქული არა თუ სხურებასა ანუ თუ ცხებასა ნუ იყოფინ.

ხოლო წმიდაჲ სილიბისტრო პაპა ჰრომისა დიდსა ემბაზსა შინა ნათელსცემდა მრავალთა. ვითარცა დიდსა კონსტანტინეს მასავე ემბაზსა შინა ნათელ-სცა და ყოველთა მთავართა მისთა და აწცა ვიდრე დღეინდელად დღედმდე იგივე ემბაზი დგას მასვე მოციქულთა ეკლესიასა შინა, და სხუაჲ მეორე უდიდესი ემბაზი მდგომარე არს მასვე ეკლესიასა შინა საკდემელად და პირისდასაყოფელად მათდა, რომელნი გარდაკდებიან განწესებასა წმიდათა მოციქულთა და ღმერთშემოსილთა მამათასა.

აწ ვჰკითხოთ მოსავთა პაპისათა, თუ რაჲ სიტყუაჲ აქუსთ, რომელნი სხურებითა წყლისათა ანუ თუ მცირისა წუეთისა შეხებითა ნათელსცემენ, გინა თუ მღუდელნი ანუ თუ ერის კაცნი, გინა თუ დედანი, რომელნიცა დახუდეს, ეგრეთ ნათელსცემენ და ნათლისა წილ დაუტევებენ ბნელსა შინა სრულიად განუნათლებელსა, უკეთუ წმიდანი მოციქულნი და ღმერთშემოსილნი მამანი ესრეთ ნათელსცემდნენ, და წმიდაჲ სილიბისტრო პაპა ჰრომისა მობაძავ მოციქულთა და შჯდნივე მსოფლიონი კრებანი ესრეთ განაწესებენ, რათა ემბაზსა შინა სამგზის შთაფლვითა და აღმოშობითა ნათელსცემდენ. თვით თავადისა ქრისტეს ჭეშმარიტისა სჯულის მდებელისა მოძღვრებისაებრ, რამეთუ მანცა შიშუელმან შთასრულმან იორდანესა შინა ნათელიღო კელსა ქუეშე იოანესა, რომელი იყო სამღუდელოსა ტომისაგან, თჯთ მღვდელთმოძღვრისა ზაქარიას ძე და არა სადა წერილ არს არცა სმენილ თუმცა თჯნიერ ამისა რომელი მოვიხსენეთ სხუებრ ვისმე ნათელეღო, რომელსა აწ ჰყოფენ მოსავნი პაპისანი, და ესრეთ ყოველთავე სამეუფოსა სჯულსა დაჰხსნიან და გარდავლენ საზღუარსა წმიდათა მოციქულთა და ღმერთშემოსილთა მამათასა, და არა გულისკმაყოფენ ბრძანებასა ღმრთისასა, რომელსა იტყჯს, *რომელმან დაჰხსნას ერთი მცირეთა ამათ მცნებათაგანი და ასწაოს ესრეთ კაცთა, უმცირეს ეწოდოს მას სასუფეველსა ცათასა* (მათე 5.19). ესე იგი არს ვითარმედ შეურაცხ იქმნეს და უპატიო და დაისაჯოს მეორედ მოსლვასა მას საშინელსა წინაშე საყდართა ქრისტესთა, რამეთუ სასუფევლად მოსლვასა მას თჯსსა უწოდა თარგმანებისაებრ წმიდისა ოქროპირისა.

და უკეთუ მცირეთა მცნებათა დაკსნისათჳს ესოდენი საშინელი სასჯელი განაწესა მეუფემან, რომელი არს ამისა უდიდესი მცნებაჲ, ანუ რომელი არს ამისა უაღრესი და უპირატესი სჯულისდება, რომელი თჳთ თავადმან პირველად ესე აღასრულა, რაჟამს გამოუცხადა თავი თჳსი სოფელსა, და საქმით გუასწავა განშიშულებულთა წყალთა შინა ნათლისცემა, და ნიკოდიმოსცა ესრეთვე სჯულ-უდვა და ჰრქუა, უკუეთუ ვინმე არა იშუეს წყლისაგან და სულისა, ვერ ქელ-ეწიფების ხილვად სასუფეველი ღვთისა. ამას შინა დაჰხსნიან და გარდაკდებიან და არა ეშინისთ სასჯელთაგან, არცა შეიკდემენ ესეოდენთა უწესობათაგან, და იტყჳან, რომელსაცა ასოსა გუამისასა შეეხების წყალი სრულიად განწმედილი შეიქმნებისო. ამის სიტყჳსა გარეშე საღმრთოსა სიტყუათასა იტყჳან, რამეთუ არაჳინა ჰყავთ მოწამე ამისი, არცა ვისგან სმენილ არს, თუმცა ესრეთ ნათელ ეცა, ანუმცა იგაჳით მოესწავებინა რომლისამე, არამედ თჳით თაჳთ თჳსით დაჰხსნეს სამეუფო ესე სჯულისდებაჲ, და თჳთ განაწესეს უწესო ესე მოძღვრებაჲ, ვითარცა სულისა მათისა, რამეთუ იზრახეს ზრახვა ბოროტი, *ჰგონებდეს თავთა თჳსთა ბრძენ და განცოფნეს,* და შემდგომი (ჰრომაელთა 1.22).

ვინათგან მეორედ შობაჲ უბრძანებია ღმერთსა წყლისაგან და სულისა ესე არს შობაჲ იგი, რამეთუ ვითარცა ყრმა იშუების მუცლისაგან დედისა თჳსისა, ეგრეთ ჯერ არს ჩუენდა მეორედ შობაჲ წყლისაგან ემბაზსა შინა გინა თუ მდინარეთა შინა და არა ერთ კერძოსა ასოსა დალტობაჲ და სხჳსა განხმობაჲ იქმნების რათამცა ერთი რომელიმე ასო იშუას, გინა თუ თაჳ, ანუ სხუაჲ რომელიმე ასო დედის მუცლითაგან, და სხუაჲ იგი გუამი დაშთეს მუცელსა შინა დედისასა, თუმცა ერქუა შობაჲ ანუმცა სრული კაცი იყო იგი, ანუმცა ითქუმოდა ყოვლადვე კაცად, რამეთუ ვერცაღა ყოვლად სიცოცხლედ შემძლებელ არს მოსლვად.

ეგრეთვე არცა ესე იქმნების თუმცა ერთსა ასოსა მიაახლოს წყალი და სხუა იგი დაშთეს ყოვლად განუბანელი და შეირაცხამცა იგი ძედ ნათლისა და შჳლად სასუფევლისა, არცა იქმნების მეორედ შობაჲ.

ესრეთ გარდავლენ ყოველსა წესსა და კანონსა მოციქულთა და

მამათასა, არცა ემბაზსა შინა ნათელსცემენ სამგზის, არცა მარტოდ ოდენ მღვდლისა მიერ, არამედ უკეთუ მღვდელი მუნ არა იყოს ერისაგანი, მამაკაცნი უფროისღა დედაკაცნი ყოველნივე ნათელსცემენ თჳნიერ მღუდელისა, რომელი ესე არასადა სმენილ არს და თუმცა სადავე იშვით [იშვიათ] სმენილ არს ერთგზის ოდესმე და ვჰგონებ თუ არცა ერთგზის სადავე სმენილ არს, რამეთუ იშვიათი საქმე არა დაიწესების სჯულად, არამედ სჯულისდებაჲ ქრისტესი და წმიდათა მისთა მოწაფეთა და მოციქულთა და მობაძავთა მათთა ღვთისმეტყველთა მამათა არს მტკიცე და უცვალებელი, რამეთუ იგი ბრძანებს, ცანი და ქუეყანა წარხდენ, ხოლო სიტყუანი ჩემნი არა სადა წარხდენ. ესე ბრძანებაჲ და განწესებაჲ ქრისტესი უნდა დაიკსნეს, ხოლო ბრძანებაჲ და განწესებაჲ პაპისა ჯერარს რათა მტკიცე იყოს და უცვალებელ, რამეთუ დღითი-დღე სცვალებს წესსა და საზღუარსა მამათასა, და თჳსსა მას სჯულისდებასა გარეშე მოძღვრებისა წმიდათასა უმოძღურის ყოველთა.

რამეთუ მათგან არს ახლადდადებული ესე კანონნი, რათა არცა ემბაზსა შინა წყლითა ნათელსცემდენ სამგზის შთასლვითა სახელსა ზედა წმიდისა სამებისასა და მიერ აღმოშობითა ჴელითა მღუდელთათა, არამედ ვითარცა ვთქუ მცირისა წყლისა შეხებითა და უმღდელოსა კაცისა მიერ, გინა დედაკაცისა. ესე არს სჯულისდებაჲ მათი და სხუაჲცა მრავალი უწესობაჲ.

„გრდემლი“

S – ფონდი 3269



ანტონი I კათოლიკოსი (ბაგრატიონი)

ესე კათოლიკე ეკკლესიისა მტერნი, არა ღირსნი მღუდელნი, სიბოროტისა მოძღვარნი, სომეხთა ნათესავთაგანნი, მოქმედნი საჭეშმარიტოთა ყოვლობათა წინა განწყობთანი

წელსა განკორციელებითგან სიტყვისა ღვთისა 500 დიდსა არმენიასა, რომელ-არს სომხეთი, ეკკლესიასა ეჩმიაძინისასა მყოფობდა ყოვლისა სომხეთისა არქი-ეპისკოპოსად კათოლიკოსი ნერსე აშტარაკელი. ამან ნერსე, ვითარცა ახლისა რასამე სჯულის დებისა მომპოვნებელმან, შეიწყნარა დიოსკორიანთა გმობაჲ, და თავისა თჳსისა თანა ადრკულ-მავალა ერიცა თჳსი, ნათესავი სომეხთა. პირველი უკვე მწვალებელი სომეხთა შორის, მხოლოდ შობილისა სიტყვისა ორთა შინა შეერთებულთა ბუნებათა ცნობილებისა, და სხვისაცა მრავლისა სარწმუნოებითთა სჯულთა განხრწნისა და უკუნ-რყვნისა მიზეზი, — ესე ნერსე არს აშტარაკელი.

ამან ნერსე შეკრიბნა ეპისკოპოსნი რაოდენნიმე ქმნად კრებისა ქალაქსა დვინს სათნო-ყოფისათჳს სპარსთა მეფისა ხოსროვისა, მგულვებელმან, ვითარმედ განდგომილებითა ბერძენთათა მოიმადლებს იგი სპარსთა მეფესა. ქმნა კრებაჲ საეშმაკო წინააღმდგომი ყოვლად წმიდისა ხალკიდონის კრებისა, ურჩმან ძემან წმიდისა კათოლიკე ეკკლესიისაგან მისცა ნებაჲ თჳსი დამორჩილებად სჯულთა ვალენტიან, მანენტოს, არიოს, აპოლინარიოს, ევტიქი და დიოსკორესთან, და სჯულ-უდვა სომეხთა, კრებისა მის ბილწი კანონითა მწყემსმან არა კეთილმან, მრჩობლთა შეერთებულთა ბუნებათა სიტყვისა ღვთისა

განკორციელებულისათა გმობაჲ, ვითარ ისწავა მამისა თჳსისა ეშმაკისა მიერ, დააწესა ამან და მეტებით დართული იგი გმობაჲ პეტრე ანტიოქელთა ეპისკოპოსისა სამ-წმიდასა შინა გალობასა: „წმიდაო უკუდაო, რომელი ჩვენთვის ეცვი“ და იტყოდა უსირცხვილოჲ, ვინათგან ღმერთი და კაცი, ვითარცა ერთ არიან ბუნებით, რომელ არს იესო ქრისტე, ეგრეთვე უხმსო მორწმუნეთა, რათა ერთად ადიდებდენ შობასაცა მისსა და წყალთა შინა იორდანისასა ნათლის ღებასა მისსა, და ამიერითგან დაეწესა სომეხთა შორის არღარა დღესასწაულობაჲ კორციელად შობაჲ უფლისა დეკემბერსა 25, არამედ იანვარს 6, დღესასწაულსა თანა ნათელთასა, ჰოი საგოდებელსა ამას შეკრებულებასა!

ხოლო შემდგომად ამისსა, საყდარსა ეჩმიაძინისსა ეკკლესიისასა კათოლიკოსნი სომეხთანი, იცნობებიან რაოდენნიმე მიმდგომად კრებისა მის დვინს შეკრებულისა, და არა შემწყნარებელად ხალკიდონის კრებისა.

აბრაამ კათოლიკოსი სომეხთა იყო სოფლისაგან საქართველოსა, რომელსა ახპატ ეწოდების; გარნა ნათესავით სომეხი. ამას რუსტუნელად სახელს სდებენ სომეხნი, გვარისა თჳსისაგანნი. ხოლო ჟამსა ამის აბრაამისასა სომეხთა ზედა მღუდელთ-მთავრობისასა არა ზიარებად სომეხთა თანა იწყო ნათესავმან ჩვენ ქართველთაგან, რამეთუ მაშინ წმიდა კირიონ კათოლიკოსი საქართველოსა მცხეთა ქალაქისა სიტყვასა უგებდა თანა მოჟამესა მას თჳსსა აბრაამს კათოლიკოსსა სომეხთასა, თუ რისათვის განდგენ მართლისაგან სარწმუნოებისა, და არა შეიწყნარეს წმიდაჲ კრება ხალკიდონისა, და არღარა ეზიარებოდენ მიერითგან მორწმუნენი ძენი ქართველნი გვარსა სომეხთასა.

იოანე მარგომელი, ესე ნათესავისათჳს სომეხთასა იქმნა ცეცხლ საუკუნოსა უკანასკნელისა მის ფსკერისა. ესე წინააღმდგომ ექმნა მართლ-მადიდებელთა მამათა სომეხთა. ისწავებოდა ესე და მოძღვრიდა ერსა, ვითარმედ იესო კაცობრივი აღიარების უვნებელ და უკვდავ, რამეთუ ვნებანი და სიკუდილი მისი ყოველივე თვალთა წინაშე კაცთასა საოცარ რადმე საგონებელ არიან, და ურვაჲ იგი და შიში უფლისა სიკუდილისათჳს, და შეოფლება მრავალ მწთოლვარითა სისხლითა არა ჭეშმარიტ არიანო, რამეთუ სტრონინოსი ვინმე შეა-

ტა წმიდასა სახარებასა, და არა არს თქმული წმიდათა მახარებელთა მიერ. ესრეთ იტყოდა უსჯულოჲ იგი ქადაგი.

ანანია შირავაკანელი. ესე წინა აღუდგებოდა აღწერით და სიტყვით წმიდასა მართალსა სარწმუნოებასა და სთესვიდა იგი ღვარძლსა ბოროტსა წვალებისასა ერთ-ბუნებად სიტყვისა ღვთისა განკაცებულისა აღსარებასა, და განაშორებდა გუარსა თჳსსა წმიდისაგან კათოლიკე ეკკლესიისა.

სერგი. — ამან წიგნი აღვსებული გმობითა და ტყუილითა წინააღმდგომი ყოვლად წმიდისა ხალკიდონის კრებისა აღწერილი იულიანე ალიკანასელისა ყოვლად ბილწისა. თარგმანებით გარდამოსცა ხმასა ზედა სომეხთასა.

იოანე ოძნელი, კათოლიკოსი სომეხთა. — ამას მიეცა ეშმაკისა მიერ პირი დიდად მეტყველი და მგმობარი სახელისა ღუთისა. ამან მძლავრ მიმტაცებელმან მახვილითა დაიპყრა ეკკლესია ეჩმიაძინისა, რამეთუ შემდგომად რაოდენთამე კათოლიკოსთა სომეხთასა, რომელნიცა იყვნეს შემდგომად ნერსე აშტარაკელისა მწვალებელისა, დასხდებოდეს ეკკლესიასა ეჩმიაძინისასა კათოლიკოსნი მიმდგომნი ხალკიდონის კრებისანი. ხოლო მან იოანე მიიტაცა რა ეკკლესია მძლავრებით, ახალ ჰყო მან პირველი იგი წვალებაჲ ნერსე აშტარაკელისა თანა მოსაყდრისა თჳსისა, და დახსნაჲ ერთობა სომეხთა ხუთთა მიმართ სამოციქულოთა საყდართა, რამეთუ მაშინ ხუთთავე პატრიარქთა ეკკლესიანი ერთ ხმა იყვნეს, და შეიყვანა ეკკლესიასა სომეხთასა ახალ-პირად-პირადი მოძღვრება, და აღწერა წყებაჲ მრავალი, ღირსმან წყევისამან წინააღმდგომად მართლ-მადიდებლობისა აღმსარებელთა, და სჯულ-სდვა სომეხთა ერსა სარწმუნოებაჲ ევტიქი და დიოსკორესი, და სხვანი მრავალნი შემატნა წვალებანი, რამეთუ ქმნა კრებაჲ საეშმაკო ყოვლად ბილწმან დაბასა მანასკერტს ბრძანებითა მახმედიანთა მთავრისა ომარისათა. ამან უკეთურმან შეკრიბნა ეპისკოპოსნი ექვსნი და იგიცა ასურნი, და განაწესა კანონითა სიტყვისა ღვთისა განკაცებულისა, ერთითა ბუნებითა, და ერთითა ნებითა, და ერთითა მოქმედებითა აღსარებაჲ და, ვითარცა სრულ იქმნა წყეული იგი კრებაჲ მანასკერტისა და წარვიდეს ასურნი იგი ეპისკოპოსნი, შესძინა უსჯულომან იოანე კათოლიკოსმან სომეხთამან გმო-

ბათა თჳსთა ზედა, რამეთუ საღმრთოსა საიდუმლოსაცა შეეხო განხრწნად, და დახსნა განწესებაჲ ესე საღმრთოჲ და აღიღო უკვდავისაგან საიდუმლოსა ცომი, და ზედაშისაგან წყალი, რამეთუ იტყოდა მგმობი ღვთისმკვლელი იგი, ვითარმედ საიდუმლოთა შინა ცომი და წყალი არიან ორთა ბუნებათა ქრისტესთა შესწავებანი, და კვერცხთა და ერბოთა, და თევზთა მარხვაჲ ერთად განაწესა, და ეგრედ მიღებაჲ, რამეთუ ერთ არიანო ყოვლითურთ ესენი.

ესე იოანე ოძნელი ფრიადსა სიცბილსა აჩვენებდა ერსა, რამეთუ შინაგან მგელსა მას განმხრწნელსა, გარეგანით რეცა შეემოსა საწმისი ცხოვართა, და გმობათა მათ თჳსთა სიცრუესა ამის ძიერ არწმუნებდა ყოველთა. ამათვე წინა დამდები სიბრძნეთა თჳსთა ზედა დაჯერებულ ჰყოფდა საწყალობელთა მათ მის მიერ უნათლოთა ბრმათა ნათესავსა სომეხთასა, რომელთაცა გული სიწრფელისაგან მავალობისა განდრიკა მეორემან იერობუამ, აღმმართველმან კერპისამან, ესეი იგი არს ქადაგებაჲ თჳსი, და საზღვრისა დადებაჲ თავისა თჳსისა, სიცოფე და ზაკულნი ქცევა-მეტყველებანი, და უღმრთოებისა საუნჯე გონებაჲ იგი მისი, რომელიცა წინათვე განეკუთვნა თავისა თჳსისად, რომლითაცა ეკკლესიისა სომეხთასა არამცირედი მოატყუა ბოროტი; ამით მორწმუნე ჰყვნა თავისა თჳსისად გვარი თჳსი, რამეთუ შემდგომად სიკუდილისა მისისა მის მიერ შეცდომილნი ერნი, პირველ ჩვენსა წარსრულნიცა, და წმიდათა მოჟამენიცა ესე ჩვენნი, ხადიან უსჯულოსა მას წმიდად და მეორედ განმანათლებელად არმენიისა. ხოლო მე განკვირვებულ ვარ ფრიად, რამეთუ რომელსაცა სომეხთაგანსა მეცნიერსა წერილისასა ჰკითხვიდეს ჩვენგანნი იოანესთჳს, იმხელისა იტყვიან ცხადად პატრონად და უფლად ლაშქართა, და მებრძოლად, და სისხლთა მაქცეველად, რამეთუ მონასტერთა ზედა დამსხმელმან ათასნი უკვე და უმეტესნიცა მოსწყვიდნა მონაზონნი ნათესავით ბერძენნი. ხოლო მონასტერნი იგი ამას ჩვენსა საქართველოსა ადგილთა შინა იყუნეს და ესე ვითარსა წმიდასა განისაკუთრებენ თავისა თჳსისად, ვითარცა დიოსკორეს, დამკვლელსა წმიდასა ფლაბიანესსა.

სტეფანე სიუნელი. ესე ორთა შეერთებულთა ბუნებათა ქრისტესთა წინააღმდგომისა მწერალ იქმნა, და ჰგმობდა ესეცა კრებასა ხალკი-

დონისსა, და მიმწერელმან წინააღმდგომობად ეპისტოლესა გმობისასა, წმიდისა გერმანეს მიმართ კოსტანტინუპოლელთა პატრიარქისა ნაცვლად მის მიერ მიწერილისა ეპისტოლისა, აღსწერა ეპისტოლე სავსე საცთურებითა.

მისაილ ასური. ამან აღსწერა წიგნი იგი სომეხთა შორის, რომელსა „კვერთს“ ეწოდების სომეხთა მიერ, მრავლისა გმობათა სხვა-დასხვაობისა მეტყველი წინააღდგომად მართლ-მადიდებელთა. ხოლო წინააღმდგომთა მწერალმან ხალკიდონის კრებისამან წიგნსა შინა თჳსსა, რომელსა „აკარაკი“ ეწოდების, მოიღო მოწმობაჲ რიცხვით სამეოცდა ათი სასირცხვილოსა მას წიგნსა შინა თჳსსა, განხილვისათვის ქაჯთა და კერპთ-მსახურთა მეფეთა, და მემრუშეთა დედათა თჳს, და უცნაურთა სახელთა სოფლით უდაბნოდ წარსრულთასა.

პავლე ტარონელი. ამან აღწერა წიგნნი შესაწევნელად ერთ-ბუნებიანთა მწვალებელთა წინააღდგომად თეოფისტოს ფილასოფოსისა ბერძნისა.

მისითარ სკევარელი. ამან აღწერა, ვითარმედ ნებითა მამა-კაცისა და დედა-კაცისათა შეგვამებულთა ჯორცთამებრ შეიმზადების სული სიტყვიერი და გონიერი კაცთა.

ვარდან. ამან აღწერილითა თჳსითა ისიტყვა, ვითარმედ სულნი მართალთა და ცოდვილთანი ჟამადმდე მეორედ მოსლვისა განჩინებულისაებრ მათისა არა მიითვალვენ სავანეთა, და არცა სატანჯველთა, და ერთ-ბუნებად აღმსარებელთა ქრისტესთა და უწინარეს ვნებისა უხრწნელად ჯორცისა საუფლოსა მორწმუნეთა ძმათა თჳსთა უქადაგებდა, რამეთუ ყოველნი სულნი კაცთანი ერთბაშად შეიქმნნეს ღვთისა მიერ ჟამსა ერთსა უწინარეს ჯორცთა დაბადებისა, და ყოვლად წმიდათა საიდუმლოთა ჩვენთა საშინელად რადმე მაბრალობელ ექმნებოდა.

გოშიკ ვანაკან. ესე იტყოდა სულთათჳს მართალთა და უმართლოთასა შორის ცათა და ქვეყნისა, არესა რასამე შინა ერთად ყოფად.

იოანე ორონტელი. ვითარ იგი მრავალ-სახედ წვალებითა მწკირისა მიერ შესვარულ იყო იგი — მერმეცა აღწერა წიგნიცა რაჲმე წვალებათათჳს, რომელსა შინა ცრუ-მეტყველებით ცილის წამებასა დასდებს იტალიელთა ზედა, გარდარეულისა მისთვის სიძულილისა, რომელი აქუნდა უსჯულოსა მას წმიდისა ლეონ ჰრომთა პაპისა მიმართ.

გრიგორი ტათეველი. ამისსა იტყვიან მოწაფე ყოფასა სახელ-საძაგელისასა. ამან უსჯულომან ტათეველმან გრიგორი აღწერნა წიგნნი მრავალნი, სავსენი საცთურითა, და რაოდენ ძალ-უცს შეაჩვენებს ძველსა სულიერსა მოძღვრებასა ნეტართა მამათასა, მშობელი ახლისა მოძღვრებისა. ხოლო აღწერა წიგნი კითხვა-მიგებისა თჳთ-მგონებელმან, ვითარმედ ღვთისმეტყველებაჲ არს იგი, არამედ უფროსღა უმეცრებად მისა საგონებელი ჭეშმარიტების მოყვარეთაგან. ესე ტათ-ეველი ფრიად წინააღმდგომ არს წვალების მთავართა შორის ერთ-ბუნებიანთასა წმიდისა ხალკიდონის კრებისა და სანატრელისა ლეონ, რომაელთა პაპისა.

გრიგორი კესარიელი. ესე ტრფიალ იყო ჩვენ მართლ-მადიდე-ბელთ-მიმართ მტერობად და სიტყვითა ბოროტის-ყოფად ჩვენდა. ამან მოსე სომეხთა კათოლიკოსსა, რომელიცა იყო შემწყნარებელ წმიდ-ისა ხალკიდონის კრებისა, მიუწერა წიგნი წინააღმდგომი, და ამხ-ილებდა მას შეერთებისათჳს წმიდის ხალკიდონის კრებისა აღმსარე-ბელთა მიმართ.

სიმონ ჯულფელი. ამის სიმონისსა იტყვიან მყოფად ახლოთა ჟამთა, რომელსა სიტყვა უგეს ორთა ბუნებათა თჳს ლათინთაცა სამეუფოსა ქალაქსა კოსტანტინუპოლის. ესე ქადაგებდა ერთსა ბუნებასა და ერთსა ნებასა, და ერთსა მოქმედებასა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესსა, და იტყოდა ღვთაებით ვნებულად სიტყვასა ღვთისასა. ხოლო სულთა თჳსცა კაცთასა წარრევდა, ვითარმედ ანუ პირველ შესაქმისა კაცთასა შეიქმნნეს, ანუ თუ თესლოვნებისა მიერ კაცთასა დაიბადებიან დღეს მსგავსად კორცთა.

ლაზარე კათოლიკოსი სომეხთა. ესე აწ, რომელიცა ცხოვრებს ჟამთა ჩვენთა, მეგობარ არს ჩემდა ფრიად, რამეთუ მრავალ-გზის წიგნითა სიყვარულისათა მომიკითხა მე. ხოლო ვითარცა იტყვის უფალი: „რომელსა უყვარდეს მამა, ანუ დედა, უფოს ჩემსა, არა არს იგი ჩემდა ღირს; და რომელსა უყვარდეს ძე ანუ ასული უფროსს ჩემსა, არა არს ჩემდა ღირს“. დაღათუ მეგობარ არს ჩვენი, არამედ მე არა თავს ვიდებ უფროს შეყვარებასა მისსა სიტყვისაგან ღვთისა, რომელმან სისხლითა თჳსითა მიწოდა საუკუნოსა მას დიდებასა თჳსსა. ესე მაიძულებს მე უთნებელად თქმად ჭეშმარიტისა.

ამან ლაზარე აღსწერა წიგნი, რომელსა უწოდა „საწადელი სამოთხე", გარნა ყოვლად არა საწადელ არს იგი ჩემდა, არამედ ფრიადცა საძაგელ, ხოლო წიგნში იგი ლაზარე სომეხთა კათოლიკოსი ფრიად წინააღმდგომ არს წმიდისა ხალკიდონის კრებისა, და მაგინებელ წმიდისა ლეონისი, და გვიწოდს ჩვენ ლეონიად, და ცომითა აღზავებისათჳს პურთა საღმრთოთა საიდუმლოთასა, და ზედაშისა წყლითა განზავებისა განსაკვირველებათა გმობათა იტყვის, ვითარმედ ეშმაკიცა შეძრწუნდებიან.

ხოლო ვინათგან მწვალებელნი იგი მოძღვარნი უსჯულონი სომეხთანი მოვიხსენენით, ჯერ-არს რათამცა მართლ-მადიდებელთაცა მამათა სომეხთაცა ვახსენოთ სახელნი.

წმიდაჲ გრიგორი ეპისკოპოსი და მოწამე, წმიდითა ნათლითა სარწმუნოებისათა განანათლა ნათესავი სომეხთა, ხოლო მიიღო ხელის დასხმაჲ მღუდელთ-მთავრობისა ლეონტის მიერ კესარია-კაბადუკიისა მთავარეპისკოპოსისა მიერ. არს უკვე ამის წმიდისა გრიგორის წიგნსა შინა, სომეხთა სარწმუნოებისა აღსარების გამოთქმისასა, რომელსა შინა მოიხსენებიან ორნი ბუნებანი ქრისტესნი ერთსა გუამსა შინა. ხოლო მომთხრობელნი გვაუწყებენ ხილვასა წმიდისა გრიგორის მიერ, ვითარცა წინასწარმცნობელობისა მადლსა ღირს ქმნილისასა, რომელიცა გამოეცხადა მას, ვითარმედ მოსვლად უყუნეს სასომხეთოსა მიმართ ვიეთნიმე მაცთურნი წინამძღვარნი და მოძღვარნი, რათა წარწყმიდონ სულნი მართალნი.

არისტაკე, ძე გრიგორი მოწამისა და განმანათლებელისა, ეპისკოპოსი დიდისა სომხეთისა შემდგომად მამისა თჳსისა წმიდისა გრიგორისა. ესე უკვე მიიწია ნიკიად, ოდეს იგი წმიდა მსოფლიოჲ კრებაჲ აღესრულებოდა სამას ათვრამეტთა წმიდათა მამათა, ოდეს იგი დაამხვეს არიოს, განცოფებული მგელი ეკკლესიისა, და დაამტკიცეს მართლ-მადიდებელი სარწმუნოებაჲ. ესე არისტაკეს აღრაცხულ არს წმიდისა კრებისა მისგანთა სამასათრვამეტთა მამათა თანა.

ნერსე კათოლიკოსი სომეხთა, რომელსა ეწოდების სომეხთა მიერ ნერსე დიდი. ესე მიიწია კოსტანტინუპოლის, ოდეს იგი წმიდა მსოფლიო კრება აღესრულებოდა ას-ერგასისთა წმიდათა მამათა დასამხობელად მაკედონიოსისთჳს, რომელი იყო მბრძოლი სულსა წმიდისა,

და აპოლინარისათვის, რომელი იტყოდა სიტყვისა მიმართ განხორციელებულისა შემდგომად შეერთებისა ერთსა ბუნებასა ხორცთა და ღვთაებასა და საუფლოთა განკაცებისათვის წარრევდა, ვითარმედ თვინიერ გონიერისა სულისა იყუნესო ჯორცნი საღმრთონი. ამან ნერსე წინასწარმეტყველა სულითა სიტყუანი ესე: „დამდაბლდეს სამეფოჲ თქვენი მსგავსად სამეფოთა ისრაილისათა, და ქვეყანაჲ თქვენი მიეცეს ჯელთა უცხოთა მტერთასა; მიეცნეთ შიმშილსა, მახვილსა და ტყვეობასა მწარესა; და არღარა იყოს თავის-უფლებაჲ თქუენი ულლისაგან მძიმისა და ნათესავთა მიერ უცხოთა მოგებული ოფლითა თქუენითა შეიჭამოს წინაშე თვალთა თქუენთა; იქმნეთ თქუმნ მსგავსად ფურცელთა მიმო-დაბნეულ და დავიწყებულ, ვითარცა წყალი დათხეული; მიგელოს თქუენგან მეფობაჲ და მღუდელობაჲ, და უუფლონი მიმოხვიდოდეთ და ადგილითი-ადგილად, ვითარცა ცხოვარნი უმწყემსონი; განხვიდეთ სარწმუნოებისაგან და მამათ-მთავარი თქუენი არღარა გესვასყე ჟამთა გრძელთა; აღიფხვრათ ძირისაგან თქუენისა და კედელნი თქუენნი ძლიერნი დარღუმელ იქმნეს ჯელთაგან წარმართთასა“. ესენი იწინასწარმეტყველა დიდმან ნერსე ნათესავისათვის სომეხთასა.

ისააკ კათოლიკოსი სომეხთა. ამან აღწერა წიგნი რაჲმე სულითა ხილვათა თჳსთა, რომელსა შინა წინასწარ-მოასწავა დამხობაჲ მეფობისა და მღუდლობისა სომეხთა შორის, ვიეთმე მაცდურთა მამათ-მთავართა მიზეზითა. ხოლო მიიღო საზღვრის დადებაჲ ეფესოს წმიდისა მსოფლიოსა კრებისა ეპისტოლისაებრ, რომელი მიუწერეს მას წმიდამან პროკლე პატრიარქმან ახლისა რომისამან.

იოანე ფილოსოფოსი და მამათ-მთავარი კათოლიკოსი სომეხთა. არს უკუმ წიგნი ამისი, რომელსა შინა აღუწერიეს სანატრელსა მას ქრისტეს შორის ორნი ბუნებანი, რომელნიცა მოიხსენიების ნერსე ლამბრონელისა მიერ სიტყვათა შინა, რომელი იქადაგა კრებასა შინა ტარსონისასა.

მოსე ღრამატიკოსი. ამან გარდამოსცა ცმასა ზედა სომეხთასა თარგმანებით საღმრთო წერილი ძველი და ახალი. ხოლო აღწერა საგოდებელნი სიტყუანი დაცემისათჳს ეკკლესიისა სომეხთასა, სულელთა და მწვალებელთა მწყემსთა მიზეზითა.

დავით სიბრძნის მოყვარე. ესე გამოთქმასა შინა სარწმუნოებისასა ცხად-ჰყოფს შემდგომად შეერთებისა ორსა ბუნებასა და ერთსა გუამსა სიტყვისა ღვთისა მიმართ.

შეკრბეს მოძღვარნი ოც-და-ერთნი სომეხთა ნათესავისანი ბრძანებითა მავრიკ იმპერატორისათა სამეუფოსა ქალაქსა კონსტანტინუპოლის, და ეზიარნეს წმიდასა კრებასა ხალკიდონისსა.

ეზრა კათოლიკოსი სომეხთა. ესე ბრძანებითა იმპერატორისა ირაკლისათა იქმნა შემწყნარებელ წმიდისა ხალკიდონის კრებისა. ამან ეზრა კათოლიკოსმან, კაცმან წმიდამან და ჭეშმარიტმან მწყემსმან, შეკრიბნა ეპისკოპოსნი და მთავარნი და ბრძენნი სომეხთანი და სიბრძნით განმხილველმან წმიდისა ხალკიდონის კრებისამან — პოვა უცთომელი სარწმუნოებაჲ წმიდისა ეკკლესიისა; და ქმნა კრებაჲ კარნუქალაქს (არზრუმი) და შეიწყნარეს ყოველთა სომეხთა წმიდაჲ კრებაჲ ხალკიდონისა, და შეაჩუმნა კრებაჲ საეშმაკო დვინისა, რომელი შეჰკრიბა მწვალებელმან ნერსე კათოლიკოსმან, და შობაჲ ქრისტესი განაწესა დეკემბერსა 25-სა, ვითარცა განაწესეს წმიდათა მამათა, და სამ-წმიდასა შინა გალობასა „რომელი ჯვარს ეცვი" აღიღო ვითარცა შემატებული მწვალებელთა მიერ. ხოლო იოანე მარგომელი, რომელიცა კრებასა მას ეზრასსა წინა-აღუდგებოდა, განჰკუმთეს იგი კრებასა მას შინა კარნუქალაქისასა.

ისაკ კათოლიკოსი სომეხთა, ესე წარვიდა ეპისკოპოსთა თჳსთა თანა სამეუფოსა ქალაქსა კოსტანტინუპოლის ბრძანებითა იმპერატორისა იუსტინოს მცირისათა. ხოლო მუნ ჰყვეს ძიებაჲ სიტყვათა ზედა წმიდისა სარწმუნოებისათა და აღიარეს სიტყუაჲ განკორციელებული შემდგომად შეერთებისა ორითა ბუნებითა და ორითა მოქმედებითა.

ერმონ, ტირიდატ, აზარია, ეზეკიილ და **კირიაკოს**. ესენი მოწაფენი იყუნეს ანანია მოძღვრისანი; ხოლო წარვიდეს ერთბამად იერუსალიმად და განეკრძალნენ მუნ ცთომილებასა მოძღვრისა მათისასა; ხოლო მორაიქცეს რა სომხეთად, უქადაგეს ყოველთა ჭეშმარიტებაჲ მართლ-მადიდებელთა სარწმუნოებისა.

ბაბგენ კათოლიკოსი სომეხთა. ამან ჰყო ერთობა წმიდისა გერმანეს მიმართ კოსტატინუპოლელთა პატრიარქისა, და მიუწერა მას

ეპისტოლე აღსარებაჲ ჭეშმარიტისა სარწმუნოებისა, რომელიცა, იხილეს რა ბრძენთა სამეუფოსა ქალაქისათა, აქეს იგი.

წმიდა ნიკონ, ნათესავით სომეხი. ამან ქადაგა სომეხთა შორის და ბერძენთა სინანული ცოდუათა და სიწრფოება კეთილ-მსახურებათა. ხოლო აღწერაცა წიგნი, რომელსა შორის სიტყუას უგებს და ამხილებს ვიეთმე სომეხთა ცთომილებასა.

ზაქარია კათოლიკოსი სომეხთა. ამან ინება ქმნა კრებისა და შემოჰკრიბნა მამანი სომეხთანი, რათა წმიდა ჰყოს და განაწრფელოს ეკკლესიაჲ თჳსი.

მეორე კრებაჲ ყოველთა სომეხთა შეჰკრბენ უკუმ შირაკავანსა, ხოლო დამხსნელთა ათხუთმეტთა კანონთასა, განაგდეს ყოველი წვალებაჲ ნესტორისა და ევტიქისა და სხვანი ცრუ მოძღვრებანი და განმართლებით და დამტკიცებით საზღვარ დებულებაჲ წმიდისა ხალკიდონის კრებისა დაამტკიცეს.

ვაჰან კათოლიკოსი სომეხთა. ესე იყო გამოცდილ ფრიად ზედმიწევნილებასა შინა და სარწმუნოებითა მართლ-მადიდებელ. ამან აღწერა წიგნი რაჲმე შუმნიერი წინააღმდგომად ერთ-ბუნებიანთა მწვალებელთა და იღვაწა განახლებისათჳს თჳსისა ეკკლესიისა. ხოლო აღსარებისათჳს წმიდასა ხალკიდონის კრებისა და პატივისათჳს წმიდათა ხატთასა, განაყენეს იგი საყდრისაგან და ექსორია ჰყვეს ვასკურაპანისა კერძოთა, ჟამსა იმპერატორთა ვასილი და კოსტანტინესთა.

გრიგორი ნარეველი, რომლისა სიწმიდეთა ფრიად მეცნიერ ვარ მე. ამან წერილითა და სიტყვითა შეჩუმნებულ ჰყო კრებაჲ დვინისა და მანასკერტისა. ხოლო წმიდათა მზრახველ იქმნა წმიდისა ვაჰანისა ჭეშმარიტებათათჳს დევნულისა, და ერთ-ნებით და საქმით და ერთ-სიტყვით დადგრეს ორნივე ნეტარნი მოყვასნი სჯულსა ზედა კათოლიკე ეკკლესიისასა. ამან გრიგორი ნარეველმან აღწერა წიგნი საევდრებელი ლოცვათა, სავსე მდუღარებითა და მხურვალითა სიყვარულითა საღმრთოჲთა, და მართლ-მადიდებლობითა.

წმიდა მაკარი, ნათესავით სომეხი. ამას უკვე გონიერებისათჳს და სიწმიდისა, და უმეტეს მოძღვრებისათვის მართლ-მადიდებლობისა, გამორჩევითა ყოველთა თანა ერწმუნა საყდარი დიდისა ეკკლესიისა ანტიოქელთასა.

წმიდა სიმეონ მოღვაწე. ესე წარვიდა ჰრომად და აღიარა მუნ

ჭეშმარიტი სარწმუნოებაჲ. ხოლო სამარადისოსა მის ლოცვისა და კეთილის მოქმედებისათჳს მისისა ყოველსა შინა იტალიასა, და სრულიად ევროპიასა — განბრწყინდა ცხოველი და მკუდარი დიდითა საკვირველებითა.

გრიგორი კათოლიკოსი სომეხთა, რომელსაცა სუროდა წამებაჲ ქრისტესთჳს. ამან წიგნთაგან ბერძენთასა და ასურთასა თქმულნი წმიდათა მოწამეთათჳს სთარგმნა ენასა ზედა სომეხთასა. ხოლო შეერთებისათჳს ეკკლესიისა თჳსისა წარვიდა კოსტანტინუპოლის ალექსი კომნინისა იმპერატორისა თანა და წარავლინა მაუწყებელი ჰრომადცა გრიგორი მეშვიდესა პაპასა თანა.

გრიგორი და ზაქარია მოძღვარნი, რომელთა გამოთქუმს შეწყობით ლექსთაგან რჩეულთა საკითხავი საუფლოსა სერობისათჳს, რომლისა აღმომკითხველნი ცხადად ჰპოებენ მის შორის თქმასა ქრისტეს ზედა ორთა ბუნებათასა.

ისააკ, რომელსა ეწოდა ბერძენთა მიერ კათოლიკოსი დიდისა სომხეთისა. ესე ქადაგებისათჳს მართლ-მადიდებლობისა განდევნილ იქმნა მწვალებელთა მიერ, და წარვიდა კოსტანტინუპოლის. ხოლო მუნ აღწერა წიგნი ერთი მსახურებისათჳს სომეხთასა, სავსე შესმენითა და ძვირის ხსენებითა.

გრიგორი კათოლიკოსი სომეხთა. ესე წარვიდა იერუსალიმს და, შესრულმან კრებასა შინა, რომელი ექმნათ ეპისკოპოსთა ლათინთასა, მოქმედმან შეერთებისამან, მათ თანა შეიწყნარა წმიდა კრებაჲ ხალკიდონისა.

ნერსე კლაელი, კათოლიკოსი სომეხთა. ამას ნერსე კლაელსა წარმოუვლინა მოციქულად მანუილ კომნიანმან იმპერატორმან ღვთის-მეტყველი ვინმე მოძღვარი სახელით ტრაიანე ყოფად ძიებისა სარწმუნოებისა მისისა. ხოლო შემდგომად მრავალთა დღეთა ურთიერთარს სიტყვა-გებისა ცნა ტრაიანემან, რამეთუ ნერსე იყო კაცი ფრიად სათნოჲ და ბრძენი და მოყვარე მართლ-მადიდებლობისა, რომელი შეიწყნარებდა სიტყვასა მოძღვრებისასა მრთელითა გონებითა და სწადოდა მართლ-მადიდებელთა მიმართშეერთებაჲ ეკკლესიისა თჳსისა, რომლისათვისცა ინება ქმნა კრებისა შეერთებისათჳს. ხოლო წიგნსა შინა მრავალნი წამებანი იპოებიან, რომელნი დაამტკიცებენ სარწმუნოებასა მართლ-მადიდებელთასა.

გრიგორი კათოლიკოსი სომეხთა, ჰრმად წოდებული. ამან ბრძანებითა ლეონ სომეხთა მეფისათა შემოჰკრიბნა ეპისკოპოსნი შეერთებისათჳს სომეხთასა ეკკლესიისა მიმართ.

მესამე კრებაჲ ყოველთა სომეხთა, რომელი იქმნა ქალაქსა ტარსუკილიკიასა ჟამსა მას, ოდეს აღმოსავალისა ეკკლესიისა და დასავალისა შორის სიტყვისა-გებაჲ წინა განსაწყო ახლად აღძრულად საგონებელ იყო, თქვეს დამტკიცებაჲ წმიდისა ხალკიდონის კრებისა; გარნა რაოდენნიმე უწყით, რომელთაცა შეიწყნარეს დასავალისა ეკკლესიისა საეკლესიონი საიდუმლონი მათებრ და არა ჩვენებრ, არამედ მე ვჰგონებ, ვითარმედ მონაზონთაგან ლათინთასა, რომელნიცა ქადაგებისათჳს მიმოვალნ სომეხთა შორის, მათ მიერ არს დამეტებული წერილთა შინა მოთხრობათასა.

ნერსე ლამბრონელი, კაცი ბრწყინუალე ბრძენთა შორის სომეხთასა და ზედ მიწევნილი წრფელისა მოძღვრებისა. ესე ფრიად დაშვრა შეერთებისათჳს მართლ-მადიდებელთას; ფრიადითა ტრფიალებითა ამან აღწერნა წიგნნი ლექსთაგან შუმნიერთა, რომლისა ელვარე ყოფასა მეცნიერ ვარ მე, რომელსა შინა არა რაჲ არს ცთომაჲ რაჲმე, რამეთუ არს მოყუას ჭეშმარიტებისა. ხოლო კადნიერად ქადაგებდა და სწერდა იგი ჭეშმარიტებასა, რაჲცა შუმნის მართლ-მადიდებელსა სარწმუნოებასა წმიდისა ხალკიდონის კრებისასა.

გრიგორი კათოლიკოსი სომეხთა. ამან მისწერა ინოკენტიოს მესამესა, პაპასა ჰრომისასა, და იტყვიან, ვითარმედ ეზიარა სარწმუნოებასა ხალკიდონის კრებისასა.[1]

იოანე კათოლიკოსი სომეხთა. ესე ერთ იქმნა ჰრომაელთა ეპისკოპოსისა და ირწმუნა წმიდაჲ კრება ხალკიდონისა.

კოსტანტინე კათოლიკოსი მაღალ-ციხელი. ესეცა ეზრახა პაპასა ჰრომისასა და მეგობარ იქმნა მისსა და აღიარა კრებაჲ ხალკიდო-

1 არიან რომელნიმე ორთა ბუნებათა შემწყნარებელად აღწერილნი მოძვარნი სომეხთანი პაპიანთა, ესე იგი არს ლათინთა სარწმუნოებისა აღმსარებელად ჩემ მიერ საგონებელნი, რამეთუ თჳთ ესე გრიგორი მეფობასა ალექსი იმპერატორისასა მისრულ იქმნა კოსტანტინუპოლის და ეზრახა პაპასა ჰრომისასა, და თანა ზრახვითა იტალიელთასა იქმნა შემწყნარებელ წმიდისა ხალკიდონის კრებისა. ხოლო რომელნიმე არიან ქვემორე მისსა, რომელნიცა თანა ერთ სიტყვა ქმნითა პაპისა და იტალიელთასა იქმნნეს შემწყნარებელ ორთა ბუნებათა ქრისტესთა აღსარებისა. გარნა ჟამსა მას ალექსი იმპერატორისასა ჩვენ და ლათინთა შორის მცირედი რაჲმე განყოფილებაჲ საგონებელ არს, და ესრეთ ვითარცა ხედავთ.

ნისა, რომელსაცა პაპისა მიერ გრიგორისა, თხოვისაებრ მისისა, მოეცა სამოსელი რაჲმე.

გრიგორი კათოლიკოსი სისისა. ესეც მორჩილ იყო ეკკლესიისა ჰრომთასა და ორთა ბუნებათა ქრისტესთა აღმსარელებელად საგონებელ არს, რამეთუ ამტკიცებდა აღწერილთა შინა თჳსთა წმიდათა მიერ მამათა წამებასა ორთა ბუნებათათჳს ქრისტესთა.

მეოთხე კრებაჲ ყოველთა სომეხთა. ბრძანებითა ორთა ბუნებათა აღმსარებელთა მეფეთა სომეხთასა ჰეთომ და ძისა მისისა ლეონისა ესენი შეკრბეს სისის შინა, რათამცა სომეხთა შეიწყნარონ მეშვიდე მსოფლიო წმიდა კრებაჲ.

კონსტანტინე კათოლიკოსი, ნათესავით კესარიელი. ესე სიმხნით წინააღუდგებოდა რომელნიცა ჰგმობდენ და არა შეიწყნარებდენ სისისა კრებასა; და ჰქმნა კრებაცა და გამოიძია და დაამტკიცა ჭეშმარიტებაჲ.

მეხუთე კრებაჲ ყოველთა სომეხთა შეკრბა ატინის ქალაქსა შინა და ბრძანეს ერთობაჲ მართლ-მადიდებელთა მიმართ, და წამებითა წმიდათა მამათათა უქმ ჰყვეს „აკარაკი“ — ვითარმედ ამაო მეტყველებაჲ არს, და დახსნეს იგი.

იოანე ქრნელი, რომლისათანა შემოკრბეს სხვანიცა მრავალნი მოძღვარნი სომეხთანი, და შეკრბეს ქალაქსა ქრნას და ერთ-ხმობით დაამტკიცეს ქადაგებაჲ ყოველთა სომეხთა ერთობისა წმიდისა ხალკიდონის კრებისა შემწყნარებელთა მიმართ.

მიხითარ კათოლიკოსი. ესე ერთ იქმნა ჰრომაელთა ეპისკოპოსის კლემენტოს მეექვსისა.[1]

ესე მოძღვარნი სომეხთა გუარისანი, რომელთა სახელთა და საქმეთა მათთა მწერალ ვიქმნენით რიცხვისაებრ თვითოეულებათასა, არიან

---

1 ესე სახელნი, რომელნიცა ვახსენენ ორთა ბუნებათა აღმსარებელნი სომეხთაეკკლესიისა მოძღვართანი — არა შეუწყნარებელ არიან ჩვენ მიერ. ხოლო არიან რომელნიმე ამთგანნი მქადაგებელ მართლ-მადიდებლობისა; და არიანცა რომელნიმე აღმსარებელ რეცა ორთა ბუნებათა ქრისტესთა; გარნა ერთ სიტყვად საგონებელ არიან ლათინთა მხრახველად, სჯულთა საეჭველ არიან, თვინიერ ნერსე კლაელისა კათოლიკოსისა და ნერსე ლამბრონელისა, ხოლო რომელთაცა შეიწყნარეს სომეხთაგანთა მოძღვართა კრება ხალკიდონისა — ყოველნივე ერთად მოვიხსენენ წიგნსა ამას ჩემსა, თვინიერ ორთასა, რამეთუ ორნი იგი მახლობელ ჟამთა ფლორენციის შეკრებულისა მის ამოსა კრებისა იყუნეს საეჭველ და ლათინთა ზიარ სარწმუნოებისა და ამისთჳს არა ვახსენენ იგინი.

უკუმ მწვალებელთა სახელნი ამას წიგნსა მოხსენებულნი — 17, კრებანი ღვთის მოძაგებულნი საეშმაკონი — 2; კრება პირველი ნერსეს მიერ[1] დვინს შეკრებული, რომელსა ჰყვა ეპისკოპოსნი ათი, და მეორე იოანე ღვთის მოძულისა განცოფებულისა მის მგელისა მიერ შეკრებული დაბასა მანასკერტს, რომელსა ჰყვა თანა მზრახველად კრებასა მას ბილწსა ეპისკოპოსნი ექვსნი. და ესეცა სათანადო არს უწყებად, რამეთუ ნერსე აშტარეკელისა მიერ შესცთენ ნათესავნი სომეხთანი და განდგეს ეკლესიისაგან წმიდისა მიზეზითა ასურთა მახლობელობისათა, რამეთუ ადგილთა მათ სირიათასა, რომელთა შორის დაითხია გესლი იგი უსჯულოსა ევტიქისა არქიმანდრიტისა ვარსუმის მიერ ბილწისა და მონაზონთა მოწაფეთა მისთა. ხოლო მომკვლელისა მის ძეგლისა მწოვნელ იქმნეს სირიელნი, ესე იგი არს ასურნი, ხოლო ასურთა მახლობელობითა მიიღეს სომეხთაცა და სვეს მომკვლელისა მისგან გესლისა. და ამით მიზეზითა აღეგზნო თორნე იგი ეკლესიასა შინა ეჩმიაძინისასა, რამეთუ ნერსე ისწავა ასურთაგან ევტიქიანთა და დიოსკორიანთა წვალებად ესე, ვითარმედ ძე ღვთისა ღუთაებისაგან მამულისა ბუნებით, და დედისაგან ქალწულისა ადამიანისა არს ერთითა ბუნებითა ცნობილი, და სამ-წმიდასა შინა გალობასა დართული იგი წვალებად, რომელი წმიდასა სამებასა შეასმენს ვნებულად „წმიდაო უკუდაო რომელი ჩვენთვის ჯვარს ეცვი", ესე ნერსეს მიერი წყლულება მიიღო ეკლესიამან ეჩმიაძინისამან. ხოლო შემდგომად უსჯულოსა მის ნერსე აშტარაკელისა სიკუდილისა დასხდეს საყდარსა სომეხთა დიდსა ეკლესიასა ეჩმიაძინისასა კათოლიკოსნი ექვსნი, რომელნიცა შეაჩვენებდენ წმიდასა კრებასა ხალკიდონისსა და წმიდისა ლეონს, და შეიწყნარებდენ კრებასა დვინისსა და მათ ექვსთა შორის კათალიკოსთა სომეხთა, რომელნიცა შეიწყნარებდეს კრებასა დვინისასა და შეაჩვენებდეს კრებასა ხალკიდონისსა ერთი არს აბრაამ, რომელსა სიტყუა უგო კათოლიკოსმან მცხეთა ქალაქისამან და ყოველთა ქართუმლთამან წმიდამან კირიონ — თუ რომლისა უკუმ მიზეზითა განუდგეს მართლ-მადიდებელთა და შეაჩუმნეს კრებად ხალკიდონისა და მიერიდგან არღარა ეზიარებოდენ ქართუმლნი გვარსა სომეხთასა.

---

1 ამის ნერსე აშტარაკელისამდე, სომეხნი ყოველნივე მართლ-მადიდებელ საგონებელ არიან.

შემდგომად ნერსე აშტარაკლისა და ექვსთა შემდგომთა მისთა და კათოლიკოსთა მწვალებელთა წვალებისა ღამეთაგან ბნელთა მათ ჰაერთა სომხეთისათა, აღმოიმზევა შარავანდედმან მართლ-მადიდებლობითთა სჯულთამან დიდმან მამათ-მთავარმან ნეტარმან ეზრა, რამეთუ ამან წმიდამან ეპისკოპოსმან ეზრა, მიიღო რა საყდარი მამა-მთავრობისა — ინება ყოფად ერთობისა მართლ-მადიდებელთა ბერძენთა და დასავალ-ისაგანთა თანა, რამეთუ ჟამსა მას პაპა ჰრომისა ეკკლესიის თანა აღმოსავლისა ჰყოფდა ყოვლითურთ განუჭრელსა ერთობასა. ამან ეზრა შეკრიბნა ყოვლისა სომხეთისაგან ეპისკოპოსნი და მთავარნი სომეხთანი კარნუქალაქს და ქმნა კრებაჲ მართლ-მადიდებლობისა, და შეიწყნარა მართლ-მადიდებელთა კათოლიკე სარწმუნოებაჲ განსაზღვრებისაებრ ხალკიდონს შეკრებულისა კრებისა, და შემწყნარებელმან ხალკიდონისა კრებისამან შეაჩვენა წყეული იგი კრება დვინისა და განკვეთა უსჯულო იგი იოანე მარგუმელი, რომელიცა წინ აღუდგებოდა კრებასა მას წმიდასა ეზრასსა, და ესე იყო ჟამთა ირაკლი იმპერატორისათა. ამის სანატრელისა ეზრასსა სიკუდილისა შემდგომად იყუნეს რაოდენნიმე მართლ-მადიდებელნი კათოლიკოსნი სომეხთანი, ვიდრე უსჯულოისა იოანე ოძნელისამდე. ხოლო მიშვებითა ღვთისათა, მიიღო რა საყდარი ეჩმიაძინისა ეკლესიისა მხეცმან მან რა მძლავრმან იოანე ოძნელმან, რომელნიცა მახვილითა მოკლნა მრავალნი, და შერივა მწკრივისაგან აღმოღებული იგი სუნმყრალობაჲ წყაროსა მას განმაცხოველებელსა, რომელ არს მართლ-რწმენითობა სჯულთა კათოლიკე ეკლესიისათა. ამისსა შემდგომად იყუნეს მოძღვარნი სომეხთანი, რომელთაცა იცნეს ჭეშმარიტებაჲ ორთა ბუნებათა ქრისტესთა, რომელთაგანი არიან რიცხვით 58. ხოლო კრებანი, რომელთაცა შეიწყნარეს წმიდა კრებაჲ ხალკიდონისა, არიან 5. და სხვანიცა არიან მამანი სომეხთა შორის მორწმუნენი ორნი ხალკიდონის კრებისა სჯულთანი, რომელთაცა სახელთაცა და საქმეთა მეცნიერ ვიყავ მე, გარნა განგებით დაუტევენ იგინი, რამეთუ ახალთა ჟამთა მყოფობისათვის მათისა, ოდეს იგი იქმნა განყოფაჲ ჩვენი და დასავლელთა, მის ჟამისა ჟამსა მყოფობისათვის საეჭვოდ მიჩნდა, რამეთუ ნუ უკვე მისრულ იყუნეს იგინი სჯულთა ჰრომთასა, ამისთვის დაუტევენ და ვახსენენ იგინი.

„მზამეტყველება“



წმ. ეპისკოპოსი ეგნატე (ბრიანჩანინოვი)

ამაო სიბრძნის შესახებ

მოსკოვის ჟურნალებმა ომი წამოიწყეს ბერმონაზოვნობის წინააღმდეგ. წერენ, რომ იგი ანაქრონიზმია. ვფიქრობ, აჯობებს უფრო გულახდილები ვიყოთ და პირდაპირ ვთქვათ, რომ ჩვენ დროში თვით ქრისტიანობაა სრული ანაქრონიზმი. თანამედროვე პროგრესი პირდაპირ წინააღმდეგობაშია ქრისტიანობასთან და მის მიმართ აშკარა მტრობას ამჟღავნებს.

წმ. ეპისკ. ეგნატე, წერილი №109

თქვენ მეკითხებით: რა აზრისა ხარ კაცობრივი სიბრძნის შესახებო. ადამიანთა მოდგმა დაცემის დღიდანვე შეუდგა მიწის დამუშავებას, ამქვეყნიური ცხოვრების წესიდან გამომდინარე, უამრავი ყოფითი საზრუნავი და საფიქრალი გაუჩნდა. მოკლედ, ადამიანისათვის უპირველეს მოთხოვნილებად იქცა მატერიალური მხარის დაკმაყოფილება, რაც ჩვენი საუკუნის უმნიშვნელოვანესი დამახასიათებელი ნიშანია.

კაცთა დაცემას მოჰყვა აგრეთვე სხვადასხვა მეცნიერებათა განვითარება, რაც დაცემული ადამიანის აზროვნების ნაყოფია. შთაბეჭდილებებისა და უმწიფარი ცოდნის დაგროვება დაცემულ სამყაროში ცხოვრების უმთავრესი შედეგია. განსწავლულობა მიხრწნილი ადამიანის სულის ლამპარია, რომელიც ანათებს იმ ადგილს, სადაც „სიბნელე უკუნეთისა სუფევს უკუნისამდე“. მაცხოვარმა შეძლო დაცემული ადამის მოდგმისათვის იმ ლამპრის უკან დაბრუნება,

რომელიც მათ შემოქმედისაგან ებოძათ ოდესღაც, შესაქმის ჟამს და რაც შეცოდებისთანავე დაჰკარგეს. ეს ლამპარი სულიწმიდაა, სული ჭეშმარიტებისა, განბრძნობილი სრული ჭეშმარიტებით, გამომეძიებელი ღვთაებრივი სიღრმეებისა, დაფარულ საიდუმლოთა გამომაჩინებელი, ადამიანის სულისათვის იმ ცოდნის მიმნიჭებელი, რომელიც მისთვის საჭირო და აუცილებელია. მეცნიერს, რომელსაც სურს ჩაღრმავდეს სულიერ სიბრძნეს, პავლე მოციქული ასე მიმართავს: „უკუეთუ ვისმე ბრძენ ჰგონიეს თავი თვისი თქუენ შორის ამას სოფელსა, სულელ-იქმენინ, რათა იყოს იგი ბრძენ“ (1 კორ. 3-18). ჭეშმარიტად, განსწავლულობა თავისთავად სიბრძნე როდია, არამედ ლტოლვა სიბრძნისაკენ. დაეუფლო ჭეშმარიტ შემეცნებას, რომელიც უფალმა უბოძა კაცთა მოდგმას, მხოლოდ რწმენის გზით არის შესაძლებელი, ცოდვით დაცემული ადამიანის აზროვნებისათვის იგი შეუცნობელია და ამიტომ ჰიპოთეზებითა და ვარაუდებითაა სავსე ამგვარი მეცნიერება. კაცობრივი სიბრძნე წარმართთა და უსჯულოთა ხვედრია და მისი საფუძვლები სრულიად ეწინააღმდეგება სულიერ, ღვთაებრივ სიბრძნეს. შეუძლებელია ერთდროულად იყო ორივე სიბრძნის მიმდევარი — ან ერთს უნდა აქციო ზურგი ან მეორეს განუდგე დაუყოვნებლივ. დაცემული ადამიანი „ცრუ არს“. მცდარი შეხედულებების წყალობით გაჩნდა „ცრუ აზროვნება“, ანდა მცდარ შეხედულებათა და აზრთა მთელი სისტემა, რომელიც გარეგნულად ჩანს, როგორც „აზროვნება“. სინამდვილეში კი აბდაუბდა და ბოდვაა ბოროტისაგან შეპყრობილი ადამიანის გონებისა, რომელიც ცოდვისა და დაცემის სასიკვდილო წყლულითაა დაავადებული. გონების ამგვარი სნეულება ნათლად გამოსჭვივის ფილოსოფიურ მეცნიერებებში.

ლოცვისათვის

ლოცვის დროს აუცილებელია პირადი ნების უარყოფა. გულში არაფრის დიდებით არ უნდა გაივლო, რომ შენ რაიმე წარმატების ღირსი ხარ; მხოლოდ ღმერთს უნდა ესავდე, მთელი გულისყურით ლოცულობდე და მაშინ შეამჩნევ, რომ წარმატებისაკენ სწრაფვა

მხოლოდ და მხოლოდ მოუთმენლობითა და სიფიცხით გამოწვეული ფუჭი გატაცება იყო. სიფიცხესთან მეგობრობს ამპარტავნება. ჭეშმარიტი სიმდაბლე და სიმშვიდე თან სდევს მხოლოდ პირადი ნების უარყოფას, რასაც მოსდევს კიდეც წყალობა ღვთისა.

ოდეს ადამიანი ღირს-იქმნება ღვთაებრივი განცდისა, მაშინ მიხვდება მშვინვიერ შეგრძნებათა არარაობას და ცხადია, იგრძნობს, რომ მოხიბლული ყოფილა. აღთქმული ქვეყნის გზა უდაბნოზე გადის. როდესაც უდაბნოში ვართ, უნდა ვიცოდეთ, რომ იგი უდაბნოა და აღთქმულ ქვეყნამდე ჯერ კიდევ შორი გზა გვიდევს, შემხვედრი თვალწარმტაცი ოაზისი აღთქმულ ქვეყნად არ უნდა მივიჩნიოთ, აღთქმულ ქვეყანაში მისვლის სურვილი არ უნდა გაგვინელდეს და არც იმედი ჩაგვიქრეს. ოაზისი შეიძლება შევადაროთ დროებით წარმატებას, რომლებსაც დამწყებნი დროდადრო აღწევენ ლოცვისას. ამ დროს მადლმოსილი ყურადღება არ უნდა გაგვეფანტოს. ყურადღება ლოცვის ჟამს უდიდესი სულიერი ნიჭი და საბოძვარია, იგი ადამიანებს საკუთარი ძალისხმევით არ ენიჭებათ, თუ უფალმა არ მიაგო.

სულიერი მოძღვრის შესახებ

გულით გიყვარდეს უფალი იესო ქრისტე და შემდგომ შეიყვარე მოყვასი შენი. არ გქონდეს უფლის სიყვარული და მოყვასი გიყვარდეს — ეს საშიშია, რამეთუ „ნუ იქნები მონა კაცისა“, ბრძანებს მოციქული.

მუდამ გულში ჩამწვდომი იყო წმიდა იოანე ნათლისმცემლისა და წინამორბედის სიტყვები: „რომელსა აქუნდეს სძალი, იგი სიძე არს, ხოლო მეგობარი სიძისა, რომელი ჰსდგას და ესმის მისი, სიხარულით უხარის ხმითა სიძისათა. ესე უკუე სიხარული ჩემი აღსრულებულ-არს. მისა ჯერ არს აღორძინებად, ხოლო ჩემდა მოკლებად“ (იოანე III, 29-30).

აქედან გამომდინარე, სულიერი მოძღვარი ჯერ ზეციურ სიძეს უნდა ჰმსახურებდეს, ადამიანთა სულები მას უნდა დაუახლოვოს და არა საკუთარ თავს, ყველას უნდა აუწყოს ქრისტეს უსაზღვრო, ენით აუწერელი სილამაზე, სახიერება და სიკეთე, რათა მათ შეიყვარონ

იესო ქრისტე, ჭეშმარიტად ღირსი სიყვარულისა, ხოლო მოძღვარმა დიდი და მდაბალი იოანე ნათლისმცემლის მსგავსად გზა იესო ქრისტეს უნდა დაუთმოს, თავი დაიმდაბლოს მოწაფეთა წინაშე, რათა ამგვარი თავისდამცირებით სრულყოს ისინი სულიერად. რამეთუ ვიდრე მოწაფეებში ხორციელი გრძნობა სჭარბობს, მოძღვარს განადიდებენ. სულიერად ამაღლებულნი კი, უწინარეს ყოვლისა, განადიდებენ ქრისტეს, ხოლო მოძღვარში მხოლოდ ღმრთის ერთგულ მსახურს ჭვრეტენ.

მიკერძოებას ნუ გამოიჩენ მოძღვრის მიმართ, მრავალმა ეს გაფრთხილება ყურად არ იღო და მოძღვართან ერთად ეშმაკის მახეში გაება. მოძღვრის რჩევა-დარიგების აღსრულება და მორჩილება სათნოა ღვთისათვის, ვიდრე მიკერძოებაში არ გადაიზრდება. მიკერძოების გამო ზოგჯერ საყვარელ ადამიანს კერპად გაიხდიან, კერპისადმი შეწირული მსხვერპლი ღმერთს განარისხებს და ასე გადის ცხოვრების დღენი, წყალშია ჩაყრილი კეთილი საქმენი, მათი კეთილსურნელება ქარს მიაქვს და სიმყრალით ქარწყლდება. ამიტომ კერპს გულში ადგილს ნუ მიუჩენთ.

და შენც, მოძღვარო, ეცადე ცოდვაში არ ჩადგა ფეხი, ნუ ეცდები ღმრთის ადგილი დაიკავო ახლადმოქცეულთა სულებში. წმიდა იოანე ნათლისმცემელს მიბაძე — ეცადე, ქრისტე განადიდონ შენმა მოწაფეებმა და არა შენ. ოდეს იხილავ, თუ როგორ დამდაბლდი, მაშინ აღივსები სიხარულით, სულში საოცარი სიმშვიდე დაისადგურებს და ცხადად იგრძნობ, რომ აღსრულებულა მაცხოვრის სიტყვები: „რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, იგი ამაღლდეს“.

ნეტარ არიან სახარებისეული სწავლების გულმოდგინედ აღმსრულებელნი, რომლებმაც ხორციელი ზრახვანი და ვნებათაღელვანი უგულებელყვეს. როგორც დაცემული სხეულის სურვილები ცოდვითაა სავსე, ასევეა დაცემული სულისაც. დაცემული ადამიანი ეძებს აღასრულოს საკუთარი ნება, გახდეს მარტოსული, დამოუკიდებელი არსება, პირველობას იჩემებს და პატივმოყვარეა. სახარება ბრძანებს ამგვარი ცხოვრებისაგან განდგომას, ღვთის ნების აღიარებას და საკუთარი ნების უარყოფას. სახარება მოითხოვს, რომ ადამიანმა მხოლოდ ღმერთს მიაგოს საღმრთო პატივი, თვითონ კი ქმნილებათა შორის დაიკავოს კუთვნილი ადგილი.

ამქვეყნიურ და მომავალ ცხოვრებაზე

დაე ყოვლადმოწყალე უფალმა მოგმადლოს შენ მოთმინება, რომელიც მაშინ ეფინება სულს, როცა მივენდობით ღვთის ნებას, და ვმადლობთ ღმერთს მწუხარებისათვის, რომელიც ჩვენი ცოდვების განსაწმენდად მოგვივლინა. მშვენივრად თქვა წმიდა მოწამე ტივურტიმ (ხსენება 22 ნოემბერს) ამქვეყნიურ ცხოვრებაზე: „მეჩვენება, რომ არის და არც არის". ზუსტია! ის თითქოს თვალწინაა და ხელშესახებია, მაგრამ ყოველთვის ხელიდან გვისხლტება. მომავალ ცხოვრებაზე კი ტივურტიმ თქვა: „მეჩვენება რომ არ არის და არის". მართლაც, როცა აქა ვართ გვგონია, რომ ყოველთვის აქ ვიცხოვრებთ; მომავალი ცხოვრება არაარსებულად გვეჩვენება, მაგრამ არა, ვერც კი შევამჩნევთ, ისე დადგება, და დადგება უეჭველად. ნეტარ არიან ისეთნი, რომელთაც ღმერთი მარადისობისათვის განამზადებს ავადმყოფობებითა და სხვა ჭმუნვებით, რომელნიც თავიანთი მწუხარების ადგილიდან შეჰღაღადებენ უფალს: „და ჩვენ სამართლად ღირსი, რომელ ვქმენით მოგვეგების, მოგვიხსენე უფალო ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა".

მე ძლიერ მტკივა ხელ-ფეხი, განსაკუთრებით მარჯვენა ფეხი; ძალიან მტკივა თავიც, მაგრამ მთავარ ტკივილს მარცხენა მხარეს მკერდში, ნეკნებთან, ბეჭთან და გულთან ვგრძნობ, თითქოს ჭრილობა მქონდეს მიყენებული შუბით, რითაც უკიდურეს უძლურებაში ვარ და მომაკვდავივით ვგრძნობ თავს. სასარგებლოა ნაცნობთა სიკვდილის ამბის გაგება, ამგვარი უწყებებით ადამიანს საკუთარი სიკვდილი ახსენდება.

როგორ უეცრად, ყოველგვარი ხილული მიზეზის გარეშე, ყველაზე ახალი სისხლი და ხორცი მიუდგება და საკუთარ თავში დაბადებს სიკვდილის ჩანასახს! ეს ჩანასახი იწყებს განვითარებას, და უეცრად გადადის განუკურნებელ ავადმყოფობაში, რომელიც კაცს დაასამარებს.

მორჩილებისათვის

მშვენიერია თქვენი სურვილი – გამოცდილი მოძღვრის სრულ მორჩილებაში ყოფნა, მაგრამ ჩვენს დროში აღარ არის ეს ღვაწლი.. არათუ ერში, არამედ მონასტრებშიც კი. აზროვნებისა და ნების მოკვდინება არ ძალუძს მშვინვიერ კაცს, რაგინდ კეთილი და სათნოც არ უნდა იყოს თავისთავად ეს კაცი. ამ საქმისთვის აუცილებელია მადლმოსილი მამა: მხოლოდ მას ძალუძს მოწაფის სულის ხედვა, მხოლოდ იგი ჭვრეტს, საიდან საით მიემართებიან სულიერი მისწრაფებანი წურთვნილში. მოწაფე მოვალეა საკუთარი სინდისის სიწმინდისათვის ზუსტად და დაწვრილებით აღიაროს თავისი გულისთქმები, მაგრამ მოძღვარი მოწაფის სულიერი მდგომარეობის შეფასებისას ამ აღსარებით როდი უნდა ხელმძღვანელობდეს, იგი სულიერი ხედვით უნდა ჩაწვდეს მოწაფის სულს და აუხსნას მისი მდგომარეობა. ასე იქცეოდნენ პახუმი დიდი, თეოდორე განწმენდილი და ბერ-მონაზონთა სხვა წმიდა მასწავლებლები. „მამხილე, მამაო!“ – სთხოვდნენ თეოდორე განწმენდილს მისი მოწაფეები, და იგიც, შთაგონებული სულითა წმიდითა, თვითეულს გამოუცხადებდა მათში დაფარულ სულიერ წყლულებებს. ეს დიდი მამები „მონაზვნურ მორჩილებას“ სული წმიდის განსაკუთრებულ ნიჭად მიიჩნევდნენ, ამას მოწმობს მათი თანამედროვე ღირსი კასიანე. მორჩილება „სასწაულია რწმენისა“ და მისი აღსრულება მხოლოდ ღმერთს ძალუძს. ამიტომაც ამ სასწაულს მარტოოდენ ის ადამიანები იქმოდნენ, რომელთაც ნიჭი მორჩილებისა ზეგარდმო ჰქონდათ მომადლებული. მაგრამ როდესაც კაცნი განიზრახავენ საკუთარი ძალისხმევით მიაღწიონ იმას, რასაც მხოლოდ ღმერთი იძლევა, მაშინ მათი შრომა ფუჭია და ამაო, ისინი ჰგვანან სახარებაში ნახსენებ მშენებლებს, რომლებმაც შესაფერისი მასალის გარეშე წამოიწყეს სვეტის შენება. ყველა გამვლელი, ანუ დემონები და ვნებები, სასაცილოდ აიგდებს ამგვარ მშენებლებს, რადგან ერთი შეხედვით, ისინი კეთილ საქმეს სჩადიან, სინამდვილეში კი მწარედ ტყუვდებიან, საკუთარ ვნებებს ემონებიან და ეშმაკის ნებას მისდევენ. მრავალს ეგონა, მოძღვრის მორჩილებაში ვიმყოფებიო,

მაგრამ აღმოჩნდა, რომ საკუთარ ჟინს იკმაყოფილებდნენ და გულის განხურვებით იყვნენ ცთუნებულნი. ბედნიერია იგი, ვინც სიბერეში მაინც მოასწრებს სინანულის ცრემლის ჩამოგდებას, სიყრმის გატაცებების გამო. ბრმა წინამძღოლებსა და მათ მიმდევრებზე ბრძანა უფალმა „ბრმაჲ ბრმასა თუ წინა-უძღვინ, ორნივე მთხრებლსა შთაცვივიან“ (მთ. 15, 14).

სხვაგვარი ღვაწლი ხვდა წილად ჩვენს დროს, რომელიც შეერთებულია მრავალ სიძნელესა და წინააღმდეგობასთან. მოგზაურობა გვიხდება არა დღისით, მზის სინათლეზე, არამედ ღამით, მთვარის და ვარსკვლავების მკრთალ შუქზე, სახელმძღვანელოდ მოგვეცა წმიდა წერილი – ამას პირდაპირ ამბობენ ბოლო დროის წმ. მამები. საღმრთო წერილით ხელმძღვანელობისას სასარგებლოა მოყვასთა რჩევებიც, იმათი, ვინც თვითონ ცხოვრობს მამათა ნაწერების მიხედვით. ნუ იფიქრებთ, თითქოს ჩვენი ღვაწლი მოკლებული იყოს მწუხარებებსა და გვირგვინებს. – არა! იგი მოწამეობასთანაა შეერთებული, ეს მოწამეობა ჰგავს ლოთის ტანჯვას სოდომში: მართალი ლოთის სული იტანჯებოდა გარშემო გამეფებული გაუთავებელი და დაუოკებელი მრუშობით. ჩვენც ვიტანჯებით, ყოველი მხრიდან გარემოცულნი იმ ადამიანებით, რომლებმაც ულალატეს ჭეშმარიტებას, ცოდვილი კავშირით შეეკრნენ სიცრუეს, შეიძულეს ღმრთივ შთაგონებული წმიდა წერილი, ჯოჯოხეთური ლანძღვა-გინება, ცილისწამება და დაცინვა დაატეხეს მას. ჩვენი ღვაწლი სათნოეყოფა ღმერთს: მის სასწორზეა აწონილი ჩვენი უძლურებაც, შესაძლებლობებიც, გარემოებებიც, და თვით ჩვენი დროც. ერთ დიდ მამას ასეთი გამოცხადება ჰქონდა: იხილა ამსოფლიური ცხოვრება ზღვის სახით. ძველი დროის მოღვაწეებს ცეცხლოვანი ფრთები მიეცათ და მათ ელვასავით გადაუარეს ვნებათა ზღვას. ბოლო დროის მოღვაწეებს ფრთები არ მიეცათ, ისინი ზღვისპირას ისხდნენ და ტიროდნენ. მაშინ მათაც უბოძეს ფრთები, მაგრამ ცეცხლოვანი კი არა, სხვაგვარი, სუსტი. მათაც დაიწყეს ზღვის გადალახვა, მაგრამ რადგანაც ძლიერი ფრთები არ გააჩნდათ, ხშირად ცვიოდნენ წყალში, ძლივსძლივობით აღწევდნენ თავს ტალღებს და ფრენას განაგრძობდნენ. ბოლოს, მრავალი გაჭირვებითა და დიდი წვალებით ნაპირს მიაღწიეს.

ნუ მივეცემით სასოწარკვეთილებას. განუსჯელად ნუ მოვინდომებთ, თავს ვიდოთ დიდი მოღვაწეობა, რომელიც აღემატება ჩვენს ძალებს. მოწიწებით მივიღოთ მცირე ღვაწლი, თითქოსდა ხილულად რომ გვაძლევს ღმერთი: სწორედ ისაა ჩვენი უძლურების შესაფერი. აღვასრულოთ ეს ღვაწლი წმიდა ჭეშმარიტების ერთგულებით და ამა სოფლის ხმაურიანი, უზარმაზარი ბრბოდან, რომელიც ფართო და ვრცელი გზით მიჰყვება რაციონალიზმს, გადავიდეთ ეკლესიის და წმიდა მამების მორჩილების ვიწრო გზაზე, რომელიც ღმერთისაკენ მიდის. ცოტანი მიდიან ამ გზით: მერე რა! უფალმა ბრძანა: „ნუ გეშინინ მცირესა მაგას სამწყსოსა, რამეთუ სათნო—იყო მამამან თქუენმან ზეცათამან მოცემად თქუენდა სასუფეველი; შევედით იწროისაგან ბჭისა, რამეთუ ვრცელ არს ბჭე და ფართო არს გზაჲ, რომელსაც მიჰყავს წარსაწყმედელად, და მრავალნი ვლენან მას ზედა. ვითარ—იგი იწრო არს ბჭე და საჭირველ გზაჲ, რომელი მიიყვანებს ცხორებასა. და მცირედნი არიან, რომელნი ჰპოვებენ მას". (ლკ. 12, 32; მთ. 7, 13-14).

ცხონების შესახებ

რა მწარე და გულსატკენი სანახავია: ქრისტიანები, რომლებმაც არ იციან, რა არის ქრისტიანობა! არადა, ირგვლივ თითქმის ყველგან ეს მდგომარეობაა; იშვიათად თუ ნახავს ადამიანი ამის საპირისპირო, სანუგეშო მაგალითს! გამონაკლისად იქცა ერთდროულად სახელითა და საქმით ქრისტიანი, იმ ხალხს შორისაც კი, ვინც თავის თავს ქრისტიანს უწოდებს.

თქვენს მიერ დასმულ შეკითხვას ახლა განუწყვეტლივ იმეორებენ: „რატომ არ უნდა ცხონდნენ წარმართები, მაჰმადიანები, და ეგრეთ წოდებული მწვალებლები? მათ შორის ბევრი კეთილშობილი ადამიანია. მათი წარწყმედა ღმერთის მოწყალე ბუნების საწინააღმდეგო იქნებოდა!... დიახ, სწორედ, რომ მიუღებელია ეს აზრი ადამიანის საღი აზროვნებისათვის! — ხოლო რაც შეეხება მწვალებლებს, ისინი ხომ იგივე ქრისტიანები არიან. ჩვენ, მართლმადიდებელნი, ვსცხონდებით,

ხოლო სხვა სარწმუნოების მიმდევარნი წარწყმდებიან, — ამის თქმა უგუნურებაცაა და უკიდურესი ამპარტავნებაც".

სათქმელის სიცხადეს მრავლისმეტყველებით რომ არ ვავნო, ამიტომ ვეცდები მოკლედ გიპასუხოთ:

ქრისტიანებო! ცხონებაზე მსჯელობთ და იცით კი, რა არის ცხონება? ანდა რისთვის სჭირდება იგი ადამიანს? და ბოლოს, იცით კი ქრისტეცხონების ერთადერთი საშუალება?

წმიდა კათოლიკე სამოციქულო ეკლესიის სწავლება ამ საკითხთან დაკავშირებით ასეთი გახლავთ: ხსნა სულისა (ცხონება) მდგომარეობს ღმერთთან დაკარგული კავშირის აღდგენაში. ეს კავშირი კაცობრიობამ ადამის პირველქმნილი ცოდვით დაკარგა, მთელი მოდგმა ადამისა დაღუპულ არსებათა წყებაა. წარწყმედა ყველა ადამიანისა ხვედრია, კეთილისა თუ ბოროტისა.

„უსჯულოებათა შინა მიუდგა და ცოდვათა შინა მშვა მე დედამან ჩემმან" (ფს. 50,7), წმ. მამათმთავარი იაკობი თავის მშვენიერ, უძანკო იოსებსა და თავის თავზე ასე ამბობს: „შთავიდე ძისა ჩემისა თანა გლოვით ჯოჯოხეთად" (დაბ. 37, 35) მიწიერი ცხოვრების შემდეგ ჯოჯოხეთში ჩადიოდნენ ძველი აღთქმის არა მარტო ცოდვილნი, არამედ მართალნიც. ასეთი ძალა აქვს ჩვენს ადამიანურ სიკეთეს. ასეთივე ფასი აქვს ჩვენი ცოდვილი ბუნებიდან შობილ სათნოებებს! ცხონებისათვის, ანუ ღმერთთან დაკარგული კავშირის აღდგენისათვის აუცილებელი გახდა გამოხსნა, გამოსყიდვა ცოდვისა. კაცობრიობის ხსნა მოხდა არა ანგელოზის, ან მთავარანგელოზის, ან კიდევ რომელიმე სხვა, უმაღლესი, მაგრამ სასრული და ქმნილი არსების მიერ, არამედ თვით უსაზღვრო ღმერთის მიერ. უფალმა თავს იდვა კაცთა მოდგმის კუთვნილი სასჯელი. ჩვენი ღვაწლის ყველა ნაკლი მისმა უდიდესმა ღირსებამ დაფარა, შეავსო. ადამიანური, უმწეო კეთილი საქმეების ნაცვლად მოგვცა ერთი, ყოვლის შემძლე კეთილი საქმე: რწმენა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მიმართ. ჰკითხეს იუდეველებმა ქრისტეს: „რაი ვყოთ, რაითა ვიქმოდეთ საქმესა ღმრთისასა? მიუგო იესო და ჰრქუა მათ: ესე არს საქმე ღმრთისა, რაითა გრწმენეს, რომელი-იგი მან მოავლინა" (ინ. 6; 28. 29).

ცხონებისათვის ერთი კეთილი საქმე გვესაჭიროება: სარწმუნოება.

მაგრამ სარწმუნოება საქმეცაა. სარწმუნოებით, მხოლოდ სარწმუნოებით და უფლისაგან ბოძებული ეკლესიური საიდუმლოებების მეშვეობითაა შესაძლებელი ღმერთთან დაკარგული კავშირის აღდგენა. ამაოდ ფიქრობთ და ამბობთ, რომ კეთილი ხალხი, თუნდაც წარმართი ან მაჰმადიანი იყოს, მაინც ცხონდება, ანუ ღმერთთან ერთად იქნება მარადისობაში. ცდებით! ჭეშმარიტი ეკლესია, როგორც ძველი ალთქმისა, ისევე ახლისა, ყოველთვის აღიარებდა, რომ სულის ხსნის ერთადერთი საშუალება არის მაცხოვარი. ადამიანი თავისი დაცემული ბუნების გამო, უდიდესი სათნოებებითაც რომ იყოს დაჯილდოებული, მაინც ჯოჯოხეთისთვისაა განწირული.

გაიხსენეთ, რომ ძველი ალთქმის მართალნი, მნათობნი, გაბრწყინებულნი სულითა წმიდითა, წინასწარმეტყველნი და საკვირველთმოქმედნი, რომელთაც სწამდათ მაცხოვრის მოსვლა, მის განკაცებამდე მაინც ჯოჯოხეთში ხვდებოდნენ. მაშ როგორღა გინდათ, რომ ცხონდნენ წარმართნი და მაჰმადიანები, მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენ ისინი კეთილნი გეჩვენებიან, თუკი მათ არც შეიცნეს და არც იწამეს მაცხოვარი? ცხონება ხომ ერთადერთი, ვიმეორებთ, ერთადერთი საშუალებითაა შესაძლებელი — იესო ქრისტეს რწმენით.

ქრისტეანენო! შეიცანით ქრისტე! — გაიგეთ, რომ არ იცნობთ მას, აღიარეთ, რომ უარყოფდით მას, თუკი თვლიდით, რომ ცხონება მხსნელის გარეშე, რაღაც კაცობრივი სიკეთეების გამოც მიეცემა კაცს. ის, ვინც შესაძლებლად თვლის ცხონებას იესო ქრისტეს რწმენის გარეშე, უარყოფს ქრისტეს და შესაძლოა უნებლიედ, ღმრთის გმობის ცოდვაში ვარდება.

„რამეთუ ვიტყვით განმართლებასა კაცისასა სარწმუნოებითა თვინიერ საქმეთა შჯულისათა, სარწმუნოებითა იესო ქრისტესითა ყოველთა ზედა მორწმუნეთა რამეთუ არა არს განწვალება. — ხოლო განმართლდებიან უსასყიდლოდ მადლითა მისითა და გამოხსნითა მით იესო ქრისტესითა“ (რომ. 3; 22, 24). თქვენ მიპასუხებთ, რომ წმიდა მოციქული იაკობი მოითხოვს უსათუოდ კეთილ საქმეებს; იგი გვასწავლის, რომ სარწმუნოება საქმეების გარეშე მკვდარია: „ვითარცა ხორცნი თვინიერ სულისა მკუდარ არიან, ეგრეთვე სარწმუნოება თვინიერ საქმეთასა მკუდარ-არს“ (იაკობ 2,26); მაგრამ აბა კარგად

დააკვირდით, რას მოითხოვს წმიდა მოციქული იაკობი, და თქვენ ნახავთ, რომ იგი, როგორც ყველა ღვთივსულიერი მწერალი წმიდა წერილისა, მოითხოვს სარწმუნოებრივ საქმეებს, და არა კეთილ საქმეებს. ამის მაგალითად მას პატრიარქ აბრაამის რწმენის დამადასტურებელი საქმე მოჰყავს; აბრაამს ერთადერთი შვილი უნდა შეეწირა მსხვერპლად უფლისათვის. ეს იყო ამ ამბის შინაარსი. საკუთარი შვილის მსხვერპლად შეწირვა ადამიანური გონების მიხედვით სრულებითაც არაა კეთილი საქმე. ეს საქმე იმდენადაა კეთილი, რამდენადაც ღვთის ნების აღსრულებას, სარწმუნოების საქმეს წარმოადგენს. ჩაიხედეთ ახალ ალთქმაში, ან მთელ წმიდა წერილში და ნახავთ, რომ იგი ღმრთის მცნებების აღსრულებას მოითხოვს და მათ აღსრულებას ეწოდება საქმე. უფლის მცნებების დაცვით ხდება სარწმუნოება ცოცხალი. ამის გარეშე იგი მკვდარია. ნახავთ იმასაც, რომ ჩვენი დაცემული ბუნების ნამოქმედარი კეთილი საქმეები, გამომდინარე გრძნობებიდან, ვნებებიდან, გულის ნაზი განცდებიდან და აღტყინებიდან, აკრძალულია და დაგმობილი. თქვენ კი სწორედ ეს კეთილი საქმეები მოგწონთ წარმართებსა და მაჰმადიანებში და გსურთ, რომ ისინი ცხონდნენ ამ საქმეების წყალობით, თუნდ არც კი სწამდეთ ქრისტე. უცნაურია თქვენი მსჯელობა საღი აზროვნების შესახებ. საიდან, რატომ ფიქრობთ, რომ გაქვთ ეს საღი აზროვნება? თუ კი თქვენ ქრისტიანი ხართ, მაშინ წარმოდგენაც ქრისტიანული უნდა გქონდეთ ამ საკითხის შესახებ და რაღაც ყურმოკრულ სწავლებებს არ უნდა გამოედევნოთ. სახარება გვასწავლის, რომ დაცემით ადამიანმა ცრუ აზროვნება შეიძინა და ეს ყალბი აზროვნება, მიუხედავად მისი ღირსებებისა და ამსოფლიურ მეცნიერებებში მისი განსწავლულობისა, მაინც ინარჩუნებს დაცემული ბუნების ყველა თვისებებს. უნდა უარვყოთ იგი და სარწმუნოება გავიხადოთ წინამძღოლად. თავის დროზე ასეთებს ღმერთი მიანიჭებს ჭეშმარიტ ანუ სულიერ აზროვნებას; აი ასეთი აზროვნება შეიძლება და საჭიროცაა, რომ ვაღიაროთ საღ გონებად. იგია განცხადებული სარწმუნოება, ასე მშვენივრად აღწერილი წმ. მოციქულ პავლეს მიერ ებრაელთა მიმართ ეპისტოლეს მე-11 თავში. სულიერი აზროვნების საფუძველი ღმერთია, ამ მტკიცე ლოდზე დაშენებული იგი არ ირყევა

და არც ეცემა, ხოლო იმას, რასაც თქვენ საღ აზრს უწოდებთ, ჩვენ, ქრისტიანენი ცდომილებად, სიბნელედ და ავადმყოფობად შევრაცხავთ. იგი კი მხოლოდ სარწმუნოების მახვილით, ჩვენი ცრუ აზროვნების მიერ დაგროვებული მთელი ცოდნის მოკვეთით განიკურნება. და თუკი მას მაინც საღ აზროვნებად მიიჩნევთ, მიუხედავად იმისა, რომ იგი რაღაც მერყეე, განუსაზღვრელ, გაუგებარ და მუდმივად ცვალებად საფუძველზე დგას, იცოდეთ, სწორედ ეგ აზროვნება იქნება, ქრისტეს უარყოფამდე რომ მიგიყვანთ. თქვენ კი რას გეუბნებათ თქვენი საღი აზრი? იმას, რომ კეთილი ხალხის წარწყმედა, რომლებსაც არა სწამთ იესო ქრისტე, ეწინააღმდეგება თქვენს საღ აზროვნებას! უფრო მეტიც, თქვენ ფიქრობთ, რომ ასეთი კეთილი ხალხის წარწყმედა ეწინააღმდეგება ღმრთის მოწყალებას! თქვენ უსათუოდ ზეციდან გექნებოდათ გამოცხადება იმის შესახებ, თუ რა ეთანხმება და რა არა ღმრთის მოწყალებას! — არა? — კი მაგრამ, თქვენი საღი აზრი რომ ამას გეუბნებათ? ოჰ. ეს თქვენი საღი აზრი!.. კი, მაგრამ თქვენი საღი აზროვნების იმედად როგორ ასკვნით, რა ეთვისება და რა არა ღმრთის მოწყალებას? საიდან მოიტანეთ, რომ ძალგიძთ საკუთარი, შეზღუდული, ადამიანური გონებით განსაჯოთ, თუ რა არის ღმრთისათვის სათნო? ნება მიბოძეთ, ჩვენი აზრი გითხრათ: სახარებამ, იგივე ქრისტეს სწავლებამ, იგივე წმიდა და კიდევ სხვაგვარად წმიდა კათოლიკე სამოციქულო ეკლესიამ, ღმრთის მოწყალებასთან დაკავშირებით, ყველაფერი გვაუწყა რისი დატევნაც კი შეეძლო კაცის გონებას; რა ამაოა და ფუჭი ადამიანის ტვინის ჭყლეტა, როცა იგი განუსაზღვრელი ღმერთის განსაზღვრას ლამობს, როცა ცდილობს, აუხსნელი თავისი წარმოდგენის მიხედვით ახსნას.

ახსნას ვინ?... ღმერთი? ასეთი წამოწყება სატანური წამოწყებაა!.. შენ, რომელიც თავს ქრისტეანს უწოდებ, და ამავე დროს არ იცნობ ქრისტეს მოძღვრებას! თუკი ამ მადლმოსილი, ზეციური მოძღვრებიდან ვერ გაგვიგია, რომ ღმერთი კაცის გონებისათვის შეუცნობელია და მიუწვდომელი — წადი სკოლაში, ყური დაუგდე, რას ასწავლიან ბავშვებს. მათემატიკის მასწავლებელი მათ უხსნის, რომ უსასრულობა, როგორც განუსაზღვრელი სიდიდე, არ შეიძლება ემორჩილებოდეს იმ კანონებს, რომელსაც ემორჩილება განსაზღვრული სიდიდეები-რიცხვები,

რომ მისი შედეგები, შესაძლოა, სრულიად საწინააღმდეგო იყოს რიცხვთა შედეგებისა... შენ კი გინდა, კანონები დაუწესო ღმერთის გულმოწყალებას და ამბობ, ეს ეთანხმება მას, ეს კი — ეწინააღმდეგებაო, — იმისდა მიხედვით, თუ როგორ ეთვისება იგი შენს საღ აზრს, შენს წარმოდგენებსა და შეგრძნებებს! რატომ გგონია, რომ ღმერთს ყველაფერი ისე უნდა ესმოდეს და ისე გრძნობდეს, როგორც შენ გრძნობ და გესმის? არადა სწორედ ამას მოითხოვ ღმრთისაგან. აი, ყოვლად განუსჯელი და უდიდესი სიამაყით აღსავსე წამოწყება! მაშ საღი აზრისა და თავმდაბლობის არქონაში მაინც ნუ სდებ ეკლესიას ბრალს, ეგ შენი, საკუთრივ შენი ნაკლია! წმიდა ეკლესია კი განუხრელად მიჰყვება თავად ღმერთის მიერ განცხადებულ სწავლებას ღვთაებრივი ქმედების შესახებ. მას მორჩილად მისდევენ რწმენით განათლებული მისი ჭეშმარიტი შვილები, რომელთაც დადრიკეს ღმერთთან მორკინალი, მზვაობარი გონება. ჩვენ გვწამს, რომ ღმერთის შესახებ მხოლოდ იმის ცოდნაა ჩვენთვის შესაძებელი, რაც თავად უფალმა გამოგვიცხადა! რომ იყოს სხვა გზა ღმრთის შემეცნებისა, რომელსაც საკუთარი ძალისხმევით გავუკვლევდით ჩვენს გონებას, მაშინ ადამიანს არ მიეცემოდა ზეციური გამოცხადებანი. აუცილებელია ისინი ჩვენთვის და ამიტომაც გვეძლევა. რა ამაოა და მცდარია კაცობრივი ნააზრევი, ადამიანური გონების მიმოკვეთება!

თქვენ ამბობთ, მწვალებლები იგივე ქრისტიანები არიანო, საიდან მოიტანეთ? ვინც იტყვის ამას, თუ არა უკიდურესი უმეცარი, ქრისტიანი რომ ჰქვია და არაფერი იცის კი ქრისტეს შესახებ. სხვა ვინ გაბედავს და იტყვის, თითქოს ისეთივე ქრისტეანია, როგორც რომელიმე მწვალებელი. ხოლო წმიდა ქრისტეანული სარწმუნოება არაფრით განირჩევა წყევის შვილთა ღმრთის მგმობი მწვალებლობისაგან! ჭეშმარიტი ქრისტიანები სხვაგვარად მსჯელობენ ამის შესახებ! წმიდა მოწამეთა ურიცხვმა საკრებულომ მოწამეობრივი გვირგვინები მწვალებლობასთან ბრძოლაში დაიდგა. მათ უსასტიკესი, ხანგრძლივი ტანჯვა-წამება და სატუსაღოები არჩიეს ღმრთის მგმობი სწავლების გაზიარებას. მსოფლიო ეკლესია ყოველთვის აღიარებდა, რომ მწვალებლობა მომაკვდინებელი ცოდვაა, რომ ადამიანი, რომელიც ამ საშინელი სენითაა დაავადებული, მკვდარია სულით, განშორებულია

ღმრთის მადლისა და ცხონებისაგან, თანაზიარია ეშმაკისა და მისი დამღუპველი საქმეებისა. მწვალებლობა გონების ცოდვაა, იგი უფრო სატანისეულია, ვიდრე ადამიანური. იგი ასულია ეშმაკისა და მის მიერ გამოგონილი ეს უსჯულოება ახლოა კერპთაყვანისმცემლობასთან.

ეკლესიის წმიდა მამები კერპთაყვანისმცემლობას — უსჯულოებას, ხოლო მწვალებლობას — ბოროტის მსახურებას უწოდებენ. კერპთმსახურებისას ეშმაკი თვითონ იღებდა ღმრთის კუთვნილ პატივს დაბრმავებული ადამიანებისაგან, ხოლო მწვალებლობით იგი მათ თავისი უმთავრესი ცოდვის, ღმრთის გმობის თანაზიარად იხდის: ის, ვინც ყურადღებით წაიკითხავს „საეკლესიო კრებათა აქტებს", ადვილად დარწმუნდება, რომ მწვალებელთა ხასიათი მთლიანად სატანურია, დაინახავს მათ საშინელ თვალთმაქცობას: განუზომელ სიამაყეს, მათ საქციელს, რომელიც მუდამ სიცრუითაა განმსჭვალული, დაინახავს მათ ბილწ ვნებებს, იმას, რომ თუკი მიეცათ შესაძლებლობა, ყოველთვის მზად არიან ჩაიდინონ საზარელი ბოროტმოქმედება. განსაკუთრებით თვალში საცემია მწვალებელთა შეურიგებელი სიძულვილი ჭეშმარიტი ეკლესიის შვილების მიმართ, რომელთა სისხლიც მათ მთელი არსებით სწყურიათ! მწვალებლობა გულის განძვინებასთან, გონების საშინელ დაბნელებასა და დაზიანებასთანაა დაკავშირებული. იგი მყარად მკვიდრდება მის მიერ მოწამლულ სულში და მეტად ძნელია ადამიანის განკურნება ამ მძიმე სენისაგან. ყოველი მწვალებლობა შეიცავს სული წმიდის გმობას: იგი ან სული წმიდის დოგმატს გმობს, ანდა სული წმიდის მოქმედებას, მაგრამ აუცილებლად გმობს სული წმიდას. ყოველგვარი მწვალებლობის არსი არის გმობა ღმრთისა. წმ. ფლაბიანემ, კონსტანტინეპოლის პატრიარქმა, რომელმაც საკუთარი სისხლით ალბეჭდა ჭეშმარიტი სარწმუნოების აღმსარებლობა, კონსტანტინეპოლის ადგილობრივი კრების განჩინება ერესიარქ ევტიქიზე ამგვარად გადმოსცა: „ევტიქი, აქამომდე ხუცესი, არქიმანდრიტი, საკვლებით მხილებულია, როგორც თავისი წარსული მოქმედებით, ასევე — აწინდელი ახსნა-განმარტებებით, ვალენტინისა და აპოლინარის ცდომილებაში და მათი ღმრთის გმობის ჯიუტად დაცვაში, — მითუმეტეს, რომ მან არ შეიწყნარა ჩვენი რჩევა-დარიგებანი — მიელო ჭეშმარიტი სწავლება. ამიტომაც ვტირით და მოვთქვამთ მის დაღუპვასა და

საბოლოო წარწყმედას, და სახელითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა ვაცხადებთ, რომ იგი ღმრთის გმობაშია ჩავარდნილი, რომ მას ჩამორთმეული აქვს სამღვდელო წოდება, აღკვეთილი აქვს ჩვენთან ერთობა და ეკრძალება მონასტრის განმგებლობა. ამით ჩვენ ვაუწყებთ ყველას, რომ ვინც კი ამიერითგან ისაუბრებს მასთან ან ინახულებს მას, თავადაც განკვეთა ელის". ეს განჩინება მიიღო მთელმა ეკლესიამ, ესაა მსოფლიო ეკლესიის მოკლე განჩინება მწვალებელთა თაობაზე, იგი დაამტკიცა ქალკედონიის მეოთხე მსოფლიო კრებამ. ევტიქის მწვალებლობის არსი ის იყო, რომ იგი უარყოფდა ეკლესიის სწავლებას მაცხოვრის ორი ბუნების შესახებ — იგი აღიარებდა მასში მხოლოდ ღვთაებრივ ბუნებას. თქვენ მეტყვით — ეგ არის და ეგ, მეტი ხომ არაფერიო?! სასაცილოა, ერთის მხრივ, თავისი უმეცრების გამო, ხოლო, მეორე მხრივ, თავისი არსით და შედეგებით, მეტად საკვალალოა ის პასუხი, რომელიც ერთ-ერთმა ძლიერმა ამა სოფლისამ გაუგზავნა ალექსანდრიის პატრიარქს, წმ. ალექსანდრეს, არიოზის მწვალებლობის შესახებ. ეს პიროვნება ურჩევს პატრიარქს შეინარჩუნოს მშვიდობა, არ წამოიწყოს დავა, რომელმაც შეიძლება ქრისტიანული სულისათვის ეგზომ მიუღებელი განხეთქილება გამოიწვიოს. იგი წერს, რომ ვერ ამჩნევს არიოზის სწავლებაში რაიმე საძრახისს; მხოლოდ სიტყვებშია განსხვავება და მეტი არაფერიო! „ეს განსხვავება სიტყვებში, — შენიშნავს ისტორიკოსი ფლერი, — რომელშიც თითქოს არაფერია „საძრახისი", უარყოფს იესო ქრისტეს ღვთაებრიობას," ყველა მწვალებლობა, მიუხედავად თავისი სხვადასხვაობისა, ერთი მიზნისაკენ ისწრაფოდა — ისინი უარყოფდნენ ქრისტეს ღვთაებრიობას და ამახინჯებდნენ მისი განკაცების დოგმატს. უახლესი მწვალებლობები კი უარყოფენ სული წმიდის მოქმედებას. მწვალებლებმა საშინელი გმობით უარყვეს საღმრთო ლიტურგია, ეკლესიის ყველა საიდუმლო, ყოველივე ის, რაშიც მსოფლიო ეკლესია სული წმიდის მოქმედებას აღიარებს: ყველაფერ ამას მათ კაცობრივი დადგინებანი უწოდეს, უფრო კადნიერად კი — ცრურწმენა, შეცდომა! რა თქმა უნდა, მწვალებლობაში თქვენ ვერ ხედავთ ქურდობას და ძალადობას. იქნებ ამიტომაც არ მიგაჩნიათ იგი ცოდვად? მაგრამ აქ უარყოფილია ძე ღმრთისა, უარყოფილია და დაგმობილია სული წმიდა, ეგ არის და

ეგ, მეტი არაფერი! ღმრთის გმობის სწავლების მიმღებელი და დამმარხველი, ის ვინც წარმოთქვამს ღმრთის გმობას, არც ავაზაკია და არც მპარავი, თავისი დაცემული ბუნების შესაბამისად კეთილ საქმეებსაც იქმს, ის მშვენიერი ადამიანია! როგორ იქნება, რომ ღმერთმა ასეთი კაცი არ აცხონოს!.. მიზეზი თქვენი უკანასკნელი ცდომილებისა, ისევე როგორც ყველა სხვა დანარჩენისა, ქრისტეანობის ჯეროვანი არცოდნა გახლავთ!

ასეთი უმეცრება უმნიშვნელო ნაკლი როდია! მას შეიძლება დამღუპველი შედეგებიც მოჰყვეს, მით უმეტეს ახლა, როცა ასე მომრავლდა წიგნები ქრისტეანული სათაურითა და სატანური შინაარსით. სწორედ ჭეშმარიტი ქრისტეანული სწავლების არცოდნის შედეგად შეიძლება, რომ მცდარი და ღმრთის მგმობი აზრი სიმართლედ მიიღოთ, შეითვისოთ იგი და მასთან ერთად მარადიული სიკვდილიც. ღმრთის მგმობი არ ცხონდება! წერილში გამჟღავნებული თქვენი ყველა მიუხედომლობა უკვე საშიშ შემასმენლად ეცლინება თქვენივე ცხონებას. მათი არსი ქრისტეს უარყოფაა! ნუ ეთამაშებით საკუთარ ცხონებას, ნუ ეთამაშებით! თორემ მარადიული ტირილი იქნება თქვენი ხვედრი. შეუდექით ახალი აღთქმის და მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა მამათა კითხვას (და არა ტერეზასი, ფრანცისკისა და სხვა დასავლელი შეშლილებისა, რომელთაც მათი მწვალებლური ეკლესია წმიდანებად ასაღებს!); შეისწავლეთ მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა მამებისაგან, როგორ გავიგოთ სწორად წმიდა წერილი, როგორი ცხოვრება, აზრები და გრძნობები შეჰფერის ქრისტეანს. წმიდა წერილითა და ცოცხალი სარწმუნოებით შეიცანით ქრისტე და ქრისტეანობა. ეცადეთ სანამ დადგებოდეს საშინელი ჟამი ღმრთის სამსჯავროს წინაშე წარდგომისა, მოიპოვოთ განმართლება ღმრთის მიერ, რომელიც უსასყიდლოდ ეძლევა უფლისაგან ყოველთა კაცთა, ქრისტეანობის მეშვეობით.

„წერილები ერისკაცთა მიმართ“ №28.

მცირე სამწყსო

ჩვენს დროში მრავალი კადნიერდება და სული წმიდის მიერ დადგენილ მოძღვრებაში საკუთარი სწავლებანი შემოაქვს. ამის გამო ზეციური განწესებანი მიწიერად იქცნენ, სულიერნი — ხორციელად, წმიდანი — ცოდვილად, სიბრძნე — უგუნურებად, შემდეგ თავადაც ამჩნევენ ამგვარი აღრევის სავალალო ნაყოფს, მაგრამ ვერ ხედავენ მიზეზს, საიდანაც მომდინარეობს ეს სამწუხარო შედეგი. რატომ? იმიტომ, რომ მოვლენებს საკუთარი დაცემული გონების შუქზე განიხილავენ და არა საღმრთო სწავლებისა.

უბედურებათა დასაწყისი კი სული წმიდის განგებულებათა ამპარტავნულ, ყოვლადდაუშვებელ უგულებელყოფასა და მოძულებაში, საკუთარი შეხედულებებით საღმრთო კანონთა შეცვლაში მდგომარეობს, აი მიზეზი საყოველთაო მოშლილობისა, ქრისტიანობის დაკნინებისა, ზნეობრივი დაცემისა, რომელიც მუდამ წინ უძღვის არეულობასა და ქაოსს საერო ცხოვრებაში.

თითქოს ბევრია ქრისტიანი, მაგრამ დაკარგულია ჭეშმარიტების საყოველთაო, ერთიანი ცოდნა და აღიარება, რომლის საშუალებითაც ყველანი ერთ მისტიურ სხეულში გაერთიანდებოდნენ, ერთ სულ და ერთ აზრ ამ სხეულის თავის — ქრისტეს ქვეშ.

დღეს ყველას მეტ-ნაკლებად საკუთარი შეხედულებანი, საკუთარი რელიგია, საკუთარი გზა გააჩნია, რომელსაც უცდომელად თვლის. ჩვენს წინაშეა მრავალრიცხოვანი ფარა, რომელსაც დაუკარგავს კავშირი და ერთობა სულში და ჭეშმარიტებაში. სულიერ დამკვირვებელს თვალწინ ეშლება სურათი უდიდესი უწესრიგობისა: ყველა ცხვარი თავისკენ მიიწევს, თუმცა არც კი იცის საით მიდის; არავინაა, ვინც შეაჩერებს მას, იზრუნებს მასზე; ადამიანებს არაფერი აღარ ესმით — ისე დახშულა მათი სმენა. აღარ ესმით მაცხოვნებელი ხმა ჭეშმარიტი მწყემსისა, რომელიც ჭეშმარიტი ეკლესიიდან მოისმის, რომელიც ხმამაღლა ამხილებს მათ სიცრუეში. იგი მიუთითებს მათ სწორი გზისაკენ, ისინი კი ამაო საზრუნავით, გასართობებით, ამქვეყნიური წინსვლით დაბრმავებულან და სმენითაც აღარაფერი ესმით. მიწას

მიჯაჭვია მათი სულები, თითქო საბოლოოდ დაუკარგავთ სულიერ განცდათა აღქმის ნიჭი.

მაგრამ ზოგიერთ რჩეულს დღემდე ესმის ჭეშმარიტი მწყემსის ხმა. ამ ხმას მიჰყვებიან, უდიდესი ძალისხმევით მიარღვევენ მრავალრიცხოვან ბრბოს, რომელიც გარშემორტყმია მათ და ქაოტურად ხმაურობს. ეს რჩეულნი ჯერ კიდევ მიაგებენ სამართლიან პატივს ზეციურ ჭეშმარიტებას. თუმცა ძალიან მცირეა მათი რიცხვი! მაგრამ უფალი ამხნევებს მათ: „ნუგეშინინ მცირესა მაგას სამწყსოსა, რამეთუ სათნო-იყო მამამან თქუენმან ზეცათამან მოცემად თქუენდა სასუფეველი“ (ლუკა 12; 32).

როგორია ამ ცხოვრთა ნიშანი, რომლის მიხედვითაც უნდა ვიცნოთ ისინი? ზედმიწევნით მორჩილება წმიდა ეკლესიისა, ერთგულება წმიდა ჭეშმარიტებისა და სული წმიდისა — აი ნიშნები, რომლითაც იცნობა „მცირე სამწყსო“.

ახალდამწყების ლოცვის სული

1. ლოცვა ღმრთისადმი შეწირული ჩვენი სათხოვარია.

2. საზრისი ლოცვისა მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანი — დაცემული არსებაა. იგი ისწრაფვის დაიბრუნოს ის ნეტარება, რომელიც ჰქონდა, მაგრამ დაკარგა და სწორედ ამიტომაც ლოცულობს.

3. ღმერთის უდიდესი მოწყალების იმედი — აი ნათსაყუდელი ლოცვისა. ნურასოდეს ეტყვი საკუთარ თავს: „მე ცოდვილი ვარ; ნუთუ ღმერთი შეისმენს ჩემს ლოცვას?“ ცოდვილი რომ ხარ, სწორედ შენ გეხება მაცხოვრის სიტყვები: „არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა სინანულად“ (მათე. IX; 13).

4. იმისათვის, რომ ლოცვისთვის მოვემზადოთ, საჭიროა დაუნაყრებელი მუცელი, რწმენის მახვილით ამაო საზრუნავზე ფიქრის მოკვეთა, ყოველი წყენის პატიება გულის სიწრფელით, მადლობა ღმრთისა ყველა მწუხარებათა გამო, მეოცნებეობისა და გაფანტულობის განგდება, კეთილკრძალული შიში ღმრთისა, რომელიც ესოდენ

დამახასიათებელი უნდა იყოს ყოველი ქმნილებისათვის, რამეთუ ლოცვისას იგი შემოქმედთან საუბარზე იქნება დაშვებული.

5. დაცემული კაცობრიობისადმი მაცხოვრის მიერ ნათქვამი პირველი სიტყვები იყო: „შეინანეთ, რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ცათა“ (მათე IV; 17). ამიტომაც, ვიდრე არ შეხვალ ამ სასუფეველში, აკაკუნე მის კარიბჭეზე სინანულითა და ლოცვით.

6. ჭეშმარიტი ლოცვა ჭეშმარიტი სინანულის ხმაა. როდესაც ლოცვა სინანულით არ არის გამსჭვალული, მაშინ იგი არ ასრულებს თავის დანიშნულებას, მაშინ იგი არ არის სათნო ღმრთისათვის. ასეთი ლოცვა არ დაამდაბლებს და არ შემუსრავს სულს, რომელიც უნდა იქცეს მსხვერპლად ღმრთისა (ფს. 50; 19).

7. მაცხოვარი ამბობს, რომ „ნეტარ არიან გლახაკნი სულითა“, რამეთუ მათ თავმდაბალი წარმოდგენა აქვთ საკუთარ თავზე. დაცემულ არსებად მიიჩნევენ თავს და თვლიან, რომ გამოდევნილნი არიან სამოთხიდან, ჭეშმარიტი მამულიდან. „ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა (მათე. V; 3).“ „ნეტარ იყვნენ მგლოვარენი გულითა“, ლოცვაში საკუთარი სულის სიგლახაკის განცდათა გამო, „რამეთუ იგინი ნუგეშინისცემულ იქმნენ“ (მათე V; 4) სული წმიდის მადლიერი ნუგეშინისცემით, რომელიც ქრისტესმიერ მშვიდობაში და ქრისტეს მიერ სიყვარულში მდგომარეობს. მაშინ მლოცველის სიყვარულს აღარავინ გამოაკლდება და თვით მტერზეც ილოცებს, რადგან შერიგებულია ამ ცხოვრების ყველა უმძიმეს გარემოებას.

8. როდესაც უფალი ლოცვას გვასწავლის, მლოცველის სულს ადარებს დაჩაგრულ ქვრივს, რომელიც უმკაცრესი მსაჯულის წინაშე მოუკლებლივ დგას და მანამდე ითხოვს, ვიდრე არ მიიღებს. (ლუკ. 18; 1-8). მსგავსად ქვრივისა, შენი ლოცვაც იყოს მუდმივი საჩივარი ცოდვის წინაამდეგ, რომელიც ძალადობს შენზე. ჩაულრმავდი საკუთარ თავს, ყურადღებიანი ლოცვით გამოიძიე და გამოიკვლიე იგი: თავის დროზე დაინახავ, რომ სულიერად მართლაც დაქვრივებულხარ შენში ჩასახლებული ცოდვის გამო, რომელიც გმტრობს, გტანჯავს, შიგნიდან გებრძვის და ღმრთისათვის უცხოდ გაქცევს.

9. „მარად დღე“ ანუ მთელი ჩემი ცხოვრება „მწუხარედ ვიდოდე“

– ამბობს დავით წინასწარმეტყველი. (ფს. 37; 7), ჩემი ცოდვებისა და სისუსტის გამო ნეტარ მწუხარებაში ვიმყოფებოდე: „რამეთუ თეძონი ჩემნი აღივსნეს ნაგვემთაგან და არა არს კურნება ხორცთა ჩემთა“ (ფს. 37; 8). თეძონი ცხოვრების გზაა კაცისა, ხორცი – მისი ზნეობრივი მდგომარეობა. შეუძლებელია საკუთარი ძალისხმევით კურნების მიღება. განკურნებისთვის ღმრთის მადლია აუცილებელი, რომელიც მხოლოდ მათ კურნავს, ვინც საკუთარ თავს სნეულად მიიჩნევს. ჭეშმარიტი აღიარება იმისა, რომ ავადა ვართ, მუდმივად სინანულში ყოფნით მტკიცდება.

10. „ჰმონეთ უფალსა შიშით და უგალობდით მას ძრწოლით“ (ფს. 2; 11), „და ვის ზედა მივიხილო, არამედ ანუ მდაბალსა ზედა და მყუდროსა და მძრწოლარესა სიტყვათაგან ჩემთა“ (ესაია 66, 2), „მოჰხედნა ლოცვასა ზედა მდაბალთასა და არა შეურაცხ-ყო ვედრება მისი“ (ფს. 101; 18). ე.ი. უფალი „მიმცემელია ცხოვრებისა“ ანუ აცხოვნებს იმათ, ვინც „შემუსვრილია გულითა“ (ეს. 57; 15).

11. წმიდა ისააკ ასური გვასწავლის: რა სათნოებათა სიმაღლეზეც არ უნდა იდგეს კაცი, თუკი იგი ცოდვილივით არ ლოცულობს, მისი ლოცვა უარყოფილია ღმრთისაგან.

12. როდესაც არ დავტირი საკუთარ თავს, ვთვლი, რომ ის დღე ხიბლში და სიცრუეში გავატარე – უთქვამთ ჭეშმარიტი ლოცვის მოსაგრეთ.

13. სინანულის, გულის შემუსვრილების გრძნობის გარეშე ყოველი სათნოება და ღვაწლი უნაყოფო და ამაოა (წმ, იოანე კიბისაღმწერელი).

14. მწუხარება ცოდვათა გამო – ნიჭია ღმრთისა; ვინც ამგვარი შემუსვრილების გრძნობას კრძალულებით ატარებს, მის გულში სიწმინდე დაივანებს. ეს მწუხარება უძლურთათვის ყოველგვარ ხორციელ ღვაწლს აღემატება, ხოლო ძლიერი სხეულის მქონე მლოცველმა ფიზიკურად უნდა იშრომოს, რადგან ხორციელი ღვაწლის გარეშე გულის შემუსვრილების მიღწევა შეუძლებელია და ლოცვა უძლური და ამაო ხდება (წმ. ისააკ ასური).

15. სინანულის გრძნობა მლოცველს ეშმაკის ყოველნაირი მანქანებისაგან იცავს. ეშმაკი უკუიქცევა მოღვაწეთაგან, რომლებიც თავმდაბლობის კეთილსურნელებას გამოსცემენ. ეს სურნელება კი მონანულთა გულებში იბადება (წმ. გრიგოლ სინაელი).

16. შენს ლოცვებში ჩვილთა მსგავსი ტიტინი, უბრალო ბავშვური აზრები შესწირე უფალს და არა მჭერმეტყველება, ენამზეობა და თუ განსწავლულობა. „უკეთუ არა მოიქცეთ“ — თქვენი გონებრივი სირთულეებიდან და ორპირობიდან ისევე, როგორც წარმართობიდან ანდა მაჰმადიანობიდან, — „და არა იქმნეთ ვითარცა ყრმანი, ვერ შეხვიდეთ სასუფეველსა ცათასა“ (მათ. 18; 3), გვასწავლის უფალი.

17. ყრმანი თავიანთ სურვილებს ტირილით გამოთქვამენ: დაე, შენი ლოცვაც ტირილის თანხლებით მაღლდებოდეს. მხოლოდ სიტყვიერი ლოცვის დროს კი არა, არამედ ლოცვით მდუმარებაშიც გლოვით გამოხატე სინანული, ღმერთთან შერიგების სურვილი და ღმრთის წყალობის უკიდურესი საჭიროება შენთვის.

18. ლოცვის ღირსება ხარისხშია და არა რაოდენობაში. რაოდენობა მაშინაა საქებარი, როდესაც მას ხარისხისკენ მივყავართ. ხარისხს ყოველთვის მოსდევს რაოდენობის ზრდა; რაოდენობას კი მხოლოდ მაშინ ახლავს ხარისხის ზრდა, როდესაც მლოცველი გულმოდგინედ ლოცულობს (წმ. მელეტი გალისიელი).

19. ჭეშმარიტი ლოცვის ხარისხი იმაში მდგომარეობს, რომ ლოცვის დროს გონება ყურადღებითაა, გული კი გონებას თანაუგრძნობს.

20. ლოცვა რომ ყურადღებით წარიმართოს, გონება ლოცვის დროს წარმოთქმულ სიტყვებში უნდა დაიმწყვდეს. სიტყვები აუჩქარებლად წარმოსთქვი და გონებაც უფრო ადვილად მიჰყვება მათ აზრს. ლოცვის არც ერთი სიტყვა არ წარმოსთქვა ყურადღების გარეშე.

21. ლოცვის სიტყვებში დანთქმული გონება გულს მისდამი თანაგრძნობით განაწყობს. გონებისადმი გულის თანაგრძნობა მის ლმობიერებაში და შემუსვრილობაში გამოიხატება. ეს გრძნობა, რომელიც მწუხარებასა და მშვიდ, მყუდრო ნუგეშინისცემას აერთიანებს, არის სწორედ ღმრთისმოშიშება და კეთილმსახურება (წმ. მარკოზ მოღვაწე).

22. მოთმინება — ლოცვის აუცილებელი კუთვნილებაა. როდესაც მლოცველი სიმშრალეს, სიცარიელეს ან შინაგან განფიცხებას განიცდის, მან არ უნდა მიატოვოს ლოცვა: მოთმინებისა და ლოდინის ღვაწლისათვის, რომელსაც მლოცველი საკუთარი გულგრილობისა

და გულქვაობის წინააღმდეგ მიმართავს, მასზე ღმრთის წყალობა გარდამოვა, რომელიც ლმობიერებასა და შემუსვრილობაში გამოიხატება (წმ. გრიგოლ სინაელი).

23. უხილავი ღმერთის წინაშე წარდგომილი, ყურადღებიანი ლოცვით შემოსილი გონება თავადაც უხილავი უნდა იყოს, ანუ გონებამ არც თავის შიგნით და არც გარეთ არ უნდა წარმოიდგინოს რაიმე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ლოცვის დროს გონება შორს უნდა იყოს ყოველგვარი მეოცნებეობისაგან, როგორი წმინდა და მომხიბლავიც არ უნდა ესახებოდეს იგი (ღირსნი კალისტე და ეგნატე).

24. ნუ ეძიებ ლოცვის ჟამს აღტაცებას, ნუ აიფორიაქებ ნერვებს, ნუ განიხურვებ სისხლს. პირიქით, გული ღრმა სიმშვიდეში ჩაძირე, ეს კი სინანულის განცდითაა შესაძლებელი. ღმერთი არ ღებულობს დაცემული ბუნების მიერ აღნთებულ ცეცხლს. გოდებასა და სინანულზე დაფუძნებული ლოცვა — აი ის, რაც გულს აკლია, რასაც ეძიებს იგი; როდესაც გული განიწმინდება, თავად ღმერთი აავსებს მას თავისი ყოვლადწმიდა სულიერი ცეცხლით (წმ. იოანე კიბისაღმწერელი).

25. ნერვებსა და სისხლს მხოლოდ ყურადღებიანი ლოცვა ამშვიდებს. იგი ეხმარება გულს სინანულში შთაეფლას და ჰგიებდეს მასში. ქრისტეს მოწაფეები — სახარებიდან ნასესხები აზრები და განცდები — დახვდებიან მლოცველის გულში ზეგარდამო ბოძებულ საღმრთო ცეცხლს, რომელიც კიდევ უფრო ამშვიდებს და ნეტარ სიჩუმეს ამკვიდრებს მასში. ეს ცეცხლი არ წვავს, პირიქით რწყავს და აგრილებს გულის სიღრმეებს, მლოცველს მთელ კაცობრიობასთან შეარიგებს. ღმერთისა და მოყვასისადმი გამოუთქმელი სიყვარულით აღავსებს კაცის გულს.

26. გონებაგაფანტულობა ძარცვავს ლოცვას. უყურადღებოდ მლოცველი გაურკვეველ სიცარიელესა და სიმშრალეს განიცდის. მუდამ გონებაგაფანტული მლოცველი ვერასოდეს მოიმკის სულიერ ნაყოფს. ეს სიცარიელე და სიმშრალე ეთვისება ადამიანს და ღმერთისადმი ნელ-ტფილ დამოკიდებულებას ბადებს. ამის შედეგია სასოწარკვეთილება, გონების დაბინდვა, რწმენის დაკარგვა, გულგრილი დამოკიდებულება მარადიული, სულიერი ცხოვრებისადმი. ყველა ეს ნიშანი აშკარად ცხადყოფს იმას, რომ ამგვარი უყურადღებო ლოცვა უარყოფილია ღმრთისაგან.

27. ლოცვაში მეოცნებეობა გონებაგაფანტულობაზე უფრო მავნეა. გაფანტულობა ლოცვას უნაყოფოდ აქცევს, მეოცნებეობა კი იმგვარ ცრუ ნაყოფს მოიმკის, როგორიც თავისმოტყუება და ეშმაკისეული ხიბლია. მეოცნებეობით შეთხზული წარმოდგენები, ხილული სამყაროდან მიღებული შთაბეჭდილებებით შთაგონებულნი, გონებაზე ძნელად წარსაშლელ კვალს ტოვებს. როდესაც მეოცნებეობით ნასაზრდოები წარმოსახვები გონებაში დიდხანს რჩება, გონება სულისა და ჭეშმარიტების ღვთაებრივი სამყაროდან მატერიისა და სიცრუის სამყაროში გადაჰყავს. ამ სამყაროში გული გონებას ხორციელი, სისხლისმიერი, ნერვიული გრძნობებით თანაუგრძნობს და არა სინანულითა და თავმდაბლობით, რაც ასე აუცილებელია ლოცვისთვის. ლოცვაში მეოცნებეობას თან ახლავს ქაოტური განცდა სიამოვნებისა, არასწორი და ყალბი სიყვარულისა. დანაშაულებრივი და ბილწი სიყვარული სულიერ ცხოვრებაში გამოუცდელს წმინდად და ამაღლებულად ეჩვენება, სინამდვილეში კი იგი — მხოლოდ ვნებებისაგან განუწმენდელი გულის უწესრიგო განცდებია, რომელიც მეოცნებეობის შედეგად, ამპარტავნებითა და სიამოვნებისმოყვარეობით ტკბება. ამგვარი მდგომარეობა თავისმოტყუებად იწოდება. თუკი ამ სიცრუეში ადამიანი დიდხანს დააყოვნებს, მაშინ მის გონებაში არსებული წარმოსახვები განსაკუთრებულ მიმზიდველობასა და შთამბეჭდაობას იძენენ. მათი გამოჩენისას გული განხურვებასა და უსჯულო სიამოვნებით ტკბობას იწყებს, ანუ საღმრთო წერილის სიტყვით — მრუშობს. გონება ასეთ მდგომარეობას მადლმოსილად მიიჩნევს: აი, მაშინ კი ახლოა აშკარა ეშმაკისეული ხიბლი, რომლის დროსაც ადამიანი კარგავს კონტროლს საკუთარ თავზე და მზაკვარ სულთა სათამაშო თუ სასაცილო ხდება. ასეთ მეოცნებე ლოცვას, რომელიც ადამიანს სავალალო მდგომარეობაში აგდებს, ღმერთი რისხვით განეშორება. ამგვარად მლოცველზე კი სრულდება საღმრთო წერილის განაჩენი: „და ლოცვა მისი ცოდვად შეერაცხენ მას“ (ფს. 108, 7) (წმ. სვიმეონ ახალი ღმრთისმეტყველი).

28. ლოცვის დროს გონებაში მოსული აზრები უარჰყავ, თუნდაც კარგი და ბრძნული გეჩვენებოდეს ისინი. ეს თითქოსდა გონივრული აზრები ხელს უშლიან ლოცვას, რადგანაც მტყუარი გონების ნაშობნი არიან და ვითარცა მხედარნი, ამპარტავნებაზე არიან ამხედრებულნი.

ეს აზრები შენიღბულნი არიან, რათა მლოცველის გონებამ ვერ იცნოს მტრები და დაუბრკოლებლად შემოუშვას თავის ბანაკში. თუკი მლოცველი ამ აზრებს მიიღებს, მაშინ ისინი გონებას მოსწყვეტენ ლოცვას, დაატყვევებენ და თავიანთ მონობაში მოაქცევენ. ამას მსწრაფულ მოსდევს სულის სიშიშვლისა და სიცარიელის განცდა, ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ეს აზრები მტრები არიან და ამა სოფლის მთავრისაგან იღებენ სათავეს. რაც შეეხება სულიერ, საღმრთო გულისხმისყოფას, რომელიც ხელს უწყობს ლოცვას – ადამიანს საკუთარ თავში ჩააღრმავებს, ყურადღებას მოუკრებს და ლმობიერებას მიჰმადლებს. ამ დროს გონება ღვთისმოშიშებისა და განკვირვების სიჩუმით შეიმოსება, რომელიც ღმრთის იქ ყოფნისა და სიდიადის განცდით წარმოიშვება. ეს განცდა დროთა განმავლობაში შესაძლოა გაძლიერდეს და მლოცველისთვის ლოცვა ღმრთის საშინელ სამსჯავროზე წარდგომად აქციოს (წმ. იოანე კიბისაღმწერელი).

29. ყურადღებიანი ლოცვა – უცხო ყოველგვარი გაფანტულობისა და მეოცნებეობისათვის – უხილავი ღმერთის ჭვრეტაა, რომელიც გონების ხედვასა და გულის სურვილს თავისკენ მიიპყრობს. მაშინ გონება უხილავად ჭვრეტს, და სავსებით კმაყოფილია ამ უხილავობით, რომელიც ყოველგვარ ხედვას აღემატება. ამ ნეტარი სიბრმავის მიზეზი საგნის უსასრულო სიწმინდე და მიუწვდომლობაა, რომლისაკენაც მიმართულია გონების მზერა. უხილავი მზე სიმართლისა – ღმერთი უხილავ სხივებს გამოსცემს, მაგრამ ისინი საცნაურია სულიერი განცდისთვის: ისინი გულს საოცარი სიმშვიდით, რწმენით, სიმამაცით, თავმდაბლობით, მოწყალებით, მოყვასისა და ღმრთისადმი სიყვარულით ავსებენ. გულის საუნჯეში დანახული ამ ქმედებებით, ადამიანი უეჭველად ხვდება, რომ მისი ლოცვა სათნოა ღმრთისათვის. იგი ცოცხალი რწმენის მატარებლად შეიქმნება და მტკიცედ ესავს მას, ვინც აგრერიგად შეუყვარებია. აი ეს არის სულის გაცოცხლების დასაწყისი ღმრთისათვის და ნეტარი მარადიულობისთვის (წმ. მელეტი და წმ. თეოლიპტე).

30. ჭუშმარიტი ლოცვის ნაყოფებია: სულის სიმშვიდე, შეერთებული ჩუმ სიხარულთან, რომელიც უცხოა ყოველგვარი მეოცნებეობისათვის, საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენისათვის, განხურვებული

მიმოკვეთებისთვის; მოყვასის სიყვარული, რომელიც არ არჩევს მტერსა და მოყვარეს, ღირსეულსა და უღირსს, რომელიც ყველასათვის ისევე შუამდგომლობს ღმრთის წინაშე, ვითარცა საკუთარი თავისთვის. მოყვასისადმი მხოლოდ ასეთი სიყვარულით აღმობრწყინდება ღმრთისადმი უპატიოსნესი სიყვარული.

31. ეს ნაყოფები — ნიჭია ღმრთისა. მათი მოხვეჭა ყურადღებითა და თავმდაბლობითაა შესაძლებელი. მათი შენახვა და ფლობა კი მხოლოდ ღმრთისადმი ერთგულებას შეუძლია.

32. სული მაშინაა ერთგული ღმრთისა, როდესაც ყოველგვარ ცოდვისმიერ სიტყვას, საქმესა და აზრს განეშორება, როდესაც დაუყოვნებლივ ინანიებს იმ შეცოდებებს რომლებშიც უძლურების გამო ვარდება.

33. ლოცვის ნიჭის მოპოვების სურვილს ლოცვის კარიბჭესთან მოთმინებით ჩამოჯდომითა და ლოდინით ვამტკიცებთ. ამ მოთმინებისა და მუდმივი გულმოდგინებისათვის ვლებულობთ ლოცვის ნიჭს. „მოანიჭის თხოვა მლოცველთა მისთა“ (1 მეფ. 2; 9) მოთმინებითა და რუდუნებითა.

34. ახლადდამწყებთათვის მოკლე და ხშირი ლოცვები უფრო სასარგებლოა, ვიდრე ხანგრძლივი და იშვიათი.

35. ლოცვა უმაღლესი წვრთნაა გონებისა.

36. ლოცვაა ყოველი სათნოების თავი, წყარო და მშობელი (წმ. მაკარი დიდი).

37. ლოცვაში ბრძენი უნდა იყო. არ უნდა ითხოვო არაფერი ამაო, ხრწნადი. „ხოლო თქუენ ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღმრთისასა და სიმართლესა მისსა, და ესე ყოველი შეგეძინოს თქუენ“ (მათ. 6; 33).

38. ყოველი საქმის დაწყებისას, აგრეთვე ცხოვრების უმძიმეს წუთებში, ლოცვაში გონებით დაემხე ღმრთის წინაშე: ითხოვე ის, რაც აუცილებელი და სასარგებლოა შენთვის, მაგრამ აღსრულება ღმრთის ნებასა და ყოვლისშემძლეობას მიანდე. გქონდეს მისი მოწყალებისა და უზეშთაესი სიბრძნის იმედი. ასეთი ლოცვის ბრწყინვალე მაგალითი მან მოგვცა, ვინც გეთსიმანიის ბაღში ლოცულობდა: „უკუეთუ გნებავს თანა-წარსვლად სასუმელი ესე ჩემგან, ხოლო ნუ ნება ჩემი, არამედ ნება შენი იყავნ!“ (ლუკა 22; 42).

39. ღმერთს თავმდაბალი ლოცვა შესწირე. სინანულითა და ლოცვით განწმინდე, სრულყავ შენი სათნოებანი. შენ საქმეებზე ლოცვაში ესაუბრე ღმერთს, ისევე როგორც მართალი იობი ეუბნებოდა ღმერთს თავისი შვილების შესახებ: „ნუსადა ძეთა ჩემთა გონებასა მათსა ბოროტი მოიხადეს უფლისათვის“ (იობ. 1; 5). ვერაგია ცოდვა, იგი შეუმჩნევლად შეერევა კეთილ საქმეებს, ბილწავს და წამლავს მათ.

40. დაუტევე ყოველი საზრუნავი, რათა ნამდვილი ლოცვა დიამკვიდრო და მიწიდან თვითუარყოფის ჯვარზე ამაღლებულმა, ღმერთს სული, სამშვინველი და სხეული შესწირე. მისგან კი წმიდა ლოცვას მიიღებ, რომელიც მოციქულის სწავლებით, ადამიანში სული წმიდის მოქმედების შედეგია.

ღმრთის სასუფევლისა და მაცხოვრის მეორედ მოსვლის შესახებ

ხორციელი ადამიანები, სულებით ამქვეყნიურ ცხოვრებას მიჯაჭვულნი, საღმრთო სჯულის ზედაპირულად, მხოლოდ სასკოლო სახელმძღვანელოების მიხედვით მცოდნენი, ხოლო სულით, გულით, ცხოვრების წესითა და საქმეებით კი — სრულიად უცხონი საღმრთო სწავლებისაგან. ერთი სიტყვით, ფარისევლები, ეკითხებიან უფალს: „ოდეს მოიწიოს სასუფეველი ღმრთისა?“ (ლუკა, XVIII, 20). კითხვა, ცხადია, არ იყო დასმული წრფელი გულითა და კეთილი მიზნით. ის დაისვა ქარაფშუტულად, ცნობისმოყვარეობით. მზაკვარი, ავგული ფარისევლები იმედოვნებდნენ, რომ უფალი თავის პასუხით მათ განკითხვის საბაბს მისცემდა. მათი წარმოდგენით მესია ბრწყინვალე ხელმწიფე და სახელოვანი დამპყრობელი უნდა ყოფილიყო, ამიტომ უპოვარი მწირის მიმართ, რომელსაც „არა აქუს ადგილი, სადა თავი მიიდრიკოს“, ფარისევლებმა დამცინავი კითხვით გამოხატეს თავიანთი ამაო სიბრძნე, უცხო და მტრული საღმრთო გონებისათვის. „რამეთუ ზრახვა იგი ხორცთა მტერობა არს ღმრთისა“ (რომ. VIII, 7).

უფალმა გასცა პასუხი, შესაბამისი უკლებლივ ყველა ხორციელი ადამიანისთვის, რომელიც თავიანთ ცოდვილ ცხოვრებას მხოლოდ

ამქვეყნიურ ზრუნვასა და ხორციელ ტკბობაში ატარებენ. ღმერთკაცმა ფარისევლებს მიუგო: „არა მოვიდეს სასუფეველი ღმრთისა ზმნით“, ეს ნიშნავს, რომ ღმრთის სასუფეველი არ იქნება თვალსაჩინო ხორციელთათვის, „არცა თქუან: აჰა აქა, ანუ იქი. აჰა ეგერა სასუფეველ ღმრთისა შორის თქუენსა არს“ (ლუკა, XVII, 20, 21). ამ სიტყვების მიხედვით, უნდა დავუტეოთ ცოდვილი და ხორციელი ცხოვრება, შემდგომ, სინანულისა და სახარებისეული მცნებების შესრულების მეშვეობით განვწმინდოთ და შევამკოთ ჩვენი სულიერი ტაძარი. თუ ეს მოხდება, სული წმიდა გააბრწყინვებს მას, საბოლოოდ განწმენდს და მოაწესრიგებს, ამგვარ ტაძარში გარდამოვა ღმერთი, დაამკვიდრებს მასში თავის სულიერ, უხილავ, მაგრამ ამასთანავე სრულიად საცნაურ და შეგრძნებად მეუფებას. ვინც თავის წიაღში მიიღო ეს სასუფეველი, მას ნათელი წარმოდგენა შეიძლება ჰქონდეს ღმერთკაცის მეორედ მოსვლაზე, ის შესძლებს ამოიცნოს ანტიქრისტე, გაექცეს ან წინ აღუდგეს მას, ხოლო ვინც არ მიიღო ღმრთის სასუფეველი, ის ვერ იცნობს ანტიქრისტეს და უნებლიედ უსათუოდ მისი მიმდევარი შეიქნება. იგი ვერ იგრძნობს ამა სოფლის დასასრულის მოახლოებას და ქრისტეს მეორედ მოსვლისას საშინელ სამსჯავროს მოუმზადებელი შეხვდება. ვერანაირი ადამიანური სწავლება, ვერანაირი სიტყვები ვერ დააკმაყოფილებს კაცს, რომელსაც დაუუნჯებია მოძღვრება თავად სული წმიდის მიერ. ჩვენს წიაღში მონაგებ ღმერთის სასუფეველს სული წმიდა მოძღვრავს და „მიგვიძღვის ჩუენ ჭეშმარიტებასა ყოველსა“ (იოანე, XVI, 13). იგი არ დაუშვებს, რომ ცრუ ჭეშმარიტებით შემოსილი და შენიღბული ტყუილის მსხვერპლნი გავხდეთ. ზუსტად სთქვა ერთმა ნეტარმა ბერმა: „ბევრი ირწმუნებს ანტიქრისტეს და განადიდებს მას, როგორც ღმერთს. მუდამ ღმერთშემოსილი და გულით განწმენდილი ადამიანი ცოცხალი რწმენით დაინახავს ჭეშმარიტებას და იცნობს მას. ხოლო ვინც ამქვეყნიური ყოფითაა მოცული და მიწიერ საზრუნავებში დანთქმულა, ის ვერაფერს მიხვდება, რადგან ზედმეტად შეუყვარებია მიწიერება. უკეთუ გაიგონებენ მართალ სიტყვას, მაინც არ ირწმუნებენ და მის მთქმელთ კიდევ უფრო მეტად მოიძულებენ“. ისინი ამას ბოდვად შერაცხავენ, რომელიც მარტოოდენ ზიზღსა და სიბრალულს თუ აღძრავს მათში. ამაო სიბრძნით ცთუნებული და დაბრმავებული კაცობრიობა არ ირწმუნებს ქრისტეს მეორედ

მოსვლას. „მოიწინენ უკუანასკნელთა დღეთა მეკიცხევარნი, გულის თქუმისაებრ თვისისა მრავალნი, და იტყოდნენ: სადა არს აღთქუმა იგი მოსლვისა მისისა? რამეთუ ვინაითგან ყოველივე ესრეთ ჰგიეს დასაბამითგან დაბადებისა“ (პეტრე, III, 3,4),

როდესაც ფარისევლები განუდგნენ ღმერთს, მაშინ უფალმა თავის მოწაფეებს აუწყა, რომ ბოლო ჟამისა და უფლის მეორედ მოსვლის მოახლოების ნიშანი — კაცობრიობის ცხოვრების მატერიალური განვითარება იქნებოდა. ადამიანები დაივიწყებენ ღმერთს, დაივიწყებენ ზეცას, დაივიწყებენ მარადისობას და თვითცთუნებულნი, თითქოსდა მარადიულნი იყვნენ ამქვეყნად, მთელ ყურადღებას მიაპყრობენ მიწას, მასზე მიღებულ უმაღლესსა და უცვალებელ კეთილდღეობას. რა შეიძლება იყოს ამ მიმართებაზე უფრო უგუნური? ნუთუ სიკვდილი, რომელსაც მუდმივად მიჰყავს ადამიანები, არ მოწმობს იმას, რომ ჩვენ მარადიულობისთვის ვართ შექმნილნი, რომ ხანმოკლე დროით მგზავრები ვართ ამა სოფლისა და ჩვენი უმთავრესი და უდიდესი ზრუნვა მარადიულზე უნდა იყოს, ხოლო ამქვეყნიურზე ზრუნვა კი ძალზე ზომიერი? მიუხედავად იმისა, რომ ეს მიმართულება ყოვლად უგუნური და მცდარია, ის საღმრთო წინასწარმეტყველების უცილობელ აღსრულებად გვევლინება. ყოველივე ეს ნათელი დადასტურებაა ღვთის სიტყვის ჭეშმარიტებისა. „და ვითარცა იგი იყო დღეთა მას ნოესთა, ეგრეთ იყოს დღეთა მათ ძისა კაცისათა“ — გვეუბნება უფალი. ძე კაცის დროდ მითითებულია ჟამი, რომელიც ამ ქვეყნის აღსასრულის წინამდებარე იქნება და უფლის მეორედ მოსვლით განსრულდება. ეს იქნება დასაწყისი დაუღამებელი დღისა და დასასრული დროისა და დროებათა. დამთავრდება დრო იმ ყველაფერთან ერთად, რომლებითაც და რომლებისთვისაც ის განისაზღვრებოდა. აღარ იქნება დრო, რამეთუ დღე, ღამე, დილა, საღამო, კვირები, თვეები, წლები თუ ასწლეულები — ერთი მარადიული დღით შეიცვლება. „და ვითარცა — იგი იყო დღეთა მათ ნოესთა, ეგრეთ იყოს დღეთა მათ ძისა კაცისათა: ჭამდეს და სუმიდეს, იქორწინებოდეს და განქორწინებოდეს, ვიდრე დღედმდე შესლვად ნოესა კიდობნად. და მოიწია წყლით რღუნა და წარწყმიდნა ყოველნი. და ეგრეეე ვითარცა იგი იყო დღეთა ლოთისათა, ჭამდეს და სუმიდეს, იყიდდეს და განჰყიდდეს, ნერგსა ასხმიდეს და აშენებდეს“ (ლუკა XVII, 26, 27,28). წმიდა წერილი გვაუწყებს, რომ ნოესა და

ლოთის დროს მცხოვრებნი მიეცნენ უზომო გარყვნილებას. უწესობა და გარყვნილება ღვთისაგან განდგომის, აგრეთვე, მიწიერ საქმიანობასთან სრული მიჯაჭვულობის და მატერიალური განვითარების შედეგად იბადება. როდის იფიქროს ღმერთზე, როდის მოიწადინოს თვისი ცხონება იმ ადამიანმა, რომელიც გამუდმებით და ზედმიწევნით დაკავებულია მიწიერი საქმეებით, მატერიალური კეთილდღეობით? ყოველი კაცი, რომელიც უგულებელჰყოფს ღმერთს, არ ზრუნავს თავის გადარჩენაზე და მხოლოდ ხორციელ ზრახვებსა და წარმავალ მდგომარეობაზე ზრუნვას მოუცავს — განავრცობს და აღრმავებს თავის დაცემულ ბუნებას, არამატერიალურ სულს კი მატერიალურად ჰყოფს. მას გონება უბნელდება, ღმრთისათვის უცხო ხდება. ის შეიქნება თვით-ცოდვა, უკიდურესად ხორციელი. ამის გამო იგი განგდებულ იქნება ღმრთისაგან, რამეთუ სრულიად გაანადგურა თავის არსებაში ის მიზანი, რისთვისაც შემოქმედის მიერ არარსებობიდანაა მოხმობილი. „არა დაადგეს სული ჩემი კაცთა ამათ შორის უკუნისამდე ყოფისათვის მათისა ხორც“ (დაბ. VI, 3) — ბრძანა უფალმა ნოეს თანამედროვეებზე. საყოველთაო გარყვნილება და მასთან ერთად აღმოცენებული გარდამეტებული მატერიალური განვითარება იქნება სამყაროს დასასრულისა და ქრისტეს საშინელი სამსჯავროს მოახლოების ნიშანი. მხოლოდ გემოთმოყვარეობა როდი იბატონებს მაშინ! გარყვნილება, ამ სიტყვის ფართო გაგებით, შეიქმნება კაცობრიობის მთავარ მონაპოვრად ბოლო ჟამს. „და იყვნენ კაცნი“ — ამბობს პავლე მოციქული — „თავის მოყუარე, ვერცხლის მოყუარე, ლაღ, თავმოთნე, ამპარტავან, მგმობარ, მამა-დედისა ურჩ, უმადლო, უღირს, უყუარულ, უწირავ, მასმენელ, უთმინო, დაუმჭირველ, უზავ, დაუმშვიდებელ, კეთილის მოძულე შინა-განმცემელ, წარმდებ, აღზუავებულ, გულის თქუმის მოყუარე. აქუნდეს ხატი ღმრთის მსახურების და ძალსა მისსა უარ-ჰყოფდნენ“ (2 ტიმ. III, 2-5). ცოდვა მიაღწევს განვითარების უმაღლეს მწვერვალს, და რაც უფრო საშინელი იქნება ის, მით უფრო შეურყეველი იქნება მისი ბატონობა, რამეთუ კეთილშობილების ნიღაბს შეინარჩუნებს. ვინღა მიხვდება, რომ ამ გარეგნულად უზადო კეთილშობილების მთელი არსი და ძალა განადგურებული იქნება? ასე განადგურდა კეთილმსახურება იუდეველთა რელიგიაში ქრისტეს დროს, რასაც ვერაფრით ვერ მიხვდა

ხალხი, რასაც ვერ მიხვდნენ თვით მწიგნობარნიც, მიუხედავად მათი აღზუავებული და გაბერილი განსწავლულობისა. მაგრამ ეს განსწავლულობა და ცოდნა მარტოოდენ საღმრთო სჯულის ზედაპირული შესწავლით შემოიფარგლებოდა, მათი ცხოვრების წესი კი საღმრთო მცნებების საპირისპირო იყო. ამგვარი ყოფა კლავს რწმენას. კაცობრიობა ვერ დაინახავს თავის სავალალო მდგომარეობას ზნეობრივ თუ სულიერ სფეროში. პირიქით, საყვირს დასცემენ თავიანთ წარმატებებზე, დაბრმავებულნი დროებითი, მიწიერი, მატერიალური განვითარებით — უარყოფენ ქრისტიანობის აყვავებას საკუთარი სულებისათვის, მარადიულობისათვის, ღმრთისათვის. როცა მსოფლიო ერთხმად შეასხამს ხოტბას და განადიდებს საკუთარ წარმატებებს, მოიწყობს უმაღლეს კეთილდღეობას და ურღვევ სიმშვიდეს, „მაშინ მეყსეულად. მოიწიოს მათ ზედა მომსრველი, ვითარცა სალმობა შობადისა, და ვერ განერნენ“ (I თეს, V, 3). მაშინ მოულოდნელად მოიწევა სამყაროს დასასრული, რომელსაც ადამიანები თვისი სულიერი სიბრმავისა და გამიწიერების გამო მოუმზადებელნი შეხვდებიან. კაცობრიობის სულიერი სიბრმავის გამო „დღე იგი უფლისა, ვითარცა მპარავი ღამისა, ეგრეთ მოიწევის“(I თეს. V, 2). ამ სიბრმავის გამოა გაიგივებული უფლის მეორედ მოსვლა ღამესთან. „მას ღამესა ორნი იყვნენ ერთსა ცხედარსა: ერთი იგი წარიტაცის, და ერთი იგი დაეტეოს“ (ლუკა, XVII, 34). რიღასთვის უნდა იარსებოს ღმერთის მსგავსებამ, თუკი ის სრულიად უარყოფს იმ მიზანს, რისთვისაც მას ამქვეყნად მოგზაურობა და ცხოვრება უბოძეს? როცა ის თვითნებურად ირჩევს საკუთარ მიზანს — ყოვლად უგუნურსა და აზრს მოკლებულს? ამ მიზნის მიხედვით ხანმოკლე, მიწიერი ცხოვრება მიღებულია, როგორც მარადიულობა, ხოლო ჭეშმარიტ მარადიულობაზე ზრუნვა კი — მივიწყებული. მთელი სულიერი და ხორციელი ძალები მსხვერპლად ეწირება აუხდენელ, ამაო ოცნებებს. ეს ძალები იხარჯება უმაღლესი ხორციელი კეთილდღეობისა და ამქვეყნიური ნეტარების მოსაპოვებლად მიწაზე, რომელიც მხოლოდ დროებით სასტუმროს წარმოადგენს, თუმცა ყველაზე მტკიცე და მარადიულ საცხოვრებლად წარმოუდგენიათ. ცრუ ოცნება სასტიკად ატყუებს მის მიმდევრებს. ის მას ისე ეპყრობა, როგორც ტირანი, როგორც მძვინვარე დემონი. ის — დემონია! ეს დაცემულ სულთა დაცინვაა ადამიანისადმი. მომაკვდინებული ოცნებები

აცთუნებენ კაცს მთელი ცხოვრების მანძილზე, ცხოვრების ბოლოს კი ღალატობენ მას და სიცარიელეში ტოვებენ. ადამიანები მარადისობაში გადადიან ყოვლად მოუმზადებელნი, ყოვლად უცხონი მისთვის. ეს კიდევ ცოტაა. ისინი იქ ისეთი განწყობით შედიან, რაც სრულიად მტრულია სულის ნეტარი მდგომარეობისათვის. სად არის ადგილი დროის მიღმა ამგვარი სარეველებისთვის? არ არის და არც შეიძლება სხვა ადგილი იყოს ამ სამყაროში მათთვის, თუ არა ჯოჯოხეთის უფსკრულში: იქ უნდა დაინთქნენ ისინი.

როგორც სოლოვეცკის მონასტრის ბერები გადმოგვცემენ, ღირს მამა ზოსიმეს მისმა მოწაფეებმა ჰკითხეს: როგორ უნდა ეცნოთ ანტიქრისტე, როცა ის გამეფდებოდა? ღირსმა მამამ თქვა: „როდესაც გაიგონებთ, რომ მოვიდა ან გამოცხადდა ამქვეყნად ქრისტე, იცოდეთ, სწორედ ისაა ანტიქრისტე“. პასუხი ძალზე ზუსტია. მსოფლიო, ანუ კაცობრიობა ვერ იცნობს ანტიქრისტეს, ის მას ქრისტედ მიიჩნევს, ქრისტედ აღიარებს. მაშასადამე, გავრცელდება ხმა ქრისტეს მოსვლის შესახებ. ეს იმის მაუწყებელი იქნება, რომ მოვიდა ანტიქრისტე და დაიწყებს თავის წინასწარგანზრახულსა და მისგან დაშვებულ მსახურებას. ღირსი ზოსიმეს პასუხი დაფუძნებულია მაცხოვრის სიტყვებზე. როცა მაცხოვარი თავის მოწაფეებს მერედ მოსვლის ნიშნებს აუწყებდა, უთხრა: „მაშინ უკეთუ ვინმე გრქუას თქუენ: აჰა აქა არს ქრისტე, გინა თუ იქი, ნუ გრწამნ. უკეთუ გრქუან თქუენ: აჰა უდაბნოსა არს, ნუ განხუალთ; აჰა ესერა საუნჯეთა შინა არს, ნუ გრწამნ. რამეთუ, ვითარცა ელვა რა გამობრწყინდეს მზისა — აღმოსავლით და ჩანნ ვიდრე დასავალამდე, ეგრეთ იყოს მოსვლა ძისა კაცისა“ (მათე. XXIV, 23-27) „და გრქუან თქუენ: აჰა აქა არს, და: აჰა იქი არს, — ნუ განხუალთ, ნუცა შეუდგთ. რამეთუ ვითარცა ელვა რა ელავნ ქუეშე ცისათგან, ვიდრე ქუეშე დაისამდე ბრწყინავნ, ესრეთ იყოს ძე კაცისა დღეთა მისთა“ (ლუკა, XVII, 23,24). არაა საჭირო, და შეუძლებელიცაა ადამიანებმა ერთმანეთს ამცნონ ქრისტეს მეორედ მოსვლის შესახებ. ის მოვა მეყვსეულად. იგი თვისი ყოვლისშემძლეობით ერთდროულად გამოეცხადება ყველას. მეცნიერთა აზრი, თითქოს შეუძლებელია ძე ღმრთისა მთელ კაცობრიობას ერთდროულად მოევლინოს დედამიწის სფეროსებური აგებულების გამო, ყოვლად უადგილოა. თუ ყოვლისშემძლე ღმერთმა, თვისი

ყოვლადძლიერი და ყოვლადგონიერი ნებით. მეცნიერებთან წინასწარი შეთანხმების გარეშე, დედამიწაცა და მთელი სამყაროც არაფრისაგან შექმნა, ნუთუ იმავე მიზეზით, მისი შემოუსაზღვრელი ძლიერებითა და ყოვლადბრძენი გონებით, ვერ შესძლებს მთელ კაცობრიობას ერთდროულად გამოეცხადოს? თუმცაღა, ეს მეცნიერებს ვერ წარმოუდგენიათ. „უფალი ისე მოვა" – ამბობს იოანე დამასკელი – „როგორც მისმა მოციქულებმა იხილეს იგი აღმავალი ზეცად"(საქ. I, 11). მოვა სრული ღმერთი და სრული კაცი, დიდებითა და ძლიერებით. ნურავინ ელის მის მოსვლას მიწიდან, არამედ ყველა ელოდოს მას ზეცით, როგორც მან თავადვე დაგვიდასტურა.

სამყაროს აღსასრულისა და თავის მეორედ მოსვლის შესახებ უფალმა შემდეგი მოძღვრება და ანდერძი დაგვიტოვა. „ეკრძალენით თავთა თქუენთა, ნუუკუე დამძიმდენ გულნი თქუენნი შუებითა და მთვრალობითა და ზრუნვითა ამის სოფლისათა, და მეყსეულად მოიწიოს თქუენ ზედა დღე იგი. რამეთუ ვითარცა საფრხე მოუხდეს მსხდომარეთა ზედა პირსა ყოვლისა ქუეყანისასა" (ლუკა, 21, 34-35). უფლის ამ სიტყვებში, ამ მოძღვრებაში, რჩევაში, ამ მცნებაში დაგმობილია ხორციელი ცხოვრება და ამქვეყნიურობაზე გადამეტებული ზრუნვა, რადგან ისინი ადამიანს მატერიალურს ჰხდიან, ავიწყებენ ღმერთს და მარადიულობას, ითრევენ ყოველგვარ ცოდვით დაცემაში. გულს, რომელშიც მუდმივად არაა აღბეჭდილი ღმერთი და ღმრთისმოშიშება, დაუბრკოლებლად ეუფლება ყოველნაირი ვნება. ის ინთქმება ზნეობრივ წყვდიადში და ივიწყებს ღმერთს. ცოდვილი და ხორციელი ცხოვრებით დაბრმავებულ ადამიანებს უფლის მეორედ მოსვლა ბადესავით მოეფინება. ეს ბადე მოიცავს მთელ კაცობრიობას. ამ ბადეს ვერავინ დაუსხლტება, ვერავინ გაექცევა. ვუწყით რა ეს, ვიყოთ გამუდმებულ მღვიძარებაში. თუ ღმერთს მოუკლებელი სინანულითა და ცრემლიანი ლოცვით მივეგებებით, თუ ჩვენი ცხოვრებით მოვიპოვებთ და შევინარჩუნებთ ღმრთის სასუფეველს, უფლის შეწევნით შევძლებთ თავის გამოხსნას ცოდვისა და ტანჯვის ჯაჭვებიდან, გავთავისუფლდებით ამა სოფლის მთავრისაგან. ღმრთის ძალითა და მადლით, ჩვენ შევძლებთ სასოებით, შეწყალებისა და ცხონების სასოების სულიერი განცდით წარვსდგეთ ღმრთის მართლმსაჯულების წინაშე, რომელიც განგვსჯის და გადაწყვეტს ჩვენს საბოლოო ხვედრს მარადისობაში. ამინ.

წმიდა თეოფანე დაყუდებული

შინაგანი აფორიაქების მიზეზი
(წერილი სულიერ შვილს)

მივედით იმ დასკვნამდე, — რომ ადამიანს ცხოვრების სამი შრე, სამი სფერო გააჩნია. ესენია: სულიერი, მშვინვიერი და ხორციელი. თვითეული მათგანი მოიცავს ადამიანისათვის დამახასიათებელ, ბუნებრივ მოთხოვნილებათა ჯამს. ეს მოთხოვნილებანი როდია ერთნაირი ღირსებისა და ფასეულობის, არსებობს მათი მკაფიო იერარქია. ამ მოთხოვნილებათა სწორი, თანამიმდევრული დაკმაყოფილება ადამიანს სიმშვიდეს ანიჭებს. სულიერი მოთხოვნილებანი უაღმატებულესია მათში და თუკი პირველ რიგში მათი დაკმაყოფილება ხდება, თუნდაც დანარჩენი მოთხოვნილებანი არ იყოს დაკმაყოფილებული, ადამიანი მშვიდადაა. იმ შემთხვევაში კი, როცა სულიერი დაუკმაყოფილებელია, ადამიანი სიმშვიდეს ჰკარგავს, თუნდაც სავსებით იკმაყოფილებდეს მშვინვიერსა და ხორციელ მოთხოვნილებებს.

სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება ადამიანს სხვა დანარჩენ მოთხოვნილებათა სწორსა და შეთანხმებულ დაკმაყოფილებას ასწავლის, ისე რომ მშვინვიერი და ხორციელი საზრდო არ ეწინააღმდეგება სულიერ ცხოვრებას, უფრო მეტიც, ხელს უწყობს მას, — და ადამიანში ისადგურებს სრული ჰარმონია — აზრთა, გრძნობათა, სურვილთა, ქმედებათა, ურთიერთობათა, ნეტარებათა. სწორედ ესაა — სამოთხე! ამის საწინააღმდეგოდ, როდესაც სული არ არის დაპურებული, როდესაც მას ივიწყებენ, მაშინ დანარჩენი მოთხოვნილებანი სხვადასხვა მიმართულებით მიიწევენ, ყველა თავისას ითხ-

ოვს და მათი ხმები, როგორც ბაზრის ხმაური აყრუებს საცოდავ ადამიანს. ის კი აქეთ-იქით შეშლილივით აწყდება და არ იცის, რომელ ერთს მიუგდოს ყური. ასეთ დროს, რა თქმა უნდა, სიმშვიდე იკარგება, რადგანაც ადამიანი ვერ ასწრებს ერთი რომელიმე მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, მეორე კი უკვე თავისას მოითხოვს და იგი იმ დედას ემსგავსება, რომელიც ერთ ბავშვს აჭმევს, დანარჩენი ხუთი კი გაჰკივის. ამ პროცესში იბადება აფორიაქების, მოუსვენრობის ზოლი, რომელიც მთელი ცხოვრება მიჰყვება ადამიანს, მას დიდი არეულობა შემოაქვს სულში და შინაგან ცხოვრებას მეტად უწესრიგოსა და ქაოტურს ხდის. ამგვარი კაცი მუდამ უკმაყოფილოა, შფოთავს, არ იცის რა მოიმოქმედოს, რითი დაიწყოს. უძლური და სასოწარკვეთილია, ხან კი ციბრუტივით ტრიალებს და აქეთ-იქით აწყდება. ჭეშმარიტად ამაზეა ნათქვამი: „ამაოება ამაოებათა“. აქედან იწყება სულის დაღუპვა!

მაშ როგორ მოვიქცეთ? — ისმის კითხვა. როგორ გავაკეთოთ ისე, რომ სულიერი მხარე ჩვენში უპირატესი იყოს და უხელმძღვანელოს დანარჩენთ, წესრიგი და ჰარმონია დაამკვიდროს ჩვენს ცხოვრებაში?

თავიდანვე გეტყვით, რომ ეს კითხვა საერთოდ არც კი დაისმებოდა, ჩვენი ცხოვრება რომ მართებულად მიმდინარეობდეს. რადგანაც ხორციელი და მშვინვიერი მოთხოვნილებანი ისეთივე ბუნებრივია ჩვენთვის, როგორც სულიერი და მათი დაკმაყოფილება ჩვენში უწესრიგობასა და ცხოვრების აფორიაქებას ისევე არ უნდა იწვევდეს, როგორც არ იწვევს ამას სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. ყველაფერი რომ თანამიმდევრულად და ბუნებრივი ურთიერთდაქვემდებარებით მიედინებოდეს, ადამიანის ცხოვრება მშვენიერი და მშვიდი იქნებოდა. დათესეთ მზესუმზირის თესლი, მორწყეთ, სათანადო სითბოში ამყოფეთ და ისიც ამოიზრდება, მოგცემთ ყლორტს, ფოთოლს, საბოლოოდ კი მშვენიერ ყვავილსა და ნაყოფს. ასევეა ადამიანის შემთხვევაში — ბუნებრივი განვითარების დროს ყოველთვის სრულყოფილსა და მშვენიერ ადამიანს ვღებულობთ. მაშ რატომაა, რომ ვერც საკუთარ თავს და ვერც სხვებს ვერ აღვიქვამთ, როგორც მშვენიერთ? რატომაა, რომ ცხოვრება ჩვენი გამრუდებული და დამახინჯებულია?

გაიხსენეთ, რა დაგემართათ თქვენ, როდესაც მცირეოდენ ჩაყვინთეთ ამქვეყნიურ მორევში, ანუ მშფოთვარე ცხოვრების ქარტეხილში. თქვენში ხომ მაშინ ძლიერი აფორიაქება შემოიჭრა. ეს რომ ხშირად გამეორდეს და სიფრთხილე არ გამოიჩინოთ, თქვენც ამ საყოველთაო მორევში აღმოჩნდებით ჩათრეული — და თქვენი ცხოვრებაც იმ მიმართულებით წავა, რასაც ამაოება და სულის დაღუპვა ჰქვია.

მაგრამ საიდან გაჩნდა საზოგადოებაში ამგვარი შფოთი? ადამიანის გარეგნული ქმედება და სახე, მისი შინაგანი სამყაროს მდგომარეობიდან გამომდინარეობს, რაც შიგნითაა კაცი, იგივეა გარეთ. უწესრიგობა და ქაოსი ოჯახსა თუ საზოგადოებაში ადამიანის შინაგანი უწესრიგობიდან იღებს სათავეს. ასე, რომ ახლა გარეგნული უკან უბრუნებს შინაგანს იმას, რაც თავის დროზე მისგანვე მიიღო. გარეშე ღელვა და ფორიაქი შინაგანზე მოქმედებს და სულიერ აფორიაქებას იწვევს, რადგანაც შინაგანია სწორედ მისი მიზეზი და სათავე და ამ უწესრიგობის შემთვისებელი ნიადაგი ადამიანის შინაგან სამყაროშია.

ცხოვრების ორომტრიალში ჩაბმამ თქვენ აგაფორიაქათ, სიმშვიდე დაკარგეთ. რატომ? ამაზე თქვენ დუმდით. მაშინ არც მე არ მითქვამს არაფერი, რადგანაც არ იყო ჯერ ამის დრო. ახლა კი გეტყვით.

იმ მოკლე ხანს, როდესაც თქვენ ცხოვრების მორევში გადაეშვით, თქვენი გული იქ თითქმის ყველაფერს თანაუგრძნობდა, მოკლედ მორევმა გაგიტაცათ. ამ თანაგრძნობამ გარეშე ღელვა და აფორიაქება თქვენს შინაგან სამყაროში შემოიტანა. როდესაც გონს მოხვედით, საკუთარ თავში რაღაც სიახლე შეამჩნიეთ. სინდისმა მოგახსენათ, რომ ეს სიახლე თქვენი „დამსახურებაა", რომ მისი ადგილი თქვენს სულში არ არის და ამიტომაც ქეჯნა დაგიწყოთ. დაემორჩილეთ რა სინდისის ხმას, მაშინ თქვენ კარგად განსაჯეთ და შეაფასეთ ის ცხოვრება. ამის შემდეგ მოგიწევთ თუ არა კიდევ ამგვარ მორევში მოხვედრა, თქვენ უკვე მტკიცედა ხართ და გული შორს გიჭირავთ, არ აძლევთ რა მას თვითნებობის უფლებას, როდესაც იგი ცდილობს თანაგრძნობით განიმსჭვალოს გარეშე უწესრიგობისადმი, რასაც უცილობლად შინაგანი სიმშვიდის დაკარგვა მოსდევს. მაგრამ საიდანაა თქვენში, რომელსაც აქამდე სხვაგვარ წესრიგში და წრეში გიცხ-

ოვრიათ, ეს თანაგრძნობა ცხოვრების უწესრიგობისადმი? ნება მიბოძეთ მოგახსენოთ, რომ ლტოლვა უწესრიგობისაკენ მანამდეც თქვენში იყო, მხოლოდ შენიღბულად, ახლა კი გამჟღავნდა. ასე, რომ გარეგნულის მოქმედება და გავლენა არაფერს ახალს არ ბადებს, იგი მხოლოდ აღაგზნებს და გამოამზეურებს იმას, რაც შიგნითაა ჩამარხული. მაგალითისთვის კი გეტყვით, რომ მინახავს კეთროვანი ხალხი, მათი ბავშვები ჯანმრთელები იბადებიან და იზრდებიან. მაგრამ გადის დრო ავადმყოფობა მათშიც ვლინდება და ისინიც მათი მშობლების მსგავსად კეთროვანნი ხდებიან. ავადმყოფობა გარედან კი არ ხვდებათ, არამედ მათშია დამარხული და დაბადებისთანავე შეეთვისებათ.

ზემოთქმულიდან ასეთი დასკვნის გაკეთებაა საჭირო, თუკი ვხედავთ ჩვენს შიგნით უწესრიგობას და აფორიაქებას – აზრთა, გრძნობათა, სურვილთა, წამოწყებათა და საქმეთა – და ვტრიალებთ მათში, ეს იმიტომაა, რომ ჩანასახი ყოველივე ამისა ჩვენს ბუნებაშია შეტანილი. უწესრიგობის ეს ჩანასახი კი ღვივდება და აღმოცენდება ჩვენი ძალებისა და მოთხოვნილებების აღორძინებასთან ერთად, შემოაქვს მათში აფორიაქება და აშლილობა. ასე შეიქმნება ჩვენი ცხოვრება მშფოთვარე და უწესრიგო.

ახლა ნება მიბოძეთ განვსაჯოთ, თუ საიდანაა ამ სნეულების ჩანასახი ჩვენში. ამას კი იმიტომ გეუბნებით, რომ შეუძლებელია, ამის გარეშე დამაკმაყოფილებელი პასუხის გაცემა უკვე არა ერთხელ დასხმულ კითხვაზე: როგორ მოვიქცეთ, რათა სიმშვიდე შევინარჩუნოთ? ვისაც სურს წარმატებით უმკურნალოს სნეულებას, ამ სნეულების გამომწვევ მიზეზებამდე უნდა მივიდეს. ამის გარეშე მკურნალობას არ შეიძლება ჰქონდეს სწორი განვითარება და შესაბამისი წარმატება.



სერგი ნილუსი*

წერილი ლ. ორლოვს

ძვირფასო ლევ ალექსანდრეს ძევ!

დიდი ხანია, ჩემს გულს ისეთი ლმობიერი განწყობა აღარ დაუფლებია, რაც დღეს თქვენი წერილის კითხვამ მომგვარა. 28 წლისამ, თანაც ამ ჩვენს უკეთურსა და უსჯულო დროში, ასე სათუთად შეინახო სული... როგორ მოგმადლათ ღმერთმა ამის ძალა? მრავალჟამიერ თქვენ, საყვარელო, დიდება და პატივი თქვენს მშობლებს, და მით უფრო — ღმერთს, რომელმაც დაგიცვათ იმ შვიდი ათას მართალს შორის, ვინც ბაალს მუხლი არ მოუდრიკა! მიხარია და კვლავაც გეტყვით — მიხარია და ვმადლობ ჩემსა და თქვენს შემოქმედს, რომ მართალია, ჩემი ცხოვრების მხოლოდ მეათერთმეტე ჟამს, მაგრამ მაინც შევხვდი თქვენს სულს, და ამ მაგალითით დავრწმუნდი: რაც არ უნდა მცირე იყოს ქრისტეს სამწყსო, მას ჯოჯოხეთის ბჭენი ვერ მოერევიან. გულით გეხვევით და გკოცნით, ღმრთის ძვირფასო მარგალიტო, უფალმა და ღმრთისმშობელმა დაგიფაროთ ყოველგვარი ბოროტებისა და ცილისწამებისაგან!

ღმერთმა ინება, რომ ამ წერილმა თქვენამდე ფოსტით კი არა, წამომსვლელის ხელით მოაღწიოს და ამიტომ, ღმრთის შეწევნით, იმედი მაქვს პასუხი გავცე ყველა თქვენს კითხვას. დავიწყებ უმთავრესით — სერგის შფოთით.

---

* სერგი ნილუსი — ცნობილი საეკლესიო მწერალი. მან აღმოაჩინა და გამოაქვეყნა წმ. სერაფიმე საროველის საუბარი მოტივილოვთან. სიონის ბრძენკაცთა ოქმები და სხვა.

თქვენ მწერთ, რომ პატივს სცემთ კანონიერ ხელისუფლებასა და საეკლესიო ერთიანობას, მიტროპოლიტ სერგის მოქმედებაში კი ვერაფერს ხედავთ ანტიკანონიკურს. თქვენ ლოცულობთ მისთვის და ახლანდელი სინოდისათვის, ისევე როგორც რუსეთის ეკლესიის ყველა მმართველი იერარქისათვის. მაგრამ მაშინ მითხარით, იყვნენ თუ არა კაიაფა და ანნა კანონიკურნი ძველი აღთქმის ფორმალური მართლმორწმუნეობის თვალსაზრისით, როდესაც უფალს ჯვარცმა მიუსაჯეს? და იყო თუ არა იუდა ერთი ათორმეტთაგანი? მაგრამ პირველი ქრისტიანები ვერაფრით ვერ ილოცებდნენ მათთვის, როგორც ძე ღმრთისას სამართლიანად განმსჯელთათვის. ასეთია ჩემი (და არა მარტო ჩემი) აზრით მიტრ. სერგისა და მის თანამოაზრეთა მოქმედება 1927 წლის 16 (29) ივლისიდან. ეს მოქმედება, საბჭოთა ოფიციოზის რუპორის, „იზვესტიის" სატანურად ზუსტი გამოთქმით, არის ცდა, „ისე ააგონ ჯვარი, რომ მუშამ მასში ურო დაინახოს, გლეხმა კი — ნამგალი". სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შეცვალონ ჯვარი საბჭოთა ბეჭდით — „მხეცის" ბეჭდით (გამოცხ. 13,6).

აი, რას ვფიქრობდით ამ გლოვისა და ტირილის ღირსი მიზეზის გამო ჩვენ, ვინც არ ვისურვეთ მუხლი მოგვედრიკა ბაალისათვის და „მხეცისათვის", რომლის „წყლულება იგი სიკუდილისა განიკურნა" (გამოცხ. 13,3). „რამეთუ ბაგენი მღვდელისანი დაიცვენ მეცნიერებასა და შჯული გამოიძიონ პირისაგან მისისა, რამეთუ ანგელოზი უფლისა, ყოვლისა მპყრობელისა, არს. ხოლო თქუენ მისდერკით გზისაგან და უძლურ-ჰყვენით მრავალი შჯულსა შინა და განხრწენით აღთქმა ლევისი, — იტყვის უფალი, ყოვლისა მპყრობელი, — და მე მიგნცენ თქუენ შეურაცხ-ქმნილად და უგულებელს-ყოფილად ყოველთა შორის წარმართთა. მით, რამეთუ თქუენ არ დაიცვენით გზანი ჩემნი, არამედ მიიღებდით პირთა შჯულსა შინა" (მალაქ. 2,7-9). ღმრთის წინასწარმეტყველის ეს სიტყვები გაგვახსენდა მიტრ. სერგის 27 წლის 16 (29) ივლისის მიმართვის წაკითხვისა და მის მიერ დროებითი სინოდის ჩამოყალიბების შემდეგ. ეს სიტყვები წარმოგვიდგა, როგორც მხილება იმ გზისა, რომელსაც ასე მტკიცედ და უკანმოუხედავად დაადგნენ ისინი თავიანთ „მიმართვაში". შეუძლია თუ არა ეკლესიას, რომელიც არის „სუეტი და სიმტკიცე ჭეშმარიტე-

ბისა“, — შეუძლია თუ არა მას და მის იერარქიას, რა პირობებშიც არ უნდა აღმოჩნდეს და რა მიზნებიც არ უნდა ჰქონდეს, დაადგეს სიცრუისა და კაცთმოთნეობის გზას? არა, რადგან ამას მტკიცედ გვიკრძალავს სიტყვა ღმრთისა (საქმე, 4. 19; იეზ. 3,18). ყველაფერი, რაც ეკლესიის სახელით ითქმის, ქრისტეს ჭეშმარიტებით უნდა სუნთქავდეს, ამ ჭეშმარიტებიდან გამომდინარეობდეს, მას შეესაბამებოდეს. ყოველგვარი გადახრა ჭეშმარიტებისგან, რა მიზეზებითაც არ უნდა ამართლებდნენ მას, არის ქრისტეს უწმინდესი ხატის შეურაცხყოფა, და ეკლესიისათვის საბოლოო ჯამში ყოველთვის მავნე და სამარცხვინო აღმოჩნდება ხოლმე. სამარცხვინო და მავნეა ის საქმეც, რომელიც მიტრ. სერგიმ წამოიწყო — იმიტომ, რომ მასში არ არის ჭეშმარიტება, არამედ თავიდან ბოლომდე სავსეა ტყუილით, კაცობრივი მოსაზრებებითა და ანგარიშებით.

ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ რუსეთის ეკლესია არა მარტო ურელიგიო, არამედ აშკარად ანტიქრისტიანული სახელმწიფოს პირისპირ აღმოჩნდა, რომელიც არსებითად უარყოფს ქრისტიანობას და მტრობს ქრისტეს, ამიტომ ფატალურად არის განწირული მასთან ბრძოლისათვის. ეკლესია გზას უღობავს კომუნიზმს მის უმთავრეს პუნქტებში. იგია კომუნიზმის უარყოფა მატერიალური ფილოსოფიის სფეროში, კატეგორიულ კონცეფციებსა და მისი განხორციელების პრაქტიკულ საშუალებებში. ეს წინააღმდეგობა უტოლდება „ჰო“-სა და „არა“-ს, მტკიცებასა და უარყოფას შორის წინააღმდეგობას, ამიტომაც სახელმწიფოს მტრული მოქმედება ეკლესიის მიმართ გარდაუვალი იყო. მაგრამ აქამდე ხელისუფლება ვერ პოულობდა საკუთარ თავში ეკლესიასთან აშკარა ბრძოლის დაწყების ძალას — ამას იგი საეკლესიო იერარქიისა და საეკლესიო ორგანიზაციების, როგორც პოლიტიკურ კონტრრევოლუციასთან ბრძოლის სახეს აძლევდა. მაგრამ თუ პოლიტიკური კონტრრევოლუციის შემთხვევები კიდევაც იყო საეკლესიო იერარქიის ცალკეულ პირთა შორის, ისიც ძალიან მცირერიცხოვანი, და სწრაფად აღიკვეთა. გარდა ამისა, უეჭველია, ასეთი მოვლენები რომც არ ყოფილიყო, საბჭოთა ხელისუფლების მტრული მოქმედება ეკლესიისადმი მაინც უთუოდ იჩენდა

თავს, რადგან იგი ბევრად უფრო ღრმა მიზეზებიდან გამომდინარეობს (ეს მიზეზები თქვენთვის ცნობილია ჩემი წიგნებიდან), ვიდრე ამა თუ იმ პირის შემთხვევითი საქციელი. ამგვარად, ეკლესიისა და ხელისუფლების ურთიერთობის მხოლოდ ცალკეული იერარქების განწყობით ახსნა შეუძლებელია. თუ ამას ხელისუფლება სჩადის, კიდევ გასაგებია, მაგრამ როდესაც ეს უკვე საეკლესიო მოღვაწისაგან მომდინარეობს, როდესაც ისიც იმას ცდილობს, ეკლესიასა და ხელისუფლებას შორის არსებული დაძაბულობა საეკლესიო წრეების კონტრრევოლუციური პოლიტიკური განწყობის შედეგად გამოაცხადოს, ასეთ საქციელს ძნელად თუ მოეძებნება სახელი. აქამდე ამგვარი ინსინუაციებით „განმაახლებლები" და ქრისტეს ეკლესიის სხვა მტრები თუ მოღალატეები იყვნენ დაკავებულნი. ჩვენ გულისწყრომით უარვყოფთ ყველა ამგვარ ბრალდებას, როგორც ტყუილსა და ცილისწამებას — პირადად ჩვენი და მთელი ეკლესიის სახელითაც.

მაგრამ ახლა ცრუმოწმეთა ამ დასს პატრიარქის მოსაყდრის მოადგილეც შეუერთდა თავისი „დროებითი წმინდა სინოდითურთ". განმარტავენ რა, თუ რატომ იდევნება დღემდე რუსეთში მართლმადიდებელი ეკლესია, ისინი წერენ: „ხელი მხოლოდ იმან შეიძლება შეგვიშალოს, რაც საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე წლებში აბრკოლებდა საეკლესიო ცხოვრების ლოიალურ პირობებზე აგებას — ეს არის ჩვენს ქვეყანაში მომხდარი ამბის მთელი სერიოზულობის ალუქმელობა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარება ბევრს რაღაც გაუგებრობად, შემთხვევითობად და ამიტომ ხანმოკლე მოვლენად წარმოედგინა".

სხვა ადგილას ხელისუფლების უნდობლობას ეკლესიისადმი მიტრ. სერგი „ბუნებრივსა და სამართლიანს" უწოდებს, ანუ ამ უნდობლობაში მთლიანად ეკლესიას ადანაშაულებს და არა ხელისუფლებას. ამგვარად, მღვდელმსახურთა მთელი დასის გაჟლეტას, საეკლესიო ორგანიზაციების დარბევას, უამრავი ეპისკოპოსის დატუსაღებასა და გადასახლებას, ტაძრებისა და ყოველგვარი საეკლესიო საკუთრების ჩამორთმევას — უკანონობას თვით დღევანდელი კანონების მიხედვითაც კი, — მიტრ. სერგის აზრით, მხოლოდ ის მიზეზი ჰქონია, რომ

ეკლესია ყოველდღე ელოდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას და რაღაცაში ეწინააღმდეგებოდა ამ ხელისუფლებას; რომ მართლები თურმე ჩვენ კი არა, „განმაახლებლები“ ყოფილან, რომლებმაც მყისვე შეაფასეს კონიუნქტურა და იჩქარეს ჯერ კიდევ ხუთი წლის წინ გაეკეთებინათ ის, რაც დღეს ასე დაგვიანებით მოიმოქმედა მიტრ. სერგიმ.

გაუგებარია, რა მოსაზრებებმა აიძულა მიტრ. სერგი გამოეთქვა მართლმადიდებელი იერარქისაგან სრულიად წარმოუდგენელი მტკიცებები, მაგრამ ყოველი მართლმადიდებელი ქრისტიანისათვის ცხადია, რომ ამ მტკიცებებში არ არსებობს ჭეშმარიტება, რომ ესაა საშიში ცილისწამება ეკლესიისა, მისი ეპისკოპოსებისა, და რომ სინამდვილეში საბჭოთა ხელისუფლების მტრული დამოკიდებულება მართლმადიდებელი ეკლესიისადმი არც „ბუნებრივია“ და არც „სამართლიანი“, როგორც ამას მიტრ. სერგი ამტკიცებს.

ერთ ტყუილს თავისთავად მოსდევს მეორე. ჩვენ უკვე გიჩვენეთ, თუ რა უსამართლოდ ადანაშაულებს მიტრ. სერგი მართლმადიდებელ ქრისტიანებს კონტრრევოლუციურ პოლიტიკანობაში, რითაც განმაახლებლებისა და ეკლესიის სხვა მტრების თანამოაზრე ხდება. და აი, იცის რა, რომ მისი ამგვარი გამონათქვამები ჭეშმარიტ მორწმუნეთა სამართლიან აღშფოთებას გამოიწვევს, მიტრ, სერგი თავდასაცავად კვლავ ტყუილს მიმართავს. ეს ახალი ტყუილი იმაში მდგომარეობს, რომ იგი ცდილობს წინდაწინვე გაუტეხოს სახელი ხალხისა და ხელისუფლების წინაშე მათ, ვისაც სინდისი მისი და სინოდის უსჯულო მოქმედებასთან დათანხმების ნებას არ მისცემს.

სხვაგვარად მოაზროვნეებს იგი კვლავ პოლიტიკურ კონტრრევოლუციონერობას სწამებს, როდესაც ამბობს, რომ ყველა, ვინც მხარს არ უჭერს მის ამ ახალ წამოწყებას, ფიქრობს, რომ „შეუძლებელია ძველ რეჟიმთან და თვით მონარქიასთან კავშირის გაწყვეტა მართლმადიდებლობასთან კავშირის გაუწყვეტლად“. მიტრ. სერგიმ იცის, თუ რა საშიშია დღეს თუნდაც მსუბუქი ეჭვის შეტანა ვინმეს კონტრრევოლუციონერობაში, ამის მიუხედავად, არ ერიდება ასეთი საფრთხის წინაშე დააყენოს ეკლესიის მსახურნი და რიგითი წევრე-

ბი, თავისი ძმები და შვილები — იმით, რომ მათ კონტრრევოლუციონერობაში ადანაშაულებს. და რისთვის? იმისათვის, რომ ამ ადამიანებს სინდისი უფლებას არ აძლევს თქვან, რომ „საბჭოთა კავშირის სიხარული და წარმატება ჩვენი წარმატებაა, მისი წარუმატებლობა კი — ჩვენი წარუმატებლობა“, რომ „ყოველ დარტყმას, საბჭოთა კავშირისადმი მიმართულს, ისე აღვიქვამთ, როგორც ჩვენკენ მომართულს“. განა ქრისტიანები, რომლებსაც არ ძალუძთ უღმერთო, ყოველგვარ რელიგიასთან მებრძოლი კომუნიზმის ყველა სიხარული საკუთარ სიხარულად მიიღონ და ყოველი მისი წარმატება საკუთარ წარმატებად, ამით საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკური მტრები ხდებიან? საერთოდ, შეიძლება კი მორწმუნე ქრისტიანს მოსთხოვო, ისევე აღიქვამდეს ცხოვრებისეულ ფასეულობებს, როგორც უღმერთო კომუნისტი აღიქვამს? დაე, მიტრ. სერგი ნუ ამოეფარება საბჭოთა კავშირსა და კომუნისტურ პარტიას შორის არსებულ კაზუისტურ განსხვავებებს: ეს გამოირიცხება თუნდაც პარტიის წევრთა მრავალრიცხოვანი განცხადებებით, როგორიცაა, მაგალითად, ბუხარინის სიტყვები: „ჩვენი პარტია განუყოფელია სსრკ-სგან“ (“იზვ.“ 18.VII.27). და რა თქმა უნდა, ეს ასეც არის. ამიტომ მთლიანად მიტრ. სერგის სინდისზეა თავისი ძმების ამაო და უსამართლო დადანაშაულება მძიმე პოლიტიკურ დანაშაულებში, აგრეთვე დამამცირებელი, ამაზრზენი სიცრუისა და ამა სოფლის ძლიერთა წინაშე ქვეძრომის ცოდვა, რომელიც მან წმინდა ეკლესიის სახელით ჩაიდინა, იმის მიუხედავად, რომ მოციქული პირდაპირ გვაფრთხილებს: „ნუ თანა-ხატ ექმნებით სოფელსა ამას“ (რომ. 12,2).

რამ აიძულა მიტრ. სერგი ასეთი ცოდვა ჩაედინა რუსეთის ეკლესიის წინააღმდეგ? ალბათ ამ გზით სურდა მიეღწია საეკლესიო ორგანიზაციების ლეგალური არსებობისათვის, უფლისაგან მოცემული მაგალითის საპირისპიროდ, რომელმაც მტკიცედ უარყო სინდისთან კომპრომისის გზა ამა სოფლის ძალთაგან მხარდაჭერის მისაღებად (მათე, 4,8-10). მიტრ. სერგი თვითონ აცხადებს ამას თავისი „მიმართვის“ დამატებაში (“იზვ.“ 19.VIII.27); თავადვე აღიარებს, რომ „მისი მცდელობა“ თითქოს არ რჩება უნაყოფოდ და „სინოდის

შექმნასთან ერთად მატულობს არა მარტო მთელი საეკლესიო მმართველობის საჭირო კალაპოტში ჩაყენების იმედი, არამედ იმის რწმენაც, რომ მშვიდობიანი ცხოვრება შესაძლებელია". მიტრ. სერგი დარწმუნებულიც კი არ არის, რომ ლეგალიზაცია სინოდის საზღვრებს იქით გავრცელდება, მხოლოდ იმედი აქვს ამისი, — ანუ ბუნდოვანი დაპირებებისა და გაურკვეველი ალთქმების გარდა ჯერჯერობით არაფერი მიულია. სავალალო შედეგია თვით ყოფითი მოსაზრებების პოზიციიდანაც კი.

„საეჭვოა, ვინმესთვის ჩვენი მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობაში მომხდარი ცვლილებების განმარტება იყოს საჭირო", — ამბობს მიტრ. სერგი. დიახ, საეჭვოა, რადგან ისედაც ყოველივე ცხადია. ცხადია, რატომ არ ხდება სინოდის ლეგალიზაციასთან ერთად მთელი ეკლესიის ლეგალიზაციაც. ასე უნდა მომხდარიყო, სინოდი რომ სინამდვილეში ეკლესიის ცენტრი იყოს, მისი თანამოაზრე და ცხოვრებითაც განუყოფელი, მაგრამ ეს ასე არ არის და, სინოდის ლეგალიზაციის მიუხედავად, ეკლესია კვლავ უუფლებო მდგომარეობაში რჩება, რადგანაც ლეგალიზებულია არა ეკლესია, არამედ მხოლოდ ახალი ორიენტაცია, რომელსაც ამასთან მკვეთრად პოლიტიკური ხასიათი აქვს. ეკლესიის ლეგალიზაცია კი მხოლოდ მაშინ მოხდება, როდესაც იგი კრების პირით საბოლოოდ მოიწონებს მიტრ. სერგის მიერ წამოწყებულ „საქმეს", ანუ საკუთარი თავის შეურაცხყოფისა და დანაშაულებრივი კომპრომისის იმავე ცოდვას ჩაიდენს. ისიც ცხადია, რატომ არ ამბობს მიტრ. სერგი „მეორე ადგილობრივ კრებაზე" მსჯელობისას, ეს კრება პატრიარქს აირჩევსო (არადა, წესით ასე უნდა ეთქვა), არამედ მხოლოდ იმას აცხადებს, რომ იგი უკვე არა დროებით, არამედ მუდმივ ცენტრალურ საეკლესიო მმართველობას აირჩევს. მნიშვნელოვანი მიჩუმათებაა! გასაგებია, რისთვისაც გახდა საჭირო ეკლესიისა და ხელისუფლების ახალი ურთიერთობის ასეთი გამძაფრებული ფორმულირება, რომლის თანახმადაც „მისი სიხარული და წარმატებები ჩვენი სიხარული და წარმატებებია, ხოლო მისი წარუმატებლობები — ჩვენი წარუმატე-

ბლობები“ და ა. შ. ეს აშკარა, დამამცირებელი, სასაცილო და უსარგებლო ტყუილი, რომელიც სამართლიანად შეფასდა „მიმართვის“ საგაზეთო კომენტარებში („იზვ“. 19.VII.27). აუცილებელი იყო იმისათვის, რომ მიტრ. სერგის მიერ გატარებული ლეგალიზაციის პირობები რაც შეიძლება მიუღებელი ყოფილიყო ყოველი პატიოსანი საეკლესიო მოღვაწისათვის და ამით უკვე სახელმწიფოს კი არა, ვითომ თვით ეკლესიას გამოეტანა მათთვის მსჯავრი – პოლიტიკური კონტრრევოლუციონერობა. ამგვარად, ეკლესიის საუკეთესო მწყემსები ჩამოშორდებიან საეკლესიო ცხოვრებაში მონაწილეობას, რაც ეკლესიის საბოლოო დაუძლურებას გამოიწვევს. და ბოლოს, ისიც ცხადია, როგორ ჩატარდება ლეგალიზაცია: იქნება ანკეტები, „მიმართვის“ უკვე ცნობილი პუნქტების ან კიდევ რაიმე უცნობი მოთხოვნების მიხედვით შედგენილი. იმათ, ვინც ამ ვალდებულებებს უარყოფს, დაიჭერენ და ციხეებში ჩაყრიან, ერთი სიტყვით, ყველაფერი ძველებურად დარჩება, ჭეშმარიტი ეკლესიის დევნა კი გაგრძელდება. ახალი მთელ ამ სამწუხარო ამბავში მხოლოდ ის იქნება, რომ რუსეთის ეკლესიის დევნას ამიერიდან მისი დროებითი წინამძღოლი, მიტრ. სერგი გაამართლებს.

აკეთებს რა საქმეს, რომლის გაკეთებაც განიზრახა (შდრ. იოანე, 13,27), მიტრ. სერგი მოვალე იყო ის მაინც შეესრულებინა, რასაც თვითონ მოითხოვდა მიტრ. აგათანგელოსის, ეკატერინბურგის ყოფილი მთავარეპისკოპოსის გრიგოლისა და ახალი ორიენტაციის შექმნის სხვა პრეტენდენტებისაგან, ანუ კურთხევა აეღო თავისი იერარქიული უფროსისაგან. მიტრ. სერგი ხომ მხოლოდ მოსაყდრის მოადგილეა, ანუ არ არის დამოუკიდებელი პირი, და იგი მოვალეა ისე იმოქმედოს, რომ არ დაუპირისპირდეს მაინც იმ იერარქის მითითებას, ვის სახელსაც თვითონ აღავლენს საღმრთო ლიტურგიაზე, როგორც თავისი მეუფისას. ამიტომ მიტრ. სერგი მოვალე იყო ეკითხა მიტრ. პეტრესთვის, როგორ აფასებდა იგი სერგის მიერ წამოწყებულ ერთობ მნიშვნელოვანსა და პასუხსაგებ საქმეს და მხოლოდ მისი კურთხევით ემოქმედა. ამ დროს არც სინოდის სხდომის ოქმებში და არც თვით მიმართვაში სიტყვაც არ არის დაძრული იმაზე, რომ ეს

გაკეთდა და მიტრ. პეტრეს კურთხევა მიღებულია. პირიქით, განსვენებულ პატრიარქ ტიხონსა და მის საკმაოდ აპოკრიფულ სიტყვებზე დაყრდნობა (რაც ძალიან აახლოებს მიტრ. სერგის „ვცუ"- სთან, ლუბენელებთან და სხვებთან, ვითომდა პატრიარქის საქმის გამგრძელებლებთან) სრულ საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ მიტრ. პეტრეს სანქცია არ ყოფილა მიღებული. და თუ ასეა, ეს უკვე ძალიან დიდი თვითნებობაა. თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო მიტრ. სერგისათვის მიტრ. პეტრეს კურთხევის მიღება, ამას გვიჩვენებს შემდეგი მოსაზრება: იმ შემთხვევაში, თუ იგი არ ეთანხმება თავისი მოადგილის, მიტრ. სერგის მოქმედებას, მაშინ ეს უკანასკნელი უმალვე იქცევა ხელისუფლების ისეთივე „მიმტაცებლად", როგორებიც ის პირები არიან, რომელთა შესახებაც ის თავის „მიმართვაში" ლაპარაკობს.

ასეთია, ძვირფასო ლევ ალექსანდრეს ძევ, ჩემი და ჩემი თანამოაზრეთა პოზიცია მიტრ. სერგის „მიმართვის" გამო. ემიგრირებული სამღვდელოების საკითხსაც, რომელსაც ის ეხება, იმავე პოზიციიდან ვაფასებთ, საიდანაც მთელ „მიმართვას" — თქვენთვის ეს პოზიცია ახლა უკვე ნათელია. ამ პოზიციის გასამაგრებლად ჩვენ მხოლოდ ჭეშმარიტი ეკლესიის უმაღლესი იერარქიის ავტორიტეტული ხმა გვაკლდა მისი ეპისკოპატის სახით, და აი, არც მან დააყოვნა. ამ წერილს დართული „მიმართვიდან" მიტრ. სერგისადმი, რომელიც პეტროგრადის სამღვდელოების ყველაზე ავტორიტეტულ ნაწილს ეკუთვნის (იგი სანქცირებულია მიტრ. იოსების, ეპისკოპოსების: დიმიტრისა და სერგის მიერ), აგრეთვე ვოტკინის ეპისკოპოს ვიქტორის წერილიდან, ჩვენ დავინახავთ, რომ მიტრ. სერგისა და მის სინოდს ამ ხმამ მოუმზადა გზა „მზაკვართა ეკლესიაში", რომლისაგანაც თქვენცა და მეც დაგვიფაროს უფალმა.

ერთი ასეთი კითხვა გაქვთ: „რა ვქნათ და საით წავიდეთ?" ჩემი ღრმა რწმენით, ქრისტეს ჭეშმარიტი ეკლესია, „დედაკაცი, რომელსა ემოსა მზე" (გამოცხ. 12,1), უკვე უდაბნოში იმყოფება, რადგანაც ჩვენი ეკლესიის ანგელოზნი — კირილე და პეტრე, ადგილობრივი ეკლესიების პირველმღვდელმთავარნი და ეპისკოპოს-აღმსარებელნი — დევნულებასა და გადასახლებაში არიან უდაბნო ადგილებში. მაშას-

ადამე, ჩვენც, ამ ეკლესიის შვილნი, უდაბნოში ვართ. უდაბნოში კი სხვა რა უნდა აკეთო, გარდა ლოცვისა? უფალო, შეგვიწყალე! უფალო, შეგვიწყალე!

ვიდრე არსებობს ტაძარი ღმრთისა, რომელიც არ არის „უკეთურთა ეკლესიისაგან", იარე ეკლესიაში, როცა შესაძლებელია, არა და შინ ილოცე. თუ შინაურებიც მტრად გექცნენ, მაშინ გულის საკანში ილოცე: „უფალო იესო ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი", და „ყოვლად წმინდაო ღმრთისმშობელო, გვაცხოვნენ ჩვენ". მკითხავთ: კი მაგრამ, სად და ვისთან ვეზიაროო? გიპასუხებთ: უფალი გიჩვენებთ, ანდა ანგელოზი გაზიარებთ, რადგან უკეთურთა ეკლესიაში არ არის და შეუძლებელიცაა იყოს უფლის ხორცი და სისხლი.

ჩვენთან, ჩერნიგოვში, მხოლოდ სამების ეკლესია დარჩა მართლმადიდებლობის ერთგული, მაგრამ თუ ისიც შეინარჩუნებს ეგზარქოს მიქაელის მოხსენიებას, ანუ ლოცვით კავშირს მასთან, ვინც სერგისა და სინოდის ლოცვა-კურთხევით მოქმედებს, მაშინ ჩვენ ამ ეკლესიასთანაც გავწყვეტთ კავშირს. გვწამს, რომ უფალი ჩვენი რწმენისაებრ საჭირო დროს მოგვივლენს ჩვენს ზოსიმეს, ისევე, როგორც ოდესღაც მარიამ მეგვიპტელს მოუვლინა.

ასე გვწამს, ასე ვაღიარებთ...

წამომსვლელმა გამომგზავრება გადადო, მე კი მიტრ. სერგის „მიმართვის" შესახებ ნათქვამს საღმრთო წერილის სიტყვებიც მინდა დავუმატო: „ვაი შვილთა განდგომილთა ამათ, — იტყვის უფალი, — ჰყავთ განზრახვა არა ჩემ მიერ და ზავნი არა სულისა მიერ ჩემისა, შეძინებად ცოდვათა ზედა, რომელნი ვიდოდეს შთასვლად ეგვიპტედ, ხოლო მე არა მკითხეს შეწევნად ფარაოს მიერ და დაფარვად მეგვიპტელთა მიერ, რამეთუ იყოს საფარველი ფარაოსი სირცხვილად თქუენდა და მოსავთათვის ეგვიპტისა მიმართ საყუედრელ... ცუდად შურებიან ერისა მიმართ, რომელმან არა არგოს მათ, არცა შესაწევნელად, არცა სარგებელად, არამედ სირცხვილად და ყუედრებად" (ესაია, 30, 1-5).

მიტრ. სერგი იყო ულმერთო „რელიგიურ-ფილოსოფიური შეკრებე-

ბის“ ხელმძღვანელი პეტერბურგში მიტრ. ანტონის (ვადკოვსკის) დროს, ასევე შენანებული „განმაახლებლების“ მეთაური. რა სიკეთე შეიძლებოდა მისგან გამოსულიყო?

11 თებერვალი. წამომსვლელი ჯერაც არ მოდის. ამ დროს რამდენი — აურაცხელი — მაქვს კიდევ სათქმელი იქიდან, რის მოწმედაც ღმერთმა დამადგინა — მხოლოდ მოწმედ.

აი, მაგალითად, წინ მიდევს ჭეშარიტების მოწამეთა, რჩეულ ეპისკოპოსთა, სოლოვკელ ტუსალთა წერილი. ისიც მიტრ. სერგისადმია მიწერილი მისი „მიმართვის“ გამო. და რამდენი სამართლიანი რისხვა და მწუხარებაა ამ წერილში! იგი საკმაოდ დიდია და თქვენთვის მის გადმოსაწერად არც დრო მაქვს და არც ძალა (მე ხომ გულით ავადმყოფი ვარ, თანაც, გპუ-ს კომისიის მოწმობით, „სარეცელს მიჯაჭვული“). აი, სხვათა შორის, რას წერენ სოლოვკელი მოწამეეპისკოპოსები: „რა გვეთქმის ჩვენ, როდესაც ჩვენს მმართველ მღვდელმთავარს მკაცრი განაჩენი გამოაქვს ჩვენი „სიტყვებისა და საქმეების“ გამო? განა ეს სიტყვები შავ ხაზს არ უსვამენ მთელ იმ საშინელ, გამოუთქმელ ტანჯვას, რაც ბოლო წლებში ეკლესიამ გამოსცადა, მთელ იმ ბრძოლას, რომელიც ჩვენ გმირულ ღვაწლად მიგვაჩნდა? განა ეკლესიის ღვაწლი დანაშაულად არ ცხადდება? და როგორ უნდა წაიკითხონ ეს სიტყვები მათ, ვინც ამჟამად შორეულ გადასახლებაში იმყოფება? რას იგრძნობენ ისინი, როდესაც თავიანთ მაღალი პასუხისმგებლობით აღჭურვილ ძმაში ბრალმდებელს დაინახავენ? და განა მათ გაფითრებულ ბაგეებს საშინელი სიტყვა: „ცილისწამება“ არ აღმოხდებათ? განა არ იფიქრებენ, რომ განაჩენი, დეკლარაციის ხელისმომწერთა მიერ გამოტანილი, თვით შესვენებულთა (უფლისათვის მოკვდინებულთა) სიმშვიდესაც კი არღვევს?

და შემდგომ: „...სავარაუდო ლეგალიზაციის გამო მიტრ. სერგი გვთავაზობს „გამოვხატოთ ჩვენი ქვეშევრდომული მადლიერება საბჭოთა ხელისუფლების მიმართ მართლმადიდებელი მოსახლეობის საჭიროებათა გამო ასეთი ყურადღებისათვის“.

რისთვის უნდა ვიყოთ მადლობელნი?

ჯერჯერობით მხოლოდ ერთი რამ ვიცით: მიტრ. სერგისა და

სინოდის წევრებს აქვთ საშუალება სხდომები მოაწყონ მოსკოვში და დეკლარაცია შეადგინონ.

ისინი მოსკოვში არიან.

ხოლო რუსეთის ეკლესიის პირველმღვდელმთავარი, მიტრ. პეტრე აგერ უკვე რამდენიმე წელიწადია ყოველგვარი სასამართლოს გარეშე საშინელი, მტანჯველი პატიმრობისათვის არის განწირული.

ისინი მოსკოვში არიან.

ხოლო მიტრ. კირილე, რომელსაც თავისი დევნულებაში ყოფნის წლების სათვალავიც კი აერია, ისევ და ისევ სასამართლოს გარეშე დღესაც (თუ ჯერ კიდევ ცოცხალია) პოლარული წრის საზღვრებს მიღმა იმყოფება.

ისინი მოსკოვში არიან.

მიტრ. არსენის, სინოდის წევრებს შორის დასახელებულს, არ შეუძლია მოსკოვში ჩასვლა, — იგი თურქმენეთის უდაბნოშია და, მისივე სიტყვებით, საუკუნო განსვენებისათვის ემზადება.

რუს მღვდელმთავართა მთელი დასი აღასრულებს თავის მოწამებრივ მოღვაწეობას სიცოცხლესა და სიკვდილს შორის ენით აუწერელ პირობებში.

მაშ იქნებ ყოველივე ამისათვის უნდა ვიყოთ მადლობელნი? ან ბოლო წლების აურაცხელი სატანჯველისათვის? იმისათვის, რომ ჩაქრა ღირსი სერგის კანდელი? იმისათვის, რომ ღირსი სერაფიმეს ძვირფასი ნეშტი, მანამდე კი მღვდელმთავართა: თეოდოსის, მიტროფანეს, ტიხონის, იოასაფის წმ. ნაწილები წარმოუდგენელი მკრეხელობით შებილწეს? იმისათვის, რომ მოსკოვის კრემლის ზარები დადუმდნენ და მოსკოველი მღვდელმთავრების წმინდა ნაწილებთან მისასვლელი გზა დაიკეტა? იმისათვის, რომ მღვიმის წმინდანები და მთელი ლავრა უსჯულოთა ხელშია? იმისათვის, რომ ჩვენი ჩრდილოეთის სავანე (სოლოვკი) ჩვენთვის და სხვებისთვის გაუთავებელი ტანჯვა-წამების ადგილად იქცა? თუ მიტრ. ბენიამინის, ვლადიმირისა და სხვა მოკვდინებულ მღვდელმთავართა სისხლისათვის?

მაშ რისთვის ვიყოთ მადლობელნი?"

აღარ განვაგრძობ ამონაწერებს მღვდელმთავარ-აღმსარებელთა ამ

გოდებიდან — საკმარისია ჩემთვისაც და თქვენთვისაც. ხელი ძლივს მემორჩილება მღელვარებისაგან. ჩემგან ერთსაც დავუმატებ: დივეევოსთვისაც ხომ არ ვიყოთ მადლობელნი, რომელიც მას შემდეგ დაარბიეს, რაც მიტრ. სერგიმ მოგვიწოდა, „მადლობელნი ვიყოთ ყურადღებისთვისო"?!

ვიდრემდე, ღმერთო!

რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ!

უფალი და ყოვლად წმინდა ღმრთისმშობელი გფარავდეთ, ჩემო ძვირფასო.

თქვენი ს.

რედაქციისაგან: „რისთვის ვიყოთ მადლობელნი?" ამ სიის გაგრძელება დღეს, 70 წლის შემდეგ, უსასრულობამდე შეიძლება. 100 მილიონი დაღუპული სიცოცხლისათვის? ცოცხლად დარჩენილთა დასახიჩრებული სულებისათვის? ბალახით დაფარული ტაძრების ნანგრევებისათვის, რომელთა დანახვაზე 100 წლის წინათ ჩვენი ღმრთისმოსავი წინაპრები სიმწრისა და ტკივილისაგან მოცელილებივით დაეცემოდნენ? მოწამლული, უკულმა შებრუნებული მდინარეებისათვის? ჩვენი სამშობლოს მტანჯველი აგონიისათვის?

მაშ რისთვის ვიყოთ მადლობელნი?



ალექსანდრე კალომიროსი

ცრუ ერთობის წინააღმდეგ

(ფრაგმენტები)

ზოგიერთი გულუბრყვილო ქრისტიანი ფიქრობს, რომ ეკლესიათა დაახლოება და გახშირებული დიალოგები სხვადასხვა აღმსარებლობათა წარმომადგენლებთან მიზნად ისახავს არა მათთან გაერთიანებას, არამედ ქადაგებას, ჭეშმარიტების მოწმობას. „ეს ხომ სიყვარულის გამოვლინებაა ჩვენი ძმებისადმი“ — ამბობენ ისინი. ხშირად გაიგებთ — „თუკი ჩავიკეტებით ჩვენს გარსში, არ მივიღებთ მონაწილეობას შეხვედრებსა და კონფერენციებში, არ გავგზავნით დამკვირვებლებს პაპისტებისა და პროტესტანტების ფორუმებზე, მაშინ როგორღა შეიტყობს დასავლეთი მართლმადიდებლობის შესახებ, როგორღა მოუწოდებთ მათ ჭეშმარიტი ეკლესიისკენ?

მაგრამ ნუთუ შესაძლებელია ვასწავლოთ დასავლეთს, რომ მართლმადიდებელი ეკლესია არის ერთადერთი ჭეშმარიტი ეკლესია, თუკი ისინი ხედავენ, რომ ჩვენი ეკლესია, როგორც სწორი სწორთან ცრუ ეკლესიებთან ისეთ ურთიერთობას ამკვიდრებს? განა არ იფიქრებენ, რომ მართლმადიდებლობა, ისევე როგორც სხვა რელიგიები, არასრული და ფარდობითია? ან იქნებ ვინმეს იმედი აქვს, რომ ამ მორთულ-მოკაზმულ პასტორთა კრებები ჭეშმარიტების ჭვრეტამდე მივლენ? დიახ! ისინი ხშირად აქებენ მართლმადიდებლებს, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ თავიანთ მხარეზე გადაიყვანონ ისინი. და განა ცოტა გვინახავს ისეთი „მართლმადიდებელი“, რომელიც სიმპატიებს ვერ მალავს დასავლეთის მიმართ?

მწვალებლებს რომ მართლმადიდებლობის შეცნობის ნოსტალგია

აწუხებდეთ, მაშინ კრებებისა და კონფერენციების ნაცვლად პირდაპირ ჭეშმარიტების წყაროსთან მოვიდოდნენ და წყურვილს წმიდა მამათა სწავლების დაწაფებით მოიკლავდნენ.

არა! ჭეშმარიტებისკენ სხვათა მოსაქცევად ყველაზე საუკეთესო საშუალება თავად ჩვენი მტკიცე რწმენაა ჭეშმარიტებისადმი; არა კამათი და დიალოგი მის შესახებ, არამედ მხოლოდ აღმსარებლობა მისი. ეკუმენისტური კრებები და კონფერენციები ჭეშმარიტებას მსჯელობისა და კრიტიკული ანალიზის საგნად ხდიან. მაგრამ ეს ხომ ღალატია, რადგანაც სინამდვილეში ეს დიალოგები მწვალებლებთან „ეკლესიათა" შორის ერთგვარ დისკუსიად ქცეულა. ქრისტე დისკუსიებისაკენ არ მოგვიწოდებს, იგი მხოლოდ ჭეშმარიტების აღმსარებლობას მოითხოვს ჩვენგან. ჭეშმარიტება, რომელსაც ის გვასწავლის, კამათის საგანი როდია. მსჯელობანი სხვადასხვა ეკუმენისტურ კონფერენციებზე აუქციონს უფრო ჰგავს, რომელზედაც საბოლოო შეთანხმების მისაღწევად ანგარიშსწორება სარწმუნოების საკითხში კომპრომისებით უწევთ . ამდაგვარ პირობებში ეკუმენისტურ შეკრებებზე მართმადიდებელთათვის უბრალო დასწრებაც კი ქრისტეს ღალატის ტოლფასია. დიახ, ღალატი ოცდაათ ვერცხლად, რადგანაც დიალოგებში მონაწილეობით მართლმადიდებელი თავის სარწმუნოებას საკამათოს, საეჭვოს ხდის, დასაშვებად მიიჩნევს, რომ თვითონაც წავა კომპრომისზე, თუკი სასურველ გარიგებას შესთავაზებენ. დიალოგი თავისთავად გულისხმობს ურთიერთ დათმობას, რაღაც კონსესუსის მოძებნას, რომელიც ორივე მხარისათვის მისაღებია. შეუძლებელია დიალოგი რაიმე კომპრომისის გარეშე, სხვაგვარად ასეთი დიალოგი უაზრობად იქცევა. ამიტომაც ამბობდნენ წმიდა მამები, რომ მწვალებლებთან არ შეიძლება არანაირი დიალოგი, მწვალებლებთან მართლმადიდებლებს შეიძლება მხოლოდ მონოლოგი ჰქონდეთ. „მწვალებელსა კაცსა, შემდგომად ერთისა და ორისა სწავლისა განეშორე" (ტიტ. 3;10) — გვასწავლის წმიდა მოციქული პავლე.

ამგვარი დიალოგებისა და ცრუ ერთობის პოპულარიზაციის ნაცვლად ყოველი მართლმადიდებელი მართლმადიდებლობას რომ ხმამაღლა აღიარებდეს ერთადერთ აბსოლიტურ ჭეშმარიტებად, უარს ამბობდეს მწვალებლებთან ყოველგვარ ოფიციალურ თუ არაოფიციალ-

ურ კავშირებზე, არ ეშინოდეს დაუძახოს მათ ეს სახელი, მაშინ ჩვენი ხმა ბევრად უფრო ძლიერი და ყველასათვის გასაგონი გახდებოდა; რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მაშინ მართლმადიდებლობას დააფასებდნენ, სერიოზულად დაინტერესდებოდნენ მითი. დღეს კი „მართლმადიდებელ" ეკუმენისტთა ხმა მხოლოდ კომპრომისის ხმაა, ეს ხმა არ ესმის არავის, არ აღელვებს არავის, ჩირადაც არ ულირს იგი ამ სოფელს.

წმიდა მამები მწვალებლებთან დისკუსიაში არ შედიოდნენ. ისინი უშიშრად აღიარებდნენ ჭეშმარიტებას, ხელაღებით უარყოფდნენ მათ ცრუ მოძღვრებას, არ ფრთხილობდნენ, არ დიპლომატობდნენ, ყოველგვარი კომპლიმენტების გარეშე ამხილებდნენ ერეტიკოსებს. ისინი არასოდეს ცდილან რაიმე ურთიერთგაგების და აღიარების მიღწევას მწვალებლურ საკრებულოებთან. მათდამი მამათა მოწოდება ყოველთვის ღია, პირდაპირი იყო. ეს მოწოდება მიზნად მხოლოდ და მხოლოდ სულის გადარჩენას ისახავდა. იგი არასოდეს არ გადაზრდილა დისკუსიაში სხვა „ეკლესიებთან", მართლმადიდებელი ეკლესია მხოლოდ კონკრეტულ გზააბნეულ სულთა მოსაქცევად იღვწოდა. ეკლესია არ მსჯელობს, არ ეწევა დისკუსიას ჭეშმარიტების შესახებ, რადგანაც არ ეძიებს მას — იგი თავად არის „სვეტი და სიმტკიცე ჭეშმარიტებისა". ეკლესია მხოლოდ გასცემს, რამეთუ თავად გააჩნია ყოველივე.

დღეს ხშირად სვამენ შეკითხვას: „ვინ გადაარჩენს დღევანდელ მსოფლიოს?" და პასუხიც მზადა აქვთ: „მხოლოდ გაერთიანებული ქრისტიანული ეკლესია".

მაგრამ ქრისტე განკაცდა არა ამ სოფლის გადასარჩენად, რომელიც ბოროტებასა ზედა ძევს, იგი თავისი მიმდევრების გადასარჩენად მოვიდა, რათა ბოროტებას გამოგლიჯოს და მადლით განაღმრთოს ისინი. ეს სოფელი სიკვდილის გზას ადგას, იგი ამა სოფლის მთავრის — ღმერთის მტრის ნებას ემორჩილება. მაცხოვარი კი მათ გადაარჩენს, რომლთაც „სიტყუანი ღმრთისანი დაუმარხავთ" (იოანე 17;6). „მე მათთვის გკითხავ, არა თუ სოფლისთვის გკითხავ, არამედ მათთვის, რომელნი მომცენ მე, რამეთუ შენნი არიან" (იოანე 17; 9) — ბრძანებს იგი.

ქრისტე არ მოუწოდებს ეკლესიათა გაერთიანებისაკენ, ამისაკენ ეს

სოფელი მოუწოდებს. ქრისტე არ მოითხოვს ჭეშმარიტებისა და სიცრუის შეერთებას, ამის გაკეთებას ეს სოფელი ცდილობს, რათა ჭეშმარიტება დაიჩრდილოს, შეფარდებითი და არასრული იერი შესძინოს მას. გაერთიანება ჭეშმარიტების გარეშე საუკეთესო ხერხია ქრისტიანობის ნეიტრალიზაციისათვის, ეს ქრისტიანობის ამა სოფლის ინტერესებისადმი დაქვემდებარების ტოლფასია.

ისინი, ვინც გაერთიანებაზე საუბრობენ, ვერ გარკვეულან ქრისტეს ამქვეყნად მოსვლის მისიაში. მათი აზრით, ქრისტემ ერთგვარი ეთიკური მოძღვრება იქადაგა, ის თითქოს იმისთვის მოვიდა, რათა კაცთათვის ამა სოფლის სანიმუშო მოქალაქეობა ესწავლებინა; ქრისტეს სჯულის აღსრულება კი იმიტომაა საჭიროა, რათა ამქვეყნად ბოლოს და ბოლოს ღმრთის სასუფეველი დამყარდეს. ზოგი საუბრობს „ქრისტიანული საბერძნეთის", ზოგი „ქრისტიანული ევროპის" ანდა „ქრისტიანული დემოკრატიის" შესახებ და ვერავინ ვერ ხვდება, რომ მათი ლოდინი ზედმიწევნით ჰგავს იუდეველთა მოლოდინს, რომელნიც ელოდებოდნენ და ელიან „მესიას", რომელიც ამ სოფლის მეფე იქნება.

დღეს თითქმის აღარავის სჭირდება ისეთი ქრისტე, როგორიც ის ჭეშმარიტად არის. მათ სჭირდებათ მათი მორჩილი ქრისტე, რომელიც ამქვეყნიურ სამოთხეს მოაწყობს და ქვებს პურებად გადააქცევს.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, კაცობრიობა ქრისტეს კი არა, ანტიქრიტეს ელოდება სულმოუთქმელად. „ქრისტანები", რომლებიც გაჰყვირიან „საღმრთო ერის", „ქრისტიანული საბერძნეთის", „მსოფლიო ქრისტანობის", „ეკლესიათა ერთობის", სხვადასხვა ქვეყნებისა და კონტინენტებისა თუ მთელი მსოფლიოს გაბრწყინების შესახებ, სინამდვილეში ქრისტეს წინააღმდეგნი არიან. ისინი დოსტოევსკის „დიდი ინკვიზიტორის" მსგავსად მზად არიან ქრისტე ცეცხლში ჩააგდონ, რადგან იგი მათ გეგმებსა და ოცნებებს ანადგურებს. გეგმებს, რომლებსაც ისინი წლობით აწყობდნენ.

„შენ მოხვედი და გვასწავლი რელიგიას, რომელიც არაადამიანური და მძიმეა" — ეუბნება ინკვიზიტორი ქრისტეს, — „ჩვენ კი მრავალი საუკუნეა ვშრომობთ, რათა ადამიანური რელიგია შევქმნათ. და ახლა როდესაც გარკვეულ წარმატებას მივაღწიეთ, შენ მოხვედი,

რომ ხელი შეუშალო ჩვენს მრავალსაუკუნოვან მცდელობას. არ მოგცემთ ამის ნებას! ხვალვე გავცემ ბრძანებას, რომ დაგწვან, როგორც მწვალებელი.“

დიახ, ადამიანებს სურთ ქრისტე, რომელიც მხოლოდ ამ ცხოვრებაზე ისაუბრებს და არა მარადიულობაზე. ის ქრისტე, რომელიც ამქვეყნიურ სიამოვნებებს გაახანგრძლივებს და არა ის, რომელიც მარადიულ ნეტარებას გვიბოძებს. მათ არ სჭირდებათ მარადიულობის მეუფე, ისინი ამქვეყნიურ, ამჟამინდელ მეფეზე ოცნებობენ.

სწორედ ამიტომაა მათთვის სულერთი, თუ რა მდგომარეობაში იქნება ჭეშმარიტება იმ ათასობით კომპრომისის შემდეგ, რის შედეგადაც ე.წ. ქრისტიანული ეკლესიები გაერთიანდებიან. მათ არ აინტერესებთ არც ქრისტე, არც ჭეშმარიტება, არც სულიერი ცხოვრება. მათი ინტერესები მხოლოდ ამქვეყნიური ძალაუფლების მოპოვებისკენაა მიმართული, რომელსაც ეს გაერთიანებები მოიტანენ. მსოფლიოს მართვა ხომ მხოლოდ ერთი მსოფლმხედველობის გაბატონების პირობებშია შესაძლებელი.

ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ იუდეველებთან ერთად, რომელნიც თავიანთ მესიას მოელიან (რამეთუ არ მიიღეს ჭეშმარიტი მესია — ქრისტე), მრავალი „ქრისტიანიც“ იგივე მესიის მოლოდინშია, თუმც ამას ვერავინ ვერ აცნობიერებს. იუდეველთა მესია კი ნამდვილად მოვა, მაგრამ ის ანტიქრისტე იქნება. ის მოვა, მაგრამ მეტად მცირედნი თუ შეიცნობენ მას. მისი მოსვლა მრავალი საუკუნეა მზადდება და კაცობრიობა მასში თავის „მხსნელს“ დაინახავს. ადამის მოდგმა ჭეშმარიტებიდან განდგომილების ხანგრძლივმა პერიოდმა მოამზადა ანტიქრისტეს მისაღებად. მსოფლიოს ისტორიული განვითარება ანტიქრისტესკენ მიდის.

მსოფლიო კი მხოლოდ თავისი კეთილდღეობითა და უსაფრთხოებითაა დაკავებული. ეს კეთილდღეობა არ მოიცავს არაფერს წმიდას, სულიერს, მას მხოლოდ მატერიალური ინტერესები, პრაგმატული მიზნები გააჩნია. ნებისმიერი დისკუსია ჭეშმარიტების შესახებ უსარგებლო ლაყბობად განიხილება. ამიტომაცაა, რომ „ეკლესიათა“ გაერთიანება გარდაუვალი გახდა. უფრო მეტიც, სხვადასხვა რელიგიათა გაერთიანებაც კი მხოლოდ დროის საქმეა.

ანტიქრისტე თავის სამფლობელოში არ დაუშვებს უთანხმოებებს, არ დაუშვებს რელიგიათა სიმრავლეს და კამათს რელიგიურ საკითხებზე. იმ ადამიანთათვის „რომელთა სახელები არა დაწერილ არს წიგნსა მას ცხოვრებისასა“ (გამოცხ. 13,8) იარსებებს ერთი რელიგია, ანტიქრისტეს რელიგია (ეკუმენიზმი).

უკვე არსებობს ანტიქრისტეს რელიგიის რამოდენიმე წინამორბედი იდეოლოგია, რომელნიც მზად არიან სცნონ და აღიარონ ყველა არსებული რელიგია თუ აღმსარებლობა. ერთ-ერთი ასეთი რელიგიაა თავისუფალი მასონობა (ეკუმენიზმის მატრიცა). თავისი სინკრეტიზმით მას ძალუძს შეარიგოს და შეაერთოს ყველა არსებული რელიგიური წინააღმდეგობა, გადალახოს ყველა ბარიერი და სიძნელე საყოველთაო გაერთიანების გზაზე, რომელსაც კი წააწყდებიან „ეკლესიები“.

ამიტომაცაა, რომ თანამედროვეობის რელიგიურ ლიდერთა უმრავლესობა მასონთა რიგებში გაერთიანდა, რაც სულაც არ უშლის მათ ხელს ატარონ ანაფორები და აღასრულონ სხვადასხვა „ლიტურგიები“. მანამდე, სანამ მრევლი ჯერ კიდევ არ არის მზად, აუცილებელია ტრადიციული ფორმების შენარჩუნება. „ეკლესიათა“ შეერთებას კი რელიგიათა გაერთიანება მოჰყვება.

ეს გარეგნული გაერთიანება სავსებით რეალურია. ყველანი — პროტესტანტები, რომის კათოლიკენი, მართლმადიდებლები — განაცხადებენ, რომ ბოლოს და ბოლოს არსებობს ერთიანი ეკლესია და შესაძლებელია მოვიხსენიოთ რომის პაპი, პაპი კი მოიხსენიებს კონსტანტინოპოლის პატრიარქს, თუკი ყველანი თანახმანი არიან ერთიან „მინიმალურ ჯუმარიტებაზე“, ერთიან გამარტივებულ მრწამსზე. მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნული სისტემა იქნება, რომელსაც არანაირი კავშირი არ ექნება ქრისტეს წმიდა ეკლესიასთან, თუნდაც მისი გარეგნული მოწყობა ეკლესიის მსგავსი იყოს. „ღმერთი არა შეურაცხ-იქმნების“ (გალატ. 6;7). როდესაც ადამიანებში არ არის სურვილი და მზადყოფნა ღმრთის მათთან ყოფნისა, ღმერთი ადამიანებთან არ მიდის, იგი თავად განეშორება მათ.

ქრისტეს ეკლესია არასოდეს ყოფილა ადამიანური სისტემა. დისკუსიათა შედაგად ადამიანებს შეუძლიათ შექმნან რაიმე, რასაც „ეკლესიას“ დაუძახებენ. მაგრამ ეს ფაბრიკაცია უსიცოცხლო იქნება და

არაფერი ექნება საერთო ქრისტეს ეკლესიასთან. ეკლესია ამგვარი ფაბრიკაციისაგან სადღაც შორს იარსებებს. ჭეშმარიტებითა და სინათლით აღვსებული, სიცრუის ყოველგვარი კომპრომისებისაგან თავისუფალი, სული წმიდის მადლით მოსილი, იგი მტკიცედ და ურყევად იდგება „ჭეშმარიტების სისავსეში", ყოველგვარი რელიგიური ფაბრიკაციების მიღმა.

ჭეშმარიტი ქრისტიანები ცოტანი იქნებიან? ამას არა აქვს არავითარი მნიშვნელობა.

მოდით, ყველამ, ვისაც კი ნამდვილად გვწამს ღმერთი, შევწყვიტოთ საუბარი „ეკლესიათა" გაერთიანების შესახებ. ეკლესია არ სცნობს გაერთიანებას, რადგანაც იგი არასოდეს გაყოფილა. მას ცალკეული ადამიანები სტოვებენ მაშინაც კი, როდესაც ინარჩუნებენ მისი წევრობის გარეგნულ ნიშნებს. მოდით, ყველანი, ვისაც გვიყვარს ღმერთი, დავუბრუნდეთ ეკლესიას და თავი დავიმდაბლოთ, რადგან ვიწროა მისი ბჭენი და თავის მოდრეკაა საჭირო, რათა შევიდეთ მასში.

ჩვენ ისეთივე უნდობლობით უნდა ვიყოთ განწყობილნი ამა სოფლისადმი, როგორი ნდობაც და რწმენაც ეკლესიისადმი გაგვაჩნია, ისეთივე სიძულვილი უნდა გვქონდეს ამა სოფლისა (და არა კაცთა), როგორი სიყვარულითაც ვართ ეკლესიის მიმართ აღსავსე; ისეთივე პესიმიზმით უნდა ვიყოთ განსჭვალული მსოფლიოს მომავლის მიმართ, როგორი ოპტიმიზმიც ეკლესიის შესახებ გაგვაჩნია.

ადამიანები თავად აკეთებენ არჩევანს, მრავალი ადამიანი ნებაყოფლობით დგება ღმრთის მტერთა რიგებში. უხორცო ძალთა მსგავსად ადამიანებიც ორ ბანაკად იყოფიან: ღმრთის მეგობრებად და ღმრთის მტრებად. ადამიანის თავისუფალი არჩევანი მჟღავნდება მისი ცხოვრების ზოგად მიმართულებაში და არა ცალკეულ ცხოვრებისეულ დეტალებში.

დეტალები ხშირად გვატყუებენ. ისინი ფარისევლებსა და მწიგნობრებს ღმერთის მეგობრებად წარმოგვიდგენენ, ხოლო ავაზაკს, მეძავს, მეზვრეს, სავლეს — ღმრთის მტრებად. ძნელია თვალთმაქცობის ნიღბის ქვეშ ღმრთის ჭეშმარიტი მტრებისა და ჭეშმარიტი მეგობრების შეცნობა.

დრო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, თვალთმაქცობის არნახული აყვავების ეპოქად შეიძლება ჩაითვალოს. თვალთმაქცობისა და მოჩვენებითობის ნიღბები სრულყოფილების საზომს მიაღწევს. მრავალი მოტყუვდა და ტყუვდება მათ მიერ, ვინც ღვთისმოსაობის ნიღბებს ატარებს, ხოლო სინამდვილეში — მტერია ღმრთისა.

ასეთები არიან ისინი, ვინც ეკლესიათა დიალოგზე და გაერთიანებაზე საუბრობენ. ისინი, ვინც თვალს ხუჭავენ სარწმუნოებრივ კომპრომისზე, ამართლებენ მას. მათ შეიძლება სახარებაში ნახსენები ცრუწინასწარმეტყველნი ეწოდოთ.

ათეისტები, მატერიალისტები, კომუნისტები — ღმრთის უნიღბო მტრები არიან, მათ არ შეუძლიათ ვინმეს მოტყუება. სხეულის ჯალათებს არ ძალუძთ სულის მოკვდინება. მაგრამ სხვანი — „მართლმადიდებელი" პატრიარქები, ეპისკოპოსები, მღვდლები, პროფესორ-თეოლოგები — ყველანი, ვინც კი თვალთმაქცური სიყვარულით მწვალებლებს ძმობასა და ერთობას ეფიცებიან, სულთა ნიღბიანი ჯალათები არიან. ამიტომაც მართებს ქრისტიანებს მათთან დაუნდობელი ბრძოლა.

ეშმაკი ყოველთვის როდი მოქმედებს, როგორც ბოროტი ძალა; ხშირად იგი ნათლის ანგელოზის სახეს ღებულობს და ქრისტიანობასაც კი ქადაგებს, მაგრამ ოდნავ განსხვავებულს მართლმადიდებლობისაგან. ამ ხერხით მის ბადეებში უფრო მეტი ქრისტიანი გაება, ვიდრე ის ამას ათეისტთა მთელი არმიის ანდა დიოკლეტიანეს ლეგიონებით აღწევდა.

ის ცილს სწამებს მორწმუნეებს, ეძახის რა მათ არაშემწყნარებლებს, გონებადახშულებს, ფანატიკოსებს, ასოკირკიტებს. ეს არის ეკლესიის ყველაზე უფრო საშინელი დევნა, რადგანაც თანამედროვე ადამიანებს ყველაზე მეტად საკუთარი რეპუტაციის შელახვის, საზოგადოებაში თავის მოჭრის ეშინიათ. მცირედნი თუ შეძლებენ ფანატიკოსის, გონებაშეზღუდულის სახელის ტარებას. მაგრამ ჩვენს დროში, გარდაუვალია ჭეშმარიტ ქრისტიანს შეშლილი და უგუნური არ დაუძახოს ამ სოფელმა. იშვიათად თუ ეყოფა ვინმეს სიმამაცე მტკიცედ დადგეს ჭეშმარიტების მხარეს, ეს დღეს მოწამეობის ტოლფასია.

ამიტომაცაა, რომ ადამიანთა უმრავლესობა კომპრომისების იოლ გზას ირჩევს, შემდგომ კი ჯიუტად იცავს და გაშმაგებულ პროპაგანდას უწევს მას.

წარმართებს არ სძულდათ არასოდეს ისე ქრისტიანები, როგორც დღეს ისინი „ქრისტიანულ სამყაროს“ სძულს. გარეგნული შემწყნარებლობა მოჩვენებითია. ეს სოფელი მხოლოდ იმ „ქრისტიანებს“ სწყალობს, რომლებიც მას ფეხდაფეხ მისდევენ, და ცდილობენ არ ჩამორჩნენ დროს. მათ კი, ვინც მართალ სარწმუნოებას არ ღალატობს, მსოფლიო ვერ იტანს. მაგრამ ამა სოფლის სიძულვილი ხომ სწორედ ის კრიტერიუმია, რომლითაც ვსაზღვრავთ — ჭეშმარიტად ქრისტეს გზას ვადგავართ თუ არა.

მნიშვნელოვანია ქრისტიანებმა იცოდნენ, რომ ეკლესიის იერარქიული საფუძველი სულიერია და არა ადმინისტრაციული; მაშინ ისინი აღარ დაიტანჯებიან ევროპელებივით, რომლებიც ბრმად მიჰყვებოდნენ პაპს ყოველგვარ ცდომილებაში. მათ ეგონათ, რომ თუ პაპს არ დაუჯერებდნენ, ავტომატურად ეკლესიის გარეთ აღმოჩნდებოდნენ (როგორ წააგავს ყოველივე ეს „მართლმადიდებელთა“ დიდი ნაწილის დღევანდელ მდგომარეობას).

დღეს პატრიარქებისა და ეპისკოპოსების უმრავლესობა პოლიტიკური ძალების ზეგავლენას განიცდის. მაგ. აშკარაა მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარება საბჭოთა ხელისუფლებისადმი. კონსტანტინეპოლი პრო-ამერიკული პოლიტიკის ზეგავლენის ქვეშაა. ოფიციალური ეკლესიები სათამაშოდ ქცეულან ამა ქვეყნის ძლიერთა ხელში.

ნუთუ მართლმადიდებლები ვალდებულნი არიან მუდმივად ამ დამონებული საპატრიარქოების ერთგულნი იყვნენ? ისტორიული დამსახურებანი ვერანაირად ვერ გაამართლებენ კაპიტულანტური ერთობის ძიებას მწვალებლებთან. ერთ დროს რომსაც ეჭირა უპირველესი ადგილი საქრისტიანოში, მაგრამ ეს ფაქტი ვერ აიძულებდა ქრისტიანებს მწვალებლობის გზაზე გაჰყოლოდნენ მას. ეკლესიათა ევქარისტიულ ერთობას მაშინ აქვს არსებობის უფლება, როდესაც ეს ერთობა დაფუძნებულია სულზე და ჭეშმარიტებაზე ანუ როდესაც „ეკლესიები“ რჩებიან ქრისტეს ეკლესიაში.

მაშინ, როცა საპატრიარქოები მწვალებლებთან ერთობის გამო აღარ შეადგენენ ქრისტეს წმიდა ეკლესიას, ამ საპატრიარქოთა ერთგულება დამღუპველია.

მართლმადიდებლებმა უნდა იცოდნენ, რომ ისინი არ არიან ვალდებულნი დაემორჩილონ ეპისკოპოსს, რომელიც სიტყვით და საქმით მართლმადიდებელი აღარაა, რაც არ უნდა ტიტულოვანი ტახტიც არ ჰქონდეს მას დაკავებული. მით უმეტეს, როდესაც ამგვარი ცრუეპისკოპოსნი ყველასთვის აშკარა შეთანხმებებზე მიდიან მწვალებლებთან, აღიარებენ რა მათ რიტუალებს მადლმოსილად, მათ დამახინჯებულ სარწმუნოებას კი სამოციქულო მოძღვრებად.

ეპისკოპოსი უმაღლესი, უმთავრესი წოდებაა ეკლესიაში. იგი აშკარა ცოდვილიც რომ იყოს, ქრისტიანი ვალდებულია მას სათანადო პატივი მიაგოს, დაემორჩილოს საკრებო განჩინებამდე. მაგრამ თუ იგი მწვალებლობის ქადაგებას იწყებს, ანდა რელიგიურ ურთიერთობაში შედის მწვალებლებთან, მაშინ ქრისტიანი არ უნდა ელოდოს საკრებო განჩინებას, არამედ ამგვარ ეპისკოპოსს დაუყოვნებლივ უნდა განეშორს. ამას გვასწავლიან საეკლესიო კანონები.

ახალი იერუსალიმი

მცირე სამწყსო, რომელიც ჭეშმარიტ მართლმადიდებელ ეკლესიაში დარჩება, ანტიქრისტეს საზოგადოებაში საცთურების ლოდად, სატანურ ჰარმონიაში ერთადერთ დისონანსად იქცევა. ქრისტიანებისათვის უდიდესი მწუხარების დღეები დადგება: „და იყვენ თქვენ მოძულებულ ყოველთაგან სახელისა ჩემისათვის“. ეს იქნება მოწამეობის ახალი ეპოქა, მოწამეობა უმეტესწილად სულიერი, ვიდრე ხორციელი. უზარმაზარ მსოფლიო სახელმწიფოში მართლმადიდებლები მხოლოდ „იზგოები“ იქნებიან. „და ჰქმნას ყოველთა, რომელთა არა თაყუანის-ჰსცენ ხატსა მხეცისასა, რათა მოიკლნენ“ (გამოცხ. 13;15). „მაშინ მიგცემენ თქვენ ტანჯვად და მოგკლავენ თქვენ“. „რამეთუ გარდამოხდა ეშმაკი თქუენდა მომართ სავსე გულის-წყრომითა დიდ-

ითა, რამეთუ უწყის, ვითარმედ მცირედი ჟამი უც მას“ (გამოცხ. 12;12). „ხოლო რომელმან დაითმინოს სრულიად, იგი ჰსცხოვნდეს“ (მათ. 10;22). მაგრამ რჩეულთათვის ეს დღენი შემცირდებიან.

დაე ურწმუნოებმა დაგვციონ, დაე ყველას ვეცოდებოდეთ. ქრისტიანები ამ სოფლისათვის როდი ცხოვრობენ. ისინი არასოდეს არ აღიქვამდნენ მას, როგორც ჭეშმარიტ მამულს, ეს სოფელი მათთვის მუდამ ლტოლვილის დროებითი თავშესაფარი იყო. ისინი არ ამკობენ და ამშვენებენ მას, რადგან ამქვეყნად მუდმივად ყოფნას არ აპირებენ. ისინი დედამიწაზე დევნილთა ნოსტალგიით ცხოვრობენ, დაკარგული სამოთხის ნოსტალგიით, ნამდვილი სამშობლოს ნოსტალგიით. ისინი მიწაზე იბადებიან, მაგრამ ჭეშმარიტი მამული მათ გულებში ცოცხლობს, მათ ესმით მისი ძახილი. ისინი დღენიადაგ ზეციური საყვირის ხმას ელიან, როდესაც მათ უფლის წინაშე მოუწევთ წარდგომა. ელიან ჟამს, როდესაც შემოქმედს წარუდგენენ მის ხატებასა და მსგავსებას.

მოვუსმინოთ ჩვენს წმიდა მამებს: „ქრისტიანები მგზავრები არიან ამ სოფელში“. (წმ. მაკარი დიდი). „ქრისტიანი განგდებული, მოძულებული, დაწუნებულია ამ სოფელში, სხვა ადამიანებისაგან ის შემუსვრილი გულით, მწუხარე გონებით განსხვავდება“ (წმ. ისააკ ასური). „ქრისტიანები ცდილობენ გარეგნულად არ გამოირჩეოდნენ სხვებისაგან, რათა არ ჩანდნენ განსაკუთრებულნი და სხვებზე აღმატებულნი. მაგრამ ისინი ყოველთვის დაჩაგრულნი და გარიყულნი არიან სხვებთან შედარებით“ (წმ. მაკარი დიდი).

თქვენ ამბობთ, რომ ჩვენი რელიგია ნარკოტიკია; თქვენ მართალს ბრძანებთ. თქვენ ვისაც არანაირი გამოცდილება არა გაქვთ ღმრთის თქვენდამი სიახლოვის განცდისა, ვისი გულებიც არასოდეს აძგერებულა საღმრთო მადლის შეხებით, ვის თვალებსაც არასოდეს დაუღვრია საღმრთო სიყვარულის ცრემლი, ვისაც მიწიერი ჰორიზონტის იქით არაფერი უხილავს, რა თქმა უნდა ბუნებრივია, რომ რელიგია, რომელიც ამ სოფელს უარყოფს, ნარკოტიკად მოეჩვენოს.

ჭეშმარიტად, თუკი ქრისტე არ აღსდგა მკვდრეთით, მაშინ ჩვენ მართლაც სრული არარაობანი ვართ. მაგრამ ქრისტე აღსდგა და ყოველი სული ქრისტიანი ცხოვრობს ამ აღდგომით. ბუნებრივია,

ვისაც ამ აღდგომით არ უცხოვრია, მისთვის ქრისტიანობა მართლაც სასაცილოა.

იცინეთ, ბატონებო, ნებას გაძლევთ. მაგრამ სახარების დამახინჯების, ჩვენი სარწმუნოების დამახინჯების, მისი თქვენი მიზნების სამსახურში ჩაყენების უფლებასა და ნებას არასოდეს მოგცემთ. არც ჩვენი რელიგიის გამიწიერებისა და სეკულარიზაციის ნებას მოგცემთ. „სახარება ზეციური და არა მიწიერი საგნების შესახებ საუბრობს" (წმ. იოანე ოქროპირი).

ქრისტიანობა არ იღწვის ამქვეყნიური მიწიერი სამეფოს, ქალაქის ასაშენებლად. მას არაფერი აქვს საერთო ცივილიზაციებთან და მსოფლიო სისტემებთან. საერთო არაფერი აქვს ცეზართან, ცეზარო-პაპისტებთან. ხრწნადია ყველა მიზანი და მისწრაფება ამა სოფლისა. ქრისტიანები ფიქრობენ, ცხოვრობენ და მოქმედებენ უხრწნელობისთვის, მარადიულობისთვის.

ისინი, ვინც ქრისტიანული „ეკლესიების" გაერთიანებას ცდილობენ, ურწმუნო ხალხია, მათ არ სწამთ ეკლესიის, არ სწამთ ქრისტესი. მათი მიზანი — ამქვეყნიური ქალაქის შენებაა, რომელშიც თავს ყველა ადამიანს მოუყრიან, რომელსაც ყველას და ყველაფერს დაუმორჩილებენ.

სინამდვილეში ქრისტიანთა გაერთიანების საკითხი საერთოდ არ დგას. ჭეშმარიტი ქრისტიანები მუდამ იყვნენ, არიან და იქნებიან გაერთიანებულნი. ისინი ერთი მწყემსის ერთი სამწყსო იყვნენ და ყოველთვის იქნებიან. ქრისტეს ეკლესია ერთია, მასში ყველას უხმობენ, მაგრამ მცირედნი არიან მისი შვილნი.

ქალაქს, რომელიც ღმერთის მეგობრებისთვისაა განმზადებული, ამ სოფელთან არაფერი აქვს საერთო. ის მარადიულია, ხელთუქმნელია და არაამქვეყნიური.

„და ვიხილე ცა ახალი და ქვეყანა ახალი; რამეთუ პირველი იგი ცა და პირველი იგი ქუეყანა წარხდეს; ... და ვიხილე ქალაქი იგი წმიდა იერუსალიმი ახალი, გარდამომავალი ზეცით ღმრთისაგან; ... და მესმა ხმა დიდი ზეცით, რომელი იტყოდა: აჰა, სამკვიდრებელი ღმრთისა კაცთა თანა, დაიმკვიდროს მათთანა; და იყუნენ ერ მისსა, და იგი ღმერთი მკვიდრ იყოს მათ შორის ღმრთად მისსა. და აღხო-

ცოს ღმერთმან ყოველი ცრემლი თუალთაგან მათთა, და სიკუდილი არღარა იყოს მერმე; და არცა გლოვა, არცა ღაღადება, არცა ტკივილი არღარა იყოს მერმე; რამეთუ პირველნი იგი წარხდეს. და მრქუა მჯდომარემან მან საყდარსა ზედა: აჰა, ესერა, ყოველსავე ახალ ვჰყოფ; ... მე ვარ ანი და ჰოე, დასაბამი და აღსასრული; ... და იხილონ პირი მისი, და სახელი მისი შუბლთა ზედა მათთა. და ღამე არა იყოს მუნ; და არა სახმარ იყოს ნათელი მზისა; რამეთუ უფალმან ღმერთმან განანთლნეს იგინი; და სუფევდნენ უკუნითი უკუნისამდე" (გამოცხ. 21,22).



წმ. მიტროპოლიტი ფილარეტ[1] აღმსარებელი

ჭეშმარიტების ერთგულება

მინდა ორიოდე სიტყვა გითხრათ იმ ახალი საცთურის შესახებ, დღეს ყველგან ფართო ნაკადად რომ მოედინება. ესაა ე.წ. ეკუმენიზმი, რომლითაც კაცობრიობას გაერთიანებისკენ მოუწოდებენ, მათივე თქმით, „ჭეშმარიტი ქრისტეს ეკლესიის“ შესაქმნელად. თითოეულ აღმსარებლობას სთავაზობენ აღიაროს, რომ მათ სარწმუნოებაში მხოლოდ ჭეშმარიტების ნაწილიღა შემორჩენილა, მათი სარწმუნოება მთლიანობაში კი არაა ჭეშმარიტი, არამედ მხოლოდ მისი რაღაც ნაწილი... დანარჩენი კი შეცთომილებაა. რომელი მართლმადიდებელი შეიძლება დაეთანხმოს, რომ მისი წმიდათაწმიდა მართლმადიდებელი სარწმუნოება მთლად სრულყოფილი არაა? მეტისმეტად მოქნილი გაუხდათ დღეს ადამიანებს სინდისი, ბევრ ისეთ რამესაც უკრავენ კვერს, რაც არასგზით არ შეიძლება მიიღოს ქრისტიანულმა სინდისმა... ჩვენმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ იცის, რომ იგი ჭეშმარიტებაში ჰგიებს... ამიტომაც მე და თქვენ იქ არაფერი გვესაქმება, სადაც ეკუმენიზმზე საუბრობენ... დღეს ხშირია ამქვეყნიური მოსაზრებებისა და ინტერესების წყალობით სარწმუნოების ღალატი, ღალატი მიწიერი კეთილდღეობის საძიებლად. კი მაგრამ... რასაც არ უნდა ეძიებდეს კაცი, რისკენაც არ უნდა ილტვოდეს, სიკვდილი ხომ მაინც ყველაფერს წერტილს დაუსვამს, და მერმე, სიკვდილის შემდგომ — გველოდება პასუხისგება ღვთიური სიმართლის წინაშე... უერთ-

1. წმ. ფილარეტ აღმსარებელი (ვოზნესენსკი) — რ.ს.მ.ე. — პირველიერარქი (+1985 წ.) მის უხრწნელი, კეთილსურნელოვანი ნაწილები ჯორდანვილის წმ. სამების მონასტერშია დაკრძალული.

გულე კი უფალს, ეკლესიის ღმრთაებრივ დამაარსებელს, მის წმიდათაწმიდა ეკლესიას, მის სიმართლეს? და თუ ამ ერთგულებას დავიმარხავთ, კურთხეული იქნება ჩვენი ხვედრი მარადისობაში, და თუ არა — მაშინ ვაი ჩვენ და ურვა დაუსრულებელი. ისიც გვახსოვდეს, როგორი არამდგრადია კაცი სიკეთის ქმნაში, და ამიტომაც ვეეედროთ უფალს, თავად განგვამტკიცოს ჭეშმარიტების სიწმინდის დაცვაში თავისი ყოვლისშემძლე ძალით, განგვამყაროს სიკეთეში, რომ არანაირმა თანამედროვე საცთურმა არ შეგვიტყუოს... რათა ჩვენ არა მხოლოდ გვეწოდებოდეს, არამედ ვიყოთ კიდეც ნამდვილი მართლმადიდებელი ქრისტიანები. ამინ!

ჩვენი დრო განსაკუთრებით გამოირჩევა საშინელი მორალური, ზნეობრივი და საერთოდ ყოველი სახის გახრწნილებით. ახლა ქრისტიანს განსაკუთრებით მართებს იმის დამახსოვრება, რომ მთელი ამ სიბინძურის, გახრწნილების და აუწერელი აღვირახსნილობის ტალახით რომ არ შეილახოს, დღეს ჩვენს თვალწინ რომ ვხედავთ, და ამ მწიკვლით არ დასნებოვნდეს, იგი მტკიცედ უნდა იდგეს საეკლესიო დოგმატების, ეკლესიისა და წმიდა მამათა ნაბოძებ წმიდათაწმიდა საეკლესიო წესდებისა და კანონების მყარ საფუძველზე. და თუკი ეს საფუძველი არ არსებობს, მაშინ კაცი ნუ იმედოვნებს, რომ დაუდგება ამ ნაკადს. ეს აღვირახსნილობა, ეს გახრწნილობა, ეს გაუგონარი მყრალი სიბილწე, ტალღებად რომ ეხეთქება დღევანდელ ცხოვრებას, უცილობლად მოიტაცებს და დაიმორჩილებს იმ სულებს, რომლებშიც არ კიაფობს ჭეშმარიტი ეკლესიურობის შუქი და კეთილსურნელება.

აი, ეს უნდა გვახსოვდეს განსაკუთრებულად. ოდესღაც პეტრე მოციქული ეუბნებოდა ქრისტიანებს... „ეკრძალენით ნათესავსა ამას გულარძნილსა“... მაგრამ მაშინ ეს „გულარძნილი ნათესავი“ წარმართული სამყარო იყო. ახლანდელი დრო კი მეტისმეტად საშიში და სარიდოა. ახლა უკვე ქრისტიანული სამყარო განიხრწნა. მას უკვე აღარაფერი დარჩა საქადაგებელი, განსანათლებელი, იგი მფლობელია ქრისტეს ჭეშმარიტებისა, რომელიც უკვე გათელა თავისი ცხოვრებით, თავისი გულგრილობითა და სიცივით, ზოგჯერ კი მისი შეგნებული უარყოფითაც კი. და ამიტომაცაა, რომ ცხონების მოსურნემ

„განირინოს სული თვისი“ — ასე ამბობდნენ ბოლო დროის მოღვაწენი.

აი, რატომ გვმართებს მთელი ძალისხმევით იმაზე ზრუნვა, რომ წმიდა საეკლესიო კანონებით, განჩინებებითა და სწავლებით შემოვიზღუდოთ, რომ გადავურჩეთ ამ განმხრწნელ სნეულებას.

დღეს გარშემო ყველგან ვრცელდება ე. წ. ეკუმენიზმის სენი, რომლის პლატფორმაზეც დიდი მონდომებით დგება ყველა, ვისაც მოქნილი ზურგი და მოქნილი სინდისი გააჩნია... პრინციპულ ღალატს ყოველთვის პრაქტიკული ღალატი მოსდევს. აიღეთ, მაგალითად მოდერნიზმი, რომელიც დღევანდელ დღეს საეკლესიო ცხოვრებაში ინერგება. ნუთუ ვერ ვხედავთ, რომ ველარც კი იცნობ, ისე სხვაფერდება და იფიტება თვით ჩვენი ღვთისმსახურება, და საერთოდ, მთელი შინაარსი ჩვენი საეკლესიო ცხოვრებისა? როცა წმინდა ტრადიციები... უკვე დრომოჭმულად აღიქმება, რომელსაც ანგარიშიც კი აღარ უნდა გაეწიოს. თქვენც კარგად გახსოვთ, რამოდენა შფოთი და განსაცდელი გამოიწვია იმან, რომ აქ, ამერიკაში, ჩვენს ეკლესიას განშორებულებმა თავიანთი ე.წ. „ავტოკეფალია“ გამოაცხადეს. სამწუხარო ისაა, რომ რეაქცია ამ წითელ ავტოკეფალიაზე ისეთი ნამდვილად არ ყოფილა, როგორიც საჭირო იყო. თითქოს ასე ჩანდა, რომ სამრევლოებიც და რუსი მართლმადიდებლებიც მასობრივად უნდა გარიდებოდნენ ამ სენს. მაგრამ ჯერჯერობით ამას ვერ ვხედავთ. მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილმა თუ შეაქცია ზურგი. სწორედ ეს ფაქტი გვიჩვენებს, თუ როგორ გაძნელდა დღეს მართლმადიდებლობის დაცვა და როგორი ძნიადსატვირთველი გახდა გზა საზღვარგარეთის რუსული ეკლესიისა, რომელმაც თავის წმიდათაწმიდა ამოცანად დაისახა წმიდა მამათა ყველა გარდამოცემისა და ჩვენი ეკლესიის კეთილი, მართლმადიდებელი ტრადიციების დამარხვა.

ჩვენ კარგად ვუწყით, რომ სადაც სიმართლეა, იქაა ღმერთიც. და თუკი ჩვენ ვეცდებით არ ვუღალატოთ სიმართლეს და ჭეშმარიტებას, მაშინ უფალი არ დაგვივიწყებს და არ დაგვიტევებს.

ეკლესია არასოდეს არავის წყევლის... ეკლესიის მიერ წარმოთქმული ანათემა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს წყევლად, ანუ ადამიანის თავს ღვთის რისხვის დატეხვის მოწოდებად. ანათემა

მხოლოდ ეკლესიიდან განკვეთს იმას, ვინც ფაქტობრივად უკვე აღარაა მისი წევრი... ეკლესიაში ჰგიებს და მის წევრად მიიჩნევა მხოლოდ ის, ვინც მისი ერთგულია.

მოციქული პავლე ამბობს: „არამედ დაღაცთუ ჩუენ, გინა თუ ანგელოზი ზეცით გახარებდეს თქუენ გარეშე მისსა, რომელი იგი გახარე თქუენ, შეჩუენებულ იყავნ". სწორედ ამიტომაც წარმოთქვამს ეკლესია ანათემას.

ოდესღაც წარმოიშვა კამათი თაბორის ნათლის თაობაზე. იყო თუ არა ეს დაუსაბამო, მარადიული ნათელი მარადიული და დაუსაბამო ღვთისა, თუ ეს იყო ძალზე ელვარე, კაშკაშა, მაგრამ მაინც ჩვეულებრივი მიწიერი სინათლე... ღმერთი არის ნათელი უქმნელი და მარადიული. მართალია შეცთომილები ჯიუტად ამტკიცებდნენ თავისას, მაგრამ ამ საღვთისმეტყველო კამათში საბოლოო გამარჯვება მოიპოვა წმიდა გრიგოლ პალამამ. ცრუ სწავლება დაიძლია და გაქრა.

შეიძლება თქვან — ანდა ალბათ მაშინვე ამბობდნენ, მით უმეტეს ახლა, როცა სულიერი ინტერესები და ფასეულობები ასრერიგად დაშორდა ცხოვრების მდინარებას, შეიძლება თქვან, რომ ეს მხოლოდ განყენებული საღვთისმეტყველო კამათი იყოო, სქოლასტიკური და არა ცხოვრებისეული. ამგვარად მოაზროვნეები მხოლოდ იმაზე მიგვითითებენ, თუ როგორ დასცილებიან სულიერ სამყაროს.

მართალია, ჩვენი ცხოვრება ისეთია, რომ ჩვენი სარწმუნოების საღვთისმეტყველო ჭეშმარიტებანი, ძირითადი დოგმატური ჭეშმარიტებანი, შესაძლოა, აღიარებული და მიღებულია, მაგრამ თითქოსდა ცხოვრებაში არ აისახება. ჩვეულებრივ ადამიანები ბევრად უფრო მძაფრად განიცდიან, როცა ეს ხელითქმნილი ნათელი ჩაუქრებათ, რადგანაც ეს დარტყმა მათ პრაქტიკულ ცხოვრებას ეხება, მის კეთილმოწყობას. ხოლო როცა ადამიანები სულიერი საკითხების შესახებ მსჯელობისას ამბობენ, რომ „ეს არაცხოვრებისეულია", ამით მხოლოდ იმას ამტკიცებენ, რომ არ ძალუძთ სულიერ ფასეულობათა სამყაროში ცხოვრება.

მაგრამ საუბედუროდ კაცს ხშირად ისეთი რამ მოსდის, რასაც წმიდა წერილი გვაფრთხილებს. ის ხუჭავს თვალებს და იცობს

ყურებს, რათა არ დაინახოს და არ მოისმინოს. როცა სულიერ ფასეულობათა, სულიერი ნათლის წინაშე აღმოჩნდება, არა მარტო გულგრილობით პასუხობს, ხშირად თავისივე ნებით ზურგს აქცევს მას, რათა არ დაინახოს და არ გაიგონოს ის, რაც დასანახი და გასაგონია. ადამიანი მისგან გარემიიქცევა, რადგანაც სულ სხვა ინტერესებით ცხოვრობს.

ქრისტეს ნათელი კი ანათებს და მუდამ ინათებს... ეს ნათელი ყოველთვის ხილული იქნება თითოეული ქრისტიანის სულისათვის, რომელმაც თავისი თავი არ განარიდა მას.

ჭეშმარიტებისადმი გულგრილობა ერთერთი ყველაზე დიდი განსაცდელია ამ განდგომილი საუკუნისა. გაუფრთხილდი ჭეშმარიტებას, ადამიანო! იყავ ჭეშმარიტებისათვის მებრძოლი... ადამიანო, ცხოვრებაში ყველაზე მაღლა ჭეშმარიტება დააყენე და არასგზით არ მისცე თავს უფლება, ოდნავ მაინც გადაუხვიო ამ გზიდან.

მართალია, ყველანი ცოდვილები ვართ და უძლურების გამო ხშირად ვეცემით, მაგრამ ერთია — უძლურებით გამოწვეული დაცემა, და სხვა საქმეა — გულგრილობა ჭეშმარიტებისადმი, მისგან შეგნებული განშორება. დაე ნურასოდეს გვეწიოს ამგვარი რამ!

ვლოცულობთ: „ნათელი შენი მარადიული გამოგვიცხადე ჩვენ ცოდვილთა ლოცვითა ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობლისათა“.

როგორი სულიერი სიბნელე ჩამოწოლილა დღეს ქვეყნიერებაზე! სულ უფრო და უფრო მუქდება, იმღვრევა... სულიერი ნათელი კაცობრიობის უმეტესობისათვის უკვე ძლივსღა ბჟუტავს, ცოტაც და მთლად ჩაიშრიტება. ამიტომაც გვჭირდება ლოცვა, რათა კვლავაც აღენთოს ჩვენთვის ის მარადიული ნათელი, მოციქულებმა რომ იხილეს თაბორის მთაზე.

უფალი მთაზე ავიდა სალოცავად და ლოცვისას ფერი იცვალა... სწორედ ამ სულიერ ნათელს, მარადიულ ნათელს ძალუძს ჩვენი გაცისკროვნება წრფელი ლოცვის ჟამს. ამიტომ ადამიანს, ცოტას ილოცებს თუ ბევრს, ლოცვის წუთები უნდა მიაჩნდეს ცხოვრებაში უმნიშვნელოვანეს წუთებად, რადგანაც ამ დროის განმავლობაში იგი ღმრთის წინაშე დგას და ღმერთს ესაუბრება.

წმ. იოანე ოქროპირი ამბობს, რომ როცა ქრისტეს ჭეშმარიტება

იქადაგება, ბოროტ სულს ამის გამოცხადება სულაც არ ეკალება. ღმრთისაგან განკვეთილის მოწმობა, მისი აღიარება არ მიიღება. ასე ხდება ცხოვრებაშიც. როცა ადამიანი უსამართლო მიზნით ღაღადებს სიმართლეს, ჭეშმარიტი ქრისტიანი მას არასოდეს არ უნდა მიენდოს და ერწმუნოს.

აიღეთ, მაგ. ჩვენი ბედკრული ქვეყანა. როცა ახლა იქ უბედური ე.წ. საბჭოთა იერარქია ღმერთზე საუბრობს, ბევრ კარგსაც ამბობს, თითქოსდა ეს ყველაფერი წმიდაწყლის სიმართლეა. მაგრამ როდესაც საბჭოთა იერარქები იმაზე იწყებენ ლაპარაკს, რომ თითქოს არავითარი დევნულება არ ყოფილიყოს და ეკლესია იქ კეთილდღეობაში იმყოფებოდეს... ეს კი უკვე მტკნარი სიცრუეა, ეს პირდაპირი ტყუილია, რომელიც უკვე ეკლესიის საკურთხეველებში შეიპარა...

მოდი ნუ განვიკითხავთ ამ უბედურ სულებს, რომლებიც ისეთ პირობებში ცხოვრობენ, არასოდეს არსად რომ არ ჩავარდნილა მართლმადიდებელი ეკლესია და ასეთ საშინელ, ვერაგ, ბოროტ და უგვან ხელისუფლებას, როგორიც საბჭოთა რუსეთშია, ჯერ არ უბატონია დედამიწის ზურგზე...

სამსჯავრო მხოლოდ ღმრთის ხელშია. მაგრამ ჩვენს სამწყსოს ჩვენ ვაფრთხილებთ და ვალდებულნიც ვართ გავაფრთხილოთ, რომ ეს უბედურნი იძულებით ტყუიან.

წმინდაწყლის სატანურ ხელისუფლებას განადიდებენ დღევანდელი საბჭოთა იერარქიის სულიერი წინამძღოლნი და ყველგან ამტკიცებენ, რომ არავითარი დევნა და შევიწროვება არ ყოფილაო, თითქოს იქ არც ასობით დევნილი იერარქი არსებულიყოს, არც ათასობით დევნილი მღვდელმსახური და მართლმადიდებელი ერისკაცი.

ეს მაგალითი ცხადად გვიჩვენებს, თუ როგორი საშინელია სიცრუე, როცა იგი ეკლესიაში შეაღწევს, ტაძრის ამბიონებზე და საკურთხეველში შეიპარება. გვახსოვდეს, რომ ქრისტანი ტყუილს ყოველთვის უნდა უფრთხოდეს!

რუსული ემიგრანტული ეკლესია მსოფლიოში და მართლმადიდებელ გარემოშიც კი საკმაოდ მარტოსულია. მოყვარე ცოტა გვყავს, მტერი კი ბევრი. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ჩვენი ეკლესია მამხილებლად ეკლინება მათ, თავს რომ მართლმადიდებლებად

თვლიან, მაგრამ თანამედროვე სულისკვეთებას დამონებიან მოდერნიზმისა და ეკუმენიზმის ყველა მომწამვლელი, სულიერად ცრუ საწყისებითურთ — მამხილებლად ევლინება, რადგან იცავს იმას, რაც უძველესი დროიდან გადმოგვეცა, მოციქულთაგან, მსოფლიო კრებათა და წმიდა მამათაგან გვეუწყა... ადგილობრივი ეკლესიები, რომლებსაც მოსკოვის საპატრიარქოსთან აქვთ კავშირი, ოფიციალურად გვსაყვედურობენ, რომ ჩვენ „განხეთქილების მოქმედნი" ვართ და „დედა ეკლესიას" უნდა დავუბრუნდეთ...

დაე, ნუ შეშფოთდება თქვენი გულები, ჩვენი ეკლესიის სამწყსოვ!.. თქვენ იცით, საითკენ უნდა ჰქონდეს გეზი აღებული ქრისტიანს და მთელ ეკლესიას — იგი უნდა მიისწრაფვოდეს იქითკენ, საითაც მიუთითეს წმიდა აღდგომის კანონში. სიკვდილიდან სიცოცხლისაკენ, მიწიდან ცისაკენ!

როცა სრულიად რუსეთის საეკლესიო კრებაზე პატრიარქს ირჩევდნენ, ღმრთის ნება კრებამ წილისყრით შეიტყო... რა თქმა უნდა, ახლა მოსკოვში ასეთი რამ არ მომხდარა, როცა საბჭოთა იერარქებმა თავიანთი პატრიარქი „აირჩიეს", რადგან (ჩემი ევროპაში ყოფნისას) როცა არქიეპისკოპოსები მოსკოვში ადგილობრივ კრებაზე მიემგზავრებოდნენ, სიცილით ამბობდნენ: „იმ პატრიარქის ასარჩევად მივდივართ, რომელიც უკვე დანიშნა უღმერთო ხელისუფლებამ".

ბოლო წლებში საფრანგეთში მომიწია ყოფნამ, კერძოდ — პარიზში, სადაც უკვე დიდი ხანია დაფუძნდა პარიზის ეგზარქატი, იგივე მოდერნისტული და უდიერი ევლოგიანური განხეთქილება... ბევრი რუსი მართლმადიდებელი ერთნაირად დადის როგორც ჩვენი ეკლესიის ტაძრებში, ასევე ევლოგიანთა სალოცავებში, და მარტო დადიან კი არა, მარხულობენ და ეზიარებიან კიდეც იქ. როცა შეეკითხები, რატომ იქცევით ასეო, გპასუხობენ: „როგორ, განა სულერთი არაა? მსახურება ორივეგან ერთნაირია, რატომ არ უნდა ვიარო იქ და აუცილებლად ჩვენს ეკლესიაში მოვიდე?"

როცა მოციქული ანტიქრისტეს მოსვლის ნიშნებს მიგვითითებს, ამბობს: „რომლისა — იგი მოსლვაი არს შეწევნითა ეშმაკისაითა, ყოვლითავე ძალითა და ნიშნებითა და სასწაულებითა ტყუილისათა. და ყოვლითავე საცთურითა სიცრუისათა წარწყმედულთა მათ შორის, რამეთუ, ვინაითგან სიყვარული იგი ჭეშმარიტებისაი არ შეიწყნარეს,

რაითამცა ცხოვნდეს იგინი. ამისთვის მოუვლინოს მათ ღმერთმან შემწე საცთურებისა, რაითა ჰრწმენეს მათ ტყუილისა“ (2 თეს, 2,9-12).

წმიდა მოციქულის ეს სიტყვები ზუსტ პასუხად მიმაჩნია იმ კითხვაზე, თუ რატომ გადაუხვევს ადამიანი ასე ადვილად მართლმადიდებელი გზიდან სხვა მიმდინარეობებისკენ? იმიტომ, რომ არსებითად ჭეშმარიტება არ ეძვირფასებათ! მათ რომ ჭეშმარიტება უყვარდეთ, მას რომ ერთგულებდნენ, — იმის გაფიქრებაც კი შეზარავდათ, რომ აქ შეიძლება რაიმე სიყალბეს ან ტყუილს წაწყდომოდნენ, და მთელი ძალისხმევით მოიძიებდნენ ჭეშმარიტებას, სანამ ბოლოს და ბოლოს არ იპოვიდნენ. თუკი მათთვის სულერთია, რომელ ტაძარში ივლიან, ე. ი. ნამდვილი ჭეშმარიტება მათთვის არ არსებობს, და თუკი მაინც სჯერათ მისი არსებობა, მხოლოდ სადღაც უკიდეგანოდ შორს... პილატემაც ხომ ჰკითხა ოდესღაც მაცხოვარს: „რაი არს ჭეშმარიტებაი?“ მაგრამ ეს კითხვა მართლა ჭეშმარიტების გამოძიების სურვილით კი არ იყო დასმული, — მხოლოდ სავსებით სკეპტიკური გულგრილობით. და სწორედ ამ გულგრილობამ და ჭეშმარიტებისადმი სიყვარულის უქონლობამ შეუშალა ხელი დაენახა და გულისხმაეყო, რომ მის წინაშე იდგა ცოცხალი პასუხი მის მიერ დასმული კითხვისა — იდგა თავად ხორცშესხმული ჭეშმარიტება.

დაიხსომეთ, მომავალო მღვდელმსახურნო, რომ პრინციპულ საკითხებში, როგორც იტყვიან, „ი-ს თავზე წერტილი უნდა დაუსვათ“. — ე. ი. ჭეშმარიტება ბოლომდე უნდა აღიაროთ, თუნდაც ეს გართულებებთან, უსიამოვნებებთან და სიძნელეებთან იყოს დაკავშირებული. იყავით გაბედულნი, ბოლომდე უთხარით კაცს სიმართლე, თუნდაც ვინმეს ეს მაინცდამაინც არ ეპიტნავოს.

აპოკალიპსის წმიდა წიგნში ნათქვამია: „ვიცნი საქმენი შენნი, რამეთუ არცა გრილ ხარ, არცა ტფილი. ჯერ — იყო, რაითამცა ანუ გრილი იყავ, ანუ ტფილი“ (აპოკ. 3,15). „ტფილში“ წმ. მამები ცნობენ ჭეშმარიტების მხურვალე აღმსარებლებსა და დამცველებს, „გრილში“ კი — მის მოწინააღმდეგეთ. მაცხოვრის ამ სიტყვებში იმის მითითებას ვხედავთ, რომ სჯობს „გრილი“ იყო, ე.ი. ჭეშმარიტების წინააღმდგომი, ვიდრე ერთერთი იმ ნელთბილთაგანი, რომელთა შესახებაც ასე აგრძელებს სიტყვას: — „ჯერ იყო რაითამცა ანუ გრილი

იყავ, ანუ ტფილი, არამედ ესრეთ ნელ-ტფილი ხარ და არცა გრილი და არცა ტფილი, მეგულების აღმოგდებაი შენი პირისაგან ჩემისა."(აპოკ.3,16)... ჭეშმარიტების მიმართ შენი გულგრილობისა და განურჩევლობის გამო მოძულებული იქნები ჩემგან — მრისხანედ გვაფრთხილებს უფალი. აი, როგორი საშინელია განურჩევლობა და გულგრილობა ჭეშმარიტებისადმი." რამეთუ იტყვი: „მდიდარ ვარ და განვმდიდრდი და არარაი მეხმარების. და არა უწყი, რამეთუ შენ ხარ უბადრუკ და საწყალობელ და გლახაკ და ბრმა და შიშველ". (აპოკ. 3,17). აი, სწორედ ამ სიტყვებით ხასიათდება გამოკვეთილად და ზუსტად დღევანდელი კაცობრიობა, რომელიც ფიქრობს რომ მოდერნიზმის, ეკუმენიზმის და სხვა ცრუ სწავლებების ახალი ჭეშმარიტებებით მდიდრდება და ისე დაბრმავებულა, რომ ვერც კი ხედავს როგორი უბადრუკი, საწყალობელი, გლახაკი გამხდარა, გაშიშვლებულა ჭეშმარიტებისაგან, ე.ი. გაუცხოებულა მისგან.

... თქვენ აუცილებლად მოგიწევთ წინააღმდეგობა იმ გულგრილობისა და განურჩევლობისადმი, რომელიც ადამიანთა სულებს დაუფლებიათ ჭეშმარიტების მიმართ. სასოს ნუ წარიკვეთთ, რადგანაც თქვენთან, როგორც ღვთის მსახურებთან, იქნება მადლი ღვთისა, რომელიც ყველა ადამიანურ უძლურებას უექიმებს და სულიერ სიმწირეს შეგივსებთ... არასოდეს დაივიწყო შენი უძლურება, სიბნელე და უნდილობა, არავითარ შეთხვევაში არ დაეყრდნო შენს თავს, არამედ სასოება გქონდეს ღმერთის მიმართ და ყოველივეს მისგან მოელოდე და იმედოვნებდე.

ცხოვრება ისე ყოფილა მოწყობილი, რომ ადვილად ვერ განახორციელებ ქრისტეს სახარებისეულ მცნებებს. მაგრამ თუკი ჩვენს დროზე და საკუთარ თავებზე ვისაუბრებთ, მართლაც მეჩვენება, რომ ჩვენ იშვიათად თუ წარმოვადგენთ იმ თესლს, რომელზეც კეთილი ნაყოფი აღმოცენდება. ისე ხშირად ვართ განურჩევლად გულგრილები, რომ განზრახ მტრულად ვუყურებთ იმას, რასაც ეკლესია ამბობს და რისკენაც მოგვიწოდებს.

მახსენდება იგავი ღვარძლის შესახებ... და მაგონდება წმ. პატრიარქ ტიხონის უკვდავი სიტყვები. როცა მისი ბოლო წუთები მოახლოვდა, თქვა: „ახლა დაღამდება. მე დავიძინებ. ღამე კი გრძელი იქნება, ძალზე გრძელი". სწორედ ამ საშინელ ღამეს ვატარებთ

ახლა, როცა ამქვეყნად ოდნავღა ასხივებს ღვთის სიტყვის ნათელი.

ხშირად ვიგონებ უდიდესი განმანათლებლის, თეოფანე დაყუდებულის სიტყვებს, რომელმაც თავისი შორსმხედველი მზერით განჭვრიტა მომავალი. იგი ამბობდა, რომ დადგება დრო, როცა ყველაფერი ზედაპირული გახდება. — ყოველივე საეკლესიო, ყველა წოდება, ყველა წესი, მთელი გარეგნული მხარე, მთელი მსახურება — ყველაფერი თითქოს ისევ შეინარჩუნებს გარეგნულ იერს, შიგნით კი იმეფებს ქრისტეს სულის სრული ღალატი... ეს სულიერი ღვარძლია... და აი, დღეს ვხედავთ, როგორ იბნევა ადამიანის სული ამ ღვარძლის შემხედვარე, ძლივსღა პოულობს, ზოგჯერ კი დადხანს ვერ მიუგნია კეთილი თესლისათვის, გარშემო სულ სარეველებია.

გაფრთხილდი ქრისტიანო სულო, მადლი შესწირე უფალს იმისათვის, რომ შენ მართლმადიდებელი ეკლესიის შვილი ხარ, რომელსაც მოციქულთა სწავლება დაუმარხავს, წმიდა მამათა ნაანდერძევი და გადმოცემული შეუნახავს, მადლი შესწირე ამისათვის უფალს და გაუფრთხილდი შენს სარწმუნოებას. გახსოვდეს, რომ ბევრი, ძალიან ბევრი ადამიანი დღეს სარეველათა შორის ჩაკარგულა.

უფალი ამბობს: „შევედით იწროისაგან ბჭისა, რამეთუ გეტყვი თქუენ, მრავალნი ეძიებდნენ შესლვად და ვერ უძლონ“. ამ სიტყვებიდან პირდაპირ უეჭველად გამოდის აზრი, რომ ქრისტიანობა წარმოადგენს ღვაწლს, მოღვაწეობა კი მოღვაწედ ყოფნას ნიშნავს. და თუკი იმ ადამიანის ცხოვრებაში, თავს მართლმადიდებლად რომ მიიჩნევს, არანაირი ღვაწლი არ არსებობს, მაშინ ის უნდა შიშობდეს, რომ ცხონებას ვერ მოიპოვებს.

ძველად ღვთის უდიდესი წმიდა სათნომყოფელი მამები და საერთოდ ძველი ქრისტიანები მართლაც მოღვაწენი იყვნენ. ჩვენ კი რა ღვაწლი გაგვაჩნია? დღევანდელი ცხოვრება ჭირმრავალია, არა მხოლოდ პირადი მწუხარებებითაა აღსავსე, საზოგადო ცხოვრებაშიც უამრავი გასაჭირია — ყველგან! ცხოვრება სულ უფრო და უფრო რთულდება, ნაგვიანდება, იჭუჭყება, სულ უფრო და უფრო რთულდება და იხლართება... მაგრამ თუკი ამ უამრავ ჭირთათმენაში ქრისტიანს იქით ექნება მისწრაფება, რომ ყოველივე ეს ქრისტიანულად მიიღოს და გადაიტანოს, მაშინ დიდი შრომისა და ძიებების გარეშე იპოვის თავისი მოღვაწეობის ცხოვრებისეულ გზას.

ეკლესიის ისტორიაში ერთობლივი მსახურება არასოდეს ყოფილა ერთსულოვნების გარეშე. ეს წმიდაწყლის ახალი ეკუმენისტური გამოგონებაა. ეკუმენისტური სიბრძნისმეტყველებით გაგებული სიყვარული „მართლმადიდებელი რუსეთის" რედაქტორის მახვილი გამონათქვამით, მზადაა თავის სასიყვარულოდ გაშლილ მკლავებში სასიკვდილოდ მოგუდოს ჭეშმარიტი მართლმადიდებლობა.

რ.ს.მ.ე.-ს მესამე კრებაზე წაიკითხეს გამოჩენილი მწერლის სოლჟენიცინის წერილი. მას ვერ დავეთანხმებით ერთ რამეში. ის წერს, რომ ახლა თურმე ისეთი დრო დამდგარა, რომ დაყრდნობა საეკლესიო კანონებსა და წესებზე აღარ გვიწევს, რელიგიური ცხოვრება კი სულისა და გულის კარნახით უნდა წარიმართოს გარემო პირობებთან შეთანხმებითო. აი, ეს კი არასწორია... ეკლესიამ თავისი კანონები და წეს-ჩვეულებანი დაგვიტოვა იმ საფუძვლად, რომელზეც ნორმალური საეკლესიო ცხოვრება აღეშენება. ცხოვრებაში რა სახის სიმახინჯეებიც არ უნდა გაჩნდეს, როგორ ახალ სიძნელეებსაც არ უნდა შეეჯახოთ, ეს საფუძველი შეუძვრელად უნდა დაიცვას! რა თქმა უნდა, სხვა საკითხია, როგორ ვისარგებლოთ ამა თუ იმ წესით მოცემულ ვითარებაში. შეიძლება რაღაც დათმობაზე წასვლამაც მოგვიწიოს, ანდა ცნობილ ორიენტაციას მივმართოთ გარემო პირობებთან დაკავშირებით, მაგრამ ამ სულიერი საფუძვლიდან ჩამოსვლა არასგზით არ შეიძლება! ეკლესია თავის ზღუდეში მხოლოდ იმათ მოაქცევს, ვინც მისი ერთგულია.

განვისწავლეთ კი უფლის სიყვარულში მთელი გულით, მთელი სულით, მთელი სიმტკიცით, მთელი ჩვენი გულისხმისყოფით? განა ჩვენი ყოველი აზრი იქითაა მიმართული, როგორ შევიყვაროთ ღმერთი მთელი არსებით? წმინდანებს გააჩნდათ ეს სათნოება. გახსოვთ ღირსი სერაფიმეს ტროპარი: „სიყრმითგან ქრისტე შეიყვარე და მას მხოლოს მუშაკობდი, ნეტარო, მხურვალე გულისთქმითა". ეს სიტყვები იყო უდიდესი მოღვაწის სიცოცხლის მიზანი. აი, როგორ სიყვარულს ითხოვს უფალი ჩვენგან... ილოცე, რათა თავად მან გასწავლოს, როგორ შეიყვარო იგი მთელი შენი არსებით, როგორც ყველაზე ძვირფასი საუნჯე.

დაიხსომეთ, საყვარელნო, რომ თუკი უფალმა გვაუწყა რომ ქრისტიანები, მისი მოწაფეები ერთმანეთის მიმართ ანთებული სიყვარუ-

ლით შეიცნობიან, იმავდროულად ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ქრისტიანული სიყვარული არ ნიშნავს განურჩევლად ყველასა და ყველაფრის სიყვარულს... მსოფლიო კრებებზე, როცა საქმე მწვალებლებს ეხებოდათ, ნუთუ ეკლესიის მამები თავზე ხელს უსვამდნენ მათ და ეუბნებოდნენ — სიყვარულში ერთნი ვართო? ისინი ამხილებდნენ და ეკლესიიდან განკვეთდნენ მათ, ანათემას გადასცემდნენ!

ამიტომაც ჩვენს ეკლესიას ხშირად საყვედურობენ: თქვენ სიყვარული არ გაგაჩნიათ — არც იმათთან გინდათ გქონდეთ კავშირი, არც იმათთან, იმათთან კი ამბობთ, არ შეიძლება ურთიერთობაო — თქვენ სიყვარული არ გაგაჩნიათო! გვეუბნებიან, რომ ყველას თავზე უნდა ვეფეროთ და დავუყვავოთ: „რა კარგები ხართ ყველანი!" ამ დროს ჩვენ სწორედ სიყვარული მიგვითითებს, რომ შეცთომილს თავზე ხელი კი არ უნდა უსვა და ეუბნებოდე — რა კარგი ხარო, შეცდომაზე უნდა მიუთითო.

ახლა კი სწორედ სიყვარულს ხედავენ იქ, სადაც, არსებითად, თუ პოეტის სიტყვებს მოვიშველიებთ, ადამიანები კეთილისა და ბოროტის მიმართ „სათაკილოდ გულგრილნი" გახდნენ. ვისაც ჭუშმარიტება ნამდვილად უყვარს, მის მტრებს ამხილებს და არ ეთანხმება. თუკი შეცდომილს ნახავს, შეეცდება ქრისტიანული სიყვარულით შეაგონოს, მაგრამ არასგზით ხელს არ ჩაკიდებს და არ ეტყვის — „მე და შენ ერთნი ვართ!"ახლა სწორედ ამგვარი საცთურია მუდმივად სახეზე — ეკუმენიზმი, რომელიც მთელ დედამიწის ზურგზე ნაკადად მოედინება! და ყველა სხვა მწვალებლური ცრუ-სწავლებანი.

გახსოვდეთ, ჭუშმარიტების სიყვარული პირველ ადგილზე უნდა დააყენოთ. თუ ადამიანი შეცდა — მიუთითე, და თუკი მაინც ბოროტად თავისაზე დგას, ამხილე უშიშრად, როგორც ამას მოციქულები და წმიდა მამები აღასრულებდნენ. მხოლოდ მაშინ დაიცვება მართლა ჭუშმარიტება, როგორც ჯერ-არს, როგორც ჭუშმარიტების მოსაგრეს, ამის გაკეთება გვევალება, მხოლოდ მაშინ იქნები ნამდვილად ჭუშმარიტების შვილი, შვილი ქრისტიანული სიყვარულისა და ამ სიყვარულით გიცნობენ შენ, რომ ნამდვილად ქრისტეს მოწაფე ხარ — ამინ!



არქიმანდრიტი იუსტინე პოპოვიჩი

ღვთის საშინელი განკითხვა
(სიტყვა წითელ პარასკევს)

პარასოდეს ისე არ ყოფილა ადამიანი ღმერთსმოკლებული, როგორც დღეს, საყვარელო ძმაო. დღეს ეშმაკი განხორციელდა ადამიანში, რათა უსხეულოჰყოს ღმერთკაცი. ყოველი ბოროტება ჩასახლდა დღეს ადამიანის სხეულში, რათა ღმერთი განდევნოს მისგან. მთლად ჯოჯოხეთი გადმოსახლდა დღეს დედამიწაზე; და განა ახსოვს ვინმეს, რომ ეს ქვეყანა ოდესღაც სამოთხე იყო? პირველდაცემაზე განუზომლად დიდია კაცის აწინდელი დაცემა; ადამიანი მაშინ ღმერთს დასცილდა, დღეს კი — ჯვარს აცვა, მოკლა უფალი. და რა გქვია შენ ადამიანო, თუ არა ეშმაკი? მაგრამ რას ვამბობთ; ეს ხომ ცილის წამებაა ეშმაკზე? ეშმაკი არასოდეს არ ყოფილა ასე არტისტულად ბოროტი, როგორც ადამიანი. უფალი იესო ქრისტე ჯოჯოხეთშიც შთახდა, მაგრამ იქ ჯვარზე არ გაუკრავთ იგი. ხოლო ჩვენ ჯვარს ვაცვით უფალი! განა კაცნი ეშმაკზე უარესნი არ არიან? განა ეს ქვეყანა გეენიაზე მეტად მწველი არ არის? ქრისტე ჯოჯოხეთიდან არ განუდევნიათ, ხოლო დღეს ადამიანებმა განდევნეს იგი საკუთარი სხეულიდან, საკუთარი სულიდან და ქალაქიდან...

სულში გველივით ჩამწვდომია ბოროტი კითხვა, ძმანო, და ნიშნისმოგებით მეკითხება: განა ოდესმე კი ყოფილა ადამიანი კეთილი, თუ მან ქრისტეს ჯვარცმა შეძლო? — შენ ადამიანისა გჯერა და მისით იქადი, ოპტიმისტი ხარ? მაგრამ, შეხედე ადამიანს, დიდი

პარასკევის ზენიტიდან მოხედე მოდგმას კაცისას და თქვი: ახლაც ოპტიმისტი ხარ? ნუთუ არ გრცხვენია, რომ ადამიანი ხარ? ნუთუ ვერ ხედავ, რომ ადამიანი დღეს ეშმაკზე უარესია?

დიდ პარასკევამდე ყველა დღე დაივიწყეთ, და მისი მომდევნო დღეებიც; და მიიყვანეთ ადამიანი დიდი პარასკევის ზღვარზე — განა ყოველგვარ საცდურთა სადგური, და სისაძაგლეთა კრებული არ არის იგი? განა ადამიანმა არ შეშალა დღეს ქვეყანა? განა ღმერთ-კაცის მკველობით არ დაადასტურა დღეს ადამიანმა, რომ ის ჭეშ-მარიტად დედამიწის სიშლეგეა?

საშინელი სამსჯვროც კი არ იქნება დიდი პარასკევზე საზარელი. არა, ის უდაოდ ნაკლებ შემაძრწუნებელი იქნება, რადგან მაშინ ღმერთი განსჯის ადამიანს, ხოლო დღეს ადამიანი განიკითხავს ღმ-ერთს. დღეს ღმერთს უწყობენ საშინელ სამსჯავროს და კაცთა მოდგმა განიკითხავს მას. დღეს ადამიანი ჰყიდის უფალს და ჰყიდის 30 ვერცხლად. ნუთუ ეს საბოლოო ფასია? ნუთუ ქრისტეზე ჩვენი უკანასკნელი სიტყვა — იუდაა?

კაცობრიობამ დღეს სიკვდილი მიუსაჯა ღმერთს. ესაა უდიდესი ამბოხი ზეციურ და ქვეყნიურ ისტორიაში, ეს უდიდესი ცოდვაა ცისა და მიწის ისტორიაში. მსგავსი რამ დაცემულ ანგელოზებსაც კი არ ჩაუდენიათ. დღეს მოხდა ღვთის საზარელი განკითხვა. არასოდეს უხილავს სამყაროს უფრო უცოდველი მსჯავრდებული და უფრო გახელებული მსაჯულები. ესოდენ შემაძრწუნებლად არასოდეს დაუ-ცინიათ ღვთისათვის. „ყოვლისდამცინავი ჯოჯოხეთი“ დღეს ადამიან-ში ჩასახლდა და დასცინა ღმერთს და ყოველივე ღვთიურს. დღეს მას დასცინეს ვისაც არასოდეს გაუცინია. ამბობენ, უფალ იესოს არასოდეს არ გაუცინია. მოტირალი კი, პირიქით — მრავალგზის უნახავთ. დღეს გააწბილეს ის, ვინც ჩვენს სადიდებლად მოვიდა; დღეს მას ვაწამებთ, ვინც წამებათაგან ჩვენს გამოსახსნელად გარ-დამოხდა; სიკვდილი მიუსაჯეს დღეს მას, რომელმაც საუკუნო ცხ-ოვრება მოგვანიჭა. აქვს თუ არა საზღვარი შენს უგნურებას, ადამი-ანო? ანუ სადაა ფსკერი შენი დაცემისა?

ჯვარი. სამარცხვინო ძღვენი შევწირეთ მას, ვინც საუკუნო დიდე-

ბა მოგვანიჭა. კეთროვანო, წყლულებათაგან განგწმინდა იმან და შენ სანაცვლოდ ჯვარს მიუძღვანებ? ბრმაო, მან თვალი აგიხილა და განა მისთვის, რომ ჯვარი გეხილა და ზედ უფალი გაგეკრა? მკვდარო, ნუთუ იმისთვის აღგადგინა საფლავიდან, რომ ის შეგემწყვდია შენს სამარეში? ნეტარებათა ხარებით დაატკბო ტკბილმა იესომ, ძმებო ჩვენი ცხოვრების მწარე სინამდვილე და მათგან რომლისათვის მივაგებთ ასეთ სიმწარეს?

„ერო ჩემო, ასეთი რა დაგიშავეთ? — განა იუდეა სასწაულით არ აღვავსე? განა ოდენ სიტყვით არ აღვადგენდი მკვდარს? განა ყოველგვარ სენსა და სალმობას არ ვკურნებდი?... და რით მიზღავთ თქვენ? კურნებისათვის ჭრილობები მომაგეთ; ცხოვნებისათვის ძელს მაკრავთ და მკლავთ“.

დიდი პარასკევი ჩვენი სირცხვილია, ჩვენი თავის მოჭრა და თავლაფდასხმა, ძმანო. იუდა ისკარიოტელში ყოველი ადამიანის სულისაგან იყო ცოტ-ცოტა. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ ჩვენ უცოდველნი ვიქნებოდით. იუდას მეშვეობით ჩვენ ყველა დავეცით; ყველა ჩვენთაგანმა გასცა ქრისტე და შეიწყნარა ეშმაკი და სატანას მიელაქუცა. დიახ, სატანას, რამეთუ წმიდა სახარებაში ნათქვამია: „და შემდგომად მიღებისა იუდაჲსა პურისა მის შევიდა მისა ეშმაკი“ (იოანე 13, 27). რომელი პურის მიღების შემდეგ? — იმ პურის შემდეგ, რომელიც ქრისტემ მისცა მას, ზიარების, ქრისტეს შემდეგ. ვაი, განა მეტიღა დაცემა იქნება და უმეტესი თავზარი?

ვერცხლისმოყვარეობავ, შენ გაეცი უფალი ქრისტე! შენ ახლაც ჰყიდი ქრისტეს ფულისმოყვარეო! იუდა ქრისტეს მოწაფე იყო, რომელიც შემსწრე იყო ქრისტეს ყველა სასწაულისა, რომელიც ქრისტეს სახელით მკვდრებს აღადგენდა და უწმიდურ სულებს განასხამდა — ეს იუდა გახადა ფულისმოყვარეობამ გამცემელი და ქრისტეს მკვლელი, და მე და შენ კი ვერ გვაქცევს იგი გამცემელად და ქრისტეს მკვლელად, მე, ვისაც ქრისტე ხორციელად არ მიხილავს? მე, რომელსაც არც კეთროვანი განმიწმენდია, არცა სნეულნი განმიკურნავს და არც მკვდარნი აღმიდგენია იესოს სახელით? იუდა ხანგრძლივად იყო მასთან, ვისაც თავის მისადრეკი არსად ჰქონდა, ვინც სიტყვითა და

საქმით ასწავლიდა, რომ არც ვერცხლი და არც ოქრო თან არ ეტარებინათ. მე და შენ კი? უკეთუ სიგლახაკით სიხარული არ შეგიძლია, უკეთუ სიღარიბით კმაყოფა არ ძალგიძს — იცოდე, რომ შეიძლება იუდა გახდე. ნუ ჰკითხავ: „განა მე, უფალო?" რამეთუ პასუხად უეჭველად მიიღებ: „ჰო, შენ სთქუ", — უკეთუ სიმდიდრეს ესწრაფები, და შენში ფულის წყურვილი ღვივდება უწყოდე, რომ ეს შენში იუდა იწყება. ძმაო და მეგობარო, მთელი ცხოვრება გახსოვდეს, ვერცხლისმოყვარეობამ ჯვარს აცვა ქრისტე; ვერცხლისმოყვარეობამ ქრისტეს მოწაფეთაგანი ქრისტეს მტრად, მკვლელად გარდააქცია. ვერცხლისმოყვარეობას ის წყეული თვისება აქვს, რომ იგი კაცს ქრისტეს მკვლელად და თვითმკვლელადაც ჰყოფს. იგი ადამიანის სულში პირველად ღმერთს კლავს და ადამიანში ღვთისმკვლელობის შემდეგ კლავს თვით ადამიანსაც.

სიკვდილი — საშინელი საიდუმლოა, ძმანო. მაგრამ კიდევ უფრო საშინელია, როცა ადამიანები სიკვდილით სჯიან ღმერთს და მისი სრული მოსპობა სურთ, რათა სრულიად უკვალოდ გაანადგურონ იგი. დღეს ღმერთზე მეტად ადამიანები არიან საშიშნი, რადგან ამგვარად აწამებენ ღმერთს, როგორადაც ღმერთს არასოდეს არავინ არ უწამებია; რამეთუ დღეს ამგვარად შეურაცხყოფენ ღმერთს, როგორადაც მას არავინ შეურაცხყვია; რამეთუ იმგვარად გვემენ დღეს უფალს, რომლის მსგავსადაც ღმერთს არასოდეს არავინ არ უგვემია. დაე დადუმდეს ყოველი, რაც თავის თავს ადამიანს უწოდებს — ყოველი დადუმდეს კაცებრი და ნურვინ იქადნის ადამიანობით, რამეთუ იხილე: მოდგმა კაცისა თავის გულში ვერ იტანს ღმერთს, კლავს ღმერთს! და ნურც ჰუმანიზმით იკვეხნის ვინმე! ჰოი, სატანიზმია ეს ყველაფერი...

დღეს ეშმაკებმა, ნადირებმა, ან ტურამგლებმა კი არა, ადამიანებმა შეკრეს ეკლის გვირგვინი და ქრისტეს დაადგეს; ეკლის გვირგვინით შემოსეს იგი, ვინც უკვდავებით შეამკო ადამიანი; ეკლის გვირგვინს თხზავს ადამიანი მის თავზე, ვინც ვარსკვლავების გვირგვინი შეუთხზა ქვეყანას; ეკლის გვირგვინს ვწნავთ მეც და შენც, მეგობარო, თუკი ჩვენ ვერცხლისმოყვარენი ვართ, თუ ვმრუშობთ, თუ ვგ-

მობთ უფალს, თუ ვჭორაობთ, თუ ვლოთობთ, თუ ვართ უწყალო, ან მრისხანე, ან ცოდვილ ფიქრებსა ვზრახავთ, ან თუ უწმინდური გრძნობები გვაქვს, თუ ვართ ურწმუნო, ან არ გვაქვს სიყვარული. ყოველი ჩვენი ცოდვა — ეს არის ეკალი, რომელსაც ეკლის გვირგვინს ვმატებთ და რომელ გვირგვინსაც გამუდმებით წნავს კაცობრიობა უფალ იესოს თავზე.

ღმერთის წამებაში ადამიანი ეშმაკზე ულმობელი აღმოჩნდა. არ გჯერათ? უსმინეთ, რას მოგვითხრობს თვითმხილველი: მაშინ სახეში ნერწყვიდნენ მას; — ვაი, იმ სასწაულებრივ და მშვენიერ სახეში... უფალო, რატომ კეთრით არ დააწყლულე მათი ბაგეები? იმიტომ ხომ არა, რომ ჩვენთვის სიმდაბლე და მორჩილება გესწავლებინა? ნერწყვიდნენ ამ საკვირველ, ამ სათნო, ყოველ თანავარსკვლავედთა და ყოველ ნეტარებათა უძვირფასეს სახეს. რას ვამბობთ? — დიახ, ყოველ ნეტარებაზე აღმატებულს, რამეთუ ამ მშვიდ სახეშია საუკუნო ნეტარების მთელი სისრულე, საუკუნო ნეტარების მთელი სისავსე!.. იმ ნათელ სახეს აფურთხებდნენ, რომლის წინაშეც ზღვა დასცხრებოდა და მორჩილებდა; სახეს — რომელიც გაშმაგებულ სულებს ამშვიდებდა და განუსვენებდა მათ. და თქვენ ადამიანობით იქადით? დაკეცეთ თქვენი ბაირაღები ჭია-მატლებო და უბადრუკებო! არც დემონთაგან, არც ცხოველთაგან და არც მხეცთაგან ისე არავის არ უნდა რცხვენოდეს საკუთარი თავისა, როგორც ადამიანს... ადამიანები ღმერთს აფურთხებენ — განა მეტიღა საძაგლობა იქნება? ადამიანები ღმერთს სცემენ — განა უფრო სატანური რამ არსებობს? ძმანო, ჯოჯოხეთი რომ არ ყოფილიყო, ადამიანებისათვის უნდა გამოგონებულიყო იგი, მხოლოდ და მხოლოდ ადამიანებისათვის...

მას, შემოქმედსა და ღმერთს ნერწყვიდნენ და სცემდნენ, ხოლო ის მშვიდად და მორჩილად იტანდა ყოველივეს. განა გეპატიება შენ, რომელიც ყოველგვარ წყენას წყენით პასუხობ? ყველა ბოროტებას-ბოროტებით? რომელიც წყევლი ყველა მაწყევარს შენსას და გძულს ყველა მოძულე შენი? როცა ბოროტებაზე ბოროტს მიაგებ — მაშინ შენ უფალ ქრისტეს ლანძღავ, როცა მოძულე გძულს — მაშინ შენ სცემ და აწამებ, ამცირებ უფალ ქრისტეს, რამეთუ იგი მსგავსად არასოდეს იქცეოდა.

და მშვიდი უფალი გადასცა პილატემ ჯვარცმად. ხოლო ადამიანებს იგი მიჰყავთ, წამებიდან წამებად. და შეურაცხყოფილ უფალს ჯვარს აცვამენ, ჯვარზე აკრავენ. ნუთუ გავიწყდებათ ლურსმნები, ქრისტეს ხელებში, იმ ხელებში, რომლებმაც ამდენი ავადმყოფი განკურნა? ამდენი კეთროვანი განწმინდა? ნუთუ დუმდება იმგვარად მეტყველი ბაგე, რომლის მსგავსად კაცს არასოდეს უმეტყველია? სადა ხარ, იაროს? სადა ხარ, ლაზარე? სადა ხარ, ნაინელო ქვრივო, რომ დაიცვა უფალი შენი და ჩემი? ნუთუ ჯვარს აცვავთ — უსასოთა სასოს, უნუგეშოთა ნუგეშისმცემელს, ბრმათა თვალის ჩინს, ყრუთა სასმენელს, მკვდართა აღდგომას? ნუთუ ამ წმიდა ფერხთ მსჭვალავთ ლურსმნებით, რომელთაც მშვიდობა და სიხარული მოჰქონდათ? რომელნიც ზღვაზე, ვითარცა ხმელზე მიმოდიოდნენ, რომელნიც მკვდარ ლაზარესთან და ღადარინელ ეშმაკეულთან მიილტვოდნენ?

ჯვარცმული უფალი, კმაყოფილნი ხართ, ღვთისმბრძოლნო, დაწყნარდითღა, ღვთისმკვლელნო? რას ფიქრობთ ჯვარცმულ ქრისტეზე? — მატყუარა, უძლური, მაცდური; თუ ძე ღვთისა ხარ, გადმოდი ჯვრიდან! შენ ხომ სამ დღეში ტაძრის ამგებელი ხარ, მაშ შენ თავს შეეწიე და გადმოდი ჯვრიდან!

ხოლო ჯვარცმული უფალი რას ფიქრობს ჯვრის ქვეშ მყოფ ხალხზე? იმას, რისი ფიქრიც სიყვარულისა და სიმშვიდის ღმერთს ხელეწიფება: „მამაო, მიუტევე ამათ, რამეთუ არა იციან, რასა იქმან!“ — ჭეშმარიტად არ იციან რას სჩადიან ხორცშესხმული ღმერთის მიმართ. განა ჯვარცმაზე უფრო იოლი იყო, ღმერთისათვის ხორცში ყოფნა? მერწმუნეთ, რომ გაცილებით მძიმე იყო, რადგან ღმერთსა და კაცს შორის უსაზღვროდ მეტი სხვაობაა, ვიდრე კაცსა და ეშმაკს შორის; ვიდრე — სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის. ამ წამებას განიცდიდა მაცხოვარი: მისი წმიდა, უცოდველი ბუნება სიკვდილს აღუდგა და თავის წინაშე სიკვდილის მხედველმა „იწყო დასუელებად და ურვად: მწუხარე არს სული ჩემი ვიდრე სიკუდიდმდე“!

უკეთუ სიკვდილის წინ ღმერთკაციც წუხს და იურვის, მაშინ, თქვით, არის განა ადამიანისათვის სიკვდილზე უსაშინლესი რამ, სიკვდილზე არაბუნებრივი რამ და სიკვდილზე უფრო საძაგელი სხვა

რამ? მაცხოვარს უმძიმს სიკვდილი, მით უფრო საძნელოა იგი ადამიანისათვის. სიკვდილი ყველაზე უფრო მტკივნეულია ადამიანისათვის, რადგან იგი ღვთისაგან ადამიანის უდიდეს დაშორებას წარმოადგენს. ეს განიცადა ქრისტეში ადამიანმა და ღაღადჰყო: „ღმერთო, ღმერთო ჩემო, რაისათვის დამიტევებ მე?“ ამას ღაღადებდა მხოლოდშობილი ძე ღვთისა, ერთარსი მამისა. განა ეს საუკეთესოდ არ ადასტურებს, რომ სიკვდილი ღვთისგან განმაშორებელი ძალაა, ესაა ძალა, რომელიც ადამიანს ღმერთს აცილებს.

ჯვარსაცვეს ღმერთი. რალა გინდა ადამიანო? კეთილგონიერი ავაზაკი რომ არ ყოფილიყო — გამართლება არ გექნებოდა შენ, ის რომ არ ყოფილიყო — დედამიწა სამუდამოდ დარჩებოდა ჯოჯოხეთად. როცა ქრისტეს მიმართ დაბრკოლდა ყველა მოწაფე, ავაზაკმა აღიარა იგი ღმერთად და მეუფედ: „მომიხსენე მე, უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა!“ ავაზაკი — ეს ჩვენი იმედია, რამეთუ მაშინ აღიარა მან ქრისტე ღმერთად, როცა ყველამ დაკარგა მისი რწმენა, მაშინ ირწმუნა იესო როგორც უფალი, როცა იესო შეურაცხყოფილი, გაკიცხული და ნაწამები იყო, როცა ბოროტმოქმედთაგან დადანაშაულებული რიგითი კაცივით ეწამებოდა და იტანჯებოდა.

ხოლო იმ დროს, როდესაც ადამიანები ღმერთს შეურაცხყოფენ, მაშინ, როცა ადამიანები ქრისტეს ჯვარზე აკრავენ, მთელი ბუნება წინალუდგება ამას: „და ვითარცა იყო ჟამი მეექუსე, ბნელი იყო ყოველსა ქუეყანასა, ვიდრე მეცხრედ ჟამამდე... ხოლო იესო ხმა-ჰყო ხმითა დიდითა და განუტევა სული“, „და დაბნელდა მზე, და განიპო კრეტსაბმელი ტაძრისაჲ მის შორის“, „და ქუეყანაჲ შეიძრა, და კლდენი განსქდეს, და საფლავნი აღეხუნეს, და მრავალნი გუამნი შესუენებულთა წმინდათანი აღდგეს...“ (მათ. 27; 45, 50-52).

როდესაც ადამიანებმა ღმერთზე თავიანთი ფარისევლობა აღასრულეს და გაყუჩდნენ — სამყარო ამეტყველდა, ქვები ალაპარაკდნენ და ადამიანებზე მეტი გულისხმიერება გამოიჩინეს ქრისტეს ტკივილზე. მზეც ამეტყველდა და დააბნელა ჩვენი მანათობელი ნათელი. სინათლეს იმისი შერცხვა, რაც ადამიანებს ახარებდათ. მიცვალებულებს საფლავებში ესმათ ქრისტეს ღალატი და განიღვიძეს და აღდგნენ,

მაშინ როცა ჯვარცმის ქვეშ მდგომი ცოცხალი ადამიანები სულიერად მომკვდარან. „დღეს კრეტსაბმელი ტაძრისა განიპო, სამხილებლად უსჯულოთა, და მზემან ნათელი თვისი მიაქცია, ხედვიდა ჯვარცმულ უფალსა“.

„ყოველი თანაუგრძნობს შემოქმედსა ყოვლისა“, დიახ ყველა და ყველაფერი — გარდა კაცისა, გარდა ადამიანებისა. ყოველმა ქმნილებამ ჯვარზე გაკრულ ქრისტეშიც კი ცნო ღმერთი და აღიარა იგი ღმერთად. და ჯვარზეც გამოჩნდა ქრისტე ღმერთად. რით? — ავაზაკისადმი პასუხით; მზის დაბნელებით, მიწისძვრით; და კიდევ — თავის მტრებისადმი ლოცვით: „მამაო, მიუტევე ამათ, რამეთუ არა იციან, რასა იქმან!“

ჭეშმარიტად არ იციან ადამიანებმა, რას ჩადიან ქრისტეს მიმართ. ბოროტი უვიცობით გააკრეს ქრისტე ჯვარზე და უვიცობით დღესაც ჯვარს აცვამენ. „რამეთუ უკუეთუმცა ეცნა, არამცა უფალი იგი დიდებისაჲ ჯუარს-ეცუა“ (I კორ. 2,8). მდაბალი და მორჩილი მოვიდა უფალი ამქვეყნად. განა უაღრესი სიმდაბლე და მორჩილება არ არის ღმერთის განკაცება, ადამიანის ხრწნადი, შეზღუდული და უბადრუკი სხეულის შემოსვა. ამქვეყნიდანაც მშვიდად და მორჩილად განვიდა უფალი; სიმდაბლით, მტრებზე ლოცვით განვიდა. ადამიანები არ ცნობენ ქრისტეს და ამიტომ დევნიან მას. მათ არ იციან, რაოდენ დიდია ეს სიყვარული, ეს სიმდაბლე, ეს მორჩილება, როდესაც ღმერთი უშვებს, რომ ადამიანები მას ასამართლებენ, აგინებენ, გვემენ, ბოლოს კლავენ.

დღესაც საზარელია დედამიწაზე ქრისტეს ხვედრი, ძმაო. ყოველი ჩემი ცოდვა — ეს მისთვის წითელი პარასკევია. ჩემი ოთხი ცოდვა და — მე უკვე ოთხი სამსჭვალით ჯვარს ვაცვი უფალი იესო. ყოველი შენი ცოდვა, ძმაო, მისთვის მეტი წამებაა, ვიდრე შენთვის და ჩემთვის. ცოდვის აღსრულებით შენ მას ჯვარს აცვამ. ყოველი უწმიდური ფიქრი, ყოველი ავხორცული გრძნობა ყვირის: ჯვარს აცვი, ჯვარს აცვი ეგე! განა მთელი ჩვენი ამქვეყნიური ცხოვრება დიდი პარასკევი არ არის; ყოველი ჩემი ცოდვა — ესაა ლურსმანი, რომლითაც მე უფლის სათუთ ხელებს ვმსჭვალავ; ყოველი ჩემი

ვნება — ეკალია, ყოველი ჩემი სისაძაგლე — ეკლის გვირგვინია, რომელსაც ჩვენ ვადგამთ ქრისტეს თავზე. საზარელია ჩვენს მიერ ქრისტეს შეგინება. ებრაელებს შეეძლოთ ნაკლებ ერწმუნათ ქრისტე, რადგან ის ჯერ კიდევ არ აღმდგარიყო. ხოლო ჩვენ — ვისაც უკვე ოცი საუკუნეა ქრისტე თავისი ძლიერების მეუფებით გვიმტკიცებს აღდგომას თვისას, ჩვენ განვაქიქებთ აღდგომილ ქრისტეს, შეურაცხვყოფთ აღდგომილ ქრისტეს, ხელახლა ჯვარს ვაცვამთ აღდგომილ ქრისტეს! განა ჯვარზე არ აკრავს ქრისტეს მღვდელი, რომელიც თავის ცხოვრებით განაშორებს სამწყსოს ქრისტესაგან? განა პროფესორი, რომელიც თავის ღვთისმბრძოლი სწავლებით მოსწვლეთა სულებიდან ღმერთს განდევნის, არ აწამებს და არ დასცინის აღდგომილ ქრისტეს? განა ყოველი, რომელიც ოდენ სახელითაა ქრისტიანი, აღდგომილ ქრისტეს არ ძრახავს და არ აგინებს?

ვაი, რომ გამუდმებით ვდევნით ჩვენ ქრისტეს... როგორ, რანაირად ვდევნით ქრისტეს, — იკითხავს ვინმე, — როდესაც ხორციელად ჩვენთან არ არის? როდესაც ვერ ვხედავთ მას? ვაი, რომ ვდევნით ჩვენ, ძმანო, ქრისტეს, ვდევნით, როცა მის სულს განვაგდებთ, როცა მის მოძღვრებას, მის წმინდანებს, ეკლესიას მისას ვდევნით. ქრისტეს ვდევნით, როცა მთხოვნელს განვაგდებთ: რამეთუ მათხოვარში იგია მთხოვნელი; ქრისტეს ვდევნით — როდესაც შიშველს არ ვმოსავთ, მშიერს არ განვაძღებთ: რამეთუ შიშველში ქრისტეა განძარცვული და მშიერში ქრისტე შიმშილობს; ვდევნით ქრისტეს, როდესაც ავადმყოფს არ ვინახულებთ, რამეთუ მასში ქრისტეა სნეული. ყოველ ტანჯულში ქრისტე იტანჯება, ყოველ მწუხარეში ქრისტე წუხს. თავის უსაზღვრო კაცთმოყვარეობით იგი გამუდმებით ხორციელდება ყოველ მშიერში, ყოველ სნეულში, ყოველ მწყურვალში, ყოველ უბედურსა და მოძულებულში, შეგინებულში და ყოველ დამცირებულსა და დევნილში. განუწყვეტლად თავის თავზე იღებს უფალი იესო ქრისტე ადამიანის სხეულს და მასთან ერთად იტანჯება და ეწამება მასში; განუზომელი გულმოწყალებით იგი მარად უერთდება მათ: „ამინ გეტყვი თქუენ, რავდენი არა უყავთ ერთსა ამას მცირეთაგანსა, მე არა მიყავთ“ (მათე 25,40). ყოველ ქრისტიანში ქრისტე

ხორციელდება. უსმინე, რას ამბობს: „საულ, საულ რაჲსა მდევნი მე?“ (საქმ. 9,4), რამეთუ უკეთუ დევნი ჩემს მორწმუნეებს — მე მდევნი. თუ ჩემს მორწმუნეებს აწამებ — მე მაწამებ, თუ მათ შეურაცხყოფ — მე შეურაცხმყოფ. ძმანო, არა მარტო უფალ ქრისტესათვის, არამედ ყველა ქრისტიანისათვის ამქვეყნიური ცხოვრება — გამუდმებული წითელი პარასკევია. და რაც მეტადაა შენში ქრისტე მით უმეტესად გდევნიან. უკეთუ ქრისტესი ხარ, ამქვეყნის მტვრად მიიჩნიე თავი, რომელსაც თრგუნავს ყველა. როგორც დასთრგუნეს ქრისტე. როცა გწყევლიან — შენ დალოცე, როცა გცემენ — შენ მიუტევე, როცა მოგიძულებენ — შენ იყუარებდე; უფლის მსგავსად შენც მოთმინებით სძლიე მტანჯველებს. ბოროტებას სიკეთით უპასუხე; იბრძოლე, როგორც იბრძოდა უფალი ქრისტე. სიამაყეს მორჩილებით ებრძოლე, უხეშობას — სიმშვიდით, სიძულვილს — სიყვარულით, შეურაცხყოფას — მიტევებით ებრძოლე, ცილისწამებას — ლოცვით... ესაა გამარჯვების გზა, გზა, რომელიც ერთგზის და სამარადისოდ დასდო უფალმა იესომ და რომელიც ტანჯვით მიმყვანებელია აღდგომად. ჩვენ ამ გზას, ამ ერთადერთ გზას ვადგევართ, რომელიც აღდგომით დამთავრდება, თუკი ჩვენს მაწყევართ დავლოცავთ, თუკი მოძულეებს ჩვენსას სიკეთეს მივაგებთ, თუ მტრები გვეყვარება, თუ შეურაცხყოფა არ განგვარისხებს, თუ მაგინებლებს ჩვენსას დავლოცავთ და ფურთხებას ლოცვით დავითმენთ. ჩვენ უეჭველად ამ გზას, სიკვდილზე ტრიუმფალური გამარჯვების დამაგვირგვინებელ გზას ვადგავართ. თუკი მაშინაც კი, როცა ჯვარს გვაცვამენ, ქრისტეს მსგავსად ჩვენი მტანჯველებისათვის ვილოცებთ: „მიუტევე ამათ, რამეთუ არა იციან, რასა იქმან!“ ამინ.

აღდგომა ქრისტესი

ადამიანის თავისუფლების პრობლემა შეუძლებელია გადაწყდეს ადამიანის გონებით. იგი გადაწყვეტას ღებულობს მხოლოდ სულის ქრისტიანულ მისწრაფებებში, ღმერთკაცობრივ სათნოებათა: რწმენის, ლოცვის, თავმდაბლობის, სიყვარულის, მარხვის, მოწყალების, თანაგრძნობისა და თანალმობის საშუალებით. ადამიანი აცნობიერებს და გრძნობს, რომ სრულყოფილი თავისუფლება საკუთარი დაცემული ბუნებისაგან, საკუთარი ეგოიზმისაგან, საკუთარ თავზე არასწორი წარმოდგენისაგან, მანკიერი ჩვევებისაგან განთავისუფლებაა. თავისუფლება ნებაყოფლობითი მორჩილებაა ღმერთკაცისა, რაც ნიშნავს მასთან მეგობრობას, საკუთარი საქმეების, სიტყვების, აზრების მასთან შეთანხმებას, მისთვის გაზიარებას, ანუ ურთიერთობას ყველასთან (განურჩევლად იმისა, მორწმუნეა თუ ურწმუნო, რომელი რელიგიის მიმდევარია, მტერია თუ მოყვარე) ისე, როგორც ქრისტე მოიქცეოდა მათთან. ღმერთთან მეგობრობა მისი ჭეშმარიტების, სამართლიანობის, სიყვარულის, უკვდავების, მარადიულობის მორჩილება და მიბაძვაა. თავისუფლება არ არის მოთხოვნილებათა სასწრაფო დაკმაყოფილება, პირიქით, ეს ხშირად მონობისა და სულიერი თვითმკვლელობის საწინდარია. თავისუფლება ადამიანისთვის ბოძებული საღმრთო ნიჭია, რომელიც ღვთაებრივ სრულყოფილებებში ნებაყოფლობითი მონაწილეობისთვის აქვს მინიჭებული ადამიანს.

ადამიანი მარტოა, მის გარშემო კი სიკვდილის უკიდეგანო ოკეანეა მზაკვრულად გატრუნული. ადამიანი, რომელიც მთლიანად ჩაძირულა სიკვდილის მორევში, განწირული ითხოვს შველას, მისი ყვირილი გულიდან ამოძახილი წუხილია და არავინაა დამხმარე, არცერთი ადამიანი და არცერთი „ღმერთი“ არ იძლევა პასუხს. და თუკი რაიმეს ტიტინებს მეცნიერება, ფილოსოფია ანდა კულტურა — ყოველივე ეს მხოლოდ ნარკოტიკებია, დროებითი მცდელობა ტკივილის გაყუჩებისა, ისინი ვერაფრით ამშვიდებენ ადამიანის სულსა და სხეულს, რომელიც სიკვდილის საშინელებას გაუღვიძებია.

ამ პლანეტის ისტორიამ არ იცის ქრისტეზე უკეთესი ღმერთი და არც ქრისტეზე უკეთესი ადამიანი. ღმერთკაცმა მთელი სრულყოფილებით განუცხადა კაცობრიობას ღმერთი და მთელი სრულყოფილებით განუცხადა ჭეშმარიტი ადამიანი. ამიტომაც არ არსებობს ღმერთი ღმერთკაცის გარეშე და არც ადამიანობა ღმერთკაცის გარეშე.

ჭეშმარიტება ქრისტეანობაში არ არის დისკუსიული ცნება, არც თეორია და დოქტრინაა, არამედ ცოცხალი პიროვნებაა ღმერთკაცისა, ისტორიული იესო ქრისტე. „მე ვარ გზა და მე ვარ ჭეშმარიტება“ (ინ. 14,6).

ღმერთკაცი იესო ქრისტე ერთადერთი ლოგიკურად მისაღები (ფილოსოფიური) გამართლებაა ღმერთისა. ის არის სრული თეოდიცია ადამიანური აზროვნების სამყაროში. ყოველგვარი ფილოსოფიური თეოდიცია იმსხვრევა და ინგრევა ამ მიმართულებით. ღვთის გამართლება შეუძლებელია ლოგიკური და ემპირიული არგუმენტებით. უფრო მეტიც, ტრანსცენდენტური ღმერთის გამართლება არც არის საჭირო, იგი ამას არ იმსახურებს. ღმერთი, რომელიც ადამიანი არ ყოფილა, არ განკაცებულა, არანაირ უფლებას არ იმსახურებს იყოს გატანჯული კაცობრიობის ღმერთი. მხოლოდ ის ღმერთი, რომელიც იყო ადამიან'ში, იცხოვრა ადამიანური ცხოვრებით, გადაიტანა ყველა მწუხარება, დაითმინა ყველა ტანჯვა, დაამარცხა სიკვდილი, საზრისი მისცა სამყაროსა და ადამიანს და ამასთან ერთად თავისი ღვთაებრივი თვისებების ნატამალიც კი არ დაუკარგავს, მხოლოდ ასეთ ღმერთს შეუძლია გაამართლოს თავისი არსებობა მრავალტანჯული კაცობრიობის თვალში, იმაში, რომ მან შექმნა ეს სამყარო და ადამიანი მასში. ასეთი ღმერთი მხოლოდ ქრისტეა. მან თავისი ადამიანობით (განკაცებით) გაამართლა ღმერთი და თავისი ღვთაებრიობით გაამართლა ადამიანი. გამომდინარე იქიდან, თუ რას აძლევს ქრისტე ადამიანს და მთელ კაცობრიობას, იგი შეუცვლელია ჩვენი არსებობისათვის. მას ერთს შეაქვს აზრი ჩვენს ცხოვრებაში, ანიჭებს მას ღვთაებრივ ღირებულებას, რადგანაც თუკი მან იცხოვრა ამ პლანეტაზე, ესე იგი ღირს ცხოვრება მასზე. ადამიანი, რომელიც განიცდის ცხოვრების საშინელ ტრაგედიას, ან ქრისტეს უნდა შეუდგეს,

ანდა თვითმკვლელობით (სულიერი) დაამთავროს სიცოცხლე, მესამე გზა არ არსებობს.

ქრისტეანობა მოწოდებაა სიკვდილთან ბრძოლისა, მოწოდება უკანასკნელ ამოსუნთქვამდე, საბოლოო გამარჯვებამდე. ყოველი ცოდვა — უკან დახევაა ამ ფრონტზე, ყოველი ვნება — გაქცევაა ბრძოლის ველიდან, ყოველი მანკიერება — დამარცხებაა. რომ არა ქრისტეს მკვდრეთით აღდგომა, ამ ბრძოლაში ადამიანს არანაირი შანსი არ ექნებოდა გამარჯვების. თუკი ქრისტეს აღდგომა არ ყოფილა, მაშინ რა აზრი აქვს რწმენას მისდამი? არასოდეს ვირწმუნებდი ქრისტეს, რომ არა მისი აღდგომა და გამარჯვება სიკვდილზე. ქრისტეს აღდგომის გარეშე ეს სამყარო მხოლოდ უაზრობათა ხმაურიანი გამოფენაა. მხოლოდ თავისი დიდებული აღდგომით განგვათავისუფლა უფალმა უაზრობისა და სასოწარკვეთისაგან, რადგანაც არ არსებობს უფრო მეტი უაზრობა ამ ცისქვეშეთში, ვიდრე კაცობრიობა აღდგომის გარეშე, და უფრო მეტი სასოწარკვეთილება, ვიდრე ეს ცხოვრება უკვდავების გარეშე. ადამიანებმა ღმერთს სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს, ხოლო თავისი მკვდრეთით აღდგომით ქრისტემ კაცობრიობას უკვდავების განაჩენი გამოუტანა.

ქრისტე აღსდგა! — ჭეშმარიტად აღსდგა!

სარჩევი

წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველი
ცხოვრებაჲ წმიდისა ბასილი დიდისა 3
წმ. ბასილი დიდი
მომთრვალეთათჳს 65
ეპისკოპოსთა დასავალისათა 78
წმ. ეფრემ ასური
მამათათვის მძოვართა 79
ანტიქრისტესათვის 84
წმ. მაკარი დიდი
განსაცდელთათვის 85
სიყვარულისათვის დამბადებელისა 94
წმ. იოანე ოქროპირი
გურიტისათჳს და წმიდისა ეკლესიისათჳს 97
ევაგრე პონტოელი
თანაშეულლვილთათჳს 104
პირი დედაკაცისაჲ 110
სულპიციუს სევერიუსი
ეპიზოდი წმიდა მარტინე ტურელის ცხოვრებიდან 113
წმიდა ამონიოსი
ცხორებაჲ წმიდათა და ნეტართა მამათაჲ, რომელნი მოისრნეს
მთასა სინასა და რაითს ბარბაროსთაგან 122
ლეონტი ნიკოპოლელი
საკვირველებანი ამბა სჳმეონისნი 141
წმ. ისააკ ასური
შიშისათვის ღვთისა 163
რათა დავიცვნეთ თავნი ჩვენნი
დახსნილობისაგან და უდებებისა 169
სიყვარულისათვის ღვთისა 174
წმ. მაქსიმე აღმსარებელი
წერილი გიორგის, მეფის ნაცვალს აფრიკაში 176
წერილი ანასტასის, თანამოღვაწესა და მოწაფეს 178

წმ. შიო მღვიმელის სასწაული 179
სტუდიელ აღმსარებელთა ცხოვრებანი 183
ათონელი ბერების ეპისტოლე 206
წმ. გრიგოლ პალამა
ტრიადა I 212
ბესარიონ კათალიკოსი
სულისა წმიდისათჳს 216
შთაფლვით ნათლისღებისათჳს 220
ანტონი I კათოლიკოსი
სიბოროტისა მოძღვარნი, სომეხთა ნათესავთაგანნი 229
წმ. ეპისკოპოსი ეგნატე
ამაო სიბრძნის შესახებ 244
ლოცვისათვის 245
სულიერი მოძღვრის შესახებ 246
ამქვეყნიურ და მომავალ ცხოვრებაზე 248
მორჩილებისათვის 249
ცხონების შესახებ 251
მცირე სამწყსო 260
ახალდამწყების ლოცვის სული 261
მაცხოვრის მეორედ მოსვლის შესახებ 269
წმ. თეოფანე დაყუდებული
შინაგანი აფორიაქების მიზეზი 276
სერგი ნილუსი
წერილი ლ. ორლოვს 280
ალექსანდრე კალომიროსი
ცრუ ერთობის წინააღმდეგ 293
წმ. მიტროპოლიტი ფილარეტი
ჭეშმარიტების ერთგულება 306
არქიმანდრიტი იუსტინე პოპოვიჩი
ღვთის საშინელი განკითხვა 318
აღდგომა ქრისტესი 328